
ილია ჭავჭავაძის
დაბადებიდან 100 წლის
შესრულების გამო
1837—1937

პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

პედაგოგიური თხზულებანი

პროფ. გ. თავზიშვილის
რედაქციით და წინასიტყვაობით





ნახევარგამი
1938 თბილისი

Научно-Исследовательский Ин-т Педагогики

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ

ПЕДАГОГИЧЕСКИЕ СОЧИНЕНИЯ

под редакцией и с предисловием
проф. Г. ТАВЗИШВИЛИ

Госиздат ГССР
1938 Тбилиси

ტექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ იდეათა ყოველმხრივ გამოვლენისა და შესწავლის მიზნით, აუცილებელ საჭიროებად მივიჩნიეთ ცალკე წიგნად გამოგვეცა მისი პედაგოგიური წერილები და საერთოდ ყველა თხზულებანი სახალხო განათლების საკითხებზე. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ თუ რაოდენ აქტუალურია ი. ჭავჭავაძის პედაგოგიურ თხზულებათა შეკრება და გამოცემა როგორც ქართული პედაგოგიკის ისტორიის დამუშავებისათვის ისე თვით ილიას დიდი კლასიკური მემკვიდრეობის სათანადო გამოყენებისათვის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განმტკიცების საქმეში. ეს აქტუალობა უფრო ძლიერდება ამ ჟამად, ილიას დაბადებიდან 100 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, როდესაც ყველასათვის აშკარაა, როგორ იზრდება და ფართოვდება საბჭოთა საზოგადოებრივი ინტერესი საქართველოს მე-19 ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ამ მთავარი წარმომადგნელისა და ჩვენი კულტურის დიდი მოამაგის მიმართ.

1. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ჯერ კიდევ არ არის გამოცემული. თუ დღემდე არსებულ გამოცემებში ჩვენ თითქმის სრულად გვაქვს წარმოდგენილი მისი ხელოვნური შემოქმედება, სამაგიეროდ მისი პუბლიცისტიკა, სამეცნიერო თხზულებანი და მიმოხილვები ჯერ სრულიად არ ყოფილა შეკრებილი და გამოქვეყნებული. ამ მხრივ ყველაზე უფრო ფართე გამოცემას წარმოადგენს „ქართული წიგნის“ ათტომეული ამხ. პავლე ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით („ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. ტ. 1 — 10, ტფილისი, 1925—1929 წ. წ.), მაგრამ ეს კრებული, როგორც თვით რედაქტორებიც აღნიშნავენ, დასრულებული არ არის. გარდა იმისა, რომ აქ შეტანილი არაა პერიოდიკიდან მრავალი ისეთი წერილი, რომელთა ავტორობაც უდაოდ ილიას ეკუთვნის, — არ გვხვდება აგრეთვე ილიას ისეთი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი, როგორიცაა: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, დაბეჭდილი პირველად „ივერიაში“ 1899 წ. 64 — 65 და 67 — 76 №№-ში და გამოსული ცალკე წიგნად იმავე 1899 წელს (რუსულად 1902 წელს).

ამიტომ ჩვენ ამ წინამდებარე ერთტომეულის გამოცემისათვის ამოვიღეთ ყველა პედაგოგიური ხასიათის წერილები **პავლე ინგოროყვას** და **ალ. აბაშელის** რედაქციით გამოსულ — ილია ჭავჭავაძის ნაწერების ათტომეულიდან, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, ეს გამოცემა

სრული არ არის, ჩვენ მივმართეთ აგრეთვე „საქართველოს მოამბეს“, და „ივერიას“, სადაც მართლაც აღმოჩნდა ილიას ისეთი წერილები აღზრდა-განათლების საკითხებზე, რომლებიც შემდეგ არსად ყოფილან გამოქვეყნებული.*) ასეთი წერილებია:

1) ილიას **წინასიტყვაობა** ხ. ჰ (გ). ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული თარგმანისათვის და **შენიშვნა** ამავე თხზულების შესახებ, წინასიტყვაობა მოთავსებულია „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მე-3 №-ში, ხოლო შენიშვნა ამავე წლის მე-9 №-ში,

2) „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“, მოთავსებული ჟურნალ „ივერიის“ 1877 წლის მე-16 №-ში, გვ. 11 — 14,

3) „სასოფლო სამეურნეო განათლება“ — გაზ. „ივერია“, 1886 წ., № 47,

4) „ღარიბთა ბრძოლა განათლებისათვის“ — გაზ. „ივერია“, 1886 წ., № 79,

5) „თვითმოქმედება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში“, გაზ. „ივერია“ 1886 წ., № 102,

6) „დავეხმაროთ სამეურნეო სკოლას“ — გაზ. „ივერია“, 1886 წ. № 141, და

7) „თავად-აზნაურობის გულგრილობა განათლების მიმართ“ — გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 275.

ეს წერილები დაბეჭდილია უსათაურო მოწინავეების (მეთაურების) სახით „ივერიის“ აღნიშნულ ნომრებში. არც „კონრად კიფერის“ წინასიტყვაობაა ხელმოწერილი, ბოლო შენიშვნას კი აწერია **„რედაქტორის შენიშვნა“**, და მოთავსებულია სქოლიოში.

2. მაშ რა საბუთით მიეკუთვნება აღნიშნული წერილები ილია ჭავჭავაძეს? 1886 და 1887 წლის გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ წერილებსა წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის, ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შენახული „ივერიის“ 1886 წლის კოლექციაში (№ 2241) და აგრეთვე 1887 წ. კოლექციაში (№ 2242) — ფანქრით აქვთ მიწერილი ილიას სახელის ინიციალი „ი“. ეს ინიციალი, როგორც ცნობილია, ადასტურებს აღნიშნული წერილების ილიასადმი მიკუთვნებას.

3. ჟურნალ „ივერიაში“ მოთავსებული წერილის: „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“ (1877 წ. № 16). ილიასადმი კუთვნილებას ადასტურებს შემდეგი გარემოება: ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს „ივერიის“ მე-10 №-ში მოათავსა წერილი გორის სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელი კლასის („პროპსემინარიის“) მასწავლებელ ნათიევის უხეში რუსულ-ქართული ანბანის წინააღმდეგ: „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“ (იხ. წინამდებარე კრებულში). ეს წერილი შეტანილია წ-კ საზოგადოების მუზეუმის ილიას ხელნაწერებში (№ 1722), იგი მოთავსებულია აგრეთვე წ-კ საზო-

*) გარდა წინასიტყვაობისა და შენიშვნისა ხ. ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული თარგმანისათვის.

გადოების მიერ გამოცემულ — ილიას პოლემიკურ წერილებში („ილია ჭავჭავაძე. „პოლემიკური წერილები" 1909 წ.) ამას გარდა ი. გოგებაშვილიც აღნიშნავს, რომ „ივერიის" წერილი ხსენებულ თემაზე ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის (იხ. ი. გოგებაშვილი, ტ. 1, გვ. 52, 1910 წ.). ნათიევმა არ დასტოვა ილიას წერილი („ვიცინოთ თუ ვიტიროთ") უყურადღებოდ და პასუხი გასცა მას გაზ. „დროებაში" (1877 წ. № 59),*) სადაც იგი ცდილობდა უბადრუკი არგუმენტაციით გაემართლებია თავისი პრაქტიკა რუსული ასოებით ქართული სიტყვების წერისა. წინამდებარე კრებულში მოთავსებული წერილი „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს" წარმოადგენს ნათიევის პასუხის პასუხს. ეს წერილი რომ ილიასია ჩანს ჯერ იქიდან, რომ იგი აქ იხსენიებს ნათიევის წინააღმდეგ მიმართულს თავის პირველ წერილს „ივერიაში" („ვიცინოთ თუ ვიტიროთ") და მოჰყავს იქიდან შემდეგი ადგილები: **ჩვენ „ივერიაში" ვსთქვით:**** „იმავე პროსემინარიის პირველ განყოფილებაში, თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ბღაჯნის მეტი არა ისწავლოს რა". ამ სიტყვებით („**ჩვენ**" „ივერიაში" „**ვსთქვით**") და ციტატით საბოლოოდ მტკიცდება, რომ ავტორი წერილისა: „ვიცინოთ თუ ვიტიროთ" არის აგრეთვე ავტორი წერილისა: „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს" (ამას ამტკიცებს ისიც, რომ ამ ორივე წერილში ერთსა და იგივე თემაზე და პიროვნებაზეა ლაპარაკი და ერთი და იგივე სტილით).

4. ზალცმანის „კონრად კიფერის" თარგმანის წინასიტყვაობის და ბოლო შენიშვნის ილიასადმი მიკუთვნება დასტურდება იმით, რომ „საქართველოს მოამბის" რედაქციის სახელით ყოველთვის ილია სწერდა და ამას გარდა ზ. ჭიჭინაძემ 1912 წელს „კონრად კიფერის" ცალკე გამოცემაში („კონრად კიფერი" თ. ლევან ჯანდიერისა, ტფილისი, 1912) როგორც წინასიტყვაობას, ისე შენიშვნასაც ილია ჭავჭავაძე მიაწერა და თანაც აღნიშნა: „აქ ეს შენიშვნაც მოგვყავს ისე, როგორც იგი 1863 წ. ილია ჭავჭავაძეს დაუწერია და დაუბეჭდავს „კონრად კიფერის" ბოლოში" (გვ. 127).

5. გაზეთ „ივერიაში" მოთავსებული წერილები, რომლებსაც ეხლა ვაქვეყნებთ ამ კრებულში, როგორც აღვნიშნეთ დაბეჭდილი იყო უსათაურო მოწინავეებად და, მაშასადამე ის, სათაურები, რომლითაც ისინი აქ იბეჭდებიან, ჩვენ გვეკუთვნის. ცხადია ეს სათაურები ჩვენ გამოგვყავს წერილების შინაარსიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქართული წიგნის" ათტომეულიდან ამოღებულ წერილებს, რომლებსაც სათაურები რედაქტორებმა მისცეს, ჩვენ დავუტოვეთ იგივე სათაურები, რადგანაც ისინი უეჭველად შეეფერებიან წერილების შინაარს და ილიას სტილს და ამის გარდა ჩვენი მკითხველი მასა ამ სათაურებს საკმაოდ მიეჩვია და მათი შეცვლა

*) ნათიევმაც კარგად იცოდა, რომ „ივერიაში" მოთავსებული წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ" — ილიას ეკუთვნოდა და სწორედ მის გასაჯავრებლად სწერდა გესლიანად, — რომ ჩემს შაჯირდებს თავს არ უხეთქამ „კაცია ადამიანის" კითხვითო.

**) ხაზი ჩვენია. რედ.

გაუგებრობის მეტს არაფერს გამოიწვევდა. გამონაკლისს შეადგენს სათაური: „სახალხო განათლების საკითხებზე“ რომელიც ჩვენს გამოცემაში აღარ დავბეჭდეთ. ეს იმიტომ მოხდა, რომ აქ, როგორც პედაგოგიურ თხზულებათა სპეციალური ტომი, ყველა წერილი სახალხო განათლების ამა თუ იმ საკითხს ეხება და ამას გარდა მასალების ქრონოლოგიურმა განლაგებამ გადააჯგუფა ის წერილები, რომლებიც ათტომეულის რედაქტორებს ერთი საერთო სახელწოდებით („სახალხო განათლების საკითხებზე“) ჰქონდათ გაერთიანებული.

იმისათვის, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს რომელი სათაური გვეკუთვნის ჩვენ და რომელი ათტომეულის რედაქციას, — სარჩევში აღნიშნულია: ჩვენი სათაურები — ერთი ვარსკვლავით (*) ათტომეულის რედაქტორთა სათაურები — ორი ვარსკვლავით (**). აქედან ცხადია, რომ უვარსკვლაოდ მოყვანილი სათაურები ეკუთვნის ავტორს, ე. ი. ილიას.

7. ამ კრებულში ჩვენ არ შევიტანეთ პედაგოგიური ხასიათის მქონე 1879 წლის იანვრის „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ათტომეულის რედაქტორებს ამხ. ამხ. პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნეს და მოათავსეს მისი ნაწერების სრული კრებულის მე-6 ტომში (გვ. 17 — 27). აღნიშნული მიმოხილვა წერის მანერის, თემატიკისა და სტილის მხრივაც კი, მართლაც ძალიან ჰგავს ილიას ნაშრომს, მაგრამ იგი ეკუთვნის არა მას, არამედ იაკობ გოგებაშვილს. საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერების განყოფილებაში დაცულ იაკობ გოგებაშვილის არქივში (№ 3316) აღმოჩნდა მისი ხელთნაწერი (დედანი) შემდეგი სათაურით: „შინაური მიმოხილვა — 1879 წელი, იანვარი“ (რომელიც მას განმზადებული ჰქონდა თავის თხზულებათა მეორე ტომისათვის. ეს ხელთნაწერი ორჯერ აღემატება 1879 წლის იანვრის „ივერიაში“ (№ 1) და ათტომეულის მე-6 ტომში მოთავსებულ იმავე მიმოხილვას.

„ივერიაში“ დაბეჭდილია მხოლოდ მისი პირველი ნაწილი. (მეორე, გამოუქვეყნებული, ნაწილის ქვესათაურებია: უფ. სტრელეცკი და ხითაროვი, უფ. იანოვსკი. თავად-აზნაურთა სკოლა, — სამღვდელოების განკარგების ნიშნები, სასულიერო წოდების ქალთა განათლების საქმე, — ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე. — ჩვენის სემენარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა). ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით უეჭველი მიზეზები, რატომ არ დაიბეჭდა „ივერიაში“ მიმოხილვის მეორე ნაწილი, რომელიც პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა საცენზურო პირობების გამო.

აღნიშნული მიმოხილვის იაკობ გოგებაშვილისადმი მიკუთვნებას სხვა საბუთი არ დასჭირდებოდა, რომ არ მოითხოვდეს ახსნას შემდეგი გარემოება: იაკობ გოგებაშვილმა „ივერიისათვის“ დასწერა მხოლოდ ორი მიმოხილვა. ერთი, 1882 წელს, ტფილისში, ივერიის „შინაური მასპინძლის“ ე. ი. ილიას არ ყოფნის დროს და დაბეჭდა ამავე წლის „ივერიის“ იანვარ-თებერვლის ნომერში ხელმოუწერლად. არჩილ ჯორჯაძემ

ეს მიმოხილვა, შეცთომით, ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნა. 1910 წელს ხსენებული მიმოხილვა იაკობმა შეიტანა თავის რჩეული ნაწერების პირველ ტომში („რჩეულ პუბლიცისტური და პედაგოგიური ნაწერები", ტ. I, გვ. 20, 1910 წ.) და გაუკეთა მას შემდეგი შენიშვნა*):

„ვინ იყო აქ მოხსენებული ყოველთვიური მასპინძელი? ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში" ამ მასპინძლად ჩასთვალა რომელიღაც თანამშრომელი ჟურნალის „ივერიისა" — და თქვენს წინ მდებარე მიმოხილვის ავტორად კი დასახა თითონ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნამდვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად იყო. ყოველთვიურს მასპინძლობას ჟურნალში მკითხველებს უწევდა პირადად თვითონ რედაქტორი. მხოლოდ ამ მიმოხილვისათვის მან ვერ მოიცალა, რადგანაც ბანკის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამეწერა მიმოხილვა ჟურნალისათვის, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე. ამ მიმოხილვის გარდა მე დავწერე კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა. ყველა დანარჩენი მიმოხილვები, ამ ორის გარდა, ეკუთვნის ილიას მადლიანს კალამსა. მეორე ჩემ მიერ დაწერილს და „ივერიაში" დაბეჭდილს მიმოხილვას ადგილს არ ვაძლევ ამ კრებულში, რადგან ის დაიბეჭდება მეორე ტომში".

რომელია ის მეორე მიმოხილვა, რომელიც იაკობ გოგებაშვილს დაუწერია? ამხ. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ეს მიმოხილვა დაწერილია იაკობის მიერ ზემოთხსენებული 1882 წ. იანვარ-თებერვლის მიმოხილვის შემდეგ და ამ აზრის დასასაბუთებლად მიმართავს უკანასკნელის (მიმოხილვის) შესავალს და მის შენიშვნას: შესავალში იაკობი სწერს:

„ივერიის შინაურ მასპინძელს არა სცალიან. იგი სხვავვარ მასპინძლობას გიწევთ. მე, როგორც შორი-ახლო მეზობელს, წილად მხვდა ამ ჟამად გაუმასპინძლდე მის ყოველთვიურ სტუმრებსა. მაგრამ ბალა ეს არის, რომ **ამ გვარ მასპინძლობას ჩვეული არა ვარ, არა ვარ დახელოვნებული ამ ძნელ, მაგრამ მეტად საამურ საქმეში**, და შეიძლება ხამობა დამეტყოს".

ამ შესავლის ზემოთმოყვანილ შენიშვნაში, როგორც ვნახეთ იაკობი ამბობს, რომ 1882 წლის შინაურ მიმოხილვის გარდა მან დასწერა **„კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა"**. აქ ხაზგასმული სიტყვების საფუძველზე პატივცემული მკვლევარი პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ 1882 წლის იაკობის „შინაური მიმოხილვა" **„პირველი** წერილი ყოფილა, რომელიც მას ივერიაში მოუთავსებია**). ეს რომ ასე იყოს ცხადია, 1879 წლის იანვრის მიმოხილვა მისი არ იქნება. მაგრამ ასეთი დასკვნა არ შეგვიძლია გამოვიტანოთ არც 1882 წლის შესავლიდან და არც მისი 1910 წლის

---

*) 1879 წლის, იანვრის „შინაური მიმოხილვის" სრული ტექსტი დაიბეჭდება ამხ. ზ. კიკნაძის მიერ შედგენილ — „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ თხზულებათა" II ტომში, რომელიც ჩვენი რედაქციით უკვე იბეჭდება.

**) ტ. 7, გვ. 335, კურსივი პ. ინგოროყვასია.

შენიშვნიდან. შესავალში იაკობი სწერს, რომ ის შინაური მიმოხილვების წერას შეჩვეული არ არის, ამასთან არ არის დახელოვნებული ამ საქმეში და შეიძლება ხამობა დაეტყოს. აქედან სრულებით არა ჩანს, რომ ეს მიმოხილვა პირველია. მართლაც, ადამიანს რომელსაც 3 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი მიმოხილვა დაუწერია მას ამ საქმეში, ჯერ კიდევ არ ექნება არც ჩვევა და არც დახელოვნება და სიხამეც შეიძლება დაეტყოს. ი. გოგებაშვილი მხოლოდ ამას სწერს და სწერს სამართლიანად, როგორც ეს საქმეებით შეეფერება მის ცნობილ თავდაბლობას. არც 1910 წლის შენიშვნა ცვლის ამ გარემოებას. იქ აღნიშნულია: „ყოველთვიურს მასპინძლობას ჟურნალში მკითხველებს უწევდა პირადად თვითონ რედაქტორი. **მხოლოდ** ამ მიმოხილვისთვის*) მან ვერ მოიცალა". ამ წინადადებაში ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვა „მხოლოდ", ნახმარია „**მაგრამ**" ის მნიშვნელობით და არცაა გასაკვირველი ამის თქმა ი. ჭავჭავაძეზე, რომელმაც 1882 წლამდე ე. ი. 3 წლის განმავლობაში დასწერა ყველა თვის მიმოხილვანი გარდა ერთისა (1879 წლის იანვრისა) და განა მხოლოდ ამისთვის იტყოდა ილიასადმი დიდ მოკრძალებაში მყოფი იაკობ გოგებაშვილი, რომ ილია მიმოხილვებისათვის საერთოდ ვერ იცლიდა ხოლმეო?

მაშ რატომ არ მოათავსა იაკობ გოგებაშვილმა 1910 წელს, თავისი რჩეული ნაწერების პირველ ტომში 1879 წლის იანვარის შინაური მიმოხილვა, თუ ეს უკანასკნელი მას ეკუთვნის და ნაწერები კი ქრონოლოგიური წესით მოათავსა აღნიშნულ ტომში? იმიტომ რომ „ქრონოლოგიური წესი სასტიკად ვერ დავიცავით", და „არა ერთი და ორი წერილი, რომელშიაც განმარტებული იყო საჭირბოროტო საკითხები, უპოვნელი დარჩა და ვერ მოექცა ამ ტომში"-ო, გვიპასუხებს თვით იაკობ გოგებაშვილი.**) მართლაც, შესაძლებელია, 1910 წელს, პირველი ტომის მასალების შეკრების მომენტში მას ხელთ არა ჰქონდა თავისი მიმოხილვა 1879 წ. იანვრისა, თორემ თუ მისი დაბეჭდვა ჯერ სურდა, ყოველ შემთხვევაში მისი პირველად გამოქვეყნების დროსა და ორგანოს ნომერს მაინც დაგვისახელებდა.

ამას გარდა, როგორც ვნახეთ იაკობი ზემოთხსენებულ თავის შენიშვნაში, 1910 წელს, სწერდა, რომ „მეორე ჩემ მიერ დაწერილს და „ივერიაში" დაბეჭდილ მიმოხილვას ადგილს არ ვაძლევ ამ კრებულში, რადგანაც ის დაიბეჭდება მეორე ტომში". მეორე ტომის მასალების **დიდი ნაწილი** მან თვითონ დაამზადა და სწორედ 1879 წლის იანვრის მიმოხილვა შეიტანა შიგ და არა სხვა რომელიმე. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იაკობმა აქ თავისი მიმოხილვის მაგიერ ილიასი შეიტანა. ასეთი შეცთომა მას არ მოუვიდოდა არავითარ შემთხვევაში.

7. ამ კრებულში პედაგოგიკისა და სახალხო განათლების შესახებ ილიას სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაწერების გარდა, დამატების სახით,

---

*) ლაპარაკია 1882 წლ. იანვარ-თებერვლის მიმოხილვაზე გ. თ.

**) იხ. მისი „რჩეული ნაწერები", წინასიტყვაობა, გვ. I.

შეტანილი გვაქვს პედაგოგიური ხასიათის ადგილები მისი მხატვრული პროზიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საჭიროა, ვინაიდან მის პროზაში მოცემული პედაგოგიური იდეები ავსებენ და ავითარებენ მის სამეცნიერო-პოლემიკურ ნაწერებში გამოთქმულ პედაგოგიური შეხედულებებს და აგრეთვე უკანასკნელთა მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენენ. ამიტომ ილიას პედაგოგიური მოძღვრების მთელი სისრულით წარმოდგენისათვის აუცილებელია მისი, როგორც მეცნიერულ-პუბლიცისტური ისე მხატვრულ-ლიტერატურული ნაწერების მთლიანად შესწავლა. სწორედ ამის გაადვილების მიზნით ვათავსებთ ჩვენ ამ კრებულში ილიას მხატვრული შემოქმედებიდან ამოღებულ პედაგოგიური ხასიათის მქონე ადგილებს.

8. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის წინამდებარე წიგნში, როგორც მისი თეორიული ნაწერების კრებულში, ჩვენ არ შეგვეძლო შეგვეტანა სათანადო ტექსტები იმ ოფიციალური მიმოწერისა, რომელსაც ილია აწარმოებდა როგორც სხვადასხვა თანამდებობის პირი და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი. მართალია ბევრი მათგანი სახალხო განათლების მეტად აქტუალურ საკითხებს ეხება, მაგრამ ჯერ ერთი, რომ მათ, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებს, ხშირად ილიასთან ერთად სხვა პირებიც აწერენ ხელს, ხოლო ამას გარდა ამ დოკუმენტებში ჩვენ ზოგჯერ ისეთ ადგილებსა და გამოთქმებს ვხვდებით, რომლებიც დასაშვები იყო მაშინდელი საუწყებო ბიუროკრატიისადმი ოფიციალურ მიმართვებში, მაგრამ არსებითად კი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ ილიას მსოფლმხედველობას.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებათა ანალიზისათვის მეტად სასარგებლო იქნებოდა სახალხო განათლების დარგში მისი პრაქტიკული მოღვაწეობის ფაქტების მიმოხილვაც. მრავალი ასეთი ფაქტი მოყვანილია როგორც მის წერილებსა და მიმოხილვებში, ისე ჩვენს ვრცელ წინასიტყვაობაში („ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები"), მაგრამ ყველა მათი სათანადოდ აღნუსხვა და შეფასება უფრო ბიოგრაფიის საქმეა, ვიდრე პედაგოგიური მონოგრაფიისა.

ვინც კი ოდნავად მაინც არის ჩახედული მე-19 ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურის ისტორიაში, მისთვის ნათელი იქნება, რომ ჩვენში, ამ პერიოდის განმავლობაში თითქმის არ დარჩენილა რაიმე თვალსაჩინო სამეურნეო და მეცნიერულ-ლიტერატურული წამოწყება და არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი დაწესებულება, რომლის პირველი ინიციატორი ან ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი ილია არ ყოფილიყო. ასევე ხდებოდა ჩვენი ხალხის განათლებისა და მისი მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლის საქმეშიც.

საკმარისია მარტო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ისტორიის გათვალისწინება, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ილია ჭავჭავაძის დაუღალავი პრაქტიკული მოღვაწეობა კულტურულ-საგანმანათლებლო და კერძოდ პედაგოგიურ სარბიელზე.

„ქართველთა შორის წ-კ. გამარვცელებელი საზოგადოება“, როგორც ვიცით, დაარსდა 1879 წელს ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის ინიციატივით. მართალია მისი პირველი და მეორე თავმჯდომარის [დ. ყიფიანი (1879—1882) და ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკი (1883—1885)] მუშაობის დროს ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარის მოადგილედ ითვლებოდა, მაგრამ საზოგადოების მთელ მოღვაწეობას უმთავრესად ის (ილია) განაგებდა; ხოლო 1885 წლის 27 მაისს წ-კ. საზოგადოების საერთო კრებამ ილია ჭავჭავაძე აირჩია გამგეობის თავმჯდომარედ და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, 1907 წლამდე, ის უცვლელად ასრულებდა ამ საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას.

ილიას თავმჯდომარეობის პერიოდში წ-კ. საზოგადოება მეტად გაიზარდა, გაძლიერდა, გარდაიქმნა და ქართული კულტურის საგანმანათლებლო მუშაობის მესვეურ ორგანიზაციად გადაიქცა. სახალხო განათლების დარგში წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, ილიას მეთაურობით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო სკოლების გახსნას, ბიბლიოთეკების გავრცელებას, წიგნების გამომცემლობის გაფართოებას და ქართული ენის უფლების დაცვას როგორც სკოლებში, ისე სხვა მასობრივ დაწესებულებებში.

ილიას ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით წ კ. საზოგადოებამ თავის ხარჯზე დაარსა დაწყებითი სკოლები ქუთაისში (1880), ტფილისში (1880), ბათუმში, ქართველი მაჰმადიანებისათვის (1881), წინარეხში (1882), თონეთში (1883), სენაკში (1884), ხელთუბანში (1904), კავკავში (ეხლა-ორჯონიკიძე, (1888), გომარეთში (1897), ყალამშაში და რემაში (1904). ამ სკოლებში 1907 წლამდე უსწავლია სულ 19.474 მოწაფეს.

სახალხო ბიბლიოთეკების გახსნას აღნიშნული საზოგადოება შეუდგა 1892 წლიდან და პირველი ათწლედის განმავლობაში, თავის ხარჯზეც, დაარსა ბიბლიოთეკები ტფილისში, სამი ბიბლიოთეკა (1892, 1894, 1901), ახალციხეში (1895), ქუთაისში (1796), უდეში (1897), დიდჯიხაიშში (1898), ხონში (1801), ყვირილაში (ზესტაფონი, 1901) და ხარაგოულში (1902).

ეს ბიბლიოთეკები, რომლებიც უშუალოდ ი. ჭავჭავაძის მითითებითა და მზრუნველობით დაარსდა, 1907 წლამდე შეიცავდა 19.500 სახელწოდების წიგნს და 28.000-მდე ხელისმომწერს აერთიანებდა.

ილია დიდი გულმოდგინებით მუშაობდა აგრეთვე ხელნაწერების, მუზეუმის შექმნისათვის და მართლაც წ-კ. გამავრცელებული საზოგადოების ხელნაწერებს მუზეუმში აუარებელი, ისტორიული მნიშვნელობის, ხელნაწერი შეკრიბა.

წიგნების გამომცემლობას ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული ენერგიით ეკიდებოდა; მისი თავმჯდომარეობის პერიოდში წ-კ. საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართვე-

ლოს სხვადასხვა კუთხეში. 1907 წლამდე აღნიშნულმა საზოგადოებამ გამოსცა 130 მეტი სახელწოდების წიგნი 568.089 ტირაჟით.

„ქართველთა შორის წ-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ" მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის კულტურული გათვითცნობიერების საქმეში, და ამ მხრივ ყოველთვის მკაფიოდ მოჩანდა ილია ჭავჭავაძისა და მისი სახელოვანი პლეადის ენერგიული და თავდადებული მუშაობა თავისი ხალხის ინტერესებისათვის.

9. წინამდებარე გამოცემაში წერილების ქრონოლოგიურ დალაგებას, განსხვავებით მათი თემატური დალაგებისაგან, ჩვენ იმით ვამართლებთ, რომ ძალიან ხშირად ესა თუ ის წერილი რამდენიმე სხვადასხვა თემას ეხება და ამიტომ თემატური განაწილების დროს მისი (წერილის) მიკუთვნება ერთი რომელიძე თემისადმი სწორი არ იქნებოდა; მეორეს მხრით წერილების ქრონოლოგიური განაწილება ნათლად, უფრო ადვილად გვაჩვენებს თუ როგორ ვითარდებოდა ავტორის აზრი ამა თუ იმ საკითხზე, რა საზოგადოებრივ პირობებსა და სიტუაციაშია წარმოშობილი ესა თუ ის წერილი და როგორ უკავშირდება იგი მისი წარმოშობის მომენტში ავტორის მიერ დამუშავებულ სხვა თემებს.

10. ამ გამოცემაში ავტორის ტექსტის სქოლიებში (გვერდების ბოლოებში) გვხვდება ავტორის, ათტომეულის რედაქციის და ჩვენი შენიშვნები. იმისათვის რომ გაგვერჩია ეს შენიშვნები ერთმანეთისაგან — ჩვენს შენიშვნებს ყველგან აქვს ძიწერილი **რედ**. ათტომეულის რედაქციის შენიშვნებს — **ათტომეულის რედ**. ხოლო ავტორის (ილიას) შენიშვნებისათვის არაფერი მიუწერია. ამ ტომში მოთავსებულ ყველა სტატიას ბოლოში აღნიშნული აქვს მისი გამოქვეყნების წელი და ორგანო, საიდანაც იგი არის ამოღებული. ათტომეულიდან ამოღებულ სტატიებს მითითებული აქვს ტომისა და გვერდის №№.

11. წიგნს ბოლოში დართული გვაქვს რედაქტორის განმარტებანი, ეს განმარტებები ეხება ავტორის ტექსტში ხსენებულ პირებს, მაგრამ არა ყველას, არამედ მხოლოდ პედაგოგებს და სახალხო განათლების უწყებათა ოფიციალურ მოხელეებს.

* * *

დასასრულ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ თხზულებათა წინამდებარე ტომი ამჟამად სრულად მიგვაჩნია, რადგანაც არ დაგვიტოვებია არც ერთი მისი წერილი აღზრდისა და სწავლა-განათლების საკითხებზე, რომ მასში არ შეგვეტანოს, მაგრამ „საქართველოს მოამბესა", „ივერიასა" და „დროებაში", ილიას რედაქტორობის და თანამშრომლობის პერიოდში, მოთავსებულია ისეთი ხელმოუწერელი და ფსევდონიმ გაუხსნელი სტატიები სახალხო განათლების საკითხებზე, რომლებიც თემის ხასიათით, მისი გაშუქებით, სტილით და ზოგან პოლემიკის მანერით—


ილიას უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ სანამ ეს საბოლოოდ არა გვაქვს დადგენილი, თავი შევიკავეთ მათი ამ ტომში მოთავსებიდან. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში შეიძლება კიდევ გამოინახოს ილიას ახალი პედაგოგიური თხზულებანი და საბოლოოდ დადასტურდეს მისი ავტორობა ზოგიერთი წერილისა სწავლა-განათლების შესახებ. ასეთი ნაშრომები, რასაკვირველია შეტანილი იქნება ილია ჭავჭავაძის ნაწერების როგორც სრულ კრებულში, ისე პედაგოგიურ თხზულებათა შემდგომ გამოცემებში.

რედაქტორი

16. VIII. 37.
ტფილისი

პროფ. გ. თავზიშვილი

ილია ჭავჭავაძის
პედაგოგიური იდეები




4806 ყ-ს-ჯ
ეროვნული ბიბლიოთეკა
400000617

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსი და მე-19 ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის პოპულარული წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე ცნობილია ჩვენში თავისი მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პრლიტიკური და კულტურული მოღვაწეობით. ქართულმა ლიტერატურამ მასში ჰპოვა უდიდესი რეალისტი, მებრძოლი სოციალური მოტივებით გაჟღენთილი მხატვარი და ქართული ლიტერატურო მეტყველების დიდი განმაახლებელი; ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისა და საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა დარგში ის უნდა ჩაითვალოს ისტორიული პროცესის მატერიალისტური გაგების უახლოეს წინამორბედად, ხოლო ჩვენ ეკონომიურ მეცნიერთათვის ის იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც ნათელი გახადა სამანქანო მრეწველობის პროგრესული მნიშვნელობა და საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალთა როლი ეკონომიური სტრუქტურის გარდაქმნის საქმეში.

ილია ჭავჭავაძის ამ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და თეორიული აზროვნების ერთ მთავარ მხარეს წარმოადგენს მისი პედაგოგიური იდეები.

ილია კარგად ხედავდა, რომ რუსეთის კაპიტალის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და რუსული ბიუროკრატული რეჟიმის გაძლიერება კოლონიალურ მდგომარეობაში აყენებდა საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას. მას, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროცესზე მეცნიერული დაკვირვების დიდი უნარის მქონეს და რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ღრმად მცოდნეს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ რუსეთის ეონარჩია საქართველოს ეკონომიურ მონობასთან ერთად კულტურულ და სულიერ მონობასაც აძლიერებდა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ორივე ფრონტით იბრძოდა რუსეთის მონარჩიზმის წინააღმდეგ: ერთის მხრით ის ენერგიულად უწყობდა ხელს საქართველოს ნაციონალური მრეწველობის განვითარებას, რომ ადგილობრივი სასოფლო მეურნეობის და საქალაქო წარმოების გაძლიერებით რამდენიმედ მაინც ეხსნა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიალისტური კაპიტალის მეურვეობიდან და ამავე დროს **აძლიერებდა ჩვენში რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას** პოლიტიკური შეიწროვების წინააღმდეგ, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვყუდნებოდა"; მეორეს მხრით ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იბრძოდა მეფის რუსეთის მიერ პატარა ერების, კერძოდ საქართველოს კულტურული და სუ-

ლიერი გადაგვარების პოლიტიკის წინააღმდეგ, აფართოებდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების გზებს, თავდადებულად უწყობდა ხელს საქართველოში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას და ამ მხრივ განსაკუთრებული გატაცებით და ერუდიციით იბრძოდა იგი ჩვენი ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

I. აღზრდა-განათლება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა

ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ გრძნობდა და ხედავდა ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდის განუზომელ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. მისთვის ნათელი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული განთავისუფლება და განვითარება შეეძლო არა მისი პერიოდის ეროვნულად და სულიერად გადაგვარებულ, „კეთილშობილ“ და „ბრწყინვალე“ გვამთა მოდგმას, არამედ ეროვნულ-რევოლუციური და პროგრესული იდეების საფუძველზე აღზრდილ ახალ თაობას. ამ თაობას აკუთვნებდა ილია ჭავჭავაძე ჩვენი მომავალი ცხოვრების მეთაურობას, მას სთვლიდა იგი საქართველოს საიმედო ძალად. ჯერ კიდევ 1863 წელს ხ. ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ი. ჭავჭავაძე სწერდა: „ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზე, რადგანაც, ცხადია რომ **ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალს თაობას** *)“.

საზოგადოების მომავლისათვის ახალთაობის აღზრდის მნიშვნელობის შესახებ ილია ხშირად სწერდა, მაგრამ 1882 წელს „ივერიის“ ივნისის „შინაურ მიმოხილვაში“ განსაკუთრებული ექსპრესიით აღნიშნავდა: „ახალი თაობა.... **რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი** **)“... ასეთი სასოებითა და მომავლის იმედით შეჰყურებდა ახალთაობას ილია ჭავჭავაძე და საკვირველი არ არის, რომ მისი მეცნიერული აღზრდა-განათლება მას უმთავრეს საზოგადოებრივ და სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა.

მაგრამ ჯერ ვნახოთ რა მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ცოდნასა და განათლებას საზოგადოების განვითარების საქმეში.

---

*) „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № III, მარტი, გვ. 49.

**) ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 227, ტფილისი, 1927 წ. (როგორც აქ, ისე შემდეგშიც ილიას ტექსტი ციტირებული გვექნება „ქართული წიგნის“ მიერ, პ. ინგოროყვა და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემული—ათტომეულიდან, 1925—1929 წ. ტფილისი, ხოლო იმ მასალების ციტირების დროს, რომელიც ამ ათტომეულში არ შედის, მითითებული გვექნება მათი პირველი წყაროები). ხაზი ყველგან ჩვენია.

მისთვის, როგორც დიდი განმანათლებლისათვის, არ არსებობდა არც ერთი ისეთი ძლიერი იარაღი და საშუალება ხალხის კეთილდღეობისათვის—როგორიცაა **საყოველთაო ცოდნა და განათლება**. ხალხის მიერ სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობის გაგებისათვის ილიას საჭიროდ მიაჩნია ამ სწავლა-განათლების სათანადო ელემენტების წინასწარ ცოდნა: ე. ი. ილიას აზრით **ცოდნას მცოდნე უფრო აფასებს და განათლებას განათლებული**. ხოლო იმისათვის, რომ ხალხში წინასწარ შევიტანოთ ცოდნისა და განათლების ელემენტები ცოდნისა და განათლების უფრო მეტად დაფასებისათვის, საჭიროა მოწინავე, შეგნებულ პირთა თავდადებული მუშაობა ხალხში სწავლა-განათლების სურვილის აღძვრისათვის.

ასეთ მოწინავე პირებად ილიას მიაჩნია „მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე (აგრონომი გ. თ.) —ყველა ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია*)"; მათ უნდა შეიტანონ ხალხში პირველი სხივი განათლებისა, უნდა აღძრან წინასწარი სურვილი ცოდნის მიღებისა. ილია ხედავდა, რომ ეს მოწინავე ელემენტები მართლაც იბრძოდნენ ხალხის განათლებისათვის, ნაყოფიც ჩანდა, ჯერ-ჯერობით ძალიან მცირე, მაგრამ მაინც „ვერვინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და განათლების სურვილი,—სწერდა ილია 1886 წელს,—ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ხედავს, ყველა გრძნობს, ყველა ღაღადებს, **ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა—ერის ბედნიერებისათვის** საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ, **ჭკუა-გახსნილი მოჭმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა**, საქვეყნო იქნება თუ საცალკეო;—ის, რაც საკვირველია, **არ იკმარებს** მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა — სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავმოსაწონებელი**)".

სწავლა-განათლების ასე მეტის მონდომა და ნატვრა რეალურად გასანხორციელებელი იქნება იმით, რომ ხალხმა იგრძნოს და დაინახოს განათლების ეფექტიანობა. ილია ბევრჯერ აღნიშნავს, რომ განათლების სიკეთე უნდა მოჩანდეს როგორც სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებაში, ისე ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაში; მაშინ ხალხი უსათუოდ დაეწაფება მას, ცოტას უკვე აღარ იკმარებს და შემდეგ თვით აიღებს ინიციატივას თავისი სწავლა-განათლების უფრო გაძლიერების საქმეში.

ილია ჰავჰავაძეს მშვენივრად ესმის სწავლა-განათლების სტიმულირების საფუძვლები და სწორედ მათი ცხადად გამოვლენისა და პოპულარიზაციით იწყებს თავის ღრმადმოფიქრებულ პროპაგანდას ცოდნის გავრცელებისათ-

*) ტ. VII, გვ. 249.
**) ტ. VII, გვ. 241.

ვის. რა თემაზეც არ უნდა სწერდეს ილია, ყველგან და ყოველთვის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უსათუოდ განათლების დიდ მნიშვნელობას ეხება: ერის ეკონომიური სიღატაკე—განათლების სიმცირის შედეგია, ერის პოლიტიკური დამონება—განათლების სისუსტის ბრალია, ერის სულიერი ღაცემა—განათლების უქონლობით აიხსნება. „ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენი უბედურებისა,—უმეცრება და უსწავლელობაა“, სწერს ილია*). აქედან იგი ასკვნის, რომ **„უმეცრებაა ჩვენი საშინელი მტერი“**, და იქვე აღნიშნავს „უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ **მეცნიერებას** შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა—აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენ ცხოვრებას“ **).

განათლება ამასთანავე მას მიაჩნია დიდ რევოლუციურ ძალად, რომელიც ჩაგრულ ადამიანს ათავისუფლებს მონობის ბორკილიდან; „არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავისი ჯაჭვის დასამტვრევლად“***) სწერს იგი.

განა ერთგან და ორგან შევხვდებით ჩვენ ილიას ნაწერებში სწავლა-განათლების მნიშვნელობის გარკვევას ზემოხსენებულის მსგავსად; რუსეთის დიდი რევოლუციონერი დემოკრატების ნ. ჩერნიშევსკისა და ა. დობროლუბოვის საგანმანათლებლო იდეებით გატაცებული—ილია ჭავჭავაძე **ხშირად** სწერს:

„ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: **ადამიანობასაც**, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზე უმარცხოდ და უძლეველად“...

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა როგორც **კაცად მყოფობისათვის** ისე თავის სარჩენად, ისე ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად“.

„ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობა, უქონლობისა. **უნდა** ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინაროზას, უვიცობას, იმიტომ, რომ **მიზეზთა მიზეზი ყოველ უბედურებისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა**“.

„აქედან აშკარაა თუ რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ **ჯანი მისცეს მის სულსა და ხორცს** ცხოვრების მოედანზე **საჭიდაოდ და გასამარჯვებლად.** იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ“****).

---

*) ტ. VI, გვ. 154.
**) ტ. VII, გვ. 249.
***) ტ. III გვ. 260.
****) ტ. VII, გვ. 253—256.

„განათლებამ უნდა მისცეს მას (ხალხს გ. თ.) ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად*)“...

„ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბატონი აქვს, **ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზნებზედაც უფრო ძლიერია****)“.

სწავლა-განათლების აქტუალური საზოგადოებრივი ფუნქცია ილიასათვის ნათელია. ის სასტიკი მტერია ხალხის ცხოვრებიდან მოწყვეტილი ცოდნისა, ძველი სქოლასტიკურ-დოგმატური სწავლებისა, ფორმალისტური განათლებისა.

ილია ჭავჭავაძის მიერ ცოდნისა და განათლების რეალისტური გაგება მათი კანონზომიერი დაკავშირება საზოგადოების შრომასა და ბრძოლასთან, მისი ფილოსოფიური კონცეპციებიდან გამომდინარეობდა.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე, ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების დარგში საერთოდ, — ისტორიული მატერიალიზმის წინამორბედია, მაგრამ მეცნიერებისა და ხელოვნების გაგების საკითხებში ის კიდევ უფრო ახლოს მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმთან, მარქსიზმთან; ის გადაჭრით იბრძვის ისეთი ბურჟუაზიული ლოზუნგების წინააღმდეგ როგორიცაა: „წმინდა მეცნიერება“ და „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამ ლოზუნგების საწინააღმდეგოდ ილია სრული დამაჯერებლობით განიხილავს მეცნიერებისა და ხელოვნების წარმოშობა-განვითარების პროცესს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და ცვალებადობასთან კანონზომიერ კავშირში. ის გარკვევით ასაბუთებს თეზისს, რომ მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრებისაგან არიან განპირობებული.

„**ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან**“ სამართლიანად აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე***). მას ბრწყინვალედ ესმის, რომ **ცხოვრებისაგან წარმოშობილი და მისი ზეგავლენით განვითარებული მეცნიერება—ხელოვნება და ცნობიერება,** როგორც ზედნაშენი, **თავისი განვითარების გარკვეულ სტადიებში თვით ახდენენ უკუზეგავლენას ცხოვრებაზე ე. ი. თავის ბაზისზე და იწვევენ მის შემდგომ გინვითარებას;** ხოლო უფრო განვითარებული ცხოვრება თავის მხრივ კვლავ იწვევს მეცნიერება-ხელოვნების და ცნობიერების ახალ ზრდას და ახალ განვითარებას. ცხოვრებისა და მეცნიერების ასეთი **დიალექტიკა** ილიას შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

„როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, ისე **ცხოვრებაზედ ამოსული შტოები—მეცნიერება და ხელოვნება—ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა**

---

*) იქვე, გვ. 249.

**) იქვე, გვ. 23.

და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსტყმენ ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს **ცნობიერებაზ ცხოვრებაზედ** და ცხოვრებასა თავის რიგზე—ცნობიერებაზედ" *).

ეს დებულებანი არსებითად სწორი და მეცნიერულია. ჩვენ, რომ აქ **ცხოვრების,** ე. ი. მეცნიერება - ხელოვნებისა და ცნობიერების ბაზისის — ნაცვლად **წარმოება და საწარმოო ურთიერთობანი** გვქონდეს, საქმე გვექნებოდა უეჭველად დაზუსტებულ მარქსისტულ დებულებასთან. მაგრამ თუ ილია ჭავჭავაძის აღნიშნული დებულებები არ შეგვიძლია ჩავთვალოთ მარქსისტულად, ეს იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის **აზროვნების სისტემა მთლიანად, მისი მსოფლმხედველობა საერთოდ, არ არის მარქსისტული,** ხოლო ცნება „ცხოვრება" მეტად ფართო ცნებაა; იგი შეიცავს როგორც ბაზისს ისე ზედნაშენს, როგორც წარმოებასა და საწარმოო ურთიერთობას ისე შეგნებას, ცნობიერებას. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როდესაც ილია სწერს: **„ცხოვრება ძირია,** ხელოვნება და მეცნიერება **მასზედ ამოსული შტოები არიანო"**, მას ამ შემთხვევაში „ცხოვრება" წარმოდგენილი აქვს — შეგნების (ცნობიერების) ბაზისად. — როგორც წარმოება და საწარმოო ურთიერთობანი. თუ ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე ზემოთ აღნიშნული დებულებების მატერიალისტურად აღიარებას მხოლოდ ტერმინოლოგიური ნაკლოვანება უშლის ხელს. მაგრამ ეს მატერიალისტური დებულება იქნებოდა მხოლოდ ელემენტი მისი მსოფლმხედველობისა, ვინაიდან **ილიას მსოფლმხედველობა მთლიანად, მისი დროის საქართველოს საერთო ჩამორჩენილობის გამო, ვერ ამაღლდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე.**

მეცნიერებისა და ხელოვნების გამოყენებითი მნიშვნელობის შესახებ ილია აღნიშნავს: **„მეცნიერებასა და ხელოვნებას** ჩვენ ვუყურებთ, როგორც **ცხოვრების გასამჯობინებელ** ღონისძიებათა"**) და მათს მატერიალურ ძალას ხედავს იმაში, რომ „რაც მაგათაგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის **გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა"**).

ამგვარად, მეცნიერებისა და ხელოვნების დანიშნულებას ილია ჭავჭავაძე ხედავს ხალხის საწარმოო შრომისა და ცხოვრების განვითარებაში, მისი პოლიტიკურ - განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებაში და ეგბრძოლი, რეალისტური აზროვნების განმტკიცებაში.

ბუნებრივია, რომ სწავლა - განათლების სისტემა ილიას ამავე პრინციპზე აქვს აგებული. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ იგი ცოდნას აკისრებს აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებას და **ცხოვრებასთან მტკიცე,**

ორგანულ კავშირს. ხოლო მათ შესახებ კი ვინც ცხოვრებას თავს არიდებს განათლების სახელით, „უაზროდ შტვენს“ და „მეშვიდე ცისთვის“ მიუპყრია „გაბეცებული თვალები“, — ილია სწერს: „ჩვენ იმათთან **საერთო გზა არა გვაქვსო**“. აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ ილია დაუნდობლად **ებრძვის ფორმალიზმს და სქოლასტიკას**. ვინც ცოდნა-განათლებას უცქერის როგორც გარეგნულ — „მორთულობასა და სამკაულს“ ის ბილწავს და აგინებს მას. „ცოდნა, სწავლა-განათლება ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა“ სწერს ილია*). რატომა ვართ „ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი... და გუშინდელი მოსული გერმანელი კი მდიდარი?“ კითხულობს ილია და თვითონვე უპასუხებს: „ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს **ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულმკერდისათვის**)“, — არამედ პრაქტიკულად გამოსაყენებელ ძალადო.

ასევე დაუნდობლად ებრძვის ილია უაზრო და უშინაარსო ფრაზას მხატვრულსა და მეცნიერულ შემოქმედებაშიც, თუნდაც რომ ეს ფრაზა ბაღალი შტილით იყოს დაწერილი. „ბევრს აქამდისინაც ვერ გამოუბერტყნია გონებიდან ის აზრი, სწერს ილია, რომა მაღალი ფრაზითა, მდაბალი ფრაზითა და საშუალო ფრაზით წერასა სრულიად არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, **თხზულებაში საქმე აზრია**, და **მაღალს და მდაბალს ფრაზას არაფერი ღირსება არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჭვივის სტატიაში**)“.

რეალური, საგნობრივი და შინაარსეული განათლება იზიდავს ხალხს, იწვევს მასში ინტერესს და ცოდნის მიღებისადმი ლტოლვას, რადგანაც მხოლოდ ასეთი განათლება აძლევს მას საგრძნობ მატერიალურ და კულტურულ ეფექტს, აძლევს რწმენას თავის ძალ-ღონესა და უნარში, უქმნის მას ძლიერებისა იმედს, რადგანაც ილიას თქმით „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და **ძლიერი მარტო მცოდნე კაცია**“.

ჩვენ ქვევით ვნახავთ როგორი მკაცრი და გამანადგურებელი ცინიზმით ილაშქრებს ილია ჭავჭავაძე ძველი სკოლის რეჟიმისა და სწავლების ფორმალისტური და სქოლასტიკურ-დოგმატური მეთოდების წინააღმდეგ, ხოლო აქ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ფორმალიზმთან ბრძოლის დროს ის აყენებს თეორიისა და პრაქტიკის ნათლიანობის იდეას და მტკიცედ იცავს მას. გარდა იმისა, რომ მთელი მისი საკანმანათლებლო იდეები ამ იდეით არის გამსჭვალული, ის ცალკეც ეხება ამ საკითხს:

სწავლა-განათლებამ, ილიას აზრით, ადამიანს უნდა მისცეს თანაბარი თეორიული და პრაქტიკული განვითარება. ადამიანის თეორიული ცოდნა

უნდა ვლინდებოდეს მის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოქმედებაში და ყოფა-ცხოვრებაში; სამაგიეროდ თვით ეს ცხოვრება და მოქმედება საკვებით უნდა შეეფერებოდეს მის თეორიულ ცოდნას ისე, რომ ადამიანის მოქმედება და ყოფა-ცხოვრება მისი ცოდნა-განათლების გამომხატველი იყოს. ასეთი უნდა იყოს რეალისტური სწავლა-განათლების შედეგი. სამაგიეროდ ფორმალისტური განათლება სულ სხვა შედეგს იძლევა. ილია ჭავჭავაძე იშვიათი გამჭრიახობით ხედავს, რომ მისი დროის ბევრ ადამიანში თეორიული განათლება და პრაქტიკული მოქმედება ერთმანეთთან სრულ წინააღმდეგობაში იმყოფებიან, რომ მათი ცოდნა სხვაა და საქმე კი სულ სხვა; ამის მიზეზს ილია ფორმალისტურ განათლებაში ხედავს — ილია სწერს:

„დღევანდელ დღეს, ადვილად შესაძლოა შეხვდეთ, — **კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით კი სრულებით სხვა.** ეს იმიტომ არის, რომ **დედა-აზრი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანი აზრითა, არა მათის ბუნებიერის შინაარსითა**“ *).

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე სწავლა-განათლების მიზნად აღიარებს ადამიანის მთლიან განვითარებას მისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთიანობის საფუძველზე. ის ებრძვის უსაგნო აბსტრაქტულ ცოდნას, პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ და ბუნებრივი ანუ რეალურ-კონკრეტული შინაარსიდან გაცლილ სწავლა-განათლებას, ფორმალიზმს.

ილია ენერგიულად იცავს წიგნისა და ცხოვრების სინამდვილის მტკიცე კავშირის იდეას. არც წიგნი ვარგა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, არც ცხოვრება წიგნის ანუ ცოდნის გარეშე. ჭკუა და ცოდნა თითქოს „თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოსო“, ამბობს „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილი, რომლის პირითაც ილია გადმოგვცემს შემდეგ ჭეშმარიტებას:

„არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“.

აქედან ილიას დასკვნა ნათელია: წიგნი უნდა ეყრდნობოდეს პრაქტიკულ სინამდვილეს, ხალხთა შრომას და გამოცდილებას, ხოლო პრაქტიკული სინამდვილე, შრომა და გამოცდილება წიგნით უნდა სარგებლობდეს და მას იყენებდეს შემდგომი განვითარებისათვის.

ჯერ ვნახოთ როგორ სწყვეტს ილია საკითხს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტას ის უდგება მათი ერთიანობისა და ურთიერთ ზეგავლენის პრინციპის აღიარებით.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობისა და მათი **ურთიერთ ზეგავლენის პრინციპს** ილია გამოხატავს შემდეგნაირად:

---

*) ტ. VIII, გვ. 326 — 327.

„ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი **მოაზრე ცხოვრებაა** (идеиная жизнь), მეორე—**მოსაქმე**, (практическая), რომლებიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, **რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან** *)".

თეორიის (იდეის) და პრაქტიკული მოღვაწეობის ასეთი პირდაპირი დამოკიდებულება და ურთიერთ ზეგავლენა მათი განვითარების პროცესში ილიას ესმის როგორც მიზეზისა და შედეგის ურთიერთ ზეგავლენა, როდესაც რაიმე გარკვეული მოვლენა, აღმოცენებული წარსული მიზეზით, არის შედეგი ამ მიზეზისა, მაგრამ თავისი განვითარების პროცესში იწვევს ახალ მოვლენას და თვით ხდება მიზეზი ამ ახალი, მეორე მოვლენისა; თავის მხრივ ეს ახალი მოვლენა როგორც შედეგი წარსულისა, ამავე კანონზომიერებით, თვითონვე იქცევა უფრო ახალი მოვლენის მიზეზად. აქედან: მიზეზი გადადის შედეგში, შედეგი—მიზეზში.

ეს მატერიალისტური თეზისი ილიას მშვენივრად აქვს დადასტურებული საქართველოს XIX საუკუნის ცხოვრების მაგალითზე. ილია როგორც რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარული მოღვაწე, ხედავდა, რომ საქართველო თუმც გარეგნულად მოსვენებულია მტერთა შემოსევისაგან და შინაურ ფეოდალთა და მთავართა კინკლაობისაგან, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი და პრაქტიკული საქმიანობა მაინც არ იზრდება, პირიქით იგი კნინდება და იხრწნება ცეფის რუსეთის ძალადობის ქვეშ. ჩვენ ხალხს თითქოს საქმე გამოელია, არ მოქმედობს, არ იბრძვის, არ მოძრაობს,—ძილსა და მოსვენებას მისცემია. ამ გარემოების შედეგად ილია სთვლის ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების მოდუნებას და შეჩერებას, რამაც თავისი გავლენა მოახდინა ჩვენს იდეიურ, თეორიულ ცხოვრებაზე. თეორია და მეცნიერება თუ ცხოვრების ზედნაშენს ანუ, როგორც ილია ამბობს, მის შტოს წარმოადგენს—ცხადია მოდუნებულ და უმოძრაო პრაქტიკულ ცხოვრებას იდეიური ცხოვრების ე. ი. აზროვნების განვითარების შეჩერებაც უნდა გამოეწვია. გაჩერებულ ცხოვრებას ბავსი ეკიდება ისე, როგორც ეს დაემართებოდა მრისხანე და მოუსვენარ თერგს, რომ ის დადგეს, შეჩერდეს: „აბა პატარა ხანს დადეგ, თუ ცყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზე არ შეგეცვალოს" („ჩვენი ცხოვრების წერილები"). XIX ს. დასაწყისში საქართველო სწორედ ასეთ ხავსიან გუბედ გადაიქცა, განსაკუთრებით კი 30-იან წლებამდე, როცა, ილიას აზრით, სავსებით დაშრა ქართველი ხალხის მოძრაობისა და ბრძოლის ენერგია. აზრის განვითარებას ილია მხოლოდ მოძრაობაში ხედავს. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და აზრის მიმცემი" და ხალხსაც მოძრაობისაკენ მოუწოდებს.

---

*) ტ. IV, გვ. 224.

ილიას ამ მეცნიერულ მსჯელობას დამატება აღარ სჭირდება. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობისა და ურთიერთ ზეგავლენის იდეა აქ ბრწყინვალედ არის ახსნილი და გარკვეული. ჩვენ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გაგაგრძელებდით, რომ შეიძლებოდეს არ მოვიყვანოთ ამ იდეის კიდევ უფრო განმარტკიცებელი, ილია ჭავჭავაძის შემდეგი გენიალური დებულება:

„თვით აზრი სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც აზრია უკვე განხორციელებული *)".

აქ იშვიათი მეცნიერული სიღრმით და კონდენსირებულად არის მოცემული ზემოთ აღნიშნული იდეა; აქვე ჩანს რომ **აზრი** (იდეოლოგია) მას მიაჩნია მატერიალური ბუნების მოვლენად, ხოლო აზროვნების პროცესი კი სპეციფიკურ მატერიალურ პროცესად. საქმე ქმნის აზრს, აზრი—საქმეს; აზრი, თუ ის ნამდვილი და სწორი აზრია,—საქმეში უნდა გადავიდეს, საქმედ იქცეს; მაგრამ თუ იგი ჯერ საქმედ ქცეული არ არის, რჩება საქმედ პოტენციაში ე. ი., ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, — განუხორციელებელ საქმედ. ხოლო საქმის განხორციელება ნიშნავს აზრის საქმედ ქცევას, მაშასადამე, მის გადაქცევას მატერიალურ ძალად.

ეს, ჭეშმარიტად, გენიალური იდეები ილიას გამოთქმული აქვს 1892 წელს. სად შეიძლება ვეძიოთ მათი წყარო? აუცილებლობა იდეის ანუ თეორიის მატერიალურ ძალად ქცევისა პირველად ჩვენ მოგვცა მშრომელი კაცობრიობის დიდმა ბელადმა და იშვიათი სიღრმის მეცნიერმა **კარლ მარქსმა**. ცნობილია, რომ კ. მარქსი ძველი მატერიალური ძალის დასამხობად მატერიალ ძალასვე მიმართავდა, ხოლო თეორიის გამოყენება ამ ბრძოლაში მას შესაძლებლად მიაჩნდა იმ შემთხვევაში თუ ეს თეორია ხალხში გავრცელდებოდა, გამოიწვევდა ხალხის მოძრაობას, მის ახალ შემოქმედებას და ამით თვით გადაიქცეოდა მატერიალურ ძალად. **„თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როდესაც მას დაეუფლებიან მასები"**, სწერდა მარქსი და ამით იგი განსაკუთრებული სიცხადით აღნიშნავდა თეორიის დიდ რევოლუციურ ძალას და მის დიდ აქტიურ მნიშვნელობას პრაქტიკული საქმიანობისათვის. ილია ჭავჭავაძე, როგორც აღვნიშნეთ, კარგად იცნობდა კ. მარქსის ნაშრომებს და ამ შემთხვევაში — აზრისა და მოქმედების განმარტების და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხში, ის უეჭველად მარქსის მოძღვრების გავლენის ქვეშ იმყოფება. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ ილიას მიერ აზრის აღიარება მატერიალური ბუნების მოვლენად მარქსისვე ზეგავლენით მოხდა; კერძოდ მარქსის დებულება, რომ „იდეალური არის არა სხვა რამ, არამედ ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული მატერიალური" („კაპიტალის" მეორე გამოცემის წინასიტყვაობიდან, 1873 წ.), უეჭველია ილიას ზემოთ მოყვანილი დებულების გამოსავალ პრინციპად უნდა იქნეს აღიარებული.

---

*) ტ. IV, გვ. 224.

დავუბრუნდეთ საკითხს, როგორ ესმის ილიას ახალგაზრდობის აღზრდის პროცესი.

II. აღზრდის პროცესი

მარქსისტული პედაგოგიკისათვის ცნობილია, რომ ადამიანის წარმოშობა და გაადამიანება შრომის პროცესსა და სოციალურ ურთიერთობაში მოხდა, რომ ის საზოგადოებრივი გარემოებისა და აღზრდის პროდუქტს წარმოადგენს და, როგორც სოციალური არსი, განიცდის კანონზომიერ ცვალებადობას მისი არსებობის სოციალურ პირობათა ცვალებადობასთან დაკავშირებით. ადამიანის კულტურა, მისი ფსიქიკა და იდეოლოგია თავის წარმოშობასა და განვითარებაში ამავე კანონზომიერებას ემორჩილება. **აღზრდა** როგორც **ადამიანის მომზადება შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის**, — სოციალურ პროცესს წარმოადგენს და მისი განვითარება — ცვალებადობის ყოველი ეტაპი გარკვეული საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობითა და მისი გაბატონებული იდეოლოგიით არის განპირობებული.

ილია ჭავჭავაძეს ახალგაზრდობის აღზრდა საზოგადოების უმთავრეს და აუცილებელ ფუნქციად მიაჩნდა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მტკიცე კავშირის გარეშე არ ჰქონდა იგი წარმოდგენილი. უკეთუ ახალთაობას „ეკუთვნის ჩვენი მერმისი“, ესე იგი ჩვენი მომავალი, — გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს ხალხის მიერ თავისი მერმისის ანუ მომავლის კარგად მომზადება. ეს მერმისი ბავშვი და მოზარდია, ხოლო მომავალი ცხოვრებისათვის მათი მზადება უპირველეს ყოვლისა **აღზრდას** გულისხმობს.

იმისათვის, რომ გავიგოთ როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს ბავშვის **აღზრდის პროცესი**, საჭიროა ჯერ გავარკვიოთ როგორ ესმის მას თვით ბავშვი, როგორც აღზრდის ობიექტი.

ჩვენ ვიცით, რომ „ადამიანის არსი მის სოციალობაში მდგომარეობს“ (მარქსი). ადამიანი სოციალობის გარეშე ადამიანად ვერ გადაიქცევა, ხოლო ადამიანი სოციალობის დაკარგვის შემთხვევაში, ჰკარგავს ადამიანობასაც. ონტოგენურად ადამიანის სოციალობა მისი დაბადების მომენტიდანვე იწყება და, მაშასადამე, ბავშვი, როგორც ადამიანი, სოციალური არსია.

ილია ჭავჭავაძეს ბავშვი არსებითად აღნაირადვე ესმის. ერთ თავის ლიტერატურულ-პედაგოგიურ ეტიუდში („უცნაური ამბავი“) ის ბრწყინვალედ სჭრის ამ საკითხს. „**ბავში იგივე ადამიანია**“, — სწერს ილია*) და მოითხოვს, რომ პედაგოგი (აღმზრდელი) მას მიუდგეს როგორც ადამიანურ არსს, ადამიანურ თვისებათა მატარებელს. ამასთან, ბავშვის ადამია-

*) ტ. III, გვ. 280.

ზობის აღნიშვნით ილიას სრულებითაც არ სურს წაშალოს არსებული **სა-**
თანადო თვისებრივი და ოდენობითი განსხვავება დიდსა და პატარას შო-
რის. მისი აზრით ბავშვი, როგორც ადამიანი, „პატარაა“ და მხოლოდ და-
საწყისია იმ საზოგადოებრივი ზრდისა, რის შედეგადაც ის უნდა იქცეს
დიდ ადამიანად. **„ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“** გენი-
ალურად ამბობს ჩვენი დიდი მოაზროვნე*). ბავშვის ზრდა-განვითარება
თავიდანვე გამოდის ადამიანიდან, იწყება როგორც სოციალური პროცესი
და მთავრდება ადამიანითვე; დასაწყისს ადამიანსა და დამთავრებულ ადა-
მიანს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველთან შედარებით ეს უკანას-
კნელი, ხანგრძლივი სწავლა აღზრდისა და საზოგადოებრივი გარემოების
ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგად, **მეტი ცოდნითაა** აღჭურვილი, **მეტადაა**
განათლებული, მეტის გამოცდილების მქონეა, **მეტი უნარი აქვს შრო-**
მისა და უკეთესი მომავლისათვის **ბრძოლისა**. სიტყვა **„მეტი“** აქ ხაზგას-
მულია და ამით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელემენტები ცოდნისა, განათ-
ლებისა, გამოცდილებისა, შრომისა და ბრძოლისა ადრეული, სკოლამდე-
ლი ასაკის ბავშვსაც აქვს მოპოვებული; მაგრამ მოპოვებული როგორც დასა-
წყისი, მცირე ოდენობითი და თვისებითი მასშტაბით, მხოლოდ განვითა-
რებისა და გაზრდის ცხადი ტენდენციით, ამასთან ეს სწავლა, ზრდა, გა-
ნათლება—განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ქმნიან მასში სრულიად
ახალ თვისებებს, ახალ ფუნქციებს, და აჰყავთ იგი ადამიანობის უფრო
მაღალ საფეხურზე.

ილიას მშვენივრად ესმის, რომ ბავშვში, როგორც ადამიანში, ადამია-
ნობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებანი (აზროვნების, მეტყველების,
ცოდნის უნარი და სხვა.) უკვე ბავშობიდანვე იწყებენ თავის განვითარე-
ბას, რომ მასში ბავშობიდანვეა მოცემული ეს თვისებები ჯერ ტენდენცი-
ების, შემდეგ ელემენტებისა და ბოლოს კი სისტემის სახით. როგორც
ვნახეთ, მიაჩნია რა ბავშვი დიდი ადამიანის დასაწყისად და სათავედ, ილია
იქვე სწერს: „არ უნდა გვიკვირდეს, რომ **რასაც დიდ მდინარეში ვპოუ-**
ლობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ*). ეს ფრაზა, რომ ისე
გავიგოთ, თითქოს ადამიანი თავის განვითარებაში **ახალს** არაფერს იძენს
და ყოველივე ის რაც დიდ, ზრდა-დასრულებულ, ადამიანშია, იმავე მას-
შტაბის **ოდენობით** და **თვისებით** არსებობს პატარა ბავშვშიაც,—მაშინ
ჩვენ აქ ფაქტიურად საქმე გვექნება **განვითარების** პრინციპის უარყოფას-
თან. მაგრამ აღნიშნული ფრაზის ამნაირად გაგება არ შეიძლება, ეს ილიას
მსოფლმხედველობის არ ცოდნას მოასწავებდა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა
განვითარების პრინციპის უარყოფასთან ან ცოდნა-განათლების უცვლე-
ლობის აღიარებასთან, არამედ ამით ილია ავითარებს ზემოთ მოყვანილ თა-
ვის დებულებას, რომ **„ბავშვი იგივ ადამიანია“**, და სურს ხაზი გაუსვას იმ

გარემოებას, რომ ბავშვი, როგორც ადამიანი, მატარებელია დიდის ადამიანური თვისებებისა, მაგრამ იმდენად და იმ ზომით რამდენადაც ის ჯერ მხოლოდ დასაწყისი და სათავეა დიდი ადამიანისა; ის რაც საერთოა დიდ ადამიანსა და პატარა ბავშვს შორის—ადამიანობა ანუ სოციალობაა. ამით ილია ჭავჭავაძე მშვენივრად ასაბუთებს თეზისს, რომ ბავშვი ისეთივე სოციალური არსია როგორც, საერთოდ ყოველი ადამიანი. ანდა, როგორ შეეძლო ილია ჭავჭავაძეს განვითარების პრინციპის უარყოფა, როდესაც მთელი მისი ფილოსოფიური და მხატვრულ-ლიტერატურული აზროვნება ამ პრინციპის საფუძველზე არის აგებული. როგორ შეეძლო ილიას ადამიანის ცოდნა-განათლების უცვლელობა აღეარებინა, როდესაც იგი ცოდნასა და განათლებას ცხოვრების შტოებად სთვლის და პირველის ცვალებადობასთან ერთად უკანასკნელთა ცვალებადობასაც აღიარებს.

ილია ჭავჭავაძე აყენებს შემდეგ მატერიალისტურ დებულებებს:

„**ცხოვრება**, როგორც ყოველი მოზარდი, **იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჰკნება—იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს** და საუკუნოდ დაიმარხოს, **არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება,** რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ **უკვდავება** უნდა“ *).

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ **ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფრისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მათგან გამომეტყველია, ყველაფერი იცვლება მისი ძლიერი გავლენისაგან**“**).

ამას სწერდა ილია ჭავჭავაძე 1863 წელს („საქართველოს მოამბეზედ“), და ეს იყო მართლაც მტკიცე საფუძველი მისი ახალი მსოფლმხედველობისა. ამ დებულებაში ჩვენ გვაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ პროცესად აღიარება და მისი ეტაპობრივი თანმიმდევრობის მეცნიერული გაგება უწყვეტი განვითარების კანონზომიერების საფუძველზე. ამასთანავე აქ სწორადაა გარკვეული, რომ ადამიანის გრძნობელობითი და აზროვნებითი სფერო ისე როგორც მისი წეტყველება და ჩვეულება — ტრადიციები საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია, მისგან არიან დეტერმინირებულნი და მისივე ძლიერი გავლენით მუდმივ ცვალებადობას განიცდიან. მართალია ილიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ აღმოუჩენია ისტორიის მატერიალისტური გაგების პრინციპი, და არც ზემოთ მოყვანილი დებულება შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესისა და იდეოლოგიის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგების ნიმუშად, მაგრამ უეჭველია ეს დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მისი ავ-

*) ტ. IV, გვ. 67.
**) ტ. IV, გვ. 65.

ტორი, როგორც მარქსამდელი მატერიალიზმის მოწინავე წარმომადგენელი საქართველოში, დიდი მეცნიერული ერუდიციით იცავს **განვითარების პრინციპს** საერთოდ, და სავსებით სწორედ სწყვეტს საკითხს საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ რდეოლოგიის განპირობებისა და მათი ურთიერთ ზეგავლენის შესახებ.

ამ პრინციპებზე აქვს აგებული ილია ჭავჭავაძეს ბავშვის არსობის სოციალური ბუნების გაგება და ამავე პრინციპებიდან გამოდის იგი აღზრდის პროცესის სოციალურ პროცესად აღიარების დროს. მართლაც უკეთუ ბავშვთა აღზრდის მთავარ პრინციპად მათი აზროვნების განვითარებას მივიჩნევთ, ხოლო აზროვნებას, ისე როგორც გრძნობათა სამყაროსა და მეტყველებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენას დავუქვემდებარებთ და მასთან კანონზომიერ კავშირში განვიხილავთ, — უეჭველია, ბავშვის (ადამიანის) აღზრდა საზოგადოებრივ პროცესად უნდა ვიცნოთ და განვითარებაში მყოფ სოციალურ გარემოებას გადამწყვეტი როლი მივაკუთვნოთ ბავშვის აღზრდის საქმეში.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთ როლს აკუთვნებს საზოგადოებრივ წრეს „საცა ნორჩი სული ბავშვისა პირველად იღვიძებს და მერე ზრდაში შედის". ბავშვის მომავალი, მისი გრძნობების, აზროვნების, მეტყველებისა და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციათა განვითარება პოზიტიური თუ ნეგატიური გზით დამოკიდებულია მის იოგვლივ არსებულ საზოგადოებრივ გარემოებაზე, ამ საზოგადოებრივი გარემოების პროგრესულ ან რეგრესულ ხასიათზე. ილია ჭავჭავაძეს ეს აზრი საჩინოდ აქვს გადმოცემული. ზემოთ მოყვანილ ციტატებში ნათლად არის გაშუქებული ის დებულება, რომ ადამიანის ფსიქიკა და იდეოლოგია, როგორც ცხოვრების და საზოგადოებრივი გარემოების საფუძველზე აღმოცენებულნი და განვითარებულნი, არა მარტო ასახავენ ამ ცხოვრებასა და სინამდვილეს, არამედ გამოხატავენ კიდეც მათ. საზოგადოებრივი წრის ზეგავლენა სწორედ მათ ფსიქო-იდეოლოგიურ ასახვასა და გამოხატვაში ვლინდება და ეს გამოვლინება ყველაზე უფრო ღრმად და ხანგრძლივად სწორედ ბავშვში იჩენს თავს. ჯერ ვნახოთ რას სწერს ილია ბავშვის აღზრდაზე საზოგადოებრივი წრის ზეგავლენის შესახებ.

„იმ წრეს, სადაც ბავში პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და აბიტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ საბით, ძალიან ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედმოქმედება აქვს მოზარდის ბედნიერების მერმისზედ *)".

---

*) ტ. VIII, გვ. 316 — 317.

აქედან ცხადად გამომდინარეობს არა მარტო საზოგადოებრივი წრის დიდი ზეგავლენის აღიარება ბავშვის აღზრდაზე, არამედ ამ წრის გარდაქმნის აუცილებლობაც აღზრდის გაუმჯობესების მიზნით. ჩვენ ვიცით, რომ არ არსებობს რაღაც უცვლელი სოციალური წრე, უცვლელი სოციალური გარემოება. როგორც ვნახეთ, ცხოვრების განვითარებას ილია ჭავჭავაძე ისტორიული განვითარების პროცესად აღიარებს და აღზრდის პროცესს, როგორც ცხოვრების ზედნაშენს იმავე ისტორიზმის პრინციპით განიხილავს. არ არსებობს უცვლელი ცხოვრება და სოციალური წრე და ამდენადვე არ არსებობს არც უცვლელი აღზრდა. მაგრამ ილია ჭავჭავაძე, როგორც დემოკრატი რევოლუციონერი, იცავს იმ აზრს, რომ სოციალური სინამდვილის და აღზრდის პროგრესიული გარდაქმნა თავისთავად, ხალხის აქტიური ჩარევის გარეშე არ ხდება; მან იცის, რომ ეს შეურიგებელი ბრძოლის საქმეა. ასეთი ბრძოლისაკენ მოუწოდებს ის ხალხს ახალგაზრდობის აღზრდის მიზნითაც. ვინაიდან მისთვის აშკარაა, რომ ბრძოლა ცხოვრებისა და სოციალური წრის გარდაქმნისა და პროგრესიული განვითარებისათვის არის აგრეთვე ბრძოლა ახალგაზრდობის აღზრდის გარდაქმნისა და განვითარებისათვის.

აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათი ილიას დადასტურებული აქვს აგრეთვე თავის მხატვრულ შემოქმედებაში. ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება მისი საზოგადოებრივი იდეოლოგიისა და თეორიის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს; ილიას მსოფლმხედველობაში არ არსებობს პრინციპულ-იდეური წინააღმდეგობა ფილოსოფიურ აზროვნებასა და მხატვრულ იდეათა შორის. ის ამ მხრივ მონოლიტურია და ამასთან ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს იმ კლასიკოსთა შორის, რომელთა მსოფლმხედველობაც სწორედ ამ წინააღმდეგობით ხასიათდება (მაგ. ლ. ტოლსტოი და სხვ.). ილიას პროზასა და პოეზიაში ჩვენ ვხედავთ იმავე საბრძოლო თემების მხატვრულ-ესთეტიკურ დამუშავებას, რომლებიც მისი ფილოსოფიური და სამეცნიერო-პუბლიცისტური აზროვნებისა და მოღვაწეობის საპროგრამო თემებს წარმოადგენენ*).

ილიას მხატვრულ ნაწერებში ბევრგან ვხვდებით ისეთ უარყოფით ან დადებით ტიპებს, რომლებიც უარყოფითი ან დადებითი საზოგადოებრივი გარემოებისა და აღზრდის შედეგად გამომუშავდნენ. მოთხრობაში „**სარჩობელაზედ**“ ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ორი ახალგაზრდა ძმა **ავაზაკობასა და სარჩობელამდე მიიყვანა საზოგადოების უყურადღებობამ, ცუდმა საზოგადოებრივმა ზეგავლენამ და აღზრდამ**; ყაზარმულმა თუქურ-

---

*) საკმარისია დავასახელოთ: ილიას რევოლუციური ნაციონალურ - განმათავისუფლებელი იდეები და „მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“ და სხვ.; ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ბრძოლა და „გლახის ნაამბობი“, „კაკო-ყაჩაღი“ — და სხვ.; ძველი საზოგადოების გამანადგურებელი კრიტიკა და „კაცია-ადამიანი“, „პასუხის პასუხი“ და სხვ.; ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულება და „პოეტი“, „ქართვლის დედა“ და სხვ.; ბრძოლა ასკეტიზმის წინააღმდეგ და „განდეგილი“ და მრავალი სხვ.

მ●შის სკოლამ; უპატრონობამ, მამინაცვლის მხეცურმა მოპყრობამ, ცემა-ტყეპამ, ლანძღვამ და თრევამ. საზოგადოებისადმი წყრომითა და სასტიკი პროტესტით არის გაჟღენთილი სიტყვები ერთი ამ ახალგაზრდისა, რომელმაც შეიგნო საზოგადოების დამღუპველი ზეგავლენა მასსა და მის ძმაზე: **„ჩვენ ყველასთვის უცხონი ვიყავით,** ყველანი ჩვენთვის... ჩვენი ცოდვა **ყველამ** დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, **თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“.** ასეთია ილია ჭავჭავაძის სასტიკი განაჩენი ძველი საზოგადოებისადმი. ამ სიტყვებით ილია აზოგადოებს ბავშვზე კერძო ზეგავლენის ფაქტს, რადგანაც მისთვის ცხადია, რომ ყოველი კერძო პიროვნება საზოგადოების წევრია, რომ ყოველი კერძო პიროვნების ზეგავლენა ბავშვის აღზრდაზე არის ამავე დროს სათანადო მომენტი თვით საზოგადოების ზეგავლენისა. „მამინაცვალმა კი არა თქვენ ყველამ“..., „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა. განა შენ კი არ დამიხჩე ერთად ერთი ძმა. განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე“, — მიმართავს ჩამორჩობილის ძმა ბეურმე პეტრეს, რომელსაც უშუალოდ არაფერი მონაწილეობა მიუღია მისი ძმის ჩამორჩობაში, მაგრამ როგორც საზოგადოების წევრი, მორალურად მაინც პასუხისმგებელია საზოგადოების მიერ ადამიანის დაღუპვისათვის.

„გლახის ნაამბობის“ გმირთაგანის, თავად დათიკოს, ცხოველური გადაგვარება შედეგია როგორც მისი სოციალურ-წოდებრივი მდგომარეობის, ისე ძველი საოჯახო და სასკოლო აღზრდა-სწავლისა. გახრწნილი სოციალური ფენა, უქმი და პარაზიტული წოდება, უკულტურო და ცრუმორწმუნე ოჯახი, ბინძური და ჩამორჩენილი მშობლები — აი როგორ პირობებში იზრდებოდა დათიკოს პროტოტიპი კოლა*). თავისი გადაგვარებული, ფეოდალური კლასის, წრისა და ოჯახის დამღუპველი ზეგავლენისაგან შეიძლებოდა პატარა კოლას დახსნა კარგი, მეცნიერული აღზრდით და სწავლა-განათლებით, მაგრამ მას აღზრდა და სწავლა-განათლება სწორედ თავისი კლასისა, წრისა და ოჯახის შესაფერისი შეხვდა და საბოლოოდ დაჰკარგა მან ადამიანის იერი**).

---

*) იხ. ავტორის მიერ ერთ რომანად განზრახული, მაგრამ შემდეგ სამ მოთხრობად დაყოფილი „გლახის ნაამბობის“, „კაცია-ადამიანის“ და „კაკო-ყაჩაღის“ ერთიანი ვარიანტები: „კოლა“ და „კაკო“ (ტ. III). ამ ვარიანტის მიხედვით ლუარსაბ თათქარიძეს ყავს შვილი ს.ხელად კოლა, რომელიც ამ ერთიანი ვარიანტის უარყოფისა და მისი სამ მოთხრობად დაყოფის შემდეგ, „გლახის ნაამბობში“ დათიკოს სახელით გვხვდება ილია ჭავჭავაძეს, პირველად კოლას (დათიკოს) გადაგვარება საოჯახო და სასკოლო აღზრდის შედეგად ჰქონდა დასახული (იხ. ვარიანტი „კაკო“), მაგრამ შემდეგ „გლახის ნაამბობში“ ის უფრო ფართო საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების შედეგად გამოიყვანა. „კაცია-ადამიანში“ კი ლუარსაბ თათქარიძეს ილიამ შვილი სრულებით არ აღირსა, რომ ამით სავსებით ამოეგდო ჩვენი სინამდვილიდან თათქარიძეების მოდგმა და ნაშთი.

**) პატივცემული პედაგოგი ივ. გომელაური 1908 წელს სრულიად სამართლიანად სწერდა, რომ „პატარა დათიკოს ცუდად აღზრდის დასურათებით ილია ჭავჭავაძემ ჯერ ისევ მესამოცე წლების დასაწყისში გააფრთხილა ჩვენი „მოწინავე“ საზოგადოება და მი-

როგორ ზრდიდნენ მას ოჯახში?

„კოლა **თერთმეტისაც** შესრულდა, მაგრამ ჩვეულებრისამებრ არსად არა სწავლობდა, რადგანაც დედ-მამამ შემდეგ ღრმა განსჯისა სრულად გადასწყვიტეს, რომ კოლასათვის ჯერ ადრეა სწავლა*)".

მის მამას ეშინოდა, რომ კოლას სწავლა დააჭლექებდა, დაღუპავდა მამის ერთა შვილს; მას უფრო ერჩია კოლა დილიდან საღამომდის საგამდლოსა და სამზარეულოში ყოფილიყო. ხოლო მომავალ სასწავლებელს (გიმნაზიას) შემდეგნაირად უმარტავდა მას:

— „ღიმნაზია სასწავლებელია შვილო. აქ სულ რუსები არიან, სულ ჯოხით ხელში დადიან, ვინც კარგათ არ ისწავლის როზგითა ცემენ, პურს არ აჭმევენ, ბნელ ოთახში ჩასმენ ეშმაკებთან**)".

თუმცა ლუარსაბის მეუღლე ქეთევანი ქმარზე მეტს ჭკუას იჩენდა, კიცხავდა მას ამგვარი საქციელისათვის არწმუნებდა, რომ „მერე რო გაიზრდება როგორღა წავა სასწავლებლად, ახლა რო აშინებ"?, მაგრამ ამაზე „ჭკუაზედ უკაცრავად ნამყოფი ლუარსაბი" უპასუხებდა ხოლმე: — „არ წავა და ნუ წავა... მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... და ჩვეულებრისამებრ აღარ გაათავებდა რა იცის**)".

კოლას თავიდანვე ანებივრებდნენ გახარწინილი მშობლები. აჩვევდნენ ხალხის უპატივცემლობას, საცინადაგდებას, ლანძღვა-გინებას და ისე, რომ ბავშვს ყოველივე ეს თავის მოწოდებად მიაჩნდა, ხოლო სხვისათვის კი დიდ სიამოვნებად:

— „აბა, ეტყოდა მამა, ერთი შენებურად შეუკურთხე შენ ბიძიას" — გათამამებული მამისაგან კოლა მართლაც შეუკურთხავდა, მერე ასე რიგად, რომ აქ არ ითქმის, ჩემო მკითხველო. ასტყდებოდა სიცილი, ქება პატარა კოლაში, კოცნა და ხვევნა კმაყოფილი და ბედნიერი დედისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ **აქვე, დედის კალთაში საუკუნოდ ხდება და ირყვნება შვილი*****)".

ასეთივე სასტიკი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოაქვს ილია ჭავჭავაძეს ყველა ამგვარად აღზრდილი შვილის შესახებ: „რომელიც შინავე, დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლსა მომავალ წარხდენისა და თავის უბედურებას". როგორ ზრდიდნენ და ასწავლიდნენ კოლას სასწავლებელში?

„კოლა შესრულდა **ცამეტის** წლისა, მაგრამ დედ-მამა მეტის-მეტი სიყვარულის გამო **არ იმეტებდნენ შვილსა**, რომ სასწავლებლად გაეგზავნათ; საწყალ, მარტივ გაუნათლებელ ქართველებს ამ გამოუმეტებლობაში ეგონათ მართალი სიყვარული...

უთითა ცუდი აღზრდის შედეგებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ ჯეროვნად ვერ ისარგებლა დიადი აზრების საუცხოვო დასურათებით „(ჟურნ. „განათლება", 1908 წ. № 1, გვ. 34).

*) ტ. III, გვ. 180.

**) იქვე, გვ. 182—183.

***) იქვე, გვ. 186.

ბოლოს, როცა კოლა გადადგა თოთხმეტის წლიდამ **მეხუთმეტეში,** მაშინ კი ძლივს-ძლივს გაბედეს მისი ქალაქში გაგზავნა*)".

ხუთმეტი წლის კოლა შეიყვანეს გიმნაზიის პირველ კლასში. მას გარს შემოერტყა უდისციპლინო, უზრდელი, ბოროტემბამდე ცელქი მოწაფეები. მათ ამშვენებდა — „ოსტატი ერთ კაი სქელ და პტყელ ჯოხით, როშელსაც სახაზეს ეძახდნენ სკოლაში... ოსტატის სახე იყო მრისხანე და ზედ ეწერა სურვილი ცემისა**)". პირველსავე დღეს კოლა მხეცი მასწავლებლის უდანაშაულო მსხვერპლი შეიქმნა; მას მოწაფეებმა დააბრალეს, რომ იგი სკოლაში ყვიროდა მასწავლებლის მოსვლამდე:

„მივარდა კოლას გახარებული ოსტატი, რო მიეცა შემთხვევა **ვისმეს ცემისა.**—გამოშალე ხელი,—დაუყვირა წარბებ-შეკრულმა ოსტატმა. კოლამ ხელი არ გაუშალა.—**შე ძაღლო,** არ გესმის, გამოშალე მეთქი,—შეჰყვირა უფრო **მრისხანეთ.** აინოო ცეკლით **კოლა, შაშინდა,** მაგრამ მაინც ხელი არ გაუშალა.—არ გამოშლი, **შენ, საძაგელო**—და გადასწვდა, რო გამოაშლევინოს ძალად ხელი.

მაშინ დაჯდომილმა კოლამ ჰკითხა ნახევარ-ტირილით, თითქმის:

— რა დავაშავე, რო ცემას მიპირობთ.

— შენ აქ ჰბედავ სიტყვა შემომიბრუნო. ჰა. შენ აქ შეიძელი კიდეც ოსტატსა ჰკითხო, რათა მცემო, ჰა.—და **გადააწნა ერთი ათიოდე სახაზე ბეჭებზედ საწყალ კოლას, რომელსაც დანაშაული არა ჰქონდა რა.** მერე **გამოათრია სკამიდან, თმებით წამოითრია და დაახალა ფიცრის იატაკზე მუხლებზედ.**—მე შენ გასწავლი, როგორ უნდა იქცეოდე, ჯერ პატარა ძაღლა... უთხრა **დორბლიანმა ოსტატმა** და ერთიც წაუთავა ლაწანი ყბაში. ამ შემთხვევამ და **ბევრმა კიდევ ამის მგზავსმა** შემთხვევებმა პირველად დაარწმუნეს კოლა, რო **ქვეყანაზედ სამართალი** აო არი. ბევრი ხანი გავიდა, რაც კოლა ღიმნაზიაში დადიოდა, და **აქაურმა სწავლამ, თუ ქცევამ, თუ ოსტატებმა, სრულად დააჯერეს ჭაბუკი გული კოლასი, რომ კაცი სხვა კაცის საუბედუროდ უნდა სცხოვრობდეს ***)".

კოლას ყველაფერს რუსულად ასწავლიდნენ იმ დროს, როცა მან რუსული ენა სრულებით არ იცოდა. ამიტომ მას სწავლა ეძნელებოდა, ხოლო „დიდი ჭკვიანი პედაგოგები კოლას უსწავლელობას უნიჭობასა და ზარმაცობას აწერდნენ და სცემდნენ, სცემდნენ საწყალსა ამის გამო. ის კი ვერ მოეფიქრათ, რომ რუსული არ ესმით ახალთ მოსწავლეთა****)". კოლას ხშირად უწოდებდა ოსტატი „დურალეის" და იგდებდა წიხლ-ქვეშ, ჰკრავდა პანღურს და კარში აგდებდა. ამავე ბედში იყო ბევრი სხვა მისი ამხანაგი. ყველა ისინი, დამფრთხალი და შეშინებული სკოლის ჟანდარმული რეჟიმისაგან, გაურბოდნენ სკოლას, იკრიბებოდნენ შეუმჩნეველ ადგილებზე, დადიოდნენ საბანაოდ და სალაზღანდაროდ. „კოლას ჯერ სრულიად სძაგდა ესე ყოველი, მერე ცოტ-ცოტად შეეჩვია და ბოლოს თითონაც დაემსგავსა იმას, რომლის ყოფაც უწინ დასანახავათაც ეძაგებოდა*****)".

ასეთი სასკოლო აღზრდის შედეგად ი. ჭავჭავაძე ასკვნის: „ეგრე იზრდებოდა კოლა ღიმნაზიაში... ეგრე წახდა საუკუნოდ ჩვენი კოლა,—ნიჭიერი, მახვილი, ცქვიტი და გონიერი ყმაწვილი*)“.

კოლას დაცემისა და წახდენის მიზეზად ილია სრულიად სამართლიანად სთვლის თავისი დროის საზოგადოებასა და აღზრდას. **„ვინ იცის, ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში**)“... ილია პირდაპირ აყენებს საკითხს: კოლას წახდენა—„თავის ბრალია თუ სხვისა?“, და კატეგორიულად უპასუხებს:—**„რასაკვირველია სხვისა.“** ეს სხვა, მისი აზრით, არის ოჯახი, სკოლა, საზოგადოება; მათ დაღუპეს კოლა და კიდეც ვნახეთ—როგორ. ილია ჭავჭავაძეს, კოლას საოჯახო და სასკოლო აღზრდის მიმოხილვიდან შემდეგი დასკვნა გამოყავს:

„ჯერ რა გამოიტანა თავის დედ-მამის სახლიდამ? ენატარტალობა, ენის გარყვნილობა, რომელსაც თვითვე დედ-მამა უქებდა, უდარდელობა ცხოვრებაში, ჰორიკანობა დედისა, ზარმაცობა მამისა, **რომელიც სულ ყმების** ოფლით **სცხოვრობდა**, ჩვეულება უფიქრელობისა, მკრე გაგზავნეს სკოლაში; რა გამოიტანა იქიდამ? აზრი, რომ სამართალი არ არის ქვეყანაში, ამაში დაემტკიცებოდა იგი ყოველ დღე, რომ კაცი თავის მოძმის სატანჯველად უნდა იყოს, როგორც მისი ოსტატები, რომ ძლიერი უნდა სრესდეს უძლურსა, როგორც ოსტატები, რომ, სადაც ძალა, იქაც კანონია, როგორც ოსტატობაში, რომ ენატანაობით და ცუდ კაცობით შეიძლება იპოვოს უფროსთა სიყვარული, როგორც ჯიდეც ოსტატებში და სხვანი და სხვანი, ყველას ვინ მოსთვლის, მაგრამ ყოველ ამ გვერდისა, რომ სწავლა—ტანჯვაა, როგორც თვითონ გამოსცადა, რომ შრომა უსარგებლოა, როგორც თვითონ დარწმუნდა, თითო-თითოც ეყოფა კაცს, რომ საუკუნოდ დაიღუპოს და ეს ყოველი ერთად რაღა იქნება***)“...

ასე ბრწყინვალედ ასაბუთებს ილია ჭავჭავაძე აღზრდის სოციალურ ბუნებას, მის დამოკიდებულებას ცვალებადი საზოგადოებრივი გარემოსა, ოჯახისა და სკოლისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში ოჯახის და სკოლის როლის ასეთი კლასიკური დახასიათება ჩვენ იშვიათად გვხვდება პედაგოგიკის ისტორიაში, ხოლო მხატვრულ ლიტერატურაში კი იგი ერთ უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს.

ძველი ფეოდალური აღზრდა-განათლებით და სოციალური მდგომარეობით შექმნილ ტიპთა გალერიიდან ილია ჭავჭავაძემ დაგვიხატა ავრეთვე ერთი უკვდავი, კლასიკური სახე, სახე ლუარსაბ თათქარიძისა.

ვინ არის, უკეთ, რა არის ლუარსაბ თათქარიძე?

„თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი—უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ—როგორც კარგი სასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბოწყინველებას: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძირვნიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსხლტილი ტრფალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებული, თითქო ყელში თოკი

*) ტ. III, გვ. 191.

**) იქვე, 186.

***) ტ. III, გვ. 194—195.

წაუჭირებიათო, გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღმერთი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები—ესე ყოველი ერთად და თვითეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულ სხვა ღირებული სამკაული“. („კაცია ადამიანი“).

როგორი იყო მისი აზრი სწავლა-განათლების შესახებ?

ჰკუიან და გონიერ ხალხად ის მხოლოდ ჭკვიანებს თვლიდა. თვითონ უწიგნო იყო, მაგრამ ეს მას სრულებით არ აწუხებდა ვინაიდან სწავლა—ჭირად მიაჩნდა.

— „დრო გამოიცვალა,—იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი—დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და... ჰამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან... წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა. ხორცი მე არ მაკლია და ფერი: წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა,—ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს. ყველაფერი მაშინ თავის დროზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ჭერქში იყო. ვენაცვალე... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი“.

და ასეთ მსჯელობაში „რუმბივით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა“.

თანამედროვე ადამიანის იდეალად ლუარსაბს, ამგვარად, მიაჩნდა „კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი“, მაგრამ თვითონ ამასაც მოკლებული იყო და თავის პირად იდეალად გაიხადა სიცოცხლე იმისათვის, რომ ეჭამა. „შენ ცხოვრობ რომ სვა და ჭამო, და არა იმისათვის სვამ და სჭამ, რომ იცხოვრო“—მიმართავს მას ილია ჭავჭავაძე. მართლაც მთელი მისი ცხოვრება ჭამაში და ძილში მიმდინარეობდა: „სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი“, ხოლო დილიდან კვლავ: ჩალაღაჯი, სუკი, ბოზჰაში, ზუთხი, თართი და ზურგიელი.

— დღეს რა ვჭამოთ—იტყოდნენ დილით, (ცოლ-ქმარი).

— ხვალ რა ვჭამოთ—იტყოდნენ საღამოს.

„ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა“.

ამიტომ იჩენდა ლუარსაბი საარაკო უდარდელობას სწავლა-განათლებაზე:

„მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიად მიდნება. ზედაც ემცნევა ჩემს სტომაქსა“.

ეს ის ხალხია, „რომელნიც **არც თავის სიცოცხლით უმატებენ რაჭეს ქვეყანას დი არც თავის სიკვდილით აკლებენ**“.

ასე, ილია ჭავჭავაძემ იშვიათი სიღრმით და დიდი ოსტატობით გვაჩვენა ფეოდალური აღზრდა-განათლებითა და გარემოებით შექმნილი კაცი, უკეთ, ადამიანური სახის მქონე ცხოველი. დაგვანახა ამ საზოგადოების ადამიანის ნამდვილი სახე და ამ ადამიანის განათლების ნამდვილი იდეალი.

ილია ხედავდა, რომ ასეთი,—სიცოცხლეშივე გახრწნილი გვამები, ბევრი იყო მისი დროის საქართველოში. ის ზიზღითა და მწუხარებით აღნიშნავდა 40—50-იანი წლების საქართველოს შესახებ, რომ „ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო“, რომ ეს თათქარიძეები საშინლად აწყლულებენ საქართველოს საღ სხეულს და თავის მოყვარე ქართველ ხალხს „პირში უძრახავს“, რომ ეს საძრახისი წყლული საჩქაროდ მოიშოროს*).

ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ საზოგადოება არ არის **ერთგვარი,** იცის რომ ის სხვადასხვა ფენებისაგან შედგება და რომ ამ ფენათა შორის არის ეკონომიური, უფლებრივი და კულტურული განსხვავება და ამ სხვაობაზე აღმოცენებული წინააღმდეგობა ყველაფრის მქონე თავად-აზნაურობასა (დიდკაცობასა) და არაფრის მქონე მშრომელ გლეხობას შორის. მაშასადამე, ასეთი საზოგადოება ყოველთვის ერთგვარ ზეგავლენას არ ახდენს ყველაზე. მისგან ყველა ერთნაირად არ იზრდება. ეს საზოგადოება იძლევა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ხასიათისა და ქცევის პირებს. უარყოფითი, ნეგატიური ხასიათისა და ქცევის პირებს ზრდის საზოგადოების გაბატონებული, მაგრამ ისტორიულად ხანდაზმული და გახრწნილი თავად-აზნაურული ფენა, ანუ „დიდკაცობა“:

„ის დიდკაცობა, რომელიც ილიას აზრით, როგორც სხვავან ისე ჩვენში, **სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინვებული, მაგრამ ახლა ის ბუზმენტები და ახალდა თავი, შიგ ძვლები და სულის და ხორცის გახრწნილების მეტ ვერას დაინახავთ**)“. ასეთია, ილია ჭავჭავაძის დროის საზოგადოების გაბატონებული ფენა და საკვირველი არ არის, რომ ეს ფენა გვაძლევს ლუარსაბ თათქარიძეებს, დათიკოს (კოლას), ბეჟანს („სარჩობელაზედ“) და სხვა, მათ მსგავს გადაგვარებულ პირებს.

საზოგადოების მეორე ფენა, ქონებასა და უფლებას მოკლებული მშრომელი გლეხობაა; ილიას თქმით ეს **გლეხობა არის „უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა**)“. ეს არის შემომქმედი ფენა, მომავლის რეალური პერსპექტივის მქონე, შრომისა და ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლი. ამ ფენის აღმზრდელობითი ზეგავლენა პროგრესული და რევოლუციურია. ამ ფენიდან გამოვიდნენ: **ლელთ ღუნია,** თერგკიდურელი მოხევე,—ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მოტრფიალე **გაბრო, ზაქრო და კაკო** ბღაჭიაშვილი ბატონყმობის წინააღმდეგ და პიროვნების განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები. ეს ხალხი აღზარდა მშრომელთა ფენამ და საკუთარმა ინიციატივამ

---

*) თავის მოთხრობას „კაცია-ადამიანი“, ილია ჭავჭავაძემ წარუძღვარა ჯონიერი ხალხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირში უკანაო“. ეჭვს გარეშეა, რომ მისთვის ეს მოყვარე არის ქართველი ხალხი და არა „სულით და ხორცით გახრწნილი“ თავად-აზნაურობა.

ტ. IV, გვ. 396.

VII, გვ. 14.

სწავლა-განათლებისათვის. გაბროს („გლახის ნაამბობი"), თავის ცხოვრების გარემოებამ შეაგნებინა სწავლა-განათლების აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა წერა-კითხვის სწავლისა, და შემდეგ საკუთარი გზით მიდის ამ მიზნის მიღწევისაკენ. მან ამის შედეგად შეიგნო, რომ „ბატონ-ყმას შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება", ისე როგორც ზაქრო („ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ") თავისი მდგომარეობით მიხვდა, რომ:

„ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი ყოველთვის, ძმაო, არის საფრთხეში, გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში".

როგორ იზრდებოდა გაბრო? სრულიად საწინააღმდეგო გზით, ვიდრე მისი ბატონი დათიკო (კოლა). გლეხკაცის შვილი გაბრო (ვარიანტ „კაკოში" კაკოდ წოდებული) ბატონის კარზე იზრდებოდა. კვების მიზნით ის „სამზარეულოში ღრღნიდა მზარეულისაგან მიგდებულ ძვალსა", მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ ღირსებასა და მოპყრობას, მაგრამ ამ პირობებშიც „საშინლად უნდოდა წიგნი ესწავლა". თავისი საკუთარი ინიციატივით მან კიდეც მიაღწია ამ მიზანს და წიგნის ერთგული მეგობარი გახდა. „ვეფხის-ტყაოსნის" კითხვაში გაზარდა კაკომ თავისი თავი... ბევრჯერ წაიკითხა კაკომ და ჰადაიკითხა ვეფხის-ტყაოსანი; თანდათან უფრო და უფრო ესმოდა რასაც კითხულობდა*)"... გაბრო (კაკო) ხედავდა თავისი კლასის უწყალო ექსპლოატაციას და მის ცნობიერებაში გარკვეულად იზრდებოდა შეურიგებელი პროტესტი ბატონ-ყმური საზოგადოების მიმართ.

დათიკოსა (კოლასა) და გაბროს (კაკოს) შუა „დიდი ზღვა იყო", ისინი წარმოადგენდნენ ორ საწინააღმდეგო პოლუსს და ყოველივე ეს საზოგადოებისა, აღზრდისა და სკოლის შედეგს წარმოადგენდა. **„სულ სხვადასხვანაირად იზრდებოდნენ ბატონი და ყმა"**, სწერს ილია ჭავჭავაძე და აქედან ნათელია, **რომ ისინი სულ სხვადასხვა ადამიანებად იქცნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ გარემოებაში და სხვადასხვანაირი აღზრდის პირობებში.**

გავიხსენოთ კ. **მარქსის** მესამე თეზისი ლ. ფოიერბარხის შესახებ, რომელშიც მარქსი აღნიშნავს: **მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიანო, ივიწყებს, რომ გარემოებას სწორეთ ადამიანები სცვლიან და რომ აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს**". ამ თეზისის თვალსაზრისით ცხადი ხდება, რომ ი. ჭავჭავაძის თეორია აღზრდის პროცესის სოციალური განპირობების შესახებ, წარმოადგენს მატერიალისტური მოძღვრების მომენტს იმ ნაკლით, რომელსაც კ. მარქსი ამ თეზისში მიაწერს საერთოდ მის პერიოდამდე არსებულ მატერიალიზმს, ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით.

---

*) ტ. III, გვ. 192.

აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის შესახებ, ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა მიმოხილვის დროს ბუნებრივად ისმის საკითხი—როგორი იყო ილიას დამოკიდებულება აღზრდის კლასობრივ თეორიასთან და სცნობდა თუ არა იგი აღზრდის კლასობრივ ხასიათს?

სანამ ამ საკითხს ვუპასუხებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ სცნობდა თუ არა ილია საზოგადოების კლასებად დაყოფას და კლასობრივ ბრძოლას. ეს საკითხი ჩვენი თემის კომპეტენციაში უშუალოდ არ შედის, მაგრამ მას ვეხებით იმდენად რამდენადაც მისი ცოდნა საჭიროა ზემოთ ხსენებული საკითხის გადაჭრისათვის.

საზოგადოებრივ ფორმათა განვითარებისა და სახელმწიფოებრივ წყობათა სისტემაზე ლაპარაკის დროს ილია ჭავჭავაძე შეგნებულად ეწინააღმდეგებოდა მათ ტრაფარეტულ და შაბლონურ გაგებას. ილია ყოველთვის ცდილობდა გამოენახა ის სპეციფიკა და თავისებურება, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციას ან სახელმწიფოს ახასიათებდა და მეორისაგან არჩევდა. მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სპეციფიკისა და თავისებურებათა კვლევის შედეგად ილია ისე შორს წავიდა, რომ მან საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის და ანტაგონიზმის მხრივ საქართველო გამოჰყო ევროპის სახელმწიფოთა ისტორიული განვითარების პროცესიდან. ის სისწორით აღიარებდა ევროპის სახელმწიფოების კლასობრივი დაყოფის ფაქტს და ამასთან კლასობრივ ბრძოლას არამც თუ სრულიად ნორმალურად სთვლიდა მათ პირობებს, არამედ მეცნიერულად ასაბუთებდა მის ისტორიულ აუცილებლობას, როგორც ფეოდალურ, ისე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საქართველოში კი, ილიას აზრით, საზოგადოების კლასებად დაყოფა და კლასობრივი ბრძოლა არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა ამისი გამომწვევი პირობები არც ეკონომიურ არც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოვუსმინოთ, როგორ ასაბუთებს ილია როგორც პირველ ისე მეორე მოსაზრებას*):

ევროპის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შესახებ ილია სწერს:

„შუა საუკუნოებში ერთი განსაკუთრებული ხელმოქმედება (**Промышленность, производство**) იყო ევროპაში. ის ხელთმოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილების საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა. ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველესი წოდება—თავად-აზნაურობა და სამღვდელოება—იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდოთ და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა. პირველი გამოისახა **ფეოდალობაში** და მეორე მასში, რომ მარტო მიწათმფლობელობა შეიქმნა წარმომადგენლად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში. მერე, როცა ეს წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გაბშირდა, **გაბშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთ-მოქმედება,** მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრე-

*) ილია ამ ტექსტში არ ხმარობს ტერმინს: „კლასი“, მის მაგიერ ხმარობს: წოდება, დასი, ბანაკი.

ბაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწის მფლობელთა, თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. **ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციით.** ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება **„ბურჟუაზია“**, რომელმაც მიწათ-მფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა.

ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და **ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი—შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშა-კაცია.** დღეს ეს მუშა-კაცი **იბრძვის** ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არ ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისთვის **ყოველგვარის წყობის ქვა-კუთხედათ სდებს შრომასა,** რომელიც **ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია,** რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ მუშაკთა, რომელიც სიმრავლით ყოველს წოდებაზედ უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედა-აზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა. ჩვენ ვს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ **ევროპაში მიზეზია და დიდი საბუთიანიც, – წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა*)“.**

ამგვარად, ევროპის საზოგადოების კლასობრივი დანაწილებისა და კლასობრივი ბრძოლის ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები ილიას არსებითად სწორად ესმის და სწორადაც აქვს გადმოცემული.

რა მოსაზრება მოჰყავს ილია ჭავჭავაძეს საქართველოში საზოგადოების კლასებად დაყოფისა და კლასობრივი ბრძოლის უარსაყოფად? ზემოთ მოყვანილი ტექსტის შემდეგ ილია აგრძელებს:

„ჩვენში რა არის აბა, მაგისი მსგავსი? **ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა**... ეკონომიური ძალა კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწის-მფლობელობიდან წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორიც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში.

რაკი ესენი იყო, **რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას,**—ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორეი, ერთი იმისთანას რას დაეხარჯებოდა მეორეს. **რომ ამით ერთი წყობა მეორეს გაჰზედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის გაუთვითეულების, განცალკევების, გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლაც ევროპის მწვავეს ტკივილს შეადგენს.** აქ, რასაკვირველია, ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ **წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება—რომელიც უალრესი მიზეზი იყო დაუძინებელს განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა.** ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერე-

*) ტ. VIII, გვ. 57—58 (ხაზი ყველგან ჩვენია გ. თ.)

სები არ შემოუნაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ჯრთს წყობად, ერთს დასად... ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ **ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი ყველგან ეგრე ძმურად სცხოვრობდნენ, არა,—ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება,** ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამის მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგან არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამის **მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ჭუდის ახდა***)".

ასეთია ილიას არგუმენტაცია.

მკითხველი ნათლად ხედავს, რომ თუ ევროპის საზოგადოებაში კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხი ილია ჭავჭავაძეს სწორედ ესმის და სწორედ სწყვეტს, სამაგიეროდ ის არ არის მართალი ქართველი საზოგადოების კლასებად დაყოფისა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფის ცდაში.

ეს არის ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიური აზროვნების ძირითადი ნაკლი. რამ გამოიწვია ეს ნაკლი?

თავისი პერიოდისათვის ილია ჭავჭავაძეს უმთავრეს, საზოგადოებრივ ამოცანად მიაჩნდა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება. ამას სთვლიდა იგი მომენტის აქტუალურ და გადაუდებელ საკითხად. განა ილია არა სწერდა: **„აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, გაყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას**)"...** და მართლაც დრო და ჟამი აყენებდა გადაუდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანად სწორედ ნაციონალურ-რევოლუციონური ბრძოლის გაჩაღებას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დაუოუკიდებლობის მოპოვებისათვის. საქართველოს განთავისუფლება მეფის რუსეთის სოციალ-ეკონომიური და სულიერი მონობისაგან ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა ყველა ქართველის **საერთო ეროვნულ საქმედ** მიუხედავად მისი წოდებრივი, ქონებრივი და თანამდებობრივი წდგომარეობისა. ამ მონობას ის სთვლიდა ქართველი ხალხის საერთო მტრად და მის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები, ილიას აზრით ყველას აერთიანებდა საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის ანალოგიურად:

„... ჩვენს ძველ ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა"—სწერს ილია და მიზეზად ასახელებს იმას, რომ „ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა***)".

მაგრამ, საბუნებაროდ, ამ საერთო და გამაერთიანებელი მიზნის იქით, ილია ჭავჭავაძე **ვერ ამჩნევდა ქართველი ერის შიგნით არსებულ სოციალურ-კლასობრივ დიფერენციაციას, კლასობრივ ბრძოლას, ანტაგო-**

*) ტ. VIII, გვ. 58–61 (ხაზი ყველგან ჩვენია გ. თ.)

**) ტ. VII, გვ. 82.

***) ტ. VIII, გვ. 56.

ნიზმს; ვერ ამჩნევდა იმას, რომ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საჭირო იყო მუშათა და გლეხთა კლასობრივი ბრძოლის დაკავშირება, მათი ერთმანეთზე გადაჯაჭვა.

და სწორედ, **საქართველოს საერთო ჩამორჩენილობისა და ქართული საზოგადოებრივი განვითარების პირობებში კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფის გამო, დიდი პროგრესული მოაზრე და რევოლუციონერი ილია ჭავჭავაძე ვერ ამაღლდა მარქსიზმის სიმაღლემდე, ისტორიული პროცესის მატერიალისტურ გაგებამდე.**

ზემოთ აღნიშნულიდან, ჩვენ ვფიქრობთ, არავინ გამოიტანს ისეთ აზრს, რომ ილია ჭავჭავაძე სრულებით ვერ ამჩნევდა საქართველოს სოფლისა და ქალაქის სოციალური განფენების ფაქტს; მას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზის დიდი უნარის მქონე პიროვნებას, არ შეიძლებოდა არ დაენახა სინამდვილეში არსებული კლასობრივი ანტაგონიზმის ფაქტები და ფორმები, მაგრამ ეს მას არ მიაჩნდა კლასობრივი ბრძოლის ფაქტებად და ფორმებად; ხოლო როცა საზოგადოებრივი მოძრაობისა და განვითარების ცალკეულ უბნებზე ეს კლასობრივი ბრძოლა ისეთი სიცხადით იჩენდა ხოლმე თავს, რომ ილიას დაკვირვებულ თვალს არ შეეძლო არ შეემჩნია,—მაშინ ილია სცდილობდა მის, რაც შეიძლება, რბილ ფორმებში წარმოდგენას. უარყოფს რა ქართველი „ერის წყობ-წყობად დაყოფის“ ფაქტს, ილია იქვე გრძნობს ამ მცდარი დებულებით გამოწვეულ უხერხულობას და შემდეგნაირად არბილებს მას:

„ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა **ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა“.***) ასეთ ელემენტებად მას მიაჩნია, ზემოთ, მის ციტატაში აღნიშნული გარემოება, რომ გლეხი, აზნაური, თავადი და მღვდელი ყველგან **არ სცხოვრობენ ძმურად** და **„ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება.“** მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს სოციალური განხეთქილება, ილიას მიხედვით, სუფევს“ ძალიან ბევრგან“ და, მაშასადამე, **არა ყველგან** და ამავე დროს ამ განხეთქილებისა და „ძმური ცხოვრების“ დარღვევის მიზეზად, როგორც ვნახეთ, მას მიაჩნია არა სოციალური წყობა, არამედ—„ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი, ნამუსის ქუდის ახდა“. ამით ილია ჭავჭავაძე სოციალური **ანტაგონიზმის** ფაქტებს ხსნის არა მათი კანონზომიერი განზოგადოების მეთოდით, არამედ დაჰყავს ისინი „თვითეულ კაცთა შორის“ შესაძლო უთანხმოების კერძო მომენტამდე და ამით აცლის მათ ახსნას საზოგადოებრივ-ისტორიულ საფუძველს.

კლასობრივი ბრძოლის ფაქტები საქართველოს ფეოდალურ (მემამულე) კლასსა და გლეხურ კლასს შორის ილიას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც

*) ტ. VIII, გვ. 56.

მხოლოდ ბატონ-ყმური ურთიერთობის ფაქტები. მართალია, ბატონ-ყმობას ის სთვლიდა დიდი ღსაჱართლობისა და ბოროტების ინსტიტუტად და მთელი თავისი შეგნებით და ენერგიით იბრძოდა მის წინააღმდეგ,— მაგრამ იგი მას კლასობრივი ბრძოლის ფორმად მაინც არ მიიჩნდა. ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე მეცნიერულ ნაშრომებში, დაუღალავად აშიშვლებდა და ამათრახებდა ბატონ-ყმობას. სთვლიდა მას ჰუმანიური კაცობრიობისათვის შეუფერებელ მოვლენად და ისტორიის სამარცხვინო პერიოდად. ის მშვენივრად ხედავდა ბატონსა და ყმას შუა არსებულ ანტაგონიზმს და ამავე დროს შეუძლებლად მიაჩნდა მათი შერიგება; განა ილია არ ლაპარაკობს, რომ **„ბატონ-ყმას შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“** („გლახის ნაამბობი“), რომ **„გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“** („ეპიზ. ყაჩაღის ცხოვრ-დან“), რომ **ბატონსა და ყმას შუა „ხიდია ჩატეხილი“** და ისინი **„ორი სხვადასხვა ქვეყანაა“**, („ოთარაანთ ქვრივი“); არსებითად ჩვენ აქ ყველგან ორ მოპირდაპირე და შეურიგებელ სოციალურ კლასთან და კლასობრივ ბრძოლასთან გვაქვს საქმე; თუმცა ილია მათ კლასებად არ აღიარებს, მათ შეურიგებელ ბრძოლას კლასობრივ ბრძოლად არა სთვლის.

საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით—ილიას აზრით მხოლოდ გლეხობაა ნათელი პერსპექტივის მქონე ძალა, „სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“; გლეხები კვლავ დაიბრუნებენ **„ძალით წართმეულ ზეცას“**, ვინაიდან მომავალი ცხოვრებისათვის მხოლოდ „ისინი არიან ჩაკირულნი“, თავად-აზნაურობა კი—„დონდლონი, დუნენი“, რომელმაც „როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა დიდი ხანია უკვე თავის დრო მოჭამა*)“. 1864 წელს, ყმების განთავისუფლებას ილია ჭავჭავაძე. რასაკვირველია, აღტაცებით შეხვდა. ის სწერდა, რომ ამით:

„მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს... ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეული ქონდა**)“. ილია იბრძოდა „განთავისუფლებული გლეხის დაბინავებისათვის“—მიწით, წყლით, ცხოვრების უზრუნველყოფით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისივე თქმით: **„გლეხის განთავისუფლება იმას ემგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო**)“.**

რამდენადაც ილია ჭავჭავაძე ხედავდა, რომ მის დროს ხალხის სოციალურ ფენათა შორის არსებობდა ეკონომიური და უფლებრივი განსხვავება, რომ იყო ისეთი სოციალური კატეგორიის ხალხი, რომელიც უფრო მეტ ქონებას ფლობდა, მეტი იურიდიული უფლებით სარგებლობდა,—იმდენად მისთვის გარკვეული იყო, რომ ამ კატეგორიის ხალხს, ერის უმცირესობას, დაპყრობილი ჰქონდა აგრეთვე განსაკუთრებული უფლება და უპი-

---

*) ტ. IX, გვ. 182.

**) ტ. VIII, გვ. 5—6.

რატესობა კულტურასა და სწავლა-განათლებაზე, ხოლო ერის უმრავლესობა, მისი მშრომელი ნაწილი მოკლებული ეკონომიურ და იურდიულ უფლებებს, მოკლებული იყო აგრეთვე ფაქტიურ უფლებას სწავლა-განათლებაზე, სკოლაზე. ჯერ კიდევ 1863 წელს ამის შესახებ ილია სწერდა: „ყველამ კარგად იცის, **რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესი სალარონი,** სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა—**არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი***)“ ამ გონებრივი სალაროთი, ილიას თქმით, სარგებლობენ:

„მხოლოდ ამორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან,... მხოლოდ იგინი სარგებლობენ და **ისაკუთრებენ იმათ საუნჯესა, მაშინ როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან როგორც არსებითი პური***)“.

ასევე სკოლებიც, რომლებიც სასარგებლო ცოდნას ავრცელებენ ხალხში. „მაგრამ, — სწერს ილია, — იმათამდინ იმდენად ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენი ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა—წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლის გარეთ...“*).

რატომ? ამ კითხვაზე ილია უპასუხებს პოლიტიკური გამჭრიახობით, მაგრამ სიფრთხილით:

„განა იმის გამო, რომ უღირსნი და უღონონი არიან, არამედ **ათასი სხვადასხვანაირ მიზეზებისა გამო, რომელთაც ჩვენ აქ არ მოვიხსენიებთ***)“.

არც შეეძლო პირდაპირ მოეხსენებია ილიას ამის ნამდვილი მიზეზები ძველი ჟანდარმულ-პოლიციური რეჟიმის დროს, ვინაიდან იმის აღნიშვნა, რომ ეს მიზეზები რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ პატარა ერების, კერძოდ საქართველოს, ეროვნულ-პოლიტიკური და კულტურული დამონებაა — არ გამოეპარებოდა მეფის ცენზურას და ილიამაც ეს სიფრთხილე არჩია, ვინაიდან იცოდა, რომ გამგები მკითხველი ამ ფრაზის პოლიტიკურ-რევოლუციურ შინაარსს უეჭველად ჩასწვდებოდა და თან ლეგალურ მდგომარეობასაც შეინარჩუნებდა.

ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა წოდებრივი და ქონებრივი პრივილეგიების მოსპობას მეცნიერებასა და ხელოვნებაზე და ყველასათვის თანაბარ და საყოველთაო სწავლა-განათლებას აღიარებდა. 1893 წელს ილია გამოვიდა განათლების სამინისტროს მეორე პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ქალთა გიმნაზიებში მხოლოდ უმაღლესი წოდების ქალთა მიღებას ითვალისწინებდა. დაბალი წოდების ქალებისათვის გიმნაზიებში სწავლის უფლების მოკლება მას საზოგადოებრივ უსამართლობად და მავნე მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით ცოდნა „ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს“, და ადამიანი ფასდება არა წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობით, არამედ ცოდნა-განკითარებით.

---

*) ტ. IV, გვ. 74.

ამასთან ილია დარწმუნებული იყო, რომ განათლების გავრცელებას ღარიბი და მშრომელი ხალხი უფრო მისდევს, ვიდრე შეძლებული თავადაზნაურობა. აღნიშნავს რა, რომ „სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის“, დაასკვნის:

„არც ერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს როგორც თავად-აზნაურობა*)“.

დასასრულ, ჩვენ რომ შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას: სცნობდა თუ არა ილია აღზრდის კლასობრივ ხასიათს და ღებულობდა თუ არა იგი მის კლასობრივ თეორიას—საჭირო იქნება აღვნიშნოთ, რომ **ილია ჭავჭავაძე ობიექტურად სავსებით სწორად არკვევდა აღზრდა-განათლების კლასობრივ-წოდებრივ ფუნქციას, მის მრნოპოლიას გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის** (ე. ი. კლასის) **მიერ, მის რევოლუციურ როლს მშრომელი ხალხისათვის,** მაგრამ ოფიციალურად, **ისე როგორც ერიდებოდა და არ ღებულობდა ჭართულ საზოგადოებრივ განვითარებაში კლასობრივი ბრძოლის თეორიას, ისევე ერიდებოდა ეცნო აღზრდის კლასობრივი ბუნება და შეელო მისი კლასობრივი თეორია.**

ამგვარად, სავსებით ნათელი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძეს ბავშვი ესმის როგორც ადამიანი და სოციალური არსი. ხოლო ბავშვის აღზრდა კი—როგორც სოციალური პროცესი,—განპირობებული ანტაგონისტური სოციალური ფენების საზოგადოებრივ-ეკონომიური და იდეოლოგიური ინტერესით.

ვინც იცის პედაგოგიკის ისტორია, მისთვის ადვილად წარმოსადგენია, რაოდენ რევოლუციური და განუზომელი მნიშვნელობისაა ეს აზრი პედაგოგიურ მეცნიერებათათვის და რა სიმაღლეზე აყენებს იგი მის ბრძენ ავტორს—ილია ჭავჭავაძეს.

ბავშვისა და მისი აღზრდის ბუნების გარკვევა არის პირველი აუცილებელი პირობა ნამდვილი მეცნიერულ-პედაგოგიური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარეშე არ შეიძლება შემუშავება არც სწორი პედაგოგიური თეორიისა, არც დიდაქტიკისა და სწავლების მეთოდებისა და არც საერთოდ, ბავშვის განვითარებაზე სწორი ზემოქმედების სისტემისა. ახალი დროის ბურჟუაზიულ პედაგოგიკაში ბავშვისა და აღზრდის ბუნების ახსნას სოციალური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტად სცდილობდა ე. წ. სოციოლოგიური სკოლა: **ჰერბარტ სპენსერი** (1820—1903), **ფრიდრიხ პაულსენი** (1746—1908), **პაულ ნატორპი** (1854—1924), **პაულ ბარტი** (1858—1922), **ჯონ დიუი** (1859—) და სხვ. მაგრამ აღნიშნული პედაგოგები მხოლოდ ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და იდეალისტურ-ეკლექტიკური ფილოსოფიის თვალსაზრისით უდგებოდნენ ბავშვის არსისა და მისი აღზრდის პროცესის შესწავლას და ამიტომ, ცხადია, მათ ვერ შესძლეს ვერც ბავშვის ბუნების და ვერც მისი აღზრდის პროცესის ობიექტურ-მეცნიერული ახსნა.

---

*) „ივერია“, 1887 წ. № 275, დეკემბრის 31.

ილია ჭავჭავაძემ კი, წარსული საუკუნის 80—90 წლებში, როკორც აღვნიშნეთ, სავსებით ნათლად და მეცნიერულად გაარკვია აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათი და აღზრდის მთავარი ობიექტის ანუ ბავშვის სოციალური ბუნება. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ის უდაო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს სააპაყო მწერალი და მეცნიერი თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე პედაგოგიურ იდეათა სიმაღლეზე იდგა.

III. აღზრდის მიზნები და ამოცანები

ბავშვისა და მისი აღზრდის ბუნების გარკვევის შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ რა მიზნებს უსახავს და როგორ როლს აკუთვნებს აღზრდას ილია ჭავჭავაძე.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ილია ეხება და არკვევს ახალთაობის აღზრდის მიზნებსა და ამოცანებს ისტორიული თვალსაზრისით, მისთვის არ აუსებობს აღზრდის მუდმივი და უცვლელი შინაარსი ან მიზანი. ის, როგორც განვითარების თეორიის მოწინავე წარმომადგენელი, აღზრდის მიზანს არკვევს ისტორიზმის პრინციპიდან გამომდინარე და სათანადო ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით. მისი დროის მთავარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობდა რუსეთის ცარიზმთან ბრძოლით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეპყრა. ამ ამოცანის გადაჭრისაკენ მოუწოდებს ილია ყველა მოწინავე და პროგრესულად მოაზრე ქართველს, ამ ამოცანით საზღვრავს იგი სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების „შვილთა“ ბრძოლას „მამების“ წინააღმდეგ და ამავე ამოცანას უსახავს იგი ამავე პერიოდის ქართველი ახალთაობის აღზრდა-განათლებას. „ჩვენი დაცემული **ვინაობის** აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან*)“, მიაჩნდა მას ახალგაზრდობის „მომზადების საგნად“ იმ დრომდე, სანამ, მისივე თქმით, „ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა“. ილია ჭავჭავაძე ამასთანავე დასძენს, რომ „სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს **ეხლანდელს** საქართველოს შვილს“. ეს მიაჩნია მას ჩვენი ყმაწვილ-კაცობის მომზადების საგნად, ე. ი. მიზნად.

რა გზით შეიძლება ამ საგნის (მიზნის) მიღწევა? უმთავრესი გზა, ილიას აზრით, მეცნიერული განათლებით შეიარაღებაში მდგომარეობს. ილია უსაყვედურებს თავისი დროის „ახალ გუნდს“, რომ „ჩვენის ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგად ქვეითობდნენ“.**) აქედან

*) ტ. VI, გვ. 127; ხაზი ილიასია.

**) იქვე, 127—128.

ცხადია, ილია ჭავჭავაძე ზემოთ აღნიშნული მიზნის (საგნის) მიღწევისათვის მოითხოვს ფართო გონებრივ-მეცნიერულ განათლებას.

„ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რაც შეიძლება, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ ვა-მძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფიარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს*)“.

ამით ილიამ მოხაზა საგანი (მიზანი) და გზა (საშუალება) ახალთაობის მომზადებისა: „აი საგანი, აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა მთელს ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი... **ამაზე უკეთესს საგანს, ამაზე უკეთეს გზას უკვე სხვაგან გამოცდილსა და ვამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას.** ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ-მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ“ *), ილია ჭავჭავაძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო მიაღწევს თავის ნაციონალურ განთავისუფლებას და რევოლუციურ-დემოკრატიული მართვა-გამგეობის დამყარებას. ის ამ პერიოდისათვის, უეჭველია, ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების სრულიად ახალ მიზნებს წამოაყენებდა, ხოლო თავისი დროისათვის მის მიერ ზემოხსენებული აღზრდის მიზნები და საშუალებანი უსათუოდ რევოლუციურ ხასიათს ატარებდნენ და ამასთან ისტორიულ მომენტს ზუსტად უპასუხებდნენ.

ახალი თაობის აღზრდისა და მომზადების აღნიშნული მიზანი და საშუალება მას, როგორც ვნახეთ, მიაჩნდა აუცილებლად „ეხლანდელი (ილიას დროინდელი გ. თ.) საქართველოს შვილისათვის“, „ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ“ და „სანამ ჩვენი ვინაობა შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში“. ამით მას უნდოდა ხაზი გაესვა აღზრდის ისტორიული და ცვალებადი ხასიათისათვის საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურულ განვითარებასა და ცვალებადობასთან დაკავშირებით.

აღზრდა განათლების პროცესი მას ერთიან პროცესად მიაჩნია; აღზრდაში იგი განათლებასაც გულისხმობს, ისე როგორც განათლებაში ადამიანის ინტელექტუალური აღზრდაც იგულისხმება. ამიტომ გონებრივი აღზრდის მიზნები ილიას პედაგოგიურ შეხედულებათა სისტემაში არ განსხვავდება განათლების მიზნებიდან, მაგრამ რამდენადაც **აღზრდა საერთოდ** უფრო ფართე მცნებაა ვიდრე განათლება ან, კერძოდ, ინტელექტუალური აღზრდა,—იგი საერთოდ აღზრდის უშუალო მიზნად სახავს არა მარტო გონებრივ განათლებას, არამედ გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ და ტექნიკურ განათლებას. ადამიანის ასეთ მრავალმხრივ განვითარებას ილია ხშირად გამოსთქვამს პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილი და მის დროსაც ხმარებული ტერმინით: **ჰარმონიული განათლება.**

---

*) ტ. VI, გვ. 130.

1. აღზრდა-განათლებამ, ილიას მიხედვით, ჰარმონიულად უნდა განავითაროს ადამიანში ყოველი მისი ნიჭი და უნარი. მას დაუშვებლად მიაჩნია რომელიმე ერთი მათგანის განსაკუთრებული განვითარებით მეორეს დაქვეითება.

აღზრდა-განათლების პირველ უშუალო მიზნად ილია აღიარებს გონებრივ განათლებას; გონების თავისუფლება და თვითმოქმედება, მისი აზრით, „ერთად ერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა*)“, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მას უნდა შეეწიროს ადამიანის აღზრდა-განათლების სხვა მხარეები. ილია მკვეთრად ილაშქრებს ცალმხრივი განათლების წინააღმდეგ და თავისი დროის **პედაგოგიკის მიზნად ადამიანის ყოველმხრივ განათლებას აღიარებს**. ამის შესახებ ის სწერს: „დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს**)“. მართალია, ასეთი ჰარმონიული აღზრდა-განათლების პრინციპი ილიასათვის, როგორც თვითონ აღნიშნავს „ახალი ამბავი არ არის“ და თვითონვე სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს, რომ ამ იდეით გამოვიდნენ პედაგოგიკის ისტორიაში „განახლების ეპოქის“ იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგები **ვიტორინო და—ფელტრე** (1378-1446), **პ. ვერჟერიო** (1350—1444) და **მ. ვეჯიო** (1406—1458), მაგრამ ეს პრინციპი XIX საუკუნის დასასრულსაც კი არ იყო განხორციელებული და ილიას იგი მაინც ახალ პრინციპად მიაჩნდა თავისი დროის 80—90 წლებისათვის.

ჩვენთვის ნათელია, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული, განათლების უზრუნველყოფა. ყოველმხრივ განათლებული ადამიანი მისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს და ენერგიულად ცდილობს დაახშოს მისი ფართო განვითარების რეალური საშუალებანი. კაპიტალისტური საზოგადოება ქმნის **„ნაწილობრივ ინდივიდუმს, მარტოოდენ ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელს“** (მარქსი), რომელიც „ემორჩილება წარმოების ერთ რომელიმე დარგს, მიჯაჭულია მასზე, ექსპლოატირდება მისგან,... **ანვითარებს თავისი ნიჭის მხოლოდ ერთ მხარეს ყველა სხვა მხარის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების ერთი დარგი ან რომელიმე დარგის ერთი ნაწილი**“ (ენგელსი). ეს ცალმხრივი განვითარება სპობს ადამიანის სრულყოფილი და მეცნიერული აღზრდის საფუძვლებს, სპობს პიროვნების მიერ ისტორიულად გამომუშავებული კოდნის სისტემის დაუფლების შესაძლებლობას. ილია ჯავშავაძემ ეს ტენდენცია ნათლად შენიშნა XIX ს. უკანასკნელი მეოთხედის საქართველოს სინამდვილეში და აქტიურად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ამ ტენდენციას მან დაუპირდაპირა ადამიანის ყოველმხრივი და თავისუფალი

*) ტ. VIII, გვ. 286.
**) ტ. VIII, გვ. 334.

განვითარების პრინციპი, ხოლო პიროვნების ყოველმხრივ-ჰარმონიული განვითარების დარგში ილიასათვის, როგორც ვნახეთ, მთავარი იყო გონებრივი განათლება.

2. მეორე მხარე ადამიანის აღზრდა-განვითარებისა, ილიას აზრით, არის **ზნეობრივი განათლება.** მტკიცე ზნეობრივი ნორმების გამომუშავება და ცოდნა მას მიაჩნდა ყოველი პიროვნების საზოგადოებრივი ყოფა-ქცევის რეგულატორად. ადამიანმა უნდა იცოდეს წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ესმოდეს თავისი პირადი მოვალეობა ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. ილია გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ პიროვნებამ უნდა შეუფარდოს თავისი ინტერესი საერთო ინტერესებს ისე, რომ არც თავის საკუთარ ინტერესებს ევნოს და არც სხვისას. მართალია ადამიანის მორალისა და მორალური განვითარების მიზნის გარკვევის დროს ილია ჭავჭავაძე **არა დგას ამ მორალის და მისი მიზნის კლასობრივი განპირობების ნიადაგზე,** მაგრამ საერთოდ ადამიანის მორალის საზოგადოებრივი ხასიათი მას კარგად ესმის. მან მრავალ მეცნიერულ-პუბლიცისტურ წერილსა და მხატვრულ ნაწარმოებში გვაჩვენა, რომ ადამიანის ზნეობის გამომუშავება საზოგადოებრივი ზეგავლენის ქვეშ ხდება: კარგი ზნე-ხასიათის ანუ კარგად აღზრდილი პიროვნება დადებითი საზოგადოებრივი წრის გავლენის შედეგია, ხოლო ცუდი ზნე-ხასიათის ან უზნეო პიროვნება უარყოფით საზოგადოებრივ გავლენას მიეწერება.

ზნეობრივი აღზრდა ადამიანის **სისრულის** აუცილებელი მომენტია. გონებრივი განათლება, თუმცა მთავარია ადამიანისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი მისი სრულყოფისათვის. **„ხავსება ერთობ ადამიანისა,** სწერს ილია, **იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაც“***). ამ სავსებით სწორ დებულებას ილია ჭავჭავაძე იმით ასაბუთებს, რომ ადამიანის მოღვაწეობასა და აზროვნებაში ხშირად აქვს ადგილი გარკვეულ წინააღმდეგობას მის გონებრივსა და ზნეობრივ მდგომარეობას შორის: ხშირია შემთხვევა კაცი იყოს დიდად სწავლული მაგრამ ამავე დროს მეტად ზნედაცემული და საზოგადოებისათვის მავნე პიროვნება. ასეთი ადამიანი, რასაკვირველია, არ არის დადებითი და სრული პიროვნება. მისი სრული და ჭეშმარიტი ადამიანობისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ „სწავლულობა და განათლებულობა“, თუნდაც რომ ეს სწავლა-განათლება მაღალი ხარისხისაც იყოს. „საკმაო არ არის, სწერს ილია, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. **ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს“** *). ამ ციტატის უკანასკნელ წინადადებაში ძალიან კატეგორიულად არის ნათქვამი, რომ კაი-კაცობა მხოლოდ ზნე-ხასიათით ეძლევა ადამიანს. ამით ავტორს სურს

---

*) ტ. VIII, გვ. 318.

მხოლოდ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზნეობრივი აღზრდის საკითხს, თორემ ჭავჭავაძის ყოველ მკითხველს მოეხსენება და ჩვენც საკმაოდ ვილაპარაკეთ, რომ ილია ადამიანის კაი-კაცობას და ნამდვილ ადამიანურ ღირსებას მისი სწავლა-განათლების შედეგად აღიარებს. აქედან აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე ადამიანის სწავლა-განათლებაში ზნეობრივ აღზრდასაც გულისხმობს. ამასავე ამტკიცებს მისი შემდეგი დებულება: **„ჰეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად.** თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის“*); ამასთან ილია დასძენს, რომ **“ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა“.** გონებრივი განათლებისა და ზნეობრივი განვითარების ერთიანობა და განუყრელობა აქ მოცემულია, როგორც ჰეშმარიტი განათლების საფუძველი და მისი მთლიანობის პრინციპი, ხოლო მეორეს მხრივ მართებულადაა ხაზგასმული სწავლა-ცოდნის წამყვანი როლი ადამიანის განვითარების საქმეში და ზნეობრივი განათლების დამოკიდებულება ცოდნის ანუ გონებრივი განათლების მდგომარეობაზე.

ზნეობრივი და გონებრივი განათლება, მართალია, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, პარალელურად ვითარდებიან, მაგრამ ეს ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, ილიას აზრით, ერთი და იგივე ზეგავლენის მეთოდით მოუხერხებელია. ის ფიქრობს, რომ **ზნეობრივი განათლება შეიძლება მივიღოთ აღმზრდელობითი მუშაობით ბავშვთა შორის,** ხოლო **გონებრივი განათლება-კი—სწავლის გზით.** აღმზრდელობითი მუშაობა მას ხშირად ესმის როგორც „წურთვნა“ და ასხვავებს მას სწავლისაგან. **„წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს, მეორეს სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე** და **სწავლა-კი—გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“.** **). ასე ასაბუთებს ილია მათ განსხვავებას. (მართალია ტერმინი „წურთვნა“) მექანისტურ მომენტს გვაგონებს და იგი ადამიანის ფიზიკურ განვითარებას უფრო შეეფერებაა ვიდრე გონებრივს, მაგრამ ილია მასში აღმზრდელობით, მაშასადამე, ორგანულ, შინაარსს სდებს და ადამიანის აღზრდა-განათლების მხოლოდ დასაწყისს საფეხურს გულისხმობს). განსაკუთრებული მტკიცება არაა საჭირო, რომ წვრთნა-ვარჯიშის მოწყვეტა სწავლებისა და სწავლის პროცესისაგან არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება მათი გაიგივება, ხოლო მათი კავშირი რომ აუცილებლად აქვს ნაგულისხმევი ილიას, იმით მტკიცდება, რომ მათი საშუალებით გამოწვეული შედეგები: ზნეობრივი განვითარება და გონებრივი განათლება, როგორც ვნახეთ, მჭიდრო კავშირსა და ერთიანობაში აქვს მოცემული, და თუ შედეგთა კავშირი ფაქტია, მათი გამომწვევ მიზეზ-საშუალებათა კავშირიც ნათლად დასტურდება.

---

*) ტ. VIII, გვ. 318

**) იქვე

ზნე-ხასიათი ილია ჭავჭავაძეს ესმის როგორც მეტად კონკრეტული და რეალური შინაარსის ფსიქიური მოვლენა. გამომუშავება „ქვეყნის სასარგებლო“ ღონე-ხერხისა, შრომის სურვილისა, შეუდრეკლობისა ყოველივე სიძნელეთა წინაშე, უშიშრობისა, მტკიცე ნებისყოფისა, ჰუმანური კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის გრძნობისა-აი რა არის, მისი აზრით, ზნე-ხასიათი. *) „ადამიანის **ღირსება, პატიოსნება, სინდისი**, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითეულ ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი“... მაგრამ ამ პირად ზნეობრივ საკუთრებას და მისდამი საყოველთაო პატივისცემას ილია არ აღიარებს გარდაუვალ ფეტიშად და ყოველ პირობებსა და ურთერთობაში ხელშეუხებელ და საყვანებელ კერპად, როგორც ეს ბურჟუაზიული ეთიკის წარმომადგენლებს სჩვევიათ. არა, ილია ჭავჭავაძე მხოლოდ „ქვეყნის სასარგებლო“ ზნეობრივ თვისებათა შენახვასა და პატივისცემას მოითხოვს, ხოლო როცა „ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი“ გვექნება ხელში, რომ ადამიანი „მაგ. კუთვნილებას სხვის სავნებლად ხმარობს“—მაშინ საზოგადოებას შეუძლია მისი დარღვევა და ამაში არაფერი ანტიმორალური არ იქნება**). ამით ილია ჭავჭავაძე მორალის გაგებისა და დანიშნულების საკითხშიც საზოგადოებრივი ინტერესიდან გამოდის და ცალკე ინდივიდის პირადულ ეთიკას საზოგადოებრივი ეთიკის თვალსაზრისით ხსნის და სოციალური კანონზომიერების სფეროში ათავსებს.

ბავშვთა და მოზარდთა ზნეობრივი განვითარების მიზნით წარმოებულ აღმზრდელობით მუშაობის გაშლას ილია ჭავჭავაძე მოითხოვს როგორც სკოლაში, მასწავლებელთა მიერ, ისე ოჯახში, მშობელთა მიერ, და აგრეთვე იმ საზოგადოებრივ წრეებში, სადაც ბავშვსა და მოწაფეს უხდება ყოფნა. ეს აღმზრდელობითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს აღნიშნული ზნე-ხასიათის თვისებათა გამომუშავების გზით. ამისათვის ილიას სხვა პირად ღირსებათა შორის აუცილებლად მიაჩნია **ზრდილობა**, როგორც ადამიანის ყოფა-ქცევის მომწესრიგებელი თვისება; **პატივისცემის გრძნობა**—უფროსების, მასწავლებელთა, მშობლების და ამხანაგების მიმართ; **სხვისი დაფასების** საჭიროების შეგნება; **თავმდაბლობა და ზომიერება** მორიდების გრძნობასთან ერთად, **რჩევა-დარიგების** მიღება უფროსებისაგან და კარგი ამხანაგებისაგან, **პასუხისმგებლობის** გრძნობა დანაკისრი მოვალეობის შესრულების მიმართ, **წესრიგის და დისციპლინის დაცვა**, სკოლასა და სხვა აღმზრდელობით დაწესებულებაში, საზოგადოების წრეში და ოჯახში.

განსაკუთრებულ აღმზრდელობით მნიშვნელობას ახალგაზრდობისათვის ილია აკუთვნებს **მასწავლებელთა მიმბაძველობასა და მაგალითს**. კარგი ქცევისადმი მიბაძვა და კარგი მაგალითის განმეორება ზნეობრივი განვითარების დიდ ფაქტორებად მიაჩნია მას და ამისათვის მოითხოვს სასკოლო

*) ტ. VIII, გვ. 324—325

**) ტ. VI, გვ. 226

და საოჯახო აღმზრდელობითი პროცესის ისე მოწესრიგებას, რომ **ყოველივე** რაც ბავშვს ზრდის და ყველა ვინც მის აღზრდას აწარმოებს **მისაბაძი** და სამაგალითო იყოს აღსაზრდელისათვის.

3. ბავშვთა და მოზარდთა ყოველმხრივი აღზრდა-განათლების მესამე მხარედ ილიას მიაჩნია **ფიზიკური განვითარება.**

სასკოლო აღზრდის ჩამორჩენილობისა და ცალმხრიობის ერთ **მიზეზად** XIX-ს. მეორე ნახევარში, ილია ასახელებს მის უყურადღებობას ფიზიკური განვითარებისადმი. **„დავიწყებულია, სწერს ილია, რომ კაცს ტანი და აგებულობაც აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს.“***) ჯანის სისაღესა და სიმაგრეს ილია ჭავჭავაძე ადამიანის აღზრდის ერთ მთავარ მომენტად სთვლის და მისი ჰარმონიული განვითარების აუცილებელ მხარედ აღიარებს. აღზრდის პროცესში სულიერ და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სხეულის განვითარებასაც. „განახლების“ პერიოდის სკოლის ერთ დადებით თვისებად ილია ასახელებდა მის მისწრაფებას ბავშვის გონების და სხეულის თანაბარ განვითარებისაკენ. **„ეხლანდელი სკოლა, სწერს ილია, ბევრით ჩამოუარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანაბარი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა“** *).

ამგვარად, ილიას „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ **მიაჩნია** აღზრდისა და სწავლა-განათლების ისეთ ამოცანად, რომელიც **სკოლას** ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. მის თანამედროვე სკოლას აღზრდის ეს მხარე არ აინტერესებდა. ილიას თქმით, ამ სკოლაში მოსწავლე „სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, **უღონო** და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ**). ილია ენერგიულად მოითხოვს ასეთი სკოლის გარდაქმნას „თანამედროვე პედაგოგიის თვალსაზრისით“. ეს თვალსაზრისი სხვა საჭიროებათა შორის მოითხოვდა **ბავშვის** ჰარმონიულ განათლებას, რომელიც ფიზიკურ განვითარებას აღზრდა-განათლების სხვა მომენტების სიმაღლეზე აყენებდა.

ჯანმრთელი, მხნე, ღონიერი, სიძნელეთა ამტანი, გამძლე, **მებრძოლი** და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა—აი რა მიაჩნდა **ილია** ჭავჭავაძეს ფიზიკური აღზრდის მიზნად.

4. ახალგაზრდობის ყოველმხრივ—ჰარმონიული განვითარების შემდეგ მომენტად ილია ჭავჭავაძე სთვლის **პროფ-ტექნიკურ განათლებას.**

საქართველოს საქალაქო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების რევოლუციური მნიშვნელობა XIX ს. მეორე ნახევარში, როგორც ვნახეთ, ილიასათვის აშკარა გახდა. ის ნათლად ხედავდა, **რომ ქარ-**

---

*) ტ. VIII, გვ. 343.

**) ტ. VIII, გვ. 343

თული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის გარდაქმნა დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის განვითარებაზე და, ცხადია, ცდილობდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი ამ პროცესისათვის. ის იბრძოდა შრომის ახალი იარაღების შეძენისა და გავრცელებისათვის, მადნეულობის ძიებისა და გადამუშავებისათვის, ნედლეულის საბადოების აღმოჩენისა და ექსპლოატაციის დაწყებისათვის, სოფლის მეურნეობაში ახალ ტექნიკურ კულტურათა გაშენებისათვის და გუთნის მაგივრად მექანიკური იარაღების დანერგვისათვის და სხვ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება გადაუდებელი ამოცანად აყენებდა აგრეთვე სათანადო ტექნიკური კადრების მომზადებას. ეს ტენდენცია, რასაკვირველია, არ გამოპარვია მხედველობიდან ილია ჭავჭავაძეს და 80—90 წლებში, სამედიცინო და პედაგოგიური განათლების პარალელურად მოითხოვდა აგრონომიულ და საინჟენერო პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელებას როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლის ხაზით. რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების წინაშე ილიას არაერთხელ დაუყენებია საკითხი უმაღლესი ტექნიკურ-მეცნიერული ცოდნით შეიარაღების შესახებ, მაგრამ გამოდიოდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ საქართველო და საერთოდ ამიერ-კავკასია აგრარული ქვეყანაა,—უფრო მეტი ყურადღებითა და ენერგიით ეკიდებოდა აგრო-ტექნიკური განათლების გავრცელებას.

„მთელი ამიერ-კავკასია ძველთაგანვე სცხოვრობს და თავს იკვებავს შარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. **ერთად ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა საადგილ-მამულო მრეწველობაა და** ამაზეა მთლად აგებული სრული ძალ-ღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად და უნაკლოდ.

ამიტომაც აქ ყველაზე უფრო მომეტებულად საჭიროა ყოველის მხრით, ყოველის ღონისძიებით ხელის შეწყობა, რომ მაგ,—აქაურმა ერთად-ერთმა მრეწველობამ ერთად-ერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და რამდენადაც შესაძლოა, უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის“ *).

ამით ასაბუთებდა ილია ჭავჭავაძე სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელებას: „არა გვგონია ბევრი სხვა ადგილი ისე ჰსაჭიროებდეს მდაბიო სამეურნეო სკოლებს, როგორც კავკასია საერთოდ და ამიერ-კავკასია საკუთრივ“, რომ ამით „გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმდენად მაინც, რამდენადაც საყოველ-დღეოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მოქმედებისათვის“ **).

ილია ებრძოდა ყველას, ვინც ხელს უშლიდა ჩვენში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, ან ვისაც არ ესმოდა ასეთი განათლების საჭიროება.

*) „ივერია,“ 1886 წ. № 47, მარტის 1.

**) იქვე.

კერძოდ, ის სასტიკად კიცხავდა **მ. მაჩაბელს**, რომელსაც ჯეროვნად ვერ გაერკვია სასოფლო-სამეურნეო ცოდნის საჭიროება საქართველოში:

„დასაჯერებელი არ არის,—სწერდა ილია მ. მაჩაბელის შესახებ,—კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოევლოს და იქამდე გულისყურ-დაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნეო სწავლა-ცოდნა საჭიროა თუ არა ამისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ავლა-დიდება სოფლის მეურნეობაა“ *).

რა არის საგანი სამეურნეო განათლებისა და სამეურნეო სკოლისა? ილია სამეურნეო განათლების საგნად სთვლის, რომ „მუშა გლეხკაცი **ჩვეულობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვნდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს**. სახალხო სამეურნეო სწავლა-ცოდნას საგნად ხომ მარტო ესა აქვს“ **).

დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე სამეურნეო განათლების მატერიალური ბაზის ორგანიზაციას. ასეთი ბაზის შექმნის გარეშე, მისი აზრით, სამეურნეო განათლება ზეპირ-სიტყვიერ და სქოლასტიურ „განათლებად“ გადაიქცეოდა, რომელიც ჩვენს მეურნეობას ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. წინამძღვარიან-კარში **ილია წინამძღვარიშვილის** მიერ დაარსებულ სამეურნეო სკოლას, რომლის გახსნის დროს ილია ჭავჭავაძემ მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა (იხ. ტ. VII, გვ. 21), უკვე ჰქონდა **ისეთი** სამეურნეო და მატერიალური ბაზა, რომ ილია ჭავჭავაძეს იგი, როგორც დასაწყისი, სავსებით აკმაყოფილებდა:

„მშვენიერი ქვიტკირის სახლი, წინ მთიდან სკოლისაკენ დაქანებული ასის დღის მინდორი, რომელიც სკოლას საკუთრებად დაუმტკიცა სკოლის სულის ჩამდგმელმა და დამაარსებელმა ბ—ნმა ილია წინამძღვარიშვილმა, სამჭედლო ყოვლის ფრით მოწყობილი, საცა ყმაწვილები მჭედლობასა სწავლობენ, ეგრედ წოდებული „ფერმა“ საცა თვითო შეგირდს სამოცდა ათი საჟენი კვალი აქვს მიჩენილი საკეთებლად. კაბინეთი საცა აწყვია სხვადასხვა სამოსწავლო საგნები, სხვადასხვა ნიმუშები სამეურნეო იარაღებისა და მცირე ოდენი ბიბლიოთეკაც არის; ოთახი, საცა სხვადასხვა მცენარეობას ზრდიან ზამთრობით და ინახავენ, საფუთკრე მრავალგვარის სკებითა და მეჯვებით მოწყობილი—ყოველივე ეს ლამაზად, ფაქიზად და საქმის ცოდნით არის გამართული, მოწყობილი და მოვლილი***).

ილია ჭავჭავაძეს სამეურნეო სკოლის ასეთი მატერიალური ბაზა მიაჩნია ჯერ პატარა, მაგრამ საღ უჯრედად, რომელიც საზოგადოების ყურადღებით და ნივთიერი დახმარებით ისე უნდა გაიზარდოს, რომ სავსებით უზრუნველყოს ნორმალური აგრარული განათლება კვალიფიციური სამეურნეო მუშაკების მომზადების მიზნით.

ილია ფართო მასობრივ პროპაგანდას ეწეოდა სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. უხსნიდა ყველას, რომ ეს არის საშუალება, რომლითაც ხალხს ხელში ეძლევა „ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს“.

*) ტ. IX, გვ. 283.

**) იქვე, გვ. 165.

***) „ივერია“, 1886 წ. № 141, 2 ივლისი.

„ივერიის“ არა ერთი და ორი მეთაური უძღვნა ილიამ წინამძღვარი-ანთ-კარის სამეურნეო სკოლას, არა ერთი და ორი მჭერმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა მან სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა და სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა კრებებზე და მოუწოდებდა ყველას მხარი დაეჭირათ ამ სკოლისათვის და დახმარებოდნენ ზნეობრივად და მატერიალურად მსგავსი სკოლების გავრცელების საქმეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ის ფიქრობდა, რომ კერძო ინიციატივა ამ საქმეში საკმარისი არ იქნება. „მაგისთანა სკოლებს იმოდენა მოზრდილი საგზალი უნდა, რომ ძნელად მოსაფიქრებელია ან კერძო კაცი, ან თვით საზოგადოება გასწვდეს და გაუძღვეს“—სწერს ილია, და იცის რა, რომ მთავრობა სხვა მხრივ არ ეხმარება ხალხს, იქვე ამბობს: „ამ მხრით მაინც, რომ მთავრობა მოეშველოს ჩვენს ქვეყანას და ხელი შეუწყოს, უეჭველია კერძო მეცადინობაც ფეხს აიდგამს და თავის მხრივ დიდ სამსახურს გაუწევს სახელმწიფოს“ *).

ილია თუმცა მიმართავდა თავისი დროის მთავრობას, მაგრამ დახმარების იმედი არ ჰქონია, და, მართლაც, არც ამ მხრივ დახმარებია ძველი მთავრობა ჩვენს ქვეყანას. მონარქიული სახელმწიფო თავს არ იწუხებდა ხალხის დახმარებისათვის; ხოლო სასოფლო-სამეურნეო და, საერთოდ, პროფ-ტექნიკური განათლება რევოლუციამდელ რუსეთისა და საქართველოში ხომ უფრო ვიწრო და უმწეო მდგომარეობაში იყო, ვიდრე განათლების რომელიმე დარგი.

პროფ-ტექნიკური, კერძოდ სამეურნეო განათლების დანიშნულება ილია ჭავჭავაძეს, როგორც აღვნიშნეთ, კარგად ესმოდა, მაგრამ მას იგი შედარებით ვიწროდ ფარგლავდა. მართალია ის მოითხოვდა, ისევე როგორც **ი. როსტომაშვილი** და სხვები, რომ სამეურნეო სკოლები პირველ დაწყებითი სასოფლო სკოლების ბაზაზე აგებულიყვნენ, რომ მოწაფეებს უკვე სამეურნეო სკოლაში შესვლამდე ჰქონოდათ ზოგადი განათლების მინიმუმი, მაგრამ თვით სამეურნეო სკოლაში, მისი აზრით, სხვადასხვა საგნის სწავლა ხელს შეუშლიდა ამ სკოლის ნამდვილ დანიშნულებას, ე. ი. მეურნეობის შესწავლას. აი, რას სწერდა ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე 1881 წლის თებერვალში ი. წინამძღვრიშვილის სამეურნეო სკოლის პროექტის გარჩევის დროს:

„როგორც „დროებაშივე“ ამბობდა ბ. როსტომაშვილი, ვინც სხვადასხვა სასოფლო სკოლაში სხვებზედ უკეთესად შეასრულებდა სწავლას, ამ სამეურნეო სკოლაში შესულიყო. მაშინ ამ სკოლაში შეგირდები თეორეტიკულადაც და პრაქტიკულადაც მხოლოდ მეურნეობას შეისწავლიდნენ და **არ მიჰყვებოდნენ სხვადასხვა საგნების სწავლას, რომელიც, უეჭველია, დაუშლის ამ სკოლის ნამდვილ დანიშნულების შესრულებას.** მაინცდა-

*) „ივერია“, 1886 წ. № 47, მარტის 1.

მაინც თუ ჩვენი აზრი ვერ შესრულდება და ეს სკოლა სამეურნეოც იქნება და პირველ-დაწყებითიც, პროექტში მოხსენებულ ზოგიერთ საგნების სწავლება სრულიად უნაყოფო იქნება. იმედია, არავინ ცუდს განზრახვას არ დაგვაწამებს, თუ ვიტყვით, სამეურნეო სკოლაში რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიის ცალკე სწავლება ვერაფერს სარგებლობას ვერ მოიტანს“ *).

მართალია აქ ი. ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნია მეურნეობის შესწავლა არა მარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც, რაც, უეჭველია, სათანადო მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ამასთან სხვა, არა სამეურნეო ან საზოგადოებრივი საგნების შესწავლას,—რამდენადაც და რა მოცულობითაც ეს მოსახერხებელი იქნებოდა სამეურნეო სკოლის სასწავლო დროში,—არ შეეძლო სკოლის „ნამდვილი დანიშნულების“ დაშლა. ეს შეიძლება ჩაითვალოს ილიას პროფ-ტექნიკური (პროფესიული) განათლების ნაკლად, მაგრამ 1881 წელს, საქართველოს პირობებში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული ინდუსტრიალური მრეწველობა, ილიას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ შემდეგში მისი განვითარების საფუძველზე აღმოცენდებოდა პოლიტექნიკური განათლების პრინციპი, ხოლო პროფ-ტექნიკური განათლება კი ფართო ზოგადი განათლების საფუძველზე გაიშლებოდა.

5. აღზრდა-განათლების უშუალო მიზანთა შორის ილია ჭავჭავაძე ერთ საპატიო ადგილს უთმობს საღ **ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა გამოწვევას და განვითარებას ახალგაზრდათა შორის.** ეროვნულ-პატრიოტიული აღზრდის პრინციპი ილიას პედაგოგიურ მოძღვრებაში გამომდინარეობს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის ამოცანებიდან და ამიტომ ეს პრინციპი სავსებით თავისუფალია ყოველგვარი ვიწრო ნაციონალისტური და შოვინისტური ელემენტებიდან, უფრო მეტიც, ჩვენ ვნახავთ, რომ ის შეესაბამება თავისებური ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეებს და მეცნიერების ზოგად-კაცობრიული განვითარების ხასიათს.

როგორ ესმის ილიას ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა და მისი მიზანი? ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა ილიას ესმის როგორც ერთი გარკვეული ნაწილი ან მომენტი ბავშვის სოციალური აღზრდისა საერთოდ. ამიტომ მისი უშუალო მიზანიც ახალგაზრდების საზოგადოებრივი აღზრდის საერთო მიზნებში უნდა შედიოდეს და მათ ავსებდეს. აღზრდის საერთო საზოგადოებრივ მიზნად ილიას, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, XIX ს. მეორე ნახევრის ქართველი ახალგაზრდობისათვის მიაჩნდა „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა“ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გზით. აღზრდას, საერთოდ, ამ ბრძოლისათვის გამოსადეგი ახალგაზრდობა უნდა მოემზადებია და ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა, როგორც მომენტი ამ საერთო აღზრდისა, სწორედ აქეთკენ უნდა ყოფილიყო—და იყო კიდეც—მიმართული.

*) VII, გვ. 309—310.

ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პირველ მომენტად ილიას მიაჩნდა სამშობლოსა და ხალხის სიყვარული.

ილია ფიქრობს, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანს აძლევს ძლიერ სულიერ ენერგიას, მატებს სიმხნევის, სიმამაცის და გაბედულობის გრძნობას, ხდის მას საერთო საქმის ენტუზიასტად და მისაბაძ პიროვნებად. ყოველი ეს თვისება უნდა აღიზარდოს ბავშვში, რომ ის სამშობლო-ქვეყნისათვის თავდადებული და გამოსადეგი პიროვნება გამოვიდეს:

პატრიოტული აღზრდის საჭიროების დასაბუთებისათვის ილია მიმართავს პედაგოგიკის ისეთ კლასიკოსებს, როგორიც არიან ჰენრიხ **პესტალოცი** (1746—1827), ფრიდრიხ ადოლფ **დისტერვეგი** (1790—1866), კონსტანტინ **უშინსკი** (1824—1870) და აგრეთვე კარლ **რიხტერი** (1837).

ჰენრიხ პესტალოციდან მას მოაქვს შემდეგი ციტატი: „პირველ დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლო“ *). ამ მოსაზრებიდან გამოსვლით ილია ფიქრობს, რომ ბავშვმა პირველდაწყებითი ცოდნა სამშობლოში უნდა მიიღოს. ეს იმიტომ, რომ ბავშვი თავისი წარმოშობით ერთ რომელიმე სამშობლოს ეკუთვნის, მის მიწა-წყალზე იზრდება, მისი ჰაერით სუნთქავს და მისი ხალხის ღვიძლია, და ასეთ მშობლიურ გარემოცვაში მიღებული ცოდნა უფრო მტკიცე და ჭეშმარიტია. ყოველივე ის, რაც ბავშვთან ახლოა და მისთვის ცნობილია, უფრო ადვილად შეისწავლება მის მიერ; ასეთ საფუძველზე მიღებული ცოდნა ძალზე მკვიდრია და თავის მხრივ მტკიცე საფუძველს წარმოადგენს „უფრო ფართე და ღრმა განათლებისათვის“.

ფრ. დისტერვეგიდან ილიას ამოწერილი აქვს შემდეგი ადგილი:

„კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, გზა გაუხსენით, რომ არამც თუ მარტო შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს კიდეც იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსაკუთრებული ხასიათი. ამით ნუ გგონიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციალურს პატრიოტობას, არამედ **გაუმაგრებთ ადამიანს ფესვებს ადამიანის სულის ღონისას.** ეგ ფესვები მის **სამშობლოს მიწა-წყალშია,** მის **მოძმეთა განსაკუთრებულ ხასიათშია,**—მათს **ისტორიაშია.** ყოველს სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს, როცა **თვითეულს ადამიანში კაცი პოულობს განსაკუთრებულს თვისებას მისის ქვეყნისას**“ **).

ილია ჭავჭავაძე ფრ. დისტერვეგთან ერთად ფიქრობს, რომ **სამშობლოს განსხვავებული თვისება და მისი განსაკუთრებული ხასიათი ყოველი ეროვნების წარმომადგენელს ემჩნევა, მათში ჩანერგილია უკანასკნელის სულიერი განვითარების ფესვები და მათ ნიადაგზე სხვავდება იგი მეორე ეროვნების წარმომადგენლისაგან.** ამასთან ილია და დისტერვეგი სამშობლოსა და ერის განსხვავებულ თვისებასა და მის განსაკუთ-

*) ტ. VII, გვ. 219.
**) ტ. VII, გვ. 219.

რებულ ხასიათს“ ისე, როგორც მის წარმომადგენელთა ფსიქიურ თავისებურებას, სათანადოდ ხსნიან ქვეყნის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობით, მისი ხალხის ისტორიული წარსულით და აწმყო ცხოვრებით. აქედან მათ ადვილად გამოყავთ დასკვნა, რომ ნაციონალურმა აღზრდამ უნდა მისცეს ახალგაზრდობას თავისი სამშობლო ქვეყნის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობისა და მისი ისტორიის დეტალური ცოდნა. ამ ნიადაგზე ეროვნული ახალგაზრდობა მისწვდება თავის „სამშობლოს განსხვავებულ თვისებასა და მის განსაკუთრებულ ხასიათს“ და აქედან შესძლებს წარმოიდგინოს და განიმტკიცოს საკუთარი სულიერი ენერგიის ფესვები.

ილიას ღრმად სწამს, რომ თავის ქვეყნისა და მამულის სიყვარული ადამიანის განუყრელ თვისებას წარმოადგენს. ამ რწმენის დასაბუთებისათვის მიმართავს იგი **კ. დ. უშინსკის**, როგორც რუსეთის ნაციონალური აღზრდის წარმომადგენელს, და მოაქვს მისგან შემდეგი ციტატი:

„არის მარტო ერთი საზოგადო, დაბადებითვე დაყოლილი მიდრეკილება, რომელზედაც აღზრდას (სკოლას) ადამიანისას შეუძლიან ყოველთვის დაემყაროს,—ეგ ის არის, რასაც ჩვენ ვეძახით ეროვნებას (Народность). როგორც არ არის ადამიანი, რომ თავის-თავი არ უყვარდეს, ისეც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული, თავისი ქვეყანა. აი ეგ სიყვარულია ის უტყუარი გასაღები ადამიანის გულისა, რომელსაც აღზრდა (სკოლა) უნდა ხმარობდეს. ეროვნებაზედ დამყარებული ბავშვის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და შემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში, რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე რწმენა, მარტო ჭკუით მიღებული, ანუ ზნე, დასჯის შიშით ჩანერგული“ *).

აქ კონსტ. უშინსკი და მასთან ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობის აღზრდას ეროვნულ პრინციპზე ამყარებენ, რომ ამით აღუძრან მას (ახალგაზრდობას) თავისი სამშობლოს სიყვარული, რადგანაც ეს სიყვარული ადამიანის გულის გასაღებად მიაჩნიათ. აღზრდის ამოცანაა ამ გასაღებით შეაღოს მოზარდის გულის კარი, შეისწავლოს მისი ინდივიდუალური გრძნობების სამყარო და განავითაროს იმ მიმართულებით საითკენაც მას აღზრდის საერთო, საზოგადოებრივი მიზანი მოუწოდებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კ. უშინსკის აზრი, ეროვნებისა და ეროვნული გრძნობის თანდაყოლილობის შესახებ, არამეცნიერულია ისევე, როგორც შემცდარია იდეა აღზრდის საბოლოო მიზნად მხოლოდ ეროვნობის პრინციპის აღიარებისა. რამდენადაც ილია ჭავჭავაძეს ზემომოყვანილ უშინსკის ციტატში ეს აზრებიც მოჰყავს კრიტიკის გარეშე, იმდენად ისიც მოზიარეა უშინსკის შეცთომისა, თუმცა შემდეგ ილია არ წასულა იმ ნაციონალიზმის გზით, რომელიც უშინსკის პედაგოგიკიდან გამომდინარეობდა.

---

*) ტ. VII, გვ. 220.

ილია ჭავჭავაძეს ეროვნება და ეროვნული გრძნობა არა აქვს მიჩნეული ისეთ ფეტიშად, რომ მის იქით იგი ვეღარაფერს ამჩნევდეს. ხოლო საკუთარი სამშობლოსა და ერის სიყვარული მას სრულებით არ უშლის ხელს სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდეს სხვის სამშობლოს და სხვა ერს. სწორედ ამ მიზნით მოჰყავს მას გერმანელი პედაგოგის **კარლ რიხტერის** შემდეგი მოსაზრება:

„როგორც ჩვენის საკუთარის ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის პატივისცემასა, ჩვენის ქვეყნისაში — სხვა ქვეყნებისას, ისეც პატივისცემა პატარა ნაწილისა მთელის პატივისცემას გვასწავლის *)".

ნაციონალური სოლიდარობის პრინციპებს ი. ჭავჭავაძის პედაგოგიურ მოძღვრებაში ჩვენ ცოტა ქვევით შევეხებით, აქ კი გავიხსენოთ ეროვნულ-პატრიტული აღზრდის მოტივები მისი მხატვრული შემოქმედებიდან.

ილია ჭავჭავაძეს მისაბაძად მიაჩნია ის დრო, როდესაც „ძუძუ ქართლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა, და დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა"

(„ქართვლის დედას")

ომიანობის დროს, როდესაც „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს" — „მთელი ქვეყნის თავისუფლებისათვის", — ქართვლის დედა თავის ერთად ერთ შვილს — ერთად ერთ სიცოცხლეს და სიხარულს — გმირულად უთმობს თავის სამშობლოს, მამულს:

ეჰა, ამ დღისათვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი".

(„დედა და შვილი")

ასეთივე იდეებით ჟღენთავდა ილია ქართველი სტუდენტობის სულსა და გრძნობას: მისი აღზრდის ერთ-ერთ პრინციპად მიაჩნდა პატრიოტული მოტივი:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ,
და მიტომ ვზრდით ჰაბუკ სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა"

(ქართვ. სტუდენტების სიმღერა)

სამშობლოს სიყვარული, ილიასათვის, თავისუფლების სიყვარულის სინონიმია. ყველგან, სადაც მამულისათვის თავდადებაზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს აგრეთვე „ძმობა - ერთობა - თავისუფლებისათვის" თავგანწირვაზე და ქართველ დედასაც მოუწოდებს შთააგონოს ბავშვს „თავისუფლება — კაცთა ნავთსაყუდარი, ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი".

ილია ჭავჭავაძე ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის იდეებს სრულიად ბუნებრივად უკავშირებს ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს. პეტერბურგიდან სამშობლოში მომავალი, რუსეთის დიდი დემოკრატების **ნ. ერ-**

*) ტ. VII, გვ 219.

ნიშევსკისა და **ა. დობროლუბოვის** მოწინავე, რევოლუციური იდეებით გაჟღენთილი და ახალი სამოქმედო პროგრამით აღჭურვილი მწერალი, შემდეგნაირი ფიქრით მოადგა საქართველოს საზღვარს:

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის, იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილსა?“

(„მგზავრის წერილები)“

არა, საქართველომ მშობლიურად მიიღო ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან ის, „უცხო ნიადაგზე გადარგული და აღზრდილი“, თავის სამშობლოს დაუბრუნდა რევოლუციური, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეებით და ამ იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის შეიარაღებული.

საქართველოში დაბრუნებულმა განათლებულმა მწერალმა უფრო მწვავედ იგრძნო სამშობლოს დაბეჩავებული, კოლონიალური მდგომარეობა და საერთო პოლიტიკური ატმოსფეროს სიმძიმე, რომელიც სიცოცხლეს უმძიმებდა და სულს უხუთავდა ყოველ, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, მთელ მშრომელ ხალხს. **„მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, რომელიც თავის თავის გარეითად, სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაც სწუხს. იმ ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს“.** — ხოლო **„ღარიბს, რომელიც ოფლით შოობს ლუკმასა, მზესთვის ვერ შეუხედნია“***). ასე სწერდა დიდი დემოკრატი და განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე 1862 წელს და თავის მოღვაწეობაში ფართო პოლიტიკური პერსპექტივით გაერთიანებული ჰქონდა ეს **ორი დიდი იდეალი** ნაციონალური და სოციალური: **ერის ნაციონალურ-რევოლუციური განთავისუფლება რუსეთის მონარქიზმისაგან და მძიმე სოციალური ატმოსფეროს გაწმენდა გონიერი და ღარიბი ხალხისათვის** სულის მობრუნებისა და მზის დანახვების მიზნით.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი, თავისი დროისათვის საღი და რევოლუციური პატრიოტიზმია. მას არაფერი აქვს საერთო ბურჟუაზიულ, ვიწრო ნაციონალისტურ პატრიოტიზმთან და შოვინიზმთან.

ამასვე ამტკიცებს მის მიერ მეცნიერების ინტერნაციონალური გაგება და მისი დამოკიდებულება სხვა ეროვნებათადმი.

ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი მოაზროვნე, მეცნიერებისა და ხელოვნების ინტერნაციონალური ბუნების შესახებ სიტყვა-სიტყვით სწერს შემდეგს.

„გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარ-ტომობის ჩაჩხირება ჰკუის უღონობას მოასწავებს და სხვას არა-რას. ხელოვნებისა და ერ-

*) ტ. IV, გვ. 396.

თობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არა აქვს. ერთიცა და მეორეც მთელის კაცობრიობისაა“ *).

გენიალური სიტყვებია. ნამდვილი მეცნიერება, ხელოვნება, საერთოდ ყოველი გონივრული ნაწარმოები უსათუოდ ინტერნაციონალური ბუნების მატარებელია. ილია უმტკიცებს ყველა ჯურის ნაციონალისტებსა და შოვინისტებს, რომ მეცნიერებასა და ხელოვნებას საშინლად ბორკავს ყოველგვარი ნაციონალურ-შოვინისტური ზღუდე, ვიწრო გვარ-ტომობრივი კარჩაკეტილობა. გონივრული ნაწარმოები ვერ ურიგდება ასეთ ზღუდეებს და კარჩაკეტილობას და ის საერთაშორისო საკუთრებას წარმოადგენს. შექსპირით, ბაირონით, გიოტეთი, რუსთველით, პუშკინით,—შეუძლიანთ იამაყონ მათმა წარმომშობმა ერებმა, მაგრამ ისინი მთელს კაცობრიობას ეკუთვნიან, რადგანაც მათ ყველა კითხულობს, განურჩევლად ეროვნებისა, ყველას დიდ ესთეტიურ სიამოვნებას გვრის და მხატვრული სახეებით აზროვნებას აჩვევს.

ცნობილია, რომ ილია სასტიკი მტერი იყო რუსეთის ცარიზმისა, მაგრამ საჭიროა ცნობილ იქნეს, რომ ის მტკიცე მეგობარია დიდი რუსი ხალხის მეცნიერებისა და ხელოვნებისა. ილია სრული ობიექტიობით ლაპარაკობს, რომ „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მათ თავისი ავკარგიანობა“ **). განსაკუთრებით ეს ითქმის 60-იანი და 70-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის „მიმართულებაზე“, რომელმაც „თერგდალეულთა“ მეთაურობით დაიწყო თავის განვითარება და ახალ მიმართულებათა ძიება. მხოლოდ ინტერნაციონალური გრძნობით გამსჭვალულ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო დაეწერა რუსეთის მეცნიერებისა და ხელოვნების 80—90 წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე გავლენის შესახებ — შემდეგი, სრული ჭეშმარიტებით აღსავსე, სტრიქონები:

„საკვირველიც არ არის: რუსულმა **სკოლამ — მეცნიერებამ** გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე **ლიტერატურამ** მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. **თვითოეული ჩვენთაგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორ წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად.** სხვა გზა არ იყო. ამიტომ საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ **თვითოეული ჩვენთაგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენთაგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი სავანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“** **).

---

*) ტ. IX, გვ. 305.

**) ტ. VIII, გვ. 285.

ვინც კარგად იცნობს რუსეთის XIX ს. მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიას, იცნობს აგრეთვე საქართველოს ამავე პერიოდის საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობას და ამავე დროს მიუდგომელი მსჯელობისა და მოვლენათა შეფასების ობიექტური უნარიც აქვს, მისთვის სხვა მტკიცება საჭირო აღარ იქნება იმისათვის, რომ ილიას ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი ჭეშმარიტ სინამდვილედ იქნეს აღიარებული.

(ამასთან, ილია ლაპარაკობს რა რუსეთის მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის ქართველ მეცნიერულ ძალებსა და ლიტერატორებზე გავლენის შესახებ, აღნიშნავს, რომ „ამ ზედმოქმედებამ — რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის **საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის** *)". რომელიმე მოძღვრების ან მეცნიერულ-ლიტერატურული მიმართულების შეთვისება მხოლოდ მაშინ მიაჩნდა ილიას აქტუალურ განვითარების მნიშვნელობის მქონე ფაქტორად, როდესაც შემთვისებელი კრიტიკულად უდგება და ითვისებს შესასწავლს, ახდენს მის გააზრებას თავის ცნობიერებაში და იჩენს საკუთარი აზროვნების ინიციატივას).

იქნებ ზოგიერთმა იფიქროს, რომ ილია ჭავჭავაძის ასეთი მეგობრული დამოკიდებულება რუსეთის პროგრესული მეცნიერებისა და ლიტერატურის მიმართ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ის თვით ამ მეცნიერებასა და ლიტერატურაზე აღიზარდა? არა, ილიასათვის ეს საერთო პრინციპის საკითხია და ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მისთვის მთავარია თვით მეცნიერებისა და ლიტერატურის ღირებულება და არა მისი ნაციონალური წარმოშობა.

ავიღოთ, თუ გნებავთ კიდევ ამ მხრივ, ილიას დამოკიდებულება ჩვენი მეზობელი **სომხის** ერისადმი.

ჩვენში სულ უკანასკნელ წლებამდე გვხვდებოდა უგნური ყბედობა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე ვიწრო ნაციონალიზმითა და ზოოლოგიური შოვინიზმით იყო შეპყრობილი სომხების მიმართ. ამ ბოროტ ყბედობას ისე, როგორც ლაზღანდარობას, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძე არის რეაქციონერი, რეგრესული პიროვნება, თავად-აზნაურობის მოკეთე, მშრომელი ხალხის მოწინააღმდეგე და სხვა ასეთებს, ჩვენში ავრცელებდნენ ხალხის მტრები და უვიცობის მოციქულები, რომლებსაც სურდათ დაეკარგათ ჩვენი ქვეყნისათვის ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსი და სახელოვანი მეცნიერი.

სომხის ერისადმი საერთოდ ილია ჭავჭავაძე მეტად სოლიდარულად იყო ყოველთვის განწყობილი. 1889 წელს ილია სწერდა:

---

*) ტ. VIII, გვ. 285—286.

„ჩვენში ჩვენგან **მთელი სომხობა, როგორც ერი**, თავის დღეში არც გაკითხულა, არც გაკიცხულა და არც ავად ხსენებულა, სულელობაც იქნებოდა ეს ჩვენს მიერ*)“...

„ვერც ჩვენს ლიტერატურაში, ვერც ჩვენს საზოგადოებაში ერთს მაგალითს ვერ გვიჩვენებენ, რომ ქართველი ავად იხსენიებდეს **მთელს სომხობასა**. მის ინტელიგენციასა, რომელზედაც დამყარებული აქვს სომხობას მთელი თავისი სამართლიანი სასოება**)“.

ილიას მშვენივრად ესმის, რომ სომხის ერი **საერთოდ** სხვადასხვა ფენისაგან (ანუ კლასისაგან) შედგება და ერთი რომელიმე ფენის ან მისი ჯგუფის უარყოფითი თვისება არ შეიძლება მთელ ერს მიეწეროს; ასევე არ შეიძლება ერთი ფენის დანაშაულისათვის მთელმა ერმა აგოს პასუხი. ამიტომ ილიას სისულელედ მიაჩნია მთელი სომხობის წინააღმდეგ გამოსვლა, მაშინ როცა საქმე აქვს მხოლოდ მისი ერთი ფენის გადაგვარებულ ჯგუფთან. რომელია ეს ჯგუფი? ეს ჯგუფი არის სომხეთის მოვაჭრე ბურჟუაზიული კლასის ზნეობრივად გახრწნილი ინტელიგენტური ჯგუფი, შოვინისტი, „ოინბაზი“ და „თაღლითი“ ცრუ მეცნიერ-მწიგნობრების (პატკანოვი, ხუდაბაშოვი, ემინი, ქიშმიშოვი, ეზოვი, არწრუნი, ჩიმიშკიანცი და სხვ.) მეთაურობით, რომელიც (ჯგუფი) ქართულ კულტურას სომხეთის კულტურის ნაშთად აღიარებდა, საქართველოს მიწა-წყალს — სომხეთის ტერიტორიად, ტფილისს—სომეხთა ქალაქად, საქართველოს ძველი კულტურის მაჩვენებელ სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონების მატერიალურ ძეგლებს და ძველ ქვების წარწერებს ანადგურებდნენ (აქედან „ქვათა ღაღადი“) და სხვ.

ზოგიერთი უმეცარი დღესაც ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძის ძვირფასი ისტორიული ნარკვევი **„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“** შოვინისტური ნაწარმოებია. ასეთი „ფიქრი“ ან საცოდავი და უბადრუკი აზროვნების შედეგია, ანდა ობიექტური ჭეშმარიტების განგებ დამახინჯების ცდას წარმოადგენს. ამ ნაწარმოებში ილია ილაშქრებს რა ზემოთ ხსენებული სომხური ბურჟუაზიული ინტელიგენციის შოვინისტი და „თაღლითი“ ცრუ-მწიგნობრების წინააღმდეგ, გულწრფელად სწუხს, რომ ჩვენმა მეზობელმა სომხის ერმა ეს თავის თავზე არ მიიღოს: „მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერად, დიდხანს ჩაუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდ-მნიშვნელოვან გარემოებას: **როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა?** ეს საკითხი უქმი საკითხი არ არის, როგორც ვნახავთ **)“. ილია შიშობს—სომეხთა ერთი პატარა „ოინბაზი“ მწიგნობრების წინააღმდეგ გამოსვლა სომხის მთელმა ერმა თავის თავზე არ მიიღოს. მით უმეტეს, რომ „იგი გუნდი რომლის მხილება ჩვენ სახეში გვაქვს და რომელსაც ჩვეულებად დასჩემებია მათს შესახებ ნათქვამი მთელს ერს

---

*) ტ. IX, გვ. 302.

**) „სომეხთა მეცნიერი და ქვათა ღაღადი“, გვ. 7, 1899 წ.

მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს*)". ამიტომ ილია ჭავჭავაძე 5—6 ალაგას აფრთხილებს მკითხველს ასეთი, შესაძლო გაუგებრობისაგან:

—„ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც **მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისა და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის**"—**„ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთი გუნდია ცოდვილი**")".

ილია იქვე სწერს: „დროა **ნიღაბი ავხადოთ** იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთ ყოფას გვაწევენ ქართველებს დიდსა და პატარას გამოუკლებლად. დროა გავითვალისწინოთ იგინი ისე, როგორნიც ნამდვილ არიან უნიღბოდ, უფერ-მარილოდ***)".

ამგვარად, ილიას ბრძოლის მახვილი იარაღი მიმართული აქვს სომეხთა ერთი გუნდის წინააღმდეგ და ისიც არა მთელი გუნდის—არამედ მისი ცრუ მწიგნობარ-მეცნიერების წინააღმდეგ; ამიტომ ის გადაჭრით ლაპარაკობს:

„მთელი ერი სომხისა აქ არაფერ შუაშია")".

ისტორიკოს დ. ბაქრაძის ცნობით („Археологическое путешествие по Гурии и Аджарии", გვ. 41) ართვინის კლერიკალ სომეხთა ჯგუფს ადგილობრივი ეკლესიის ნაგებობიდან „სადღაც წაუბრძანებიათ და მიუმალავთ" ქართული წარწერის მქონე ქვა, რომ დაემალათ ამ ძეგლის (ეკლესიის) ქართული წარმოშობის ფაქტი. ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს რა ეს ცნობა სწერს:

„განა ამისთანა ოინი ფიქრად მოუვა უბრალო სომეხ კაცს?—ჩითგონება და წაქეზება ამისთანებში, აშკარაა, გაბრძნობილის მეცნიერისაგან არის. ამიტომაც **საბუთი გვაქვს ეს უკადრისი საქციელი და ყოველი სხვა ამისთანა სომეხთ-მწიგნობართა მანქანებას მივაწეროთ და არა მთელს ერს სომხისას**")".

უფრო ადრე, 1889 წელს, ტფილისის ლიტერატორს ჩიმიშკიანცს სომხურ ჟურნალ „მურჯში" მოუთავსებია მწერალ **გ. სუნდუკიანცის** ბიოგრაფია და ძალიან დიდი მწუხარება გამოუთქვამს, რომ სუნდუკიანცის „პეპო" თითქმის გაქართულდა და მისი ქართულად წარმოდგენის აფიშებზე არ იწერება, რომ ის სომხის მწერლისაა და სომხურიდან არის თარგმნილი. ილია, ჩიმიშკიანის გამოსვლაში ეროვნული შუღლის ჩამოგდების მომენტს ხედავს, სასტიკად კიცხავს მას და მისი მსგავსი შოვინისტების მისამართით სწერს:

„ჩვენ, ქართველები ავად **ვიხსენიებთ ხოლმე მარტო იმ ჯურის სომხებს, რომელნიც წურბელასავით მოჰკიდებიან აქაურობას**, სწოვენ ქვე-

*) „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი", გვ. 8, 1899 წ.
**) იქვე, გვ. 7, 8.
***) იქვე, გვ. 12.
****) იქვე, გვ. 9.
*****) იქვე, გვ. 30—31.

ყანას და **რომელთაც ჰკიცხავენ და ავად იხსენიებენ თვითონ გონიერნი და პატიოსანნი სომეხნი***)".

ყველასათვის ცნობილია, რომ ეს, წურბელასავით მოკიდებული და ქვეყნის სისხლის მწოველნი იყვნენ მოვახშე სომხური ბურჟუასიის წარმომადგენელნი და არა მშრომელი სომხეთის ერი.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ინტერნაციონალისტი, მიუდგომლად ამხელს ყოველგვარ ნაკლს არა მარტო სომხის ერში, არამედ სხვა ერებში და უპირველეს ყოვლისა თვით ქართველ ერში; ილია სწერს:

„საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ **ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მეჭონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი არიან** **)". ილია ყველა ერში ასე მიუდგომლად ამჟღავნებდა ყოველივე ნაკლს, „სიბოროტესა და ჟუჟუს", და ეს გზა მიაჩნდა მას ამა თუ იმ ერის სიყვარულის დამადასტურებელ ფაქტად. ხოლო ვინც სცდილობს „ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების **უმეცარი** სიყვარულისა გამო". მართლაც ილიამ ჩვენი ქვეყნის XIX ს. მეორე ნახევრის ცხოვრებაში ბევრი ნაკლი და სიბოროტე აღმოაჩინა და გადალახა, ბევრი თავის საშოშივე ჩაჰკლა და ამით ხელი შეუწყო ხალხის გაჯანსაღების საქმეს.

ვიწრო ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ილია ჭავჭავაძეს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამოპაროდა **ანტისემიტიზმი და ებრაელთა საკითხი** საერთოდ. ამ საკითხს მან უძღვნა 4—5 ფრიად მნიშვნელოვანი, მეცნიერულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილი. ამ წერილებიდან ჩანს, რომ ილია კარგად იცნობს ებრაელთა ისტორიას, მათ აწმყო მდგომარეობას და ე. წ. „ებრაელთა საკითხის" საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამასთან მეცნიერულად არკვევს ანტისემიტიზმის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზს.

ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებს იმ ფართოდ გავრცელებულ, მაგრამ ანტიმეცნიერულ აზრს, რომ თითქოს ანტისემიტიზმის ძირითადი მიზეზი ეროვნულ და რელიგიურ ფანატიზმში ძევს. ის ამ **ძირითად მიზეზად ასახელებს ეკონომიურ კონკურენციას მსხვილ ებრაელ კაპიტალისტებსა და მეორე ერის კაპიტალისტებს შუა წარმოებისა და ვაჭრობა-მრეწველობის დარგში.** დასავლეთ ევროპაში ანტისემიტური მოძრაობის გაძლიერების. „ . . . მიზეზი ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი კი არ არის, არამედ ეკონომიური ძლიერება ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომ-

*) ტ. IX, გვ. 302.
**) ტ. IV, გვ. 81

ლების ხელში გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოებისაო *)". აქედან გამომდინარეობს პოლიტიკური საშიშროება ამ სახელმწიფოთათვის, ვინაიდან ეკონომიურად გამაგრებული ებრაელი კაპიტალისტები მოითხოვენ აგრეთვე თავის შესაფერისს პოლიტიკურ უფლებებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე. ეს გარემოება, ილიას აზრით, იწვევს ანტისემიტურ „ესე იგი ებრაელთა საწინააღმდეგო მოძრაობას, რომელიც სცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი". რაც შეეხება ეროვნულ სიძულვილს და რელიგიურ ფანატიზმს, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ზოგადი სახეა ანტისემიტიზმისა და ზოგადით კერძოს ახსნა, ამ შემთხვევაში, არ შეიძლება ვინაიდან ორივე ერთი ძირითადი, ეკონომიური მიზეზით აიხსნებიან, ხოლო მეორე (რელიგიური ფანატიზმი) მეშვეობით იმავე ეკონომიური კონკურენციის საფუძველზე წარმოიშობა და გამოიყენება, როგორც ერთი დამატებითი საბაბი ეკონომიურ მოწინააღმდეგესთან ანუ კონკურენტთან ბრძოლისა. ამიტომ სრულიად მართალია ი. ჭავჭავაძე როდესაც ანტისემიტიზმის ძირითად მიზეზად ასახელებს ებრაელთა კაპიტალისტების გამდიდრების ტენდენციით გამოწვეულ საფრთხეს სხვა ერების კაპიტალისტებისათვის. ეს არსებითად კლასობრივი ბრძოლაა ორი სხვადასხვა ერის გაბატონებულ კლასებს შორის (ეკონომიური და პოლიტიკური ჰეგემონიისათვის), რაც ფორმით ეროვნულ სახეს ღებულობს.

ილიას ინტერნაციონალური შეხედულებათათვის დამახასიათებელია აგრეთვე შემდეგი გარემოება. 1881 წელს „ქალაქის რჩევამ" ტფილისში გახსნა სახელოსნო სკოლა, რომელშიც მეცადინეობა სამ ენაზე (რუსულად, ქართულად და სომხურად) იქნა შემოღებული. ილიამ ამაში სრულიად სამართლიანად დაინახა ხალხთა სოლიდარობის ფაქტი და აღნიშნა: „სახელოსნო სასწავლებლის დამფუძნებელთ სწორედ გონივრულად განსაჯეს, როდესაც დააწესეს, რომ სწავლა სამ ენაზე მიდიოდეს: რუსებისათვის რუსულ ენაზედ, ქართველებისათვის ქართულზედ და სომხებისათვის სომხურზედ**)". ამ მაგალითში ილია ხედავდა ხალხის მოთხოვნილების ასრულებას, რადგანაც აღნიშნული ხალხის შვილებს თავის საკუთარ დედა-ენაზე ძალიან გაუადვილდებოდათ სწავლა-განათლება.

ტფილისის „ქალაქის რჩევის" სახელოსნო სკოლის დამაარსებლებმა მართალია გადასწყვიტეს სამშობლო ენაზე სწავლების შემოღება ქართველებისა და სომხებისათვის, მაგრამ ეს ღონისძიება ფაქტიურად პირველსავე წლებში ჩაიშალა, ვინაიდან რუსეთის მეფის „საგანმანათლებლო" პოლიტიკა, როგორც ვიცით, სდევნიდა პატარა ერების ნაციონალურ კულტურას და სამშობლო ენაზე სწავლების ყოველგვარ ცდებს.

6. აღზრდა-განათლების ერთ-ერთ მიზნად ილიას მიაჩნდა აგრეთვე **პირადი ინიციატივისა და თვითმოქმედების უნარის გამომუშავება მოზარდ ახალგაზრდობაში.**

ინიციატივა აძლევს ადამიანს საკუთარი მოქმედების საშუალებას, აჩვევს დამოუკიდებელი გზით მსვლელობას, უვითარებს მას ახალი საქმის თაოსნობის უნარს, აქტივობას და ახალი აზრის გამომუშავების შესრულებას.

თვითმოქმედება—მთავარია ადამიანისათვის. ის აძლევს ადამიანს ცხოვრების აზრს, ათავისუფლებს სხვაზე დამოკიდებულობისაგან და ანიჭებს არსებობის უფლებას. ილია სწერს:

„თვით-მოქმედება, თავის თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა—ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას: მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვებედსა თვითონ არ იურვებს,—იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერებაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთი სოფელში უშრომელად, გაურჯელად. მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც, ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა. არამც თუ საზოგადო საქმეში კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ **არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის ხაქმის თაოსანი, საქმის აშენი და ხაქმის მომქმედია:** ვინც თავის თავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მხნეობას და გარჯას სახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისა*)".

ამით ილია მოუწოდებს ქართველ ხალხის პროგრესულ ნაწილს, თავს ნუ იტყუებს და გულუბრყვილოდ სხვის დახმარებას ნუ ელის რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მოუწოდებს მას საკუთარი ძალების მობილიზაციისაკენ, გაერთიანებული ენერგიით შეტევისაკენ.

მეტად აქტუალური მოწოდებაა, და ამდენად აუცილებელი ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისათვის, გაბედული ბრძოლისა და შრომის მოყვარული ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ილია გულისწყრომით იხსენიებს ძველსა და მისი დროის უდარდელობას დიდი საზოგადოებრივი და აქტუალური პრობლემებისადმი. ის საყვედურით აღნიშნავს, რომ „ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ" და ყველგან მოუწოდებს ახალგაზრდობას დასტოვონ ძველი ტრადიციები, ადათები და ჩვეულებანი, რომლებიც ეხლა ძალზე ბორკავენ ჩვენ წინსვლასა და განვითარებას. მხოლოდ ინიციატიური შრომისა და აქტიური თვითმოქმედების საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ დავაღწიოთ თავი ძველებურ თვლემას, მამა-პაპურ ძილს და სხვისი იმედით ცხოვრებას. **თვითმოქმედება, ამავე დროს, ილიას მიაჩნია საჭიროდ მაგარი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის აღზრდისათვის,** რომლებიც, მისივე აზრით, აღზრდის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ.

*) „ივერია", 1886 წ., № 102, მაისის 13.

ამასთან, თვითმოქმედება დიდ აღმზრდელობით როლსაც თამაშობს. ილიას ეს როლი ესმის შემდეგნაირად:

„თვითმოქმედებას არამც თუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი **იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა** მოზარდის, ახალი თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედლოში*)".

თვითმოქმედებას მოკლებული ადამიანი მუდამ სხვაზეა დამოკიდებული, სხვისგან ელის შველას და გაჭირვებიდან ხსნას. ეს კი, ილიას აზრით, „უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება".

როგორც თვითმოქმედება შრომისა და მოძრაობის აუცილებელი პირობაა, ისე შრომა და მოძრაობა ქმნიან თვითმოქმედებას. როგორც თვითმოქმედებას მოკლებული ადამიანი ჰკარგავს მშრომისა და მოძრაობის უნარს, ისე შრომა-მოძრაობას მოკლებული ადამიანიც კარგავს თვითმოქმედების უნარს. ამის დასამტკიცებლად ილია სწერს:

„დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა. სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმინდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც**)". ამიტომ ილია სწავლა-განათლების ამოცანათა შორის ერთის მხრით აღიარებს მოსწავლის შრომას თვითმოქმედების გამოწვევა-განვითარებისათვის, ხოლო მეორეს მხრით—თვითმოქმედებას შრომის გაძლიერებისა და ნაყოფიერებისათვის.

საჭიროა დავდგეთ საკუთარ ფეხზე, ვიაზროვნოთ საკუთარი თავით; „გვეყო, ბატონებო, სხვაზე დანდობა, სხვის მაყურებლობა, ჩვენ თვითონ მივეშველნეთ ჩვენ თავს. . ."—„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზე მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ**)".

ილია გრძნობს, რომ ეს მძიმე საქმეა, მაგრამ მით უფრო სახელოვანი და საყოველთაო, ამიტომ საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად მოწინავე ძალთა გაერთიანება:

„ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია" — „რაც ერთისთვის შეუძლებელია, ის ყველასთვის ადვილია***)".

ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე ახალგაზრდობას უვითარდება კრიტიკული აზროვნების უნარი, და ზოგიერთი ავტორიტეტისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესაძლებლობა. „ყოველი აზრი,— სწერს ილია, — მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის

---

*) „ივერია", 1886 წ. № 102.

**) ტ. VII, გვ. 197, 198.

***) იქვე, 197, 202.

ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია". კრიტიკული აზროვნება ამახვილებს ადამიანის აზრს, აძლევს მას უფრო მეტი შემოქმედების ძალას, აჩვევს მას ახალის აღმოჩენის იმედს და რწმენას საკუთარ თაოსნობაში.

ძველი ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება აუცილებელია ჭეშმარიტების განვითარებისათვის. ძველი დოგმა და რუტინა, მიუხედავად მათი ავტორის დიდი სახელისა—უნდა იქნეს უკუგდებული. „ბრმად დაჯერება ყოველი იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურის-მგდებლის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარყოფს,—მართლა დიდი ხანია უგუნურებად არის მიჩნეული*)". აქედან გამოსვლით ილია მოუწოდებს ახალგაზრდობას თვით იკვლიონ, მოსჩხრიკონ, შეამოწმონ „და **თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ და საკუთარ რწმენად გარდაქმენ** სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი**)". ილია ყოველივე ამას ლაპარაკობს ძველი ავტორიტეტების შესახებ, რომელთა რწმენა ჩვენში უკვე შეირყა და რომელთა ზეგავლენისაგან აუცილებელია ახალგაზრდების განთავისუფლება, რომ არ შეიბორკოს მათი ინიციატივა და თვითმოქმედება.

კარლ მარქსი გენიალურად არკვევდა მკვდარ თაობათა და ავტორიტეტების ბრმად მორჩილების მავნე მნიშვნელობას:

„ყველა მკვდარ თაობათა ტრადიცია მაჯვალსავით აწევს ცოცხალთა ტვინს; და როდესაც ადამიანები თითქოს იმით არიან გართულნი, რომ **თავისი თავი და საგნები გარდაქმნან, ჯერ არ არსებული შექმნან, რევოლუციური კრიზისების სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს,** გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს,—რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან***)".

მარქსის ეს სიტყვები საბრძოლო პროგრამა იყო ახალი თაობისათვის—ძველი სამყაროს დანგრევისა და ახალის აგებისათვის ბრძოლის პროცესში, საკუთარი თავისა და სამყაროს რევოლუციური გარდაქმნისა და ახალი იდეოლოგიის გამომუშავების პროცესში.

ილია ჭავჭავაძის მოსაზრება ყალბი ავტორიტეტების გავლენისაგან ახალგაზრდების დახსნის შესახებ—საბრძოლო პროგრამაა XIX-საუკუნის ქართველი ახალგაზრდობისათვის, ძველი დოგმებისა და რუტინის დაძლევისა და მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; ის მოწოდებაა ახალი შემოქმედებისა და აზროვნებისაკენ. ახალგაზრდობა ენერგიულად უნდა მიჰყვეს მეცნიერების განვითარებას, იყოს მისი უკანასკნელი მიღწე-

---

*) ტ. VIII, გვ. 119.

**) ტ. VIII, გვ. 119.

***) კ. მარქსი, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", გვ. 9, 1932 წ.

ვების კურსში „თორემ, სწერს ილია,—აქაო და ამ ოცდა-ათ წლის წინად ამა და ამ საგანზე ესა და ეს ითქვაო და დაიჟინონ,—ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჭიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა *)“, ესეც რევოლუციური დებულებაა აზრის გასათავისუფლებლად ძველი იდეებისა და ტრადიციებისაგან.

ილია ჭავჭავაძეს სწამს ძლიერი ავტორიტეტობა, რომელიც „ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც“ და ნამდვილი მეცნიერული ავტორიტეტები, რომლებიც შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნენ ახალგაზრდების მიერ. ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებიდან, ილიას აზრით „სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი **)“. ასეთი შეხედულება მას უმეცრებად მიაჩნია და ყველა დიდი, ჭეშმარიტი მეცნიერისა და ლიტერატურის ავტორიტეტისადმი დიდ პატივისცემას მოითხოვს და მათი ღირსეული შესწავლისაკენ მოუწოდებს ჩვენს ახალგაზრდობას. ვინ არიან ეს საიმედო ავტორიტეტები?—„ავტორიტეტი მეცნიერებაში ის კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმდენად შეურყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავდებია მისის აზრის შეუცდომლობისა ***)“, და „როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა ***)“. ასეთი ავტორიტეტები უნდა იწამო, ილიას აზრით, მათ უნდა ენდო, მათგან უნდა ისწავლო და ღირსეული პატივისცემით მოეპყრა.

7. ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების წინაშე ილია ჭავჭავაძე აყენებს **მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანას.** ილია არც ერთ საზოგადოებრივ ღონისძიებას არ ფარგლავდა მარტოოდენ დღიური ამოცანით. ყოველ მისაღებ და განსახორციელებელ ღონისძიებას ის განიხილავდა და აფასებდა როგორც აწმყო ისე მომავლის თვალსაზრისით ანდა გამოუნახავდა ხოლმე მას როგორც იმ მომენტის ისე მომავლის ღირებულებას. ასევე, თავის მრავალ მხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ის ყოველთვის ფართო პერსპექტივით მოქმედობდა. ეს პერსპექტივა იყო მისი ქვეყნისა და ხალხის თავისუფალი მომავალი. ილია ჭავჭავაძე XIX-ს. ქართველ მწერალთა შორის იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, რომელიც სრულებით არ იყო შეპყრობილი წარსულის კულტით, ისტორიული სიძველეების იდეალიზაციით. მან იცოდა, რომ საქართველოს წარსულში ბევრი რამ არის სანაქებო, მისაბაძი, სასიხარულო, საჭიროდ მიაჩნდა მისი ცოდ-

*) ტ. VIII, გვ. 287.

**) ტ. VIII, გვ. 119.

***) იქვე, გვ. 121, 122,

ნა, გამოყენება, მაგრამ მანვე იცოდა, რომ დარდი და მწუხარება ჩვენი კარგი წარსულის გამო ვერც აწმყოს გაგვიუმჯობესებს და ვერც კარგ მომავალს შეგვიქმნის.

მომავალი თაობის აღმზრდელ დედას ილია აძლევდა შვილის აღზრდის გარკვეულ პერსპექტივას (ძმობა, ერთობა, თავისუფლება, მამულის სიყვარული, მამულისათვის ბრძოლა, ჭეშმარიტება და განათლებული კვალი) და ამასთანავე მოუწოდებდა:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს
ჩვენ უნდა ჩვენში ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

(„ქართვლის დედას“)

ილია ჭავჭავაძეს ხშირად უყვარდა ხალხური ანდაზის განმეორება: **„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“** და ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის მართლაც არაფერს ზოგავდა, ისე როგორც არაფერს ზოგავდა დაემტკიცებია ბოროტება და მავნეობა კონსერვატორული ანდაზისა: „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“. მთელი მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა ახალი გზების ძიებასა და ახალი სამყაროსათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ილია ხშირად მიმართავდა ქართველ ხალხს: „ქართველობამ... გაისაჯე, თუ გინდა, რომ მამათა ნათქვამისამებრ, შვილი მამასა სჯობდეს და **მომავალი—აწმყოს. დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ***)...

ილიას სწამდა საქართველოს საიმედო მომავალი. ის ოპტიმისტურად იყო განწყობილი ამ მომავლის მიმართ და მოუწოდებდა თავის ქვეყანას უარეყო ყოველგვარი მწუხარება:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
აწმყო თუ არა გწყალობს, **მომავალი ჩვენია,**
თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალი ხომ შენია,
მათ ახლად აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“.

სამშობლოს მომავალი დიდების დამკვიდრება ილიას მიაჩნდა ახალგაზრდობის ისტორიულ ამოცანად. საჭირო იყო ახალგაზრდების მეთაური, გმირი, და სწორედ ასეთად შეიქმნებოდა ის ყრმა, რომელიც სიმვოლურად „ბაზალეთის ტბის“ ძირის აკვანში იზრდებოდა:

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, **ვისიც არ ითქმის სახელი,**
ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს **ჩუმის ნატვრითა ქართველი.**

*) ტ. VII, გვ. 293.

მომავლის საღი პერსპექტივის შექმნის მიზნით ილია ჭავჭავაძე მოითხოვს ისტორიის მეცნიერულ ცოდნას. მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ანალიზით მიაჩნია მას შესაძლებლად მომავლის სწორი გათვალისწინება. განვითარების თეორია ისტორიულ პროცესში მჟღავნდება, ამავე პროცესის საშუალებით ვგებულობთ ჩვენ როგორც მატერიალური ისე იდეური ცხოვრების გენეზისს, მის ცვალებადობას ისტორიის ეპოქების მიხედვით.

ამასთან ყოველ ეპოქაში ჩანს ძველის ნაშთი და ახალის ჩანასახი, ისე როგორც:

„წარხული — მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა“, სწერს ილია და აგრძელებს: **„ეს სამი სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გაუგებარი და გამოუცნობია** *)“.

აქ ჩვენ გვაქვს პირდაპირ გენიალური პროგნოზი ისტორიული პროცესისა და ამავე დროს რევოლუციური იმ პერიოდისათვის, როდესაც ეს ფრაზა იწერებოდა (1888 წ.) აწმყო გაუგებარია წარსულის გარეშე ისევე როგორც უპერსპექტივო და ბურუსიანი იქნებოდა მთელი მომავალი წარსულისა და აწმყოს მამოძრავებელ ძალთა მეცნიერული ანალიზის გარეშე. ამ დებულებას უკავშირებს ილია ჭავჭავაძე **ლეიბნიცის** აფორიზმს:

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, და ფიქრობს, რომ ხალხის ისტორია გვაძლევს ნამდვილ და უტყუარ საშუალებას იმის გასარკვევად, თუ როგორ და რა პირობებში შეიქმნა ეს აწმყო წარსულისაგან და ამასთანავე ამ აწმყოს ნიადაგზე როგორი მომავალი შეიძლება წარმოიშვას. აქედან ის რევოლუციური დასკვნა გამომდინარეობს, რომ როდესაც აწმყო საუკეთესო და საიმედო მომავალს არ გულისხმობს, მაშინ საჭიროა **ამ აწმყოს გარდაქმნა იმ გზით და მეთოდით, რომ სწორედ წინასწარ ნიშანდასახული მომავალი მივიღოთ.**

ილიასათვის ცხადი იყო, რომ წარსულ დროში შექმნილი და დაგროვილი კულტურული სიმდიდრე და გამოცდილება ჩვენ უნდა შევისწავლოთ იმ მიზნით, რომ გამოვიყენოთ მათგან ყოველივე სასარგებლო და გამოსადეგი, რათა ამით დავზოგოთ ჩვენი ენერგია და დრო ახალის შექმნისათვის. ილია სწერს:

„შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ქონდეს რაშია მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი—ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება**)“.

*) ტ. V, გვ. 239.

**) იქვე გვ. 241.

ასეთივე აქტუალური და თანამედროვებისათვის გამოყენების თვალსაზრისით უდგება ილია პედაგოგიკის ისტორიასა და პედაგოგიკის კლასიკოსებს, განსაკუთრებით ჰუმანისტ პედაგოგებს. ილია მოითხოვს: „ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მოიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ *)".

ისტორიის, როგორც მეცნიერების, განმარტებაშიც არ ივიწყებს ილია ჭავჭავაძე მის როლს **მომავლის** კვლევის საქმეში. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია სულ უკანასკნელ ხანამდე განმარტავს ისტორიას, როგორც მეცნიერებას წარსულის ანუ განვლილის შესახებ. ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1888 წელს, გამოდიოდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ წარსული აწმყოს საფუძველია, აწმყო კი მომავლისა—მოგვცა ისტორიის შემდეგი დეფინიცია: „რა არის ისტორია? **იგია მთხრობელი ცხისი თუ რანი გიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც**)". ისტორიული მეცნიერების ასეთი აქტუალური ფუნქციის აღნიშვნით ილიამ ძალიან წინ წასწია ისტორიოგრაფიის საქმე საერთოდ, ხოლო საქართველოში კი მან ჩაუყარა საფუძველი მეცნიერული ისტორიოგრაფიის აღმოცენებას.

მართალია ჩვენს პირდაპირ თემას არ ეხება, მაგრამ რადგანაც შევეხეთ ილიას მეთოდოლოგიურ კონცეპციებს ისტორიის შესახებ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენში პირველად ილიამ მოგვცა ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილი მეცნიერული კრიტიკა იმის დასაბუთებით, რომ არსებითად ჩვენ მეცნიერულად დამუშავებული ისტორია არ გვქონდა, რადგანაც მის დრომდე არსებული ისტორია არ იყო გაცილებული „ქართლის ცხოვრების" ისტორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მხოლოდ მეფეთა ისტორიას წარმოადგენდა:

„ჩვენში „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომჭმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია***)". ილია ილაშქრებს ასეთი ისტორიის წინააღმდეგ და მოითხოვს შეიქმნეს ისტორია **ხალხის** ყოველმხრივი ცხოვრებისა, მისი წარსულის გადმოცემით, აწმყოს გარკვევით და მომავლის ნათელი პერსპექტივით. ილიას აზრით ისტორიას ქმნის მხოლოდ მშრომელი ხალხი, მხოლოდ „ტვირთმძიმენი და მაშვრალნი" წარმოადგენენ ისტორიის განმაახლებელ ძალას, მათი მოძრაობა და ბრძოლა კი ისტორიის განვითარებას მოასწავებს, ხოლო მშრომელთა ბრძოლის შეჩერება ან მა-

*) ტ. VIII, გვ. 344.
**) ტ. V, გვ. 207.
***) იქვე, გვ. 201.

თი დროებითი დამარცხება—ისტორიის შეფერხებასა და განახლების ძალთა შეჩერებას გამოიწვევს. სწორედ ასე შეაფასა ილია ჭავჭავაძემ **პარიზის კომუნის** დაცემა:

„კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი“
(„კომუნის დაცემის დღე“)

ილიას სურდა ასეთი ისტორიის შექმნა ანუ აღდგენა, რადგანაც მისი აზრით **„აღდგენა ისტორიისა—ერის გამოცოცხლებაა, გამოჭხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა ხიძნელისაგან***)“. ასეთი ისტორიის დავიწყება ილიას აზრით ერის დაცემისა და გათახსირების მაჩვენებელია, ხოლო „ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა**)“.

ისტორიის შესწავლა ახალგაზრდობის მიერ ილიას საჭიროდ მიაჩნდა არა მარტო წარსულის დიდი კულტურული სიმდიდრისა და გამოცდილების დაუფლებისათვის აწმყო და მომავალ ცხოვრებაში მათი გამოყენების მიზნით, არამედ აგრეთვე იმ სათვისაც, რომ ამ გზით ჩვენმა ახალგაზრდობამ უფრო გააფართოვოს თავისი გონებრივი ჰორიზონტი, შესძლოს მომავლის საღი პერსპექტივის შექმნა და ბრძოლა მისი რეალიზაციისათვის.

IV. პედაგოგიკის საგანი და მისი დეფინიცია

პედაგოგიკის საგნად, საერთოდ ცნობილია ბავშვთა და მოზარდ თაობათა აღზრდა და სწავლა-განათლება. ეს განმარტება არსებითად სწორია, მაგრამ ამავე დროს მეტად ზოგადი; ამიტომ აუცილებელია ზოგადი განმარტების პარალელურად მოცემულ იქნეს მისი კონკრეტიზირება გარკვეულ ისტორიულ პერიოდთან და კლასობრივი ბრძოლის ფორმებთან დაკავშირებით. პედაგოგიკის განმარტების ასეთი კონკრეტიზირება უნდა მოხდეს მისი ობიექტის ანუ ბავშვის აღზრდის მიზნებისა და შინაარსის ზუსტი გარკვევით სათანადო კლასის ან საზოგადოების საბრძოლო ამოცანების მიხედვით განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში.

როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, საგანი და ამოცანები?

აღმზრდელობითი პროცესისა და აღზრდა-განათლების შესახებ ილიას იდეების ზემოთ აღნიშნული მიმოხილვის შემდეგ, მკითხველს ეჭვიც არ უნდა ეპარებოდეს, რომ პედაგოგიკის საგანი და ობიექტი მას სავსებით სწორად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. მართლაც პედაგოგიკის (პედაგოგიის) პირველი და მასთან სწორი განმარტება ილია ჭავჭავაძის მიერ ჩვენ გვხვდება იმავე დროსა და იმავე დოკუმენტებში, როდესაც და რომელშიც

*) იქვე, გვ. 244.
**) ტ. IV, გვ. 257.

ის იძლევა ახალი თაობის აღზრდის მიზნებისა და მნიშვნელობის პირველ და ამასთან სავსებით სწორ განმარტებას: ესაა, როგორც უკვე თავშივე მოვიხსენიეთ, 1863 წელი და მისი წინასიტყვაობა გერმანელი პედაგოგის **ხრისტიან ჰოტგილფ ზალცმანის** (1744—1811) **„კონრად კიფერის“** ქართული გამოცემისათვის. („საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 3, გვ. 49). ამ წინასიტყვაობაში ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად არკვევს პედაგოგიკის (პედაგოგიის) სავანს:

„პედაგოგია ბერძნული სატყვაა, ნიშნავს: ყმაწვილიხ აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ*)“.

აქ სწორადაა მოცემული პედაგოგიკის, როგორც ტერმინის, ლინგვისტური წარმოშობა, ისე აგრეთვე სავსებით სწორადაა მოცემული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ზოგადი დეფინიცია (განმარტება). ამავე წინასიტყვაობაში ილია გვაძლევს პედაგოგიკის მეორე განმარტებას, რაც — ბუნებრივია — პირველის არსებით განმეორებას წარმოადგენს. ეხება რა საკითხს, რომ ჩვენში ძალიან სუსტადაა გავრცელებული პედაგოგიური განათლება, რომ აღზრდის შესახებ ჩვენში არაფერი იწერება, აღნიშნავს:

„ჩვენში... ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მეცნიერება-**პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა****)“.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე ამ ორივე ციტატით გვაძლევს პედაგოგიკის ზოგად დეფინიციას და, როგორც ზოგადს, უეჭველად სწორს და მართებულს. შეიძლება ვიკითხოთ, აქვს თუ არა მას პედაგოგიკის უფრო კონკრეტული განმარტება სათანადო ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოთხოვნილებათა მიხედვით?. თუ გავიხსენებთ, რომ პედაგოგიკის ასეთი კონკრეტული განმარტება უნდა მოხდეს მისი ობიექტის ანუ აღზრდის შინაარსისა და მიზნების განსაზღვრით სათანადო ისტორიული პერიოდის კლასობრივ-საზოგადოებრივი ამოცანების საფუძველზე—მაშინ არამც თუ შეგვიძლია, არამედ ვალდებულიც ვართ ამ კითხვას დადებითად ვუპასუხოთ.

ჩვენ უკვე ვსცადეთ წინა თავებში გაგვერკვია აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი ფუნქცია, ახალგაზრდობის აღზრდის პროცესი და მისი მიზნები ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით. ჩვენ იქ (იხ. თავი III, აღზრდის ამოცანები) გარკვევით აღვნიშნეთ, რომ ილია, ახალთაობის აღზრდის მიზნების განსაზღვრის დროს გარკვეულად იდგა ისტორიული პრინციპის საფუძველზე და ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის მიზანს 80—90 წლებში საზღვრავდა ამ პერიოდის მთავარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანებით, რომელიც ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობის განვითარებასა და „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენაში“ გამოიხატებოდა. ამით თავისთავად ირკვეოდა იმ დროის ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის შინაარსი და, მაშასადამე, პედაგოგიკის საგანიც კონკრეტულად ისაზღვრებოდა.

---

*) „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 3, მარტი, გვ. 49.

**) იქვე.

V. სკოლის როლი და ამოცანები

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მოძღვრებაში სკოლას და სასკოლო აღზრდა-განათლების სისტემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სკოლის მიზანი არსებითად არ უნდა სხვავდებოდეს აღზრდის მიზნებისაგან. ისე როგორც აღზრდის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გაბატონებული კლასის იდეოლოგიის საფუძველზე, ისევე სკოლის მიზნებიც ყოველგვარ სახელმწიფოში გაბატონებული კლასის აღმზრდელობითი ინტერესებით განისაზღვრება. ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ამოცანების გარკვევის დროს ჩვენ არსებითად უკვე ვარკვევთ ამ ახალგაზრდობის აღზრდის გამტარებელი ძირითადი ორგანიზაციის ანუ სკოლის ამოცანებსაც. სკოლა ახორციელებს აღზრდის ამოცანებს, ამით—თავის ამოცანებსაც, მაგრამ ეს განხორციელება მიმდინარეობს პროცესის სახით, რომელიც სასკოლო პედაგოგიურ პროცესად არის ცნობილი. სკოლის სათანადო საფეხური აღზრდის გარკვეულ პერიოდს შეიცავს და, მაშასადამე, პედაგოგიური პროცესის განსაზღვრულ ეტაპს წარმოადგენს.

ვნახოთ როგორ ესმის სკოლის როლი და ამოცანა ილია ჭავჭავაძეს და როგორ კავშირს ამყარებს იგი სკოლასა და საზოგადოებრივი აღზრდის პროცესს შორის. ჩვენ ამ უკანასკნელის (აღზრდის პროცესის და მიზნების) შესახებ უკვე ვიცით ილიას აზრი. ეხლა საჭიროა შევეხოთ მის აზრს სკოლის როლისა და მიზნების შესახებ. „საერო (სახალხო გ. თ.) **სკოლის უმთავრესი ხაგანი და ხაქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თავისა აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოთ მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა.** საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა **ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს***)“.

ამ პირველი ციტატიდანაც კი ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძე სრულებით არ ასხვავებს სკოლის მიზანს აღზრდის მიზნებიდან საერთოდ. აქ ჩვენ ვხედავთ სკოლის დანიშნულებას ახალგაზრდობის როგორც გონებრივ ისე ეთიკურ განვითარებაში და თვითმოქმედების უნარის გამომუშავებაში, რომ ასეთი ახალგაზრდობა „საკუთარი ჭკუით და გულით“ გაუძღვეს ერის უმრავლესობის მოქმედების საქმეს. ამას გარდა საერო (სახალხო) სკოლის მიზანს ბავშვის აღზრდის მიმართ, ილიას აზრით, ყველაზე უფრო კარგად განმარტავს „გამოჩენილი რუსი პედაგოგი“ კ. დ. უშინსკი, რომელიც ილიას ციტირების მიხედვით, საერო (სახალხო) სკოლის საგნად სთვლის არა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, უშინაარსო და გამოუსა-

*) ტ. VII, გვ. 215—216.

დეგარი ცოდნის გავრცელებას, არამედ ისეთი ცოდნისა, რომელიც თავისი ბუნებით **რეალურია**, ავითარებს ბავშვს გონებრივად, აძლევს სწორ წარმოდგენას ბუნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ, აძლიერებს ბავშვის ინიციატივასა და თვითმოქმედებას, რომ „ცნობიერად იცხოვროს და გონიერად იმოქმედოს“. მოყავს რა კ. უშინსკის ეს აზრი სახალხო სკოლის შესახებ*), ილია ჭავჭავაძე სთვლის, რომ აქ მოცემულია „თავი და ბოლო საერო სკოლისა“ და შემდეგშიც ხშირად მიმართავს უშინსკის ავტორიტეტს სკოლის სხვა ამოცანების გარკვევის შემთხვევებში.

ქართველი ხალხის ჩამორჩენის, უღონობისა და უბედურების მიზეზად ილია ჭავჭავაძე, როგორც ვიცით, სთვლიდა უმეცრებასა და უცოდინარობას და არ ზოგავდა არც ფიზიკურ და არც მორალურ-ინტელექტუალურ ენერგიას ამ უმეცრებისა და უსწავლელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ხოლო ამ ღონისძიებათა შორის მას უპირველეს და უმთავრეს ღონისძიებად სამართლიანად მიაჩნდა სკოლა:

„ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათაშორის სკოლაა. სხვათაშორის მეთქი, სხვათაშორის კი არა, ერთი უპირველესი და მთავარი ღონისძიება სასწავლებელია**)“.

სკოლას აქვს აგრეთვე სხვა საპატიო საზოგადოებრივი დანიშნულებაც. ეს დანიშნულება ბავშვის აღზრდაზე და მის მერმისზე გავლენასა და ზემოქმედებაში გამოიხატება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ილია განსაკუთრებული სიცხადით ასაბუთებდა საზოგადოებრივი აღზრდისა და გარემოების გავლენის გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის მომავალზე; აღზრდისა და გარემოების არც ამ ფუნქციიდან გამოურიცხავს მას სკოლა. ეხება რა სოციალური წრის ზედმოქმედებას მოზარდი თაობის მერმისზე, ილია სწერს:

„არის მეორე საგანიც, რომელსაც, არ თუ მეტი, ნაკლები ზემოქმედება არა აქვს ადამიანის ავკარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა***).

აღზრდა-განათლების საერთო საზოგადოებრივი იდეებისა და მიზნების მთავარ გამტარებელ დაწესებულებად ილიას, როგორც ვნახეთ, მიაჩნია— სკოლა. მაგრამ სკოლა ახორციელებს აგრეთვე აღზრდის უშუალო და პირდაპირ მიზნებს: ბავშვის ყოველმხრივ, ჰარმონიული, მომზადების პრინციპებს. ესაა: გონებრივი, ზნეობრივი და ტექნიკური განათლება, ფიზიკური განვითარება, ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა, ინიციატივისა და თვითმოქმედების გამომუშავება და სხვ.

არაერთხელ და ორჯერ აღუნიშნავს ილიას, რომ გონებრივი განათლების („გონების გახსნის“) და სწავლა-ცოდნის შეძენის უმთავრესი სახსარი სკოლაა. მაგრამ სკოლა ამავე დროს უნდა ემსახურებოდეს ბავშვის

---

*) ტ. VII, გვ. 215—216.

**) ტ. VI, გვ. 156.

***) ტ. VIII, გვ. 317.

ზნეობრივ განათლებასაც, ვინაიდან ზნეობრივი განათლება მჭიდროდ არის დაკავშირებული გონებრივთან. „ამიტომაც ჩვენა გვგონია, სწერს ილია, რომ თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე-იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების განახლებასაც შველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს*)“.

სკოლის დანიშნულებაში შედის აგრეთვე ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვა და გამაგრება. თავისი დროის სკოლის ცალმხრივობას ილია მითაც ასაბუთებს, რომ ეს სკოლა არ ზრუნავს მოწაფეთა ფიზიკურ განვითარებაზე და „ტან-აგებულობას ადამიანისას არამც-თუ შველის, არამედ ჰღალავს“. სკოლამ უნდა შემოიღოს ტანთ-ვარჯიში და სისტემატური წრთვნა ბავშვის სხეულის გაჯანიანებისა და გაღონიერებისათვის. ფიზიკური აღზრდის მისაბაძ ორგანიზაციად ილიას მიაჩნდა იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგის **ვიტორინო და-ფელტრეს** მიერ მანტუას სკოლაში („მხიარულების სახლში“) შემოღებული ფიზიკური აღზრდის წესი და მეთოდი. რაში მდგომარეობდა იგი: „სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაგინდ ტაროსიც ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სროლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში. ზოგჯერ ნადირობისა და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა და კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიაც**)“. ილიას სურდა, რომ ქართულ სკოლაშიც ასევე ყოფილიყო დაყენებული ფიზიკური ვარჯიშის საქმე.

ტექნიკური განათლების გავრცელების მიზნით ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა სახელოსნო და სამეურნეო სკოლების დაარსებას. ასეთი სკოლები მას მიაჩნდა პროფესიული განათლების სკოლებად, რომლებიც აძლევდნენ ახალგაზრდობას სათანადო ცოდნას შრომის რომელიმე დარგში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიისათვის, როგორც აგრარული ქვეყნებისათვის ილია უმთავრესად მოითხოვდა სამეურნეო განათლების და მის შესაფერისს სამეურნეო სკოლებს: „ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა, სწერდა ილია—სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც... მიწის მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის—**სამეურნეო სკოლაა**)“. ასეთი სკოლის სახედ და ნიმუშად მას მიაჩნდა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა.

ილია ჭავჭავაძე იცავს აგრეთვე ეროვნულ-პატრიოტული მოტივის გაძლიერებას ქართულ სკოლებში. ამ მიზნით ის მოითხოვს: „მოგვეცით

*) ტ. VIII, გვ. 319.
**) ტ. VIII, გვ. 331.
***) ტ. VI, გვ. 166.

მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი. ნუ გაურევთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება*). განსაკუთრებული გრძნობით მოითხოვს ილია ახალგაზრდა ქართველ ქალთა პატრიოტული განათლების სკოლებს: „ნურავინ ნუ დაივიწყებს, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით“**). ილიას რომ ქართული ნაციონალიზმი არავინ დასწამოს და ისიც საქართველოს გარეშეც, ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული პატრიოტიზმი მას სურს ქართველებისათვის და ქართული პატრიოტული გრძნობების აღმზრდელი სკოლა კი მხოლოდ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში უნდა აღიზარდონ იმ ქვეყნების პატრიოტები იმ ქვეყნების მკვიდრთაგან და იმათვე სკოლებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძეს ეროვნულ-პატრიოტული სკოლის საჭიროება დასაბუთებული აქვს პედაგოგიკის იმავე კლასიკოსების მოსაზრებით, რომლებითაც ის ასაბუთებდა პატრიოტული აღზრდის საჭიროებას: **ჰენრიხ პესტალოცი, ადოლფ დისტერვეგი, კონსტანტინ უშინსკი, კარლ რიხტერი** და სხვ.

ილიას ეროვნული სკოლა არ არის ვიწრო პატრიოტიზმით შეპყრობილი. ის შეიცავს ფართო მხარეთმცოდნეობის ელემენტების სწავლებას. სკოლის პირველი ამოცანა (ეროვნული აღზრდის მხრივ) თუ სამშობლოს სიყვარულია, სამაგიეროდ: „მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ეროვნივი ელემენტი არის, ესე იგი ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და სცხოვრობს**)“... ასეთია ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პატრიოტული სკოლა. ის, როგორც მისი პატრიოტული აღზრდის იდეა, სრულებით არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალური აღზრდის პრინციპს და ამ პრინციპის გამტარებელ ინტერნაციონალურ სკოლას, თუმცა, კვლავ ვიმეორებთ, რომ ილიას ეროვნულ-პატრიოტული სკოლა ძალიან შორსაა ჩვენი, საბჭოთა ინტერნაციონალური სკოლისაგან, რომელიც შინაარსით ინტერნაციონალურია, ფორმით კი ნაციონალური.

გარდა ზემოთაღნიშნული თვისებებისა ილია მომავალი სკოლის წინაშე აყენებს რეალურ-პრაქტიკული ცოდნის გავრცელების ამოცანას, ოჯახთან უშუალო თანამშრომლობას მასზე პედაგოგიური ზეგავლენისათვის, ბავშვთა თვითმოქმედებისა და დამოუკიდებელი ჩვევების გამომუშავებას, მომავლის საღი პერსპექტივის შექმნას და სხვ.

ილია ჭავჭავაძე აყალიბებს ახალი, სასურველი სკოლის იდეებსა და ორგანიზაციას ძველი სკოლის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში, მკით-

---

*) იქვე, გვ. 157.

**) ტ. VII, გვ. 221.

ხველმა უკვე იცის როგორი სისასტიკით აკრიტიკებს ილია ძველ, ფეოდალურ, აღზრდას (თავი II, აღზრდის პროცესი) და მის დამღუპველ ზეგავლენას ახალგაზრდობის მომავალზე. თუ კოლა (დათიკო), ბეჟანი და თვით „კეთილშობილი“ ლუარსაბ თათქარიძე ძველი აღზრდის და გარემოების შედეგს წარმოადგენენ, ამასთან იგივე პირები ძველი სკოლის პროდუქტებიც არიან (ლუარსაბ თათქარიძის გამოკლებით, რომელსაც არსად უსწავლია, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობდა, რადგანაც ღორის სუკი, ჩალალაჯი, ბოზბაში და ზუთხი მუდამ ბლომად ჰქონდა). ილიას მშვენივრად აქვს დახასიათებული ძველი და თავისი დროინდელი სკოლა როგორც სქოლასტიკური, ცრუმორწმუნეობის, ფორმალისტური, დოგმატური, ცემა-ტყეპისა და ლანძღვა-გინებისა, ზეპირსიტყვაობისა, ცალმხრივი და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი განათლებისა, პროგრესული აზრების ჩამკვლელი, რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ძველ სკოლას ილია ჭავჭავაძე ცალმხრივი განათლების სკოლად სთვლის, ამ ცალმხრივ განათლებად ის აღიარებს მარტო გონებრივ განათლებას (სწავლა-ცოდნას), მაგრამ მას არც ეს განათლება მიაჩნია რეალურ, ჭეშმარიტ განათლებად. „**თუმცა ეხლანდელ სკოლას**,—სწერს ილია,—**განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუჭება და ვერა-გზით ვერ სწვდება**“*), და თუ ძველი სკოლა ვერც ამ თავის ძირითად მიზანს ასრულებს, ცხადი ხდება, რა ფასი ექნება მას ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში.

ილია თავისი გამოსვლებით სიტყვიერად თუ პრესის საშუალებით განუხრელ ბრძოლას აწარმოებდა ამ ძველი სკოლის წინააღმდეგ, აორგანიზებდა მოწინავე საზოგადოებრივ აზრს ამ მიმართულებით და თვითონ ჰქმნიდა ამბოხების ტონსა და შეურიგებლობის განწყობილებას. აღსანიშნავია, რომ თავისი დროის საშუალო სასკოლო განათლების სისტემის გამანადგურებელი კრიტიკის დროს ილია არ ივიწყებს ამ სკოლაში გამეფებული ძველი (მკვდარი) ენების: ბერძნულისა და ლათინურის სქოლასტიკური სწავლების მავნე მნიშვნელობას ახალგაზრდობისათვის. ბერძნულმა და ლათინურმა დაჰკარგეს თავის მეცნიერული მნიშვნელობა საშუალო სკოლისათვის. ისინი ზედმეტ ბარგად აწვენ კისრად მოსწავლე ახალგაზრდობას და უნაყოფოდ ართმევდნენ იმ დროს, რომელიც მათ მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისათვის უნდა მოეხმარათ.

როდესაც გადასწყდა (1896) სათავად-აზნაურო სკოლა ტექნიკური განხრის სასწავლებლად გადაკეთების მაგივრად გიმნაზიად გადაკეთებულიყო, ილია ირონიულად სწერდა: „კარგი და პატიოსანი. ამ სახით გაიმარჯვა ბერძნულმა და ლათინურმა ჩვენში. ნეტავი ჩვენ... ყველაფრით სავსენი ვიყავით, ეს ბერძნული და ლათინური-ღა გვაკლდა და ამასაც

*) ტ. VIII, გვ. 323.

ხომ ვისწავლით*)"... და შემდეგ სამართლიანად დასძენს: „მკვდრების სუნით გვინდა მოვშხამოთ საღი ჰაერი სკოლისა"*). სქოლასტიკურ და მოშხამულ ატმოსფეროს სკოლად ილიას მიაჩნდა თავისი დროის გიმნაზია და მისი ტიპის სასწავლებლები. „ჯერ თვით პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ— სწერს ილია თავისის ლათინურით და ბერძნულით, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა**)" და სთვლის ამ ენების შესწავლას მძიმე ტვირთად და სქოლასტიკურ ვარჯიშად ბავშვებისათვის.

პირველ რიგში სწორედ ამ სქოლასტიკური და მოშხამულ ატმოსფერიანი სკოლების წინააღმდეგ მიმართა მან თავისი მკვეთრი სიტყვა, ბასრი კალამი და რევოლუციური საქმე როგორც პედაგოგმა, მხატვარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ.

ძველი სკოლის ნანგრევებზე ქმნიდა ილია ჭავჭავაძე ახალ სკოლას, მაგრამ მისი ინიციატივით და თაოსნობით დაარსებული სკოლები მაინც ძალიან შორს იყვნენ ისეთი სკოლებიდან, როგორიც თვითონ მას და მის სახელოვან პლეადას***) სურდა რომ შეექმნა. მაგრამ ასეთი სკოლების შექმნა ძნელი საქმე იყო მონარქიული თვითმპყრობელობის სულთამხუთავი პოლიტიკის გამო. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია 1896 წლის 23 დეკემბრის სათავად-აზნაურო სკოლის თათბირზე ი. როსტომაშვილისა და ნ. ცხვედაძის მიერ გამოთქმული აზრი სასურველი სკოლის ტიპის შესახებ; ამ აზრს ილია ჭავჭავაძე ძარღვიან აზრად სთვლის და შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ამისთანა (ი. როსტომაშვილის აზრისთანა გ. თ.) ძარღვიანი აზრი, ხოლო სხვა თვალთახედვიდან კი მოვლინებული, წარმოადგინა ბ-ნმა ცხვედაძემ, რომელმაც სთქვა, რომ ჩვენ ვიცით რა სახის და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის სასურველიო, **ხოლო დრო-ჟამი და ეხლანდელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი ითხოვენ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ ხანად მაინც დადუმდესო,** თუ გვინდა, რომ ჩვენს სკოლაში კურს შესრულებულთ შემდეგისათვის გზა ჰქონდეთ სწავლის განგრძობისაო. ამიტომ სახე და პროგრამა ჩვენის სკოლისა ამ დრო-ჟამსა და უცხო გარემოებას უნდა შეუფეროთო****)".

ეს „ძარღვიანი" მოსაზრება მეტად საგულისხმო იყო ილია ჭავჭავაძისათვის. მან იცოდა, რომ ეს დრო-ჟამი მეფის რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭებია, რომელიც „ჯერ-ხანად მაინც ადუმებდა" როგორც სასურველ სკოლას, ისე ყოველივე პროგრესულს. ამით აიხსნება XIX ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის წარმომადგე-

*) ტ. IX, გვ. 277—8.

**) ტ. VII, გვ. 290.

***) ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ივ. როსტომაშვილი, ნ, ცხვედაძე, ვ. მიქელაძე, გ. იოსელიანი, შემდეგ ლ. ბოცვაძე და სხვ.

****) ტ. IX, გვ. 287.

ნელთა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ქართული სწავლა-განათლებისა და კულტურის დარგში, რომლებიც მათ თეორიულ მოთხოვნილებებს ძალიან ჩამორჩებოდნენ. მაგრამ „დრო-ჟამი და უცხო გარემოებანი“ იძულებულს ხდიდა მათაც ამ ჟამისა და გარემოების „შესაფერისი“, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო, ღონისძიებებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ვნახეთ, არ ყოფილა გიმნაზიისა და მისი ტიპის სკოლების მოტრფიალე, მაგრამ მათ მაინც მხარს უჭერდა, რადგანაც გიმნაზიის გარდა სამეურნეო სასწავლებლებში, სამასწავლებლო სემინარიებში და სხვა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში კურსდამთავრებულებს უფლება არ ჰქონდათ უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ. უნივერსიტეტში) შესვლისა, იმ დროს როდესაც უმაღლესი განათლების მსურველთა რიცხვი საქართველოში სწრაფად იზრდებოდა და ამავე დროს დიდი ენერგიით სწარმოებდა ბრძოლა ჩვენში უნივერსიტეტის გახსნისათვის. უნივერსიტეტში, რომ ქართველებსაც ჰქონოდათ შესვლის უფლება საჭირო იყო საშუალო განათლება გიმნაზიებში მიეღოთ ან მათი კურსით ჩაებარებიათ. ამიტომ უჭერდა მხარს ილია გიმნაზიებს, თუმცა მათ არსებით რეფორმას კი მოითხოვდა. ამასთანავე მან იცოდა, რომ კავკასიის ოლქის მზრუნველის—იანოვსკის,—ხელში და საერთოდ მისი დროის განათლების სისტემაში გიმნაზიის გაუმჯობესება ძნელი და მიუწვდომელი იყო; ამიტომ ილია მოითხოვდა საკუთარ ახალ გიმნაზიას, ახალ საშუალო სასწავლებელს: „ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა“, სწერდა იგი,—„საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივსცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა*)“. ეს ახალი საშუალო სკოლები უნდა მოეწყონ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით და სანიმუშო—სამაგალითო სკოლებად გადაიქცნენ საქართველოში „როგორც გარეგანი მორთულობითა და მოწყობილობითა, ისე სწავლის მიმდინარეობითა..., როგორც ეხლანდელი პედაგოგია თხოულობს**)“. მაგრამ შორსმჭვრეტელი ილია არც ამ, მართლაც იშვიათ და აუცილებელ მეცნიერულ-პედაგოგიურ ღონისძიებებს სთვლის საკმარისად, რომ ხალხის ფართო მასები მიიზიდოს სასწავლებელმა. ჩვენი ხელმოკლე და ღარიბი ხალხისათვის მატერიალურად ის ხელმიუწვდომელი იქნება. ამისათვის საჭიროა ჩვენ საშუალო სასწავლებლებთან მოეწყოს სრული პანსიონები მოსწავლეებისათვის: „ჩვენ საკუთარი სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა, რომ ჩვენ შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზრდოებაც და სწავლაც***)“. ასეთ მეცნიერულ-პედაგოგიურად და მატერიალურად მოწყობილ სკოლებს ილია უწოდებს „ახალ სკოლებს“. ისინი მართლაც ახალნი იყვნენ შედარებით მისი დროის სახელმწიფო და კერძო სკოლებთან,

---

*) ტ. VII, გვ. 292, 209.

**) იქვე, გვ. 298

***) იქვე, გვ. 291.

მაგრამ ილიასა და მისი პლეადის თაოსნობით გახსნილი სკოლები **იყვნენ არ იყვნენ, როგორიც მათ სურდათ, არამედ ისეთნი როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მაშინდელი მონარქიულ-კოლონიალური რეჟიმის პირობებში.**

VI. მასწავლებელი და მისი დანიშნულება

ახალგაზრდობის აღზრდის ცენტრალური ფიგურა მასწავლებელი და მისი მაღალი დანიშნულება საზოგადოების კულტურული განვითარების საქმეში—არ შეიძლებოდა დარჩენილიყო და არც დარჩენილა ილია ჭავჭავაძის ყურადღების გარეშე. იქ, სადაც ის ეხებოდა აღზრდის მიზნებს, სკოლის როლს, საზოგადოების ზეგავლენას ბავშვის აღზრდაზე და სხვა სასწავლო - პედაგოგიურ საკითხებს—ყველგან აყენებდა მასწავლებლის საკითხს და აშუქებდა მის როლს ბავშვის აღზრდისა და სწავლა-განათლების მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად სთვლიდა მის ფართო განათლებას როგორც თავის სპეციალურ, ისე სპეციალურის მოსაზღვრე დისციპლინებში, შემდეგ—ღრმა დიდაქტიკურ განათლებას ანუ როგორც ის აღნიშნავდა „სასწავლო მეთოდების“ ზედმიწევნით ცოდნას, ბავშვის უსაზღვრო სიყვარულს, მასზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მისი ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლის უნარს, საზოგადოებრივი მუშაობით გატაცებას, განსაკუთრებით გლეხთა შორის, ბავშვის მშობლებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, პასუხისმგებლობის გრძნობას დაკისრებული მოვალეობისადმი და სხვა ისეთ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მასწავლებლისათვის როგორც ახალგაზრდობის, ანუ ჩვენი მომავლის, აღმზრდელისათვის.

მასწავლებლის როლსა და ამოცანებზე ყველაზე უფრო ვრცლად ილია შეჩერდა თავის მეცნიერულ-პედაგოგიურ და მხატვრულ - ლიტერატურულ ეტიუდში **„უკნაური ამბავი“**, რომელიც ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ. ამ ნარკვევის მთავარი პერსონაჟი სოლომონი, სემინარიაში კურსდამთავრებული, დიდი გატაცებით ლაპარაკობს ბავშვის აღზრდაზე და სცდილობს „წიგნით, ხილვით თუ სმენით“ ყრმის აღზრდა ისწავლოს. ესაა მისი „უდიდესი საქმე“ საოცნებო მიზანი და „ცხოვრების სიზმარი“. პედაგოგიური საქმის სიყვარული მას „სემინარიიდანვე დაყვა“ და მთელი თავისი ჰკუა და გონება ამ საქმისათვის აქვს განწრახული.

პირველი, რითაც პედაგოგი უნდა იწყებდეს თავის მოღვაწეობას, ეს არის მისი მოვალეობის სრული შეგნება. ილია ჭავჭავაძე ბავშვის აღზრდის სირთულის შესახებ, სოლომონის პირით, ლაპარაკობს:

„ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. **მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია***)“. ეს მეტად საყურადღებო აზრია. ილიას პედაგოგობა

*) ტ. III, გვ. 277

მიაჩნია—მეტად „დიდ პასუხ-საგებელ საქმედ“ და „მძიმე მოვალეობად“, ხოლო მეორეს მხრით ის განსაკუთრებული მეცნიერული სიღრმით აღნიშნავს მასწავლებლის როლს მოზარდის აღზრდისა და სოციალური ჩამოყალიბების საქმეში. ილიას აფორიზმული დებულება: **„მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“** დიდი პრინციპული პედაგოგიური დებულებაა. ყრმის პირველ შემომქმედად ილია გულისხმობს **მშობელს,** რომელიც აძლევს ყრმას ადრეულ ფიზიკურ აღზრდას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ილია ბავშვს, როგორც ადამიანს, სოციალურ არსად, ხოლო მის აღზრდას სოციალურ პროცესად აღიარებს და ამიტომ მისი აზრით „ადამიანობას „პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წრთვნა-სწავლაში“, რასაც **პედაგოგი ანუ მზრდელი** ახორციელებს ე. ი. აქცევს ბავშვს სრულყოფილ, განათლებულ ადამიანად და მართლაც მის მეორე შემომქმედად გვევლინება. რამდენადაც ამ მეორე შემოქმედებისათვის აღზრდის პროცესში ილიას „პირველი ადგილი“ აქვს დათმობილი, ცხადი ხდება, რომ ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლა-განათლებაში პედაგოგის როლი მას პირველ და უმთავრეს როლად მიაჩნია.

ბავშვის მომავალი მის აღზრდაზეა დამოკიდებული. ეს დებულება ილიას ძირითად საზოგადოებრივ - პოლიტიკურ პრინციპად მიაჩნია, და რამდენადაც პედაგოგის როლი ბავშვის აღზრდაში პირველია ანუ ძირითადი, იმდენად ბავშვის მომავლის შექმნა **ძირითადად** პედაგოგზეა დამოკიდებული. ამგვარად, ბავშვის მომავლის შექმნა პედაგოგის უმთავრესი დანიშნულებაა.

ბავშვის აღზრდის სიძნელეს და სიმძიმეს ილია ხედავს უპირველეს ყოვლისა მისი **შესწავლის** სიძნელეში. ბავშვის აღზრდა მისი შესწავლითა და აღზრდის მიზნების ცოდნით იწყება, და მართლაც, აღზრდა აღსაზრდელის შესწავლით უნდა დაიწყოს. მაგრამ რატომ არის ძნელი ბავშვის შესწავლა? ილია უპასუხებს:

„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო **ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია,** თუ ესე ითქმის, და **არა სხვილ და სრულ ასოებით,** როგორც დამთავრებული კაცი“**).

პედაგოგის მეორე დანიშნულებას წარმოადგენს გამოარკვიოს ბავშვის ეს „საიდუმლოთა საიდუმლო“, ამოხსნას „ქარაგმით დაწერილი“ მისი შინაგანი სულიერი ვითარება, გრძნობა, აზრი, ნებისყოფა, ინტერესი, მეტყველება და სხვ. ამისათვის ილიას საჭიროდ მიაჩნია ჯერ ფართო პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული განათლება, შემდეგ კი ბავშვის უსაზღვრო და გულწრფელი სიყვარული, მასთან მშობლიური დაახლოვება და მეგობრობა.

„თუ წრთვნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ“, აცხადებს იქვე ილია, და ეს ურთიერთ სიყვარული მასწავლებელსა

---

*) ტ. III, გვ. 280.

და მოსწავლეს შორის აღზრდის აუცილებელ პირობად მიაჩნია. ასე მიუდგა სოლომონი აღზრდის ობიექტს და **„ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი“**.

ბავშვს მოეწონა მასწავლებელი, მასწავლებელს ბავშვი, და „ძნელი დასაწყისი სწავლა-წრთვნისა ერთს დღეს მომიხერხდა: **მე და ბავშვი დავმეგობრდით, ბეწვის ხიდი გავიარე** *)“,—ამბობს სოლომონი.

საუცხოო მხატვრული შედარებაა, მშვენიერი მეცნიერული ანალოგიაა. ბავშვთან დამეგობრება უეჭველად ბეწვის ხიდზე გავლაა. მართლაც, თუ ბავშვთან დამეგობრება მისი აღზრდის აუცილებელი პირობაა, და ამასთან მეგობრობის დამყარება ან დაუმყარებლობა კი სწყვეტს საკითხს აღმზრდელად ვარგისობის ან უვარგისობის შესახებ—მაშინ უდაოა, რომ ბავშვთან დამეგობრების ცდა იმდენად საფრთხილოა, რამდენადაც მისი დამყარებით მასწავლებლად ხდები და ბავშვის მომავალს ქმნი ხოლო მის დაუმყარებლად კი ისპობა შენი პედაგოგობა, ისე როგორც ბეწვის ხიდზე გავლით სიცოცხლეს ინარჩუნებ, ხოლო მისი გაწყვეტით სავსებით ისპობი. ამიტომ, ილია ჭავჭავაძე ზემოთ მოყვანილი ლაკონიური ფრაზით ძალიან სხარტად და მკაფიოდ სწყვეტს დიდ პედაგოგიურ პრობლემას: ბავშვთან დამეგობრების აუცილებლობას მისი რაციონალური აღზრდის მიზნით.

რამდენადაც პედაგოგი ბავშვის აღზრდის ცენტრალური შემომქმედი ძალაა, იმდენად მის დამსახურებას მიეწერება ბავშვის კარგი მომავალი ანუ კარგად აღზრდილი ბავშვი და ვერ ასცდება პასუხისმგებლობას ბავშვის ცუდი მომავლისათვის ანუ ცუდად აღზრდილი ბავშვისათვის. საქართველოს ცნობილი პედაგოგის **ნ. ზ. ცხვედაძისაგან** მიძღვნილ საახალწლო მიგებაში ილია ჭავჭავაძეს „ბრძნობილი პედაგოგიის“ პრინციპად მიაჩნია მასწავლებლის სასტიკი პასუხისმგებლობა ცუდად აღზრდილი ყრმის მიმართ:

„სწავლას ნურას დააბრალებთ, თუ ვერ იქმნა შვილი წვრთნილი,
ცემა გმართებს აღმზრდელისა, რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი“
(საახალწლო ოპერეტი).

გადაჭარბებულად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ცუდი პედაგოგის ასეთი გაკიცხვა. ეს კიდევ უფრო ადიდებს პედაგოგის პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდის მიმართ და ავალებს გამუდმებით იზრუნოს საკუთარი თავის კვალიფიციის ამაღლებაზე.

სასკოლო აღზრდა-განათლების დარგში ილია ჭავჭავაძე პედაგოგის როლს საზღვრავს ორი ძირითადი ფუნქციით: **საგანმანათლებლო** და **საალმზრდელო**. პედაგოგის საგანმანათლებლო ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მან უზრუნველყოს მოსწავლის აღჭურვა მეცნიერული განათლებით, ცოდნის იმ მარაგის მიცემით, რომლის შემდეგაც მოსწავლე ადვილად შესძლებს შემდგომ განვითარებას თვითგანათლების გზით. პედაგოგის

*) ტ. III, გვ. 285.

აღმზრდელობითი ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს მოსწავლის ზნეობრივი სიმტკიცე, ადამიანობა და ჰუმანური გრძნობების გამომუშავება, პიროვნების ღირსების დაცვა და პატივისცემა, ზრდილობა, მოთმინება, თავმდაბლობა და სხვ. აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზნეობრივ აღზრდას და მასწავლებლისადმი მიბაძვა მას ამ მხრივ გადამწყვეტად მიაჩნია. ლაპარაკობს რა მოსწავლეთა ზნე-ხასიათის წარმატებაზე ილია სწერს, „ამ შემთხვევაში **დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულება, ყოფა-ქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულება**“. და იმის დასამტკიცებლად თუ როგორი ძალისაა მასწავლებლის (ოსტატის) მაგალითი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, მოაქვს შემდეგი ამონაწერი ერთი ავტორიდან (რომელსაც ილია არ ასახელებს და ვერც ჩვენ გამოვარკვიეთ მისი ვინაობა ჯერჯერობით):

„იმის დასამტკიცებლად თუ,—რა-რიგად ლბილია ბუნება ბავშვისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშს შთააგონოს კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძლევა თავის დანიშნულებას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი ბავშობიდამ ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყა ბავშებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი კაკალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითომ-და საყურადღებო არა მოხდა რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვითხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინიდისსა. აბა იფიქრეთ,—ამას შემდეგ, რა უპატიურებაც მამაყენა ერთმა თქვენგანმა,—რა გამწარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდან, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. **მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში.** რა საჭიროა... დეე განიკითხოს ის იმისავე სინიდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებლის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ, დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, **რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო.** ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ **მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი, რომ შევიტყო,—ვინ იცის, მეც კაცი ვარ—იქნება გულში იმიხი ჯავრი ჩავიყოლო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს**“.

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის-პასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს: „ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“. ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დაფიწ-

ყებას მივეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შეგირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც იგი ასწავლიდა*)".

თავის მხრივ ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის აღნიშნულ საქციელს შემდეგ სამართლიან შენიშვნას უკეთებს: „ერთი ასეთი **ჰკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე ხამიხა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა თუ სხვა რისამე ამისთანისა**)".**

ილია განსაკუთრებით ჩერდება სოფლის მასწავლებლებზე. მათ, ილიას აზრით, ბავშვების აღზრდა-განათლებისა და სკოლის პატრონობის გარდა, ევალებათ სოფლის ღარიბთა შორის კულტურული მუშაობის წარმოება: წერა-კითხვის გავრცელება, პოპულარული საუბრებისა და ლექციების მოწყობა სხვადასხვა სამეურნეო და საერთაშორისო თემებზე, ბრძოლა ძველი და უარყოფითი ხალხური ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ, ბრძოლა ცრუ-მორწმუნეობასთან და სხვა. ასეთ მისიას სოფლის მასწავლებელი ასრულებს „ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ წყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადაურჩეს გაულახველად**)"... ასეთ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს მასწავლებლებს ძველ დროში. ილიას დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია მათი ასეთი მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ყოველთვის იბრძოდა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. კერძოდ ის მოითხოვდა, რომ თვით საზოგადოება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დახმარებოდნენ მასწავლებლებს, რადგანაც მეფის მთავრობა მათ წელიწადში აძლევდა მხოლოდ ოციდან ოცდაათ თუმნამდე. ილია აღნიშნავს, რომ მის დროს სოფლის მასწავლებლობა დიდ მსხვერპლსა და თავგანწირვას მოითხოვდა:

„კაცმა, რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა სოფლის მასწავლებლისა, სწერდა ილია 1886 წელს,— დააკვირდეს მის დაუღალავ ღვაწლს ყოველის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზე არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული***)".

მიუხედავად ილია ჭავჭავაძის და მისი პლეადის ენერგიული ბრძოლისა სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რევოლუციამდელი რუსეთის მთავრობას მათი ბედი ნაკლებად აინტერესებდა. სახალხო მასწავლებელი რჩებოდა ეკონომიურად ღატაკი და პოლიტიკურად უფლება აყრილი.

---

*) ტ. VIII, გვ. 319—320.

**) იქვე, გვ. 321.

***) ტ. VII, გვ. 234.

ჩვენ ვნახეთ ძველი სკოლის დაუნდობელი კრიტიკა ილიას მიერ და მასთან ძველი მასწავლებელისაც. წინა თავებში გაცნობილი ძველი საზოგადოების წარმომადგენელნი, როგორც ძველი გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები უეჭველია ძველი მასწავლებლის „შემოქმედების“ პროდუქტებიც არიან. ილია გვიხატავს ფეოდალური საზოგადოებისა და შემდეგ რუსეთის ბიუროკრატული სკოლის „ჩინოვნიკ“ მასწავლებლების ცოცხალ სერიას: სწავლების სქოლასტიკოსებს და დოგმატიკებს, „მასწავლებლებს“, რომლებიც ამახინჯებენ ბავშვის სულსა და ხორცს, რომლებსაც არა აქვთ ჯეროვანი განათლება, არ იციან სწავლების მეთოდები, მოწყვეტილი არიან საზოგადოების პროგრესულ ძალებს, ბრმად ემორჩილებიან მონარქიული რეჟიმის საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა პოლიტიკას, სდევნიან პატარა ერების კულტურას და ენას, სთიშავენ სკოლას ოჯახისაგან, მისდევენ მოსწავლეთა ცემა-ტყეპას, გინებას, შეურაცხყოფას და საერთოდ გადაგვარებისაკენ მიყავთ მთელი ახალგაზრდობა.

ილია შეუდრეკლად ებრძვის ახალგაზრდობის და მისი აღზრდის მტრებს, ხოლო ახალგაზრდობის ყველაზე საშიშ მტრად მას მიაჩნია უვარგისი მასწავლებელი, ცუდი აღმზრდელი. ეს გასაგებიცაა. უვარგისი მასწავლებელი, ცუდი აღმზრდელი, ხშირად საბოლოოდ სპობს ბავშვის მომავალს ან ძნელად გამოსასწორებელს ხდის მას. ბავშვობა ისეთ ასაკად მიაჩნია ილიას, როდესაც ბავშვს, მისი აზრით „ადვილად ემჩნევა ავიც და კარგიც“ და ავი მასწავლებელი ნორჩი ასაკის ბავშვს რასაკვირველია, ავის მეტს არაფერს დაამჩნევს.

ძველი, მხეცი და უმეცარი მასწავლებლის სახის ჩვენებით არ დაკმაყოფილდა ილია ჭავჭავაძე. მისი გამანადგურებელი კრიტიკის პარალელურად ილიამ მოგვცა თუმცა დაუსრულებელი, მაგრამ მაინც გარკვეული სახე ახალი მასწავლებლისა. ესაა სოლომონი „უცნაური ამბავის“ მთავარი მომქმედი ფიგურა, რომელსაც ჩვენ ზოგადად უკვე ვიცნობთ. ილიას მასწავლებლის იდეალი, როგორც ვნახეთ, იყო ყოველმხრივ განვითარებული ნამდვილი სახალხო მოღვაწე, მაღალი პედაგოგიური განათლების მქონე, ბავშვის კარგად მცოდნე და მოყვარული, თავის საქმეზე პასუხისმგებელი, მატერიალურად უზრუნველყოფილი და პოლიტიკურად უფლებამოსილი.

მაგრამ როგორც მრავალი სხვა პროგრესული იდეა ილია ჭავჭავაძისა, ისე სახალხო მასწავლებლის იდეალიც ძველ, რევოლუციამდელ რუსეთსა და საქართველოში განხორციელებას ვერ ეღირსა. სახალხო მასწავლებელი მხოლოდ ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში დადგა იმ მატერიალურ და იდეიურ სიმაღლეზე „რომელზედაც ის არ იდგა, არ სდგას და არც შეიძლება რომ იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“ (ლენინი).

VII. საოჯახო აღზრდა და თვითგანათლება

ბავშვის პირველი აღმზრდელი მშობლებია, ხოლო პირველი აღმზრდელობითი ზეგავლენის წრე კი—ოჯახი. ილია ჭავჭავაძის დროს რუსეთსა და საქართველოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები არ არსებობდა სახელმწიფო განათლების სისტემაში, კერძოდაც—ძალიან იშვიათად მოიპოვებოდა; ამიტომ ოჯახი იყო თითქმის ერთად-ერთი უჯრედი სკოლამდელი აღზრდისა, ხოლო მშობელი კი თითქმის ერთად-ერთი აღმზრდელი სკოლამდელი ასაკის ბავშვისა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რა მნიშვნელობა აქვს სკოლამდელი ასაკის პერიოდში ბავშვის სწორ მეცნიერულ აღზრდას მთელი მისი შემდგომი განვითარებისათვის—ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რატომ აქცევდა ილია ესოდენ ფიცხელ ყურადღებას საოჯახო აღზრდას და მშობლის აღმზრდელობით როლს.

ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ აღზრდა-განათლების საქმე ჩვენ **ძირიდან** უნდა გარდავქმნათ, ხოლო ეს ძირი კი არის ოჯახი და მშობელი. თუ ჩვენ გვსურს ბავშვის აღზრდის გარდაქმნა—უნდა დავიწყოდ ოჯახის გარდაქმნით. ამის საშუალება განათლებაა. კარგად განათლებული ოჯახი და მშობელი ბავშვის აღზრდას მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე დაამკვიდრებს და საუკეთესო მომავალსაც მიიღებს, გაუნათლებელი ოჯახი და მშობელი კი ამას მოკლებულია. ოჯახის გარდაქმნისათვის საჭიროა მის წევრთა თანამშრომლობა საერთო შრომის ნიადაგზე. ილიას საჭიროდ მიაჩნია ოჯახის განმტკიცება ახალ საფუძველზე, ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით, და არა მისი უარყოფა და მოსპობა, როგორც მოითხოვდნენ „უარმყოფელობის“ ნიღილისტური სენით შეპყრობილი **ივ. გომართელი** და **არჩილ ჯორჯაძე.** ილია თავის მახვილი პოლემიკური ტონით და გამანადგურებელი ცინიზმით აბათილებს „გომართლის ფილოსოფიას და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგიას“ ოჯახის პროგრესული როლის უარყოფისა და მავნე დაწესებულებად გამოცხადების გამო. ილია ფიქრობს, რომ ოჯახის, როგორც კოლექტივის გარდაქმნა ჩვენ უნდა დავიწყოთ მის ცალკეულ წევრთა გარდაქმნით; წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუვალ, ჯადოსნურ, წრესთან გვექნებოდა საქმე: გაუნათლებელი ოჯახი გაუნათლებელ შვილებს ზრდის, გაუნათლებელი შვილები—გაუნათლებელ ოჯახს ადგენენ და ასე დაუსრულებლად. ეს გარდაქმნა უნდა დავიწყოთ ოჯახის უმფროს წევრთა ანუ მშობლების შეგნებაში მათი შვილის კარგად აღზრდის მოვალეობის შეტანითა და განმტკიცებით.

„საჭიროა ვიცოდეთ, სწერს ილია, რომ **შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა...** გაზრდა შვილისა ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოვე-

ლივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს ერთი დრო ამას უნდა მოვახმაროთ*)".

შემდეგ ილია აღნიშნავს, რომ ამისათვის მარტო სურვილი არ არის საკმარისი, საჭირო ხარჯები. როცა რაიმე აუცილებელი ნივთიერი მოთხოვნილება დაგვებადება,—უცბად ვშოულობთ სათანადო სახსრებს მის დასაკმაყოფილებლად; ხოლო შვილის აღზრდაზე არ ვზრუნავთ „მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადია-რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი. ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში,—აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან**)".

ასე კატეგორიულად აყენებს საკითხს ილია ჭავჭავაძე და მოუწოდებს ყველა მშობელს თავის პირდაპირი და წმინდა — საზოგადოებრივი მოვალეობისაკენ. ამ მოვალეობის განხორციელებით გარდაიქმნება ოჯახი და გაუმჯობესდება აღზრდაც ვინაიდან კარგად, მეცნიერულად, აღზრდილი შვილები განათლებულ ოჯახს შექმნიან, განათლებული ოჯახი კი მეცნიერულ აღზრდას აწარმოებს და ა. შ.

ოჯახმა რომ ბავშვის წესიერი, მეცნიერული აღზრდა შესძლოს საჭიროა მას მჭიდრო კავშირი ჰქონდეს სკოლასთან და სკოლის მასწავლებლებთან. ამით ოჯახი ისწავლის: პედაგოგიკის საფუძვლებს, სწავლების მეთოდებს, ბავშვზე სწორი ზეგავლენის ფორმებს. გაეცნობა იმ პედაგოგიურ პრაქტიკას, რომელიც დაგროვილი აქვს სხვა ოჯახებს და აღმზრდელობით დაწესებულებებს და ისწავლის აგრეთვე საკუთარი აღმზრდელობითი გამოცდილების განზოგადოებას და მისგან სათანადო წესების გამოყვანას. ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ ჩვენში ბევრ ოჯახს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული ეს აუცილებლობა და ამიტომ თვით სკოლამ და პედაგოგებმა უნდა იკისრონ ოჯახთან მუდმივი კავშირის დაჭერის ინიციატივა. ილია დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ეს დიდი ჰეშმარიტება სავსებით ბათილდება „ჩვენებური პედაგოგების ხელში, რომლებიც ილიას თქმით, დღეს აქამამდე ესე წინდაუხედაოდ **ეურჩებიან ყოველს იმას, რაც კი ხალისა და ოჯახის კავშირის დამკვიდრებას შველის*****)".

ოჯახისა და სკოლის კავშირს მაშინ აქვს ერთმანეთისათვის დადებითი მნიშვნელობა როდესაც ორივე მოკავშირე მხარე სათანადო განათლებისა და მეცნიერული ცოდნის სიმაღლეზე დგას. მაგრამ როდესაც ერთი მათგანი, მაგალითად, ოჯახი, ვერ დგას სათანადო განათლების სიმაღლეზე, სკოლას მაშინაც შეუძლია ეს კავშირი არა მარტო ოჯახისათვის, არამედ

---

*) ტ. VI, გვ. 262.

**) იქვე.

***) ტ. VI, გვ. 142.

თავისთავისაც დადებითად გამოიყენოს იმით, რომ ოჯახთან კავშირს შეაქვს რა კულტურა გაუნათლებელ ოჯახში ავითარებს მის წევრებს, მათ შორის ბავშვებსაც, და ამით სკოლა იმზადებს თივისთვის უფრო მცოდნე და სწავლის მოყვარულ კონტინგენტს.

გაუნათლებელ, ჩამორჩენილ ოჯახს, რასაკვირველია, მხოლოდ უარყოფითი ზეგავლენა შეუძლია ჰქონდეს ბავშვის აღზრდაზე, მის მერმისზე. ამის მაგალითი ჩვენ უკვე მოგვცა ილიამ კოლას (დათიკოს) ტიპის გამოვლინებით, რომელიც თავისი უარყოფითი, არაადამიანური თვისებებით მარტო საზოგადოებისა და სკოლის პროდუქტებს კი არ წარმოადგენს, არამედ ოჯახისაც. მოვიგონოთ ილიას სიტყვები გადაგვარებული კოლას შესახებ: **„ვინ იცის ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი** სხვა საზოგადოებაში და **სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში**“, ისევე იღუპება „ყოველი ქართველის შვილი, რომელიც **შინავე, დედის კალთაში მიიღებს ხოლმე** თესლსა მომავალი წარხდენისას და თავის უბედურებისას*)“.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესების მიზნითვე მოითხოვს ოჯახის, როგორც „ყმაწვილთა აღზრდის პირველი ძირის“, გარდაქმნას მისი განათლებისა და პედაგოგიზაციის საშუალებით.

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია აგრეთვე ოჯახის მოვალეობა „უკანონოთ შობილთა უფლების“ დაცვისა და მათ ნორმალურ და წესიერ აღზრდაზე ზრუნვის საქმეში. მას დიდ უსამართლობად და საზოგადოებრივ უკუღმართობად მიაჩნდა, რომ მისი დროის რუსეთსა და საქართველოში ე. წ. უკანონოდ დაბადებული ბავშვები მოკლებული იყვნენ „კანონიერად“ დაბადებულ მოქალაქეთა უფლებასა და წესიერ აღზრდა-განათლებას. ილია კატეგორიულად ილაშქრებდა ამ წესის წინააღმდეგ; ის მოითხოვდა ბავშვი განთავისუფლებულიყო მშობელთა დანაშაულზე პასუხისგებისაგან თუ მისი „უკანონოდ“, ე. ი. ქორწინების გარეშე გაჩენა, დანაშაულად ჩაითვლებოდა. „თუ დედ-მამის მოქმედება ამ შემთხვევაში, **კანონის და საზოგადოების თვალით** საზღაური დანაშაული და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დაისაჯოს მათის ცოდვისა და დანაშაულობის გამო?“ **). იმის მაგივრად, რომ მშობლებს ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილის დაბადება ისევე გაეხარდეს, როგორც ქორწინებით გაჩენილისა—ისინი ხშირად წყევლა-კრულვით იხსენიებენ მას“ და საცოდავს, უმწეოსა და უცოდველს ახლად-შობილს პაწაწას ხშირად ან ადრე და მალე გამოასალმებენ ხოლმე ამ შეუბრალებელს წუთისოფელს**)“.

ილიას ყოველივე ასეთი უკუღმართობა მიაჩნია—„ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვის“ შედეგად და უპირველეს ყოვლისა ოჯახის მოვალეობად სთვლის შეიგნოს თავისი უდიდესი ბუნებრივი მოვალეობა პატარა,

---

*) ტ. III, გვ. 186.
**) ტ. VIII, გვ. 296.

უმწეო ბავშვების წინაშე, უკუაგდოს ყოველგვარი ცრუ და **ყალბი რწმენა** ბავშვის „უკანონობის“ შესახებ, მოეპყრას ასეთ ბავშვს როგორც პატარა ადამიანს, გამოიჩინოს ჰუმანური გრძნობა მის წინაშე და მისცეს მას ჩვეულებრივი, წესიერი აღზრდა და სწავლა-განათლება.

1898 წელს ილია ჭავჭავაძე დიდი კმაყოფილებით შეხვდა კანონ-პროექტს „უკანონოდ“ შობილთათვის სათანადო იურიდიულ უფლებათა მინიჭების შესახებ, კერძოდ მათი აღზრდისათვის მშობელთა მოვალეობის განსაზღვრის შესახებ და იმედს გამოთქვამდა, რომ ქორწინების გარეშე გაჩენილ შვილთა უფლებათა შეზღუდვა „ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოსჭამს და მარტო ისტორიაში-ღა თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად“..., მანამდე კი ასეთ შვილთა აღზრდას ოჯახისა და მშობლის უწმინდეს მოვალეობათ სთვლიდა.

საოჯახო აღზრდასა და შინაურ განათლებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე აყენებს აგრეთვე **თვითგანათლების** საკითხს. როგორც ვნახეთ, იგი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მეცნიერება და სწავლა-განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის, რომ თვით მთავრობა სცდილობდა სკოლა და განათლება მხოლოდ დიდკაცობისა და წარჩინებულ წოდებათა მონოპოლიად გადაექცია, ხალხის ფართო მასებს კი სკოლისაკენ გზა შეკრული ჰქონოდათ.

მაშ, როგორ მივაწოდოთ ხალხს აუცილებელი სწავლა-განათლება თუ კი მეცნიერება უმცირესობის და „რჩეულთა“ მონოპოლიას წარმოადგენს? სკოლათა ქსელის გაფართოებისა და მეცნიერებაზე წოდებრივ-ქონებრივი პრივილეგიის მოსპობისათვის ბრძოლის გარდა, ილია ჭავჭავაძე საჭიროდ სთვლის გამოინახოს „ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალებაც, რომლებმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოიფინოს ყველგან კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა*)“.

ერთ ასეთ, სკოლის გარეშე განათლების ღონისძიებად და საშუალებად ილია სთვლის **ბეჭდვითი სიტყვას**, ლიტერატურას, განსაკუთრებით კი ისეთ ლიტერატურას, რომელიც „ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთ თქმულს შუამავლობასა მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის“—ასეთად ილიას მიაჩნია **„პოპულარული ლიტერატურა“**.

მეორე საშუალება—**თვითგანათლებაა**. ადამიანის თვითგანათლება ილიას მიაჩნდა განათლების მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან ფორმად. თვითგანათლების საშუალებით ადამიანს შეუძლია მიაღწიოს განათლებას მწვერვალებს, შეუძლია დაეუფლოს ყოველგვარი მეცნიერების საფუძვლებს და საზოგადოების გამოსადეგ პიროვნებად გადაიქცეს.

---

*) ტ. IV, გვ. 75.

თვითგანათლება, მართალია გარდაუვალი აუცილებლობაა სკოლის გარეშე დარჩენილი ხალხის განათლებისათვის, მაგრამ ის საჭიროა აგრეთვე ყოველნაირი ტიპის, საშუალო თუ უმაღლესი სკოლის კურს-დამთავრებულთათვისაც. „დღეს ყველასათვის ცხადად დანახულია, სწერს ილია, რომ **ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა ხავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეცნიერი და სწავლული იყოს**, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩერებული... ჩვენ ისეთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდან თუ სხვა სკოლიდან გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია..., ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თავისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა*)“.

ამგვარად ილია ჭავჭავაძე გარკვეულად ასაბუთებს სკოლის შემდგომი ანუ სკოლისგარეშე განათლების აუცილებლობას, რომლის ძირითად ფორმას სწორედ **თვითგანათლება** წარმოადგენს. ვინც თავის სწავლა-განათლებას სკოლით, თუნდაც უმაღლესით, ასრულებს, მას არა აქვს შეგნებული უფრო ფართო განათლების საჭიროება, ასეთი კაცი უთუოდ ჩამორჩება მეცნიერებას. განვითარების გზით სვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მიჯნით არ საზღვრავს თავის განათლებას, ვინც სკოლის შემდეგ ენერგიულად და მუდმივი თვითგანათლების გზით სისტემატურად მისდევს მეცნიერების განვითარებას.

თვითგანათლების მეთოდურ სახეებად ილია გულისხმობს: 1) წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას მეცნიერული და მხატვრული განვითარების მიზნით, 2) ჟურნალ-გაზეთების სისტემატურ კითხვას, შინაური და საგარეო ცხოვრების მიმდინარე მომენტების და მეცნიერების დარგში ყოველი ახალი მიღწევის ცოდნის მიზნით, 3) ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მუშაობას, კულტურულ-საზოგადოებებში მონაწილეობას, თვითგანვითარების ნებაყოფლობითი წრეების დაარსებას და მათში მუშაობას, სკოლასთან და მასწავლებელთან განუწყვეტელი კავშირის შენახვას და სხვ.

VIII. ბავშვის დედა-ენა და აზროვნება

ადამიანის გონებრივი განვითარების დასაწყისად ილია ჭავჭავაძეს ენისა და აზრის აღმოცენება მიაჩნდა. მეტყველება და აზროვნება მოქმედების წინამორბედია და სანამ ბავშვი მოქმედების დაწყებას შესძლებდეს მანამ მისი ადამიანობის მაჩვენებელი ენა და აზრია. ამიტომ ბავშვის გონებრივი აღზრდა მეტყველების და აზროვნების აღმოცენებიდანავე უნდა დაიწყოს.

ენას და აზრს, ილია ჭავჭავაძე, მათი განვითარების არც ერთ სტატიაში არ სთიშავდა ერთმანეთიდან. ორივე მათგანი გონებრივი განვითარების ერთიან პროცესად მიაჩნდა მათი აღმოცენების მომენტიდანვე. ენის

*) ტ. VIII, გვ. 323.

განვითარების აუცილებლობას უმთავრესად აზროვნების განვითარების აუცილებლობით ასაბუთებდა, ხოლო აზროვნების განვითარების აუცილებლობას კი—უპირველესად ენის განვითარების აუცილებლობით.

მეტყველების და აზროვნების აღმოცენება და შემდეგი განვითარება მაქსიმალურად უნდა ჰქონდეს ბავშვს გაადვილებული, ამიტომ მათზე ზრუნვა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს იმ საფუძვლისა და პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სიადვილეს. ილია ჭავჭავაძეს ბავშვის ენისა და აზრის ადვილი **აღმოცენების** უფრო საიმედო საფუძვლად მიაჩნდა ეროვნული გარემოცვა: **მშობლიური კულტურა, მიწა-წყალი, ხალხი; სამშობლოს ისტორია, ერის ,,განსხვავებული თვისება და განსაკუთრებული ხასიათი'', მისი ,,სულიერი ცხოვრების ფესვები''.** ამიტომ, ილიას აზრით, **ბავშვის პირველი ენა, რომელსაც ის ადვილად სწავლობს და რომელზეც უადვილდება სწორი აზროვნება,—არის სამშობლო ენა, ანუ დედა-ენა.** პირველად „გონების გახსნა" სწორედ დედა-ენაზე ხდება, დედა-ენისავე საშუალებით ხდება მისი ჩამოყალიბება, ხოლო შემდგომი განვითარება კი აუცილებლად მოითხოვს სხვა ენების გამოყენებასაც. რამდენადაც უფრო მეტ ენებს სწავლობს ადამიანი და ამდიდრებს თავის ლექსიკონს, იმდენად უფრო აფართოვებს და ამდიდრებს თავის აზროვნებას, მაგრამ აზროვნების აღმოცენება, მისი განვითარების დასაწყისი,—მარტო დედა-ენის საშუალებით უნდა მოხდეს. აქედან ილია დაასკვნის, რომ **სათჯახო და პირველ-დაწყებითი სწავლის ენა უეჭველად დედა-ენა უნდა იყოს.**

ილია ჭავჭავაძე, მასთან იაკობ გოგებაშვილი, მიხეილ ყიფიანი, ნ. ცხვედაძე, შემდეგ ლ. ბოცვაძე და სხვები, მტკიცედ და უკანდაუხევლად იპრძოდნენ იმისათვის, რომ ყოველი ეროვნების ბავშვს თავის დედა-ენაზე დაეწყო მეტყველება და მიეღო პირველ-დაწყებითი სასკოლო განათლება. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ გზით მიაჩნდათ მათ შესაძლებლად ბავშვთა გონებრივი განვითარების ნორმალურად დაწყება. ამის შესახებ ილია სწერს:

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში.—**ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის.** ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ **უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია***)".

ამ მოსაზრებას ილია ასაბუთებს პედაგოგიკის კლასიკოსების (კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი) ნაწერებით და პედაგოგიკის მეცნიერული მონაცემებით: „პედაგოგიის ძირეული კანონი კიდევ ამას აჭბობს, რომ თუ **ცნობიერად და გაგებით** უნდა ბავშვმა რამე ისწავლოს, ჯერ თავისი (ენა) კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო**)".

ამნაირად, ილია ჭავჭავაძე დედა-ენაზე ბავშვის აღზრდას სკოლამდელ ასაკში (ოჯახში) და პირველდაწყებით სკოლაში უპირველეს ყოვლისა მოითხოვს ბავშვის აზროვნების რეალური განვითარების თვალსაზრისით.

სკოლის დანიშნულებაა ბავშვს მისცეს ყოველმხრივი განვითარება, რომელშიც ძირითადი არის გონებრივი განათლება. გონებრივი განათლების უზრუნველყოფა შეიძლება მეცნიერული საგნების შესწავლით და რადგანაც ეს საგნები დაწყებითი სკოლიდანვე ისწავლება, ხოლო დაწყებითი სკოლა კი დედა-ენის სკოლაა,—საგნებიც, ცხადია, დედა-ენაზე უნდა ისწავლებოდეს. ეს გარემოება, უეჭველია, დედა-ენის კარგად ცოდნას მოითხოვს, მაგრამ რამდენადაც ბავშვი ოჯახში ვერ ასწრებს თავის დედა-ენის კარგად სწავლას, იმდენად ამ ენის შესწავლა სკოლაშიაც უნდა გაგრძელდეს. ამ მოსაზრებიდან გამოსვლით ილია დაასკვნის:

„ზემოთ-მოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ **უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს**“*). ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ენის ცოდნაზეა დამოკიდებული საგნების შეთვისების ხერხი, ხოლო მათ საფუძველზე ხდება „გონების გახსნა და განვითარება, ე. ი. აზროვნება. აქედან ნათელია: აზროვნების განვითარება მოითხოვს როგორც საგნების სწავლას დედა-ენაზე, ისე დედა-ენის ღრმად და ყოველმხრივ ცოდნას. ამიტომ ილიასათვის ცხადია, რომ „საერო (სახალხო გ. თ.) სკოლა, როგორც პირველდაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელი სკოლისა, იმისდა მიუხედავად განგრძობილი იქნება მის შემდეგაც სწავლა თუ არა*)“.

დაწყებითი (ექვსწლიანი) სკოლის შემდეგ შეიძლება და აუცილებელიცაა ბავშვმა დაიწყოს სხვა ენების შესწავლაც. ეს გაამდიდრებს მის სიტყვიერ მარაგს, ლექსიკონს — ამით ცნებებს და აზროვნებას. კარგად მეტყველი ბავშვი ისე როგორც მთელი ხალხი, თავის ენას კიდევ უფრო გაამდიდრებს და ეს თავის მხრივ ერის აზროვნებას გააფართოვებს:

„ენის მრავალ-სიტყვაობა ერიხ მრავალ-აზროვნებას მოასწავებს“, სწერს ილია**); და მოითხოვს არა მარტო რუსული და უცხო (აბალი) ენების შესწავლას, არამედ უცხო ტერმინების შემოტანასაც ქართულ ენაში, როდესაც სათანადო ცნების გამოსათქმელად არ მოგვეპოება შესაფერისი ქართული ტერმინი. მშვენე პატრიოტები უცხო სიტყვების შემოტანას ქართულ ენაში უკანასკნელის სიწმინდის შელახვად სთვლიდნენ. ილია ჭავჭავაძე მათ საყურადღებოდ აცხადებს, რომ საჭირო უცხო სიტყვების შემოტანა ქართულში დიდი ეროვნული საქმეა, ვინაიდან **„ენის გამდიდრება სხვისი სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს**, თუ არ აამაღლებს“, და

---

*) ტ. VII, გვ. 216—221.

**) „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, გვ. 53.

იქვე, მათი მისამართით ირონიულად სწერს: „ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია. მოდით და წინ გადაუდგეს ან ენა-წმინდა ქართველი ან ენა-წმინდა სომეხი და დაუჟინოს,—ჩვენ გჯობიყვართო*)".

ენა აზროვნების საშუალებაა,—აზრი მეტყველების შინაარსია. ილიას ეს პრინციპი მშვენივრად აქვს შეგნებული. დედა-ენის, როგორც სააზროვნო ენის, შეცვლა სხვა ენით, ე. ი. აზროვნების საშუალებათ სხვა ენის გამოყენება, დედა-ენის დაკნინებას და სრულიად მივიწყებას მოასწავებს. 1879 წელს ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „ჩვენი **ევრედ-წოდებული** მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა" ეს „მაღალი" ნახევრად—ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც, ილიას თქმით, თევზის აყროლებულ თავს წარმოადგენს, თავისი მავნე რუსიფიკატორული მისწრაფებებით გავლენას ახდენდა ჩვენ ხალხზე, აჩვევდა სხვა ენაზე აზროვნებას, ხოლო საკუთარ, ქართულ ენას კი აკარგვინებდა. ილია ჭავჭავაძე ნამდვილ, კონკრეტულ ჰეშმარიტებას აღიარებდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ შავრაზმული რუსული ბიუროკრატიისადმი შეზრდას და ქართული კულტურის ღალატს სწორედ ის „ევრედ-წოდებული მაღალი საზოგადოება" ანუ ფეოდალურ-ბურჟუაზიული კლასი აწარმოებდა, რომელიც ყველაზე მეტად ჩხაოდა ქართველი ერის სიყვარულზე, დაღუპულ მამულზე და წამებულ სულზე. სწორედ მისი საშუალებით ატარებდა ჩვენში რუსეთის მეფის მთავრობა თავის გამანადგურებელ, გამარუსებელ პოლიტიკას, სწორედ მასში ხედავდა იგი თავის საიმედო დასაყრდენს კოლონიალური მონობის დამყარების საქმეში და აგრეთვე ქართული ენისა და ქართულად აზროვნების გაუქმების დარგში. გადაგვარდა აზროვნება და „გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც **ჩვენი აზრი ჩვენის ენით ალარ მოძრაობს,** ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება**)".

როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძეს ბავშვის დედა-ენა მისი აზროვნების საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ამავე დროს თვით აზროვნებას ენის განვითარების საშუალებად აღიარებდა. როგორც შეუძლებლად მიაჩნდა მას აზროვნება მეტყველების გარეშე, ისევე შეუძლებლად მიაჩნდა მეტყველება ანუ ენა აზროვნების გარეშე:

„სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, **აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას***)"...

ასე მჭიდრო მთლიანობაში განიხილავს აზროვნების და მეტყველების პროცესს ილია ჭავჭავაძე და სკოლისა და ოჯახის ერთ მთავარ პედაგოგიურ პრინციპად აღიარებს მათ განვითარებას ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად ბავშვის გონებრივი განათლების მიზნით.

*) „სომეხთა მეცნიერნი და ჭვათა ღაღადი", გვ. 56, 57.

**) ტ. VI, გვ. 46.

***) ტ. IV, გვ. 41.

IX. ბრძოლა მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ

ილია ჭავჭავაძე—„საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე*)“, თავის ნაციონალურ-რევოლუციურ მოღვაწეობას გამოხატავდა არა მარტო პოლიტიკური მუშაობის დარგში, არამედ კულტურის, კერძოდ, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის დარგშიც. ილია ჭავჭავაძის ბრძოლა მეფის მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ უეჭველად შეადგენს მისი ნაციონალურ-რევოლუციური მოღვაწეობის ერთ მთავარ მომენტს. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა შემდეგი ძირითადი საკითხების ირგვლივ:

1. ქართული ენის შეზღუდვა და გაუქმება საქართველოს სკოლებში და ბრძოლა მისი აღდგენისათვის დედა-ენაზე სწავლების უზრუნველყოფის მიზნით.

2. სქოლასტიკურ-ფორმალისტური განათლების სკოლები და ბრძოლა მათი გარდაქმნისათვის ზოგადი და ტექნიკური განათლების საფუძველზე.

3. სკოლების გახსნის უფლების შეზღუდვა და ბრძოლა ამ უფლების უშუალოდ ხალხზე გადაცემისათვის.

ქართული ენის შეზღუდვა და გაუქმება საქართველოს სკოლებში ილია ჭავჭავაძეს დიდ ეროვნულ უბედურებად მიაჩნდა. ძველი რუსეთის მონარქიული ხელისუფლება პატარა ერების გადაგვარებას, მათი სამშობლო ენის შეზღუდვითა და შემდეგ სრული გაუქმებით იწყებდა. დედა-ენის შეზღუდვა და გაუქმება უპირველეს ყოვლისა სკოლებზე ვრცელდებოდა, რომ ერის მომავალს, ე. ი. ახალგაზრდობას, აღზრდის დასაწყისიდანვე დაეკარგა სამშობლო ენა. მეფის მთავრობა მშვენივრად გრძნობდა, რომ პატარა ერის დედა-ენის შეზღუდვისა და გაუქმების ყველა რეპრესიათაგან უფრო მწვავე და გამანადგურებელი რეპრესია იყო მისი განდევნა ამ ერის სკოლებიდან, განსაკუთრებით კი დაწყებითი სკოლებიდან. რუსეთის მეფის მოხელეებს ესმოდათ, რომ უკეთუ ქართველი ახალგაზრდობა თავიდანვე დაჰკარგავდა დედა-ენას, ის დაჰკარგავდა თავის უმთავრეს ნაციონალურ თვისებას და ადვილი შეიქმნებოდა მისი „გარუსება“ და ნაციონალური გადაგვარება. ამიტომაც მათ თავისი იერიშები ქართულ ენაზე მიიტანეს.

ეს იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი 70-იანი წლების მოწაფეთა რევოლუციური მოძრაობისა, რომელიც ტფილისს გარდა საქართველოს სხვა ქალაქებსაც მოედო. პოლიციური რეჟიმის მხრივ ამ მოძრაობამ სასტიკი რეპრესიები გამოიწვია. მაგალითად, მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილე **ს ტ. ჰრელაშვილი** აღნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში 1874—78 წ. წ-ში,

*) „Правда“, 1936 წ. № 246.

„მარტო ტფილისის სემინარიას მოაკლდა 88 საუკეთესო შეგირდი... თითქმის ასეთივე ამბავი დაატყდათ ჩვენებურ დანარჩენ სასწავლებლებსაც*)".

ილია ჭავჭავაძე გენიალურად არკვევდა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ყოველ ფარულ და შენიღბულ ღონისძიებას და, რასაკვირველია, მან იცოდა რა აზრი ჰქონდა მეფის აგენტების აშკარა გალაშქრებას საქართველოს სკოლებში ქართული ენის სწავლებისა და ქართულ ენაზე სწავლის წინააღმდეგ; ილია სწერდა:

„რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა)".**

ტლანქმა მოხელეებმაც კარგად იცოდნენ, რომ ენის გაუქმებით ისინი სპობდნენ ერის არსებით ნიშანთაგანს და როგორც სკოლებში ისე დაწესებულებათა აპარატებში ქართულად სწავლა და ქართულ ენაზე საქმის წარმოება თანდათანობით მოსპეს.

80-იან წლებში, შავი რეაქციის პერიოდში, რუსეთის მეფის საგანმანათლებლო უწყებათა მოხელეებს საქართველოში მეთაურობდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კირილე პეტრეს-ძე **იანოვსკი*****). მისი მლიქვნელი და თვალთმაქცური ხელმძღვანელობით ტარდებოდა ჩვენში ქართული ენისა და სკოლების დევნის ტლანქი პოლიტიკა. თავისი დანიშვნის პირველ ხანებში ის სცდილობდა ლიბერალურად მოჩვენებოდა ჩვენი ნაციონალურ-განმათავისუფლი მოძრაობის საზოგადო მოღვაწეებს და თავისი, მეტად მოქნილი თვალთმაქცური დიპლომატიით კიდეც შესძლო, დროებით მაინც, სათანადო სიმპატია გამოეწვია. მაგალითად, 1878 წელს იანოვსკი თავის ოფიციალურ საანგარიშო მოხსენებაში მეფის მოადგილესთან საჯაროთ მოითხოვდა ტფილისში უმაღლესი სპეც-ტექნიკური სასწავლებლის გახსნას, რაც მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოების სურვილსაც გამოხატავდა, მაგრამ ფაქტიურად თვალთმაქცი იანოვსკი დიდი მტერი იყო ტფილისში უმაღლესი სკოლის გახსნისა. 1881 წლის იანვარში, ილია ჭავჭავაძე თავის შინაურ მიმოხილვაში ეხებოდა რა გასულ, წინა წელს სწერდა: „მაშინ განათლების მოთავედ ახლადდანიშნული იყო ბ-ნი იანოვსკი და სამღვდელოების წინამძღვრად ყოვლად—უსამღვდელოესი იოანნიკე. რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებენით ამ დანიშვნასა ჩვენ „ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი", მადლობა ღმერთსაო, ვიძახდით გულში****)". მაგრამ საკმარისი იყო სულ რაღაც 2 წელი, რომ იანოვსკის შავრაზმული პოლიტიკა საყსებით გამოაშკარავებულიყო და იგივე ილია ამბობდა, რომ

---

*) „ივერია", 1888 წ., № 189, (სანო, „ძველი და ახალი თაობა").

**) ტ. VI, გვ. 107.

***) კ. პ იანოვსკი კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნველად დანიშნეს 1878 წელს.

****) ტ. VI, გვ. 99.

იანოვსკის პოლიტიკა იგივე ძველი სისტემის გაგრძელებაა, მხოლოდ ახალი ხერხით და მეთოდით. „პირველ ხანებში ჩვენს ადრეულ სიხარულს თითქოს საბუთიც მოეცა, სწერდა ილია; **ბოლოს კი—ვაი შენს მტერს.—ისევ შეჩვეული ჭირი** (ნეველროვი გ. თ.) გვანატვრინეს. გამოვიდა, **რომ სისტემა იგივეა და მარტო ხერხია სხვა***)".

ილია ჭავჭავაძე იშვიათი გამჭრიახობით მიხვდა, რომ მას საქმე ჰქონდა მეფის გამარუსებელი პოლიტიკის **მთელ სისტემასთან** და იანოვსკი მხოლოდ ერთი რგოლი იყო ამ სისტემისა; ამიტომ ილიასათვის ცხადი იყო, რომ ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო მთელი საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ.

უთანხმოება ილია ჭავჭავაძესა და კ. პ. იანოვსკის შორის დაიწყო პირველდაწყებით სკოლაში გამოსაყენებელი სასწავლო ენის ირგვლივ. ილია, ცხადია, მოითხოვდა, რომ დაწყებით სკოლაში (3 წლიანი კურსით) ყველა საგნები ქართულად სწავლებულიყო. ამ აზრს, როგორც უკვე ვიცით, წინათავიდან, ილია უმთავრესად ასაბუთებდა იმით, რომ დედა-ენა არის ბავშვის სალაპარაკო ენა ოჯახში და სკოლაშიც, რომ მხოლოდ დედა-ენა ესმის ბავშვს და საგნების „ცნობიერად და გაგებით" სწავლა მხოლოდ ამ ენაზე შეუძლია, ამასთან დედა-ენა არის ერთად-ერთი საშუალება ბავშვის ნორმალური აზროვნებისათვის. იანოვსკი **ფორმალურად** აღიარებდა დედა-ენის **უპირატესობას** (მხოლოდ უპირატესობას) დაწყებით სკოლაში, მაგრამ არსებითად ეს იყო ფიქცია, ვინაიდან ამავე დროს იანოვსკი მოითხოვდა დაწყებითი სკოლიდან, რომ მას ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველი ბავშვებისათვის მიეცა არა მარტო რუსული წერა-კითხვის ცოდნა, არამედ რუსული ენის ისე ცოდნა, რომ ბავშვს შესძლებოდა სწორად გაგება იმავე ტექსტებისა, რასაც იგი ქართულად, ე. ი. დედა-ენაზე კითხულობდა და ესმოდა: რუსული ენა, როგორც სასწავლო საგანი პირველი წლიდანვე უნდა ყოფილიყო შემოღებული... ხოლო მესამე წელს კი ყველა საგნები ქართულთან ერთად რუსულადაც უნდა ესწავლებიათ (1881 წლის სასწ. გეგმა).

ილია დამაჯერებელი მეცნიერული საბუთებით უმტკიცდება იანოვსკის, რომ ის არ ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივ შესაძლებლობას დაწყებით სკოლაში, რომ სამი წლის განმავლობაში შეუძლებელია ბავშვები ისე გაიწვრთნან ქართულ ენაში, რომ საგნები „ცნობიერად და გაგებით ისწავლონ" და ამავე დროს რუსული ენის ცოდნაც [ამავე დონემდე აიყვანონ. ილია გაცხარებით სწერს: „ნუთუ დედა-ენაში ჯერ კარგად არ გაწურთნულს და გავარჯიშებულს ბავშვს ისე ეცოდინება სამს წელიწადში თავისი დედა-ენა და რუსულიცა, რომ ან ერთი იქმნას ნამდვილ ცოდნად ან მეორე?. . . ნუთუ ერთსა და იმავე დროს დედა-ენისა და ჯერ თითქმის უც-

*) ტ. VI, გვ. 99. (იანოვსკის შესახებ ამავე აზრის იყო ს. მესხიც. იხ. ს. მ.—წერილი იანოვსკისადმი,—„დროება", 1880 წ. № 254).

ნობის — რუსული ენის სწავლება ჩვენს საერო სკოლებში უქმად დროს დაკარგვა არ არის?*)".

ილია გრძნობდა, რომ მეფის მოხელე იანოვსკი იმიტომ მოითხოვდა რუსულის შემოღებას დაწყებით, სამ წლიან სკოლაში, რომ იქიდან ქართული გაძევება უნდოდა. ილიამ სცადა მეორე ხერხი: მან წამოაყენა საკითხი დაწყებითი სკოლის კურსის ექვს წლამდე გადიდების შესახებ. პირველ სამ წელს სწავლება უნდა ყოფილიყო მხოლოდ ქართულ ენაზე (დედა-ენაზე), რომ ბავშვებს სასწავლო საგნები შეესწავლათ და სკოლას ამით თავის პირდაპირი მოვალეობა შეესრულებია, ხოლო მეორე სამ წელს კი რუსული ენაც შეესწავლათ საერთო საგნების სწავლასთან ერთად. იანოვსკი არ ღებულობდა 6 წლიანი დაწყებითი სკოლის პროექტს იმის გამო, რომ რუსეთში ამ ტიპის დაწყებითი სკოლები არ არსებობდა. მართალია მან ისიც იცოდა, რომ რუსეთში არც ორ ენაზე სწარმოებდა სწავლება, მაგრამ ის, ილიას თქმით „უსაბუთობასაც საბუთად ხმარობდა".

ერთხანს პარალელურად დატოვებული ქართული ენა უკვე მოიხსნა სახელმწიფო სამინისტრო სკოლებიდან და რუსული ენის სწავლება მუნჯური (ე. წ. ბუნებრივი) მეთოდით იქნა შემოღებული**). ილიამ და მასთან ერთად იაკობ გოგებაშვილმა, ს. მესხმა და სხვებმა, ფეხზე დააყენეს მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება, პრესა, კულტურული ორგანიზაციები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ილია ჭავჭავაძე მეცნიერული ავტორიტეტების (კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი) გამოყენებით უმტკიცებდა იანოვსკის და მის „მოჯარფაშე" მოხელეთა ჯგუფს, რომ დედა-ენას მოკლებული სკოლა „გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა,—და განა ეს სასურველია ვისთვისმე ***)", კითხულობდა იგი, თუმცა ჩისთვის აშკარა იყო, რომ სწორედ იმავე იანოვსკისა და მისი ჯგუფისათვის (სემიონოვი, მარკოვი დარსკი, და სხვ.) ძალიან სასურველი იყო, რომ ასეთი, გონების დამახშველი, სკოლები გავრცელებულიყო საქართველოში — ქართველი ახალგაზრდობისათვის.

ილიამ მესამე საშუალებას მიმართა; მან აღნიშნა, რომ დედა-ენა (ქართული) არის უცხო (რუსული) ენის შესწავლის საფუძველი და რომ თვით რუსული ენის კარგად შესწავლის ინტერესი მოითხოვს ქართულ ენაზე დაწყებითი სწავლების დატოვებასო:

„ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზე, უნდა გაიხსნას გონება და **უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება** ****)".

---

*) ტ. VII, გვ. 224.

**) იხ. ი. გოგებაშვილი. „რჩეული პედ. და პუბლიცისტ. ნაწერები, ტ. I, გვ. 52, 1910 წ.

***) ტ. VII, გვ. 218—219.

****) იქვე, გვ. 299.

არც ეს, სრულიად სამართლიანი და პედაგოგიურად უდაო ჭაშმარიტება იქნა შეწყნარებული. რუს მოხელეებს ოვით რუსული ენა უნდოდათ გადაექციათ საფუძვლადაც და ზედნაშენადაც; ამიტომ სხვა ენის მონაწილეობას ბავშვის აზროვნებაში საჭიროდ არ სთვლიდნენ და ამისათვის არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებდნენ.

ოლქის მზრუნველი გრძნობდა, რომ მას ილიასა და მისი თანამებრძოლების სახით სერიოზულ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე. როცა ლიტერატურული ბრძოლით (პრესის საშუალებით) ძალიან უძნელდებოდა ქართული ენის შეზღუდვა და გაუქმება სახალხო სკოლებში,—ის აშკარა პროვოკაციასაც მიმართავდა მათ წინააღმდეგ: აბეზღებდა მათ მეფის ნაცვალთან, რომ თითქოს ისინი გამოდიან რუსული ენის—როგორც **სახელმწიფო ენის** წინააღმდეგ და ამით ადგილობრივი მოსახლეობის სურვილსაც ეწინააღმდეგებიან.

ჩვენ უკვე ვნახეთ როგორ მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობოდა ილია ჭავჭავაძე რუსულ ენას, როგორც დიდ მეცნიერულ და სალიტერატურო ენას და როგორ მოუწოდებდა ყველას მისი შესწავლისაკენ. ვნახეთ, რომ ილია დედა-ენისა და დედა-ენაზე სწავლებით დაწყებით სკოლაში სრულებითაც არ მოითხოვდა რუსული ენის განდევნას, არამედ საჭიროდ სთვლიდა მის შესწავლას დაწყებითი სკოლის შემდგომ საფეხურზე, როდესაც ბავშვები თავის დედა-ენაში საკმაოდ გავარჯიშებული იქნებოდნენ. იანოვსკიმ ყოველივე ეს „დაივიწყა“ და ილიას დასწამა, რომ ის რუსულ ენას ებრძვის როგორც სახელმწიფო ენას და სკოლის ყოველ საფეხურზე. ილია იძულებული იყო ერთხელ კიდევ გამოეთქვა თავისი სურვილი რუსული ენის სწავლების შესახებ:

„მართალია ბ-ნი იანოვსკი რუსული ენის სწავლებას საერო (დაწყებით გ. თ.) სკოლაში იმ საბუთითაც თხოულობს, რომ აქაურებს სურთო რუსული ენის ცოდნაო. ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, **განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია გონება-გახსნილ კაცს სულის საზრდოება მისცეს... მაგრამ საქმე იმაშია, ისე მოგვიწყოთ სკოლა, რომ რუსული ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს, იმოდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს***)“.

მაგრამ შავრაზმელი იანოვსკისათვის არსებობდა მხოლოდ ერთი მიზანი: ქართული ენის განდევნა როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ისე, განსაკუთრებით, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლიდან.

იანოვსკის რეაქციონურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ მეფის ერთგული **დიმ. ყიფიანიც** კი გამოიყვანა მოთმინებიდან: „რომელიმე ერის ენის

---

*) ტ. VII გვ. 229—230.

შეზღუდვა, სწერს იგი, ნიშნავს მისი არსებობის შეზღუდვას. ქართველები ამისაგან თავისუფალი უნდა იყვნენ*)". მაგრამ იანოვსკი თავის მიზანს არ ღალატობდა.

დაწყებითი სკოლის გარდა მან ძლიერი იერიში მიიტანა აგრეთვე საოსტატო (სამასწავლებლო) და სასულიერო სემინარიებში ქართული ენის სწავლებაზე. იანოვსკიმ იცოდა, რომ სემინარიაში სახალხო, დაწყებითი, სკოლის მასწავლებლები მზადდებოდნენ და თუ იქ კურსდამთავრებულს ქართული ენა ეცოდინებოდა, მას შეეძლო ეს ენა დაწყებით სკოლაში გამოეყენებია, უკანასკნელიდან ქართული ენა კიდეც რომ სავსებით განდევნილიყო. იანოვსკიმ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით შესძლო მიეღწია ამ მიზნისათვის: საოსტატო და სასულიერო სემინარიებიდან ქართული ენა განდევნილ იქნა. სახალხო სკოლების მომავალ მასწავლებლებს ქართული ენა სრულიად აღარ ან ცუდად ეცოდინებოდათ და ამით დედა-ენა ან სკოლებიდან სხვა ღონისძიებათა გარეშეც განიდევნებოდა. ილია ჭავჭავაძის ფხიზელ თვალს არ გამოპარვია ამ გარემოების დამღუპველი შედეგი დედა-ენის მდგომარეობისათვის სახალხო სკოლებში: 1879 წლის თებერვლის მიმოხილვაში ის სწერდა:

„იქ, სადაც ჩვენი ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენი ხალხის მასწავლებელნი, მაგალითებრ—სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდამაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა. ქართველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის**)".

ილიას საზოგადოებრივი პროტესტის ხმა ან არ მიდიოდა ცენტრალური მთავრობის ყურამდე ან უყურადღებოდ რჩებოდა; და განა თვით ილია არ ამბობდა ხოლმე, რომ საქართველოში კაცი არ არის, რომ სიტყვა უთხრა და მოგისმინოსო?

ილია ხედავდა, როგორ საშინლად ფერხდებოდა ჩვენი სახალხო განათლების საქმე, როგორ ჩამოქვეითდა ჩვენი სკოლა და გაეთიშა იგი ცხოვრებასა და თვით ხალხს. ყოველივე ამის მიზეზად ის ასახელებდა იმ გარემოებას, რომ სწავლა-განათლება დედა-ენაზე არ სწარმოებს: „ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად,—სწერს ილია,—რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის ხალხის განათლება და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. ან გერემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია-რა, რომ წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში, რომელიც თანდათან იმავე მიზეზით **უფრო გვშორდება ჩვენ, განათლებულს საზოგადოებას, აღარა ეყურებარა ჩვენი და არც რამ იმედი აქვს ჩვენგან*****)".

მართლაც შეუძლებელი იყო ხალხთან დაახლოვება თუ მას შენი არ ესმოდა და შენ მისი, შეუძლებელი იყო ხალხს რაიმე იმედი ჰქონოდა იმ გა-

---

*) ხელთნაწერი: იხ. **სიმონ ხუნდაძე** „დიმიტრი ყიფიანი", გვ. 225, ტფილისი, 1936 წ.

**) ტ. VI, გვ. 45.

***) ტ VII, გვ. 13—14.

ნათლებული საზოგადოებისა, რომლისგანაც ის ვერაფერს სწავლობდა საერთო ენის უქონლობის გამო. ილია იბრძოდა ხალხის განათლებისათვის, სახალხო-რევოლუციური მოძრაობისათვის და ამისათვის საჭირო იყო ხალხთან დაახლოვება, მჭიდრო კავშირი, ხოლო ასეთი დაახლოვებისა და კავშირისათვის აუცილებლად მიაჩნდა ამ ხალხის სალაპარაკო ენის დაცვა, მისი უფლების შენარჩუნება.

1863 წლიდან („საქართველოს მოამბის“ დაარსებიდან) ილია გამუდმებით იბრძოდა მეფის ჯალათების მიერ შეგინებული ქართული ენის აღდგენისათვის. ამ მიზნით იგი არ ზოგავდა არც იდეურ, არც მატერიალურ ენერგიას. მაგრამ სასურველი ნაყოფის მიღწევა მაინც ძნელი იყო შავრაზმელი რეჟიმის პირობებში. თავისი ბრძოლის 20 წლის თავზე, 1883 წელს, ის ნაღვლიანად სწერდა:

„ოცი წელი გადის, რაც ქართული ენის უფლებას იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, **იცავს ძლიერად და თავგანწირულად** და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში და საზოგადოებრივ საქმეებში, **არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში** და, ისე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად*)“.

მაგრამ ქართველი ხალხის ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენელს ფარხმალის დაყრა არა სჩვევოდა. ის უფრო მხნედ და ფხიზელი სტრატეგიით აგრძელებდა ბრძოლას და გამსჭვალული იყო იმედით, რომ „დაიმსხვრევა იგი ბორკილი, შემფერხებელი კაცთა ცხოვრების“...

მეფის რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ დამახასიათებელ თვისებას საქართველოში წარმოადგენდა ის, რომ აქ სახალხო განათლების მთელი საქმე უკონტროლოდ ჰქონდა მინდობილი ადგილობრივ მოხელეებს, რომლებიც უპასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს. მათ აღვირახსნილ თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა, არაფერს ინდობდნენ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველი ხალხის, კულტურასა და აღზრდა-განათლებას შეეხებოდა. აკეთებდნენ რაც სურდათ, არავისი ეშინოდათ, გამკითხავი არავინ ყავდათ.

„ჩვენი **ჯერ-ხანად** უკურნებელი ტკივილი,—სწერდა ილია, და ძალიან მწვავი ტკივილიც ის არის, რომ **ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შესცვალონ და გაასწორონ.** ნაკლოვანება ამ მოწყობილობისა ხშირად და ვრცლად ყოფილა ნაჩვენები აქაურ მწერლობაში, მაგრამ მითომ კედელზე ცერცვი შეგიყრია, არავის ყურიც არ გაუბერტყნია**)“.

ჩვენს პრესაში მართლაც ძალიან ხშირად იწერებოდა წერილები სახალგო განათლების აქტუალურ საკითხებზე, პედაგოგიკაზე, სასურველი და სა-

*) ტ. VII, გვ. 13.

**) ტ. Vi, გვ. 143—144.

ჰირო ტიპის სკოლებზე, მასწავლებელთა მომზადებისა და ახალგაზრდობის აღზრდის სხვა საკითხებზე, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მთელ რევოლუციამდელ რუსეთსა და საქართველოში არასდროს არ ყოფილა დაკავშირებული სწავლა-განათლების საქმე ქვეყნისა და მშრომელი ხალხის რეალურ მოთხოვნილებებთან, მისი სამეურნეო და კულტურული განვითარების პრინციპებთან.

ქვეყნის მრეწველობის ზრდა მოითხოვდა ტექნიკურ კადრებს, სკოლები კი სქოლასტიკურ-ფორმალისტურ განათლებას იძლეოდნენ. ილიამ არა ერთი და ორი წერილი უძღვნა ამ საკითხს და როგორც ვიცით მოითხოვდა პროფესიონალურ-ტექნიკურ განათლების შემოღებას: ტექნიკურ სასწავლებლებს, სახელოსნო, და აგრონომიულ სკოლებს, ზოგადი (ჰუმანიტარული) განათლების სკოლების პარალელურად. მაგრამ სპეც-ტექნიკური სკოლები შიდა რუსეთშიც ძალიან უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა, რომ საქართველოზე აღარაფერი ვთქვათ. ამას დავუმატოთ, რომ ჩვენში სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებდა, სკოლები დაშორებული იყო ქართველი მოსახლეობიდან და გასაგები გახდება, რატომ არ იყო გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა ასეთ სკოლებში სწავლით.

ოლქის მზრუნველის (იანოვსკი) 1880 წლის ანგარიშიდან ილიას მოჰყავს სათანადო ციფრები საქართველოში და ტფილისში გიმნაზიის კურსდამთავრებულთა რაოდენობისა და ნაციონალური შემადგენლობის შესახებ. აღნიშნულ წელში საქართველოში გიმნაზია დაუმთავრებია 52 კაცს, აქედან რუსი—24, სომეხი—15, ქართველი—4, თათარი—1, მთიელი—1, ევროპელი—7; ხოლო ამავე წელში საქართველოს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ირიცხებოდა: რუსი—49, სომეხი—21, ქართველი—17; ტფილისის გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 100 მოწაფეზე მოდიოდა: რუსი—41, სომეხი—31, ქართველი—16. რა იყო მოწაფეთა სიმცირის მიზეზი საერთოდ და კერძოდ ქართველი მოწაფეებისა? ილია ამაზე უპასუხებს შემდეგნაირად:

„აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს **სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლობა და უმსგავსოება, იმიტომ რომ ის პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული.** თითონ სასწავლებელნი ცოტანი არიან, და რაც არიან—ისიც ერთს ალაგას, ქალაქებში ჯგუფად თავმოყრილნი და არა გაფანტულნი და მორიგებულნი საჭიროებისამებრ სხვადასხვა ადგილას, ასე რომ მწყურვალნი ვერ მისწვდომიან. გარდა მაგისა, სწავლა-განათლების საქმისთვის მეტად ცოტა ფულია ერთობ დანიშნული; სულ მთელს კავკასიაზედ 822, 246 მანეთია. თითო სულზედ $15^1/_3$ კაპიკი მოდის. ეს, ჩვენის ფიქრით, საზოგადო მიზეზია. საკუთრივ ქართველების საქმეს კი სხვა მიზეზიც აბრკოლებს.

პირველი მიზეზი ის არის, რომ **ქართველები უფრო ხოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები კი ქალაქებშია,** მაშასადამე, სასწავლებელ-

ზედ ქართველები შორს არიან და მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისას. რუსები,—როგორც მოხელეობის მქონენი და სომხები—როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში სცხოვრობენ, ესე იგი სასწავლებელზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზრდა და შენახვა*)".

ამით ილია ჭავჭავაძე სრულიად სწორ მეცნიერულ-პოლიტიკურ ანალიზს იძლევა ძველი რუსეთის სახალხო განათლების პოლიტიკის შესახებ საერთოდ და კერძოდ საქართველოში. განა ძველ სკოლას არ ახასიათებდა პროგრამების შეუსაბამობა პედაგოგიურ მოთხოვნილებებისადმი? ის განა ითვალისწინებდა ბავშვის „ძალ-ღონეს", მომზადებას, ასაკს? ხოლო ის ფაქტი, რომ ძველი სკოლა მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, მშრომელ ხალხს და „აქაურს ვითარებას"—ჩვენ უკვე საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, ისე როგორც უდაოა, რომ სახალხო განათლებაზე ძველ, ბეფის, რუსეთში მეტად უმნიშვნელო თანხა იხარჯებოდა.—ამის შესახებ ვ. **ლენინი** 1913 წელს—აღნიშნავდა რა, რომ რუსეთში განათლების საქმეზე გაწეულ ხარჯებიდან ერთ მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 80 კაპეიკი, რაც უფრო მცირეა, ვიდრე ევროპის რომელიმე სახელმწიფოში ერთ მცხოვრებზე გაწეული ხარჯი,—სწერდა:

„. . . რუსეთი ღარიბი კი არა, იგი მათხოვარია, როდესაც საქმე სახალხო განათლებას ეხება, სამაგიეროდ იგი ფრიად „მდიდარია" ხარჯებით ბატონყმურ სახელმწიფოზე, რომელსაც მჭამელნი მართავენ, ხარჯებით პოლიციაზე, ჯარზე, იჯარაზე და ათეულ ათასებიან ჯაშაგირებზე, რომელსაც „მაღალ" ჩინებს მიღწეული მჭამელნი იღებენ, ხარჯებით ცარცვა-გლეჯისა და აგანტიურების პოლიტიკაზე. . . რუსეთი ყოველივის ღარიბად და ბათხოვრად დარჩება სახალხო განათლების ხარჯების მხრივ, ვიდრე ხალხი არ განათლდება იმდენად, რომ მოიშოროს მებატონე მემამულეთა ჩაგვრის უღელი**)".

თუ შიდა რუსეთში განათლების ხარჯებიდან თითოეულ მცხოვრებზე—80 კაპიკი მოდიოდა, განაპირა რაიონებში ეს კიდევ უფრო მიზერულ თანხას შეადგენდა. მაგალითად, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ბზრუნველის 1880 წლის ანგარიშის მიხედვით, ი. ჭავჭავაძე ასეთ თანხად კავკასიის თითოეულ მცხოვრებზე ასახელებს—$15^1/_3$ კაპეიკს. მაშასადამე, ხუთჯერ ნაკლებს, ვიდრე ცენტრალურ რაიონებში. არც სასწავლებელთა რიცხვი აკმაყოფილებდა მსურველთა მოთხოვნილებას. რუსეთის მეფის მოხელეები საქართველოში კულტურისა და ცივილიზაციის მაჩვენებლად სთვლიდნენ არა სკოლების სიმრავლეს, არამედ,—ილიას მგზავრის წერილების ერთი უტვინო ოფიცრის მსგავსად—**კულტურისა და ცივილიზაციის მაჩვენებლად გენერლების სიმრავლეს აღიარებდნენ.** ილიას ცნობით 1883

*) ტ. VI, გვ. 145—146.
**) Ленин, т. XVI, გვ. 412.

წელს ტფილისში ვაკანსიების მხრივ ადგილი ჰქონდა შემდეგ დისპროპორციას სასწავლებელში თავისუფალ ადგილებსა და სწავლის მსურველთა შორის: კადეტთა კორპუსში ადგილი—25, მსურველი—120, საოსტატო ინსტიტუტში ადგილი—25, მსურველი—75, მეორე გიმნაზიაში ადგილი 40, მსურველი—150, სათავად-აზნაურო სკოლაში ადგილი—30, მსურველი 100 მეტი და სხვ. ყოველივე ამას დაუმატეთ ის, რომ საქართველოში გიმნაზიები და პროგიმნაზიები ქალაქებსა და დიდ დაბებში არსებობდა, სადაც ქართველი მოსახლეობა შედარებით ნაკლებ პროცენტს წარმოადგენდა, სწავლის ფულის სიდიდე და რაც მთავარია ქართულ ენაზე (დედა-ენაზე) სწავლების აკრძალვა—და ცხადი გახდება რატომ წარმოადგენდნენ ქართველები პატარა პროცენტს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში.

ქართველ მოსწავლეთა სიმცირეს ქალაქის სკოლებში, განსაკუთრებით გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში შავრაზმელები სთვლიდნენ ქართველი ერის ვითომდა უნიჭოებად და მათ მიერ სწავლა-განათლების სიძულვილით. ხოლო იმ შემთხვევაში კი როცა რომელიმე სასწავლებელში ქართველთა რიცხვი სხვა ეროვნებათა რიცხვს აჭარბებდა—სცდილობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველი მოწაფეები ქართველებად არ ეცნოთ, გარდა ქართლელებისა, და ამით შეემცირებიათ ქართველთა საერთო რიცხვი. ასე, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის გადმოცემით გორის საოსტატო სემინარიაში, მისი გახსნის წელს—(1876), შესულა 50 მოწაფე, მათშორის 31 ქართველი. იმის გამო, რომ სემინარიის დირექტორს სურდა დაედასტურებია რუსეთის მეფის მოხელეთა შორის მიღებული აზრი ქართველების უნიჭოებისა და სწავლა-განათლებისადმი ინდიფერენტული განწყობილების შესახებ და აგრეთვე თავიდან მოეშორებია ქართული ენის შემოღების საჭიროება,—სემინარიის მოწაფეები 12 „ეროვნებად“ გაუყვია: მათში რუს, სომეხ, ქართველ და სხვა ეროვნებათა გარდა შეუტანია, როგორც ცალკე არა ქართველი ეროვნებანი: იმერლები, გურულები, ფშაველები, ინგილოები. ამის შესახებ ილია სწერს:

„ამგვარად ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი—ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი,—რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, რომ მკითხვენ, ოცდათერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო*)“.

ქართული ენის დაუძინებელი დევნის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე გორის საოსტატო სემინარიასთან არსებული ქართული (?)

*) ტ. VII, გვ. 188—189.

მოსამზადებელი კლასის (პროფსემინარიის) მასწავლებლის, „ახოვანი უვიცობით“ განთქმული ნათიევის „მეთოდი“ ქართული ენის სწავლებისა. ეს „მეთოდი“ ითვალისწინებდა პირველი განყოფილებიდანვე ქართული და რუსული ენების პარალელურ სწავლებას, ხოლო ამასთან **ბავშვებს ქართული სიტყვები რუსული ასოებით უნდა ეწერათ**. ეს საარაკო სიმახინჯე მორალურად გახრწნილ, ჯაშუშ ნათიევს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ქართველ ბავშვებს ქართული ანბანი არ ესწავლათ და დედა-ენაზე ვერაფერი წაეკითხათ.

„ნათიაური“ ანბანი მის ავტორს ახალ გამოგონებად მიაჩნდა და „ახალი“ მართლაც იყო ამ გამოგონებაში:

„რადგანაც რუსულ ანბანს,—სწერს ილია,—აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა, და ამ ახალის ასოებით შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია... ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო? ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?*).

მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძესა და მისი სახელოვანი კოგარტის ბრძოლის დასახასიათებლად არ შეიძლება არ მოვიგონოთ რამდენიმე მომენტი მათი მოღვაწეობიდან საქართველოში სახალხო სკოლების გახსნის უფლების თვით ხალხისთვის გადაცემის შესახებ.

ქართველი მოწინავე საზოგადოება 80-იან წლებში **ილია ჭავჭავაძის, ს. მესხის, იაკობ გოგებაშვილის, ივ. როსტომაშვილის, ი. წინამძღვრიშვილის, ნ. ცხვედაძის** და სხვების ხელმძღვანელობით ნათლად ხედავდა, რომ სახელმწიფო არ ზრუნავდა ხალხისათვის სასურველი და გამოსადეგი სკოლების გახსნაზე და ამიტომ ენერგიულად სცდილობდა თვითონ მოეპოვებია საზოგადო და კერძო სკოლების გახსნისა და მართვის უფლება. ამ მხრივ დიდ მუშაობას აწარმოებდნენ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საზოგადოებანი, ხოლო მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ,,ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება“, დაარსებული 1879 წელს, რომელსაც (თავისი ფილიალებით) 1917 წლისათვის საქართველოში ჰქონდა 40 სკოლამდე. ყოველი პატარა დაწყებითი სკოლის გახსნისათვის საჭირო იყო გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორის, გუბერნატორის, ოლქის მზრუნველის და შემდეგ მეფის მოადგილის ნებართვა, ხოლო სკოლის წესდებისა და სასწავლო გეგმის დამტკიცება ხომ ჯოჯოხეთურ წვალებას წარმოადგენდა. იაკობ გო-

---

*) ტ. VII, გვ. 191 (ნათიევის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე ი. გოგებაშვილი და როგორც სწერს „მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“ (იხ. მისი „ნაწერები“).. ტ. I, გვ. 52.

კებაშვილი 1881 წელს, მაგალითად, სომხებს, თათრებს და მთიულებს შენატრობდა, რომ მათ, არა მართლმადიდებლებს, ერთხანს უფლება ჰქონდათ „პირველდაწყებითი სკოლები თავისუფლად გახსნან და თავის ნებაზედვე მოაწყონ ისინი და გამართონ... სრულიად სხვა გვარ წესსა ვხედავთ შესახებ მართლმადიდებელი ქართველი ხალხისა. **არც ერთი ქართული სკოლა, რაც უნდა პაწაწკინტელა იყვეს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ მას არ წაუმძღვანეთ წინ გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და არ მივიღეთ უკანასკნელის ნებართვა, რომელსაც დროზე ძალიან იშვიათად ელირსებით.** არც ერთ სკოლაში სწავლა არ შეიძლება მოიმართოს სხვანაირად, თუ არა დადგენილს ოფიციალურს პლანზედ, თუ არ ადმინისტრაციისაგან დამტკიცებული პროგრამებით*)“. ამას დაუმატეთ რუსული ენის სწავლების აუცილებლობა დაწყებით სკოლაში და ამისათვის მასწავლებლის დაქირავება და ცხადი ხდება, რომ „ეს გარემოება ქართულს სოფლებს სრულიად უხშობს სკოლების გახსნის შეძლებას“ *)...

ქართველი საზოგადოების მიერ სკოლების თავისუფლად გახსნის უფლებისათვის ბრძოლის ერთ დამახასიათებელ ეპიზოდს წარმოადგენს „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებასა“ და კავკასიის სასწავლო ოლქს შორის გამართული დავა სოფელ წინარეხში ამ საზოგადოების სკოლის გახსნის ირგვლივ. წ. კ. საზოგადოებამ აღნიშნულ სოფელში სკოლის გახსნის უფლება მიიღო ტფილისის გუბერნატორისაგან 1881 წლის 8 ივნისს**), ხოლო გუბერნიის სახ. სკოლების დირექტორი დარსკი მოითხოვდა, რომ ამ სკოლაში სწავლა ყოფილიყო არა წ.კ. საზოგადოების წესდების მე-3 მუხლის მიხედვით, რომელიც რუსული ენის სწავლებას მე-3 განყოფილებიდან მოითხოვდა, ხოლო სწავლის კურსს 4 წლით საზღვრავდა, არამედ კავკასიის ოლქის 1881 წლის (იანოვსკის) სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც რუსული ენის სწავლებას პირველი განყოფილებიდანვე მოითხოვდა, ხოლო სწავლის კურსს 3 წლით საზღვრავდა.

წ.კ. საზოგადოებამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ოლქის მზრუნველს— იანოვსკის***) და ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს— დარსკის. საზოგადოების გამგეობამ დირექტორის მოთხოვნა განიხილა 1882 წლის 28 იანვრის, 25 თებერვლის, 1 აპრილის, 8 აპრილის სხდომებზე, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა, და ყოველ სხდომაზე გამოჰქონდა ერთი და იგივე დადგენილება: არ დაეთმო დირექტორისათვის და არ მიეღო იანოვსკის გეგმა. გუბერნიის სკოლების დირექტორს საშინლად არისხებდა საზოგადოების ასეთი სიმაგრე და იანოვსკისთან ერთად გადაჭრით მოითხოვდა 1881 წლის გეგმის მიღებას, წინააღმდეგ

---

*) ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 61, 1910 წ.

**) ცენტრ. არქივი, „წ.კ. ს-ბის ფონდი, „წინარეხის სკოლის საქმე“.

***) იანოვსკი—ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრებს უგნურ პედაგოგებად („Неразумные педагоги“) სთვლიდა.

შემთხვევაში იმუქრებოდა წინარეხის სკოლის დახურვით. დირექტორთან ურთიერთობის გამწვავებამ მართლაც შეუქმნა საზოგადოებას არა მარტო წინარეხის სკოლის დახურვის საშიშროება, არამედ საერთოდ სკოლების გახსნის უფლების დაკარგვისაც და ამიტომ საზოგადოების გამგეობის წევრთა შორის შეიქმნა ნაწილობრივ დათმობაზე წასვლის განწყობილება. ეს განწყობილება გამოაშკარავდა გამგეობის 1882 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ **ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. ქართველიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და გ. თუმანიშვილი** (ილია ჭავჭავაძე სხდომას არ დასწრებია). დათმობა გულისხმობდა რუსული ენის შემოღებას პირველი წლის (განყოფილების) მეორე სემესტრიდან. დათმობის ინიციატივა ი. გოგებაშვილს ეკუთვნოდა. ის თავის აზრს ასაბუთებდა იმით, რომ, თუ სკოლას დახურვა ელოდა უმჯობესი იყო წასულიყვნენ ამ დათმობაზე და სკოლის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. ვინაიდან ილია ჭავჭავაძე ყოველგვარი დათმობის წინააღმდეგი იყო, გამგეობის მორიგმა, (2 ნოემბრის) სხდომამ (რომელსაც ესწრებოდნენ **ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი** (გამგეობის თავმჯდომარე), **ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ნ. ცხვედაძე, გ. თუმანიშვილი, გ. ქართველიშვილი და ალ. სარაჯიშვილი**), მაინც არ მიიღო დათმობაზე წასვლის დადგენილება (მიუხედავად ილიას არ დასწრებისა) და მიანდო ი. ჭავჭავაძეს (დაუსწრებლად), ი. გოგებაშვილს, ნ. ცხვედაძეს და გ. თუმანიშვილს მიეწერათ ცენტრალური მთავრობისათვის (კავკასიის მთავარმართებლისა (დონდუკოვ-კორსაკოვი) და განათლების მინისტრისათვის (ი. დელიანოვი) საზოგადოების წესდებისა და გეგმის მიხედვით სწავლების ნებართვის დადასტურების შესახებ. მიწერილობა გაიგზავნა; ხოლო პასუხის მიღებამდე გამგეობამ, 9 ნოემბრის სხდომაზე, დაადგინა საკითხი გადაეტანა საზოგადოების საერთო წლიურ კრებაზე.

ეს კრება შედგა 1883 წლის 3 ივნისს. თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციასთან უთანხმოების საკითხის ირგვლივ ილაპარაკეს: **ი. ჭავჭავაძემ, ა. ცხვედაძემ, ნ. ლომოურმა, ი. გოგებაშვილმა, პ. უმიკაშვილმა, რ. ჯაჯანაშვილმა, დ. კეზელმა, ი. რატიშვილმა, ი. მეუნარგიამ** და სხვებმა. ი. ჭავჭავაძემ აცნობა კრებას საკითხის ისტორია და სხვათაშორის აღნიშნა, რომ ეს საკითხი ჯერ სამინისტროს და დონდუკოვ-კორსაკოვს არ გადაუწყვეტია. დათმობაზე წასვლას ამ კრებაზე იცავდნენ ი. გოგებაშვილი, ნ. ლომოური და ი. რატიშვილი. ი. გოგებაშვილი ლაპარაკობდა: „თეორეტიკულად, რასაკვირველია, დათმობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ პრაქტიკულად რომ ვსინჯავ საქმეს, დათმობას ვამჯობინებ. უნდა დაუთმოთ სახელდობრ იმის შესახებ, რომ პირველი წლის მეორე ნახევრიდან ვიწყებთ რუსულის სწავლას. ამით სხვა მხრით ბევრს მოვიგებთ. წინადაც ასე ვამბობდი, დღესაც ამას ვამბობ. როგორც წევრი მართველობისა სხვას ვფიქრობ, მაგრამ როგორც ი. გოგებაშვილი, კერძო კაცი,—სხვასა. ამაში წინააღმდე-

გობა არ არის*)"... **ნ. ლომოური** უჭერდა რა მხარს ი. გოგებაშვილის აზრს, ლაპარაკობდა... „რატომ არ უნდა დაუთმოთ? თქვენ, ბატონებო, რათა ბრძანებთ მაგას? საზოგადო სარგებლობისათვის საჭიროა კაცმა ხან აქეთ გადაუხვიოს პირდაპირ გზას, ხან იქით, გარემოებათა მიხედვით" **). ილია ჭავჭავაძე მტერი მეფის მთავრობის აგენტებისადმი ყოველგვარი დათმობისა და შემარიგებლობისა, გამოვიდა ტფილისის გუბერნიის სკოლების დირექტორის მოთხოვნის წინააღმდეგ მტკიცე და რადიკალური სიტყვით:

„მე ვერ გამიგია, რა არის დათმობა ამ შემთხვევაში. ორში ერთი უნდა იყოს: ან კანონი ან უკანონობა. თუ უკანონოდ გვექცევა, როგორ დაუთმოთ, თუ კანონით მოქმედებს, რას დაგვითმობს. ან, კარგი, დაუთმოთ, მერე როდემდის დაუთმოთ? **ხად არის საზღვარი, რომლის იქით დათმობას აღარ მოგვთხოვენ**? პაჭიჭს რომ თავი მოარღვიოთ ბოლომდი სულ რღვევით წავა. თუ ერთხელ დაუთმობთ, მეორედაც მოგიხდებათ დათმობა. ჩვენ იმედია გავმართლდებით უმაღლესი მთავრობის წინაშე. **ამ შემთხვევაში დირექტორისა და ხამოსწავლო მთავრობის თვითნებობა მოქმედობს და არა კანონი** **). თუ კანონიერად ითხოვს, რასაც ითხოვს, მაგას ვერავინ დაათმობინებს. ჩვენც, რასაკვირველია, მოხელეს არ უნდა დაუთმოთ** იქ, სადაც იმისი ნება მოქმედობს").

წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრება დაეთანხმა კრების აზრთა მფლობელს—ილია ჭავჭავაძეს. დათმობაზე უარი სთქვა, ხოლო დაავალა გამგეობას აღნიშნული საკითხის შესახებ საზოგადოების მოსაზრებანი წარუდგინოს, უშუალოდ, უმაღლეს მთავრობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა, ილიას თავის თხზულებაში აუარებელი ფაქტები მოჰყავს ქართული ენის, სკოლის, სწავლა-განათლებისა და საერთოდ ქართული კულტურის დევნისა და შევიწროვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე გამოაქვს პირდაპირი და ცხადი პოლიტიკური დასკვნა:

—**„უმჯობესი არ იქნება, რომ ბარემ გვითხრან: სწავლა ნუ გინდათ, რას მიჰარავთ, რას მიედ-მოედებით, რა თქვენი საქმეაო** ***)".

სხვანაირი დასკვნა მეფის აგენტების საგანმანათლებლო პოლიტიკიდან არავის შეეძლო გამოეტანა. ყველასათვის ცხადი იყო მათი აშკარა და ფარული ბრძოლა ქართული ენისა და ყოველი ქართული ელემენტის წინააღმდეგ საქართველოს სკოლებში და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

ამხანაგი **ი. სტალინი** თავის გენიალურ ნაშრომში **„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"** (1913 წ.), ბრწყინვალედ არკვევდა, რომ ძველ იმპერიალისტურ რუსეთში, „ხალხთა საპყრობილეში", პატარა ერების ჩაგ-

---

*) საქ. ცენტრ. არქივი. წ. კ. ს-ბის ფონდი № 42. სხდომების ჟურნალი 1882 წ. ოქმი ("პროტოკოლი"), 178—181.

) ილიას მხედველობაში აქვს **„Правила для частных учебных заведений" ვ-ხ 13; 1861 წ. 19 თებ. დებულება.

***) ტ. VII, გვ. 17.

ვრის „სისტემაში“ შედიოდა „თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვა, საარჩევნო უფლებების წართმევა, ენის შევიწროება, სკოლების შემცირება და სხვა რეპრესიები“...

„მაგრამ რეპრესიების პოლიტიკა ამაზე როდი ჩერდება. **ჩაგვრის** „სისტემიდან“ იგი გადადის **წასისიანების** „სისტემაზე“, ხოცვა-ჟლეტისა და „პოგრომების“ „სისტემაზე“. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ყველგან და ყოველთვის შესაძლებელი არაა, მაგრამ იქ, სადაც ის შესაძლებელია—ელემენტარულ თავისუფლებათა უქონლობის პირობებში,—იქ ის ხშირად აღწევს უსაშინელეს ფარგლებს და მუშათა შეკავშირების საქმეს სისხლსა და ცრემლებში ჩახრჩობით ემუქრება. კავკასია და სამხრეთ-რუსეთი ამის ცოტა მაგალითს არ გვაძლევენ. „დაჰყავ და იბატონე“—ასეთია წასისიანების პოლიტიკის მიზანი “*).

ეროვნული ჩაგვრისა და წასისიანების პოლიტიკის მაგალითები საქართველოში, ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები პატარა ერების ცხოვრებაში ბევრი იყო. ჩვენ უკვე გავეცანით ზოკიერთ მათგანს ენის შევიწროებისა, სკოლების შემცირებისა და საერთოდ კულტურული განვითარების შეზღუდვის დარგში. მაგრამ საქართველოს მე-19 ს. სამოქალაქო ისტორია, განსაკუთრებით მე-19 ს. მეორე ნახევარში, მოწმეა აგრეთვე მრავალი რეპრესიისა საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა დარგშიც.

ამ რეპრესიების მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დაქუცმაცება და ჩვენში მოსახლე პატარა ერების ერთმანეთზე წასისიანება, მათზე ყოველმხრივ გაბატონებისა და მათი ძირფესვიანად გადაგვარებისათვის. თავისუფალი მიმოსვლისა და საარჩევნო უფლების წართმევა, ეკონომიური შევიწროება, მოსახლეობის გათიშვა სახელმწიფო მართველობის ორგანოებიდან, ეროვნული კულტურის და სულიერი განვითარების ყოველნაირად შეზღუდვა და, საერთოდ, ეროვნული თვითგამორკვევის ყოველი ელემენტის მოსპობა განმანადგურებელ რისხვად ატყდება დამორჩილებულ ხალხს.

საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა, რასაკვირველია, ეროვნული ჩაგვრის ყოველი ფორმის და რეპრესიის პოლიტიკის მთელი „სისტემის“ წინააღმდეგ ვითარდებოდა.

ილია ჭავჭავაძე არაფერს ზოგავდა ამ პოლიტიკის დასანგრევად არც წერით არც სიტყვით. მაგრამ როგორც ერთი ისე მეორე მას მიაჩნდა რა აუცილებელ საბრძოლო იარაღად, მაინც არ სთვლიდა მათ საკმარისად. ჟანდარმულ საცენზურო პირობებში ილიას უხდებოდა ლაპარაკი და წერა „შეძლებისამებრ **ფრთხილად და ენის კვნეტით**“ და **ამიტომ არ შეეძლო დაეწერა რისი დაწერაც საჭირო იყო და—ეთქვა რის თქმასაც ბრძოლის**

---

*) ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, ქართ. გამოც. გვ. 19, ტფილისი, 1934 წ.

სიტუაცია მოითხოვდა. ამას ყველაზე მეტად თვით ილია გრძნობდა. ის ხედავდა, რომ სიტყვა შებორკილია, რომ მის დროში „ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ „დიდმა სთქვას“ მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაკმინდო“, და პატარამ მიუგოს: „შაქვს პატივი მოგახსენოთ რომ ენა მუცელში ჩამივარდა ბრძანებისამებრ თქვენისა“*). თავის დროის მთელი რეჟიმი ილიას ისეთ საბედისწერო სულთამხუთავად მიაჩნდა რომელიც მას ზოგჯერ ნორმალური სიტყვისა და აზრის უნარს აკარგვინებდა:

„მე ერთის თქმა მინდა—ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის—სიტყვა მისია, კალამი ჩემი სწერს—აზრი იმისი გამოდის. რა მემართება, არც მე ვიცი“**). ასეთი შემაძრწუნებელი ცენზურული პირობები იდეასაც კი აკარგვინებდა თავის ძალას; ამ იდეას უბრალო მაკრატელი სჯობდა, რომლითაც ულმობელი ცენზორი ნაკუწ-ნაკუწად სჭრის მას და შემდეგ თავისებურად ადგენს. ამგვარ სულისშემხუთველ პირობებში ჩავარდნილ ილიას ახლოდ მამლის ყივილის იმედი-ღა ასულდგმულებდა:

„ეხლა კი საათი ქვეყნისა დაშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს. **ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მაძლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის. შე დალოცვილო მამალო რას უყურებ და არ დაიყივლებ**“ **)...

ასე სწერდა ილია ჭავჭავაძე 1885 წელს; პირობები მართლაც მძიმე იყო, მაგრამ იგი შორსაა ინერტიული განწყობილებიდან. ამაში მოჩანს მისი სახალხო-რევოლუციური ბრძოლის ეპიზოდი, როდესაც ამ ბრძოლის ჯერთი დიდი პერიოდი მან უკვე განვლო, მაგრამ საბრძოლო ამოცანები კი უფრო და უფრო მატულობდა, რეაქცია ძლიერდებოდა. 25 წლიანი ბობოქარი მოღვაწეობის შემდეგ მას ცოტახნით შესვენება ესაჭიროებოდა ბრძოლის ახალი პერიოდის დაწყებისათვის. ილია ერთი წუთითაც არ ჰკარგავდა იმედს და კვლავ ემზადებოდა განთიადის მოლოდინში, ის ნატრობდა განთიადის მახარობელ მამლის ყივილს, განრისხებული იყო მისი დაგვიანებით და იჩქარიდა მოლოდინის დასრულებას.

ილიამ იცოდა, რომ ქართული ენა კვლავ აღსდგებოდა. დედა-ენა მოიპოვებდა თავის უფლებას ჩვენს სკოლებში. მაგრამ მისი ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის პროგრამა უფრო ფართო იყო. ქართული ენის აღდგენა სკოლებში ამ მოძრაობის თუმც დიდ, მაგრამ მაინც ერთ მომენტად მიაჩნდა და ქართველი ხალხის ერთი ტკივილის წამლად აღიარებდა, მაგრამ ილია სწერს, რომ:

„ამ წამალს იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტკივილი მორჩეს, **აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოსდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა...**“ (ტ. VI, გვ. 45).

*) ტ. VI, გვ 100.

**) ტ. VII, გვ. 81.

რომელ ნორმალურად ფიქრობ ადამიანს შეუძლია არ აღიაროს, რომ ილია ჭავჭავაძის ამ პათოსიან სიტყვებში „**ეგრ სხვა ტკივილად**“ იგულისხმება საქართველოს ეკონომიური-პოლიტიკური და კულტურული დამონება რუსეთის მონარქიის მიერ, ხოლო „**სხვა წამლად**“ — რევოლუციური ბრძოლა ამ დამონების წინააღმდეგ, ისე როგორც გათენების მომასწავებელ „**მამლის ყივილში**“ მშრომელი ხალხის განთავისუფლების ნამდვილი განთიადი იგულისხმება!

სახელოვან ილია ჭავჭავაძეს, როგორც დიდ რევოლუციონერს, ძველი საზოგადოების წინააღმდეგ შეუდრეკელ მებრძოლს, მთელი სიცხადით შეეძლო დაესახა რეალური პერსპექტივა გამარჯვებისა:

„ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—

და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“.

(„აჩრდილი“).

X. ქალთა განათლება

ქალთა განათლების საკითხს ილია ჭავჭავაძე არასდროს არ სთიშავდა სახალხო განათლების საერთო საკითხებიდან: ყოველივე ის, რასაც ილია სწერდა და ლაპარაკობდა ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა-განათლების შესახებ, ეხება როგორც ვაჟს ისე ქალს. ხალხის მომავლის შემქმნელ კარგად აღზრდილ ახალ თაობაში ილია ვაჟთან ერთად გულისხმობდა ქალსაც და უკანასკნელის აღზრდა-განათლებას ზოგადი მიზნებისა და ორგანიზაციის მხრივ არ ასხვავებდა იგი ვაჟის აღზრდის ზოგადი მიზნებისა და აღზრდის პროცესის ორგანიზაციიდან.

ბურჟუაზიული საზოგადოება ქალში არ სცნობს შემომქმედ და ინიციატიური აზროვნების მქონე ადამიანს; ამასთან იქ ქალი განუზომელი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ობიექტია. ყველაფერზე უკეთესი რასაც ბურჟუაზია სცნობს ქალის დანიშნულებად, ეს არის: დიასახლისობა, ცოლობა, გუვერნატკობა და ზოგჯერ პრიმიტიული შრომაც. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას ის ქალს არ აკისრებს და ამიტომ მისთვის დიდი სწავლა და განათლება საჭიროდ არ მიაჩნია. ამიტომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალს არ ეძლევა ნამდვილი, რეალური განათლება და ამავე დროს მოკლებულია იგი მამაკაცის თანაბარ უფლებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძე ხედავდა ქალის ასეთ დაბეჩავებულ მდგომარეობას როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც. ხედავდა, რომ ქალს არ ეძლევა შესაფერისი უფლება, განათლება, ადამიანური ღირსება და გრძნობდა, რომ ამით კაცობრიობის მთელი ნახევარი ძალითაა მოწყვეტილი შემოქმედებისა და მოძრაობის პროცესიდან, რომ მას დაკარგული აქვს თავისი კუთვნილი ადგილი საზოგადოებასა და ცხოვრებაში.

ილია, როგორც ფემინისტური მოძრაობის ერთი დიდი მეთაურთაგანი მე-19 ს. მეორე ნახევარში, სცნობდა ქალის თანასწორ უფლებას და მოვალეობას საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და კულტურის ყოველ დარგში. ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში ილია ნათლად ხედავდა იმ ჩანასახებს, რომლებსაც მოჰქონდათ ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან: და „შორს არ არის ის დრო, სწერდა ილია, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად*)".

ქალთა მოძრაობამ, ილიას აზრით, უკვე ყველასათვის ცხადი გახადა, რომ ქალებს შეუძლიანთ საზოგადოებრივ შრომაში ჩაებან, ღირებულება შექმნან და ამიტომ ის

„უსამართლობა, სწერს ილია, რომელიც დღეს—აქომამდე დედათა სქესს, **ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას საძიძაოდან და სამზარეულოდან გარედ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე რომ ლუკმა-პურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, ღიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას**)".**

უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალთა მასების დაინტერესება თავისი განთავისუფლების საქმით. მას „უკბილო საყვედურად და უქმ ჩივილად" მიაჩნდა ქალებს წუწუნი მამაკაცებისადმი: „აი, თქვე გულქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთო", და ქალთა განთავისუფლების მთავარ პირობად ქალებისავე ინიციატივასა და თვითმოქმედებას აღიარებდა. ეს ინიციატივა და თვითმოქმედება ქალებს უნდა დაეწყოთ თავის სწავლა-განათლების უზრუნველყოფით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, სულ უქმია ლაპარაკი მათ გათანასწორებაზე მამაკაცებთან. ქალებს მხოლოდ სათანადო სწავლა-განათლებით შეუძლიანთ ჩაებან ღირებულების შემქმნელ შრომაში და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში; ამ გზით შეუძლიანთ მათ მოიპოვონ ადამიანური უფლება და ღირსება ანუ — განთავისუფლდნენ. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიხარულით შეეგება „ქართველი ქალის" წერილს 1889 წლის 4 მარტის „ივერიაში" სათაურით: „საზოგადოების

საყურადღებოდ", სადაც ეს" ქართველი ქალი*)" მოუწოდებდა ქალებს **თვითონ** აეღოთ თავის თავზე ქალთა სასწავლებლის გახსნა და საკუთარი განათლების ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ჩვენს ქალებს **თავი** დაეღწიათ იმ თითქოს „უწმინდესი და უსაძღთოესი დანიშნულებიდან" როგორიცაა მხოლოდ **დედობა, ცოლობა, დობა**. ყოველივე ეს ილიას მიაჩნდა ქალის საპატიო მოვალეობად, მაგრამ **მხოლოდ ამით ამოწურვა** ძისი დანიშნულებისა კი—დიდ რეგრესულ, უსამართლო და რეაქციულ საქმედ. სწავლა-განათლების გზით დაიმტკიცებს ქალი, რომ იგი სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია მამაკაცის მსგავსად შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ამავე დროს განათლებულ ქალს შეუძლიან იყოს საუკეთესო დედა, ცოლი და დაი.

ქალთა სწავლა-განათლება უნდა მიდიოდეს, ილიას აზრით, ისევე როგორც ვაჟებისა:—ზოგადი გონებრივი განათლების, ზნეობრივი და ტექნიკური განვითარების, ფიზიკური, მხატვრული, ეროვნულ-პატრიოტული და თვითმოქმედების აღზრდის გზით. ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა ქალებისათვის არა მარტო დაწყებით და საშუალო განათლებას, არამედ უმაღლესსაც. „დედათა სქესმა, სწერს იგი, კაცობრიობის უკეთეს წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნი-ღა ეურჩებიან ამ უფლებას**)". მართლაც, ძველ საზოგადოებაში ქალის უფლებას უმაღლეს განათლებაზე ათასი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, უპირველეს ყოვლისა—**მოუმზადებლობა უმაღლესი სკოლისათვის**. ილიას მოთხრობის დაუმთავრებელ ვარიანტში „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა" ჩვენ ვხვდებით შემდეგ დიალოგს ქალსა და ვაჟს შორის:

ქალი—**უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია**.

ვაჟი—გაიღეთ კარი და შედით.

— **მოუმზადებელნი?**

— მოემზადენით

— **რომ არ გვამზადებთ?***)".

უმაღლესი განათლების უფლების უზრუნველყოფა ქალთათვის მოითხოვდა ისეთი საშუალო განათლების მიღებას, რომელიც უმაღლეს სკოლაში შესვლის უფლებას მისცემდა მათ. ასეთ განათლებას არც ერთი ქალთა სკოლა არ იძლეოდა. რაც შეეხება ქალთა გიმნაზიებს რომლებიც 60-იან წლებში დაარსდნენ 7 ძირითადი და მე-8 პედაგოგიური კლასით,—ისინი იძლეოდნენ მხოლოდ ქალთა უმაღლეს კურსებზე შესვლის უფლებას. უნივერსიტეტში შესვლის უფლებისათვის ქალთა გამნაზიის კურსდამთავრებულს უნდა ჩაე-

---

*) ვინაობა ამ „ქართველი ქალისა" ჯერ ვერ გამოვარკვიეთ.

**) ტ. VIII, გვ. 277.

***) ტ. III, გვ. 260.

არებია გამოცდები ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის პროგრამის მიხედვით, რაც მეტის-მეტად აძნელებდა ქალთათვის უმაღლესი განათლების მიღებას და უმაღლეს სკოლას მათთვის მართლაც დახურულად აქცევდა. რაც შეეხება ტექნიკურ უმაღლეს განათლებას—ეს ხომ საერთოდ დახურული იყო ქალთათვის, როგორც თითქოს, ამ სქესისათვის შეუფერებელი.

ილია ჭავჭავაძე 1893 წელს მწუხარებით აღნიშნავდა, რომ უმაღლესი აგრონომიული განათლების მხრივ „ჯერ კიდევ დახშული აქვთ კარი ქალთა, და უმაღლესი სამეურნეო სკოლები დანიშნულია მხოლოდ მამაკაცთათვის*)". ის ეხება სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზებს ქალთა უმაღლესი განათლების საქმეში და ერთ მთავარ მიზეზად სრულიად სამართლიანად სთვლის იმ, მართლაც შემაძრწუნებელ ფაქტს, რომ **ქალს მისი დროის საზოგადოებაში არ შეეძლო გამოეყენებია თავისი უმაღლესი განათლება კიდეც რომ ასეთი მიეღება მას** როგორმე, დიდი სიძნელეების გადალახვით, **მაინც მოეხერხებია.** მიზეზი გასაგებია: ქალს იშვიათად აკისრებდნენ ისეთ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომლის შესრულებაც მას უმაღლესი განათლების აუცილებლობას მოსთხოვდა. ზემოხსენებული მოთხრობის ვარიანტში ქალი თავის საუბარს საუნივერსიტეტო განათლების მიღების სიძნელეთა შესახებ ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

—„ვსთქვათ გამოვამტვრიეთ ჩვენთვის დახურული უნივერსიტეტის კარები, **დავასრულეთ კურსი, მერე სად მოვიხმაროთ ჩვენი სწავლა და ცოდნა? რისთვის გვინდა?**)".

ასე გაამახვილა ილია ჭავჭავაძემ ხალხის ყურადღება ქალთა განათლების საკითხებზე, პირველ რიგში ქალისთვის იმ უფლების მინიჭებისა და იმ საზოგადოებრივ მოვალეობათა დაკისრებისათვის, რომელიც მამაკაცს აქვს მინიჭებული და დაკისრებული. ილია აღიარებდა, რომ ქალს მხოლოდ მაშინ ექნება რეალური საშუალება უმაღლესი განათლების მიღებისა და გამოყენებისა, როდესაც ის ცნობილი იქნება ნამდვილ ადამიანად და უფლება-მოსილ მოქალაქედ.

ქალთა განათლების ერთ-ერთ მიზნად ილია ჭავჭავაძე ასახელებს მათ მომზადებას პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. განათლებული დედა—ოჯახში ბავშვების აღმზრდელი, და განათლებული მასწავლებელი ქალი—სკოლაში საგანმანათლებლო მუშაობის მწარმოებელი, მოიტანენ, ილიას აზრით, იმ ნაყოფს, რომელიც გარდაქმნის მთელს ჩვენ ცხოვრებას, შექმნის ჩვენს საუკეთესო მომავალს. ოჯახის ზეგავლენა ბავშვზე ძალიან მნიშვნელოვანია, ხშირად—გადამწყვეტიც, მაგრამ ოჯახს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს დადებითი აღმზრდელობითი მნიშვნელობა როცა „მისი ბურჯი"—დედაკაცი საკმაოდ განათლებული პიროვნებაა, ესმის ბავშვის საზოგადოებრივი და პირდაპირი აღზრდის მიზნები,

*) ტ. VI, გვ. 265.
**) ტ. III, გვ. 260.

ერკვევა აღზრდის შინაარსში, იცის ბავშვზე ზეგავლენის ხერხები და ფორმები. ოჯახის მდგომარეობა უმთავრესად, თუ არ სავსებით, ქალზეა დამოკიდებული: ამ თემის დასამტკიცებლად ილია ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგე **გ. თუმანოვთან** კამათის დროს მიმართავს კარლ მარქსს, როგორც დიდ მეცნიერულ ავტორიტეტს:

„მოვიყვანთ **მარქსის** ნათქვამს", სწერს ილია და მოჰყავს შემდეგი მისი სიტყვები: **„როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაა*)".**

ილია ღებულობს ამ სიტყვებს, როგორც უდაო ჭეშმარიტებას ქალის როლის ღირსეულად დაფასებისათვის და ენერგიულად იბრძვის დედაკაცის ფართო მეცნიერული და ტექნიკური განათლების უზრუნველყოფის მიზნით.

XI. დიდაქტიკური მოსაზრებანი

სწავლების ზოგად პრინციპულ საფუძვლებსა და მეთოდურ საკითხებს ილია ჭავჭავაძე ეხებოდა უფრო სპორადულად, ვიდრე სისტემატურად. თავისი დიდაქტიკური მოსაზრებანი მას გამოთქმული აქვს აღზრდა-განათლების საერთო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით და უმთავრესად პოლემიკურ ფორმებში. დიდაქტიკური და მეთოდური პრობლემები ილია ჭავჭავაძეს სპეციალურად არ დაუმუშავებია, მაგრამ მის პედაგოგიურ თხზულებებში მათ შესახებ ჩვენ გვხვდება შემდეგი ხასიათის მოსაზრებანი:

აღზრდის საერთო მიზნებისა და სწავლების ამოცანების ერთიანობა, სკოლის სასწავლო გეგმების განპირობება აღზრდის მიზნებით, პროგრამების გადაწყვეტი მნიშვნელობა მოსწავლეთა მიერ მეცნიერული დისციპლინების წესწავლის საქმეში, მეცნიერული დისციპლინების სწავლების მეთოდების დაკავშირება ბავშვის ასაკთან და მისი განვითარების დონესთან, მეთოდების სხვადასხვაობა შესასწავლი დისციპლინების სპეციფიკურობის მიხედვით, თვალსაჩინოების წამყვანი მნიშვნელობა სწავლების პროცესში, მოწაფის აქტიკობის, ინიციატივისა და თვითმოქმედების უზრუნველყოფა სწავლების დროს, მასწავლებლის მაღალ კვალიფიციური ცოდნის ფართოდ გამოყენება გაკვეთილზე, სწავლებისა და პრაქტიკული შრომის კავშირი და სხვ.

სწავლების კოლექტიური ფორმების გამოყენების დროს ილია არ ივიწყებს ბავშვის ინდივიდუალურ თვისებათა გათვალისწინების აუცილებლობას. რამდენადაც ბავშვთა სასკოლო ჯგუფს ბევრი რამ საერთო აქვს თავისი ასაკობრივი მდგომარეობით, ცოდნის მარაგით, ოჯახური წრის ზეგავლენით, ყოფა-ქცევით, ზნე-ხასიათით—იმდენად საჭიროა და აუცილებელი მათი კოლექტიური სწავლება საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდის მიზნით, მაგრამ ამავე დროს, რამდენადაც ბავშვთა ჯგუფში არ შეი-

*) ტ. IX, გვ. 334.

ძლება ყველას ჰქონდეს ზუსტად ერთგვარი ასაკი, ცოდნის ერთგვარი მარაგი, ერთნაირი ოჯახური წრის ზეგავლენა, ერთი და იგივე ყოფა-ქცევა და ზნე-ხასიათი,—იმდენად საჭიროა და აუცილებელი მათი სწავლა-განათლება დიფერენცირებულ იქნეს ცალკეულ ბავშვთა ინდივიდუალურ თვისებათა მიხედვით; ამას ვარდა, ილია ჭავჭავაძე ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და სპეციფიკური ზეგავლენის საჭიროებას ასაბუთებს აგრეთვე იმ განსხვავებული წარმატებისა და სწავლის ტემპის მიხედვით, რომელსაც შეუძლია იჩენდეს ერთი ბავშვი მეორესთან შედარებით.

ილია ჭავჭავაძემ არსებითად გაილაშქრა ისეთი ყალბი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიის წინააღმდეგ, რომელიც სწავლების პერიოდად ყველა ბავშვთათვის ერთსა და იმავე ასაკს აღიარებდა. საზოგადოების, ოჯახისა და საერთოდ აღმზრდელობითი წრის ზეგავლენით და საარსებო პირობების მიხედვით შეიძლება ამა თუ იმ ბავშვთათვის სხვადასხვა იყოს სწავლების დაწყების პერიოდი, ის რაც ერთ ბავშვს შეუძლია შეითვისოს ერთ გარკვეულ ასაკში, შესაძლებელია მცირე ან მეტი იყოს იმავე ასაკის მეორე ბავშვისათვის. ამასთან, ილიას სავსებით შესაძლებლად და საჭიროდ მიაჩნია ახალგაზრდობის სწავლის დაწყების პერიოდად მიჩნეულ იქნეს ისეთი ასაკი როდესაც მათ უკვე რეალურად ეზრნევათ აქტიური კულტურული განვითარების უნარი. ასეთი ასაკი შეიძლება იყოს არა ერთი და იგივე ყველა ბავშვთათვის, არამედ მხოლოდ დაახლოვებითი, მაგრამ არც ძალიან ადრეული და არც მეტად გვიანი. მაგალითად, ილია გარკვეული სარკაზმით აღნიშნავს იმ მოკლენას, რომ ძველ ფეოდალთა ოჯახებში ბავშვის სწავლა-განათლებას და სკოლაში მიბარებას 14—15 წლის ასაკიდან იწყებდნენ.

„კოლა შესრულდა ცამეტის წლისა, მაგრამ დედ-მამა მეტის მეტი სიყვარულის გამო **არ იმეტებდნენ შვილსა, რა სასწავლებლად გაეგზავნათ**; საწყალ, მარტივ გაუნათლებელ ქართველებს ამ გადაწყვეტილებაში ეგონათ მართალი სიყვარული. ბოლოს როცა **კოლა გადადგა თოთხმეტის წლიდამ მეხუთმეტეში, მაშინ კი ძლივს-ძლივს გაბედეს შისი ქალაქში გაგზავნა***)“.

არამც თუ 14—15 წლის ასაკი, არამედ 8-9 წლის ასაკიც კი ზოგიერთებულად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს სწავლის დაწყების პერიოდად; ის სწერს:

—„ჩვენში მიღებულია, რომ დედ-მამა თუ იფიქრებს შვილის სწავლას, **რვა-ცხრა წლისამდე ადრე არ შეუდგებიან ხოლმე ამისათვის ზრუნვას****)“.

ბავშვთა სწავლა-განათლების გვიან დაწყებას ილია ხსნიდა უკულტურობით, კერძოდ მშობელთა გაუნათლებლობით, ბავშვთა „საიდუმლოთა საიდუმლოს“ მიუწვდომლობით და მათი განვითარების შესაძლებლობათა უცოდინარობით, საერთოდ, პედაგოგიური განათლების სისუსტით და ხშირად სრულიად უქონლობით. მოზარდთა აღზრდისა და სწავლა-განათლე-

---

*) ტ. III, გვ. 187.

**) იქვე, გვ. 279.

ბის პროცესზე ღრმა დაკვირვებით, ილია დარწმუნებული იყო, რომ ნორმალურ სოციალურ და ოჯახურ პირობებში ნაზარდ ბავშვებს გაცილებით უფრო ადრე შეგვიძლია დავაწყებინოთ სისტემატური და ორგანიზებული სწავლა-განათლება, ვიდრე მის დრომდე და მის დროს ხდებოდა. ეს არის სასკოლო პერიოდი, რომელიც 7—8 წლის ასაკიდან უნდა იწყებოდეს. გამონაკლის შემთხვევაში სწავლის დაწყების ასაკი შეიძლება კიდევ შემცირდეს, მაგრამ ეს უკვე ბავშვზე ისეთი აღმზრდელობითი ზეგავლენის შედეგსა და მის ინდივიდუალურ-სპეციფიკურ თვისებებს მიეწერება, როდესაც ის თავისი ცოდნით და მორალით უკვე დიდად სხვავდება მისი ტოლი ფიზიკური ასაკის ბავშვებიდან.

ასეთ ბავშვს ილია გვაძლევს თავის ცნობილ ეტიუდ „უცნაურ ამბავში“ – პატარა პატიკოს სახით: საკვირველი გუნების ბავშვია. ჩემს სიცოცხლეში ბალღი ბევრი მინახავს და მაგისთანა კი ჯერ არა. ისე რომ ცოცხალი, მარხაზი ბიჭია, და **თუმცა ხუთი-ექვსი წლისაა**, მაგრამ უეცრად რაღაც მოუვლის ხოლმე, **ჩაფიქრდება, თითქოს რთული აზრი რამ გამოეკვანძა და იმისი გამოხსნა უნდაო.** მაშინ სახეზე აშკარად დაეტყობა ხოლმე, რომ **მისი პატარა ტვინი და გული იძვრის და მუშაობს***)“.

ბავშვი ჯერ 5—6 წლისაა მაგრამ მას უკვე რთული აზროვნება ემჩნევა, მისი ტვინი „იძვრის და მუშაობს“. საზოგადოებრივი წრისა და ოჯახის ზეგავლენამ ბავშვი უკვე 5—6 წლის ასაკისათვის მოამზადა სწავლის დასაწყებად. „ხნული მზად არის, თესლიც გაღვიძებულია“, სწერს იქვე ილია და მოითხოვს, რომ ამ ბავშვს „ეხლავ პატრონობა უნდა, — რომ დროა **ბალღს კაი კაცი მიუჩინონ მზრდელად და მასწავლებლად**“.

აქედან დიდი მნიშვნელობის პრაქტიკულ-პედაგოგიური დასკვნა უნდა გამოეტანა ილიას თანამედროვე საზოგადოებას: განსაკუთრებული ყურადღება ბავშვის ინტელექტუალური განვითარებისადმი; სისტემატური დაკვირვება მისი აზროვნების ჩასახვა-განვითარებაზე და მისი მეტყველების აღმოცენებისა და განვითარების ყველა საფეხურების ცოდნა, ცნებების გამომუშავება და მათი სპეციფიკური გამოთქმები, წინადადებათა შედგენა, მსჯელობა; თამაშის თავისებურება; ინტერესი ხალხისა და საგნებისადმი, ინტერესი შრომისადმი და მისი გონებრივი განვითარების სხვა ფსიქოლოგიური მომენტების ცოდნა ბავშვის ინტელექტუალური განვითარების სათანადო ეტაპის გასარკვევად და მისი აღზრდის მიზნებიდან გამომდინარე პედაგოგიურ ზეგავლენათა სისტემისა და სწავლა-განათლების ფორმების გამომუშავებისათვის.

ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა ინდივიდუალური აღზრდის მომხრე. ის ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და მასზე ინდივიდუალურ ზეგავლენას მოითხოვდა საზოგადოებრივი აღზრდის მიზნით და ამიტომ ეს **ინდივიდუალური მიდგომა და ზეგავლენა მხოლოდ აღზრდის ფორმად**

*) ტ. III, გვ. 279.

ან მეთოდად მიაჩნდა. პატარა პატიკოს ცალკე ზრდის მისი მასწავლებელი სოლომონი („უკნაური ამბავი“), ისე როგორც გაბრო სხვა შეგირდებიდან ცალკე გამოჰყო მისმა მასწავლებელმა მღვდელმა, ვინაიდან გაბრო სწავლის პროცესში შევარდნივით ჩქარი იყო, მეტს მუშაობდა, მეტ წარმატებას იჩენდა და მეტის გაკეთებაც შეეძლო („გლახის ნაამბობი“), მაგრამ ორივე შემთხვევაში ამ ცალკე ინდივიდუალურ მიდგომას და სწავლების ფორმას საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდის მიზანი უდევს საფუძვლად.

სასკოლო განათლების დარგში გადამწყვეტ მნიშვნელობას მასწავლებლის შემდეგ ილია აკუთვნებდა სასწავლო გეგმებს და პროგრამებს. სასწავლო გეგმები საზღვრავენ იმ დისციპლინებს, რომლებიც მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ თავისი მეცნიერული განვითარებისათვის, ხოლო პროგრამები კი არკვევენ ამ დისციპლინათა შინაარსს და მოცულობას სათანადო სასკოლო კლასის ბავშვთათვის. ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდების მეცნიერული განათლების ძირითადი ორგანო არის სკოლა, ხოლო მათი მეცნიერული განათლება დამოკიდებულია დისციპლინების შესწავლაზე, დისციპლინების მეცნიერულ მნიშვნელობას კი პროგრამები განსაზღვრავენ. აქედან ნათელია სასკოლო პროგრამების განუზომელი მნიშვნელობა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასე აყენებს საკითხს. სკოლას მხოლოდ იმდენად შეუძლია მოუტანოს ხალხს სიკეთე, რამდენადაც მას მეცნიერულად გამართული პროგრამები მოეპოვება ყველა დისციპლინაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა ვნების მეტს არაფერს მოიტანს; ილია სწერს:

„სკოლა, სასწავლებელი, ორ პირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც, **ეგ იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა***)“.

სასწავლო პროგრამები, ილიას აზრით, მეცნიერული დისციპლინის შინაარსისა და მოცულობის გარკვევის გარდა უნდა აკმაყოფილებდნენ პედაგოგიურ მოთხოვნილებებს, უნდა შეეფერებოდნენ ბავშვის განათლების დონეს და შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდნენ იმ ადგილობრივ საზოგადოებრივ და სასკოლო პირობებს, რომლებშიც ბავშვს უხდება სასწავლო მუშაობა. უამისოდ პროგრამა ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას და სასწავლებელი კი თავის მიზანს. ერთ მთავარ მიზეზად სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხვის შემცირებისა ილიას მიაჩნია სწორედ პროგრამის უვარგისობა, „უთავბოლობა და უმსგავსობა“.

„იმიტომ, რომ ის პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას, და არც ბავშვის ძალღონეზედ არის დაფუძნებული**)“.

---

*) ტ VI, გვ. 156.

**) იქვე, გვ. 145.

ილია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს კომენსკის, პესტალოცის და დისტერვეგს თავის პედაგოგიურ-დიდაქტიკურ მოსაზრებათა დასაბუთებისათვის და მშვენივრად იყენებს მათ ეროვნული სწავლა-განათლების დაცვისა და რუსეთის ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიც. ილიას „პედაგოგიის ძირეულ კანონად“ მიაჩნია შემდეგი დიდაქტიკური დებულება:

„ახალი ძველის შეწყობით უნდა ისწავლებოდეს,
შორეული მახლობლით,
უცნობი ცნობილით*)“.

ამ დებულებებს ილია განსაკუთრებით იყენებს დაწყებით სკოლებში ქართული ენის უფლების დაცვისა და რუსული ენის სწავლების უფროს კლასებში (მე-3—4) გადატანის დასაბუთების დროს. ახალის შესწავლა ძველის შემწეობით მხოლოდ სამშობლო ენის საფუძველზე შეიძლება, შორეული და უცნობი ახლობლად და ცნობილად მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით შეიძლება გადაიქცეს. რუსული ენის შესწავლა უნდა დაიწყოს, ილიას აზრით, მხოლოდ მაშინ როცა მას, როგორც ახალს, გამაგრებული ექნება ძველი საფუძველი, ე. ი. სამშობლო ენა; გადაიქცევა მახლობლად და ცნობილად იმავე სამშობლო ენის შემწეობით. სხვა საგნების სწავლების დროსაც რასაკვირველია იგივე დებულებები უნდა იქნან გამოყენებული. ილიას ჰეშმარიტ პედაგოგიურ პრინციპად მიაჩნია მისივე თქმით პედაგოგიკაში „გამოჩენილი და განთქმული კაცის“ **ჰენრიხ პესტალოცის** შემდეგი დებულება:

„ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ გავარჯიშებულან იმაზედ ვარჯიშითა, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანიაო**)“.

აღსანიშნავია, რომ ქართული სალიტერატურო ენის და მართლწერის გარდაქმნის აუცილებლობას ილია ასაბუთებდა არა მარტო ენის განვითარების ინტერესებით არამედ მათი ადვილად სწავლების თვალსაზრისითაც. ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგ ბრძოლა ქართული ანბანიდან ძველი, მნიშვნელობა დაკარგული ასოების (ჳ, ѳ, კ, ჯ, ჲ, ფ,) ამოგდებისათვის, ილიას იმიტომაც მიაჩნდა საჭიროდ, რომ

„ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გაუადვილებდა წერასა***)“.

სწავლის მეთოდებზე წერისა და ლაპარაკის დროს ილიას ყოველთვის შეხედველობაში ჰქონდა მათი კავშირი. საგნის შესწავლის მიზნებთან და სწავლებისა და სწავლის პირობებთან. მეთოდი, მისი აზრით, ბავშვს უნდა აძლევდეს თვალსაჩინო წარმოდგენას შესასწავლ თემაზე, ის უნდა იწვევ-

---

*) ტ. VII, გვ. 224.
**) იქვე, გვ. 217.
***) ტ. IV, გვ. 45.

დეს მოწაფის აქტივობას და თვითმოქმედებას. აღორძინების ხანის პედაგოგიკის მიმოხილვის დროს („პედაგოგიის საფუძვლები“) და სხვა არა სპეციალურ-პედაგოგურ წერილებში ილია მკვეთრად იბრძვის ძველი ფორმალისტურ-დოგმატიური და ზეპირ-სიტყვიერი მეთოდებისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი წიგნური სწავლების წინააღმდეგ და მოითხოვს სწავლების ისეთი მეთოდების დამკვიდრებას, რომლებიც უზრუნველყოფენ წიგნისა და ცხოვრების მტკიცე კავშირის დამყარებას, მოწაფეების მიერ მეცნიერებათა ნორმალურად შესწავლას და ხელს შეუწყობენ მათ გონებრივ განვითარებას.

ქართული პედაგოგიკის ისტორია მხოლოდ ეხლა, საბჭოთა პერიოდში. ყალიბდება როგორც გარკვეული მეცნიერული დისციპლინა. მხოლოდ ეხლა სწარმოებს ჩვენში ენერგიული კვლევითი მუშაობა ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ისტორიული მასალების გამოვლენის, შესწავლისა და სისტემაში მოყვანისათვის. საქართველოს დიდი მწერლის, ილია ჭავჭავაძის, პედაგოგიური იდეების მეცნიერული შესწავლა და მწყობრი დალაგება მეტად სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს როგორც ქართული პედაგოგიკის ისტორიის შენების მიზნით, ისე თვით ილიას ყოველმხრივ შესწავლისა და ღირსეული დაფასების თვალსაზრისით. მეორეს მხრით მისი მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის დაუფლება კლასიკოსებისადმი ლენინურ-სტალინური დამოკიდებულების საფუძველზე, დღესაც აქტუალურია ჩვენი თანამედროვე პედაგოგიკისათვის, ვინაიდან მასში ბევრი ისეთი „რაციონალური მარცვალი“ მოიპოვება, რომლის გამოყენებაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა-განათლების საქმეს.

პროფ. გ. თავზიშვილი

30/VI—37
ტფილისი.

1863 г.

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს ალარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველ ისფერისა. წესი, ჩვეულობა, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველ ისფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვკვირს, ადრინდელს კაცს როგორა ეწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მბედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის—თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, „სხვა სხვის ონში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილვიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მკვეთრობით დროებაზედ მაღლა ავმართულვიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გამდგარვიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიან. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა,—ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენ სთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თაწ არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუბრალოდ მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჰკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც

გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოუ-რიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუ-გდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტ-ყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნა-ყოფი და მერე ჭკნება—იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დი-ღისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვ-ნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა—ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუ-მძლეველი დედა შეჰხარის ახალ-გაღვიძებულს ბავშსა. გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვე-ნიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნ-წდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეად-გინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინად-მსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუბ-ლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება,— აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვ-დავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია; ერთს ზედ მოს-დევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი,—ამასთანაც დაუქ-ცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს—მეცნიერება და ხელოვნება (наука и искусство), სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომე-ლიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს

ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა—შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა—ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ.

რა აახლებს, რა სცვლის და—თუ ცხოვრება ჯანმრთელია—რას მიჰყავს წინ? ცოდნა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან. „ხე ცხოვრებისა—ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი—და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადასხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჰკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმომობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა".

ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალ შედარებაში ჰშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით უფრო გავაადვილოთ ამ დამოკიდებულების გაგება.

თუ ცხოვრება, როგორცა ვსთქვით, ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, ჭარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც ჰოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი,—ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ. დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და-დღე სხვადასხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრეფილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა. ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება. ჰგრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის.

მეცნიერება და ხელოვნება. რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი

და რანი არიან, – მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების აღსანას, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება,—რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ცვა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწყდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ესხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიგებოს და გზა გაუხსნას ახალსა. მართალია ეს დაწინაურებული თავობა ხშირად თავგადადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილება, შეაგროვოს მოსავალი, მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს ცნობაში თვითეული მარცვალი, ყოველს მათგანს დაუნიშნოს შესაფერი ადგილი, რათა თავის დროზედ, შვილებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და იმ ნაყოფმა ახალი თესლი ახალის ცხოვრებისათვის,—მართალია, ხშირად თავგაწირულად ჯაფასა სწევენ, ეპრძვიან ძველსა ახალის სიყვარულისაგან და შეჰხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამაატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად ვერ ხედება ხოლმე, რომ ვერ სძლევენ მოსავლის სიმრავლესა; ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დასდებენ ღირებულს ფასსა, ვერ დაუნიშვნენ შესახვედრს და შესაფერს ადგილსა. მაშინ ეგ თავგამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებიათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ; არ არის ძლიერი ხელი, რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და გაამაგროს პირველივე ქვა ახალის საძირკველშია. საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი.

ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო. რომ ცხოვრებას თავის ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდის არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერის სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშავარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შეხვედრისა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა,—ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამო-

ნგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა.

მეცნიერება და ხელოვნება—ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა—არიან კანონიკრნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახ.ნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი, თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული მაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჰკნება, როგორც ზემოთა ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა—„აცა ჯერ რაც მოვამზადეთ ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო“. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გასწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე, რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჰირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამ-რიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა. აი, როგორც შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები— მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ—ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაში მოყვანილია, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში,

მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა. ცნობაში მოყვანილი და დამტკიცებული, როგორცა ვსთქვით, მეცნიერება და ხელოვნება—ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-ნაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა — არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდ,საც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური. რომელ ხალხშიაც ეგ არის, იქ მომეტებული ნაწილი სიბნელეში დადის: უნდა, საჭიროა, რომ იხელთოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფნი, მაგრამ ვერ მისწვდომია, განა იმის გამო, რომ უღირსნი და უღონონი არიან, არამედ ათასი სხვადასხვა-ნაირ მიზეზებისა გამო, რომელთაც აქ ჩვენ არ მოვიხსენიებთ.

მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვადასხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა. მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა—წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარეთ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს გაიგონ რამე, შეივსონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო, ზოგი მოუცლელობისა გამო, ზოგი კიდევ სხვადასხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონისძიებასაც მოკლებულნი არიან. საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა.

ბოლოს დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამცნიეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე-დაღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეაებითა და აზ-

რებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა—და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ-გვარ ლიტერატურისა, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგ-გვარ ლიტერატურას ჰქვიან: „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამ-გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“ (общественный журнал). აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა“.

რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა, არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ქინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ. როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა. რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება—ეგ დედა ყოველ საქმისა—ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი.

რამოდენადაც მოსავალი მრავალია, ასე რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადასწვდება, ერთი ჟურნალის ღონე ვერ შესძლებს იმის ზიდვასა, იმოდენადაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში. ეს ჟურნალები სხვადასხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვრების მოსავალსა, სხვადასხვა მხრით სინჯავენ, სხვადასხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ,—და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთ შორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამც

თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვა-ნაირი აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ჟურნალები.

ჯერ ჩვენი საწყალი „მოამბე“ არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შესწამა, ჩვენ რა გვეთქმის ამაზედ ამის მეტი, რომ ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს. „მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, „ცისკარიც“ კი წინადღე აშინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარსა“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი.

დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონება-გამოცლილ „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს „ცისკარი“. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებლის შუა-გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა,— მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამდენად შეძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას — მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფრის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული,—არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული შომავალისაკენა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა ღნიშვნელობა ეჭნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს,

არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი.

ამ სახით, თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინიდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი. ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდაზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჰეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეჰჩეროს გაბერცებული თვალები და ბუღჩულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჰეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის—ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრე-

სასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმედელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი—ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

ჩემზედ ამბობენ: „ის ქართვლისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს—ეგ ხომ ცხადი სიძულილია!“
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია.

ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება—ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

1877 G.

ვიცინოთ თუ ვიტიროთ

ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ესე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მკრე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელსა აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო.

ჩვენ რის ამბის ნბობაც გვინდა, დაუჯერებელია. არც თითონ დავიჯერებდით, რომ სანდო კაცისაგან არ იყოს გადმოცემული.

„ივერიაში“ აბას წინათ მოხსენებული იყო, რომ გორში არსებობს შარშანდელს აქეთ საოსტატო სემინარია[3], ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის. მაგრამ ეგ აგრე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუსყეებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოგწონთ? შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტიროთ?

წარსულს სექტემბერს ამ გორის სემინარიაში შევიდა ორმოც-და-ათი მოწაფე. ამათ რიცხვში ოც-და-თერთმეტი ყმაწვილი ქართველია, დანარჩენნი სხვადასხვა გვარ-ტომისანი არიან. მაშასადამე, რაოდენობა ქართველთ ყმაწვილებისა შეადგენს ორ-მესამედს მთელის რიცხვისას. მომავალშიაც, რასაკვირველია, ქართველთა მოწაფეთა რიცხვი ამ-გვარადვე მეტი იქნება სხვებზედ. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას სულ სხვა ფიქრი მოსვლია. მის დირექტორს მოუწვევია საშველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდინი

ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამ-გვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი—ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი,—რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხვენ, ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო". ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

სემინარიასთან არსებობს მოსამზადებელი კლასი, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით, სემინარიასთან უნდა დაარსებულიყო სამი პროსემინარია: ერთში უნდა ისწავლონ ქართველებმა, მეორეში—რუსებმა და მესამეში—სომხებმა. შარშან სექტემბერში დაარსდა მხოლოდ ქართული პროსემინარია. ყოველის ეჭვის გარეთ იყო ყველასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისათვის არის დანიშნული, ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე. ამ პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულის ენის ხსენებაც არ არის; მისთვის ერთი საათიც არ არის კვირაში დანიშნული და მოწაფენი ქართულს წიგნებსაც მოკლებულნი არიან. შესაძლებელია, რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარ-ტომობის გამოკვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თვისდა სასახელოდ და იმ გამოკვლევაშია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის-რა, მაგრამ ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ—ეს მაინც-და-მაინც დაუჯერებელია. ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ: ამაზედ ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

იმავე პროსემინარიის პირველს განყოფილებაში თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ჯღაბნის მეტი არა ისწავლოსრა. უსათუოდ ამ განზრახვით მოუგონიათ ისეთი მეთოდი, რომ ქართულის სწავლა კი არა, ვგონებთ ისიც დაავიწყდეს ბავშს, რაც იცოდა. ამ მეთოდის მომგონებელი გახლავთ ქართულის პროსემინარიის მასწავლებელი უფ. ნათიევი*. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები. საწყალო ბავშებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას!.. ჩვენი ქართული ანდაზა „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო" უფ. ნათიევს ვერ მოსწონებია და უთქვამს: მე

დავუმტკიცებ ქვეყანასაო, რომ მე ოთხს კურდღელს გამოვუდგები და ოთხსავე ერთად დავიჭერო. ნეტავი ექვსიც ერთად დაიჭიროს, ოღონდ კი პარტო კურდღლებს გამოუდგეს და ბავშების სწავლას კი თავი დაანებოს. უფ. ნათიევის ვარჯიშობაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

უფ. ნათიევი არც ოთხის კურდღლის გამოდგომას დასჯერებია. მეხუთე კურდღელიც გაუგდია წინ. არ ვიცით, რა უნდა ვუქოთ უფ. ნათიევს,— სირბილი, თუ მეძებრობა. ქართულს და რუსულს ანბანთან იგი ასწავლის თურმე მოწაფეებს მესამე ანბანსაცა. ეს ანბანი არ გახლავთ არც ფრანციული, არც ნემეცური, არც ლათინური, არც ბერძნული, ერთის სიტყვით, იმ ანბანით, რაც კაცობრიობა არსებობს, არც წიგნი დაბეჭდილა და არც დაწერილა. იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აწმყოში და ყოვლად შეუძლებელია მომავალში. იგი მოზმანებია უფ. ნათიევს მისთა მოწაფეთა უბედურებისათვის. რა ანბანია ასეთი ახირებული ანბანი?—იკითხავს მკითხველი. აი რა ანბანია. ნათიევს სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულის ასოებით უნდა დაიწეროსო. აუღია და თავის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსულის ასოებითა. რადგანაც რუსულს ანბანს აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა, და ამ ახალის ასოებით შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათიევს ორი კურდღელი ერთად დაუჭერია. ბარაქალა მის ფეხმარდობას და სისწრაფეს! მაგრამ ჩვენი საწყალის ბავშების რა გადასახდელია, რომ უფ. ნათიევი ფეხმარდია იმ ბაბილონის გოდოლს, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, მესამე ანბანიც დაუმატა თურმე უფ. ნათიევმა. ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშებო! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო?! ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

აბა, ეს ამბავი შეიძლება რომ სხვაგან სადმე მოხდეს და ასე დაუსჯელად ჩაიაროს? მეცხრამეტე საუკუნეში, ესე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე? ესეთი სასაცილოდ აგდება მთავრობის კეთილ-განკარგულებისა, მთავრობის დაწყობილებისა სადმე გაგონილა? გაგონილა, რომ ესეთი წვრილფეხობა, როგორიც უფ. ნათიევია და სემინარიის გამგეობა, ესე ფუჭად ხდიდეს მთავრობის ჩვენდამი მხრუნველობას და გულმტკივნეულობას?.. ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?

თუ ჩვენ გვკითხავთ, ორივეს მიზეზი და საბუთი ხელთა გვაქვს.

ტ. VII. გ. 187—191.

1877 წ.

ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს*)

უფ. ნათიევმა გამოილაშქრა „ივერიის მემატიანეზედ“ და მერე რა რიგად გამოილაშქრა?!.. სწორედ მოგახსენოთ, დიდად ღირს შესანიშნავი კაცი ყოფილა უფ. ნათიევი.

უფ. ნათიევი გვეფიცება, თუმცა ჩემს შაგირდებს „კაცია ადამიანის“ კითხვით თავს არ უჩენთქამო, (რა სხარტული და ფხიანი ოხუნჯობა მოსვლია უფ. ნათიევს (.....) მაგრამ „ბუნების კარს“ კი კარგად გარკვევით კითხულობენ და არჩევენ ლოგ(ღ)იკურად და გ(ღ)რამმატიკულადაც“. თუ მართლა თქვენა ხართ იმ ბავშვების ოსტატი,—ეგ დაუჯერებელია. თუ თქვენი საწყენი არ იქნება, ჩვენ ამის დასამტკიცებელს საბუთებს მოვიყვანთ თქვენის წერილიდანვე, რომელიც დროების №59-შია დაბეჭდილი.

ჩვენ გაჩვენებთ, რომ თქვენ თვითონ ლოღიკაზედ და ღრამმატიკაზედ მწყრალად ბრძანებულხართ. როგორ გგონიათ, ოსტატი, რომ ლოღიკასთან და ღრამმატიკასთან უძრახად ბრძანდებოდეს, მას შეუძლიან შეგირდებს ლოღიკურად და ღრამმატიკულად გაარჩევინოს წაკითხული წიგნი?

თქვენ ბრძანებთ: „მაგრამ არ არის რა ისეთი შემარცხვენელი კაცისათვის, როდესაც (ვიშ ამ ქართულსა!.. არა არის რა ისეთი როდესაც!..) ის სჯის საგანზედ, რომელიც მას არ ეყურება (ოღონდაც!) და მომეტებული უფრო არა არის რა, (რა მოგახსენოს ქართულმა) ისეთი შემაძრწუნებელი და საზიზღარი მასმენელისათვის**), როდესაც კაცი სჯის კაცზედ და მის მოქმედებაზედ, ოდესაც მას არც თვალით უნახავს ეს კაცი და მისი მოქმედება და არც თვით საკუთარის ყურით გაუგონია მისი სჯა ამ მოქმედებაზედ“ (აფერუმ ქართულის მასწავლებელო!)

რამდენიმე სტრიქონის ქვემოდ ბრძანებს უფ. ნათიევი: ფრიად მიკვირს უცერემონიაობა მისი (ივერიის მემატიანისა რომელმაც ასე თავდადებით და ამაყად გაბედა (ნუთუ!..) სჯა იმ სასწავლებელზედ, რომელიც არამც თუ მას, არამედ სხვასაც კი, გარდა თვით სემინარიის მასწავლებლისა, არ უნახამთ ჩემი მოქმედება“ და სხვ. როგორ მოგწონთ ეს ქართული? როგორ გაბედაო სჯა იმ სასწავლებელზედ, რომელიც არ

---

*) ერთს კაცს მეორისათვის ერთი მამალი მოეპარა. გამოდგომოდა მამლის პატრონი, ხელი წაევლო ქურდისათვის. ქურდს თურმე იღლიის ქვეშ ამოეფარა მამალი, მაგრამ ისე კი რომ მამლის ბოლო გარედ დარჩენოდა. ქურდმა ფიცი დაიწყო თურმე, რომ შენი მამალი მე არ წამიყვანიაო. პატრონი ხედავს რა თავისის მამლის ბოლოს იღლიიდან გამოშვერილს ეუბნება: ძმობილო, შენი ფიცი მწამსო, მაგრამ ეს ბოლო კი მაკვირვებსო.

**) ჩვენ კორექტორის წეცთომა გვგონია აქა, თუ ეს ასე არ არის, უფ. ნათიევო, ამას იქით იცოდეთ, რომ „მასმენელი“ მაბეზღარია ქართულად და თქვენ კი ეგ სიტყვა „მსმენელად“ გიხმარიათ.

უნახავთ ჩემი მოქმედებაო. ამ ლოღიკით და გრამატიკით ასწავლით საწყალს ბავშებსა?... კიდევ აფერუმ?...

თუმცა უფ. ნათიევი ასე ბღაჯნის ქართულსა, მაინც გვეფიცება, ჩემმა შეგირდებმა რვა თვე ნახევარში ძალიან კარგად ისწავლესო ჩემგან ქართულიო, „ლოღიკურად და ღრამატიკულად“, დააკვირდით ამ თქვენგან თქმულსა, თუ მანდ ლოღიკა და ღრამატიკა იპოვოთ. ბატონო, სხვა არა იყოს რა, თქვენ ისიც არა გგონიათ, რომ „როდესაც“ და „ოდესაც“ ერთი და იგივე სიტყვაა და თქვენ უნდა დაგვაჯეროთ რომ თქვენმა შეგირდებმა თქვენგან კარგად ისწავლეს ქართული, ისიც რვა თვე ნახევარში!.. სიტყვა „რომლის“ ხმარება არა გცოდნიათ და გვეფიცებით, რომ თქვენი შეგირდები ქართულს ლოღიკურად და ღრამატიკულად არჩევენ! ან სხვის მოტყუება გსურთ, ან თქვენვე ჰსტყუვდებით უფ. ნათიევო.

მაგრამ თქვენს უცოდინაროზას თავი დავანებოთ. ზემო მოყვანილს სიტყვებში ერთი ისეთი რამ მოიპოვება, რომელიც სრულს საბუთს გვაძლევს საქვეყნოთ აღვიაროთ, რომ თქვენ უფ. ნათიევო, მართლა ღირსშესანიშნავი კაცი ყოფილხართ. თქვენ მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებს კაცს არამც თუ გიკვირთ, არამედ შემაძრწუნებელადაც და საზიზღრად მიგაჩნიათ, რომ კაცმა იმისთანა კაცზე ილაპარაკოს, რომელიც თვალით არ უნახავს. ამის შემდეგ თქვენ ოსტატობთ კიდეც!.. წიგნსაც ასწავლით, წიგნსა რომლის მეოხებითაც ადამიანს ეგ ყოვლად მხსნელი ღონისძიება მიეცა მისდა საბედნიეროდ!.. მაშ ვისაც თვალით არ უნახავს ალექსანდრე მაკედონელი და საკუთარის ყურით არ გაუგონია მისი სჯა, მას თქვენის ლოღიკით, ხმა არ ამოელება ალექსანდრე მაკედონელზედ და მის მოქმედებაზედ. საიდან მოგიტანიათ ეს ახოვანი უვიცობა? სწორედ ღირსშესანიშნავი კაცი ბრძანებულხართ! ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! განა თვითონ წიგნის არსებითი ძალა იმაში არ მდგომარეობს, რომ ტფილისელს ამერიკელთან გაალაპარაკებს და ამერიკელს ტფილისელთან, თუმცა ერთმანეთი თავის დღეში თვალითაც არ ენახოთ. თქვენ კი ეს წიგნის ძალა არამც თუ გიწამებიათ, არამედ საზიზღრადაც მიგაჩნიათ და ამის შემდეგ მაინც ოსტატობთ!.. ამ შემთხვევაში თქვენი უმეცრება კი არ გვაკვირვებს, თქვენი ვაჟკაცობაა საკვირველი.

ნუთუ ამისთანა მეცნიერებით გაზვიადებული გვეუბნებით ჩვენ: „მერწმუნეთ, უფ. ავტორო, რომ იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილისათვის“. ვითომ რაიო, უფ. ნათიევო? რა გამოჩენილი კაცი თქვენა ხართ პედაგოგიაში, რომ მაგას ეგრე ლიტონის სიტყვით თხოულობთ. რომელი პესტალოცცი[6], ლანკასტერი[7] და დისტერვეგი[8] თქვენა ბრძანდებით, რომ ეკრე ამაყად გვიბრძანებთ, ჩვენ უფრო ვიცითო, იქნება მართლაც იცოდეთ, ღმერთმა მოგახმაროთ, მაგრამ აქაც კი ამტკიცებთ, რომ თქვენ ყველაფერი გცოდნიათ და ქართული კი არა. აბა ერთი გვიბრძანეთ რა არის: „იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილისათვის“. ქართველი ასე იტყოდა: „იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ

ყმაწვილს როგორ უნდა ასწავლონ". აბა ეხლა თქვენგან თქმულს დააკვირდით, თუ იქნება იქ ან ლრამმატიკა, ან ლოღიკა და ან სიტყვის ცნობიერად ხმარება იპოვოთ. მაინც კიდევ გვეფიცებით, რომ თქვენგან შეგირდებმა კარგათ ისწავლეს ქართული? გვჯერა, გვჯერა, უფ. ნათიევო, რომ მუხას ვაშლი ასხიაო. რა ვქნათ მკითხველო, თუმცა უფალი ნათიევი ძლიერ პატივ-საცემი კაცი ბრძანებულა და ღირს-შესანიშნავიცა, მაგრამ გვაპატიეთ, ჩვენ ვერ დაუჯერებთ, რომ მისმა შეგირდებმა ქართული ასე იცოდნენ, როგორც უფ. ნათიევი გვეფიცება. უფ. ნათიევს არამც თუ თვითონ არა სცოდნია ქართულად აზრის გამოთქმა, არამედ სხვისგან თქმულის გაგებაზედაც უკაცრაოდ ბრძანებულა. აი ამის საბუთიც.

უფ. ნათიევი ქართული ენის მასწავლებელი ბრძანებულა გორის პროსემინარიისა. ჩვენ „ივერიაში" ვსთქვით: „იმავე პროსემინარიის პირველს განყოფილებაში, თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ბღაჯნის მეტი არა ისწავლოს რა".

აი უფ. ნათიევს როგორ გაუგია ეს სიტყვები: „იმან (ე. ი. „ივერიის" მემატიანემ ანუ უკეთ ვსთქვათ, ზემოხსენებულის სიტყვების მთქმელმა) არც კი იცის, რომ ჩემმა ყმაწვილებმა იციან წერა-კითხვა და სიმღერაცა (სერენკი კოზლიკ ხომ არა), თუმცა რვა თვე არის მარტო რაც დავაწყებინე სწავლა და სულ ყველანი უცნობნი იყვნენ წერა-კითხვისა. უფ. ავტორი კი წინააღმდეგ ამისა არწმუნებს (!) მკითხველთა (მკითხველო, შეგვიბრალე) რომ ქართულს სულ არ ასწავლიანო, მოდი და დაუჯერე (მართლა და მოდი დაგიჯეროთ) გაუჯერასაც? მაშ საიდან იციანთქო ქართული წერა-კითხვა, თუ სულ არ ასწავლიან. მოდით და ამის შემდეგ დაუჯერეთ უფ. ნათიევს, რომ მისი შეგირდები „ლოღიკურად და ღრამატიკულად" არჩევენ წაკითხულსა.

მერე ვინ მოგახსენათ, რომ სულ არ ასწავლიანო. აგე ზემო მოყვანილი სიტყვები „ივერიის მემატიანისა". აბა ერთი ბრძანეთ, ვისაც თვითონ არ უკარჯიშნია მასზედ, რომ რასაც კითხულობს ის გარკვევით გაიგოს, განა მას შეუძლიან ყმაწვილებს გააგებინოს წაკითხული? უფ. ნათიევი გვეფიცება, რომ აი მე შემიძლიანო, თუ გინდათ მოდით ნახეთო. ჩვენა ვსთქვით რომ თუმცა ქართულს ასწავლიანო, მაგრამ ყოველს ღონისძიებას კი ხმარობენო, რომ ბავშმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ბღაჯნის მეტი არა ისწავლოს რაო. ამ უკანასკნელში კი შემცდარნი ვართ. უფ. ნათიევის წინაშე ამის გამო ბოდიშს ვიხდით საქვეყნოთ. თურმე ნუ იტყვით, ეგ „ყოველის ღონისძიების ხმარება" ტყუილია. აქ მარტო ერთი ღონისძიება უხმარიათ და არა ყველა, ესე იგი, იმისთანა ოსტატი მიუჩენიათ რომლისაგანაც ბავშნი ჩათვლით კითხვისა და ბღაჯნის წერის მეტს ვერას ისწავლიან, ამიტომ რომ თვით ოსტატს ამაზედ მეტი ბევრი არა ჰკოდნია რა, თუმცა გვეუბნება რომ დამერწმუნეთ, ჩვენ უფრო ვიცითო.

თუ იცის რამე, იმ დალოცვილს რაღა დღისთვის უნდა, თუ გაჭირვების დროს არ გამოიყენებდა.

უფ. ნათიევი ბრძანებს: „ახლა ჩემი ანბანი, ჩემს ანბანს შინჯავენ კავკასიის სამასწავლო მაზრის რჩევაში. თუ რჩევა დაინახავს იმ ანბანსა სასარგებლოდ, მაშინ დაიბეჭდება. სანამ ის ანბანი არის დაუბეჭდავი, ვგონებ არავის აქვს ნება ილაპარაკოს (რაო? მაშ ხელაღებით ყველა უნდა დამუნჯდეს, ვიდრე უფ. ნათიევის ანბანი არ დაიბეჭდება... შენი მტერია, ჩვენ საქმე მოგვდის!.. ღმერთო ჩვენო, ეს უფ. ნათიევი რა გამოგვჩენია!*).

წიგნი არის საზოგადო კუთვნილება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაიბეჭდება, გამოვა ქვეყანაში. ეხლა კი ფრიად უჯიშობა (ზრდილობაც მგონია, საზოგადო კუთვნილება უნდა იყოს!.. თქვენ ხომ არ ასწავლით თქვენს შეგირდებს ზრდილობასაცა!.. ბევრს კარგს კი ისწავლიან!) მოზდის უფ. ავტორს მასზედ, რომ ლაპარაკობს—თუ როგორ არის შედგენილი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთვის არის და სხვა. არა განათლებულ ქვეყანაში არ მოხდება ეგრეთი „უჯიშობა“ (ან უფ. ნათიევს არ ესმის სიტყვა „უჯიშობა“ რას ნიშნავს, ან მართლადა ზრდილობის ოსტატიც ყოფილა გორის პროსემინარიაში, რომელშიაც არ ცოდნა არ ცოდვაა) როგორც (ვაი თქვენგან პატივცემულს გრამმატიკას, უფ. ნათიევო! „როგორიც“ უნდა უფ. ნათიევო, ფრაზის მიმოხვრა მაგას მოითხოვს) მოუვიდა უფ. ავტორს.

ჩვენ თქვენი წიგნი და თხზულება არ გაგვირჩევია, ჩვენ ისა ვსთქვით, რომ თქვენ რაღაც გარმიანულს ანბანს ამოქმედებთ პროსემენარიაში, თქვენგან მოგონილსა და ამით უძნელებთ ბავშებს სწავლასა. ეს მართალია თუ არა? თქვენ აქაც „ნათაურად“ გაგიგიათ ქართული, ჩვენ ნუ დაგვემდურებით ეს თქვენის ოსტატობის ოსტატობაა, რომ რაც წაიკითხოთ, ის არ გაიგოთ. არ ვიცოდით, თორემ თქვენის მოგონილის ანბანით, ესე იგი, რუსულის ასოებით ქართულს სიტყვას დაგიწერდით, რომ „ლოღიკურად“ და „გრამმატიკულად“ წაკითხული გაგერჩიათ. ვსთქვათ, რომ თქვენი დაუბეჭდავი თხზულება გავარჩიეთ კიდეც: ვითომ „უჯიშობად“ რად გეჩვენათ? აქ „ჯიში“ რა შუაშია, უფ. ნათიევო? ერთი ეს გვინდა გკითხოთ: სად და რომელს განათლებულ ქვეყანაში გაგიგიათ, რომ ვიდრე წიგნი არ დაიბეჭდება, მასზედ ხმა არავის ამოელება. არ შეიძლება მაგალითები გვიჩვენოთ განათლებულ ქვეყნებში ის კი არ არის, რომ არამც თუ დაუბეჭდავს ნაწერსა, სიტყვით თქმულსაც არჩევენ და ის კი არ არის, რომ უცოდინარი კაცი სასწავლებელში ოსტატობდეს.

---

*) თუმცა გვესმის რის თქმა უნდა უფ. ნათიევს, მაგრამ ისიც გვესმის, რომ რაც უნდა, იმის თქმა ქართულად ვერ მოუხერხებია.

თქვენ თუ სიმართლისათვის გული შეგტკივათ განათლებულს ქვეყნებში კი არ უნდა გადაბრძანებულიყავით, პასუხი უნდა მოგეცათ ყოველს იმ საგანზედ, რაც „ივერიის მატიანეში“ იყო. იქ იყო რომ: 1) გორის სემინარიაში და არა პროსემინარიაში ქართულს არ ასწავლიან. აბა თქვენს წერილში ამის პასუხად ან ერთი სიტყვა გვაჩვენეთ. 2) იმერლებს, გურულებს, ფშაველებს,—ქართველებს ერთსა და იმავე გვარტომად არა სთვლიანო. აბა ამის პასუხად თქვენს წერილში ერთი სიტყვა გვაჩვენეთ. 3) პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულს არ ასწავლიანო. თქვენ ამის პასუხად ბრძანებთ, ვითომც ამ განყოფილებაში „არამც თუ ქართველებმა, რუსებმა და სომხებმაც ისწავლესო“. მაშასადამე არ ასწავლით, რადგანაც სწავლულს სწავლება არ უნდა. ჩვენ მაგას ვამბობთ, რომ ამ განყოფილებაში არ ასწავლიან ქართულსა და ამით თავს ვერ გაიმართლებთ, რომ ისწავლეს კიდეცაო და ამიტომ არ ასწავლიანო. ამას ვერ დაგიჯერებთ. ან იქნება რაკი ჩათვლითი კითხვა იციან და ბლაჯნით წერა,—ეს ცოდნა გგონიათ. თქვენგან არც ეგ არის საკვირველი. 4) „ივერიაში“ იყო, რომ თქვენ ქართულს ანბანს რაღაც თქვენგან მოგონილი ასოები ჩაუმატეთ და იმ ასოებით დაწერილს სიტყვებს აკითხებთ. ეს ტყუილია, თუ მართალი? რატომ ამაზედ ერთი სიტყვა მაინც არ დახარჯეთ? იმის მაგიერად, რომ განათლებულს ქვეყნებს გადასწვდით, ამაზედ გეთქოთ რამე. თქვენს ბედს მადლობა შესწირეთ რომ ჩვენი ქვეყანა გაუნათლებელია, თორემ ვისაც „როდესაც“ და „ოდესაც“ სხვადასხვა სიტყვა ჰგონია, ის ქართულის ენის ოსტატობას თავის დღეში არ ეღირსება.

არა, უფ. ნათიევო? თუ მართლა ისეთი ხართ როგორც თქვენი წერილი გვაუწყებს, ბევრიც რომ გვეფიცოთ, ჩემი შეგირდები ქართულად „კარგად გარკვევით კითხულობენ და არჩევენ ლოღიკურადაც და გრამმატიკულადაც“, თუნდა გეწყინოთ ვერ დავიჯერებთ. თქვე დალოცვილო, მაგ ახოვანს უვიცობას რომ იღლიის ქვეშ მალავთ, ბოლოსაც მაინც ნუღარ გამოაჩენდით. და ამიტომაც თქვენდა ნუგეშად ამას ვიტყვით: „თქვენი ფიცი დიად გვწამს, მაგრამ ის წყეული უვიცობის ბოლო რომ გამოშვერილია, ის კი გვაკვირვებს“.

ჟურნალი „ივერია“ № 16, 1877 წ. 1877 წ.
16 იანისი. გვ. 11—14.

ხაზრახადღება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის

I

ტფილისი, 10 ნოემბერი, 1877 წ.

ჩვენს ქვეყანაში დიდი და პატარა სწავლის, განათლების სახსარს სტირის და სჩივის, მაგრამ მაინც შველა არსად არის. საკვირველიც არ არის. ტირილითა და ვიშითა მტერნი არ შეგვიბრალებენო, ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა. სხვაზედ მინდობა—ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედეგნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთ უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი—ისტორიული კანონია, იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არ-მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს „ჟამთა სვლა“ ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით. გვეყო, რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა. ნუთუ აქამომდე გული ვერ დავაჯერეთ, რომ ჩვენს გარე ჩვენი ხსნა სიზმარია! მაშ თუ ასეა, სწავლისა და განათლების სახსარის ნაკლებულობას ჩვენის ცრემლით, ვახით და ვიშით ვერ შევავსებთ. სულ ტყუილია! როგორც თვითოეული კაცი, ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის და თავისით უნდა იყოს კიდეც. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიცა.

ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და-შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებელისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს

წარმოგვიდგენს... საქართველო ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა. რის გამო? თუ უწინ დღე ჩვენი ღამდებოდა და ღამე თენდებოდა მარტო იმის მეცადინეობაში, რომ მტერი მოგვეგერებინა, თუ უწინ ამის გამო სწავლისათვის მოცლა არა გვქონია, ეხლა ხომ უნდა გვქონოდა. ეხლა ხომ ეს მიზეზი არ გვიშლიდა და რატომ მოხდა, რომ სწავლის და განათლების ნაკლებულობაზედ ასეთი სამართლიანი სამდურავი მიგვიძღვის?

ჩვენ ამის მიზეზს იმაში კი არა ვხედავთ, რომ ვითომც სწავლის სურვილი არა გვქონდეს, როგორც ზოგიერთნი ჩვენნი კეთილის-მყოფელნი ამტკიცებენ. არა,—სურვილი დიდია. არც იმაში ვხედავთ, რომ სწავლის მიღების ნიჭი არა გვქონდეს, თუმცა ამასაც ჩვენი კეთილის-მყოფელნი ჰყვირიან. არც იმაში ვხედავთ, რომ ვითომ ნივთიერს ღონისძიებას მოკლებულნი ვართ. ესეც ტყუილია, ჩვენის ფიქრით. მართლა-და, არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითოეულმან ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესავსებლად. მიზეზი ის არის, რომ დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას.

ამ ჭეშმარიტს და ფრიად ნაყოფიერს აზრზედ არის დამყარებული ერთის ჩვენის პატივცემულის გვამის მეცადინეობა, რომელმაც ამ ცოტას ხანში ჩვენში კარგა ბლომად მომხრეები მოიპოვა. გიორგი რომანის-ძე ერისთავმა, მიიღო რა სახეში სწავლის გავრცელების საჭიროება ჩვენში, ამასთან თვითოეულის ჩვენგანის ცალკე ღონე-ნაკლებობა,—ჩვენს გაჭირვებას წამალი მოუპოვა: რასაც თითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრს ნურას ველოდებითო; რასაც თვითოეული ცალკე ვერ შევსძლებთო, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევიძლებთო;—აი ორი ნაყოფიერი აზრი, იმ მეცადინეობის დედა-ბოძად მიღებული. შეუდგა ამ აზრზედ დამყარებული თ. ერისთავი საზოგადოების შედგენას, რომელმაც ხელი უნდა გაუმართოს და შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბს ხალხს და ნამეტნავად ღარიბ თავად-აზნაურებს, რომ შვილებს რიგიანის სწავლისა და განათლების გზა მისცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებელში. „ვინ არ იცისო,—ამბობს თვის წინასიტყვაობაში გ. რ. ერისთავი,—რომ ამ საგანზედ ჩვენი გულგრილობა ჩვენის თავის საკვდილიაო; ნუთუ ეგ არ მოუღებს ბოლოს თვით ხალხსაცაო! ნუთუ ეგ არ მოიწვევს ჩვენს თავზედაო რისხვასა და წყევასა ჩვენის შთამომავლობისასაო“.

ვისაც სურს ამ ქვეყნისათვის საკეთილო საქმეში მონაწილეობა მიიღოს, მას, ქალი იქნება თუ მამაკაცი, გლეხი თუ თავადი, ნება აქვს ჩაეწეროს წევრად საზოგადოებაში, იმ აუცილებელის პირობით კი, რომ წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა ფული წარუდგინოს საზოგადოებას. ჩვენ ამ საქმის მეთაურისაგან მონდობილი გვაქვს ეს საჯაროდ გამოვაცხადოთ და ვსთხოვოთ ყველას, ვისაც ენებება ამ საზოგადოებაში წევრად შესვლა, „ივერიის“ რედაქციას აცნობოს; ფულს კი ჯერ-ხანობით ნუ გამოჰგზავნიან, რადგანაც ამის თაობაზედ თავის დროზედ ჯეროვანს განკარგულებას მოახდენენ საქმის გამგებელნი.

ამ საზოგადოების წესდება შედგენილია და ამ მოკლე ხანში წარდგენილ იქნება მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. როცა დაამტკიცებენ, ჩვენ ვეცდებით ის წესდება საყოველთაო საცნობელად გავხადოთ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქართველობა ამ ქველსურს საქმეში უკან არ დაიხევს, გულმტკივნეულობით და თანაგრძნობით მიეგებება და ხელს შეუწყობს.

გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავალის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ.

ჯერ თუნდა აქედამ დავიწყოთ, რომ ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ იმოდენად ფართო, რამოდენადაც შესაძლო იქნება.

1877 წ.

ტ. VII, გვ. 195—198.

1878 5.

საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის

ტფილისი, 11 მაისი, 1878 წ.

II

ამ ბოლოს დროს, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, მრავალი სხვადასხვა საზოგადოება სდგება ხოლმე ჩვენში სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ საზოგადოებათა მეცადინეობით იმართება სკოლები: ამბობენ, კახეთში ეხლა ოცზედ მეტი სკოლა არისო. იმართება სოფლის ბანკები, რომელთ რიცხვი თითქმის ხუთმეტამდე ადის ტფილისის გუბერნიაში; იმართება საამხანაგო დეპოები, — ერთი გამართულია საგარეჯოში და მეორეც დღე-დღეზედ დაიწყებს მოქმედებას თიანეთში, რადგანაც წესდება დამტკიცებულია. ერთის სიტყვით, ჩვენს ხალხში გაღვიძებულია და ფეხზედ წამომდგარი სურვილი, რომ ერთმანეთის შემწეობით გზა გაიხსნან უკეთესის ცხოვრებისათვის. სასიხარულო ეს არის, რომ ყოველ ამაში კერძოობითი სარგებლობა კი არ არის საფუძვლად დადებული, არამედ საყოველთაო. ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ გზაზედ ჩვენს კეთილის-მყოფელთ დაბრკოლება არა დახვდეთ-რა; ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ კეთილის სურვილით ადუღებულს კაცებს ჩვენმა გულგრილობამ ხალისი არ მოუკლას. თუ ამ გზაზედ მიმავალთ ჩვენთა კეთილის-მოსურნეთ ჩვენც მხარი მივეცით. ჩვენც ხელი შევუწყეთ, — არ გავა ათი-ხუთმეტი წელიწადი, რომ ჩვენი დავრდომილი ქვეყანა სახეს შეიცვლის.

სოფლის ბანკს აიღებთ, თუ სოფლის სკოლას, თუ ამხანაგობის დეპოს, ანუ საზოგადოებას ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, — ყოველს მათგანს ჩვენის ცხოვრების არსებითის ძარღვისათვის წაუვლია ხელი. ყოველ ამისი მომქმედნი კატასავით არა ჩხავიან, არა ყვირიან საჯაროდ: აი, რა კაცები ვართო. უფრო ბევრი მათგანი სადმე კუნჭულშია მიმალული და ქვეყნის სიყვარულით აღტყინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს, და ჯილდოდ მარტო იმას ელის, რომ ჩეჩი სინიდისი მეტყვისო: „თუმცა წვალებით ვიცხოვრეთ ამ სოფლად, მაგრამ ჩემი ცხოვრება უქმად არ გამიტარებია, შეძლებისამებრ ჩემთა მოძმეთათვის სიკეთე მომიტანიაო“. დამიჯერეთ, ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია და არა იმათში, ვინც პარიზის ყავახანაში გამოწვრთვნილა, მოსულა აქ და ყვირის: რაცა ვარ, მე ვარო. ამათ პარიზი არ უნახავთ, ამათ უნივერსიტეტი არ ღირსებიათ, ესენი არიან ჩვენის ხალხის შვილნი, მის კალთაშივე გამოზრდილნი; ესენი არიან

უბრალო სიკვდილის შვილნი, უფრო ბევრნი სემინარიელნი, და მათში ზოგიც იმისთანა, რომელთაც სემინარიის სწავლაც არ შეუმთავრებიათ სხვადასხვა მიზეზისა გამო. საყოველთაო სიკეთის ლაზათი ამათშია, ამითში! იღვწიან, საქმობენ, მხნეობენ საყოველთაო საკეთილოდ და, დახეთ მათს პატიოსნებას, მათს ზნეობითს აღმატებულებას, რომ სახელის გამოჩენაც არ უნდათ. დიდი რამ არის ბუნება, არ გადაცვლილი განათლებულის ქვეყნების ყავახანებში თრევითა და განათლების გარეგან ზიზილ-პიპილებითა.

იქნება ამისათვის სასაცილოდაც აგვიგდონ ჩვენმა ჩხავანა პუბლიცისტებმა, მაგრამ ბრმა უნდა იყოს კაცი, ან შურით მოწამლული, რომ ამ უჩინართა მომქმედთა ღვაწლი არ იცოდინოს, არ აღიაროს საქვეყნოდ. დაიარეთ სოფლები, ცოტას შეჰხვდებით იმისთანა სოფელს, საცა ერთი მაინც ამ მომქმედთაგანი არ იყოს ისე, ჩრდილში მიგდებული; საცა ერთი მაინც ამათგანი არ იღვწოდეს ან ყმაწვილების აღზრდისათვის, ან გლეხკაცების კეთილდღეობისათვის. ან სოფლის ბანკისათვის, ანუ საამხანაგო დეპოსათვის და ან ლიტერატურისათვის. აბა ერთი ამათგან დაწყებული საქმე მიჩვენეთ, რომ გაქსუებულიყოს, გაუქმებულიყოს! რათ არის ეს? იმიტომ არის, რომ ხალხის შვილნი არიან, ხალხის კალთაში დაბადებულნი და გამოზრდილნი; იციან რას მოჰკიდონ ხელი, იციან როგორ მოჰკიდონ და ამასთანავე დაუღალავნი არიან; იციან ხალხის ტკივილი და წამლის შერჩევაცა, რადგანაც ხალხი უყვართ, ხალხში არიან და ხალხში ტრიალებენ, და ამასთანავე თვისებად აქვსთ — თავის-თავზედ ყვირილი კი არა, საქმის გაკეთება, საქმის წარმართება. დიახ, ბატონებო, არა გვგვანან ჩვენ, გაბღინძულთ და გაზვიადებულთ მარტო იმით, რომ პეტერბურგი და პარიზი გვინახავს და რაღაც „ვითომ განათლება“ მოგვცხობია. ისინი არც ჩვენსავით აპილპილდებიან ხოლმე და არც ჩვენსავით მალე ჩაჰქრებიან. ერთხელ დაძრულს და წარმომდგარს აზრს ზედ აკვდებიან, მინამ ხორცს შეასხამენ. იმათ ამისათვის არც ტაში უნდათ, როგორც ჩვენ, არც ქება; იციან რომ მათი ქება თითონ საქმეა და არა წამ-და-უწუმ ჩხავილი, მე ასეთი ვარო.

ესევე უჩუმარად, ხმაამოუღებლივ, უშფოთვარად შესდგა ამ ახლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება. იგია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, შედგენილი გიორგი რომანის-ძე ერისთავის მეცადინეობით. ამ საზოგადოებას საგნად აქვს მოამზადოს ღარიბნი ყრმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს შეუძლებელთა და ნიჭიერთა მოსწავლეთა, ღონისძიება აღმოუჩინოს სწავლის განგრძობისათვის. თქმა არ უნდა, რომ საგანი ამ საზოგადოებისა მეტის-მეტად სასარგებლოა და საკეთილო ჩვენის ქვეყნისათვის.

წესდება ამ საზოგადოებისა დამტკიცდა მთავრობისაგან და რუსულად დაბეჭდილიც არის. რვას მაისს პირველი მორიგი კრება შესდგა.

ამორჩეულ იქმნა გამგებელი კომიტეტი*) და დადგენილ, რომ უფ. პაიჭაძესაგან ქართულად თარგმნილი წესდება დაიბეჭდოს და ზედ დაერთოს სახელი და გვარი აქამომდე ჩაწერილთა წევრთა. ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა: დღევანდლამდე ორას წევრამდეა ჩაწერილი და იმედია, რომ ეს რიცხვი მოიმატებს.

საქმე ეხლა იმაშია, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ჩვენმა ხალხმა, ამ საზოგადოებას ხელი გაუმართოს და შემწეობა ამოუჩინოს. ამისთანა საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, შთამომავლობისა. ვისაც რა შეუძლიან და რითაც შეუძლიან, ყველამ უნდა გაიჭიროს საქმე და ამ საზოგადოებას ნივთიერი ღონისძიება მისცეს მისდა კეთილის განზრახვის აღსრულებისათვის. ნუ დაგავიწყდება, რომ ყოველი გროში, ამ დიდის საქმისათვის შეწირული, ჩვენს შვილებს მოხმარდება, მათის კაცად გახდომისათვის, მათის შედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს. აქ უკან დახევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა, საუკუნოდ საწყევარი. გვეყო, ბატონებო, სხვაზედ დანდობა, სხვის მაყურებლობა. ჩვენ თითონ მივეშველნეთ ჩვენს თავს: რაც ერთისათვის შეუძლებელია, ის ყველასათვის ადვილია; მიეცეთ ურთიერთს მხარი და ზურგი და ეს ჩვენის შვილების საკეთილო საქმე გავაწყოთ და რიგიანად წარვმართოთ. გამგებელს კომიტეტში ბევრი იმისთანა კაცია, რომ რაც მათზედ დამოკიდებული იქნება, არას ღონეს და შრომას არ დაზოგვენ, რომ ეს საქმე კეთილად დაგვირგვინებულ იქმნას. ოღონდ ფულია საჭირო, რომ ამ საზოგადოებამ ვრცლად მოჰხვიოს ხელი ჩვენს საყოველთაო საჭირობას შვილების გაზრდისას და თვალთსაჩინო სიკეთე მოჰფინოს ჩვენს ქვეყანასა. იმედია, რომ ბევრი არ დაიხევს უკან და შეძლებისამებრ შემოაწევს რასმე ამ საზოგადოებას.

1878 წ.

ტ. VII. გვ. 199 — 203.

---

*) თავმჯდომარედ ამორჩეულია გიორგი სიმონის-ძე ერისთავი, თანაშემწედ კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი, წევრებად: ვახტანგ თულაშვილი, უფ. ცხვედაძე, გოგებაშვილი, ლუარსაბ მაღალაშვილი და დ. გ. ერისთავი; სეკრეტრად ნ. დ. ქანაანოვი

ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე

ტფილისი, 9 ნოემბერი, 1878 წ.

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმ სკოლის თაობაზედ, რომლის გახსნასაც აპირებს ჩვენი „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემოწმებისათვის“. თვით საგანში, მართალია, ღირს-შესანიშნავი და თვალსაჩინო მაგდენი არა არის რა. ვთქვათ, აწ მყოფ სასწავლებელთა შორის ჩნდება კიდევ ერთი, და მით კიდევ ერთი საშუალება ეძლევა ჩვენს საზოგადოებას მისცეს თვის შვილთ პირველ-დაწყებითი სწავლა. გარდა ამისა, ღარიბ და შეუძლებელ ბავშებთ ეხსნებათ ცოტად თუ ბევრად სწავლის გზა, რომელიც მათთვის შეკრული იყო სიღარიბისაგან. ყველა ეს მართალია-მეთქი და ყურადღების ღირსიც, მეტადრე ჩვენს მიყრუებულ ცხოვრებაში, რომელსაც საზოგადო საქმეთა შორის ბევრი კი არა აქვს რა საკვეხნო და თავგამოსადები. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმდენად მაინც არა ვართ, მადლობა ღმერთს, მიძინებულნი და იმდენად არ გაგვწყვეტია გრძნობიერება და მხედველობა, რომ ზემოხსენებულ საქმის სიკეთის გაგებისათვის და ყურადღების მიქცევისათვის ბევრი ლაპარაკი და ჩიჩინი გვჭირდებოდეს. არც ამ ჩიჩინისათვის დაგვიწყია ლაპარაკი ახალ სკოლაზედ. ამ საქმეს აქვს კიდევ მეორე მხარე, რომელიც, ჩვენის აზრით, არა ნაკლებ ღირს-შესანიშნავია და მნიშვნელობით აღსავსე ჩვენის ცხოვრებისათვის...

ამ საზოგადოების სკოლა იქნება, როგორც მოგეხსენებათ, მოსამზადებელი სასწავლებელი, ე. ი. იქ მოსწავლე ყმაწვილები მომზადებულ უნდა იქმნენ გინმაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში შესვლისათვის. ეს იქნება უმთავრესი განზრახვა ამ სკოლისა, თუმცა იქ შეუძლიანთ მიიღონ პირველ-დაწყებითი სწავლა აგრეთვე იმ ყმაწვილთ, რომელთაც მშობლები მის შემდეგ არ უპირებენ სხვა სასწავლებელში მიბარებას. მაგრამ, ვიმეორებ, უმთავრესი განზრახვა კი სკოლისა იქნება ბავშების მომზადება საშუალო სასწავლებელთათვის. ეს, რასაკვირველია, ფრიად საჭირო საქმეა, მეტადრე იმ შვილების პატრონთათვის, რომელნიც მუდამ სოფელში ცხოვრობენ და მოკლებულნი არიან შვილების აღზრდისა და მომზადების საშუალებას. მაშასადამე, ამ მხრით ხსენებულის საქმის მაღალი მნიშვნელობა ცხადია და უეჭველი.

მაგრამ ჩვენი მომდინარე ცხოვრება აღმოაჩენს მრავალ იმ-გვარ გარემოებას, რომლის ძალითაც ახალ სკოლას უნდა უსათუოდ მიეცეს კიდევ

სხვა მნიშვნელობაც. ვისაც ცოტაოდენად თვალყური უდევნებია საშუალო სასწავლებელთათვის ჩვენში, რასაკვირველია კარგად ეცოდინება, რომ მრავალი მომზადებული ყმაწვილი რჩება საშუალო სასწავლებლის გარეთ მარტო იმიტომ, რომ თვით სასწავლებელში ადგილი აღარ არის. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ დავამცირო ახალი სკოლის მნიშვნელობა იმ განზრახვის შესახებ, რისთვისაც არსდება იგი. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს მნიშვნელობა უეჭველია: სრულიად ღარიბ და შეუძლებელ მშობლებთ ეძლევათ ღონისძიება შვილების მომზადებისათვის; გარდა ამისა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი სკოლა იმ-გვარად იქნება მომართული, რომ მასში მოსწავლე ყმაწვილები უფრო მტკიცედ და ხეირიანად იქნებიან მომზადებულნი, ვიდრე სხვა კერძო სასწავლებლებში მოსწავლენი. მაგრამ არის-მეთქი იმ-გვარი გარემოება, რომელიც სხვა მნიშვნელობასაც აძლევინებს ზემოხსენებულ სკოლას; არის იმ-გვარი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილების ღონისძიება სასურველია მიეცეს იმავე სკოლას. თუ აწინდელი საშუალო სასწავლებლები საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარეთ რჩებიან, მაშასადამე, საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა. აი ამ საშუალო სასწავლებლის საძირკველადაც უნდა იქმნეს ის სკოლა, რომელსაც აფუძნებს ეხლა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“; ამაში მდგომარეობს ის მეორე მაღალი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიეცეს ამ სკოლას და რომლის ძალითაც იგი უნდა იქმნეს ყურადღებისა და ფრიადის თანაგრძნობის ღირსი ყველასათვის, ვისაც კი ცოტად თუ ბევრად ენაღვლება თვისის ქვეყნის ბედი თუ უბედობა.

ამ ჟამად, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ გაგიწევთ ვრცელ საუბარს ამ საგანზედ. აქ მხოლოდ საგანსა ვდებ, რათა მოვაგონოთ მკითხველს საზოგადოებას, რა-გვარი მნიშვნელობა ეძლევა ახლად დაწყებულ საქმეს, თუ ჯეროვან ყურადღებას მისცემს მას და არ მოაკლებს თვის თანაგრძნობას. ვერ მოგიყვებით აგრეთვე ლაპარაკს მასზედ თუ, რა-გვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენის ქვეყნისათვის ჩვენს საკუთარ საშუალო სასწავლებელს...

1878 წ.

ტ. VII, გვ 207 — 209.

1879 წ.

11. ილია ჭავჭავაძე.

შინაური მიმოხილვა

1879 წელი, თებერვალი.

აჭარა და ქობულეთი.—კინტრიშის მაზრა გაჭირვებულია.—შველა ჩვენი ზნეობითი მოვალეობაა.—აჭაოელების გადასახლების ხმა.—რათ და რისთვის?—როგორ უნდა მოეველოთ და როგორ მოუარეს.—მთ ვრობას რით იცნობს ხალხი.—ადმინისტრაცია.—არსებითი ნაკლი ადმინისტრაციისა.—უენობა და სიყრუე.—არ იცნობს და არ იცნობენ.—ცხოვრება, კანონი და შუა ცარიელია.—კანონმდებლობა ოთხ კედელ შუა.—ვნება ამის გამო.—კიდევ ქართული და აქაური ენები.—ქართული სცენა.—რა არის სცენა საზოგადოდ და რა უნდა იყოს ჩვენთვის საკუთრივ.

ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი—აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოკადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არვინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო; არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი. „დროების“ № 32-ში კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმეთაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამც თუ გადამეტებულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს, არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს, რაც საცოდაობა აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქორებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა,—ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალხსა, არ დააკვირდება მის აწინდელს მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით, თუ სხვა ღონისძიებითა, და თუ დროებით მაინც არ ამოუშვა იმ მოვალეობისაგან, რომე-

ლიც ხაზინის ინტერესს შეადგენს. ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელი საჭიროებაა ქობულეთის და აჭარისათვის, თუ მთავრობას ჰსურს დაინახვოს ხალხსა თვისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა და სანატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ — ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას, და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა. ეგ შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არასფერს დაჰკარგავს: ხალხი, ფეხზედ წარმოდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული: მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უმრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელ-საკმელი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს. და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი მხარე მთავრობისა ფეხადგმული არ არის ჯერ აჭარასა და ქობულეთში, თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავ. გრიგოლ გურიელი. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთის მერცხლის ჰიკჰიკი გაზაფხულს არ მოიყვანს...

ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში. რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირვება საშინელია, მარტო ის ამტკიცებს, რომ თითონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმისი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ არ იცის, რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ეძნელება და ემძიმება ხოლმე. სჩანს მართლა დიდი უბედურობა უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებულ იქნნა ეგ უბედურობა ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიშველებია კიდეც გაჭირვებულს ხალხს, მაგრამაო იგი შველა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის! რატომ იმდენად არ მიჰშველებიან, რამოდენადაც საკმარისია? რაო, სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია? განა ამისთანა შემთხვევაში, უღონობის გარდა სხვა რამ მიზეზიც შეიძლება რომ იყოს! უღონობა კიდევ ჰკუაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრნია, რით ავხსნათ ეგ ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თვის გარეშემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს. ან სულ ჰო, ან სულ არა. აქ ორ წყალ-შუა დგომა უადგილოა და ამაზედ მეტიც, თუ სწორეს გვათქმევინებთ...

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანაებში მოვალე და ყოვლად-შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას, გულგრილად

და თუნდ ცარიელის გულის-ტკივილითაც შევყუროდეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუ-გამშრალს დედას, როგორ ტკის ნადირსავით დაძრწის ღონემიხდილი დაშეული მამა, იმედ-დანთქული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თავისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საკოდავი კნავილი ბავშისა: „მამავ, პური, მამავ, პური“... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძკირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავი ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ— უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწლებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალ-წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძლურებულს სულსა და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო... იცით მერე ამისთანა ყოფა რა ტანჯვაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ხედავ, რომ გარშემო მთელი მაზრა, ათას ათასი ღვთის-კერძო ადამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიშვლები, მშივრები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი!..

აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდთ ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქმ გ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შეიწყივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შეძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არას-

დროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გაშოიტანოს. ქართველობავ ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მიხვედრილ ხარ ეს ნეთ!.. ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის—რა არის შვება, რა არის ძმობა გაჭირვებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები „ივერიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე მზად არიან მაგ შესაწირავის მისაღებად. ჩვენ ვურჩევთ, რომ შემწირველთა უფრო „დროების“ რედაქციას მიჰმართონ, რადგანაც „დროება“ ყოველ დღე გამოდის და ამის გამო მას შეეძლება ყოველ-დღე აუწყოს საზოგადოებას შეწირულის ფულის ანგარიში და ამასთანავე შემწირველთა სახელებიც.

აბა, ქართ ელობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!.. ეხლა გაჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც სწუხ და ჰფიქრობ!...

ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დასცემია აჭარა-ჭობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა—დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გაზეთ „Голосъ“-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდილი, რომ აჭარელები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო. ამის მიზეზი იცის როგორც ეტყობა, კორესპონდენტმა, მაგრამ გაჰფლავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და ცხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ესეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისა და დიდი დანაშაული იო სახელმწიფოს წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ? . . . . . *) თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში . . . . . *) მერე როგორ? თავისს მამა პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს,—სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩიონოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში? ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს—

---

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულის რედ.

ვიმეორებთ—მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა ძმარხია დედა, მამა, ძმა,- და მიდის სად? ოსმალეთში. . . . . ? . . . *) რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია! . . . . . *) რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ—სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდგანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს,—დიაღ სტოვებს და მიდის სად? . . . . . *) ოსმალეთში!..

ეს რა ამბავია, რა ამბავია!.. ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდთ ადამიანს ვეღარ იყენებს, ვეღარ იშვნებს, ვეღარ ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიდისო... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეჭყიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როგორ იმათს ამბავს ღაპარაკობენ, თმა ყალყზედ დგება. ამათ შორის, საცა გამოგდებული სამსახურიდამ კი იყო თურმე, საცა გაოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დააჯახვებენ ისინი რუსის მთავრობასა რუსის მჭართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს!..

ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელ-

---

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულის რედ.

მწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუფუნოა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადმსხვრევა ერთია...

უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ . . . . . .

. . . . . *) მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავ-კარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ხედ-კამობშულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აწყოს. ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის აკსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ, მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად ავება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა,—შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულს-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...

ზეკითა ვსთქვით, რომ ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც,—როგორც

---

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულია რედ.

ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა,—გააგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზე, რომელიც ყოველ წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა აცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოვლის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა ხალხწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. ამ მხრით, მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე. უნდა იყოს-მეთქი, და არის თუ არა,—ეგ ღმერთმა იცის . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . *).

ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უპირატეს უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა, რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც. ხალხის საჭართლის გამძღოლს, ხალხის სიმართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს,—რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულის-ტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა,—ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერას გავაგებინებ და ის თავისას,—ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. ამ უენობას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ ცხადი იქნება, რათ მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ბათტომეულის რედ.

ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, რით იმღურება ხალხი და რათ არის კანონზედაც და მთავრობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი. შორს რათ მივალთ! აი, ცხენების ჩექება ავიღოთ თუნდა მაკალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც კი ხალხი დაფრთხა, ნამეტ-ავად, საცა მაზრის უფროსად უცნო კაცი იყოდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგანაც ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხს,—კაცი არ იყო, კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ ეხსნა მთავრობის განზრახვა. რამდენი ბოროტმოქმედება მოჰყვა ამ განზრახვით კეთილს საქმეს, მკითხველმა ზოგი იცის ჩვენებურ გაზეთებიდამ და ზოკი კი დავიწყებას მიეცა, როგორც სხვა რამ მრავალი.

როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა,—ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე ჩაღმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკიროობენ, ან მე რად უნდიკარ ამაოდ, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე—იმისათვისაო; და თუ მოხელე კი კაცია, მართლა იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი ძოხელისა, რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია. ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სალანძღრო ენა და ყური. ანდრეევსკის ქალის საქმემ აშკარად გამოჰფინა საქვეყნოდ ის სასაცილობა, რომელიც მოსდევს ხოლმე ენის არ-ცოდნას.

ამას გარდა, ამ ყრუ მუნჯობის ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრებას არც პატივი აქვს და არც ზედ-მოქმედება არასფერზედ. მოყალ-სახისა და მრავალ-გვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმოჰქდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გამოკვლევას და გულმტკივნეულს შეწუხნაობას,—რჩებიან არაჰკ თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობის აგენტი ყრუა და მუნჯი უენობის გამო. სულს ლევენ-მეთქი და ამით გულსა სწყვეტენ ხალხსაც, და თითონ მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა. ამიტომაც ჩვენში კანონი თუ იბადება, ოხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი, ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან.

ამისი წამალი—თითონ ტკივილიდანა სჩანს. აშკარაა, რომ მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნობით აღატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სანდახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც. ეს კარგად იციან ევროპიელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში საცა მოხელეობას ჰფიქრობს. ასე მოქმედობს, მაგალითებრ, ინგლისი—შესახებ ინდოეთისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამც თუ მოხელეს აგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თითონ აქაურებისათვისაც კი აღმაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდამ. იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენის ხალხის მასწავლებელნი, მაგალითებრ—სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდამაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა. ქართველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის. მთავრობა, რასაკვირველია, მიაქცევს ყურადღებას ამ დიდს ნაკლს და ეცდება იგი ნაკლი თავიდამ მოაშოროს აქაურს მწართველობას და ყოველს მოხელეს მოსთხოვს იმ ხალხის ენის ცოდნას, რომელთ შორის სამს ხურს ჰნდომობს. ამისათვის საჭიროა ხელახლად შესაფერი ადგილი მიენიჭოს აქაურს სასწავლებლებში აქაურს ენებს. რასაკვირველია, ამ წამალს იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტკივილი მორჩეს, აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა... ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს ეკვეც დიდი ფეხის წინ წადგმა იქნება, თუ მთავრობას ჰსურს ხალხისა შეიტყოს რამე და ხალხს კიდევ თავისი აცოდინოს.

***

ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ევრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნაწეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდამ აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭნარის ყვავილისათვის. უფ. არწრუნმა ამ ბოლოს დროს თავის დიდს ქარვასლაში გამართა კერძო თეატრი. ამ შემთხვევამ ფრთა შეასხა იმ დიდის ხნის სურვილს, რომ სამუდამო სომხური და ქართული სცენა გაიმართოს. აქაური სომხები დიდის გულმოდგინებით მოეკიდნენ სომხურის სცენის საქმეს და ამბობენ, პირველ გასაწყობად

ათასი თუმანი ფული მოაგროვებსო და კიდევაც აგროვებენო. არც ქართველობამ დაიკრიფა გულზედ ხელი. ქართველობის მოყვარენიც ამასვე ცდილობენ და არ ვიცით, რა მაღლობა უნდა გადუხადოს ქართველობამ იმ კაცს, რომელთ მეოხებითაც ამ ბოლოს დროს ჩვენში გაძლიერდა სამუდამო ქართულის სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აიდგა კიდეც, რომ სისრულეში მოვიდეს. ერთმა კიდევ ქართველმა იმოდენა გულის სიკეთე და ჩვენი სიყვარული გამოიჩინა, რომ სამასი თუმანი შესწირა მაგ საქმეს „დროების“ სიტყვით. იმედია, რომ ამაზედ არ გაჩერდება ქართული გულუხვობა და სხვაც ბევრი შეძლებისამებრ გამოიმეტებს შესაწირავსა ამ მეტად სანატრელ და საკეთილო საქმისათვის. დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის, თუ იგი ეხლანდელ გულგარყვნილობის მოედნად არ გავხადეთ და რაღაც სალახანური „მშვენიერი ელენები“ არ ვავარჯიშეთ. დიდი რამ არის-შეთქი სცენა: ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა.

ამას გარდა, სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანავე იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროსგასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, ქართველებმა, რაკი ის კეთილი აზრი მოგვსვლია, რომ ჩვენი საკუთარი სცენა ვიქონიოთ. ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი—რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განიანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე—იგი უნდა იქნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შკენებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ. ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისკანმე, რომ ამ ორს სანატრელ საქმეს სცენა არ გადუდგეს და არ გახდეს „მშკენერის ელენების“ სამარცხვინო სალახანო ასპარეზად. ამბობენ, ამ საქმეში მეთაურობას ჰკისრულობსო ჩვენი—ყოველ კეთილ საქმეში დაუღალავი მოღვაწე—დ. ი. ყიფიანი. ჩვენის ფიქრით, უკეთესს კაცს ვერ ჩააბარებდნენ ამ დიდს და მძიმე საქმეს, როგორც ქართული სცენაა. მან ძალიან კარგად იცის, რა ძვირფასი

რამ არის ხალხისათვის სცენა, როცა იგი იმ ორს ზემოაღნიშნულს საგანს ემსახურება. თითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა, რომელთაც დ. ი. ყიფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ შკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მომდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ. ი. ყიფიანის ხელში სცენა თავის დღეში ისე არ დაიდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად. ღმერთმა ჰქმნას, რომ რამოდენადაც დ. ი. ყიფიანი გულმოდგინედ და გულმხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს, იმოდენად ჩვენც შემწეობა და გული-ტკივილი ავუჩიხოთ, და მაშინ ჩვენის სცენის საქმე მკვიდრს საფუძველზედ იქმნება დაბყარებული, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ.

1879 წ.

ტ. VI, გვ. 31—48.

შინაური მიმოხილვა

1879 წელი, აპრილი.

ნუთუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას?—ახალი საზოგადოება წერა-კითხვის გავრცელებისათვის საქართველოში და მისი მომავალი ღვწლი ჩვენის ცხოვრების-თვის.—რა ურთიერთობა სუფევს ამ საზოგადოებისა და შარშან დაარსებულის შორის („შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის")?—ორიოდე სიტყვა ბანკის თაობაზედ—ქართული თეატრი.—თავ დ-აზნაურთა კრება.

ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვითმოქმედობისა და სხვა. გრძნობით-კი კარგად გრძნობდა თავის ვაი-ვაგლახს და ყოველის მხრით გაჭირვებულს ცხოვრებას, მაგრამ შვებით კი თითქმის თითსაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად. იყო ისე, ყურმოჭრილი მონა გარემოებისა, და თითქო ფიქრობდა: როგორც ეს გარემოება მომევლინა ფათერაკად, იქნება შვებაც ამგვარადვე მომევლინოსო. ამისდა გვარად, ჩვენი საზოგადოება, იქნება, არც კი იყოს გამტყუნარი ამაში: თაოსნობა, გამჭრიახობა, თვითმოქმედობა,—ყველა ამგვარი თვის აღმოსაცენად და გასაკეთებლად მოითხოვს ნიადაგს არა იმისთანას, სადაც ფართო გზა და მსვლელობა უპყრია ფათერაკობას... იქნება არ იყოს მეთქი მტყუანი, და არც იმიტომ მოვყევით ამაზედ ლაპარაკს, რომ გამოვებნოთ, ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი. ეს კი უეჭველია: გადიოდა ხანი და თითქმის არავითარი შვება არსაიდან არ მოჩანდა. ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალისი და თაოსნობა ჰქონდა შერჩენილი ჩვენს საზოგადოებას, ისიც უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ, ამ ბოლოს დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა; საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაძახა—„როდემდე და სადამდეო", ხელები გაანძრია, წელში გაიმართა და თითონვე განიზრახა თავის-თავისათვის შველა. ჯერ-ჯერობით მიჰყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ამისათვის დააარსა ჯერ ერთი საზოგადოება, რომელმაც გახსნა ესრეთ-წოდებული „მოსამზადებელი სკოლა", მერე კიდევ სხვა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში. პირველ საზოგადოებაზედ საკმაოდ იყო ნათქვამი „ივერიაში" და მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ

არის. ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ახალს საზოგადოებაზედ, რომლის პროგრამა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება, რომ ფრიად დიდს ღვაწლს გვიქადის მომავალში და იმიტომაც ღირსია ყურადღებისა.

ეს საზოგადოება თავის დანიშნულობის აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავის განვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვ.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს საქმე საუცხოო საქმეა და თუ ამ საზოგადოების წევრთ ქართველურად მალე გული არ აუცრუვდათ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ.

არა ხალხში, რომელიც კი განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ბევრ ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიპარებდნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად აშოვარდნას უშლიდნენ.

ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი. მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გახსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ათი მეტი უშკოლო მოდის.

ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას დიდი შეძლება არა აქვს რა: საზოგადოების შემდგენელთ წევრთ, რიცხვით ჯერ ას-ოც-და-ექვსია, შეაქვთ ყოველ წელიწადს არა ნაკლებ ოცის მანეთისა; ამას გარდა საზოგადოება მიიღებს სხვადასხვა შემოწირულს ფულს პატივსაცემთ წევრთაგან და აგრეთვე ნამდვილთ წევრთაგან, რომელთაც ყოველწლივ უნდა შემოიტანონ არა ნაკლებ ექვსის მანეთისა.

ყველა ეს შემოსავალი დიდს ფულს არ შეადგენს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე ჯერ ახლად ფეხადგმულს ბავშსა ჰგავს და ახლად ფეხადგმულს ვინ მოსთხოვს ვაჟკაცისავით სწორე სიარულს!

წერილობით ამ საზოგადოებამ ხუთი შკოლაც რომ გახსნას, იმიც დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია, ეს დიდ საქმედ კი არა, მცირე საქმედაც არ ეჩვენებათ იმ პირთ, რომელნიც ყოველს საზოგადო საქმეს თვალებახვეულისავით უცქერიან და იძახიან, რომ წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებლობს არას მოუტანსო, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი ვასწავლოთო, ჩვენ გვინახავს სოფლებში ბევრი წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც უცოდინარებზედ უფრო უსინდისო გაფლიდებულნი არიანო. ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა. იმათ ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი

ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მ.შინ იმათ ისე არავინ აპაშპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იძახის, ხალხს ჯერ კუჭი გავუძღოთ და მერე ვასწავლოთო, იმაზედ არ ჩაფიქრებულა, რომ გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერობისა არა გაიგო რა, ისევ-ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვრია. ჩვენ გვინახავს ბევრი გლეხკაცი, რომელსაც ათას თუმნამდინ შეძლება აქვს, მაგრამ ისეთს მიწურს სახლშივე დგას, ისევ-ისე გვერდით უჭია თავის საქონელი და იმისგან გამოსუნთქულს ჰაერსა სუნთქავს, როგორც ყოველად უქონელი ღატაკი გლეხი. ერთის სიტყვით, თუ ჩვენის ხალხის ბედხიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მ ვსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებ-ახვეული უცქერდეს.

ვიმეორებთ: ჩვენ სწავლა გვჭირვება, და რადგან სახალხო შკოლები სწავლის პირველს საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყოველს საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო შკოლების გამრავლება განუზრახავს.

წინდაწინვე ვთქვით, რომ ამ უკანასკნელს ხანს შკოლები ჩვენს სოფელში კანტი-კუნტად იხსნებიანო. ეს უფრო იმისთანა სოფლებში ხდება, რომლებშიაც სამას-ოთხას მცხოვრებზედ მეტია. ამოდენა სოფლებში გლეხკაცებს არ უჭირდებათ წელიწადში სამი ოთხი მანეთის გამოღება მასწავლებლისა და შკოლის შესანახავად, მაგრამ საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში დიდი სოფლები ძალიან ძვირად შეხვდება კაცსა. ზოგან ხალხი ხეობებში სცხოვრობს და სამი-ოთხი სოფლის მცხოვრებნი ერთად სულ ასს კომლს ვერ შეადგენენ. ცხადია, რომ თუ ამ სოფლებში მცხოვრებნი ძალიან შეძლებულნი არ არიან, სამმა-ოთხმა სოფელმაც რომ ერთად მოიყაროს თავი—მაინც შკოლის გაკეთება და მასწავლებლის შენახვა გაუძნელდებათ. აი ამ-გვარს ხეობებში და სხვა პატარა-პატარა სოფლებში შკოლების გამართვას უნდა მიაქციოს ხსენებულმა საზოგადოებამ ყურადღება.

არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც. თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მადლობას მიიღებს როგორც მთელის საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან. აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელიწადია შემოგვიერთდნენ მაგრამ იმათ ნამდვილს შემოერთებაზედ კი ჯერ ჩვენ არა გვიზრუნია რა. აქამდისინ ჩვენ უფრო იმათს ჩვენგან განშორებაზედ ვზრუნავდით. . .

. . . *) რაღაც საცოდავი ორასი თუმანი თუ შევკრიბეთ და დამშეულს ქობულეთლებს დავურიგეთ, თორემ სხვაფრივ ჯერ ზრუნვა არა გამოგვიჩენია რა. აი ეხლა დაგვეტყობა, მართლა ვიცით საქმითაც შეწევნა, თუ მხოლოდ მოძმეს ხსენება გვესიამოვნება და ღვინით შეხურებულის ენით ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმა. ეხლა დავამტკიცებთ, მართლა გვინდა თუ არა ქობულეთლები ნამდვილად ჩვენი მოძმენი გახდნენ და როგორც ლაპარაკით, ისე წერა-კითხვით სრულიად შემოგვიერთდნენ.

თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განზრახვა და მოქმედობა შორსა სწვდება-მეთქი. თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულეს ყოველიფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სიტყვა განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა. მართალია, მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ როგორც მოგეხსენებათ, სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის; გარდა ამისა, არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეავსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი,—ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი,—შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოკვეთრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. ინ-გვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა. ამ ქართულ საშუალო სასწავლებელზედ შემდეგ გვექნება დაწვრილებით ლაპარაკი. ვიტყვით აგრეთვე შემდეგ მაზედაც, თუ რა ნიჭვნელობა ექნება ამ სასწავლებელს ჩვენის ლიტერატურისათვის. ეხლა კი

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულის რედ.

აღვიარებთ, რომ ორივე საზოგადოებანი დასდგომიან ერთსა და იმავე საგანს, მაგრამ ორის მხრიდამ, ორნივე ერთი-ერთმანეთს ეხმარებიან, ავსებენ ერთი-ერთმანეთის ნაკლს. ახლა საქმე ჩვენზედ, ე. ი. ქართველ საზოგადოებაზედ, არის დამოკიდებული; უნდა აღმოვუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება. ფულით თუ სხვა რითიმე. ნურას დავზოგავთ ამ საქმისათვის! ვინ იცის, ჩვენი ბედი რა-რიგად დატრიალდება, თუ ეს საქმე ხეირიანად წავიყვანეთ!... საქმე დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილ-კაცებზედ. ზემოხსენებულ საზოგადოებათ წინ უდევს დიდძალი, აუარებელი შრომა: ჩვენ ხომ ჯერ სულ ხელცარიელნი ვართ,—არც სახელმძღვანელონი გვაქვს, არც საკითხავი წიგნები, არც არა სხვა სახსარი სწავლისა,—აი ამას უნდა შეუდგნენ ეხლავე ჩვენი განათლებულნი, რათა სიტყვა მაინც არ მოგვიბრუნონ: „მაშ რალასა თხოულობთ, თუკი გამოყენებაც არ იცით და არ შეგიძლიანთო?“

უმთავრესი შემწე ყველა ამ-გვარ საქმეთა არის, ჯერ-ჯერობით, საადგილ-მამულო ბანკი, ქუთაისისა თუ ჩვენი. ქუთაისის ბანკმა შემოსწირა კიდეც ათას ასი თუმანი ამ საზოგადოებას.

იმერთ-ამერთა, ესე იგი, მთელმა საქართველომ ამ სამოც-და-თვრამეტს . . . . . *) გაკლილს წელიწადში მარტო ერთი საქმე დააწყო საკუთარის თაოსნობით, საკუთარის შეწირულობით და თავის საკუთარის ღონით, მხნეობით და ზედამხედველობით წარმართა კიდეც. ეგ საქმეა ჩვენის ბანკების დადგინება და მართვა. ამ სამოც-და-თვრამეტ წელიწადში ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთხეში მიეგდო, მიწვა და მიიძინა, თითქო ყველაფერზედ გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადაწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო. ამ ჯოფამ ყოველ-მხრივ დაგვაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავდით და მივილივენით; არამც თუ ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა, არამედ თითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდა, ჩაგვიქრა. რას უნდა გამოეხსნა ჩვენი თავი ამ საცოდავობიდამ? მარტო თვითმოქმედებას და სხვას არაფერს. რაზედ უნდა მიგვემართა ის ყოვლად მხსნელი თვითმოქმედება? მეტყვით, მაგას ბევრი გზა აქვსო. ჩვენც ვიტყვით, მაგრამ იმ „ბევრამდინ“... ღმერთო, ხომ შენ იცი, რა ტყრუშული ღობეებია, თვალთუწვდენი, შეუვალი. საიდამ რა მოევლოდა? ერთი პატარა ბილიკიღა იყო თავისუფალი სავლელად და ერთი პატარა მოედანი სავარჯიშოდ, ისიც ვაილაჩრობით, წეწვითა და გლეჯითა. მოედნად დაგვრჩა ჩვენის ქონების წრე და ბილიკად—გზა ქონების შეძენისა, ანუ გაფლანგვისა. აქ შეგეძლო გვეკარჯიშნა რამოდენიც ჩვენს სულსა და გულს ესურვებოდა, არავინ და არაფერი არ გვაბრკოლებდა. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ნათქვამია. სხვა ღონე რომ არ იყო შველისა,

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულის რედ.

ერთმა ჩვენმა კეთილის-მყოფელმა კაცმა ამ ბილიკს და მოედანს დააკვირვა თვალი და სთქვა: ცოტა რამ არის, მაგრამ ამისი გამოყენებაც შეიძლებაო, რომ ჩვენმა თვითმოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთები შეისხასო. სთქვა და თავის სასახელოდ აასრულა კიდეც. ამაზედ აშენდა ბანკების საქმე.

ამ საქმეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ კიდეც. ჯერ თუნდ თავიც დავანებოთ იმას, რომ ბანკები ღონისძიებას გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისას, ნურც იმას გავიხსენებთ, რომ ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ, ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ამას ყველაფერს თავი დავანებოთ, გავსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რა მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის, ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. ჩვენ, თევზისა არ იყოს, პირი სავსე გვაქვს წყლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყვით, მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდამ ბოლომდე გაავლებს გონების თვალსა, ის, რასაკვირველია, დაგვეთანხმება, რომ აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყოველ-ფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეგ საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის, დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულრწფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერსად ვერა ვხედავთ, ვერც სხვა საზოგადო საქმეში საერთოდ და ვერც ბანკისაში საკუთრივ ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვათამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიურად ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტროებისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინადაუსან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანლა იყოს...

აი, თუნდ ავიღოთ მაგალითად ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმე. თავდაპირველადვე იმ ბანკს ერთი შფოთი და არეულობა შეუდგა. დაეწყო დასები. ერთი იკითხეთ, ან ერთმა დასმა რა წამოაყენა წინ ისეთი, რომ მეორემ უარჰყო? რისთვის იბრძვიან? რათ აქვთ ატეხილი ტყეილ-უბრალო აყალ-მაყალი? რაზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? სწერენ კიდეც მრავალს, ჰქადაგობენ კიდეც, და აბა თუ კაცები ხართ, გარკვევით მეტყვით—რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი, გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა. ეს არის ჩვენი ოსტატობა? ნუთუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვასა და ლალვას ისიც უბედურთ ქართველთა შორის. ღმერთო, გვიხსენ ამ ჭირისაგან და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხედია. გვეყო, ბატონებო, გვეყო! იქ „მე“ ულონოა, საცა „ჩვენ“ გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც.

***

ამ ბოლოს დროს დაეწყო ქართულის თეატრის საქმეცა. აი კიდევ ერთი საზოგადო საქმე, როჟელსაც დიდის სიფრთხილით მოქცევა უნდა. ღმერთმა ეს ახლად შობილი საქმე მაინც ააშოროს იმ მტრობასა და შურს რომელიც ბანკების საქმეს შეუდგა ჩვენში. ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს. სახელი და დიდება ტფილისის ბანკის კრებას, რომ ქართული თეატრი საზოგადო საჭირო საქმედ იცნო და სამასი თუმანი ფული შესწირა. ფულის შეწირვის გარდა ამ ახლად შობილს საქმეს სხვა-გვარი შემწეობაც უნდა. საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, კვალში ჩაუდგეს, და რამოდენადაც გონება და ცოდნა გაუჭრის, იმოდენად,—როგორც მოყვარემ—პირში უძრახოს, კარგი და ავი პირში უთხრას, არც გაანებიეროს ტყეილის ბარაქალითა და არც გული აჰყაროს ტყეილის დაწუნებითა. ამისათვის ჩვენ ვეცდებით ამ მხრით სამსახური გავუწიოთ ჩვენს თეატრსა იმდენად, რამდენადაც ჩვენგან შესაძლო იქნება. ჯერ-ხანად მოკლედ განვიხილავთ, რაც აქამომდე იყო.

ამ ცოტა ხანში რამდენიმე ქართული წარმოდგენა იყო. პირველად წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია: „გევო, მინას და კამპანია“, ფრანციულიდამ გადმოკეთებული, და მასთანაც ერთი ვოდევილიც: „სხვა-გვარი სიყვარული“. თითონ კომედიაზე ბევრს ვერას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლულევანება, აქვს თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რათ დასწერა? მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დასწერა, გადამკეთებელმა რათ გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორნივ შესცდნენ, თეატრში მაინც რათ წარმოადგინეს?

აქტიორებმა როლები არ იცოდნენ რიგიანად. რა დაგვემართა, რით ვერ მოვიშალეთ ეს უხამსი ჩვეულება. ურიგო არ იქნება, რომ ამ საგანს სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისორმა, თორემ ეგ წყეული ჩვეულება პიესის მწერალსაც დააფრთხობს და მაყურებელსაცა. იმედია, რომ ბეჯითი რეჟისორი მოსპობს ამას.

ვოდევილმა კარგად ჩაიარა, ხალხმაც ბევრი იცინა და ზოგი იქნება იმასაც მიხვდა, რომ პირად მხურვალე სიყვარულს ხშირად სხვა სარჩული უდევს ხოლმე ქვეშ. ეს დიდის ზნეობის მასწავლებელი ჭეშმარიტება არ არის, მაგრამ ერთი პაწია ვოდევილისაგან ესეც კარგია. არა-მწევარმა რომ კურდღელი დაიბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია.

მერმე წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ეჭვით ავადმყოფი“, თარგმნელი ივ. მაჩაბელისაგან. თარგმანი არ არის ურიგო. მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაურთავს ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად ხმარებული პიესაში, რომელიც ზრდილობის მოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოა. ამისთანა სიტყვებს უნდა ერიდონ სცენაზედ. თუმცა ჩვენ, ქართველებმა, ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდარაოდ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება. ეს პატივსადები ჩვეულებაა და არ შეიძლება ამას ყური არ ვათხოვოთ.

ბოლოს დროს წარმოადგინეს ილ. ჭავჭავაძის „ყმების განთავისუფლების პირველ დროების სცენები“, „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა“ და ვოდევილი (შეორედ) „ბნელს ოთახში“. „აყალ-მაყალი ცოლ ქმარ შუა“ მოგვეწონა, კარგის ენით არის შედგენილი და სასაცილოც არის; ჩვენდა სამწუხაროდ ამასავე ვერ ვიტყვით ვოდევილზედ, თუმცა ზოგიერთგან აქაც ენა რიგიანად არის ხმარებული.

აქტიორების ღირსებაზედ ჯერ-ხანად არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და, იმედია, რომ გაიწვრთნებიან. ხოლო წარმოადგენელთა შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმადლებია დიდი ნიჭი. ძაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეგ ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენის სცენის თვალი იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზედ უნახავს. ყოველს სიკეთესთან ერთი ის სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელს დროში, როცა ქართული ალარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის.

ძალიან კარგი იყო უფ. ცაგარელი ილ. ჭავჭავაძის სცენაში. ჩვენა ვვგონია, მაგ-გვარს როლებში უფ. ცაგარელი შეუდარებელი იქნება. გვიკვირს, რატომ გლახა ჭრიაშვილის როლი მაგისათვის არ მიუციათ?

***

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობის თაობაზედ, რომელიც ამჟამად შემდგარია გუბერნიისა და უეზდების მარშლების ამორჩევისათვის. მართალია, აწინდელ დროში,

როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდნილია და სხვადასხვა წოდებათა შორის არავითარი შესანიშნავი განრჩევა არ არის კანონისა და სახელმწიფოს წინაშე, თავად-აზნაურობას, როგორც ერთ-გვარ წოდებას, დაეკარგა უწინდელი მნიშვნელობა . . . . . .

. . . . . *)

თუ ამ-ჟამად თავად-აზნაურთა კრება იპყრობს რაიმე ყურადღებას—იპყრობს მხოლოდ ამ მხრით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი . . .

. . . *) სარგებლობს თვისის უფლებით. თავად-აზნაურობას აქვს უფლება იზრუნოს თვის საჭიროებაზედ, განუცხადოს მთავრობას თვისი სურვილი ამის შესახებ, წარუდგინოს მას სხვადასხვა ზომიერებანი, რომელთაც დაინახავს სასარგებლოდ. აი, სასურველია, რომ ეს ზომიერებანი შეეხებოდნენ იმისთანა საგანს, რომელიც სარგებლობის მომტანია მთელის ქვეყნისათვის. ამ მხრით წლეულანდელი ყრილობა თავად-აზნაურებისა ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რადგანაც წამოყენებულ იქმნა ერთი საგანი ფრიად ღირსშესანიშნავი და ფრიად სასარგებლო საქართველოსთვის. ჩვენ ვამბობთ იმ წინადადებაზედ, რომელიც შეიტანა კრებაში ღენერალმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და რომელიც არსებობს შემდეგში: ყოველმა თავადმა თუ აზნაურმა უნდა იკისროს წლითი-წლობით ხარჯი, რომ მის შემოსავალით დაარსებულ იქმნეს საკუთარი გიმნაზია. ჩვენდა სამწუხაროდ, გუბერნიის კრებაში ამ საგანმა ვერ მოიპოვა ჯეროვანი უმეტესობა ხმისა, მაგრამ დადგენილ იქმნა კი, რომ ეს საქმე თვითოეულ უეზდის მარშალს და თავად-აზნაურთ უნდა მიენდოთო. მაშასადამე, საქმის კარგად წაყვანა დამოკიდებულია უეზდის მარშლის გამჭრიახობაზედ და უეზდის თავად-აზნაურთა კეთილ მიდრეკილებაზედ. იმედია, რომ არა აზნაურს არ დაშურდება და არც გაუჭირდება წელიწადში შეძლებისამებრ ცოტა რისამე მიცემა ქვეყნის სარგებლობისა და წარმატებისათვის. ამით ჩვენი საზოგადოება დაიმკვიდრებს უკვდავ სახელს და დიდებას წინაშე მთელის ქვეყნის და მეტადრე შთამომავლობისა.

1879 წ.

ტ. VI, გვ. 51—66.

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

შინაური მიმოხილვა

1879 წელი, მაისი — ივნისი.

ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები. — რატომ არა ვსწავლობთ. — რა წამალი უნდა დავსდოთ. — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.—ჩვენებური სოფლის სკოლები.—რა ხარჯს იხდის გლეხობა სკოლებისათვის.—სად რამდენი სკოლაა. — რამდენი მოსწავლეა.—ასზედ რამდენი გლეხი სწავლობს.— რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება განათლების საქმეში.

წელს გამოცხადებული იყო, რომ კლასიკურს გიმნაზიაში ოც-და-ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოც-და-ერთში, ჩვენ სამწუხაროდ და, უკეთ ვსთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია. ბევრი რამ არის საოცარი ამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმაზედ საოცარი, რომ შუაგულს საქართველოში წელიწადები გადის და ერთი ქართველი არ ასრულებს კურსსა, ამაზედ საოცარი-მეთქი არა მგონია სხვა რამ იყოს.

რას უნდა მივაწეროთ ამისთანა უნუგეშო ამბავი? ჩვენი კეთილის-მყოფელნი, რასაკვირველია, ადვილად მოგვიგებენ ამის პასუხს და იტყვიან,— თქვენს უნიჭობას თუ არა, ზარმაცობას ხომ წინ არა უდგა რაო. ეს პასუხი მთქმელისათვის იქნება სანუკვარიც იყოს, მაგრამ მართალია თუ არა, მაგისიკი ნურას უკაცრაოდ. ჩვენა გვგონია, რომ მაგისთანა პასუხი შეუწყნარებელია, თუ კაცი რიგიანად დააკვირდება ჩვენის განათლების საქმის შიგნეულობასა და გარემოებას ჩვენის ყოფისას და მდგომარეობისას. პირველი, რომ ის წრე, რომლისათვისაც მისაწვდომია იმგვარი სასწავლებელი, როგორც გიმნაზიაა, მეტად შორს არის გიმნაზიაზე, ისე მანძილით არა, როგორც შეუძლებლობითა. შვილის შენახვა ქალაქში ჩვენებურს თავადსა თუ აზნაურის-შვილს, გლეხს აღარ ვიტყვით, მეტად უძნელდება, მერე ამისთანა სიძვირეში. ბევრს კი არა, ძალიან ცოტასა აქვს იმისთანა შეძლება, რომ შვილი პანსიონში მისცეს, ან ვისმე მიაბაროს. ერთსაც და მეორესაც დიდი ხარჯი მოსდევს და ამ ხარჯს ვერა სწვდება შვილის განათლების მსურველი დედ-მამა. ამის-გამო თითქმის მთელი ის თავად-აზნაურობა, რომელიც ქალაქს-გარეთ სოფლად სცხოვრებს, სწავლის სახსარს მოკლებულია და თუ შეხვდებით ქართველს ყმაწვილს გიმნაზიაში, ან ქალაქში მცხოვრების შვილია, ან არა — გვარიანად შეძლებულისა. სხვა-კი თითქმის აუარებელი რიცხვი ყმაწვილებისა სწავლის გარეთ რჩება. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენს ქართველს ყმაწვილს დიდი ხარიხი ხვდება სწავლის მიმ-

დინარეოპაში ჯერ თითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ თავისის ლათინურით და ბერძნულით, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა. თუნდ ამ ორს მძიმე ტვირთს აუვიდეს კიდეც ჩვენი ყმაწვილი, მაინც კიდევ ერთი სხვა მძიმე ტვირთი აწევს კისერზედ. ჩვენი ქართველი ყმაწვილი ორ-გვარს სიძნელეს შეეხლება ხოლმე გიმნაზიაში. ერთი — საგნის, მეცნიერების სწავლას, რომელიც ერთნაირად მძიმე რამ არის ყველასათვის და აუცილებელიც და მეორე — იმ უცხო ენის შეთვისებას, რომლის საშუალებითაც საგნებს ასწავლიან. ამაში-კი ტვირთი სწავლისა ერთნაირად მძიმე არ არის რუსისა და ქართველს შორის. რაღა საკვირველი უნდა იყოს ამას იქით, რომ რუსმა უფრო ადვილად გაიაროს სწავლის გზა, ვიდრე ქართველმა! რუსი მარტო საგნებსა სწავლობს და ქართველი-კი საგნებსაც და რუსულ ენასაც, ურომლისოდაც ერთს ბიჯსაც წინ არ წაადგმევინებენ, თუნდა ჰუმბოლტის მეცნიერებით აღსავსე იყოს.

მეტყვიან, ეგეც მიზეზი ხომ სომეხსაც უნდა აბრკოლებდესო, მაგრამ იმათში ორი-სამი მაინც ასრულებს ყოველწლივ კურსსაო. მართალია, ორი-სამი ასრულებს, მაგრამ თითონ ეგ ორიოდობა ცხადი საბუთი არ არის იმისი, რომ ამ შემთხვევაში სომეხი და ქართველი ერთს ტაფაში იწვიან! რაც შეძლებული სომხობაა, სულ ქალაქში მცხოვრებელია, მაშასადამე, გიმნაზია კარ-წინა აქვთ. ამასთან შემძლებელნიც არიან, როგორცა ვსთქვით. ამათგანმა რომ ორიოდემ შეასრულოს ხოლმე კურსი წელიწადში, არაარაობად უნდა ჩაითვლებოდეს. ათასში და ათი-ათასში ერთი განა მაგალითად მოსატანია ამ შემთხვევაში! მინამ ჩვენი გიმნაზიები შრომას და ჯაფას არ გაუთანასწორებენ ქართველს, სომეხს და რუსს, იმ დრომდე ძნელად საეჭვებელია, რომ ქართველებმა და სომხებმა წააჭარბონ რუსებს გიმნაზიაში.

მინამ ის სანატრელი დრო მოვა, არც უნდა ვისხდეთ გულხელ-დაკრეფილნი; კაცი ის არის, ვინც გაჭირვებაში ცდილობს, რომ სიმძიმე გარემოებისა როგორმე შეიმსუბუქოს, ან აქეთ მოუაროს საქმეს, ან იქით და როგორმე უშველოს თავსა. აბა, მაგალითად, ჩვენ როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს? პირველი, რომ ჩვენი საკუთარი სასწავლებელნი უნდა ვქონიოთ, მერე იმისთანა სასწავლებელნი, რომ ჩვენს შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზრდოებაც და სწავლაც. ყველაზედ უპირველესი წამალი ეს არის და ამაზედ უნდა მიექცეს ყოველივე ჩვენი ყურადღება, მეცადინეობა და გაჭირვებაც. სხვის მაყურებელი მოკვდა უზიარებელიო, ნათქვამია. ეს წუთის-სოფელი ისეა მოწყობილი, რომ ყველა თავისათვისა ჰფიქრობს და სხვაც, რასაკვირველია, თავისათვის უფრო იფიქრებს. „თავად-აზნაურთა საზოგადოებამ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის„ თავისი სკოლა გახსნა ტფილისში, და იქ ოც-და-ათს ყმაწვილს გინა, საზრდოება და პირველ-დაწყებითი სწავლა ეძლევა; ორმოც-და-ათამდე მოარული შეგირდებიცა ჰყავს. ქუთაისელებიც, ბანკის ფულის შემწეო-

პით, აპირობენ ამ-გვარის სკოლის გახსნას და ჯერ-ხანად რვაასი თუმანი აქვთ ამ საგანზედ. ტფილისის სკოლას კიდევ აქაურმა ბანკმა შესწირა ათას-ასი თუმანი წელს და ხუთასამდე შარშან. ეს ყველა კარგია, მაგრამ ყველა ეგ ცოტაა. ეგ სკოლები წყლულს ვერ გაგვიმთელებენ. თუმცა ეგენიც დიდი საქმეა ჩვენთვის. ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა. ჩვენმა ქართველობამ თავისი სრული თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს, რომ მისი სახელი და კვალი მტვერსავით აიგავოს დედამიწის ზურგიდამ. საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის იქ საზოგადობაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღედაღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოვლის ჩვენის შეძლებითა და ღონითა.

აბობენ, გიმნაზიის შენახვას ორი-ათას-ხუთას თუმნიდამ სამი-ათასამდე მოუნდებაო წელიწადში. ეს იმოდენა ფული არ არის, რომ ჩვენს ორს ბანკს გაუჭირდეს ამისი გამოღება, ზოგი გარეშე შესაწირავი იქნება, ზოგი თითონ გიმნაზიას ექნება შემოსავლად და ამ სახით საქმე საქმეზე ადვილად მოეწყობა. ქართველობავ, დამიჯერე, რომ ჯერ-ხანად ამაზედ უკეთესს საქმეს ვერ მოახმარებ შენს ქონებითს ძალასა. ამისათვის გაისარჯე, თუ გინდა, რომ მამა-პაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი — აწმყოს. დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ...

* * *

ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის საზოგადოება“ შესდგა და გამგეობაც ამოირჩიეს. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ჩვენი პატივცემული დიმ. ივან. ყიფიანი, მის ადგილად ილ. ჭავჭავაძე და წევრებად: ე. რაფიელ ერისთავი, ივ. მაჩაბელი, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და ალ. სარაჯოვი. ამ საზოგადოებას ტფილისის ბანკმა შესწირა წელს ათას-ასი თუმანი და თითონ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ერთი ხუთასიოდ თუმანი კიდევ სხვა ღონისძიებით შემოუვიდეს. ამ სახით პირველ-ხანად ამ საზოგადოებას თუმცა საკმარი არა, მაგრამ მაინც კარგა ფული აქვს. ხოლო ამ ფულს დიდი გაფრთხილება უნდა, თუ საზოგადოების სანგრძლივად ცხოვრება სასურველია. ჩვენ ამას არ ვიტყოდით, რომ თვალ-წინ არ გვედგას ის აყალმაყალი, რაც წერას თავად-აზნაურობას შეუდგა მის-გამო, რომ ბანკმა ათას-ასი თუმანი შესწირა ამ საზოგადოებას. „რათაო და რისთვისაო“ — ყვიროდნენ წინდაუხედავად ზოგი სხვის წაქეზებით, ზოგი საკუთარის თაოსნობით: — „განა ჩვენ-კი შვილები არა გვყავსო, თუ გაზრდა საჭიროა, ჯერ ისინი გავზარდოთ. შინ რომ შვილი გიტიროდესო, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ და სხვანი და სხვანი.

ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-

აზნაურობა-კი გამოსულა და იძახის, მეო და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე“ თუნდა იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის ძალიან არავინ არ შეიტკივებს. თუნდ ეგ არ იყოს, ჩვენმა თავად-აზნაურობამ რატომ არ იცის, რომ თუ მის გარეშემო უმეცრების სიბნელე იქნება, როგორც ეხლაა, ვერც თითონ იხეირებს და ვერც სხვას ახეირებენ. თვითოეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანებრივი საზოგადოება. თავად-აზნაურთა საზოგადოება გლეხთან ერთად სცხოვრობს: თუ რამ თავადსა და აზნაურს ეკონომიური, ანუ სხვა რაიმე ანგარიში აქვს, გლეხთანა აქვს; თუ რომ რისამე გაკეთება უნდა, გლეხის ხელით აკეთებს; თუ რისამე მოვლა უნდა, გლეხის მეოხებით უვლის. განა აქედამ ცხადი არ არის, რომ თითონ თავად-აზნაურობისათვის დიდად სასარგებლოა საქმე იქონიოს მიხვედრილ, ზნეობით და ჭკუით განვითარებულ გლეხთან, ვიდრე უმეცართან, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ ესმის, არც თავისი და არც სხვისა და რომელიც უმეცრებისა გამო თითონაც ტყუვდება და სხვასაც საქმეს უფუჭებს. ეს მუდამი ჩივილი, რომ კაი კაცი ვერ გვიშოვია, რამე დავსაქმოთო, რამე ჩავაბაროთო,—ან გაგვქურდავსო, ან სხვას გააქურდვინებსო, ან რეგვენობით წაგვიხდენსო, რის ბრალია ეს, თუ არ იმისი, რომ უმეცარს კაცს, გლეხია თუ თავადი, სინიდისი გაღვიძებული არა აქვს, ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრკგუ, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა, არ ესმის, რომ თვითოეულის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მობმული. არ ესმის, რომ პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა, რომელსაც, რაც უნდა სთქვათ, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამოყენება. განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ეჭცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება-გახსნილობა რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა.

მართალია, დღეს იქნება თუ ხვალე, ჩვენი თავად-აზნაურობა ამ საგანზედ თვალს გაახელს და იგრძნობს აუცილებელ საჭიროებად, რომ რიგიან, მიხვედრილ, სინიდის-გაღვიძებულ კაცთან საქმის დაჭერა ბევრად სასარგებლოა, და ხალხის განათლებას, ესე იგი მას, რაც ადამიანს რიგიანობას, მიხვედრილობას, სინდისიანობას უნერგავს, ხელს შეუწყობს ისე, როგორც საკუთარს საქმეს. მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივაო, ნათქვამია. მინამ თავად-აზნაურობა მაგ სიკეთემდე აღიმართება, სჯობს საზოგადოებამ ზემოხსენებული შემოწირული ფული დიდის სიფრთხილით და გამოზოგვით მოახმაროს საქმეს; ვამბობთ, დიდის სიფრთხილით-მეთქი, იმიტომ — რომ საზოგადოებას დიდი, ფართო მოედანი აქვს დანიშნული და თუ მოიწადინებს ყოველი საჭიროება ერთბაშად დააკმაყოფილოს, მაშინ ეგ ფული კი-არა, ასი მაგოდენაც არა კმარა და საშიშია, რომ საზოგადოებას

საფანელი დააკლდება და პირველ ფეხის გადადგმაზედვე უილაჯობით შეჩერდება. ამბობენ, თუ საზოგადოება კარგად იმოქმედებსო, ბევრი წყარო გამოუჩნდებაო. მართალია, მაგრამ მაგასაც დრო უნდა და ხანგრძლივი დროცა. ვიდრე ჩვენში ეს უგემური „მეობა“ მოტყდება და „ჩვენობა“ აყვავდება, ვიდრე შემძლებელი წრე ჩვენის საზოგადოებისა ჩვენის ქვეყნის საქმეს თავის საკუთარ საქმედ იცნობს, ამ დრომდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, იმ დრომდე ამ ახლად-დაარსებულს საზოგადოებას ცხოვრება უნდა და საგზალი. დღეს რომ ამ საზოგადოებამ რაც ფული აქვს სულ შემოიხარჯოს, თუნდ მართლადა სახეიროდაც მოიხმაროს, ხვალ გროშიც აღარ ექნება, რომ თითონ სული მოიბრუნოს, — და ეს მართლადა გულ-შესატკივარი საქმე, ეს ყოვლად დიდი საქმე წაწყმდება ისე, როგორც სხვა კაი საქმენი წაწყმედილან ჩვენს უბედურს ქვეყანაში. თუმცა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ საზოგადოების გამგეობას ნება მისცა ხარჯის ფული, რამდენსაც საქმისათვის საჭიროდ დაინახავს, დახარჯოს, მაგრამ გამგეობა ფულს მაინც კიდევ ხელს უჭერს და ჰფიქრობს, რომ უდიდესი ნაწილი ფულისა ხელუხლებელ ძირის-ფულად დაიდოს და მისი სარგებელი და ყოველწლიური შემოსავალი წლის ხარჯად დაინიშნოს. ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო, ნათქვამია და ეს საზოგადოება ჯერ-ხანად ბევრს არას ეჭიდება.

ამას-წინათ დაუდგენია გამგეობას, რომ სახალხო სკოლების დირექტორებისაგან, მაზრის უფროსთაგან და სასოფლო სკოლის მასწავლებელთაგან ცნობები შეაგროვოს სკოლების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში გამართულია 29 სასოფლო სკოლა და დანიშნულია გასამართავად 5 სკოლა. ამ სკოლებში სწავლობენ ვაჟები 926, ქალები 30. ამ სკოლების შესანახად ხალხი იხდის წელიწადში 9.786 მან.; ოსტატებზედ იხარჯება 8.058 მანეთი, დანარჩენი სასკოლო ნივთეულობაზედ მიდის. ოსტატის ჯამაგირი არ არის ნაკლებ 150 მანეთისა და უმეტეს 430 მანეთისა. ამ სახით ტფილისის გუბერნია რომ 900.000 სულად ჩავაგდოთ, გამოდის, რომ ათასში მარტო ერთი სწავლობს წიგნსა და თითოს წიგნის სწავლება ხალხს წელიწადში უჯდება ერთს თუმანზედ ცოტა მეტი. ქუთაისის გუბერნიაში 84 სკოლა თურმე არისო; მაგ სკოლებში სწავლობენ თურმე 2.572 ვაჟი და 35 ქალი. ხალხი იხდის თურმე მარტო ოსტატების საჯამაგიროს 120 მანეთიდამ 350 მანეთამდე.

საკვირველი ის არის, რომ შორაპნის მაზრაში 18 სკოლა ყოფილა და შვიდი ხალხს გაუუქმებია. რა უნდა იყოს ნეტავი ამისი მიზეზი? სკოლა იმისთანა რამ არის, რომ თუ ერთგან ფეხი მოიკიდა, არამც თუ რიცხვით იკლებს დროთა მიმავლობაში, არამედ იბღარტებს ხოლმე. რათ მოსვლია შორაპნის მაზრას ამისთანა მართლადა უბედურობა? ჩვენ გავვიგია, რომ იქაური სკოლები სწორედ საკვირველი იყვნენო შეგირდებითა და რას მივაწეროთ, რომ ორ-სამ წელიწადში ხალხს გაუუქმებია სკოლები? ჩვენის ფიქრით, სხვას არავის არ დაჰბრალდება ეს ამბავი, თუ არ იქაურს სკოლის

ჯამგეობას. წარმოიდგინეთ, მთელს იმერეთში სახმარად არც ერთი ქართული სახელმძღვანელო წიგნი არა აქვთ თურმე. გრძელ სიაში ნახსენებია მარტო ორი ქართული წიგნი: ჩუბინოვის ლექსიკონი და პასტორის ცხოვრება, დიდებულიძისა. აი გამოცანა რაში გხლებიათ. გვიკვირს, ან სხვა სკოლები აქამდინ რისთვის არსებომენ ქუთაისის გუბერნიაში? თუ რამ უფლება აქვს ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, ურიგო არ იქნება ამ სამარცხვინო ამბავს ყური ათხოვოს.

ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი თავისი შემწეობა იმ ადგილებს უნდა აღმოუჩინოს, საცა სკოლები სრულებით არ არის. მაგალითებრ, დუშეთის მაზრაში ერთი სკოლა არ არის თურმე, ახალ-ქალაქის მაზრაში მარტო ორია, თიანეთში მხოლოდ ერთი და ახლად-შემოერთებულს საქართველოში — სულ არც ერთი. ამ ადგილებში უსათუოდ უნდა დაჰმართოს საზოგადოებამ სკოლები, თუნდა თავისი საკუთარის ხარჯითაც. გარდა ამისა, არ იქნება ურიგო, რომ ოდგან თუ სამგან ჩვენს საქართველოში სამაგალითო სკოლები გახსნას, როგორც გარეგან გამართულობითა და მოწყობილობითა, ისე სწავლის მიმდინარეობითა; ეცადოს ყოველმხრით შეამკოს და მოართოს სკოლა, როგორც ეხლანდელი პედაგოგია თხოულობს. გარდა ამისა, საზოგადოებამ მიუცილებელ საჭიროებად უნდა სცნას ქართულის წიგნების და სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გამრავლება. სახალხო წიგნების და სახელმძღვანელოების დამწერს რომ ჯილდოც ფულად დაენიშნოს, თუ დიდს სარგებლობას არა, ზიანს არას მოიტანს.

ტ. VII, გვ. 289 — 298. 1879 წ.

შინაური მიმოხილვა

1879 წელი, ივლისი—აგვისტო.

ძნელი მოვალეობა შინაურის მიმომხილველისა ჩვენში. — გინდა თუ არა შენის ჭკუით.—ჭაპან-წყვეტა.—დაირა და ყღარუნები ზოგიერთისა.—ჩვენი ცხოვრება.—მეორე დაბრკოლება.— სუ! ანუ პირში ბურთი.—ნამცეცების კრეფა.—სწავლის მწყურვალნი.—სამხედრო გიმნაზია.—შენ მაცხონე, კამისიავ.—მუქარა წლევანდელის წლისა.—ამისი წამალი „Общество бережливость"-ის აზრით.— მოსკოვის ხაბაზები.—ცივილიზაციის ახალი პიონერები: შარშან ცხენები და ეხლა მოსკოვის ხაბაზები.—ღმერთსა ვსთხოვოთ.

შინაურის მხილველობისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისათვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოჭრით; რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ, თქვენის საკუთარის ჭკუის შუქით გაანათოთ. ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ. ამიტომაც ჩვენებური მწერალი დიდს ჭაპან-წყვეტაშია ხოლმე, როცა მწერლობის საღერღელი აეშლება და ბედი ფათერაკად ზედ მიაყენებს შინაურს საქმეს და სულთამხუთავსავით თავს დაადგება, გინდა თუ არა შენის საკუთარის ტვინის ძაფები დასძარიო და ამის პასუხი მომეციო. ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა იყოს, რომ სხვათა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი არას-გზით არ მიუდგებოდეს, სხვის აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ, მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ—რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ

ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა. მე რომ გულის ფრიალი მქონდეს და შენ კი მეუბნებოდე: მწყურვალის წამალი წყალიაო, რასაკვირველია, მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ, თუ უკაცრავად არ ვიქნები. ასე მოსდით ბევრს ჩვენგანს, როცა ძალაუნებურად მოახედებ ხოლმე მათს მაღალ მსჯელობას შინაურს საქმეებზედ. თუ მზამზარეულად გამომცხვარი აზრი ვერ იპოვეს სხვა ლიტერატურაში — უფრო, რასაკვირველია, რუსულში — იმ საგანზედ, რომელსაც ხანდისხან და ძალიან იშვიათად ჩვენი დავარდნილი ცხოვრება წინ დაგვიყენებს ხოლმე, მაშინ ნახეთ იმ ზოგიერთის მწერლის ოფლის წურვა და ჰაპან-წყვეტა. რაზედ იჭირებენო საქმეს, მეტყვით თქვენ: თუ არ შეუძლიან, ხელს რათ ჰკიდებენო. თქვენ არ იცით, ბატონებო, რა დაუმონავი რაჭ არის მწერლობის საღერღელი! ყველა სხვა საღერღელზედ უარესია, იმიტომ რომ ყველა საღერღელს დაიმორჩილებთ და ამას კი ვერა. მეც თითონ ერთი ალალ-ბედა ჭკუის-გლახა მწერალი ვარ, და ვიცი ეგ საღერღელი როცა კაცს აეშლება, რა-რიგად ლომებრ გულს უხოკს ადამიანსა. და თუ ამასთან ენის ქაცილიც აუტყდა მწერალს, მაშინ ხომ ხსნა არ არის. ვაი მაშინ მწერალსა და უფრო დიდი ვაი მკითხველსა! თქვენი მტერი, მაგათ დღე დაადგებათ. აქაო და მე ენის ქავილი მაქვსო, მწერალი არახუნებს მოშლილ წისქვილსავით და საწყალმა მკითხველმა უნდა ამით ყური გამოიჭედოს. მეც კი, სწორედ გითხრათ, ამ-ჟამად ესე მომდის: რაზედ დავიწყე ლაპარაკი და სად გადავედი.

იმას მოგახსენებდით, რომ ავი დღე დაადგება ხოლმე ჩვენებურს მწერალს, როცა შინაურს საქმეში მოამწყვდევს სადმე ბედი და პასუხს ეკითხება. მაშინ ხან აქეთ ახლის თავს, ხან იქით, ხან ერთს წაღმა-უკუღმა გაზეპირებულს წიგნს მივარდება, ხან მეორეს, და ეძებს, — ამ წყეულს საგანზედ ხომ არავის უთქვამს რამეო, რომ სხვისი აზრი ვითხოვო, საკუთარ ჯაბასავით ზედ გადვიცოო და ქვეყანაში გამოვიდეო. რა თქმა უნდა, რომ თუ ამ შემთხვევაში საკუთარი ტვინი არ უჭრის და სხვა ლიტერატურის მოშველებაა საჭირო, შველას მარტო ზოგადად გამოთქმულ აზრებისაგან უნდა მოელოდეს, იმიტომ რომ ყოველივე, რასაც ჩვენი ცხოვრება თვის დენაში აღმოგვიჩენს ხოლმე, კერძოდ მოვლინებული საგანია და მის თაობაზედ ზედმიწევნით და მოჭრით კერძოდვე გამოთქმული აზრი არსად არ იქნება. არც იმოდენა განსჯა აქვთ, რომ კერძოდ, განმარტოებით მოვლინებული საგანი ზოგად აზრს ქვეშ დაუყენონ და შესაფერი სხივი მოჰფინონ. მაშინ, მეტი რა გზაა, ამისთანა მწერალი გულდაწყვეტილი უნდა მიადგეს მთხოვარასავით საკუთარის ტვინის სადგურს, — რომელსაც ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიანად გოგრას, — და ურაკუნებს დაბადებითვე დახშულს კარს, იქნება აქედამ მაინც მეშველოს რამე და საგანს პასუხი აქ ვუპოვოო. „არარისაგან არ იქნების არარაიცა“, — დიდი ხანია უთქვამს შექსპირსა. ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს

დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზრდია, „ვერ მოგართვის“ მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა. ეგრე უნუგეშოდ გამოსტუმრებული ტვინის პატრონი თუმცა სასოწარკვეთილებას მიეცემა ხოლმე, მაგრამ დიდის ხნობით კი არა. ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება. აი ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ხოლმე ტვინისაგან განუკითხველს მწერალსა და გზას უჩვენებს, ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს. მაშინ დაიძვრის ხოლმე მეხსიერების სიღრმიდამ ყოველივე ნაგავი, რაც გაზეპირების ქარს და წაღმა-უკუღმად წიგნის კითხვისას ოდესმე მოუბუქავს, ენაზედ მოაყენებს ყოველს — გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს და მწერალიც მოაყოლებს რახუნსა. დაირად ხმარობს საკუთარს გოგრას, ჟღარუნებად კიდევ ამისთანა სიტყვებს: „ეკონომიური თანასწორობაო, კულტი, მისტიკა“ და სხვას ამის მსგავს შიგნითტიკურს ფრაზებსა, მითამ-და მეც ნახირ-ნახირო. არახუნებს და იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინ-დანთხეულსავათ იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო. ბატონო, ეგ ხომ ჩვენ ვიცით. გულის ფრიალის წამალი გვინდა, გულის ფრიალის! შენც არ მამიკვდე, იმან თავისი არ დაიშალოს. ან რა ქნას, რომ მეხსიერება ყურში მარტო ამ დიაკვნურად გაზეპირებულს სიტყვებს ჩასძახის. საკვირველი ეს კი არ არის, ისაა საკვირველი, რომ ეს უჯათი და დანიჟებული ექიმბაში თავის ჭკუის ხალხსაც პოულობს დედამიწის ზურგზედ და გულის ფრიალის მოსარჩენად წყალით იჟენთებიან. ექიმს, — მწერალიც ამ შემთხვევაში იგივე ექიმია, — ამაზედ მეტი არა უნდა რა: ქება და დიდება მოპოებულია, სახელი გათქმულია. სხვა რა უნდა მწერალს?

სხვა ბევრი რამ უნდა, მაგრამ გამკითხველი ვინ არის? თუნდ ის ბევრი რამაც ჰქონდეს მწერალს, სად და რაში გამოიყენოს, სად და რაში მოიხმაროს? ამ მხრით ჩვენებური მწერალი გასამტყუნარი არ არის. თითონ ცხოვრება სად არის ჩვენში, რომ ცხოვრებამ გკითხოს და შენ პასუხი აძლიო? ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარსავით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააჭელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უშინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰკვება, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო. დასაწყისში რომ ვახსენე ჩვენი შინაური საქმეები, იმ სახით ვახსენე, რომ კაცს ეგონება, ჩვენი ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო, მაგრამ აქ ჩვენ ვიგულისხმეთ ის დიდად იშვიათი შემთხვევა, ის ათასში ერთი მაგალითი, როცა ჩვენი ცხოვრება რაიმე ღირსშესანიშნავს საგანს მოიგდებს ხოლმე თვის ზედაპირზედ. უამისოდაც

არ იქნება, ზოგჯერ სასწაულიც მოხდება ხოლმე. ამისთანა ქვეყანაში, საცა ცხოვრება ხავს-მოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწერალმა რა უნდა ქმნას? ჭია-ჭუებს რომ ყურში ხელი წაავლოს და აწივლოს, — ეგ ერთხელ, ორჯერ კიდევ შესაწყნარებელია, მაგრამ მუდამ კი ღმერთმა შეინახოს, მოსაბეზრებელია, მოსაწყენია, — კაცს ყოველს სურვილს კითხვისას მოუკლავს. ამ სახით, გარდა ამისა, რომ ჩვენებურს მწერალს თვითმსჯელობა არ განუვითარებია, მეორე დაბრკოლება აი რაშია: საგანი არ არის გარშემო, რომ მწერალმა მასზედ შეაჩეროს თვისი გონების თვალი და მკითხველის ყურადღება. თუნდ რომ ათასში ერთი მოიპოვებოდეს კიდეც, თქმაც ძნელია, იმიტომ რომ წყლით გივსებენ პირს, ნაღველს ან სულს არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს. ამის გამო ბევრად შესაწყნარებელია და შესანდობარი სიღარიბე ჩვენებურის მწერლობისა და ნამეტნავად ჩვენებურის პუბლიცისტიკისა. რა ვქნათ, საფანელი არ არის ჩვენს ცხოვრებაში და ამის გამო არც აზრის შედედებაა და თუნდა იყოს კიდეც... ამით შეგვიბრალეთ და განგვიკითხეთ, როცა ჩვენს შინაურს საქმეებზედ სჯას კითხულობთ ხოლმე ჩვენებურს ჟურნალ-გაზეთობაში. თუნდ რომ ღონე იყოს, დიდს ჩვენ არ გვაღირსებენ და მეტი რა ჩარაა, რომ ნამცეცების კრეფას არ შევუდგეთ, ისიც დიდის სიფრთხილით და ენის კვნეტით, რომ მეტი არა წაგვცდეს რა. მაშ მოვყვეთ ისევ ნამცეცების კრეფას.

***

მარიამობისთვის უკანასკნელს რიცხვებში განკითხვის დღე დაუდგათ ჩვენებურს მოზარდ ყმაწვილებსა. ამბობენ, ათას-ხუთასი მეტი ყმაწვილი იყოო აქაურს სასწავლებლების კარზედ მიყენებულიო და მარტო ორასიოდეს გაელო კარიო, სხვანი კი, რიცხვით ათას-სამასი, გულხელ-დაკრეფილმა მშობლებმა წყევა-კრულვით წაიყვანეს შინო, ვაკანსიების უქონლობის გამოო. თუ ეს მართალია, ეს ამბავი ჭირადაც სამყოფია და ლხინადაც. ნუთუ ყოველ-წლივ ამოდენა უშველებელი რიცხვი მოზარდის ყმაწვილებისა ეგრე უნუგეშოდ უნდა იყოს დარჩენილი! რასაკვირველია, უნდა დარჩეს, რადგანაც აქაურს სასწავლებლებში ტევა აღარ არის. ჩვენ არ ვიცით, მთავრობა ამ საგანზედ რასა ფიქრობს, მაგრამ დიდად საფრთხილო და საფიქრებელი კია. ხუმრობა არის, ამოდენა ხალხს განათლების კარი დახშული ჰქონდეს! უფრო მომეტებული რიცხვი თურმე სამხედრო გიმნაზიას მიაწყდა. ამბობენ, წლევანდელმა ეკზამენებმა აღმოაჩინაო, რომ წელს ყმაწვილების მომზადება უფრო მაღალის ხარისხისა იყოო საზოგადოდ, ვიდრე წინა-წლებშიო, მაგრამ ძალიან ბევრი კი ისევ შინ დაბრუნებულა ხელცარიელი იმავ მიზეზით, რომ ვაკანსია არ იყო. კავკასიის მხედრობისა მიმართ განცხადებაში № 48 მოხსენებულია, რომ სახელმწიფო ხარჯით წელს

უნდა მიღებულიყვნენ ოცნი, დედ-მამის ხარჯით ხუთნი, და ისე შინიდამ მოსიარულედ ცხრა, — სულ ოც-და-თოთხმეტი ყმაწვილი. იმ მიღების სიაში, რომელიც თითონ გიმნაზიაში გამოკიდებული იყო, ეწერა, რომ სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულია წელს ერთი მეექვსე კლასში და თექვსმეტი პირველს კლასში. ამათ რიცხვში აქაურები თორმეტნი არიან და რუსები ხუთნი. თორმეტიდამ მარტო ოთხნი არიან ქართველნი. დედ-მამის ხარჯზედ მარტო ორნი არიან მიღებულნი, ერთი რუსი და ერთი სომეხი. შინიდამ მოსიარულედ ცხრა ყმაწვილია — სულ რუსები. ამ საბით გამოდის, რომ სამხედრო გიმნაზიის პანსიონში ექვსი ვაკანსიაა დარჩომილი, სამი სახელმწიფო ხარჯზედ და სამი დედ-მამის ხარჯზედ, და დანარჩენ 28 ვაკანსიიდამ ცამეტი ჩვენებურებს დაუჭერიათ და ხუთმეტი რუსებს. რასაკვირველია, ეგ ექვსი ვაკანსია წვეთია ამოდენა მწყურველთათვის, მაგრამ მაინც სანატრელია კაცმა იცოდეს, ვისთვის არის შენახული ის ექვსი პანსიონის ვაკანსია, მაშინ როდესაც მრავალმა ყმაწვილმა შესაფერად დაიჰირა ეგზამენია და ამათი დედ-მამა მონატრული იყვნენ, რომ სახელმწიფოდ, თუ საკუთარს ხარჯზედ, შვილები მიეღებინებინათ. არ ვიცით, მართალია თუ არა, და ყველანი კი ერთხმად უჩივიან სამხედრო გიმნაზიის გამგეობას, რომ უსამართლოდ და თნებით იქცევიანო. საკვირველი საქმეა ამ გიმნაზიის ამბავი. როგორც ვიცით, ეგ სამხედრო გიმნაზია ჩვენის თავად-აზნაურობის თხოვნის გამოა დაარსებული. ხელმწიფე იმპერატორმა, როცა უკანასკნელად ჩვენში ბრძანდებოდა, თავად-აზნაურობის თხოვნისა გამო ინება, რომ ტფილისში ეგ გიმნაზია იყოს. დააარსეს გიმნაზია და თავად-აზნაურთაგანი მარტო ოთხი ყმაწვილია წელს მიღებული. რასაკვირველია, ეს მაგალითი არაფერი მოსატანი იქნებოდა, რომ ჩვენი ყმაწვილები საკმაოდ მომზადებულნი არა ყოფილიყვნენ... საქმე ის არის, რომ ეგზამენიაში იმოდენა ცოდნა აღმოუჩენიათ, რამოდენასაც კანონი თურმე თხოულობს, და რა მიზეზია, რომ ვისთვისაც თითქმის დააარსეს გიმნაზია, ისინი ცარიელზედ რჩებიან. აქ შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ აქაო და ტფილისში თქვენი სამხედრო გიმნაზია გაქვთო, რუსეთის გიმნაზიებში თურმე ჩვენებს აღარ იღებენ. ჩვენ თითონ მაგოდენადაც არ მიგვიწევს გული ერთობ სამხედრო გიმნაზიებზედ, და თუ ამ-ჟამად სამდურავსავით რასმე ვამბობთ, მარტო იმისთვის, რომ განიშნოთ, ადამიანის ბედს ხანდისხან რა ხიფათი სდევს ხოლმე. ბევრის მდომელსა ცოტაც დაეკარგებაო, სწორედ ამისთანა ამბავზეა ნათქვამი.

ხომ ხედავ, ჩვენო ქართველობავ, რომ სხვა გზა არ არის შვილი გაზარდო, თუ არ ისევ შენის ღვაწლით და შენის ხარჯით. თვითოეულისათვის ცალკე ეგ ღვაწლი და ხარჯი სამძიმოა. რაც თვითეულისათვის სამძიმოა, ის ერთობას არ გაუჭირდება. შეიყარენით ერთად და ამ სატკივარს ერთი წამალი დასდეთ. უებარი წამალი კიდევ, უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქართული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ — რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოც-

ვით და კურთხევით მოიხსენიოს, ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ, ნურას დაიშურებთ. ნუ შეუშინდებით იმ ფიქრს, რომ გიმნაზიას დიდი გაძღოლა უნდა, ესე იგი დიდი ფული და ხარჯი. თვითოეულმა რომ ცოტ-ცოტა გამოვიღოთ, ყველასაგან ერთად საკმარისი ფული შედგება: ნათქვამია, ზღვაც წვეთით არის შემდგარიო.

ყმაწვილების აღზრდისა და პატრონობის თაობაზედ ამას წინათ დაიპირეს საზოგადოების შედგენა. დამაპირებელთა მოიწვიეს მრავალნი პირნი სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, წარმოსთქვეს წინათვე გაზეპირებული სიტყვები, ორიოდე ორატორმა გამოიჩინა თავი, და საქმე იმით გათავდა, რითაც — შჩედრინისა არ იყოს — ყოველივე საქმე თავდება ხოლმე რუსეთში, ესე იგი ამოირჩიეს კამისია და მიანდეს, არამც თუ მარტო წესდების შედგენა, არამედ ჩვენის სურვილის საგანიც გაესაზღვრეთო. ჩვეულებისამებრ — ჩვეულება ხომ რჯულთ უმტკიცესია, როგორც მოგეხსენებათ, — კამისიის კალთაში ჩაიძინებს ეს საქმე „ღრმა ძილითა“, ასე რომ ზარბაზნითაც რომ მიადგეთ, ბოლოს იქნება ვერც კი გამოაღვიძოთ. თქვენმა ბაზემ, ეგ ეგრეთ-წოდებული „კამისიები“ სწორედ ხსნა არის ყოველგვარის მცონარობისა. ვისაც ეგენი მოუგონია, დიდი შორსმხედველობა ჰქონია და კაცის ბუნების თვისება ზედმიწვენით სცოდნია. ბატონო, მეტი რა გინდათ? ვსთქვათ, მოგვივიდათ ჟინი, რომ ერთი კარგი საქმე რამ დაიწყოთ. ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავ, არ მოგასვენებს. ვსთქვათ, მოგვივიდათ ჟინი-მეთქი. ყველაზედ უწინარეს ერთი კარგი, ნათხოვარის ცეცხლით გახურებული სიტყვა უნდა გაიზეპიროთ, მერე მოიწვიოთ ერთს ადგილს მოკლილი ხალხი — ღმერთმანი, ცოტანი არიან — იმ გახურებულის სიტყვით ყური გამოუჭედოთ და როცა სიტყვა საქმეზედ მივა, — ხომ ოდესმე უნდა მივიდეს — მაშინ... ოხ, მაშინ, თუმცა მელიასავით ხაფანგში მომწყვდეულად ნახავთ საკუთარს თავსა, რადგანაც თქვენ მარტო გახურებულის სიტყვის თქმა გინდოდათ და აქ კი საქმის გაკეთებაც სდომებია, მაგრამ მაინც არა შიშობთ. ხაფანგი — ხაფანგია, მაგრამ ოსტატობასაც ბევრი რამ შეუძლიან. ამ შემთხვევაში-კი არც მეტად დიდი ოსტატობაა საჭირო: ღმერთმა აცხონოს კამისიების მომგონი. ერთი კამისია კი ახსენეთ და თქვენის გახურებულის სიტყვით მობეზრებული და გულ-ასუყებული კრება სიხარულით დაიხვევს ენაზე მაგ კამისიას და აღტაცებით წამოიძახებს, ოღონდ ეხლა შინ დაგვითხოვეთო, სიტყვა ეგ იყოს და საქმე კი კამისიას მიჰანდოთო. ყველას გაუხარდება, რასაკვირველია, ეს ამისთანა უმანკოებით სავსე დასკვნა, ტაშს დაუკრავენ ორატორებსა, მერე ისეთის სისწრაფით გიმოცვივიან გარეთ, თითქოს სახლს ცეცხლი წაეკიდაო, და მადლობას სწირავენ ღმერთს, რომ ამით გადავრჩითო. ჰოი, ყოვლად მბრწყინვალო კამისიავ, რა კარგი რამა ხარ! რამდენს მოუყუდებია შენზედ თავისი ჯოხი, რომ სხვა ღონე არ ჰქონია. რამდენს „გაუბადალავებია“ — გლეხისა არ იყოს — შენის უწყინარი სახელით კეთილი საქმე! ზემოხსენებულს

კრებასაც სწორედ ამისთანა ბოლო ჰქონდა, და სიტყვა საქმედ როდის გარდიქცევა — ეგ ღმერთმა იცის და კამისიამ, რომელიც ძალიან იშვიათად მოახდენს ხოლმე ამისთანა სასწაულსა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეს, როგორც უპატრონო ყმაწვილების აღზრდა და მოვლაა, ამისთანა დასაწყისი ჰქონდა. ამ საქმისათვის რომ მართლა გულით ეზრუნვათ და ბეჯითად ჩაეკიდნათ ხელი, ყოველივე — რაც საქმის ფეხზედ დაყენებისათვის საჭირო იყო, წინათვე უნდა მოემზადებინათ. მაგალითებრ, საგანი ყოველმხრივ უნდა განესაზღვრათ, მისი გულ-ღვიძლი, მისი თირკმლები — უკაცრავად ამ სიტყვებისათვის — უნდა გაესინჯათ ყოვლის მეცადინეობით და გულმოდგინებით, შეედგინათ წესდება, დაერიგებინათ, რომ ვისაც გული შესტკივა ამ საგანზედ, წინაათვე გაგებული და მოსაზრებული ჰქონოდა ყოველივე ის, რაც ამ საქმეს შეეხება, და მაშინ მიეწვიათ ხალხი საჯაროდ ბაასისათვის. მაშინ ყველა, და ყველა თუ არა, ბევრი მაინც, წინათვე აღნიშნავდა თავის როლს კრების წინაშე ამ მართლა-და კეთილის საქმის თაობაზედ. თორემ ისე თამაშად მიწვევა ხალხისა, როგორც ამ შემთხვევაში იყო, ვერაფრად მიმზიდველია მათთვის, ვინც მოცლილი არ არი. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი, რის გამოც აქაური ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი არ დაესწრნენ იმ კრებას. მიზეზი, სწორედ მოგახსენოთ, საბუთიანია და ეს მიზეზი გამოეპარა ჩვენს პატარა გაზეთს „დროებას". რომ არ გამოჰპარვოდა, აღარც დაიმდურებოდა და უკიჟინებდა აქაურ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ, რატომ არ დაესწარითო. საცა თამაშაა ხოლმე — და სად არ არის ეხლა? — რომ კაცი ყველგან დაესწროს, სად წავა? და ან რა საჭიროა?

* * *

აი, რა-რიგად ჭკვიანურად და საქმიანად მოიქცა ერთი ჩვენებური საზოგადოება, რომელიც კარგა ხანია ჩვენში მოქმედობს. ვინ არ იცის, რომ წლევანდელი წელიწადი დიდს მუქარას გვითვლის და ამ მუქარამ ლამის დღესაც ურიცხვი ხალხი სასოწარკვეთილებას მისცეს. წლევანდელი წელიწადისთანა უმოსავლო წელიწადი ხშირი არ არის ხოლმე ჩვენში. რაც მუდმივმა მიზეზებმა დააკლეს წლევანდელ წელიწადსა, ის შეამთავრა შარშანდელმა საქონლის ჭირმა, რომლისა გამო უხნავ-უთესად დარჩა მრავალი ხალხი, წლევანდელმა კალიამ, თაგვმა და ნაცარმა. თითქმის მთელს ჩვენს გუბერნიაში, და გუბერნია რა სათქმელია, თითქმის მთელს ამიერკავკასიაში ამ მუდმივმა და ფათერაკად მოსულმა მიზეზებმა სულ ძირს დასცეს წლევანდელი ჭირნახული მიწისა თუ ვენახისა. ბალახიც კი აღარ არის, რომ საქონელი გამოიკვებოს. ჯერ რა დროა გასული და მაინც კოდმა პურმა ხუთ ბანეთამდე აიწია, ფუთმა თივამ ტფილისში ათ შაურამდე და სამ აბაზამდე, ბზეც კი ადგილობრივ ურემი ეთის თუმანზედ და თორმეტ მანეთზედ სოფლადაც ძლივს იშოვება, — წინა წლებში ორი-

სამი მანეთი რომ ყოფილიყო, ეგეც დიდი საქმე იყო. ერთის სიტყვით, ამისთანა მუქარით ბევრი წელიწადი არ დასდგომია ჩვენს უიმისოდაც უბედურს ქვეყანასა. ეს დასაწყისია და ახლა ნახეთ, შუა და ბოლო რა იქნება, ნამეტნავად საწყალს ხალხისათვის. ეს უბედურება საწყალის ხალხისა წინათ-უგრძვნია ერთს გულშემატკივარს აქაურს რუსულ საზოგადოებას, რომელსაც ჰქვიან: Общество бережливости. და კაცმა მართალი უნდა სთქვას, კარგად და ოსტატურად ჩაუკიდნია ხელი, რომ სატკივარს რაიმე წამალი დასდოს. ერთს იმათგანს პროექტიც ხელ-და-ხელ გამოუცხვია და სადაც ჯერ არს წარუდგენია. რასაკვირველია, ეს ბატონი პროექტორი ჯერ უქებს ამ საზოგადოებას პატიოსანს მოღვაწეობას, ვაჭრობაში გამოცდილებას და გვარწმუნებს, რომ ამ საზოგადოებამ დიდი სარგებლობა მოიტანაო თავისის მოქმედებითაო ამ ცხრა წელიწადშიო. მოდი და ნუ დაიჯერებთ. მაგრამ ისევ-ისე იმათი თავისიანი ვალაპარაკოთ ამ სასაცილო პროექტზედ, თორემ ჩვენ მუხანათობას შეგვწამებენ და ეხლანდელ დროში ეგ დიდად საფრთხილოა. აი, რას ამბობს ამ პროექტზედ ჩვენი ყოველთვის წარბშეკრული რუსული გაზეთი „კავკაზი“. თუ ამ პროექტს ამისთანა გაზეთისათვისაც დაცინების საღერღელი აუშლია, წარმოიდგინეთ, რა წითელი კოპი უნდა იყოს. „პროექტიო, — ამბობს გაზეთი, — ბევრს არას გამოსდგომიაო. იგი თხოულობს მთავრობისაგან, მაგალითად, მარტო ათი-ათას თუმანს სესხად ერთის წლის ვადით უსარგებლოდ. წევრნი საზოგადოებისანი ამ ფულით საკუთარს, განგებ ამისათვის, ფურნეს დასდგმენ, დაიწყებენ პურის ცხობას და გამომცხვარს პურს მიჰყიდიან იმ ფასად, რაც თითონ დაუჯდებათ, არამც თუ მარტო საზოგადოების წევრთა, არამედ სხვასაც, ვინც კი მოინდომებს, რომ მათგან პური იყიდოს. პური რომ უფრო გემრიელი იყოს, დაიბარებენ მოსკოვიდან ფილიპოვისაგან *) ერთს ანუ ორს კარგად გამოცდილს ხაბაზსა. რადგანაც ეს პროექტი საჯარო განხილვისათვის გამოცხადებულია, ჩვენც ვბედავთ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ ამ საზოგადოებას მის პროექტის თაობაზედ. ყველამ კარგად იცის, რომ Общество бережливости — ეგ პატიოსანი და გამოცდილი საზოგადოება, რომელსაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ასეთი დიდი სარგებლობა მოჰქონდა (ნეტავ ვისთვის?), — თავის საქონელსა ჰყიდდა ყოველთვის იმ ფასად, როგორც სხვა ტფილისის დუქნებში იყიდებოდა და ხანდისხან უფრო მეტადაც. თუ ეს საზოგადოება თავის გამოცდილ პატიოსნების გზას დაადგება, რასაკვირველია, სახელმწიფო ფულით ნასყიდ პურის გასყიდვაშიაც იმ ფასს დასდებს, რა ფასიც სხვა დუქნებში იქნება და იტყვის, ეს დამიჯდაო. ამით მითამ რა უნდა ეშველოს ღარიბ ხალხსა? მოდით და უთხარით ამ-გვარად მოარულს პატიოსნებასა, რომ მაგ ფასად არ დაგჯდომია-თქო. ან ვინ უნდა მოსთხოვოს ანგარიში გამოცდილ ვაჭრების საქმეში მოჭირნახულეებს? ისე გარეშე მუშტარს ხომ არ

*) გამოჩენილი პურის-მცხობელია მოსკოვში.

მიუშვებენ, და მთავრობის მხრით ამისათვის კამისიის დაწესებას ხარჯი უნდა და ეს ხარჯი გასასყიდს პურს უნდა დააწვეს და ამით უფრო ფასი მოემატოს. მერმე, ღარიბს ხალხს განა ოდესმე სურვილი გამოუცხადებიათ, რომ არა, გინდათ თუ არა, უსათუოდ ფილიპოვის, ანუ მისის ვექილის გამომცხვარი პური უნდა მაჭამოთო. ამას გარდა ვინ არ იცის, რომ ტფილისში პურის მცხობი ბევრია. სხვა რამა სთქვით, თორემ პურის-მცხობლების ნაკლებობაზედ ტფილისი ვერ იჩივლებს. მაშასადამე, ხარჯი ფილიპოვის პურის-მცხობლების მოწვევისათვის სრულებით უსაბუთო და მეტი იქნება". — კიდევ სხვა რასმე უწუნებს გაზეთი იმ პროექტს, მაგრამ ჩვენთვის ეგეც სამყოფია.

ვაი ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინარობაც კი შეგვწამეს და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდან უნდა დავიბაროთ ხოლმე. ქვეყნის გაბიაბრუება და დაბრიყვება იქნება და ასეთი!.. მოდი და ამისთანა ხალხს დაუჯერე, რომ ვაჭრობაში ან სხვა რამეში გამოცდილნი არიან. ცხრა წელიწადი საზოგადოება მოქმედობდეს ტფილისში და არ იცოდეს, რომ აქ პურის-მცხობლები არიან, და ხშირად ძალიან კარგნიცა, ამაზედ საბაცილო აბაკი სხვა რამ გინდათ კიდევ. მოდი და ამისთანა ქვეყნის ზედმიწევნით მცოდნეთაგან -- თუ არ დაგიშლიათ — სიკეთე და სარგებლობა მოითხოვეთ. მოდი და ამათ ეშხზედ ელაპარაკეთ! მოსკოვიდან ხაბაზები დავიბაროთო? ჰკუას როცა ურიგებდნენ, ნეტა ამათ სად მოგვიანებიათ, რომ ვერ მოუსწრიათ. თუ მკითხავთ, ჰკვაზედაც თხლად არა ბრძანებულან. ათი-ათასი თუმანი — კაი ლუკმაა. პირში გემო კი ჰქონიათ, თუ თქვენც იტყვით, მკითხველო! ის ხაბაზის დაბარება იქნება ამ ათი-ათასის თუმნის ეშხით წასცდათ როგორმე. ან იქნება წამომცდარი სიტყვაც არ იყოს. იქნება ცივილიზაციის გასავრცელებლად ამ მხეცს ქვეყანაში მოსკოვის ხაბაზებიც საჭირო იყოს. ახლა იქნება ისა სთქვათ, რომ მოსკოვშიც დიდი წყურვილია ცივილიზაციისა და, თუ ხაბაზები ამაში გამოსადეგნი არიანო, იქაც მოუნდებათო. თქვენგან არ მიკვირს, მაგას როგორ ბრძანებთ. აბა რომელი წინასწარმეტყველი გამომდგარა თავის ქვეყანაში. რო გეთქვათ, ხაბაზები ცივილიზაციისათვის რა პიონერები არიანო, კიდევ ჰო. მაგრამ აქაც დიდი საბუთი არ მიგიძღვით წინ.

ხომ გახსოვთ, რომ შარშან ჩვენს ხალხს ცხენები დაურიგეს საჩუქრად. ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. ჩვენ ამ მხრით იმ ცხენების ჩუქების თაობაზედ არა გვეთქმის რა, თუმცა აშკარაა, რომ ის ცხენები ფულად ექციათ და გუბერნიისათვის ერთი საერთო კასსა გაეჩინათ გაჭირვებულთათვის ხელის გასამართავად, ან სხვა რაიმე საერთო საქმისათვის მოეხმარათ, მაგალითებრ — სოფლის ბანკებისათვის, სოფლის შკოლებისათვის, თუნდ გზების და ხიდების გასაკეთებლად, ერთი ათასად უკეთესი იქნებოდა. როგორც გვახსოვს, თითო ცხენი რომ სამ-სამ თუმნად მაინც ჩაგეგდოთ, კარგა დიდი ფული შედგებოდა. მაგრამ ცხენების ფულად ქცევა

უარ-ჰყვეს და ისევ ცხენების ცხენებად დარიგება ირჩიეს. იცით — რა საბუთიანი მიზეზი ჰქონდათ, რომ ასე ჰქნეს, და იქიდამ, საიდამაც კაი ზომიერი სარგებლობა შესაძლო იყო, არა გამოვიდა რა? მიზეზი ის იყო, რომ მაგ ცხენებს ერთი მძიმე ტვირთი ზურგთ აჰკიდეს: ცხენებით უნდა ჩვენში ცივილიზაცია ფეხზედ წარმომდგარიყო; ყველას იმედი ჰქონდა, რომ თუ გლეხკაცობა იმ ცხენების მიზეზით ეკიპაჟებს არ გაიმართავდა, ფურგონებს, პოვოზკებს და სხვა ამისთანა ცივილიზაციისაგან მოგონილს სატარებელთ წინ რაღა დაუდგებაო. დიახ, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ცხენების მეოხებით ის ტლანქი, ბრიყვული, ჩვენებური ჭრიჭინა ურემი უკან დადგება და გზას დაუთმობს ფურგონს და პოვოზკასა. თქმა არ უნდა, რომ ბევრგან იმ ცხენებმა — კარგია, პირუტყვები არიან, თორემ შენი მტერი — გლეხამდი არ მიაღწიეს და არც ფურგონები და პოვოზკები დაიმართა. ამ-გვარად, ამ ოთხ-ფეხმა ცივილიზაციის მოწინავე ჯარმა ჩვენში ვერ გასჭრა და ცხენმაც, ადამიანზედ უფრო მხნემ, უფრო ღონიერმა ცხენმაც კი ვერა გააწყო რა ჩვენში. თუნდ ეგეც არ იყოს, თუ ოთხი ორზედ უმჯობესია — რასაკვირველია როზგისა და სხვა ამ-გვარის გარდა — მაშ ცხენები ადამიანზედ ამით მაინც წინ არიან. ერთის სიტყვით, ამისთანა ძლიერმა ცხოველმაც, როგორც ცხენია, ცივილიზაციას ჩვენში ფეხი ვერ აადგმევინა. ეს, რასაკვირველია, ჩვენის ხალხის მეტად ტანში გამჯდარს სიბრიყვეს უნდა მიაწეროს კაცმა და სხვა არაფერს და, მგონი ცხენების დამრიგებელმა სწორედ ამ უჯათს სიბრიყვეს დააბრალეს ყოვლიფერი და არა იმას, რომ ცხენები ვერაფერი პიონერები არიან ცივილიზაციისა.

თუ ცხენს ამისთანა იმედს ჰკიდებენ ჩვენში ზურგზედ, მაშ რაღად უნდა გვიკვირდეს, მაშ რაღად უნდა გვეოცოს, რომ ვიღაც ბატონმა ლებედიევმა — ზემოხსენებულ პროექტის შემადგენელმა — ხაბაზების დაბარება მოსკოვიდამ დააპირა. ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია, ჯერ ხომ ცხენები სინჯეს, და ნახეს, — რომ ჩვენი სიბრიყვე ვერ მოტეხეს, ეხლა კიდევ მოსკოვის ხაბაზებს გამოსცდიან, იქნება ამით მაინც ეშველოს ჩვენში ცივილიზაციის გავრცელებას. უსათუოდ ბატონს ლებედიევს ეს აზრი ჰქონია, რომ დაუპირებია მოსკოვის ხაბაზებით დაამშვენოს ჩვენი ქვეყანა, თორემ როგორ გაუბედავდა სთხოვოს მთავრობას ათი-ათასი თუმანი, ხუმრობა ფულია! ხუმრობა ფული არ არის, მაგრამ განა ცივილიზაცია კი ხუმრობა რამ არის! ბატონმა ლებედიევმა უსათუოდ ზედმიწევნით იცის, რომ ცივილიზაციის დასამყარებლად არა ხარჯი მეტი არ არის, რაც უნდა ფული დაიხარჯოს — ბევრი არ იქნება. თუ არ დაგიშლიათ, ღმერთსა ვსთხოვოთ, რომ მთავრობამ ის ათი-ათასი თუმანი მისცეს Общество бережливость-ს და Общество бережливость-მა კიდევ ბატონ ლებედიევის თაოსნობით ხაბაზები მოსკოვიდამ დაიბაროს და მოჰფინოს ჩვენს ქვეყანასა. დღე ნათელი მაშინ მაინც დაუდგება ამ ჩვენს უბედურს ქვეყანასა. ცუდი არ იქნება, რომ ჩვენმა ბანკებმაც ფული მიაშველონ ბატონს ლებედიევს,

რომ კალიასავით მოუსიოს ჩვენს ქვეყანას მოსკოვის ხაბაზები. რაკი ცივილიზაციის საქმე ცხენებზედ და ხაბახებზედ მივარდნილა. ეხლა ფიქრი ნურავისა გვაქვს. ბედი ჩვენი ცხადია, როგორც ხელის-გული. მაგრამ ვაი თუ ხაბაზები მოსკოვისა გაგვინაზღდნენ და არ წამოვიდნენ! ნუ გეშინიანთ, პირში გემო ხომ არ დაჰკარგვიათ, რომ ეგა ჰქმნან. ვაი ჩვენი ბრალი! დაბრიყვება ქვეყნისა იქნება და ასეთი!..

1879 წ.

ტ. VI, გვ. 69 — 86.

ვისს ნათესსა ვმკით?

(მიმოხილვა 1879 წლისა)

აი მოსწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუყლაპავს და მოუნელებია. წავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხველო: ძველის წასვლა, თუ ახალის მოსვლა? ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდლისა და დედაა ხვალისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია.

სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი აი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დავგოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვქონია ან წარსულს ნაღვლით გამოვსალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივგებებოდეთ. ამოდენა წელიწადებს გაუვლია-მეთქი და მათგანი ერთი იმისთანა არ შეგვხვედრია, რომ ნუგეშით გაგვეჩერებიოს მასზედ თვალი და მადლიერის გულით გვეთქვას: „იყავ და განგრძელდიო“. ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯელ მივგებებივართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა, წასულა ახალი და ფუჭად ჩაუტარებია „იგი ნატვრა, იგი იმედი“.

ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარეობა ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასათვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიაო, არ წინ მიდის, არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მოგვიყვანა, რომ ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავლის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენა ტყუილმა ლოდინმა დაგვლია და, აი, ამ-ჟამად, როცა დროთა ბრუნვამ ძველისა და ახალის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდამაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, — ჩვენ გული არ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ, და არც მისთვის, რომ მომავალს შევხაროდეთ.

თუმცა ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა, ბევრმა უნაყოფოდ ჩავლილმა და მოვლენილმა წელიწადმა, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს

ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუჭიროს, არ უნდა ეპატიოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაცა სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო რომ ღონე ერთობაშია ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე — ქონებითი თუ გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის. ჩვენ ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, არამედ ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რამ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა.

შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული სკოლა, სადაც სწავლა დედა-ენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-და-თორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს, ბინაცა აქვთ აჩენილი. შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს სკოლებში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარმოოს. თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო აქ „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. ამით ჩვენ იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტის-მეტმა სიწყნარემ ობი მოჰკიდოს იმ დედაბრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. — ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა — ჯერ-ხანად მაინც — მეტის-მეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.

ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეგ სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი

და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგვითვლით ამ უკანასკნელს ოცხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდთ დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია. ეს წელი შესანიშნავია, როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველ ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.

რამ გაშოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? აწის აღსახსნელად პატარა წორიდამ დაეიწყებთ ლაპარაკსა, უფრო იმისათვისა, რომ თუ თვალით არა, სუნით მაინც ავიღოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.

ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე, იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავვაჭირვა, — ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ველარ აქნევინეს. ეგ შეერთების ყოვლად-მხსნელი სურვილი თუმცა ველარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანიღა შეგვრჩნენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერ-ქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისის ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემცნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად-მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებ-

და და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მომდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტად-ღა ბუნებავდა ზოგიერთა გაცალკევებულს გულში, როცა მოვდაბნეზედ გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ დაფუყებულს გულში და აჰა ლამის ნაყოფიც გამოიღოს. ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილ-კაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამხობლად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილ-კაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენის ქვეყნის წინაშე ვერავინ ვერ ჩამოართმევს. ყმაწვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც, რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილ-კაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილ-კაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

გეტყვით, სამკალი ჯერ მაგოდენა არა არის რაო, რომ ეგრე თავმოწონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდომოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ-გვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა. მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც ჩვენის საკუთარის თაოსნობით და ღვაწლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო გულის-ტკივილით შემზადებული.

ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულის-ტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი,—ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად.

1879 წ.

ტ. VI, გვ. 89—94.

1881 V.

შინაურ მიმოხილვის მაგიერი

1881 წელი, იანვარი.

ეს—შარშან ახალი, და წელს ძველი წელიწადიც—ჩაჰბარდა პატრონს. რა იმედებით ვიყავით აღვსილნი, როცა ამ ძველმა წელიწადმა შემოგვაჭყიტა თვალები თავის აკვნიდამა! მაშინ განათლების მოთავედ ახლად დანიშნული იყო ბ-ნი იანოვსკი[10] და სამღვდელოების წინამძღვრად ყოვლად-უსამღვდელოესი იოანნიკე. რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებენით ამ დანიშვნასა ჩვენ „ტვირთ-მძიმენი და დამაშვრალნი“ მადლობა ღმერთსაო, ვიძახოდით გულში.

გვეგონა, რომ ბ-ნის ნეველროვის[11] და ნეტარხსენებულ ექსარხოსის ევსევის სისტემები დაწუნებულ იქმნენ უმაღლეს მთავრობისგანაო და ახალის სისტემისათვის ახალნი კაცნი მოიწვიესო. გვეგონა და გვიხაროდა, გვიხაროდა და გვეგონა! პირველ ხანებში ჩვენს ადრეულ სიხარულს თითქო საბუთებიც მოეცა. ბოლოს კი,—ვაი შენს მტერს!—ისევ შეჩვეული ჭირი გვანავტრინეს. გამოვიდა, რომ სისტემა იკივეა და მარტო ხერხია სხვა...

დიახ, ბატონებო! იმ ტკბილმა იმედებმა ჩაილულის წყალი დალიეს. ღმერთო გვიხსენ!..

რისაგან გიხსნასო, მკითხავთ თქვენ. იმისაგან რომ... ერიჰა, კინაღამ ღმერთი არ გამიწყრა და არ წამოვიყრანტალე პასუხი! სულ გადამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სთქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“, და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა“.

ამ საგანზედ ლექსის ათასნაირად გამშვენიერების ნება აქვს თურმე ყოველს ქვეშევრდომს, ყოველს კეთილად განწყობილს ქვეყანაში და არავის არ ძალუძს აუკრძალოს. მაგალითებრ, შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: „მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხია-მეთქი“ და პატარას ნება აქვს მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა“; და ამბობენ,—რომ ამის თქმას არავინ დაუშლისო.

ღმერთი რჯული, ტყუილად ვემდურებით ცენზურასა... აი, ბატონებო, ყირიმში რაღაც ფილოქსერა გაჩენილა, ერთი თვალად უჩინარი პაწაწა მწერი. გარწმუნებთ, რომ ცენზურა ყოველთვის ნებას მოგცემთ იმათზედ

თამამადა სწეროთ. იმათში თურმე არც ჩინებია, არც მუნდირები, მაშასადამე, იმათში უფლება არავის არ ექნება იწყინოს რამე. აზრი თურმე მათ არა აქვთ და ფიქრი, მაშასადამე, არც მიზეზი გექნებათ ჩაებათ რაღაც იდეების უქმსა და მოუსვენარს ტრიალში.

ან რა საკადრისია დარბაისელ კაცისათვის იდეების ბარდებში გაბმა და ტრიალი! სხვა რომ არა იყოს-რა, იდეა ფრიად მაწყინარია კაცის აგებულებისათვის. ბატონო, რაკი კაცს მიეკვევიან ის რაღაც იდეებია, ზაფხულის ბუზსავით ჩამოეკიდებიან და მოსვენებას არ აძლევენ. ამას კიდევ ზედ მოსდევს კუჭის მოწლა, სტომაქი საჭმელს ვეღარ ინელებს და გულის ფრიალიც იცის. საღი კაცი ტყუილ-უბრალოდ სნეულდება. კეთილად განწყობილ ქვეყანაში განა ყველანი არ უნდა ცდილობდნენ, რომ სნეულების მიზეზნი წინასწარვე მოსპობილ იქმნას? მაშ ის ერთი მეცნიერება, რომელსაც ჰიგიენას ეძახიან, უქმი სიტყვაა? წყლის ნაყვაა? მაშ ტყუილ-უბრალოდ დაშვრა იმოდენა ჭკუიანი ხალხი მაგ მეცნიერების აგებისათვის?..

თუნდ ეგეც იქით იყოს, ახლა ერთი ეს ვიკითხოთ: იდეები რომ არ იყოს, განა ქვეყანაზე ცხოვრება არ შეიძლება? მაშ ამოდენა პირუტყვი როგორა სცხოვრებს? უფრო ჩვენზედ საღნი არიან, ჩვენზედ ჯანმრთელნი, ჩვენზედ ღონიერნი და დღეგრძელნი. აბა კალია რა არის? ერთი უბრალო მწერი, ერთი რომ შევუბეროთ—ცხრა მთას იქით გადავარდება, მაგრამ შარშან მთელი ქვეყანა ფეხზედ დადგა, შეეჯიდა და ძლივსა სძლია. ერთის მხრით იდეების მექონი ადამიანები ვიყავით და მეორეს მხრით უიდეო პაწაწა კალია და კინაღამ გვაჯობა. ეს ცხადი მაგალითი არ არის განა, რომ საცა ეგ მოუსვენარი იდეა არ არის, იქ ღონეა და ძლიერება. მაშ რათ ვიუძლურებთ თავს იდეების ტარებითა? ეგ იციან ქვეყნის მკურნალთა და ამიტომაც თვალ-გაფაციცებით აქეთ-იქით იყურებიან, არსაიდამ შემოგვეპაროსო და ღონიერი უღონოდ არ გახადოსო.

თქვენ რაც გინდათ ბრძანეთ და ჩვენ კი ამ აზრისანი ვართ,—ქვეყნის ჯანმრთელობისათვის, გაძლიერებისათვის, ქვეყანაში მოარული იდეები სულ დედა-ბუდიანად უნდა ამოჰხოცოს კაცმა და წყალს მისცეს. ეს წვრილ-ფეხობაა რაღაცა, დაუჟინია და ჰყვირის: იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფიო. სტყუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და იმის ჯანი!.. ამისი მაგალითი თითონ ეს წერილი გახლავთ.

1881 წ.

ტ. VI, გვ. 99—101.

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, თებერვალი

ახლად გამართული ბაასი სკოლების თაობაზედ.—ბბ. იანოვსკისა და სემიონოვის აზრის განხორციელება. — მეტიჩრები ქართველობაში. — „კავკაზის“ გალაშქრება საზოგადოებისაკენ.—ბ. წინამძღვრიშვილის სკოლის პროექტი და მისი ნაკლულევანება.—ქართული დრამატიული საზოგადოება.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ჩვენის მიმოხილვის დასაწყისში ისეთი აზრები უნდა წარმოვსთქვათ, რომელნიც სხვა ქვეყნებში დაურღვეველ ჭეშმარიტებად გადაქცეულან და ვინც-კი მათ განიმეორებს, იქნება სასაცილოდაც აიგდონ და ამერიკის მეორედ მპოვნელი დაუძახონ.

ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სან წელიწადში არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავბედი ისე აერევა, რომ იმასაც-კი დაივიწყებს, რისაც გაეცნობა ერთს დედა-ენის შეწყობით მოასწრო.

დიდ. დროსა გვჭირდება ამ დაურღვეველის ჭეშმარიტების გამეორება, თუცა ჩვენ ეგრე ვიცით და ვიცით, რომ ყოველი შეგნებული კაცი სასაცილოდ აგდებს ასე საქვეყნოდ ყვირილისათვის, ორჯერ ორი ოთხიაო. მაგრამ რა გაეწყობა! ქართველობში კიდევ ბევრი ყოფილა იმისთანა, რომელთაც ჯერ არ გაუგიათ თავში ეს ჭეშმარიტება, თუმცა კი ჩვენი ლიტერატურა თითქმის თავის დაბადებით დღიდამვე ამ ჭეშმარიტებას ჰქადაგებს.

წარსულის წლის დღეს, რაზედ ჩამოვაგდეთ ეს ლაპარაკი. ამ უკანასკნელს ხანს დიდი ამბავი მოახდინა ჩვენი სწავლა-განათლების მზრუნველის*) წერილმა, რომელიც იმ გაზეთს „კავკაზ“-ში იყო დაბეჭდილი. ეს წერილი ღირსშესანიშნავია იმითი, რომ ბ. მზრუნველი საქებურის გულახდილობით წინ გვიშლის თავის პროგრამას[12]...

შეიძლება ამ პროგრამის ერთი ნაწილი ეს არის, რომ ბ. მზრუნველი არ დაენდო მარტო თავისთავს ასე დიდ საქმეში, საქვეყნოდ გამოაცხადა თავის პროგრამა, თითქო ინებებდა საზოგადოებას მის გასარჩევად და პირადაც ბევრს წარჩინებულ ქართველებთან ჰქონია ამ საგანზედ ლაპარაკი. სამწუხარო ეს არის,

*) იანოვსკი. რედ.

რომ ეს წარჩინებულნი პირნი ყოფილან წარჩინებულნი მხოლოდ ადგილით. იქნება მათ გულიცა სტკივოდათ ჩვენის ხალხისათვის, იცოდნენ როგორ საჭიროებს იგი რუსულ ენას, მაგრამ არ ესმოდათ, რა საშუალებით შეიძლება აღსრულდეს ეს სურვილი და სრულებით უბოროტოდ, კეთილის განზრახვით წარმოსთქვეს, ჩვენს ხალხს რუსული ენა ეჭირვება და კარგი იქნება, ქართულთან ერთად ასწავლოთო. წარჩინებულ პირებზედ რომ ვლაპარაკობთ, იმედი გვაქვს, ამას თავის-თავზედ არ მიიღებენ არც ბ. სენაკის მაზრის უფროსი ბებურიშვილი, არც ბ. ივ. ბერიძე, სენაკის მომრიგებელი მოსამართლე, არც „დეპუტანტი“ ლუკა ჟვანია, რომელნიც ამტკიცებენ „კავკაზ“-ში, რომ სამეგრელოს ხალხი თხოულობს, რაწამს სკოლაში შეგვყავს შვილები,—კინაღამ წამოგვცდა: რაწამს დაიბადებიან—მაშინვე რუსული ლაპარაკი დააწყებინეთო. წარჩინებულობას არც სენაკის სკოლის ზედამხედველი ბ. ლოსაბერიძე იკისრებს, რომელმაც ისე ცხადად ბ. მზრუნველს, გამართლების მაგივრად, ცილი დასწამა, როდესაც სწერდა: ასე მითხრა, რატომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულს ენაზედ არ ასწავლითო. რა საფიქრებელია, რომ ბ. მზრუნველმა, რომლის კალთაშიაც მთელის კავკასიის სწავლა-განათლების საქმეა გამოხვეული, არ იცოდეს, რომ მეგრულს ენაზედ წერა-კითხვა შეუძლებელია მეგრულის ანბანის უქონლობის გამო! რუსული ანდაზაა: მეტის-მეტი მოლაქუცე მტერზედ უარესიაო.

ბ. მზრუნველი ისე მოიქცა, როგორც საზოგადო საქმეების გამგე კაცს შეჰფერის. მან გამოაცხადა თავისი პროგრამა, შეიტყო უმაღლეს ქართველ საზოგადოების აზრი და შემდეგ სიტყვა საქმედ აქცია. ეხლა იმის პროგრამის ყოველს სკოლაში შემოღებას აპირებენ. ამიტომ მოკლედ განვიმეორებთ მას და გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

ბავშის სკოლაში შესვლის შემდეგ პირველ ნახევარ-წელიწადს სწავლა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზედ. მეორე ნახევარ წელიწადსაც დედა-ენაზედ უნდა იყოს სწავლა, მხოლოდ რუსულის ენის გასაადვილებლად ყოველდღე ნახევარ საათისა, ან ორმოც-და-თხუთმეტის მინუტის განმავლობაში, მასწავლებელმა უნდა შეაჩვიოს ბავშები რუსულის სიტყვებისა, ფრაზებისა და პატარა სტატიების გამეორებას, რომელნიც ჯერ ქართულად უნდა ითქმოდნენ და მერე რუსულად. ამ საშუალებით ბავშები „გონივრულად“ დაიხსომებენ სხვადასხვა რუსულს სიტყვებსა და ფრაზებს.

მეორე წელიწადს იმ შეგირდებმა, რომელთაც შეისწავლეს წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა დაიწყონ წერა და კითხვა რუსულადაც, მაგრამ რასაც რუსულად სწავლობენ, უსათუოდ უნდა დედა-ენის შემწეობით ახსნილი იყოს. ამ მეორე წელიწადს დღეში სამი გასაკვეთი დედა-ენისა უნდა იყოს და ერთი რუსულისა.

მესამე წელიწადსაც გასაკვეთების რიცხვი იგივე უნდა დარჩეს და იმავე რიგად, როგორც მეორე წელიწადს იყო. რუსულად წაკითხული სტატიები უნდა აეხსნათ დედა-ენაზედაც და დედა-ენაზედ წაკითხული, შეძლებისაგვარად,—რუსულადაც.

ბ. მზრუნველის აზრით ეს პროგრამა ისე გაუადვილებს ბავშებს რუსული სწავლას, რომ სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ შეეძლებათ საშუალო სასწავლებლების პირველს კლასში შესვლა და ეს ფრიად სასარგებლო იქნებაო, მეტადრე იმ თავად-აზნაურთათვის, რომელნიც თავიანთ შვილებს სასოფლო სკოლებში სწავლას არ აჯერებენ და გიმნაზიებში, ან პროგიმნაზიებში მიცემას უპირებენო.

ეს პროგრამა ჩინებულს საფუძველზედ არის დადგენილი და თუ ნაკლულევანება აქვს რამე, ეს ნაკლულევანება ბ. მზრუნველის მრჩეველებს უნდა დაბრალდეს, რომელთაც სკოლის საქმე არ ესმით და ამ საგანზედ-კი ბევრსა ლაპარაკობენ და არა თვით ბ. მზრუნველს, რომლის განჭრახვა წმინდა და პატიოსანი უნდა იყოს, მაგრამ მისი აღსრულება-კი იმ საშუალებით, რა საშუალებაც ბ. მზრუნველს მოუნახავს, ყოვლად შეუძლებელია.

ყოვლად შეუძლებელია ექვს თვეში შვიდისა და რვის წლის ბავშმა ისე გაიცნოს თავისი დედა-ენა, რომ ამ ვადის შემდეგ შეიძლებოდეს უცხო ენის სწავლების შემოღებაც. ვისაც კი ბავშისათვის წერა-კითხვა უსწავლებია, არ გამოეპარებოდა ის ჭეშმარიტება, რომ დიდმა ხანმა უნდა გაიაროს, ვიდრე ბავში ასოების სახეს დააკვირდებოდეს და მეტადრე, ვიდრე ამ ასოების ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათგან სიტყვის შედგენას მიხვდებოდეს; და როდესაც უსუსურს შვიდი-რვა წლის ბავშს ჯერ ასოები რიგიანად ვერ გაუგია, ვერ გაუგია რა მნიშვნელობა აქვს მათს ერთმანეთთან კავშირს, როდესაც მთელი მისი გულისყური და გონების ძალა ამ საგანზედ უნდა იყოს მიმართული, — ახალი პროგრამა იმის ნორჩს გონებას, უიმისოდაც დატვირთულს, ახალს ბარგსა ჰკიდებს, ვალადა სდებს, რომ თუთიყუშსავით იზეპიროს რუსული სიტყვები და თუთიყუშსავითვე შეადგინოს მათგან სხვადასხვა აზრები რუსულს ენაზედვე. ახალ პროგრამის შემადგენელი გონივრულადა სჯის, როდესაც ის ამბობს, რუსულს სიტყვებს და რუსულად აზრების გამოთქმას ბავში უნდა დედა-ენის შემწეობით შეეჩვიოსო, მაგრამ ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, ეს სიტყვები და ფრაზები თუთიყუშსავით იქნებიან გაზეპირებულნი და არა ცნობიერად მიხვედრილნი. როგორ უნდა შეადგინოს ბავშმა ხუთისა და ექვსი თვის სწავლების შემდეგ სხვადასხვა ფრაზები უცხო ენაზედ, როდესაც თავის ღვიძლს ენაზედაც კი უჭირდება ორის სიტყვის ერთად გადაბმა და მათ შემწეობით თავის აზრის წარმოთქმა!

მეორე წელიწადსაო, ამბობს ახალი პროგრამა, როცა შეგირდებს შესწავლილი ექნებათ წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა რუსულის ენის წერა და კითხვაც დაიწყონო. რა კარგი იქნება, რომ საქმე ყოველთვის ისე ჩქარა და კარგად მიდიოდეს, როგორც ზოგიერთს პროგრამებშია გამოცხადებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრის პროგრამის ასრულებას უშლის მასწავლებლების უხეირობა და არის იმისთანა პროგრამებიც, რომელთ შესრულებას თვით პესტალოცცისა და დისტერვეგისთანა მასწავლებელნიც ვერ შეიძლებდნენ...

თუმცა ქართულად წერა-კითხვის სწავლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ენაზეც, მაგრამ ქართულადაც-კი შეუძლებელია ბავში ისე გაიწვრთნას ერთის წლის განმავლობაში, ისე ისწავლოს წერა-კითხვა დედა-ენაზე, რომ უცხო ენის შემოღებამ მეორე წელიწადს სრულიად თავბედი არ დააკარგვინოს. ჯერ ერთის ენაზედ ბავშს ჩათვლით კითხვა არ ეცოდინება და ახალის პროგრამის ძალით კი მეორე ანბანის სწავლას უნდა მოჰყვეს...

ახალის პროგრამის დამცველნი ბრძანებენ, ხალხი თხოულობს, რომ რუსული ენა ასწავლონო და ჩვენც ხალხის სურვილი უნდა ავასრულოთო.

ჩვენც ვიცით, რომ რუსულის სწავლა უნდა ხალხსა და ხალხის სურვილის ასრულება დიდად საქებურია, მაგრამ ამ საშუალებით, რა საშუალებასაც ახალი პროგრამა გვიქადაგებს, ეს შეუძლებელია.

გამართეთ იმისთანა სასოფლო სასწავლებლები, სადაც სწავლა ექვს წელიწადსა გრძელდებოდეს და იქ ასწავლეთ თქვენის პროგრამის შესაფერად, მხოლოდ სადაც თქვენს პროგრამაში ნახევარი წელიწადია მოხსენებული, იქ ორი წელიწადი მაინც მოახმარეთ. ორს წელიწადს კარგის მასწავლებლის ხელში ისე შეისწავლიან ბავშები თავის დედა-ენას, რომ გაუჭირებლად შეეძლებათ რუსულის დაწყებაც და ოთხის წლის განმავლობაში ამ ენას იმდენად შეისწავლიან, რომ ცხოვრებაში გამოადგეთ.

თორემ ამ ახალის საშუალებით მართლაც-და ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს ბავში, რომ რუსული ენა ცოტათიც არის შეისწავლოს. ჩვენს სასოფლო სკოლებში ბავშები იმდენს ხანს არა რჩებიან, რომ მართლა შემდეგისათვის დიდად გამოსადეგი სწავლა შეიძინონ; სოფლის მასწავლებელთ უფრო ბავშის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ, უნდა შეძლებისამებრ გაუღვიძონ გულში ის კაცობრიული გრძნობა, ურომლოდაც ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გამოიყურება, ვიდრე ადამიანად. როგორ მოსთხოვთ თქვენ ამას მასწავლებელს, რომელსაც ვალადა სდებთ სამს წელიწადში ასწავლოს ბავშებს ქართული წერა-კითხვა, ანგარიში, საღმრთო წერილი, რუსული წერა-კითხვა, ისე რომ წაკითხულის გაგებაც შეეძლოს და ნაამბობის დაწერაც! შვიდისა და რვა წლის ბავშის გონება მართლა უჯრედიანი ყუთი ხომ არ არის, რომელშიაც ყოველივე ცოდნის უჯრა-უჯრა მოთავსება შეიძლებოდეს...

მაშასადამე, უნდა გამართოთ ექვს-კლასიანი სასოფლო სასწავლებლები სოფლებში და ასწავლოთ რუსული მესამე კლასიდამ და საცა კი ვერ შეიძლებთ ამ-გვარის სასწავლებლების გამართვას, ასწავლოთ მხოლოდ დედა-ენა, მხოლოდ დედა-ენისვე შემწეობით.

ჩვენ, რასაკვირველია, შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენი სისტემა მივაღებინოთ სადმე ასე უეცრად, ჩვენ მხოლოდ ვაცხადებთ ჩვენს აზრსა და ჩვენს მტკიცე რწმენას; სხვებს შეუძლიანთ თავიანთი პროგრამა დღეიდამვე აღსრულებაში მოიყვანონ, მაგრამ სრულიად გულდაჯერებული ვართ, თითონ საქმე დაარწმენს ჩვენში სწავლა-განათლების გამგეთ, რომ ახალ პრო-

გრამის შესრულებას ერთი უმთავრესი ძალა აკლია, და ეს ძალა არის დრო.

გამოცდილებამდე კი ჩვენც მოთმენით ვიქნებით. მოვიცდით, ვიდრე თვით მაგალითი არ დაამტკიცებს ჩვენის აზრის სიმართლეს. მართალია, ძნელია მთელის შთამომავლობის მრუდე გზაზედ დაყენება, მაგრამ რა გაეწყობა, რომ სხვა უფრო მარჯვე ღონე საქმის გასწორებისა ხელთ არა გვაქვს.

ჯერ-ჯერობით ჩვენის აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთს მაგალითს დავასახელებთ: ტფილისის გუბერნიაში თითონ სახალხო სკოლების დირექტორის[13] სიტყვით საუკეთესო სკოლად საგარეჯოს სკოლა ითვლება. ამ სკოლაში ბავშები ოთხს წელიწადსა სწავლობენ. მეოთხე განყოფილებაში გადასულმა ბავშებმა, ახალის პროგრამის აზრით, უნდა იცოდნენ რუსული წერა-კითხვა და უნდა ესმოდეთ, რასაცა ჰკითხულობენ. ამ მეოთხე განყოფილებაში ამ ბოლოს დროს მასწავლებლად იყო დანიშნული რუსი ბ. ჩუმაკოვი, განგებ რუსეთიდამ დაბარებული, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იმან ღარი სთქვა მასწავლებლობაზედ, რადგან ვერცარაფერს ბავშებს აგებინებდა, არცარაფერი მათი ესმოდა.

თვით ერთს იმ პირთაგანს, რომელსაც დიდი ხმა და გავლენა აქვს ამ მძიმე საქმეში, უთქვამს ამ წერილის დამწერისათვის: არ ვიცი, ვასწავლებინო სახალხო სკოლებში რუსული, თუ არაო. როცა მკითხავენ: ასწავლით თუ არა რუსულს სახალხო სკოლაშიო, მე, როგორც პატიოსანი კაცი, ვუპასუხებ ხოლმე, ვასწავლითო და როდესაც მკითხვენ, გამოდის რამე მაგ სწავლებიდამ, თუ არაო, მე კიდევ, როგორც პატიოსანი კაცი, ვეუბნები, არაფერი არა გამოდისაო.

ამის მთქმელი რუსთაგანია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბოლოს დროს ყოველივე პატიოსანი კაცი ამ აზრისა იქნება, ვისაც-კი აზრი აზროვნებისათვისა აქვს მინიჭებული და არა იმისათვის, რომ ზედ გადააჯდეს, გაჰბაწროს და მოუსპოს ყოველივე თავისუფლება.

ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომა თხოულობს, რომ ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველგვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები-კი, მაგალითად, ქართული ენა ყველგან გამოდევნილია... ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი...

უცხო ენის სწავლება საჭიროა, მაგრამ სხვა მხრივ უნდა იყოს დაწყებული. იმის მიგიერად, რომ მილიონს ხალხს, რომელსაც უფრო ნაკლებ მოცალება აქვს და ნაკლები დრო, ასწავლოთ უცხო ენა, ასწავლეთ იმ ხუთასს ან ათასს მოხელეს, რომელთაც ვალად უნდა ედოთ, რომ ხალხს ემსახურონ. საქმის რიგიანად წაყვანა თავიდამ უნდა და არა ბოლოდამ.

არ არის კარგი, როდესაც სკოლის ხელმძღვანელნი მისდევენ სხვა აზრსა და სხვა განზრახულებას და არა იმას, რომ ყმაწვილის გონება გააკვითაროს, ზნეობა აუმაღლონ; მაგრამ ის უფრო უარესია, როდესაც ეს

„სხვა აზრი და სხვა განზრახულება“ ერევა იმისთანა საქმეში, როგორიც არის, მაგ. სახელოსნო, ან სამეურნეო სკოლა. საუბედუროდ, ზოგიერთა მეტიჩარა პუბლიცისტები ამისთანა საქმესაც კი არა სტოვებენ ისე, რომ თავიანთ უწმინდურის ხელით არ გაქექონ იგი და თავიანთი ბალღამი არ გადაასხან.

შემოდგომაზედ ტფილისის რჩევამ გახსნა სრულის თავისის ხარჯით სახელოსნო სკოლა. ამ სკოლაში, გარდა პირველდაწყებით სკოლის საგნებისა, ბავშები სწავლობენ აგრეთვე ხელოსნობას. სახელოსნო სასწავლებლის დამფუძნებელთ სწორედ გონივრულად განსაჯეს, რომ დესაც დააწესეს, რომ სწავლა სამს ენაზედ მიდიოდეს: რუსებისთვის რუსულ ენაზედ, ქართველებისთვის ქართულზედ და სომხებისთვის სომხურზედ. ამ ღონით ტყუილად ბევრი დრო არ ეკარგებათ შეგირდებს სხვა ენის შესასწავლებლად და რაც დრო რჩება საგნების შესწავლის შემდეგ, ხელოსნობის შესწავლას ახმარებენ.

ეს პირველი მაგალითია ჩვენში იმისთანა სკოლის გამართვისა, რომელშიაც ყოველის ხალხის მოთხოვნილება ასრულებულია, ყოველის ხალხის შვილებს ერთ-გვარად გაადვილებული აქვთ სწავლის მიღება და მის ნაყოფით სარგებლობა.

ამისთანა სკოლა არ მოსწონს გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას და ცდილობს ყოველ-გვარი ცილი მოუგონოს მას. მაგრამ რაც უნდა ფხასავით ყელზედ დაადგეს „კავკაზს“ ეს სახელოსნო სკოლა, მაინც მკურნალს ვერ იშოვის. სახელოსნო სკოლა, ქალაქის ხარჯით არის დაფუძნებული და თუ „კავკაზმა“ კიდევ მეტის-მეტი გულმოდგინეობა გამოიჩინა, შეიძლება ამ გულმოდგინეობისათვის უფრო საყვედური მიიღოს, ვიდრე ქება, იმათგან, ვისიც სიამოვნება განუზრახავს.

ქალაქის რჩევისა და სხვადასხვა ქველმოქმედ საზოგადოებათ გარდა ამ ბოლოს დროს თვით კერძო პირმაც კი განიზრახა ჩვენში თავის ხარჯით ერთის ფრიად სასარგებლო სკოლის გამართვა.

„დროებაში“ დაბეჭდილი იყო პროექტი იმ სამეურნეო სასწავლებლისა, რომელსაც ბ. ილია წინამძღვრიშვილი[14] მართავს სოფ. წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში. ჩვენ გავიგონეთ, რომ ეს პროექტი ზოგიერთის ცვლილებით კიდეც წარუდგენია დამფუძნებელს სადაც რიგია. არ ვიცით ეს ცვლილება როგორია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს პროექტი ისე იქნება შესრულებული და გასწორებული, როგორც ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება მოითხოვს.

ჩვენ არ შევუდგებით ამ პროექტის დაწვრილებით განხილვას; ზოგიერთი შეუფერებელი პარაგრაფის ცვლილება მას-უკანაც ადვილად მოხერხდება; ჩვენ დღეს მხოლოდ წესდების ზოგიერთს ნაკლულევანებას ვუჩვენებთ, თუმცა ამ ნაკლულევანებაზედ სხვაგანაც იყო ლაპარაკი.

ცხადია, რომ სამეურნეო სკოლას ძხოლოდ მაშინ ექნება ვრცელი მნიშვნელობა, თუ მასში გაწვრთნილი მოწაფეები სხვადასხვა სოფელში იც-

ხოვრებენ და თავიანთ მოძმეებს აჩვენებენ მამულის მოვლის უკეთესს მაგალითს.

წესდების მე-12 მუხლის ძალით შეგირდები სკოლაში უფასოდ ივლიან. თუმცა წესდებაში გამორკვეული არ არის, სულ ერთის სოფლიდამ იქნებიან ისინი მიღებულნი, თუ სხვადასხვიდამ, მაგრამ ეს სიტყვა „ივლიან“ პირდაპირ აჩვენებს, რომ თითონ სკოლაში არ ექნებათ ბინა და გარედამ უნდა იარონ, და გარედამ მოსიარულობა მხოლოდ იმ სოფლელებს შეუძლიანთ, სადაც სკოლაა. სხვა სოფლიდამ ძვირად თუ ვინმე მიაბარებს სკოლაში შვილს გარედამ მოსიარულედ.

ის ემჯობინებოდა ბევრად, რომ უცხო-სოფლელ შეგირდებს თითონ სკოლაშივე ჰქონოდათ ბინა; მაშინ შეიძლებოდა, როგორც „დროებაშივე“ ამბობდა ბ. როსტომაშვილი,[15] ვინც სხვადასხვა სასოფლო სკოლაში სხვებზედ უკეთესად შეასრულებდა სწავლას, ამ სამეურნეო სკოლაში შესულიყო. მაშინ ამ სკოლაში შეგირდები თეორეტიკულადაც და პრაქტიკულადაც მხოლოდ მეურნეობას შეისწავლიდნენ და არ მიჰყვებოდნენ სხვადასხვა საგნების სწავლას, რომელიც, უეჭველია, დაუშლის ამ სკოლის ნამდვილ დანიშნულების შესრულებას. მაინცა-და-მაინც თუ ჩვენი აზრი ვერ შესრულდება და ეს სკოლა სამეურნეოც იქნება და პირველ-დაწყებითიც, პროექტში მოხსენებულ ზოგიერთ საგნების სწავლება სრულიად უნაყოფო იქნება. იმედია, არავინ ცუდს განზრახვას არ დაგვწამებს, თუ ვიტყვით, სამეურნეო სკოლაში რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიის ცალკე სწავლება ვერაფერს სარგებლობას ვერ მოიტანს.

ამ თავის მიმოხილვა უნდა შემდეგის სასიამოვნო ამბით დავაბოლოვოთ: ამას-წინათ მთავრობამ დაამტკიცა წესდება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და კვირას, 18 იანვარს, იყო ყრილობა ამ საზოგადოების წევრთა. ამოირჩიეს მართველობა, რომელმაც უნდა აწარმოვოს საზოგადოების საქმე. საზოგადოებას შეუძლიან ხელი მოუწყოს ქართულ წარმოდგენების გამართვას, სადაც-კი ამ წარმოდგენების გამართვა მოხერხდება; შეუძლიან ყოველივე თეატრისთვის საჭირო ნივთეულობა და თვით თეატრისთვის საჭირო შენობაც საკუთრებად შეიძინოს; შეუძლიან შემწეობა გაუწიოს აქტიორებს, დრამატიულ მწერლებს; შეუძლიან ქართულს ენაზედ ბეჭდოს სხვადასხვა სათეატრო თხზულებები და გამოსცეს სათეატრო ჟურნალი; შეუძლიან გამართოს ქალაქს ტფილისში სათეატრო სკოლა.

ერთის სიტყვით, საზოგადოებას ფართო მოედანი აქვს წინ გაშლილი და თუმცა ჯერ საშუალება იმდენი არა აქვს, რომ თავისი დანიშნულება რიგიანად შეასრულოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეხლა ისეთმა ნიავმა დაჰბერა ქართველ საზოგადოებას, რომ თუ ამ საქმის მოთავენი ენერგიულად და დაუზარებლივ მოიწადინებენ თავიანთ დანიშნულების შესრულებას, თანაგრძნობაც ბევრი იქნება.

მართლაც-და ქართული თეატრის საქმე ისეთი საქმეა, რომ თუ კარგად ვერ წავიდა და ბოლო მოელო, საზოგადოების წინ მძიმე პასუხის-

გ[illegible]ბაში ჩავარდება იგი, ვისაც-კი ამ საქმის წაყვანა ჰქონდა მინდობილი და ამ მონდობილობის შესრულება არ მოინდომა. ჩვენში თეატრს შეიძლება დიდი ზნეობის ამამაღლებელი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ წარმოსადგენად დანიშნული პიესები რიგიანი იქნებიან,

მგონი ყველაზედ ეს შთაბეჭდილება უნდა ჰქონოდა, მაგალითად „პარიჟელ ბიჭის“ წარმოდგენას. უნდა გენახათ, რა აღტაცებით ყურს უგდებდა საზოგადოება პარიჟელ მშვენიერს ლაპარაკს; როგორ ყოველივე საუკეთესო აზრი უნებურად გაცხარებულს ტაშს იწვევდა ზოგიერთთაგან და სხვები როგორ სტუქსავდნენ ამ მოუთმენელებს, რატომ ბოლომდის არ გაგვაგონებთ, რაც სათქმელი აქვსო.

როდესაც, მაგალითად, ბებერი ღერენალი-არისტოკრატი გაიცნობს კეთილშობილს გრძნობას პარიჟელ ბიჭისას და უბრძანებს თავის შვილს, დაიწეროს ჯვარი მისგან გაუპატიურებულ უბრალო კაცის ქალზედ,—ვინ არ იტყვის, რომ ეს სურათი უფრო კარგად გვიქადაგებს ადამიანთ თანასწორობას, ვიდრე განგებ ამ აზრის განსამარტებლად შეთხზული ფრაზები.

გაბედვით ვიტყვით, ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარაებისთვის სკოლას.

1881 წ.

ტ. VII, გვ. 299—311.

ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო

გაზეთს „Кавказ"-ში ჩვენ დიდის ყურადღებით წავიკითხეთ ცოტად ცხარედ დაწერილი წერილი ბ-ნ იანოვსკისა. ამ წერილში ბ-ნი იანოვსკი ამბობს, რომ ყოველივე ის, რასაც „დროება" მაბრალებსო, ახალ სკოლაში არ მითქვამსო, არც ბ-ნ მარკოვისათვის მიმიწერია ოფიციალური ქალალდიო და არც ბ-ნ სემიონოვისათვის არავითარი დარიგება და რჩევა არ მიმიციაო.

ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ბ-ნი იანოვსკი ეგრე ბეჯითად უარყოფს ყოველს იმას, რაც მართლადა საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის. მას შემდეგ, რაკი ეგრე საჯაროდ გამოაცხადა ეგ უარყოფა იმის თანა პატივცემულმა გვამმა, როგორიც ბ-ნი იანოვსკია, ჩვენ ცალარა გვეთქმის-რა. ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ თითონ ბ-ნი იანოვსკი არა ჰკიცრულობს არც ერთს ბრალსა, „დროებაში" გამოცხადებულს. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვერწმუნებით ბ-ნს იანოვსკის და ამასთანაც გვიხარია, რომ იგი თაკილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც, ჩვენის სამწუხაროდ, აქამომდე საკვეხურადა ჰქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგიის გარეთ მდგომ მოხელეებსაცა. ესეც ერთი წარმატებაა, ერთი სიკეთეა.

ამის გამო ჩვენ თავს ვანებებთ იმაზედ ლაპარაკსა — ვინ არის ამ შემთხვევაში მართალი და ვინ მტყუანი. ეხლა ეგ ჩვენთვის სულ ერთია. ეგ საგანი ეხლა უკან უნდა დავაყენოთ, იმიტომ რომ ბ-მა იანოვსკიმ სხვა, უფრო უაღრესი და უმძიმესი საგანი წამოაყენა თავის წერილში. ამ უკანასკნელ საგანთან ის პირველი ჩვენ თითქმის არაფრად მიგვაჩნია. ჩვენ ვამბობთ აქ იმაზედ, რომ ბ-ნმა იანოვსკიმ თავისის მოქმედების და მოღვაწეობის დედა-აზრი გამოგვიცხადა თავის წერილში და აი, ეს დედა-აზრია ის უაღრესი და უმძიმესი საგანი, რომელმანც მიიზიდა მთელი ჩვენი ყურადღება.

ჩვენ ვეცდებით, გულახდილად და თამამად წარმოვსთქვათ ამ საგანზედ ჩვენი აზრი. იმედი გვაქვს, რომ არავინ დაგვწამებს — ხალხს გული უნდათ ააყრევინონ ჩვენს მოქმედებაზედაო. იმედი გვაქვს, რომ ამ უმართებულო და უკადრისს ფარ-ხმალს არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა კაცი, როგორიც ბ-ნი იანოვსკია. ჩვენ გვსურს — ბ-ნი იანოვსკი დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ აქ ჩვენ გვალაპარაკებს მარტო ერთი ჭეშმარიტების სიყვარული და ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობა და სხვა არა-რა.

თუმცა ბ-ნი იანოვსკი, როგორც მრავალმხრით განვითარებული კაცი, უეჭველად კეთილის განზრახვით არის აღძრული და ჰსურს იმ ადგილს და საზოგადოებას, საცა მოწვეულია სამსახურისათვის, სიკეთე მიანიჭოს, მაგრამ მისგან ამორჩეული გზა, ჩვენის ფიქრით, სრულებით არ შეეფერება არც მის განზრახვასა და არც მის სიკეთის სურვილსა. ჩვენა გვგონია, რომ საერო სკოლას*) საერთოდ და ჩვენსას საკუთრივ ბ-ნი იანოვსკი ისე არ უყურებს, როგორც ის გამოჩენილნი პედაგოგიაში გვამნი, რომელთაც დაადგინეს საერო (народный) სკოლა მის ნამდვილს და ჭეშმარიტს მნიშვნელობაზედ. ბ-ნს იანოვსკის, როგორცა სჩანს მის წერილიდამ, განსაკუთრებული დანიშნულება და უმაღლესი საქმე ამისთანა სკოლისა უკან დაუყენებია და საერო სკოლას იმ ტვირთსა ჰკიდებს, რაც მოსამზადებელის კლასის საზიდარია. ჩვენის ფიქრით, ეს დიდი შეცდომაა საზოგადოდ და ჩვენში ხომ საკუთრივ. ჩვენ ვეცდებით — ეს სიტყვა უსაბუთოდ არ დაგვრჩეს.

საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრავლესობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ჩვენდა სანწუხაროდ, ამასაც ვიტყვით, რომ არც დიდი საჭიროება მიუძღვის, ჯერ-ხანად მაინც, რადგანაც სხვადასხვა ხელმოკლეობის გამო შინიდამ გარეთ ფეხის გამოდგმის ილაჯს მოწყვეტილია. ამიტომაც საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილობაზედ.

საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულისყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს.

„საერო სკოლის საგანი ის-კი არ არისო, — ამბობს გამოჩენილი რუსი პედაგოგი უშინსკი,[16] — რომ ბავშის თავი, ცოტად თუ ბევრად, გამოჰჭედოს სხვადასხვა-გვარის ცოდნითა, რომელიც მერე დავიწყებას მიეცემა ხოლმე, ან კიდევ ტეხნიკური ცოდნა მიანიჭოს წერა-კითხვისა, რომელსაც მოზარდი არ გამოიყენებს; არამედ ის არის, რომ სკოლაში ვარჯიშობითა გაიხსნას ბავშმა ჭკუა და გულისყური, ბუნებრივის ღონის-

*) საერო სკოლას ამ აზრით ვხმარობთ, როგორც რუსები სიტყვას **народная школа**.

ძიებით გონების თვალი აიხილოს გარე შემორტყმულ ბუნებაზედ და საზოგადო დამოკიდებულებაზედ, იმოდენად გაიმართოს ნიჭი მარტოლ და თვი-მსჯელობისა, რომ საკუთარის ჭკუით შეეძლოს ცნობიერად იცხოვროს და გონიერად იმოქმედოსო". აი თავი და ბოლო საერო სკოლისა.

აი ამ დიდსა და მძიმე დანიშნულებას უნდა მისდევდეს საერო სკოლა საზოგადოდ და მარტო მაგის მიხედვით უნდა მოწყობილი და აგებული იყოს. სხვა საგანი საერო სკოლას არა აქვს.

„საკუთრივ საერო სკოლასაო, — ამბობს იგივე უშინსკი, — თვისი მნიშვნელობა იმოდენად განსაკუთრებული აქვს და სხვა უმაღლეს სკოლებთან ისე შორს არის, რომ მის გამართვაზედ ცალკე შეიძლება კაცმა იფიქროსო".

ეს ორი აზრი, ერთი მეორის შემავსებელი, იმისთანა გამოჩენილის პედაგოგისა, რომლის ტოლიც რუსებს ჯერ აქამომდე არა ჰყავთ, საკმარისია, რომ დავინახოთ, რაში მდგომარეობს ბ-ნ იანოვსკის შეცდომა საზოგადოდ. პირველი იმაში, რომ საერო სკოლას მოსამზადებელის კლასის საქმეს უნიშნავს, და მეორე მასში, რომ ამ საქმის შესაფერად მოუწადინებია თითონ საერო სკოლების გამართვაცა. ასე ვფიქრობთ ჩვენ, იმიტომ რომ მის წერილში ერთი სიტყვაც არ არის თქმული მასზედ, რაც საერო სკოლის, უმთავრესი-კი არა, განსაკუთრებულს დანიშნულებას შეადგენს.

ეს შეცდომა უფრო ცხადად გამოგვეხატება თვალ-წინ, როცა გამოვიკვლევთ, — რა ღონისძიებით და საშუალობით შეუძლიან საერო სკოლას თავის განსაკუთრებულს და ფრიად ძნელს დანიშნულებას რიგიანად და წარმატებით მიაღწიოს.

პედაგოგიის დედაბოძი და განთქმული მეცნიერი დისტერვეგი ამ საგანზედ ამბობს, რომ.

„ის მეტ-ნაკლები გონება-გახსნილობა, რომლითაც ბავში შედის სკოლაში, უნდა აუცილებლად იყოს საზღვარი, საიდამაც უნდა მოჰყვეს ადამიანი სწავლებასაო. ამის გამო ოსტატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ენასა, რომელსაც ყმაწვილები ხმარობენ სკოლაში შესვლის დროსაო. ახალი უნდა აიხსნას ძველის შემწეობითა, უცნობი — ცნობილითაო. სხვა გზა არ არის, სხვა ღონე და საშუალება შეუძლებელი საქმეაო".

მეორე გამოჩენილი და განთქმული პედაგოგიაში კაცი პესტალოცცი ამბობს, რომ —

„ბავშის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა აეარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ განათლებულან იმაზედ ვარჯიშობითა, რაც მახლობელია ბავშისა, რაც გარს არტყია, რაც ბავშის ღვიძლი და თავისიანიაო".

„ერს რომ თავისი ენა არ ასწავლოთო, — ამბობს მეორე გამოჩენილი რუსი პედაგოგი ვესსელი[17], — ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ ერის აზრი, მისი სულიერი ძალღონე, ნიჭი გაიხსნას და გაიმართოსო. ეგ ის იქნება,

რომ არ გინდათ ერი ბალღობიდამ გამოვიდესო. თუ ჩვენ არ დავაწყებინებთ ერს თავისის დედა-ენის სწავლებას და, თუნდაც მის მაგიერ სხვა, ძალიან მახლობლის ენის სწავლებას მოვაყოლებთო, მაშინ უფრო უარესს ვიზამთო: სრულებით შევშლით ერის გონებითს განვითარებას, სრულებით შევშლით მის სულიერს ბუნებასაო".

„ბავში რომ სწავლობს დედა-ენას, იგი სწრავს სულისათვის სიცოცხლეს და ღონეს ღვიძლის ენის ღვიძლის ძუძუდამაო,— ამბობს უშინსკი; — დედა-ენა ესე უხსნის ბუნებას ყმაწვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მცოდნე კაცი, ისე აცოდინებს ხასიათს იმ ხალხისას და საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ბავში ცხოვრებს, მათს ისტორიას, თვისებას და მიდრეკილებას, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსიო".

„საერო სკოლა საკუთრივ დედა-ენის სკოლააო, რომელიც უნდა შეისწავლოს ყველა ყმაწვილებმა იმისდა მიუხედავად, განაგრძობენ მერე სწავლას გიმნაზიებში, თუ არაო," — ამბობს ივანე ამოს კომენიუსი.[18]

ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ეითომც ბ-ნმა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა გათახსირებისაა,—და განა ეს სასურველია ვისთვისმე?

ზემოთ-მოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს. მაშასადამე, სკოლამ საზოგადოდ და საეროს საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიოს ერსა.

მეორე სახსრად და საგნად ცნობილია იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელთაც ბავში ეკუთვნის დაბადებით და ცხოვრებით.

„პირველ-დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლოო", — ამბობს პესტალოცცი. „კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, — ამბობს დისტერვეგი: — გზა გაუხსენით, რომ არამც თუ მარტო შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს კიდეც იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსაკუთრებული ხასიათი. ამით ნუ გგონიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციალიზმის პატრიოტობას, არამედ გაუმაგრებთ ადამიანს ფესვებს ადამიანის სულის ღონისას. ეგ ფესვები მის სამშობლოს მიწა-წყალშია, მის მოძმეთა განსაკუთრებულ ხასიათშია, — მათს ისტორი-

აშია. ყოველს სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს, როცა თვითოეულს ადამიანში კაცი პოულობს განსაკუთრებულს თვისებას მისის ქვეყნისასაო".

„როგორც ჩვენის საკუთარის ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის პატივისცემასა, ჩვენის ქვეყნისაში — სხვა ქვეყნებისასაო, ისეც პატივისცემა პატარა ნაწილისა მრთელის პატივისცემას გვასწავლისო", — ამბობს გერმანელი პედაგოგი რიხტერი,[19] როცა ლაპარაკობს მასზედ, თუ რა დიდი რამ არის ბავშის აღზრდისათვის შესწავლა და შეყვარება თუნდ იმ პატარა ადგილსა, საცა მოზარდი დაბადებულა.

„პესტალოცცის სკოლა, — ამბობს ტილო,[20] — ნამდვილი საერო სკოლაა, იმიტომ რომ ყოველი საგანი სწავლებისა დადგენილია სამშობლო ნიადაგზედა. იგი იწყებდა თვის მოქმედობას იქიდამ, რომ ცოცხლად და თვალთხედვით შეასწავლიდა სამშობლოს, მამულსა. ამიტომაც სამშობლო ქვეყანა, დედა-ენა, სამშობლო ერის ცხოვრება შეიქმნენ მას აქეთ უპირველეს საგნებად პირველ-დაწყებითის სკოლისათვისაო".

„თქვენს კულტურას არც ძირი აქვს, არც სიღრმე, — ამბობს საფრანგეთის მეცნიერი ბრეალი:[21] — იმიტომ რომ თქვენ არა გწამთ ძალნი აღგილის და თავისიანობის სიყვარულისაო. სკოლა ადგილზედ უნდა იყოს ამოსული, ადგილში უნდა ჰქონდეს გამაგრებული ძირი და არა ზემოდამ იყოს ამოსული, მოდგმულიო".

„არის მარტო ერთი საზოგადო, დაბადებითვე დაყოლილი მიდრეკილება, რომელზედაც აღზრდას (სკოლას) ადამიანისას შეუძლიან ყოველთვის დაემყაროს, — ამბობს უშინსკი: — ეგ ის არის, რასაც ჩვენ ვეძახით ეროვნობას (народность). როგორც არ არის ადამიანი, რომ თავისი-თავი არ უყვარდეს, ისეც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული, თავისი ქვეყანა. აი ეგ სიყვარულია ის უტყუარი გასაღები ადამიანის გულისა, რომელსაც აღზრდა (სკოლა) უნდა ხმაროვდეს. ეროვნობაზედ დამყარებული ბავშის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და წემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში, რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე რწმენა, მარტო ჭკუით მიღებული, ანუ ზნე, დასჯის შიშით ჩანერგულიო".

ამ სახით, მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ეროვრივი ელემენტი არის, ესე იგი — ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავში ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე. მაშასადამე, ყოველ ამის წესწავლა და ცოდნა არის მეორე განსაკუთრებული საგანი საერო სკოლისა. ამას არაფერი არ უნდა დააკლოს სერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი.

ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის ნასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად — განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი

აქეს, რომლის თავი და ბოლო იქავე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნუ რაიის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე სუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე.

სწორედ ამ სხვა საპალნესა ჰკიდებს საერო სკოლას ბ-ნ იანოვსკის წერილი. მერე ისე ჰკიდებს, რომ საკუთარის ტვირთის ზიდვისათვის ღონე თუ სულ არ მოესპობა, ძალიან მოაკლდება მაინცა.

ბ-ნ იანოვსკის თვისი დედა-აზრი გამოჰყავს უმაღლესად დამტკიცებულის განჩინებიდამ და გვავუწყებს რომ: 1) ყოველი, რასაც რომელსამე სასწავლებელში ასწავლიან, უნდა ასწავლონ ც ნ ო ბ ი ე რ ა დ და გ ა გ ე ბ ი თ, რადგანაც მარტო ამ პირობით სწავლებას ერთისა თუ მეორის საგნისას ექნება ზედმოქმედება შეკირდის გონებითსა და ზნეობითს განვითარებაზედ; 2) სწავლება ერთისა თუ მეორის საგნისა იმ განზრახვით უნდა მიდიოდეს, რომ მოსწავლეს მიანიჭოს ნ ა მ დ ვ ი ლ ი ც ო დ ნ ა საგნისა; უამისოდ სწავლება საგნისა უქმად დროს დაკარგვა იქნება, არამც თუ ურგები, არამედ მავნებელიცა მოსწავლეთათვის; 3) ზოგად განათლების სხვადასხვა-გვარ სასწავლებელთა შორის უნდა იქმნას, რამოდენადაც შესაძლოა, მჭიდრო კავშირი, მით უმეტეს უნდა იყვეს საჭირო კავშირი სხვადასხვა საგნების სწავლებაში ერთსა და იმავე სასწავლებელში და 4) სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოს, რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ა დ, ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ი მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს შ ო რ ი ს ა ც და რ ო მ ლ ი ს ა თ ვ ი ს ა ც ა რ ს ე ბ ო ბ ს.

ამ წინადადებათა ძალით,—ამბობს—ბ-ნი იანოვსკი,—ყოველს კეთილად ვანწყობილს პირველ-დაწყებითს სკოლაში სწავლება საზოგადოდ უნდა მიდიოდეს უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ (და არა განსაკუთრებით?) დედა-ენის შემწეობითაო. რუსული ენა არა რუსთათვის ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ყმაწვილებმა, კურსის შესრულების შემდეგ, იცოდნენ არამც თუ მარტო წერა-კითხვა, არამედ გაგებაც ჰქონდეთ წაკითხულისა და წერითაც გამოთქმა შეიძლონ როგორც დედა-ენაზედ, ისეც, შეძლებისამებრ (?), რუსულადაცაო. ამის მისაღწევად აი რა გზა ამოურჩევია.

პირველ წლის მეორე ნახევრიდამვე ოსტატმა ყოველ დღე უნდა გადასდოსო 30—45 წამი, რომ ბავშები შეაჩვიოს რუსულს ენასა და იმისათვის, რომ ბავშებმა ცნობიერად შეითვისონ ცალკე სიტყვები, ფრაზები და მოკლე ამბები, უნდა ყოველივე იგინი ჯერ დედა-ენაზედ ათქმევინოს და მერე რუსულადაცაო. მეორე წელს-კი, რაკი შეგირდები შეისწავლიან დედა-ენაზედ წერა-კითხვას, უნდა შეუდგენ რუსულის წერა-კითხვის სწავლებასა, მესამე წელიწადს კი, რასაც დედა-ენის შემწეობით ასწავლიან ბავშებს, ყოველივე ის, შეძლებისამებრ (?), რუსულადაც უნდა ასწავლონო.

რუსულის ენის შესწავლას ამ გზით ბ-ნი იანოვსკი იმ საბუთითა ჰხედავს საჭიროდ, რომ ზოგან საერო სკოლაში თავად-აზნაურთა შვილებიცა სწავლობენო, რომელთათვისაც გიმნაზიებში შესვლა არამც თუ სასარგებ-

ლოა, არამედ აუცილებლად საჭიროცაა. უმაღლეს სასწავლებელში შესვლას თითონ გლეხის შკილებიც არა იშვიათად ნატრულობენო და ამას უნდა ხელს უწყობდეს და უმართავდეს საერო სკოლაო.

გავბედავთ და ვიტყვით, რომ ეს პროექტი ბ-ნ იანოვსკისა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ოთხს მუხლს მის აზრისას, რომელიც თითონ ბ-ნ იანოვსკის ზევით მოჰყავს. პირველი მუხლი თხოულობს, რომ ყოველი საგანი ისწავლებოდეს სკოლაში ცნობიერად და გაგებით. პედაგოგიის ძირეული კანონი კიდევ ამას ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდაო ბავშმა რამე ისწავლოსო, ჯერ თავისი კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო. ნუთუ ვისმე ჰგონია, რომ ბავშები, არამც თუ პირველს ექვს თვეში, არაშენდ სამსა და ოთხს წელიწადში, თავის დედა-ენაში ისე გაიწურთნებიან, რომ მასზედ დაფუძნდეს რუსულის ენის ცოდნაცა? და თუ ეს არ იქნება, ხომ ცნობიერად და გაგებით ცოდნაც არ იქნება რუსულის ენისა. აი რა ფაქტი მოჰყავს რიხტერსა, როცა საერო სკოლაში პროვინციალურს ენასთან საეკლესიო ენასაც ასწავლიან, სახელდობრ, ნემეცურს, ესე იგი, იმავე ძირის ენას, მაგრამ უფრო განვითარებულს. რეკრუტის კამისიების სიტყვით, „ისე არა ავიწყდებათ-რა ბავშებს, როგორც ნემეცური (სალიტერატურო) ენაო“.

4-ს იანვარს ყოფილმა საერო სკოლების ოსტატების კრებამ პეტერბურგში საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსეთში, საცა ჩვენებრ სამის წლის კურსია და ასწავლიან მარტო ერთს დედა-ენას — რუსულს, ბევრი ყმაწვილები სკოლის შემდეგ წერა-კითხვას იცნობენო. მაშ რაღა ითქმის რუსულის ენის შესახებ ჩვენს სკოლებში, საცა იგივე სამის წლის კურსია და საცა ეგ ენა სრულიად სხვაა მოსწავლე ბავშისათვის. ნუთუ ჰგონიათ, ჩვენში საერო სკოლა სამისავე წლის კურსით იმ სასწაულს მოახდენს, რომ დედა-ენაც შეასწავლოს ბავშს და რუსულიცა იმოდენად ცნობიერად და გაგებით, რომ მერე არ გადაავიწყდეთ?

მეორე მუხლი ბ-ნ იანოვსკის აზრისა თხოულობს, საგანი ისე შეასწავლონ ბავშსა, რომ ნამდვილი ცოდნა იყოს სავნისა. ნუთუ დედა-ენაში ჯერ კარგად არ გაწურთნულს და გავარჯიშებულს ბავშს ისე ეცოდინება სამს წელიწადში თავისი დედა-ენა და რუსულიცა, რომ ან ერთი იქმნას ნამდვილ ცოდნად და ან მეორე? ნუთუ ეგ ნამდვილი და გამოსაყენებელი ცოდნა იქნება და არა გაზეპირება? თუ ესეა, რომ სამი წელიწადი დედა-ენის შესწავლებასაც არა ჰყოფნის, როგორც საქვეყნოდ აღიარეს თითონ რუსეთში საერო სკოლის ოსტატებმა, თუ ესეა — რომ ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული — მახლობელით, უცნობი — ცნობილით, — მაშ, ნუთუ ერთსა და იმავე დროს დედა-ენის და ჯერ თითქმის უცნობის — რუსულის ენის სწავლება ჩვენს საერო სკოლებში უქმად დროს დაკარგვა არ არის, არამც თუ ურგები, როგორც სამართლიანად ამბობს თითონვე ბატონი იანოვსკი, არამედ მავნებელიცა? უცნობი ცნობილით ასწავლეთო, — ამბობს დისტერვეგი, — თუ გინდათ ცოდ-

ნას ცოდნა ერქვასო, სწავლას — სწავლაო, სხვა გზა არ არისო, სხვა ღონე შეუძლებელიაო. ან ეს ძირეული კაბონი პედაგოგიისა სულ მთლად აღიარებული უნდა იყოს, ან სულ არა. ამათ შუა საფეხური არ არის, რომ კაცმა ფეხი მოიკიდოს.

სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოსო, რაც შეიძლება მომატებულად, საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომელთ შორისაც და რომლისათვისაც არსებობსო, ამბობს იგივე ბ-ნი იანოვსკი. საერო სკოლა ერის შოლის და ერისათვის არსებობს, ესე იგი — იმ უმრავლესობისათვის, რომელსაც, როგორც წინა ვსთქვით, არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება და, ჩვენდა სამწუხაროდ, არც საჭიროება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ამა უმრავლესობის საჭიროება რა არის ამ შემთხვევაში? რაა აუცილებელია, არა ისა, რომ გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში განაგრძოს სწავლა, თუმცა ეს კი დიდად სანატრელია, არამედ თვალახილებული იყოს. თვის გარეშემოწი თავისის ჭკუით შეეძლოს ცხოვრება, ნაროდსჯელობის ნიჭი გახსნილი ჰქონდეს, თვითმსჯელობას შეეჩვიოს, ენახოს სიყვარულით, იმოდენად გაღვიძებული იყოს სულითა და გულით, იმოდენად განვითარებული, რომ თავის შინაურობის ავ-კარგიანობას გაუძღვეს, თავის პატარა მოედანა ცხოვრებისას თვალი და ხელი ცნობიერად და გაგებით ადეაწვდინოს.

ამას საჭიროებს ერი საზოგადოდ და ჩვენი ნამეტნავად. აი ეს საჭიროება უნდა დააკმაყოფილოს იმ სკოლამ, რომელიც ერის შორის არის და ერისათვის არსებობს. რაც შეიძლება მომატებულად უნდა დააკმაყოფილოსო, ამბობს ბ-ნი იანოვსკი თითონ, — და მისი პროექტი კი ამ საჭიროებას არამც თუ რაც შეიძლება მომატებულად არ აკმაყოფილებს, არამედ რაც შეიძლება ნაკლებად, იმიტომ რომ საერო სკოლას ისეც აქასაკმარს ღონეს და დროს უფანტავს და უყოფს. ჩვენ გამბობთ, — და ყველანიც დაგვემოწმებიან, — რომ სამის წლის კურსი საერო სკოლისა ბეტად მოკლე ხანია ჯერ იმისათვისაც, რომ ბავშმა გონება გაიხსნაო, სულიერად და ხორციელად გაიმართოს თავისიანობაზედ გარდაშოლითა, თავისი დედა-ენა, თავისი ქვეყანა გაიცნოს და შეისწავლოს იმოდენად, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს. ჯერ თითონ რუსეთში, სადაც ჩვენ ვეკუთვნით სამის წლის კურსია, საცა მარტო ერთს დედა-ენას ასწავლიან, ენახენ — საერო სკოლა თავისს დანიშნულებას ძალიან ნაკლებად ასრულებსო, და რამოდენად ნაკლებად უნდა აასრულოს ჩვენმა საერო სკოლამ, რომელსაც, გარდა თავის პირდაპირის დანიშნულებისა, გარდა დედა-ენის ცოდნისა, რუსულის ენის ცოდნასაც ავალებენ და იმავე სამის წლის კურსს უნდა აუენ.

ჩვენ უარს არა ვყოფთ, რომ საერო სკოლას შეუძლიან მოსაზადებელის კლასის საქმეც გაარიგოს. ჩვენ იმას განმეორებით ვიტყვით, რომ საერო სკოლას საზოგადოდ ის დანიშნულება არა აქვს — ერის მოზარდი უმაღლესის სასწავლებელისათვის მოამზადოს. იმას, როგორც ვნახეთ, თავისი

საკუთარი საქმეც მეტად ბევრი და მძიმე აქვს და, თუ მაგ მხრითაც საერო სკოლა შველის სადმე ერსა, — ეგ მარტო იქ თუ შეიძლება, საცა ერის დედა-ენა და უმაღლესის სასწავლებელისა ერთი და იგივეა და სკოლის კურსიც უფრო ხანგრძლივი. იქ საერო სკოლაში გამოვლილი ბავში მომზადებულია უმაღლესის სასწავლებლის უმცირესის კლასისათვის, რადგანაც კეთილად აგებული საერო სკოლა ისე არ გამოუშვებს ბავშს, რომ არ იყოს გონებითაც საკმაოდ გახსნილი და დედა-ენაშიაც, რომელიც უმაღლესის სასწავლებლის ენავეა, საკმაოდ გაწურთვნილი და გავარჯიშებული. იქ საერო სკოლას თუ მოაქვს ეგ ნაყოფი, თავის-თავად გამოაქვს მარტო იმის წყალობით, რომ თავიდამ ბოლომდივე, უმცირესს სასწავლებელიდამ უმაღლესამდე, ერთი და იგივე ენა მოქმედებს სწავლებისათვის.

აქ, ჩვენში კი საერო სკოლის ენა ერთია და უმაღლესისა სრულებით სხვა. ამიტომაც ჩვენში საკუთრად საერო სკოლა, თუ უნდა რომ მარტო სახელით არ იყოს, თავისდღეში სამის წლის კურსით მოსამზადებელ კლასის საქმეს ვერ იზამს, რადგანაც აქ ამ მოკლე ხანში დედა-ენაც საკმაოდ უნდა შეისწავლოს ბავშმა და უმაღლესის სასწავლებელისაცა, ესე იგი, რუსული ენაც; ერთის სიტყვით, ერთი-ორად საქმე ისე გაიძნელოს, რომ ვერც ერთი ჰქმნას და ვერც მეორე. ნუთუ ეს სასურველია ვისთვისმე?

ჩვენ კიდევ ვიტყვით, რომ სამის წლის კურსი საერო სკოლისა საკმაოდ არ მიგვაჩნია ჯერ სკოლის პირდაპირის დანიშნულებისათვისაც და სად შესძლებს იგი მოსამზადებელ კლასობასაც იმისთანა უმაღლესს სასწავლებლისათვის, საცა მარტო რუსული ენა მოქმედებს და დედა-ენა პირ-აკრულია. გერმანია, და ნამეტნავად პრუსია, არის ის ქვეყანა, საცა საერო სკოლის განსაკუთრებული თვისება მისხლობით გამოკვლეული აქვთ გამოჩენილთა მეცნიერთა შემწეობით, მისი თავი და ბოლო, სიგრძე და სიგანე დიდის ცოდნით და სიფრთხილით გაზომილი აქვთ; იქ საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე იმდენად ძნელად და სამძიმოდა აქვსთ აღიარებული და ცნობილი, რომ მისი კურსი ხუთისა და ექვსის, ზოგან რვა წლობითაც არის ხოლმე. თუ იქ, საცა, რაც უნდა ვსთქვათ, ერის გონებრივი და ქონებრივი ყოფა-ცხოვრება გაცილებით ჩვენზედ მეტია და უკეთესი, საცა ერი უფრო მიხვედრილია და გონება-გახსნილი, საცა დახელოვნებული და კარგად მომზადებული ოსტატები მრავალია და, მაშასადამე, საცა, ყოველ ამ მიზეზით, სკოლის საქმე უფრო გაადვილებულია, ხუთს წელიწადზედ არა ნაკლებ ახმარებენ საერო სკოლის პირდაპირ დანიშნულებას, — ნუთუ ჩვენში სამი წელიწადი, ეს მოკლე ხანი, იმისათვისაც საკმაოა, რომ საერო სკოლამ თავისი პირდაპირი დანიშნულებაც აასრულოს და რუსული ენაც იმოდენად აცოდინოს ბავშს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლოს?!

ავსტრიაში, საცა რუსეთისამებრ სხვადასხვა ენის ერი ცხოვრებს, ბევრსა სცდილობდნენ, რომ სკოლების შემწეობით განევრცელებინათ ნემეცური ენა, როგორც საზოგადო სახელმწიფო ენა. ბევრი სისტემები სცვა-

ლეს, ხან ერთი კანონი დაადგინეს, ხან მეორე, მაგრამ ნემეცური ენა ისე ვერ გაავრცელეს, როგორცა სურდათ, და ერს კი აწყენინეს და გული ტყუილ-უბრალოდ აუმღვრიეს. 1805 წ. კანონის ძალით, პირველ წელიწადს ნება ჰქონდათ მიცემული სწავლება მარტო დედა-ენის შემწეობით ეშოქმედებინათ და მას შემდეგ ნემეცურად.

„ცხადიაო, — ამბობს ამაზედ რუსის პედაგოგი ვესსელი, — რომ ამისთანა მოთხოვნილება შეუძლებელი იყოო“.

და მართლადაც, 1848 წ. მთავრობამ სცნო, რომ მაგ კანონიდამაც არა გამოვიდა-რა და ახალი კანონი დაადგინეს, რომლის ძალითაც მთელი სწავლება სკოლაში დედა-ენაზედ უნდა მოწყობილიყო, იმ პირობით კი, რომ ნემეცური ენაც ესწავლებინათ, როგორც სახელმწიფო ენა.

1855 წ., ესე იგი, როცა ავსტრიის პოლიტიკა უკუ-იქცა, შესცვალეს ეს კანონი და 1805 წ. კანონს დაუბრუნდნენ და უბრძანეს, რომ ყოველს სკოლაში სწავლება იყოს ნემეცურს ენაზედ, მხოლოდ კი პირველ წელიწადის პირველ ექვს თვეში ნება ჰქონდათ ერის დედა-ენაზედ სწავლებისა.

„ამ კანონმაო, — ამბობს იგივე ვესსელი, — გული აუმღვრია საერთოდ სლავიანებს, მადიარებს და იტალიელთა, მით უფრო უმეტეს, რომ მთავრობა ამას მოითხოვდა და არავითარს ღონისძიებას-კი (ხარჯს) არ იძლეოდა თვისის მოთხოვნილების ასასრულებლადაო. ბოლოს, 1866 წელს, ესე იგი მას შემდეგ, რაკი ავსტრიის მთავრობამ ისეც სცადა და ესეც და დარწმუნდა, რომ არა გამოდის-რა, მიიღო კანონად ბოგემიის კრებისაგან დადგენილი წესი, როძლის ძალითაც ჩეხურს და ნემეცურს ენას ერთნაირი უფლება მიანიჭეს სწავლებაში, მაგრამ ისე კი, რომ სწავლება საერო სკოლაში ერთ-ერთზედ უნდა ყოფილიყო და მეორე კი ესწავლებინათ, როგორც საგანი სწავლებისა. სხვა სკოლებისათვის კი აღდგენილ იქმნა ისევ 1848 წ. კანონი. 1869 წ. ეს კანონი შეიცვალა მით, რომ დაადგინეს: თითონ საზოგადოებამ, რომლის ხარჯითაც იმართება სკოლა, გადასწყვიტოს: ა) რა ენაზედ უნდათ მოაწყონ სწავლება და ბ) მეორე ენაც, იმ ქვეყანაში მომქმედი, უნდა ასწავლონ თუ არაო“.

აი სად მიიყვანა ავსტრია თითქმის საშოც-და-ათის წლის გამოცდილებამა.

მართალია, ბ-ნი იანოვსკი რუსულის ენის სწავლებას საერო სკოლაში იმ საბუთითაც თხოულობს, რომ აქაურებს ჰსურთო რუსულის ენის ცოდნაო, ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება გაახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ.

მაგრამ საქმე იმაშია, ისე მოგვიწყოთ სკოლა, რომ რუსულის ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს, იმოდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს. ჩვენ თუ გვსურს რუსულის ენის ცოდნა, ისე გვსურს, რომ სულიერი და ხორციელი სარგებლობა მოვიპოვოთ, სხვათა შორის, მის შემწეობითაცა. ამისთანა ცოდნისათვის არამც თუ სამყოფია ის სამის წლის კურსი საერო სკოლასა, რომელიც ბ-ნს იანოვსკის განუზრახავს, არამედ არა ნაკლებ ექვსის წლისა, რომ პირველს სამს წელიწადს საერო სკოლა ჩვენში თვის პირდაპირ დანიშნულებას ემსახუროს განსაკუთრებით და მეორეს სამს წელიწადს ის მეტოდა იხმაროს რუსულის საცოდნელად, რომელიც ნაჩვენებია ბ-ნ იანოვსკის წერილში. მაშინ ბავში გონება-დაუჩაგვრელად მომზადებული იქნება არამც თუ უმაღლესის სასწავლებლისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ შინაც ღონისძიება ჰქონდეს განაგრძოს სწავლა, როგორც დედა-ენის შემწეობით, ისე რუსულითაცა. ამასთან დედა-ენა და რუსული ენა იმოდენად შესწავლული ექნება, რომ, თუ საჭიროა, შინაც გამოიყენოს და გარეთაც.

იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს, ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა.*

1881 წ.

ტ. VII, გვ. 213 — 230

---

*) ამ წერილის ბოლო, ჩვენდა უნებურად, შეწყვეტილია.

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, მარტი.

რუსეთი და მისი საპოლიტიკო საგანი.—სახელმწიფო და ეროვნება.—მოხელეთა ერთგულება. სახელმწიფო ეროვნებას არ უშლის არც რჯულის და არც ერის სხვადასხვაობა.—ეროვნობის საქმე რუსეთის ლიტერატურაში.—**Вестник Европы** და მისი წერილი **Восточная политика и обрусение**.—ახალი მოძრაობა აზრისა ეროვნობის შესახებ.—იქ უფრო ბნელა, საცა ნათელი გვეკულება.—სამოსწავლო გეგმა ბ-ნ იანოვსკისა.—ახირებული დასკვნა.—ერთის თქმა და მეორის ქმნა.

რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრებენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტელად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებულ შეიქმნებოდა დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩაყილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელს იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ,— თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი.

მოხელეობა, რომელიც ხშირად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედააზრებს, არამედ უმეცარია იმისიც, რაც ხშირად ფიქრად, თუ საგნად აქვს უმაღლესს მთავრობასა,—ამ უდიდესს საგანს ისე ექცეოდა, როგორც მისი ქეიფი იყო. ეგონა, რომ ეროვნობის დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მომქმედის კაცისა, საჭიროა სახელმწიფოს წარმატებისათვის და თითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია. ამ მხრით არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათვის, როგორც თავის ქეიფზედ მოარულთ მოხელეებსა: ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათის მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება.

რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული—ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვადასხვაობასაც ამასავე სწამობდნენ. იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის. მოვა დრო, და გვგონია—დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად. მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალად-მაცხონე მოხელეებიც კი დაინახვენ, რომ ჩეხს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს.

რომ ეს აზრი თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც, ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა. პირველი მესვეური ამ საქმეში იყო და არის რუსული, ყველაზედ უფრო ჭკუადამჯდარი ჟურნალი „Вестник Европы“, რომელმაც ეროვნობის დევნის წინააღმდეგ საფუძვლიანად ხმა ამოიღო. სხვათა წერილთა შორის დავასახელებთ ერთს საბუთიანს წერილს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „Восточная политика и обрусение“. თუმცა ამ წერილში არ არის განსაზღვრული ეროვნობის და სახელმწიფოს სამოქმედო მოედანი, თუმცა არ არის ნაჩვენები—სად უნდა დაიდვას ამ ორთა შუა მიჯნა, მაგრამ აღიარებულია, რომ ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა

ჰქონდეს, თავისი ცალკე მოედანი უნდა ეჭიროს. მას შემდეგ რუსულს ლიტერატურაში კანტი-კუნტადღა ისმოდა ხმა იმაეე საგანზედ, მაგრამ ერთხელ ასე თუ ისე გაღვიძებული მართალი აზრი უნაყოფოდ არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს. ამ აზრმა იარა, იარა და ამ-ჟამად იმოდენად მომწიფდა, რომ თითქმის ყველა დაწინაურებულმა ჟურნალ-გაზეთობამ რუსეთისამ ამ აზრს მიაქცია თავისი განათლებული ყურადღება. „Молва“, „Порядок“, „Голос“, „Вестник Европы“, „Слово“ და თითონ ყველაფერში უკან-ჩამორჩომილი „Петербургские Ведомости“-ც კი ამ საგანზედ ბჭობენ და ლაპარაკობენ, და მათ შორის ერთიც არ არის, რომ არ ჰქადაგობდეს ეროვნობის უფლების აღდგენასა სახელმწიფოში, როგორც ენის შესახებ, ისეც შესახებ შიხაურის საქმეების გამგეობისა. არამც თუ მარტო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურის გარეთაც, საზოგადოებაში ისმის ეგეეე ხმა და ვრცელდება ეგეეე აზრი რუსეთის უკეთესთა წარმომადგენელთა მეოხებით.

ბ-ნ სპასოვიჩის სიტყვას, თქმულს ამ საგანზედ იურიდიულ საზოგადოებაში 2-ს თებერვალს, ასეთი ზედმოქმედება მოუხდენია მსმენელებზედ, რომ ტაშის-კვრას ბოლო არა ჰქონია. ცხადი ნიშანია, რომ თითონ რუსეთის საზოგადოებასაც შეუთვისებია ეს მოხელებისაგან დევნული აზრი. სპასოვიჩს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნობა, როგორც თვით სარწმუნოებაცა, პირადი გრძნობააო. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უჯრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. „თქვენი ხელმწიფება,—უთქვამს სპასოვიჩს,—დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება რაო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის პირიდამ ენა არ ამოუგლეჯნიაო“. რუსეთის ლიტერატურის და საზოგადოების უკეთესნი წევრნი აღტაცებით და დიდის ქებით მიეგებნენ ამ სიტყვას, რომელიც ჩვენ ესე მოკლედ მოვიყვანეთ.

ამ სახით, ეროვნობის საქმე რუსეთში ეხლა იმ მორიგ საგნად გახდა, რომელსაც რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება, თავისის მწერლების და მოღვაწეების შემწეობით, წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნობის სასარგებლოდ. თუმცა ჯერ მარტო ენის თაობაზედ არის ლაპარაკი და სხვა მხარეს ეროვნობის საქმისას ბეჯითად არ წასჭიდებიან, მაგრამ ენის შესახებაც ვხედავთ, რომ რუსეთის აზრმა ეროვნობის საქმეში ერთის ბიჯით კიდევ წინ წადგა ფეხი. წინათ ენის უფლების აღდგენას მარტო სკოლის საქმეში თხოულობდნენ, და ეხლა ეგ აზრი იმოდენად განვითარდა და გაივსო, რომ ერის შინაურ საქმეთა წარმოებასა და გამგეობაშიაც ითხოვენ.

აქ საკვირველი ის კი არ არის, რომ ეროვნობის საქმემ ეგრე სამართლიანად ფეხი მოიკიდა და მომხრეობა მისი გავრცელდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებაში. ეს დღესა თუ ხვალ განათლებას უსათუოდ უნდა მოეხდინა. ამისათვის მარტო ხანი და დრო იყო საჭირო, რომ ჰკუაგონება გაზრდილიყო, ასაკში შესულიყო. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ იგი წრე რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც სწავლა-განათლების მიმდინარეობაში განათლების ლამპარი და წინამძღვარობა ხელთ უპყრია, სწორედ ის წრე ყველაზედ მეტად და ხანგრძლივ ეურჩებოდა და დღესაც ეურჩება მას, რაც განათლებას ეგრე აუცილებლად დღესა თუ ხვალ უნდა ზედ მოჰყოლოდა. ეს ისე ცხადად და თვალსაჩინოდ არსად არ აღმოჩენილა, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირებულ ადგილებში, საცა ენის თაობაზედ სკოლის საქმეში წაჯექ-უკუჯექის თამაშობა გამართეს სწავლა-განათლების მოხელეებმა. დიდხანს ითამაშებენ კიდევ ამისთანა სასაცილოს თამაშს თუ არა, ეგ ჯერ ღმერთმა იცის.

აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ. ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს: ან ეგ რაცა სთქვი, რათა სთქვიო. რათა ვსთქვი!.. პირველი, იმიტომ—რომ ენა ცოტად მექავებოდა; მეორე იმიტომ—რომ... მეორეს-კი, უკაცრავად, ვერ მოგახსენებთ, და იცით რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენში. ამას კი ვიტყვით, —ამ წერილს თირკმელები განგება აჰოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა. საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო. იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან,—რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ გიკიჟინებენ—რატომ არას ამბობო. აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქცევი—ჭარიანი მქვიან და დავდგები—ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა.

ნუთუ იმაზედაც ბოდიშის მოხდას მომთხოვთ, რომ „შინაურ მიმოხილვას“ დაგპირდით და ლაპარაკი კი გარეულზედ გაგიბით. მაგრამ, თუ ის საგანი, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი, შინაურ საქმედ არ მიაჩნია მკითხველს, მაშინ, მგონია, ბოდიში თითონ მკითხველმა უნდა მოიხადოს ჩვენის ქვეყნის წინაშე და წინათვე გულდადებით დაჯერებული იყოს, რომ თავს ვერას-გზით ვერ იპატიებს. შინაური საქმეა, ბატონებო, მერე ასეთი, რომ მაგ საქმეზედ არის დამოკიდებული იმისი პასუხი, რასაც ჰამლეტი თავისთავსა ჰკითხავდა: ყოფნა, თუ არ-ყოფნაო...

თუმცა შორი-შორს სიტყვა კია, მაგრამ ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ. ბატონმა იანოვსკიმ, რომელიც სწავლა-განათლების წინამძღვარია ჩვენს ქვეყანაში, ხომ მოგეხსენებათ, თავისი დედააზრი გამოაცხადა საერო სკოლების შესახებ და აღძრა სწავლების ენის თაობაზედ ბაასი, თუმცა კი აქ საბაასო არა იყო-რა. მეცნიერებას ეგ საქმე დიდი ხანია გაურჩევია და თავისი უტყუარი განაჩენი დაუდგენია. ეხლა ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი

პატარა დაბეჭდილი წერილი*). ღირს საცნობი წერილია, ჯერ იმითი, რომ დამტკიცებულია, და მეორე იმითი, რომ დღეის ამას იქით საეროს სკოლის საქმემ იმ გზაზედ უნდა იაროს, რაც იმ წერილშია ნაჩვენები და აღნიშნული. ბატონი იანოვსკი ამ წერილში ბრძანებს, რომ გამოცდილებამ დაგვანახვაო, რომ ბავშები სამსა და ოთხს წელიწადში ძლივს სწავლობენ კითხვას, წერას, ოთხს პირველს მოქმედებას არითმეტიკისას, მოკლე კატეხიზმოს და საღვთო წერილსა,**) ამიტომაც... ჩვენში რუსულის ენის სწავლებას სადღა მოასწრებენო, იტყვით თქვენ. რა ვუყოთ, რომ იტყვით? თქმა ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, თქმულში ლოღიკაც იყოს, და ამაზედ ვინა ბრძანდება უკაცრავად, თქვენა, თუ ჩვენა, არ ვიცით. ეს კი ვიცით, ჩვენს საეროს სკოლას, გარდა იმისა—რაც მისი პირდაპირი საქმეა, ერთი ტვირთი კიდევ მოუმატეს. განა არ იცით, რომ ვინც ერთს ფუთს ძლივსა ჰზიდავს, იმას მეორე ფუთიც რომ ზედ დაადოთ, უფრო სუბუქად ივლის.

ზემოთქმულს წერილში ერთი ყურადღების ღირსი აზრიც არის გაყვანილი ბ-ნ იანოვსკის სახელითა, სახელდობრ ისა, რომ საეროს სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უფრო უმეტესად რუსულს ენაზედ უნდა მიდიოდესო. ეს უბრძანებია ბ-ნს იანოვსკის 12 დეკემბერს; „попечительский совет“-ს, რასაკვირველია, მიუღია და 22-ს დეკემბერს თითონ ბ-ნს იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა. იგივე ბ-ნი იანოვსკი 28 დეკემბერს გაზეთს „Кавказ“-ში, № 348, ამბობს: „ყოველს კეთილად განწყობილს პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზედაო“. ამას ამბობს საზოგადოდ და მესამე განყოფილების შესახებ არა სცვლის ამ თქმულსა, მხოლოდ უმატებს, რომ რუსულად წაკითხული სტატიები დედა-ენაზედაც უნდა ითარგმნებოდეს ამ განყოფილებაშიო, და საგნები და სტატიები—შესწავლული დედა-ენაზედო — რუსულადაც უნდა ითქვასო. აქედამ ის გამოდის, რომ 12 და 22-ს დეკემბერს უპირატესობა საეროს სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაინც, რუსულ ენას დარჩენია და 28-ს დეკემბერს კი—დედა-ენასა. რომელი ერთი ვიწამოთ? რასაკვირველია 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიც არის და უკვე ქმნულიცა; და 28-ს დეკემბრისა კი—მარტო თქმულია და „Кавказ“-ის № 348-ში დარჩება სახსოვრად იმისა, რომ ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე.

---

*) **Об учебном плане начальной школы в среде туземного населения и о постановке в ней русского языка. Протокол заседания попечительского совета Кавказского учебного округа, 12 декабря 1880 г.**

**) რადგანაც, ამათ გარდა. საეროს სკოლის განსაკუთრებული საქმე—მოკლე ისტორიის, გეოგრაფიის და სამშობლოს შესწავლაც არის, მაშასადამე, საეროს სკოლას სამსა და ოთხს წელიწადში, ბ-ნ იანოვსკისავე სიტყვით, თავის ნახევარი საქმეც ძლივს შესძლებია. დიამც იყოს ის, რაც „დროება“-მ, თავის პასუხში მოახსენა ბ-ნ იანოვსკის. ამ საბუთით ამბობდა „დროება“ რომ აქაურ საეროს სკოლებისათვის—სამის წლის კურსით, რუსულის ენის დამატება მეტი საპალნეაო.

როჽ არევ-დარევა აზრებისა არავინ დაგვწამოს, ამ ორსავე საქმეს ბ-ნ იანოვსკისას, ქმნულსა და თქმულსა, რუსულადვე ამოვსწერთ ერთმანეთის პირდაპირ.

ქმნული 12 და 22 დეკემბერს:

«И наконец в III отделении преподавание должно вестись преимущественно на русском языке, с переводом всего изучаемого на этом языке на родной».

თქული 28-ს დეკემბერს:

«На основании этих положений, в каждой благоустроенной начальной школе преподавание должно быть ведено преимущественно на родном языке.

მას შემდეგ:

„В третьем отделении учебные занятия продолжаются при таком же распределении числа уроков на родной язык и русский, с тем, чтобы статьи, читаемые на русском языке, были излагаемы и на родном языке и чтобы предметы и статьи, изучаемые на родном языке, излагались, по возможности, и на русском.

ასე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

1881 წ.

ტ. VI, გვ. 105—114.

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, მაისი.

დასაწყისი უარმყოფელის მიმართულებისა რუსეთში.—მომხრეობა ძველისა და ახალისა.—ორი დიდი ბანაკი.—„მამები და შვილები“. — ევროპის კონსერვატორობა და ლიბერალობა.— ორკეცი სინჯვა საქმისა.— რუსეთში კონსერვატორობა რეტროგრადობ დ გადიქცა და ლიბერალობა მარტო უარყოფად.—პისარევი და მისი ზედმოქმედება. — რამ წაიყუა ყმაწვილ-კაცობა. — რით იკვებებიან დღესაც ჩვენებური შინგამომცხვარი ლიბერალები.—Современник-ი და ბაზაროვი, ბაზაროვი და პისარევი.— რათ მოხდა? — ჩვენებურ ლიბერალების უკან ჩამორჩომა. — არ იციან.— ჩვენშიაც ორი ბანაკია. — ახალი გუნდი ჩვენებურებისა. — მათი მიმართულება. — სლავიანების მაგალითი.— რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა? —ჩვენი პროგრამა.— ჩვენი საწყაო რა უნდა იყოს. — თვით-ამორჩეული დეპუტატები და ვენზელები. — ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭვილმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის-დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის-თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფა-ცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუბებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და

ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი აი საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი Современник-ი.

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად. აქაც ასე მოხდა. ცხადიც არის, რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ ფესვ-მაგარი კიდევ ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეჯერებულია და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა. თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი — ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად საღი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით, თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარმყოფელნი და ახლის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს— „შვილებისა“. ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად. „მამობა და შვილობა“ თვალად გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალ-წყალა ჰკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმაწვილე სამყოფი იყო ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე— მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მაღიარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენი.

პირველს შეხედვაში კაცს ეგონება — რუსეთის „მამების“ ბანაკი ერთის მხრით და „შვილებისა“ მეორის მხრით, ევროპის კონსერვატორობას და ლიბერალობას მოასწავებსო. ჩვენის ფიქრით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჰგავს ევროპის

ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვით. რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა არ არის დღეს-აქამომდე.

ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში ჩოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას — ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი — ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარს დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდამ განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დასდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრეთ-წოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა — მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს

ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად.

ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადასცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ, ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ — რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა; გაქირი ჰქმნეს ამაზედ და წინ ფეხი ვეღარ გადმოაბჯეს. ამის მაგალითი „Русский Вестник“-ია და „Московские Ведомости“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ღაღადებდა „Московские Ведомости“, დამნაშავეებს რაღა გასამართლება უნდაო, აიღეთ და ჩამოარჩევეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსამართლების წესს, რომლის შემოღებისათვის განსვენებული იმპერატორი მადლობით მოიხსენიება ისტორიაში. არც ერთი კონსერვატორი ევროპის არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა მაგ დიდს და ახალს დაწყობილებას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები“, რაღა უნდა ვსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინათ იქნებოდა მათის წყალობით.

ეგრეთმა წყალ-გაღმა გაბიჯებამ „მამებისა“-მ, ანუ უკეთ ვსთქვათ, გაჭირმა, — გააგულისა „შვილები“. ამან გაიფიცხა, გაამწვავა და გააკაპასა „მამებისა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარაყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარმყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი[21]. მისის მეთაურობით, ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადურჩნენ.

ეს ჩათრევა, რასაკვირველია, მარტო პისარევის მიმზიდველობით არ აიხსნება. აქ ყმაწვილის გონების გასატაცებლად უარმყოფელის მიმართულების სითამამე და გაბედულობაც იყო. ყმაწვილის გონებას ისე არა მიიზიდავს-რა, როგორც სითამამე, გაბედულობა. სითამამეს, გაბედულობას, ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ყმაწვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. პატარა ბავში მაშინვე ხელს გაუწვდის ხოლმე სანთლის ალსა. ჩვენ ამას ვამბობთ მარტო იმ ყმაწვილ-კაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ მაგ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ. არც იმის თქმა გვინდა, რომ უარმყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია-რა. ბულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მადა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცულლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფა-ცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოლოს-და-ბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცა-ტკუცით აპილპილდა და გონება-გაუხსნელი ყმაწვილ-კაცობა წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა ყმაწვილ-კაცობისამ კი, უფრო გონებაგახსნილმა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მაგ მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტყუილუბრალო ფრაზების ტკაცა-ტკუცსა.

ასე თუ ისე, პისარევის უარყოფა დიდ მოდად შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებელად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე — ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე — ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამგვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმაწყილ-კაცობის ბევრი წილი. დღესაც, აბა დააკვირდით ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდნენ. აბა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ, ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულები.

მანამ სახელოვანი Современник-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების“ ბანაკად გადიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენიევმა რომ ყოვლის უარმყოფელი ბაზაროვი გამოხატა, Современник-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა, თუმც-კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა Современник-ის საქმე იყო და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირა. პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაი-

კრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ეს? იმიტომ — რომ Современник-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა ამას გარდაცილებული და ბაზაროვსავით ავისა და კარგის გაურჩეველი. ამ სახით, პისარევმა ჭეშმარიტს ლიბერალობას წინ კი არ გაასწრო, არამედ გვერდზედ გაუხტა, მის მოძღვრებას ნახტომი შეეშალა, ფეხი მოუსხლტა და დაეცა. დაძველდა ის ახალიცა და ჩვენს ლიბერალებს ეგ ჯერ არ შეუტყვიათ.

დღეს რუსეთმა ბევრით წინ წამოიწია. თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადიქცა რეტროგრადობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავისი გაიტანა, თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი ხელოვნებაზედაც, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხსა და თავადზედაც; ყოველს ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელ-ქვეშ. ცხოვრების შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი სჯანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აჰნუსხა დასადგენად და ბევრი განსადევნად. მაგრამ რადგანაც ყოველი ესე ჯერ „ჩოტკში“ ჩაგდებული არ არის, ყოველს ამას ჯერ ჯამი არა აქვს გამოყვანილი, რომ მზა-მზარეულად ხელზედ დახვევის მეტი არა უნდოდეს რა, და რადგანაც ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თითონ აჰნუსხონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი-ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს. ამ სახით, ჩვენ ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირ-წინ გაეპარათ, და თუ გაოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაუღიათ, ვაი ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ შეუტყვიათ, რა დღეში არიან ჩაცვივნულები.

თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ-მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწი-ოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნაბეს, რომ ზედ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰლაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და

თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო—ჩვენის დაცემულის ვ ი ნ ა ო ბ ი ს აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს-აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თიატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებელად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდლის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგაწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსასცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილკაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო“, —ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულისფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჰკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

1881 წ.

ტ. VI, გვ. 117—130.

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, ივლისი.

სახელმწიფო მამულების გაცემის თაობაზედ.—საჭიროა ამის წესების შეცვლა.—სახელმწიფო ქონებათა მინისტრის პროექტი.—სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარი.— ჩვენი მწვავი ტკივილი.—მიზეზნი ჩვენის სწავლა-განათლების უხეიროდ მავლელობისა.—ქართველები ცოტანი რათ არიან სასწავლებლებში.—ჩვენი სამღვდელოება არა შველის სწავლა-განათლების საქმეს. ზოგიერთი რამ ჩვენს სამღვდელოებაზედ.—დეპუტატთა კრება.—სასაცილო ამბავი ამ კრებისა.

„ივერიაში“ ამ ორის-სამის წლის წინათ ნათქვამი იყო, რომ ის წესები, რომელსაც ჩვენებური სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ხმარობს სახელმწიფო მამულების იჯარით გასაცემად,—ისე დახლართულია და დახვლაბჭილი, ისე გაბმული და გამობმული და ისე შეუფერებელი, რომ კარს უხშობს ცხვირ-წინვე იმ ნაწილს ერისას, რომელიც პირდაპირ მწარმოებელია და მიწის-მომქმედი; ეგ წესები თითქო იმისათვის არიან დადგენილნი, რომ ამ ნაწილმა ერისამ თავ-ბედისა ვერა გაიგოს-რა და მითი ისარგებლონ მარტო იმათ, ვინც თითონ არ ამოქმედებს მიწას, და თუ იჯარით იღებს სახელმწიფო მამულებს—მარტო იმისათვის, რომ მიწის პირდაპირ მომქმედს მოგებით და გადამეტებულ ფასად გადასცეს. ჩვენებური გლეხკაცობა, რომელიც სუნით ეძებს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით აღება ცხონებასავით ენატრება, ვერასგზით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას, ვიდრე მაგისთანა წესები დარჩება და საწყალი მიწის-მომქმედი ხარბის მოიჯარადრის ხელში იქნება. მაგ წესების უმთავრესი ნაკლულევანება ის არის, რომ როცა იჯარით გაცემის ვაჭრობაა ხოლმე დინიშნული, გლეხკაცობა ვერ იტყობს. თუმცა რუსულ გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე, მაგრამ სად გლეხკაცი და სად გაზეთი, მერე ჩვენებური გლეხკაცი და რუსული გაზეთი. ამის გამო, მაგ ვაჭრობაზედ ქალაქელების მეტი არავინ ესწრობა. ამითი ორნაირი ვნება გამოდის. ერთი ის, რომ მამულები ჩალის ფასად რჩებათ ქალაქელებს, რადგანაც გლეხკაცობა, ესე იგი ისინი, ვინც მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირდაპირი მომქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის და ქალაქელებს მამულები უცილებლად რჩებათ. ამით შემოსავალი აკლდება სახელმწიფოს. მეორე ისა, რომ გლეხკაცი ტყუილ-უბრალოდ შუაში იჭყლიტება, რადგანაც ქალაქელი იღებს მამულს იჯარით მარტო იმის იმედით, რომ გლეხ-

კაცსავე გადასცეს და ერთი-ორად, ერთი-სამად და ზოგჯერ ერთი-ათა-დაც მეტი გამოჰგლიჯოს. ერთის მხრით სახელმწიფო ჰკარგავს, მეორეს მხრით გლეხი, და ამის დაკარგვა ისევ სახელმწიფოს დაკარგვაა, რადგანაც სახელმწიფოს, ჯერხანობით მაინც, გლეხი აცხოვრებს. გარდა ამისა, თვით ვაჭრობის წესები მეტად რთულია, გადაბმულ-გადმობმულია. მათს შესრულებას ბევრი დრო, მოცალეობა და ხარჯი უნდა, ასე რომ გლეხკაცი თავ-ბედს იწყევლის, ვიდრე საქმეს საქმეზედ მოიყვანს. ამ მხრითაც მაგ წესებს შეცვლა უნდა და განმარტივება, რომ გლეხკაცს სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან ადვილად საქმის დაჭერა მოუხერხდეს.

რასაკვირველია, თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა საქმეს საქმის თვალით უყურებს, სანატრელი უნდა იყოს, რომ იჯარით გაცემა მამულებისა ადვილად შესასრულებელ წესებით მოეწყოს, და მერე—რომ უფრო ბევრი მოვაჭრე დაესწროს ვაჭრობაზედ და მერე იმისთანა მოვაჭრე, რომელიც პირდაპირი მუშაა მიწისა. მაშინ მამულის იჯარის ფასიც აიწევს და გლეხკაცს კი მაინც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მაშინ, როცა ხარბის მოიჯარადრისაგან აიღებს მამულს.

ამ ბოლოს ხანებში რუსეთში სცნეს მაგ წესების უხეირობა და უვარგისობა. ეხლა-ხანს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრთა კომიტეტში იმის შესახებ, რომ გლეხკაცობას როგორმე გაუადვილოს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება. ეხლანდელს პროექტს მინისტრისას უმთავრეს აზრად ისა აქვს, რომ გლეხკაცობას მიეცეს ღონისძიება და გზა იჯარით იღოს სახელმწიფო მამული პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან და მათ შუა არ ჩაეჩხიროს სხვა კაცი გლეხკაცის საწეწად. ჩვენ ჯერ დარწმუნებით არ ვიცით, რა ღონისძიებაა და გზა ნაჩვენები, რომ ეს ფრიად საკეთილო აზრი განხორციელდეს საქმით. ჩვენ თუ ამ საგანზედ მოვიტანეთ სიტყვა, იმიტომ მოვიტანეთ, რომ აქაურმა მთავრობამაც მიაქციოს ამ საგანს თავისი ყურადღება და აქაურობის საჭიროების მიხედვით შესცვალოს უხეირო და დახლართული წესები სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემისა. დედააზრად ის უნდა წაიმძღვაროს, რომ გლეხკაცობას საკუთრივ და მიწათ-მომქმედს საერთოდ გზა და ღონისძიება მისცენ სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისა პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან.

* * *

ახალმა მინისტრმა განათლებისამ ბარონმა ნიკოლაიმ[22] გამოაცხადა ცირკულიარი სამოსწავლო მაზრების მზრუნველთა მიმართ. ეს ცირკულიარი თუმცა დაწვრილებით არას ამბობს საერო განათლების შესახებ, მაგრამ შიგ ზოგიერთი ზოგადი აზრია ისეთი, რომ მეტი არ იქნება საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ და გულში კარგად ჩავინარჩუნოთ,—იქნება როდისმე ჩვენც გამოგვადგეს. ბ-ნი მინისტრი აუწყებს მზრუნვე-

ლებს, რომ გარდა იმისა, რომ თქვენ უპირატესნი წარმომადგენელნი ხართ თავ-თავის ადგილას მთავრობის მზრუნველობისა საერო განათლების საქმეშია, თქვენ სხვა მოვალეობაც კისრად გდევთო. ადგილობრივ მოხელეობასთან და საზოგადოებასთან გაუწყვეტელი კავშირი უნდა იქონიოთ და ადგილობრივის საჭიროებისა და უმაღლესის მთავრობის შორის შუამავალნი თქვენ უნდა იყოთო. თუ ეს აზრი ჩვენშიაც გადმოვიდა მაშინ, აქაური მოხელენი განათლებისა ისე ალმაცერად აღარ დაუწყებენ ყურებას აქაურის საზოგადოების მოთხოვნილებას და საჭიროებას და ერთსაც და მეორესაც ძალაუნებურად ფასს რასმე დასდებენ, მაინც-და-მაინც ყურსაც არის ათხოვებენ და დაცინებით გვერდთ აღარ ჩაუვლიან, როგორც აქამომდე შვრებოდნენ.

სკოლამ არ უნდა დააშოროს მოწაფე შინაურობას, ოჯახობასაო, ამბობს მეორე ადგილას ბ-ნი მინისტრი. ძალიან არა სრულდება ეს ყოვლად საქები და გონიერი სურვილი მინისტრისა ჩვენებურ პედაგოგების ხელში, რომელნიც დღეს-აქამომდე ესე წინ-დაუხედავად ეურჩებიან ყოველს იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის კავშირის დაბრკვიდრებას შველის! ძალიან არ დამკვიდრდება ეს კავშირი, როცა ჩვენებური ბავში შინიდამ გარეთ ფეხს გამოადგამს თუ არა და სკოლის დირეს გადააბიჯებს, თავისას აღარაფერს არც ნახავს, არც გაიგონებს!..

დირექტორები და ინსპექტორები საერო სკოლებისა, როგორც პირდაპირნი მოხელენი საერო განათლების სამინისტროსი, უნდა იყვნენ მოხელეებად მთავრობის მზრუნველობისა და არა საზოგადოების თვითმოქმედების შემავიწროებელადაო, ამბობს აგრეთვე ბ-ნი მინისტრი. თვითმოქმედება საზოგადოებისა მათგან პატიჯცემულ და წახალისებულ უნდა იყოსო. სასურველია გულში ჩანერგული ჰქონდეთო, რომ ისინი საზოგადო საქმის მსახურნი არიან და არა მბრძანებლებიო.—ძალიან დიდი პატივისცემა და წახალისება არ არის საზოგადოების თვითმოქმედებისა, რომ წელიწად-ნახევარია რამდენიმე სოფლის საზოგადოების განჩინება სკოლის გამართვის შესახებ ჰყრია დღეს-აქამომდე გუბერნიის სამართველოში დასამტკიცებლად და არ იქნა, ეგ დამტკიცება არ ეღირსა. ღმერთმანი, ან ერთმა დირექტორმა და ინსპექტორმა ამისათვის თითი დასძრა და! შენც არ მომიკვდე!.. საწყალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რაც შეუძლიან, თავისის მხრით ცდილობს, და არამც თუ დაამტკიცებინა, ადგილიდამაც ვერ დააძვრევინა ვერც ერთი განჩინება.

თუ ღმერთმა ჰქნა და ბ-ნ მინისტრის ცირკულიარმა კავკასიის მთებს გადმოაბიჯა, გარდა ამისა თვალყური ადევნა ვინმემ, რომ თქმული ქმნულად იქცეს, მაშინ იქნება ჩვენებურ პედაგოგების ხელით ამოქოლვილი კარი განათლებისა ჩვენს ერსაც გაეღოს. იქნება მაშინ ჩვენც გვეშველოს რამე, იმ დრომდე კი დეე ინავარდონ, ვინც აქამდის ნავარდობდა ჩვენის ერის განათლების მოედანზედ.

ჩვენი ჯერ-ხანად უკურნებელი ტკივილი და ძალიან ჭვავი ტკივილი ის არის, რომ ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შესცვალონ და გაასწორონ. ნაკლულევანება ამ მოწყობილობისა ხშირად და ვრცლად ყოფილა ნაჩვენები აქაურ მწერლობაში. მაგრამ მითამ კედელზედ ცერცვი შეგიყრია, არავის ყურიც არ გაუბერტყნია. ან რად უნდოდათ, რომ ყური გაებერტყნათ? სწავლა-განათლების საქმე განა იმისთანა დიდი რამ არის, რომ ამისათვის თავი გაიცხელონ, ვისიც ჯერ არს. იქნებიან ერთი ათი-თხუთმეტი წელიწადი, მერე იტყვიან: „უკაცრავად, თქვენთან დანაშაული მაქვსო“, დაჰკვრენ ფეხსა და წავლენ. ვინ არის პატრონი? ვინ არის გამჩხრეკი? ერთი შიგ ჩახედონ აქაურს პედაგოგებს გულში გამჭრიახის თვალით და ნახონ, რა ღვარძლი აქვთ იმისთანა, რომ ესე ხანგრძლივ და შეუბრალებლად გესლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს. ერთი იკითხონ, სწავლა-განათლების მეტს სხვას რას ეძებენ და რათ ეძებენ ჩვენებური პედაგოგები? რას იზამ? გამკითხველი ვინ არის? არიან და ფარფაშობენ.

აქაურის სწავლა-განათლების მზრუნველის 1880 წლის ანგარიში რომ გადაათვალიეროთ, ნახავთ, რომ სწავლა-განათლება ჩვენში ტაატით მიდის და გულ-აცრუებით საზოგადოდ და ქართველობისათვის საკუთრივ; ნახავთ, რომ აქ, ჩვენში, სწავლა-განათლებას ყველანი ძალიან ნაკლებად ეწაფებიან და ქართველები ხომ ნაკლებ და ნაკლებ. კურს-შესრულებულები გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში სულ 52 კაცია. ამათში რუსი 24, სომეხი 15, ქართველი 4, თათარი 1, მთის მცხოვრები 1, ევროპიელნი 7. მცხოვრებთა კვალობაზედ ერთი გიმნაზიელი რუსებს მოსდით 833 კაცზედ, სომხებს 1,111 კაცზედ, ქართველებს 1,666-ზედ, მთის ხალხს 10,000-ზედ და თათრებს 12,500-ზედ. გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ჩვიდმეტზედ მეტი მოსწავლე არ მოდის ქართველი, მაშინ როდესაც რუსი ორმოც-და-ცხრაზედ მეტია და სომეხი ოც-და-ერთზედ მეტი. თითონ ტფილისის გიმნაზიაში ასში 41 რუსია, 31 სომეხი, ქართველი კი მარტო 16. საზოგადოდ ასს შეგირდში რუსია 35, თათარი 18, სომეხი 18, ლეკები და სხვა მთის ხალხი 11 და ქართველნი კი 10.

რას უნდა მივაწეროთ ესრეთი მცირედობა მოსწავლეთა რიცხვისა საზოგადოდ და ქართველებისა საკუთრივ? აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლობა და უმსგავსობა, იმიტომ რომ ის პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული. თითონ სასწავლებელნი ცოტანი არიან, და რაც არიან—ისიც ერთს ალაგას, ქალაქებში ჯგუფად თავმოყრილნი და არა გაფანტულნი და მორიგებულნი საჭიროებისამებრ სხვადასხვა ადგილას, ასე რომ მწყურვალნი ვერ მისწვდომიან. გარდა მაგისა, სწავლა-განათლების საქმისათვის

მეტად ცოტა ფულია ერთობ დანიშნული,—სულ მთელს კავკასიაზედ 822,246 მანეთია. თითო სულზედ $15^1/_3$ კაპეიკი მოდის. ეს, ჩვენის ფიქრით, საზოგადო მიზეზია. საკუთრივ ქართველების საქმეს კი სხვა მიზეზიც აბრკოლებს.

პირველი მიზეზი ის არის, რომ ქართველები უფრო სოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები კი ქალაქებშია, მაშასადამე სასწავლებელზედ ქართველები შორს არიან და მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისას. რუსები—როგორც მოხელეობის მქონენი და სომხები—როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში სცხოვრობენ, ესე იგი სასწავლებელზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზრდა და შენახვა. მეორე მიზეზი, რომ სომხებისა და სხვა რჯულის ხალხნი ქართველებზედ მეტნი სწავლობენ, ის არის, რომ სწავლა-განათლების საქმეს დიდს ხელს უწყობენ სომხისა თუ სხვა რჯულის ხალხის სამღვდელოება. ძნელად იპოვით სომხის მღვდელს და ან მაჰმადიანების მოლას, რომ თავის სამწყსოში სკოლა არა ჰქონდეს. კარგნი არიან ეს სასწავლებლები, თუ ცუდნი, იმით მაინც შველიან სწავლა-განათლების საქმეს, რომ პირველ ხანებში ბავშს დედა-ენის შემწეობით ცდილობენ გაუხსნან გონება, დედა-ენას ასწავლიან და წერა-კითხვას ავრცელებენ. ამ მიზეზით, რასაკვირველია, რიცხვი მოსწავლეთა—სომხისა, თუ სხვა რჯულის ხალხისა, მეტი იქნება ქართველებზედ. ქართველები ამ შემწეობას მოკლებულნი არიან იმიტომ, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ-გვარ საქმისათვის უღონოა და ამ უღონობით ძალაუნებურად გულ-ხელ-დაკრეფილია. ეგრეც იქნება დიდხანს, იმიტომ რომ ჩვენი სამღვდელოება თითონ იწვრთნება იმისთანა სემინარიაში, საცა დედა-ენას იმ ერისას, რომელ შორისაც ჩვენმა სემინარიელმა უნდა იმოძღვროს, სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ არ-სწავლება სჯობიან. ამისათვის ჩვენი უენო სამღვდელოება ძალაუნებურად უქმია იქ, საცა დიდი შემწეობა ეგრე ადვილი და შესაძლებელია. უქმია არამც თუ ერის სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ერის მოძღვრების საქმეშიაც. დამუნჯდა ამის გამო ჩვენის ეკლესიების კათედრა, გაუქმდა ყოვლად ძლიერი ქადაგება, წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამკითხველი არავინ არის. თუ სემინარიის მმართველებმა ამ საგანს ასე ყური მოუყრუეს და სემინარიის პროგრამას არა უხერხეს-რა დედა-ენის სწავლების შესახებ, არამც თუ ჩვენს საქმეს სწავლა-განათლებისას გზა წარემართება, არამედ თითონ მოძღვრობის საქმეც იქამდის მივა, რომ ჩვენი ერი იძულებული შეიქმნება „პერევოჩიკის“ შემწეობით ვაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა. თუ ეს მოსალოდნელი არ არის, აი თვალწინ აფხაზების მაგალითი გვიდგა. იქ იმისთანა მღვდლები თურმე დაუნიშნავთ, რომელთაც პურის დასახელებაც არ იციან თურმე აფხაზურად. აბა, აფხაზები ამათ როგორ უნდა გაენდვნენ, თუ არ „პერევოჩიკის“ შემწეობითა? თუ თითონ ერი არ გებრალებათ, ხაზინას მაინც გაუფრ-

. თხილდით, თორემ „პერევოჩიკების“ დაჭერა მოგინდებათ და, მაშასადამე, ჯამავირების ძლევაცა.

ეხლა-ხან აქაურ საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატები მოწვეულ იყვნენ ქალაქში. იმათ წარმოსთქვეს, რომ საჭიროა სასულიერო სასწავლებელში ქართული ენა რიგიანად ისწავლებოდეს, რადგანაც უენო მოძღვარი მოძღვრობას ვერ იზამსო. პასუხად უთხრეს, აბა ჯიბეს ხელი გაიკარითო, ქისებს პირი მოხსენითო და მერე ვიფიქრებთო. პასუხი თუ გინდათ ეს არის. ამისთანა პასუხი ასე მძიმე საგანზედ მარტო იმის პირისაგან თუ ამოვა, რომელსაც საქმისათვის გული არ უცემს. განა, თუ მღვდლებმა ამისათვის ფული არ გამოიღეს, მთავრობამ ამ საგნისათვის ხელი არ უნდა გასძრას?! ნუთუ მთავრობის უფწმინდესს მოვალეობას არ შეადგენს მზრუნველობა, რომ ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადოს, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყსოს გააგებინონ რაჰე და თითონაც სამწყსოსი გაიგონ. მოძღვარის ფარ-ხმალი ენაა. თუ ენა არ ეცოდინება, უქმია იმისი თანამდებობა. ენა ერისა იმოდენად საჭიროა ერის მოძღვრისათვის, რომ სამღვდელოებამ თითონაც არ ინდომოს, მთავრობამ ძალად უნდა მოანდომებინოს, და თუ მაგისათვის საჭიროა ხარჯი, თითონ მთავრობამ უნდა იკისროს. ნუთუ აქაური მმართველობა სამღვდელოებისა ჰფიქრობს, რომ თუ თითონ მღვდლებმა ამისათვის ფული არ გამოიღეს, საქმე ამით უნდა გათავდეს! ნუთუ ამ მიზეზით უნდა ამოიკვეთოს ქართულის ენის სახსენებელი საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა შორის! ნუთუ ჰგონიათ, რომ სარწმუნოების საქმეს ამით არა დაუშავდება-რა ჩვენში! ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი...

სასაცილო იყო ამ დეპუტატების მოწვევა. ყველგან და ყოველთვის, საცა-კი კრებაა ხოლმე დანიშნული, აუცილებელ წესად მიღებულია, რომ კრებისაგან გასარჩევი საგნები წინათ დანიშნული და გამოცხადებული უნდა იყოს, ნამეტნავად მაშინ, როცა კრება ამორჩეულ პირთაგან უნდა შესდგეს. ეგ წესი იმიტომ არის, რომ ამომრჩევლებმა საქმის სიდიდეს და სიმძიმეს შეურჩიონ შესაფერი კაცები და თითონ წევრთაც დრო და ღონისძიება ჰქონდეთ ყოველ-მხრივ მოიფიქრონ და მოისაზრონ კრებისათვის დანიშნული საგნები. ჩვენმა დეპუტატებმა-კი არამც თუ არ იცოდნენ, რისთვის იყვნენ მოწვეულნი, ისიც არ იცოდნენ, ამოდენა ქალაქში სად უნდა მოეყარათ თავი. საწყლები ჩამოვიდნენ, ხან სად მიაწყდნენ, ხან სად, და ბოლოს ძლივს იშოვეს ერთი ოთახი და როგორც იყო კრება გამართეს. ყველაფერი გაგვიგონია ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში და ამისთანა სასაცილო ამბავი-კი პირველია. ეჰ, კურთხეულო რუსთაველო! შენ რამდენი ხანია გითქვამს:

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?“

1881 წ.

ტ. VI, გვ. 139—148.

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, სექტემბერი.

ლოდინი.—არქეოლოგიური კრება.—თ. ლევან მელიქიშვილის სიტყვა.—ბ-ნი იოვაისკის სიტყვა.—მისი თბოვნა.—ფილისის მუზეიმი.—ბ-ნი ვირხოვი. გორის საქალაქო სკოლა.—ახალი გაზეთი „ცნობა".

ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ, მაგრამ, გვგონია, ადამიანს ბევრჯელ არ ენახოს ამისთანა გამოურკვეველი ყოფა, რა ვოფაშიაც . . . *) ერთობ გულდაწყვეტილია ყველა, ძალღონე-მიხდილია, მოდუნებული. ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ველარ მოუტრიალებია, სულით და გულით დახუთულია, გონებით დალაბრებული, გრძნობით მიცვეთილი. თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი. ადამიანს რაღაცა ჰწყურიან, რაღაცა ჰშიან, რაღაცას ეტანება მთელის თავის არსებითა, მაგრამ... მისაწვდომს ვერ მისწვდომია. გვიჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შეჰყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არვინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსჭყინდა, დღევანდელი ყველას შესძავდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა,— ეგ ხვალინდელის ლოდინია. გული ნდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა. სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდლის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო.

ეგ ლოდინი ისე არავის სულს უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ" განუყოფელად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია, ერთის სიტყვით—ვინც მამულის-შვილობის სახელის ღირსი შექმნილა . . . .*) სული დრტვინავს, გული ჰკვნესის ამაო ლოდინის გამო. შესვა, შეჰლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა, და—აჰა!—თუ ამ დაუსრულებელს სიბნელეში ერთი მცირედი

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულის რედ.

რამ შუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუგეშად!... საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ საშინელება თითქო დაუსრულებელიაო . . . .*)

ამისთანა მდგომარეობაში ყოველივე კაცა-ჩვეულებრივი ამბავი კაცს ცოტაოდნად მაინც გამოაცოცხლებს ხოლმე და ლოდინით გაბრუებულს გონებას გამოუჯიზლებს. ამისთანა ამბავი ჩვენ ქართველებისათვის ის არის, რომ დღეს დედა-ქალაქში არქეოლოგიური კრებაა გამართული. რვას ამ თვეს პირველი სხდომა იყო. ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა. განსაკუთრებით შესანიშნავი ეს არის, რომ არც ერთს სხვა ქალაქში რუსეთში, საცა კი ამ-გვარი კრება ყოფილა, ამოდენა ხალხი არ შეყრილა კრებაზედ, როგორც აქ, ტფილისში, შეიყარა. შვიდასი კაცი მეტი დაესწრო, მაშინ როდესაც ამისთანა კრებაზედვე ყაზანში და კიევში ორასზედ მეტი არ დასწრებულა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ყაზანსა და კიევში უნივერსიტეტებია და, მაშასადამე, უფრო დიდძალი ხალხი უნდა დასწრებოდა.

პირველს საათზედ მობრძანდა თ. ლევან მელიქიშვილი თავისის ამალითა და წარმოსთქვა ეს მოკლე სიტყვა: „დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა, როცა აქედამ წაბრძანდა, მე მიბრძანა, რომ მეხუთე არქეოლოგიური კრება გავხსნაო. დიდ პატივად მიმაჩნია, რომ მე მომეცა შემთხვევა ამის აღსრულებისაო. სიხარულით მომირთმევია ჩემი სალამიო უცხო ქვეყნელთა და ჩვენებურ მეცნიერთათვისაო, რომელნიც დღეს ჩვენ გვეწვივნენო“. ამის შემდეგ გრაფმა უვაროვმა წარმოსთქვა მოკლე ისტორია არქეოლოგიურ კრების დადგინებისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. მერე ღენერალმა კამაროვმა კრებას წარუდგინა ანგარიში ფულისა, რომელიც მთავრობისაგან გადადებული იყო ამ მეხუთე კრების სახარჯოდ. ბოლოს ავიდა კათედრაზედ მოსკოვის მეცნიერი ისტორიკოსი ილოვაისკი და წარმოსთქვა გრძელი და ფრიად უგემური სიტყვა. საგანი მისის სიტყვისა უფრო ის იყო, თუ როგორი დაახლოება ჰქონია უწინდელს დროში რუსეთთან კავკასიას საერთოდ და საქართველოს საკუთრივ. ამის შესახებ ახალი არა უთქვამს-რა და რაცა სთქვა, ისიც ასეთი რამ იყო, რომ ყველა ანბანში ადვილად საპოვნელია. ერთმა ადგილმა ბ-ნ ილოვაისკის სიტყვაში მიიქცია ჩვენი ყურადღება, მერე იმ, რომ კინაღამ სიცილი არ წაგვცდა. ბ-ნმა ილოვაისკიმ უადგილო ადგილას წარმოსთქვა სხვათა შორის: „გთხოვთ, მშვენიერო კავკასიო, გადაგვიხსნა შენი გული და გვაჩვენო აუარებელი სიმდიდრე, რომელიც შიგა და გარეთ ეგრე უხვად მოფენილი გაქვსო“. ბატონო და თუ ცალიერი თხოვნა მაგის შემძლებელი ყოფილიყო, ქართველებს თხოვნის მიცემას, თუნდ ღერბიან ქაღალდზედ, ვინ დაასწრობდა? მითამ ქართველებს სიმდიდრე არ გვეპირვება თუ? აი,

---

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ათტომეულის რედ.

ნეტავი, თხოვნის მეტი არა უნდოდეს-რა, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავისი საუნჯე და სიმდიდრე თავის გულიდამ ამოიღოს და ჩვენ მოგვცეს და, მგონია, თხოვნას ჩვენ ვერავინ დაგვასწრობდა. აქ ბატონო, თხოვნის და ვედრების საქმე კი არ არის, მეცნიერებით აღჭურვილის მეცადინეობის საქმეა. თუ გინდათ, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე ადამიანს ჩაუვარდეს ხელში, ხვეწნას და ღრეჭას თავი დაანებეთ და მეცნიერების ფარ-ხმალით შემოსეთ აქაურობა, თორემ მოსულხართ და დედამიწას დასჭახით: გთხოვთო. გთხოვთ, რა პასუხია! ბ-ნ ილოვაისკის სიტყვაში, რასაკვირველია, ხშირად იყო ხმარებული დიდებული რუსეთი და მართლმადიდებელი რუსეთი. საცა კი რუსეთი ახსენა, ან ერთი ზედშესრული მიაკერა, ან მეორე. ყველაზედ მომეტებული ტაში ბ-ნს ილოვაისკის ერგო იმ დღეს და, სწორედ მოგახსენოთ, ღირსიც იყო, თუ არ გამიწყრებით.

სხდომა ამ დღეს თითქმის ამით გათავდა. აქედამ ხალხი გაიწვიეს სხვა ოთახებში, საცა ძველი ნივთები და ხელნაწერი წიგნები იყო გამოფენილი. აქ ბევრი არ იყო-რა. ყველაზედ მეტი ყურადღება ყუბანიდამ მოტანილ ნივთებმა მიიზიდეს. ერთი მცოდნე პირი ამბობდა ყუბანიდამ მოტანილ ნივთებზედ, რომ ეხ ნივთები არქეოლოგიისათვის ფას-დაუდებელიაო. ექნება ეგრეც იყოს.

შემდეგ ხალხი წავიდა მუზეუმის სანახავად. მუზეუმის აღწერა შორს წავა. ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ტფილისის მუზეუმი დიდის გემოვნებით და მეცადინეობით არის მოწყობილი. სახელი და დიდება ბ-ნს რადეს, მუზეუმის გამგებელს. მართლა რომ მოსაწონი რამ არის, ლამაზად მოწყობილი და კოპწიად მორთული. ჩვენ ყველას ვურჩევთ თავისის თვალითა ნახოს და დარწმუნებული ვართ, მადლობელი დაგვირჩებიან.

ყველაზედ შესანიშნავი ამ კრებაზედ ბ-ნი ვირხოვია[23], გამოჩენილი მეცნიერი და მთელს ქვეყნიერობაზედ სახელგანთქმული. კაცი არ იყო კრებაზედ, რომ არ ეკითხნა: აბა ერთი ვირხოვი რომელია, გვაჩვენეთო. თითონ ვირხოვი ტანად დაბალი კაცია, ჭაღარა-მორეული, სამოცის წლისა იქნება, მაგრამ ისეთი ცქვიტი და ცოცხალია, ისეთი მკვირცხლი თვალები აქვს, რომ გეგონებათ — ოც-და-ათის წლის კაციაო. ეს იმისთანა კაცია, რომ მნახველს საკვეხურად უნდა ექმნას მისი ნახვა. გარდა ამისა რომ იგი მეცნიერებით განთქმულია, ბერლინის პარლამენტში ერთი ძლიერი მოპირდაპირეა ყოვლად-შემძლე ბისმარკისა და ამასთანავე პროგრესისტების წინამძღომელი არის.

***

ამ შესანიშნავ ამბავთან ორი შესანიშნავი ამბავიც კიდევ სხვა მოხდა ჩვენს უფერულს ცხოვრებაში: გაიმართა გორში ქალების სასწავლებელი და დაიბადა ქუთაისში ახალი გაზეთი „შრომა“.

ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა,—უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყვე-

ლამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის-შეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია. მაგრამ სასწავლებელიც არის და სასწავლებელიც. სკოლა, სასწავლებელი, ორ-პირი ხმალია. ენების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. ჩვენ არ ვიცით, საქალებო სასწავლებელი გორისა რაზედ არის დაფუძნებული. თუ მოძველებულ თეორიაზეა დამყარებული, რომელიც ეგრეთის გაბედვით ბ-ნმა ზახაროვმა ავარჯიშა ჩვენში ერთს დროს, ესე იგი—მასზედ, რომ ქართველს ქართული არ უნდაო და ყოველიფერი ამ უმაგვსო აზრს შეუფერა, მაშინ გორის საქალებო სასწავლებელი, როგორც სხვა მის მსგავსი სასწავლებელიც, სულ რომ არ ყოფილიყო, ის გვერჩივნა.

ნურავინ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით. თუ ღვთის მადლით გორის საქალებო სკოლას ეს საგანი დაუდვია თავისის პროგრამის სარჩულად, მაშინ სიხარული გვმართებს, რომ გორში საქალებო სკოლა გაიმართა, და თუ არა—ღმერთმა შეინახოს. ჩვენ იმისთანა სკოლისა არც მოტანილი გვინდა, არც გატანილი. გვეყო, რაც ჩვენმა საქალებო სკოლებმა ვნება მოგვიტანეს. ის საქმე დაგვმართეს, რომ ჩვენი ოჯახის-შვილი სკოლის დასრულების შემდეგ ჩვენს ოჯახში ისე შემოდის, როგორც უცხო თესლის ადამიანი. ცოლად შემოდის, ქალად, თუ რძლად, იმას ჩვენი აღარა გაეგება-რა და ჩვენ იმისი. ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთიერთობის კავშირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვექცა და ჩვენც გავწყალდით და მიწასთან გავსწორდით. გვეყო და გვამყოფინეთ, ღვთის გულისათვის!... მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გაურევთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! ნუ გადაუდგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგიისას. მოგვეცით სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედაკაცისა! ყოველივე ამას აცილებული არც თქვენი გაშოსაყენია, გვერწმუნეთ, არც ჩვენი. ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტყუილი შრომაა, ტყუილი ცდაა. ეგ კიდევ არაფერი, რომ შრომა და ცდა ტყუილია, საქმე იმაშია, რომ მაგ შრომით და მაგ ცდით ერთს აკლებთ და მეორეს არას ჰმატებთ. ტყუილ-უბრალოდ იღუპება მთელი მოზარდი თაობა, იღუპება ქვეყანა, რომლის იმედიც და ნუგეშიც მოზარდი თაობა უნდა იყოს.

მეორე სახსარი სწავლა-ცოდნის მოფენისა, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთობაა, ამ მხრითაც ჩვენს ქვეყანას ერთი ჯარისკაცი მოემატა.

როცა ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში ახალი ჟურნალი ან გაზეთი დაიბადება, ყველაზედ უწინარეს ენაზედ ეს კითხვა მოგვადგება ხოლმე: ცალკე რად და რატომ ერთად არა? თუ რამ შეუძლიანთ ამ ერთ მუჭა მწერლებს, ერთად მოიყარონ თავი, ერთად მოაგროვონ შეძლება და ღონე და ერთად გაისარჯნენ, უფრო კარგი არ იქნება? საცა ესეთი სიღარიბეა მწერლებისა, საცა მწერლები ესე ცოტანი არიან, იქ ცალკედ გასვლას მიზეზი რამ უნდა ჰქონდეს და დიდი საფუძვლიანი მიზეზიცა. ამ შემთხვევაში საფუძვლიანი მიზეზი ერთია და უკანასკნელიცა. მე სხვა გზას უნდა დავადგე, სხვა მიმართულება უნდა დავამყარო, სხვა საფუძველი უნდა დავუდვა ჩვენს ცხოვრებასა და სხვა აზრი უნდა ვიქადაგო. განცალკევებას ამ შემთხვევაში სხვა მიზეზი არ უნდა ჰქონდეს, ნამეტნავად ჩვენში, საცა ჟურნალი და გაზეთი, ხარჯისა და გარჯის მეტს, არაფერს გამორჩომას არა უქადის მწერალსა.

პირველი ნომერი რომ მივიღეთ „შრომისა“, მაშინვე სათაურს წერილს მივმართეთ, რადგანაც რედაქცია, თუ საჭიროდ დაინახავს, პირველს სათაურს წერილში აცნობებს ხოლმე მკითხველს თავის ვინაობას, არჩეულს გზასა და მიმართულებას. დიდის ყურადღებით გადავიკითხეთ ეგ წერილი და მარტო ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ რედაქცია ცდილა თავისის მიზნის გამოთქმასა, მაგრამ არა გამოუთქვამს-რა. როცა ამ საგანს ეხება რედაქცია, აი რას ამბობს:

„ბევრმა არ იცის, რომ შეიძლება ოდესმე მივაღწიოთ იმ ბედნიერებამდის, როცა მოძალეთა არ გვეწინოდეს, ცხოვრება მუდამ-დღე არ გვაგონებდეს პიროვნობის და თავისუფლების დამცირებას და. უკანასკნელ, არ ვიყოთ მუდამ ლტოლვაში დღიურს საზრდოზედ და ლუკმა-პურზედ, რომ კაცი იყოს უზენაესი წარმომადგენელი ბუნების ქმნილებისა და უზენაესი ქმნილება სხვა ქმნილებათა შორის დედამიწის ზურგზედ“.

რის თქმა უნდა ამით რედაქციას? იმისი თუ, რომ ბევრმა არ იცის და მე ვაცოდინებო. კარგი და პატიოსანი. მაგისთანა მოძღვრებისათვის, რომელი გაზეთი, ან ჟურნალი დაგიკეტავდათ კარს, თუ წერილი სხვაფრივადაც ღირსი იქნებოდა დაბეჭდვისა? რა ახალი მიზანია ეგა? აქ განსხვავება რაშია? განა კატკოვი[24] კი არ იტყვის, რომ შეიძლება იმ ბედნიერებამდის მივაღწიოთო? განა რომელიმე რადიკალური გაზეთი მაგას უარჰყოფს? არა. ეგ ხომ ზოგადი ფრაზაა, რომელიც განცალკევების მიზეზად არ შეიძლება იქმნას. მაშ რა საბუთი აქვს „შრომის“ მოვლენას ქვეყანაზედ?

„ჩვენდა საუბედუროდო,—ამბობს შემდეგ იგივე წერილი:—ჯერ კიდევ ცოტანი არიან, რომელნიც ფიქრობენ, რომ ტყვია-წამლის სიუხვე კაცობრიობის ბედნიერებას არ შეიცავს, რომ ხალხთა ცხოვრება მაშინ არის სრულად შემკული (მართლა, სრულად?), როცა მათში სუფევს ერთობა,

ერთმანეთთან ძმური დამოკიდებულება და როცა პირადი თავისუფლება მონებაში არ არის".

კიდევ ვიკითხოთ: რის თქმა უნდა ამით რედაქციას? უსათუოდ იმისი, რომ ცოტანი არიან და მე ვეცდები „გავამრავლო. ესეც, სწორედ მოგახსენოთ, ზოგადი ფრაზაა, წყობილ-სიტყვაობაა და არა მიზნის აღნიშვნა. აქ მაინც-და-მაინც მიზანი არა სჩანს.

„უეჭველია, «შრომის» რედაქცია ეცდება,—ამბობს იგივე წერილი,—რაც ღონე აქვს იშრომოს იმა მიზნისათვის". რომელი იმა მიზნისათვის? წინა სტრიქონებში გარკვევით და გადაწყვეტით არავითარი მიზანი არ არის აღნიშნული, გარდა იმისა, რომ—„ვისაც ცოტა რამე ესმის და სიმართლის სიყვარული გულში ჩავარდნია, მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ორიან დღის სიცოცხლე მისი ამ წუთის-სოფელში უნაყოფოდ არ გაატაროს და შეძლებისადა-გვარად თვისი შრომა და ღვაწლი იმ წმინდა მიზანს მოახმაროს, რომლის მისაღწევნელად ბევრმა სიცოცხლე შესწირა".

ამისთანა ორჯერ ორი ოთხი, როგორც ზემოთ მოყვანილებია, ანუ ამისთანა ფრაზები: „ყოველივე დამოკიდებულია პატიოსანს შრომაზედ, თავის მიზანს ყველაზედ უფრო ადრე ის მიუახლოვდება, ვინც მეტსა შრომობს ცხოვრების ასპარეზზედ", ანუ: „ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს შეძლებისადა-გვარად",—ეს ამისთანა ფრაზები იმათ არა ღირან, რომ მაგათ გულისათვის „შრომამ" ცალკე ეწიოს მძიმე ტვირთი მწერლობისა და „დროებამ" ცალკე.

მაინც-და-მაინც გზას ვულოცავთ ჩვენს ახალს მოძმეს, ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მისცეს ამ უკუღმართს წუთის-სოფელში და მტკიცედ შეასრულებინოს მართლადა პატიოსანის გაზეთის მოთხოვნილება, რომ ზოგადს ინტერესებს ემსახუროს და თავიდამ აიცილოს ლიტერატურის უკადრისი—პიროვნობის და კერძო ცხოვრების გაუპატიურება.

1881 წ.

ტ. VI, გვ. 151—160.

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, ნოემბერი.

ქვეყანა ვისია. — ოქრო და ხმალი.— ხმალი და გუთანი.—სახელოსნო-სამეურნეო სკოლა.—სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი.—ჩვენის თეატრის გამო.

ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო,—ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო,— იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო, — მოჰკვეხს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო, — იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა—გუთანია.

აი ამ ტეტია გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: „შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი: ექნება რამე,— მიიღებ, არა და პირში ჩალა გამოიგლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისვ კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიხრობ— მაშინ კი ქვეყანა ჩვენია". დიახ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით,

ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაკრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, მონგოლები არიან. ამათ მარტო ხმალს დაუჯერეს. ისინი მარტო ხმალს მიენდვნენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნები, დასწვეს, შეჰმუსრეს, მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს ხომ თითონაც მტვრად აღგვილ იქმნენ. წარჩინებულნი ერნი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერნი არიან. მაგრამ საცა-კი მივიდნენ, ყველგან გუთანი მიიმხრეს, და აჰა, დღესა ვხედავთ, რომ ყოველად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილიდამ დაძვრა ველარაფერმა ვერ შესძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე. შორს წასვლა საჭირო არ არის. მაგალითი თვალ-წინ გვიდგას. მაგალითები ჩვენ თითონ ქართველები ვართ. ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა,—ეგ იმიტომ—რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება.

რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი, მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძლომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმალმა ორ-გვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისია, ვინც მიწაზედ ფეხ-გადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ—რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა.

ყოველივე ეს იმიტომ კი არა ვსთქვი, რომ აქაო და გუთანი გვიჭირავს ხელში, გულს ხელები დავიკრიფოთ და ამით მოვიწონოთ თავი. არა, ბატონებო, გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შეძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა — სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის-მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, — სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გაჩართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა,

და მით უფრო აღვილი, რომ ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ რუსეთში საკმაოდ ფართო გზა მისცა საზოგადოებას მაგ სკოლების დაარსებისათვის. ფრიად საყურადღებო აზრებია გამოთქმული სამინისტროს პროექტში ამ საგანზედ, და თუ ის პროექტი დამტკიცდა და როგორმე ჩვენამდინაც მოაღწია, დიდი საქმე იქნება. აი ამ საგანზედ რას იწერება ერთი რუსული გაზეთი: „ახალი პროექტი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი სრულ ნებას და უფლებას აძლევს თითონ ერობას, მეურნეობის საზოგადოებას და კერძო პირთაც, გამართონ სახელოსნო-სამეურნეო სკოლები. გამმართველთა ნებაზედ არის მიგდებული, დააარსონ ეგ სკოლები კერძო პირთა მამულებში, თუ სხვაგან სადმე. მთავრობა თუმცა ჰკისრულობს ნაწილს სკოლის ხარჯისას, მაგრამ სკოლის გამმართველთ სრულს ნებას აძლევს თითონ ამოირჩიონ სკოლის გამგებელიც, ოსტატებიც და მზრუნველებიც და ყოველივე გამგეობა სკოლისა თითონ იქონიონ. მხოლოდ უმაღლესი ზედამხედველობა და ხელთმძღვანელობა რჩება წთავრობასა. სახელოსნო-სამეურნეო სკოლაში მოსამსახურეების გასანსყველო და აგრეთვე სამსახურის უფლებანი უფრო უკეთესნი არიან, ვიდრე საოსტატო სემინარიის მოსამსახურეებისა“.

გაოდა ამისა, რადგანაც ამისთანა სკოლაში უფრო მოზრდილი ყმაწვილები უნდა შევიდნენ და მოზრდილი ყმაწვილი გლეხკაცისათვის რადმე ღირს შინაობაში და იმისი ნოშრობა მისთვის დასაკლისია, დადებულია — რომ ყოველი შეგირდი, რომელიც სკოლაში შევა, მოჯამაგირესაგით იყოს: ეძლიოს საჭმელი, სასმელი, საცმელი და ჯამაგირიცა.

თუ ღმერთმა იპრიანა, ეს პროექტი დამტკიცდა და ჩვენც გვეღირსა, იქნება ჩვენც გვეშველოს რამე. სხვა რომ არა იყოს რა, აქამდის ეგრეთ გაძხელებული საქმე სკოლის გამართვისა, ნებადართვის აღებისა, გაძვიღებული მაინც იქნება. აქაური სამეურნეო საზოგადოება, მას აქეთ, რაც ლოჭინის სკოლა გაუქმდა, ბევრსა სცდილობს მაგ-გვარი სკოლის გამართვისათვის, მაგრამ დღეს-აქამომდე ვერაფერს გამხდარა. ამას წინათაც, ესე იგი უკანასკნელს კრებაზედ, კიდევ ჩამოაგდეს ამ საგანზედ ლაპარაკი და არ ვიცით ბოლო როდის მოელებასიტყვას და სიტყვა საქმედ როდის გადიქცევა. ჩვენ ვურჩევთ აქაურს სამეურნეო საზოგადოებას, თვალ ყური ადევნოს ზემოხსენებულს პროექტს და, როცა დამტკიცდება, იშუამდგომლოს, — რომ ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას, თორემ, როგორც ვიცით ზოგიერთების თოხარიკი, აქაც „ადგილობრივ გარემოებას“ წამოსჩხირავენ და მის მოწყალებით პირში ჩალას გამოგვისმენ.

* * *

ამ ბოლოს დროს ხშირი ლაპარაკი გაიმართა ჩვენის ქართულის თეატრის თაობაზედ. უჩივიან, ცოტა ხალხი დადისო, და მართალიც არის. მართალია, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ ამის მიზეზს მოძებნა უნდა და, თუ შესაძლებელია, მოსპობაცა. მიზეზების მაძიებელთ დაუჟინიათ, ყველა-

ფერში კომიტეტია დამნაშავეო. ამ ბოლოს დროს ძალიან გაუადვილდათ ამ-გვარის მიზეზების პოვნა. თუ რაიმე საქმეს თვალსაჩინო კაცი, ანუ საზოგადოება ჰყავს, მაშინვე გახარებულნი მისცვივიან და ყვირიან: მიზეზი აი ეს კაცი, ანუ ეს საზოგადოებაო და კმაყოფილნი ფარფაროებენ — თითქო ან კაცი, ან საზოგადოება ყოვლად შემძლებელი იყოს. სვანეთში სკოლა არ არის. რატომ არ არის? ღმერთმანი, დიდხანს დაუფიქრდებიან და სიგრძე-სიგანეს გაუზომვენ ამ კითხვას? თავი რაზედ აიტკივონ. ხომ არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაჰკა, მაგისი ბრალიაო. თეატრში ხალხი არ დაიარება. რატომ? ხომ არის რაღაც უბედური კომიტეტი, დაჰკა, მაგისი ბრალიაო. „ვეფხვის-ტყაოსნის“ რედაქცია ერთს საღამოს არ შეუშკიათ ბანკის სადგურში მოსამსახურეებს. რატომ? იმიტომ, — რომ ბანკს გამგებელნი ჰყვანან, დაჰკა, იმათი ბრალიაო. იმას კი აღარ კითხულობენ, აქვს იმდენი ღონისძიება წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ ამოდენა საჭიროებას გასწვდეს და სვანეთამდინაც ხელი მიაწვდინოს, თუ არა? არა კითხულობენ, აქვს რამე ღონისძიება თეატრის კომიტეტსა, რომ ხალხი ბლომად მირეკოს თეატრში? არა კითხულობენ იმას, რომ საღამოობით — ბანკში, თუ წინ-და-წინვე არ აცოდინებ, არავინ არ უნდა შეუშვან, თორემ ჯიბგირები სხვის სახელობით ძალიან ადვილად გაიღებდენ ბანკის კარებს. ნუთუ ყოველს ამას დიდი ჭკუა და გამოძიება უნდა? არ უნდა, მაგრამ რასა იქ?

ჩვენ ჩვენს საგანს დავშორდით. ჩვენის თეატრის საქმე ჯუჭამშია იმიტომ კი არა, რომ კომიტეტია რაღაც, არამედ იმიტომ, რომ თეატრმა ხანგრძლივის მოქმედებით უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნეს ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი — კერძო პირთა მასხარად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალ-წინ წამომაყენებელი. ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი. რიგიანს რეპერტუარს ბრძანებით ვერავინ ვერ შეჰქმნის. ეგ დროისა და გონების გახსნის საქმეა. აქაც ჯერ მოცდა გვმართებს, ჩვენდა სამწუხაროდ. თუნდ რომ ეგეც არ იყოს, ჩვენის ქალაქის საზოგადოება თეატრის საზოგადოება არ არის. თეატრს არავად არც დაბალი ხალხი ინახავს, არც მაღალის წრისა. პირველს ამისათვის მოცლა არა აქვს და მეორეს უამისოდაც ბევრი გასართობელი აქვს. თეატრს ყველგან ინახავს კუჭ-მაძღარი მოქალაქობა, რომელიც ჩვენში არამც თუ კუჭ-მაძღარია, არამედ ფეხ-აუდგმელიცა. სამწუხაროა ეს, თუ სასიხარულოა, არ ვიცით. ჩვენ მხოლოდ ეს გარემოება აგვინუსხავს და მიზეზად დავვინიშნავს. სხვა თუ რამ წვრილმანი ნაკლულოვანება აქვს ჩვენს თეატრს, ეგ ყოველივე წარმავალია. ჩვენი დღევანდელი დასი თეატრისა ბევრად უკეთესად ეკიდება ცხლა თავის საქმეს, ვიდრე ოდესმე. წარმოდგენების მსვლელობას მიზეზი არა გვაქვს დავემდუროთ. ამ მხრით საქმე საკმაოდ კარგად მიჰყავთ. მაგრამ ერთი რჩევა კი უნდა მივცეთ და, თუ ყურადღება არ მიაქციეს,

ამ ერთ მუჭა ხალხსაც შემოიფრთხობენ, რომელნიც ეხლა დაიარებიან, და თეატრის საქმეს ძირს მოუთხრიან: ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი ცოდვა.

მაშ რა ვქნათო, იტყვიან, თუ არც რეპერტუარი გვაქვსო და არც მაყურებელნი გვეყოლებიანო ჯერ-ხანად? როგორც იყოს, უნდა თეატრი მაინც-და-მაინც შევირჩინოთ, მაინც-და-მაინც ვამოქმედოთ. რითა და როგორ? შეწირულობითა. ვისაც რამდენი შეგვიძლიან—უნდა შევწიროთ და გარდა ამისა ვეცადნეთ—რომ სხვამაც შესწიროს. ამით იქნება იმოდენა მაინც მოგროვდეს, რომ თეატრმა თავი ირჩინოს. არ იქნება ცუდი, რომ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ეს შუამდგომლობა საზოგადოების წინაშე იკისროს. წელიწადში სამასი თუმანი სულ ფეხზე დააყენებს ჩვენს თეატრს იმ მხრით მაინც, რომ დასი კოლება. ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნობის საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულ-აცრუებული და გულ-აყრილი არ არის.

1881 წ.

ტ. VI, გვ. 163—170.

1883 V.

შინაური მიმოხილვა

1883 წელი, თებერვალი.

შორიდამ თითქო ვართ რანიმე. – მკირე ნუგეში.—ორი ნაკლი.—ჩვენი გულგრილობა. — საიდამ დაგვჩვდა.—უწინდელი ძალ-ღონე.—ახალი სენია. — აღვილი მისახვდომია. – ორ-პირი მაგალითი.—ჩვენი ულონობა.—რაო ვიქნებით.—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. – მისი ყოფა.—გარეული და შინაური.

შორიდამ რომ შემოგვხედოს უცხო კაცმა და შენიშნოს, რომ ჩვენ თავად-აზნაურთა საზოგადოებაცა გვყავს ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, ქართული დრამატიული საზოგადოებაც, საკუთარი საადგილ-მამულო ბანკებიც, გაზეთებიც და ჟურნალებიც, მწერალნიცა და მკითხველებიცა, ყოველივე ეს რომ შენიშნოს, იფიქრებს, ამ საქართველოს ერს არა უჭირსაო. ცნობიერს ცხოვრებაში წილი ჩაუდვია, სიკეთის და განვითარების გზაზედ ფეხი მკვიდრად მოუკიდებიაო. რასაკვირველია, ცოდვა იქნება ვსთქვათ, რომ ყოველივე ესე მცირეოდენად მაინც სანუგეშოდ არ მიაჩნდეს იმას, ვისაც ჩვენის ერისა და ქვეყნისთვის გული შესტკივა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველს ამას საძირკველი და ნიადაგი რომ შინაურულად გავუსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ რაღაც აკლიათ, არიან და აღარც არიან. ერთი უდიდესი ნაკლი იმისთანა თვისებისაა, რომ სხვაზედ არის დამოკიდებული და არა ჩვენზედ. ბევრიც რომ თავი კედელს ვახალოთ, ამას ჩვენგან საშველი არა აქვს რა, თუ საერთოდ ყველას არ ეშველება. მეორე უდიდესი ნაკლი კი ჩვენ ხელთ არის, ჩვენის მიზეზით არის, თუმცა იდუმალი კავშირი კი აქვს პირველ დიდ ნაკლთან. ეგ მეორე ნაკლი ჩვენი გულგრილობაა ყოველს მასზედ, რაც პირდაპირ ჩვენ არ შეგვეხება, რასაც კი საერთო, საყოველთაო ფერი ადევს.

საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჰკუა, გონება, გული, საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც „ჩემობის“ ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი

ეროვნული სიმტკიცე და დაუღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს „მეს“ უკან დააყენებდა.

ამით უფროა საკვირველი, საიდამ შემოგვეპარა, საიდამ შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა „მე“-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წაგვახდინა ესე? ეგ სენი ახალი სენია და საიდამ არის მოსული, ვისგან დანერგილია — ეგ ადვილი მისახვდომია: იმისგან, ვისაც უძლური „მე“ უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალ-გულოვანი „ჩვენ“.

ასეა თუ არა, ჩვენ კი, როგორც მემატიანე ჩვენის შინაურის ცხოვრებისა, შევნიშნავთ, რომ დღეს ჩვენს ყოველ საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზა-კვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითოეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.

თუ ზემოხსენებულნი საზოგადოებანი იმით სანუგეშონი არიან, რომ მაგალითს წარმოგვიდგენენ, რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის ერის სურვილი ხელახლად „ჩვენობას“ ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის მინუშიც არიან, თუ რამოდენად ძლიერია დღეს ჩვენში თვითეულობა, განცალკევება, განზედ დგომა და საკუთარი „მე“.

თვითოეული ის საზოგადოება, თუ გაზეთი, თუ ჟურნალი, ორიოდე კაცის მხნეობით, ხარჯით, ოფლით და ღვაწლით თუ სულდგმულობენ, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიდამ ჰყავთ. ყველა სხვა გულაყრილია, თითქო ამ ერისა, ამ ქვეყნისა არ იყოს. ეს ამბავი იმოდენად უღონოდა ხდის ყოველს ჩვენს საზოგადო დაწყობილებას, რომ დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავს დაუსჯელად, და იმიტომა ჰქელავს,— რომ ქომაგად და მოსარჩლედ მარტო ორიოდე კაცია და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის ამომღები არავინ არის.

აი, თუნდა ავიღოთ მაგალითად „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. დამტკიცებული წესდება აქვს, მთავრობისაგან მინიჭებული აქვს ზოგიერთი უფლება, მაგალითებრ—იქონიოს თავისი სკოლები, იმ სკოლებში მთელი სწავლება მოაწყოს დედა-ენის შემწეობით, მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს თვის განკარგულების ქვეშ სოფლის სკოლები, რომელსაც თითონ სოფლის საზოგადოება თავისის ყრილობის განაჩენით მას მიანდობს. ყოველივე ეს უფლება მინიჭებული აქვს უმაღლესის მთავრობისაგან და, წარმოიდგინეთ, ერთი სკოლა კანონის ნებადართვით დღეისამდე არსად არ გაუმართავს, ბათომის გარდა. ეს სამწუხარო

ამბავი განა იმ მიზეზით არის, რომ თითონ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ზარმაცობდეს, არამედ იმ მიზეზით, რომ მთელის ორის და სამის წლობით დადის სკოლის გახსნის თაობაზედ წარდგენილი ქალალდი ერთის სამწერლოდამ მეორეში და ამ სიარულს ბოლო არა აქვს.

ჯერ აქამომდე ბ-ნი გუბერნატორი საზოგადოებისაგან წარდგენილს სოფლის განაჩენს სკოლის გამართვის თაობაზედ ამტკიცებდა. ორი ამისთანა განაჩენი უკვე დამტკიცდა. მაგრამ რა? ახლა სხვა მხრივ გამოუჩნდა საზოგადოებას დაბრკოლება და არც ერთი სკოლა, იმ განაჩენებში მოხსენებული, დღესაც კანონიერად ნებადართული არ არის, თუმცა ერთი მათგანი კი არსებობს. ამაზედ გამართულს მიწერ-მოწერას ბოლო არ მოეღო და მოეღება შემდეგშიაც თუ არა, ეგეც არ ვიცით. ამ დაგვიანებას კიდევ, როგორც იქნება, გავუძლებდით, იმიტომ, პირველი, რომ ჩვეულნი ვართ და მეორე იმიტომ—რომ ვიცით, ჯერ სამწერლოებში რკინის გზები არ არის დამართული ფეხაჩქარებით სიარულისათვის. ჭირი ეს არის, რომ ბ-ნი გუბერნატორი უწინდელებ აღარ ამტკიცებს სოფლის ყრილობის განაჩენებს, ვიდრე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სხვა გზით ნებართვას არ აიღებსო სკოლის გამართვის თაობაზედაო. მაგრამ ამ გზას გავლა საზოგადოებას გაუძნელდა და დღეს ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე ამ სანატრელს და ბედნიერს ყოფაშია სკოლების გამართვის შესახებ. ვინ არის პატრონი? ვინ არის ხმის ამომღები?

ამბობენ, თ. დონდუკოვს[24] ელიანო, რომ ეს ამბავი დაწვრილებით აცნობონო, და იმედს ნუ დავკარგავთ, რომ მაშინ მაინც იქნება ეშველოს ჩვენის საზოგადოების საქმეს.

ყოველი ეს დიაღ საგულისხმოა და თუმცა სატკენია, მაგრამ საწყენი კი არ არის. რა ვუყოთ? ჩვენმა ბედმა ეგრე გასჭრა. ამ შემთხვევაში ერთი ზღაპარი მოგვაგონდა დეღინაცვალზედ. მაგრამ მეტად გრძელია და იმის ამბავი შორს წავა.

1883 წ.

ტ. VI, გვ. 327—331.

შინაური მიმოხილვა

1883 წელი, აგვისტო *)

ბატონ-ყმობის გადავარდნამდე. — ჩვენი ცხოვრება მე-40 და 50 წლ. განმავლობაში.—სიბნელე და უარაობა მაშინ. — მაიტო სიცოცხლე გვინდოდაო. — გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. — ნაკლი ძველ მოდგმათა შორის. — ჩვენი დროისანი ძველს ეკუთვნოდენ.—ის ძველნი აღარავის ახსოვდა. — „წარივლტნენ დრონი“. — აი, რას ამბობენ. — გაჭირვება მაინც თავს დაგვტრიალებს. — „იმედოვნებას ვუწოდებთ ფარად“. — კაი ნიშნები. — ქართულ ენას ვიცავთ, მაგრამ მაინც ვერ დაგვიცავს. — უბრალო ხალხი და განათლებული საზოგადოება.—სასიამოვნო ამბავი გულგატეხილთათვის.— როზგების შეპოლება სასწავლებლებში —ნუ გინდა სწავლაო. —ვაკანსიების უქონლობა ჩვენებურ სასწავლებლებში. — ვაი რა დავკარგეთ. — რასა ვხარჯავთ ქართულის წერა-კითხვის გავრცელებისათვის.—ანკარაში წერა-კითხვის საზოგადოებისა.— შეპოზიციულობა ივ. მესხიევისა. — სამეურნეო სკოლა წინამძღვარიანთ-კარში. — სიტყვა ი. წინამძღვარიშვილისა და ი. ჭავჭავაძისა.

ამ ოცი, ოც-და-ათი წლის წინათ, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინცა შესაძლებელი ყოფილიყო. როგორც ზურუსიანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაც. [არც წვიმა სადმე, არც ქარიშხალი; ელვას რომ ათასში ერთხელ ვღირსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, ხელს აღვაპყრობ-

*) ეს „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ავტორს დაუმზადებია „ივერიის“ 1883 წლის აგვისტოს ნომრისათვის, ცენზურამ აკრძალა. ამის გამო ავტორი იძულებული გამხდარა გადაემუშავებია წერილი და ამოეგდო ტექსტიდან მთელი რიგი ადგილებისა; ეს შემოკლებული და დაახინჯებული ტექსტი მიმოხილვისა დაიბეჭდა „ივერიის“ 1883 წლის სექტემბრის ნომერში.

საქართველოს ცენტრალურ სამეცნიერო არქივში, საცენზურო კომიტეტის საქმეებში, აღმოჩნდა თითონ პირველი დედანი ამ წერილისა, რომელიც ცენზურამ აკრძალა. ჩვენს გამოცემაში ტექსტი ამ პირველი დედნის თანხმად დავბეჭდეთ.

რათა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმ-დროინდელ საცენზურო პირობებზე, ყველა ის ადგილები, რომელიც ცენზურას ამოუღია ამ წერილიდან, დაბეჭდილი გვაქვს კურსივით და მოთავსებულია სწორ რკალებს შორის [ ].

ათტომეულის რედ.

დით ცისკენ და ღაღადებით ქებასა და მადლობას ვეუბნებოდით უფალს—ელვისა და ქუხილის გაჩენისათვის ერთის წამით მაინც].

დიახ, ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, დრო მე-40 და 50 წლთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა [და ეროვნულის] მიმძინარებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამ-გვარის მიმძინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ. იგი ზედმიწევნილის სინამდვილით გვიხატავს მაშინდებურს [ჩვენს არარაობას], ჩვენს სილატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას; ჩვენს მოღალულობას ცხადის საბუთებით მოწმობს დღესაც მაშინდელი ჩვენი მწერლობა და ლიტერატურა. მაშინდელის ჩვენის მოღალულობის, [ჩვენის დავარდნის, ჩვენის განიადაგების] ცხადი, უტყუარი სახსოვარია ეგ ჩვენის გონების ნაღვაწი: მტკიცედ და მეუგრად სდებს მაშინდელი ძველი მწერლობა, რომლის ბურუსიან, მიძინებულს გაოეჰო ჰაერს ხანდისხან და იშვიათად დაარღვევდა ხოლმე ნ. ბარათაშვილის [წარსულ დროთა მოგონებით დაწყლულებული] პოეზია და გრ. ორბელიანის ღრმად [ეროვნული] პოეტური კალაჰი.

მაგრამ ეს ორი კაცი და კიდევ ორიოდე სხვანი მე-40 და 50 წელთ არ ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ სხვა დროს აღზრდილნი, [სხვა ანდერძის გავლენის ქვეშ, სხვაგან რბოდა მათი გონება, სხვა მიმოგონება სწყლავდა მათ გულს]. ესენი იყვნენ ცოტანი და მათი აზრის და გრძნობის გაელვება მაოლოდ ოდნავ არღვევდა იმ დროს გარემო [წყვდიადს], მხოლოდ ოდნავ აფხიზლებდა დაძინებულს ქართველთ გონებას.

ამ-გვარი გაჭირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდის-ხნის მღელვარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიჩვენებთ ერს, რომ როდისმე მაინც ისევ ამ-გვარადვე გასჭირვებოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანას და ერს უჭირდა ორძოციან და ორმოც-და-ათიან წლების განმავლობის დროს. (მეისტორიე მიშლესი არ იყოს, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ მდგომარეობაზე ლაპარაკობს], მაშინ რომ ქართველისთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ.—მაგის გარდა კიდევაო? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ.—რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო?—ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევ მხრებზე გვაბიაო, რომ ჩვენის თავისთვის გვეთქვა, ფიქრი არა გაქვს, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მომკვდარხარო.

ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, [რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორციათაც არ დავიღუპოვო].

აბა ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდა აზრსა, გონებას, თავგანწირულებას [ერისათვის], საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამ-გვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასპარეზი.

აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ამ ქვეყანას ჰყოლია [ხალხისთვის და მამულისთვის] მხნე მუშაკნი, მხნე მებრძოლნი, ნიჭით და ქველობით სავსენი. [აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ეგ საზოგადოებრივი ასპარეზი იყო დიდ სამსხვერპლოდ გადაქცეული და ამ სამსხვერპლოზედ იკვლოდნენ და იწირვოდნენ ძენი მამულისანი, რომ ეს უკანასკნელნი მათსავით ძვირად არ აფასებდნენ თავიანთ თავს, თითონ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელს არსებობას, უსულოდ, უგულოდ, ქვეყნისათვის თავგამოუდებლად, მისთვის თავშეუწუხებლად].

დიახ, ორმოციანი და ორმოც-და-ათიანი წლების წინაპარნი საქმის ხალხი იყო, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, ბოზბაშისთვის და ჩიხირთმისთვის აგრე-რიგად არ ზრუნავდნენ: არც დრო ჰქონდათ, არც შეჩვეულნი იყვნენ ამ-გვარებზე ზრუნვას. [პტერი მუდამ კარზე, მმართველობა, წესისა და წყობილობის დაცვა, უშიშროების დამყარება, ქვეყნის წინ-გაძღოლა, მტერსა და მოყვარესთან პირნათლად გამოსვლა და გაძღოლა,—ყოველივე ეს თვითოეულად და საზოგადოდ შეადგენდა მაშინდელის ქართველის საზრუნავს საგანს, მისის გონების და აზრის სავარჯიშოს].

ყოველივე ეს აღიხოცა, ყოველივე ესე გაჰქრა და ქართველი ორმოციანისა და ორმოც-და-ათიანის წლებისა [დარჩა უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებული, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი]. ამათ დროს, [ამ გმირების დროს],—

„...სადღა იყო ყაბახი?
სად იყო საჯირითო, სავარჯიშო ცხენისა...“

მათთვის ყოველივე ესე დრონი შეიქმნენ სიზმრად, ყოველივე ესე—

[„...დრონი, ვაი რა დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარივლტნენ, განჰქრნენ, სიზმარებრ ჩქარად“.

ვაი რომ მათ ვეღარ სთქვეს თავის-თავზე ის, რაც პოეტმა სთქვა:

„...არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!“]

ეხლა ის დრო აღარ არის, [ყამმა ჩვენმაც მოაღწია]. ეხლა სულ სხვა-გვარი ლაპარაკი ისმის, უფრო საიმედო, უფრო გამამხნევებელი, არაც თუ მარტო, [დასავლეთ ევროპაში, არამედ] რუსეთშიაც. [აი რას ამბობს ერთი რუსის მწერალი, რომლის კეთილ-საიმედო სახელს ეჭვ-ქვეშ მხოლოდ კატკოვი[25] აყენებს.

„საზოგადოდ,—ამბობს იგი,— ინტერესია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავის ისტორიული ეროვნობა, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.

„ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია; დიდი უბედურობისა და დამცირების შემდეგაც კი იგინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურგებელს სიმძულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ“.

ეხლანდელ დროში ხომ, როცა ასე საყოველთაოდ განმტკიცებულია და აღგზნებული ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესე-გვარი საქმე უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა,—ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა, და სუყველა ეს მტრის გასახარელად, მტრის სასარგებლოდ. ეს საქმე აღემატება კაცთა შემძლებლობას. თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას.

ჩვენ აღარას ვიტყვით სხვა რუსეთის მსწავლულთა და მეცნიერთა აზრსა და შეხედულობაზე ამ საგნისავე შესახებ. აღარ დავასახელებთ ა. გრადოვსკის,[26] ამ მჭევრმეტყველ მოსარჩლეს ეროვნულის პრინციპისას, პიპინს[27] და სხვათა მრავალთა რუსეთის პუბლიცისტებს და ლიბერალურ გაზეთებს, როგორც მაგ. . . . . *)

დღეს თუმცა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გათავებულა და არც მალე გათავდება, იქნებ დიდი განსაცდელიც მოგველის მომავალში, მაგრამ მაინც ჩვენი დრო ბევრად უკეთესი დროა ზემოთ-ხსენებულ დროსთან შედარებით. დღეს ცხადად თუ უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა, [ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა].

---

*) ტექსტი დამთავრებული არაა. ათტომეულის რედ.

ზემოხსენებულთ წელთ შემდეგმა დრომ, იმ ჭირისა არ იყოს, რომელიც ზოგჯერ მარგებელია ხოლმე, მოიტანა თან სხვა ნიაღი, გასწმინდა ცოტად თუ ბევრად [ქვეყნის დამაბნელებელი] ბურუსი, გადაჰყარა ღრუბლები და ჩვენი [ეროვნული] ცნობიერება გამოაფხიზლა. [დიახ, დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენის ქვეყნის მომავალი და—

„...ჩლახ ბედისაგან ესრედ დასჯილნი,
იმედოვნებას ვუწოდებთ ფარად“].

მართლაც, მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიცხადა იგი, თითქო ერთი კაციაო, — და მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წუხილი, თუ არ მან, რომ იგი იყო თავის [დაჩაგრულის] მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნულის იდეის პოეტურად გამოხატველი, „დროთა სიზმარებრ გამქრალთა“ — ჭირისუფალი, საქართველოს [დიდების კვლავ დაბრუნებისთვის] ზეშთაგონებული.

ნუთუ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ საზოგადოება უპირველეს ყოვლისა იდეას სცემდა პატივსა, როცა ისეთის დიდის ყოფით აცილებდა უკანასკნელს სადგურამდე თავის გულის-პასუხის ძლიერად გამოხატველს პოეტს, რომ აზრს [მამულის-შვილობისას] ჰრთაედა გვირგვინით, როდესაც ყვავილებში ჩააწვინა ამ აზრის მტვირთველი და მატარებელი კაცი, [დიახ, ძნელთა და საშიშ გარემოებათა შორის], დაწყებული მე-30 წლიდამ ვიდრე ჩვენ დრომდე?

ეს უეჭველია. უეჭველი შეიქნება უფრო მაშინ, როცა მოვიგონებთ ჩვენის თავგანწირულის, პატიოსანის მოღვაწის ს. მესხის[28] გარდაცვალების ამბავს... ეს მხნე მუშაკი იყო, დაუცხრომელი, მუდამ საზოგადო საქმის მოყვარული, ჩუმი მოღვაწე, და აი, ამ ჩუმის მოღვაწის სიკვდილის გამო, თითქმის მთელს საზოგადოებას, თითქო გული მოუწყდაო, [ერთი საერთო კვნესა და ქუხილი აღმოხდა გულიდამ].

ნუთუ ესეც იმას არ ამტკიცებს, რომ შევგრცხვა ბოლოს ჩვენც [ჩვენის უარაროაობისა], მოვიდა დრო და ჩვენც გვინდა კუთვნილი და ღირსეული პატივი ვცეთ ჩვენთვის მშრომელთა.

მართლა, ამ სამოც-ოთხმოც წელს ისე არ გაუვლია, რომ ჩვენ ცხოვრებას ცოტაოი მაინც სხვა ფერი არ დაედებოდეს, მაგრამ მაინც [ჩვენი მდგომარეობა გაჭირვებულ მდგომარეობად ვერ და ჩაითვალოს]. რაზედნაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად [ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა].

რასაკვირველია, უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონ-ყმობის

გადაჯარდნამ, [თუმცა] ახალის [მაგრამ მაინც ფრთა-შეკვეცილის] სამართლის წესების შემოღებამ, თვითმმართველობის [ნამცეცებმა] და სხვადასხვა. რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც-ოთხმოცის წლის [ცხოვრების შედეგი] არ იყოს ქართველი ერის გაერთიანება, [ერთობის გრძნობის გაღვივება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის]. თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ მაინც ჩვენი მდგომარეობა ამით ბევრად არ შესუბუქებულა. ოცი წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის [უფლებას] იცავს ჩვენი ულონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში [და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად].

ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის [ხალხის განათლება] და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია-რა, რომ წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ სალხში, [რომელიც თანდათან ამავე მიზეზით უფრო და უფრო გვშორდება ჩვენ, განათლებულს საზოგადოებას, აღარა ეყურება-რა ჩვენი და არც რამ იმედი აქვს ჩვენგან. ან კი როგორ უნდა დაგვიახლოდეს ჩვენი უმეცრებით გარემოცული ხალხი, უბრალო გლეხობა, — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა]. განა ჩვენ ვეცადეთ, რომ ერთი სახალხო სკოლა მაინც დაგვეარსებინა, თუნდ ისე ჩვენგან პატივცემულის გრ. ორბელიანის სახსოვრად, რომლის შეწევობით შესძლებიყო ბალხსაც დაეჭირებინა ჩვენთვის ასე ძვირფასი პოეტი, რომ მასაც ჩვენთან ეგლოვნა მძიმე დასაკლისი? ჩვენი ჭირი და გლოვა ჩვენ ჭირად და გლოვადვე დარჩა, ხალხი-კი, უმრავლესობა-კი, ვერ მიაგნობდა ჩვენს წუხილს.

***

ქართულის ენის და მეტყველების მოყვარულთათვის, ქართველთა წარმატების მსურველთათვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყოს ეწმ. სინოდის განკარგულება, რომელიც ამ წლიდამ უკვე აღსრულებაში შევიდა. მე მოგახსენებთ ქართულის-მეტყველების გაკვეთილების დაარსებაზე სასულიერო სემინარიაში, სადაც იზრდებიან სამღვდელოების შვილები. კერძოდ 7 გასაკვეთია ამ საგნისათვის დანიშნული, ქართულის-მეტყველების პროგრამა უკვე შეგვეგნილია სემინარიის მმართველობის მინდობილობით ერთის სემინარიის მასწავლებლისაგან. ჩვენ გადავათვალიერეთ მხოლოდ ოდ-

ნავ ეს პროგრამა და ამიტომ ეხლა დაწვრილებით აქ ვერას ვიტყვით. მას შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს მხოლოდ შემდეგს წივნში. ეხლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდი ბეჯითობა და ენერგიაა საჭირო მისთვის, ვინც ამ საგნის რიგიანად შემუშავებას და დადგენას იტვირთებს. ამით ჩვენ გამოვაცლით ფარ-ხმალს იმათ, ვისაც არ ეპიტნავებათ ბუნებითად ამ-გვარის წესების შემოღება. მე ვლაპარაკობ იმ უსაფუძვლოდ და იმ ტყუილ-უბრალოდ გავრცელებულს ხმაზე, ვითომ არც ქართულ ენაზე სწავლება შეიძლება რისამე, არც წიგნებია ამისათვის და არც არის რამე, რაც ღირდეს შესასწავლებლად,ავარჯიშებდეს კაცის გონებას, და სხვა-და-სხვა ამ-გვარი ცრუმორწმუნება და უსაფუძვლო ხმები.

ამ-გვარადვე სასიამოვნოა უკვე აღსრულებაში მოყვანილი, ამ წელსვე მომბდარი განკარგულება უწყ. სინოდისა, რომ შემოღებულ იქმნას ქართულის ენის სწავლება სავალდებულოდ სასულიერო სასწავლებლებში, რომ საგანიც სავალდებულო იყოს და მისი მასწავლებელიც შტატის ადგილის მქონე. ამ გარემოების გამო სასულიერო სასწავლებლებში მოისპო ბერძნული ენის სწავლება და შემცირდა ლათინურისა. ეს უკანასკნელი უწინდებურად პირველი კლასიდამ აღარ იწყება და იმედი ვიქონიოთ, ნორჩ გონებას პატარა პირველი-კლასელებისას შეღავათი მიეცემა.

ამ-სახით, ერთს უწყებაში მაინც მიენიჭა ქართულს ენას უფლება, ე. ი. სასულიერო უწყებაში. [თ უ მ ც ა ს რ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა ა რ მ ი ნ ი ჭ ე ბ ი ა ჯ ე რ კ ი დ ე ვ] მაინც ესეც კაი ღვთის წყალობაა, ამდენის ლოდინის შემდეგ, მერე ჩვენთვის, ასე გულგატეხილთათვის ლოდინით და იმედითა.

ათასში ერთხელ უნდა მოვესწრათ სასიამოვნო ამბავის გაგონებას და ათი-ათასში ერთხელ ამ ამბავის ცხოვრებაში განხორციელებას და მაშინვე გამოტყვრება რამ საიდანმე და მოგვიშხამავს ის-ის იყო გატაცებულს გონებას, ფრთაშესხმულს ფანტაზიას. როგორც ცივი წყალი, ისე მოგვხვდება ხოლმე ამ დროს რამ უსიამოვნო ამბავი. აგვიჯიქრავს ხოლმე ტანს და წყალში ამოვლებულს ქათმებს დაგვამსგავსებს ხოლმე.

ამას წინათ ჭორად გამოვიდა ხმა, რომ უმაღლესი მმართველობა აპირობს როზგის შემოღებას სასწავლებლებში. ყური არავინ უგდო ამ ხმას, სიცრუედ და ჭორად მიიღო ყველამ, ვისაც კი ესმის, რა ძნელია ამ-გვარი წესის აღდგენა სასკოლო ცხოვრებაში თითქმის ოცდა-ხუთი წლის უარყოფის შემდეგ. 1874 წლის წესებით როზგები მმართველობამ განდევნა სკოლიდამ, როგორც ძლერ უვარგისი ზომა დისციპლინის დამყარებისათვის მოსწავლეთა შორის. ამ ზომის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა და ყველამ იცის რა წითელი კოჭიც არის.

„დღე ხორციელად დასჯის შემოღებისა, — მწუხარებით ამბობს ერთი რუსული ჟურნალი,—იქნება შავუკულა დღედ ჩვენის სასწავლებლების ისტორიაში, ვიტყვით მეტს, ჩვენის საზოგადოების ისტორიაშიაც“...

ძლივ-ძლივობით მივეჩვიეთ სწავლას, შევიყვარეთ სულით და გულით, ვხარჯავდით ფულს, შეძლებას, ღონეს, დავივიწყეთ სრულიად ის დრო, როდესაც პირიქით გვაძლევდნენ ფულს, ოღონდ მოდით, ისწავლეთო. ვამბობდით, აი, ახლა ეშველა საქართველოსაო. სწავლა და განათლება მოიფინებაო, მდიდარი ქვეყანა სწავლულთ ხელში ნატვრის თვალად გადიქცევაო, ცხოვრება ადუღდებაო, და დახეთ ბედს. მაგრამ ეჰ, ეს ბედი ჩვენ მუდამ თან გვდევდა. კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. რას მოვიფიქრებდით, ვინ მოიფიქრებდა. თავპირს ვამტვრევდით ერთმანეთს, არა ჩემი შვილი მიიღეო, არა ჩემიო, ვაკანსიები აღარ იყო და აგერ დღესაც აღარ არის და ახლა კი ვინ იცის რა იქნება.

სწავლა კი რომ შევიყვარეთ, ეგ უეჭველია. აი ვაკანსიები—საბუთები.

ვაკანსიები წელს ტფილისის სასწავლებლებში იყო შემდეგი: კადეტის კორპუსში (ესეც კი დავკარგეთ ბედოვლათობით) იყო 25-მდე, მსურველნი კი 120. საოსტატო ინსტიტუტში 25, მსურველნი 75.—მიღებულთ რიცხვში ქართველი მხოლოდ ოთხია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს წელს 40, მსურველი კი იყო 150. სათავად-აზნაურო სკოლაში 30, მსურველი კი ასზე მეტი. ქუთაისში სააზნაურო სკოლაში იყო თურმე 60 ყმაწვილისა და მსურველნი კი 200 მეტი. გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მეოთხედიც არ მიუღიათ წარმოდგენილის ბავშებისა. სამოქალაქო სამკლასიან სასწავლებლებში, რომელიც შარშან გაუხსნიათ, თხოვნა შესულა სამასზე მეტი, მიუღიათ მხოლოდ ორმოცი. მეორე ორ-კლასიან საქალაქო სასწავლებელში თხოვნა შესულა 100, მიუღიათ 75...

[ამ ამბავს დაუმატეთ დიდი ფასი სასწავლებლისა და მერე იკითხეთ, უმჯობესი არ იქნება, რომ ბარემ გვითხრან: სწავლა ნუ გინდათ, რას მიჰქარავთ, რას მიედ-მოედებით,—რა თქვენი საქმეაო].

ამ-გვარ პირობათა შორის ჩვენვე უნდა ვეცადოთ ჩვენი საქმე ცოტად თუ ბევრად იოლად წავიყვანოთ, მაგრამ რას იზამ, რომ ეს პირობანი ყოველ ხალისს გვიკარგავს, სასოებას გვიკვეთავს! ამ-გვარ მოვლენათა შემაცქერალი, კაცია თუ საზოგადოება, ძალაუნებურად გულ-ხელ დაკრეფილი დაიარება, ცხვირ-ჩამოშვებული და მწარედ დაძმარებული, ის კი არა თუ—ენერგია, მხოლოდ მხნეობა და ხალისით ერთბამი მოქმედება, იქნება, დაგვიხსნიდა ამ-გვარის გაჭირვებიდამ, ცოტად თუ ბევრად. თორემ რასა ჰგავს, ბატონო. ამ წიგნის ბოლოს, დამატებაში, ჩვენ დავბეჭდეთ წლიური ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 15 მაისიდამ 1882 წ.—15 მაისამდე 1883 წ. და, ღმერთო. რა-გვარის გულგრილობის მოწამეა ეს ანგარიში. ამ ანგარიშის თავში ჰკითხულობთ თქვენ ბათომის სკოლაზე, რომელიც კარგად და საუკეთესოდ სწარმოობს; წინარეხის სკოლაზედ, რომელიც აგერა მეორე წელიწადია, რაც დაარსებულა; ჰკითხულობთ აგრეთვე, რომ საზო-

გადოებას შემწეობა აღმოუჩენია ქუთაისის სახალხო სკოლებისათვის წიგნებით და სასწავლო ნივთებით, რომელთ ღირებულება 1.000 მანეთისააო. აგრეთვე ჰკითხულობთ, რომ საზოგადოებას განუმატებია თავის ხელნაწერის ბიბლიოთეკისთვის, რომელიც ამ დღეებში გაამდიდრა ბ-მა ივანე მესხიევმა მდიდარის და უხვის შეწირულებით. მან შესწირა ამ საზოგადოების ბიბლიოთეკას 55 ხელნაწერი წიგნი, რომელთა რიცხვში ძვირფასი საარქეოლოგო და საისტორიო განძი ურევია. მაგრამ ჩახვალთ თუ არა ყველა ამ ამბის ბოლოში, იგივე წყეული უსიამოვნო რამ ამბავი, თითქო ცივი წყლის შადრევანი დაგიშვეს თავზეო, ისევ გამოტყვრება ხოლმე. წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებას ჰყოლია 300 წევრამდე დამფუძნებელნი და ნამდვილნი, და დღესაც არ შეუტანიათ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული, დღესაც მათზე ვალად არის დარჩენილი 4.953 მანეთი—1879, 1880, 1881, და 1882 წ.წ.

თუ ასეა საზოგადოების საქმე, მაშ კერძო პირებს რაღა ძალა უნდა მოეთხოვებოდეთ ამ მხრივ. კერძო პირებს როგორღა უნდა ვესაყვედუროთ, რომ იმათ ციდამ ვარსკვლავები ვერ ჩამოაქვთ.

ამ მხრივ, სწორედ ჩვენის საზოგადოების უხალისობის დროს, ერთმა კერძო პირმა ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ თავის საკუთარის ხარჯით და საფასით ჩასდგა საძირკველი ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა. ჩვენ ვამბობთ. ი. წინამძღვარიშვილზედ[29] და მისგან დაარსებულს სამეურნეო სკოლაზედ ს. წინამძღვრიანთ-კარში.

დიდად დასაფასებელია პატივცემულის ი. წინამძღვარიშვილის ღვაწლი, სწორედ დიდად გასაკვირველია მისი მხნეობა და გაბედულობა. უნდა მკითხველმა დაწვრილებით იცოდეს ამ მეცადინეობის ისტორია, უნდა იცოდეს—რა ჯაფა და შრომა იყო საჭირო, როგორც მისთვის, ისე იმ კერძო პირთათვისაც, რომელნიც ეხმარებოდნენ, რომ ამ სკოლის საქმე თავს მოსულიყო, რომ ღირსეულად დააფასოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ მოვლენისა. ჩვენ ძალიან იშვიათად და სრულიადაც არ გვახსოვს, რომ საზოგადო საქმისათვის ასე შეძლებისა და ჯაფის დაუზოგველად კერძო კაცს თავი გამოემეტებინოს. ჩვენში საზოგადო საქმისთვის თავგამოდებას, ქონების დაუშურველობას ბევრი ისევ სხვა თვალით უცქერის. ჩვენ ჯერ არ შევხვედრივართ ჩვენ ცხოვრებაში არამც თუ შემძლებელ მფარველს სახალხო განათლებისას, სკოლისას, მეცნიერებისას, არამედ ლიტერატურის და მწერლობისასაც კი.

რაც შეეხება თვით სამეურნეო სკოლის სარგებლობას ჩვენ-გვარის ქვეყნის ხალხისათვის, ეს უეჭველია და აქ ჩვენ ჩვენ-თავად ბევრს არას ვიტყვით. დეე, თვით იმან სთქვას აქ სიტყვა, ვინც ეს საქმე დაჰბადა, ხორცშესხმულ ჰყო,—დეე ეს სარგებლობა განმარტოს იმან, ვინც დაესწრო სკოლის კურთხევის დროს.

აი სიტყვა თვით მთავარის მზრუნველის და სკოლის დამაარსებელისა:

„მოწყალენო ხელმწიფენო“!

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, — მართლა რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის-შვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბ'ია და უმეცარს ხალხსა, და მეორეს მხრივ—აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებისამ. ნე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისათვის სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის,—საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა. მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავუღოთ სასწავლებლის კარი ყოველს ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

„მოგმართავთ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილის სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი, დანიშნულება. თქვენ პირველთ უნდა გააბნიოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუმორწმუნოებას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას... მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერს და ნივთიერს ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენის ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერნი მეგობრებად გარდაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება.

„დასასრულ, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გამოვუცხადო ღრმა მადლობა დიმიტრი სვიმონის-ძეს სტაროსელსკის[30] ამ სკოლისადმი თანაგრძნობისათვის, და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც ამ სკოლისათვის ზრუნავდნენ. იმედი ვიქონიოთ, რომ დიმიტრი სვიმონის-ძე მიიღებს ამ სკოლას თავის მფარველობის ქვეშ.

„ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყოს ნიშნად სკოლის ბედნიერის მომავლისა!“

აი თვით ის სიტყვაც ი. ჭავჭავაძისა, გლეხობისადმი მიმართული:

„ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ მადლობელი ვიქნები.

„ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

„თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ის ყველაფერი გვაქვს ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი,—მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

„იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით — საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ—ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის ნიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით—უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

„მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრებს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“,—თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

„ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

„ღონიერი და ჭირთა-მძლეკი ის არის, ვისაც ჰკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავის-თავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჰკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

„ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითოხ ყოველ-დღე ჰხედავთ, რომ ეჯ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნის-დედა—მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს, მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

„ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მაღლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპსა.

„სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

„სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის-დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

„ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, —ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

„ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი—აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

„აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რო-

მელსაც ცოდნა ჰქვიან. აი ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული ფარ ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

„ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს — სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

„მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! გაუმარჯოს ა იმ პატარა კაცსაც, თავადს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულისა გამო, თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის! ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გა მოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობნებია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“

„თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გააოავებთ, იტყვით: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეკ გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს“!

1883 წ.

ტ. VII, გვ. 5—26.

1886 г.

ქალი მასწავლებელი

ტფილისი, 7 იანვარი, 1886 წ.

პატიოსანი და ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებელისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოდენად პატივდებული არ არის, რამოდენადაც ღირსია. ეგ რომ მარტო ჩვენში იყოს ესე, კიდევ იტყოდნენ, გაუნათლებელი, გონება-გაუხსნელი ქვეყანაა და, რასაკვირველია, აგრე იქნება ჯერ-ხანადაო. საქმე იმაშია, რომ ბევრგან სხვაგანაც ეგრეა, ჩვენდა სამწუხაროდ. სხვა, რაც უნდა მდაბიო სამსახური იყოს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, რაც უნდა მცირე თანამდებობა ეჭიროს კაცსა, რაკი თანამდებობაა და სამსახურია, უფრო მომეტებულის პატივისცემით ექცევიან. ამას კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, თუ რომ მასწავლებელის მართლა-და მძიმეს, რთულს და დიდს ჯაფას და მოვალეობას გასამრჯელო მაინც საკმარისი ეძლეოდეს. ეს ნამეტნავად ცხადია მათ შესახებ, ვისაც სასოფლო სკოლის მასწავლებლობა თავის მიდრეკილებისამებრ ამოურჩევია და მისთვის შეუწირავს თავისი უკეთესნი დღენი ცხოვრებისანი. ამათ არც სამსახური სამსახურად ეთვლებათ და არც იმოდენა გასამრჯელო აქვთ, რომ სოფლის მასწავლებელის ჭირნახულობისათვის ცოტად მაინც შეზომილი იყოს. ცოტად თუ ბევრად ნასწავლი, გონება-გახსნილი სოფლის მასწავლებელი არის სადღაც მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის სიამოვნებას მოშორებული, ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გაღურჩეს გაულახველად, დილიდამ საღამომდი იბრძვის, იღვწის ბავშების მომზადებისა და აღზრდისათვის და ყოველ ამისათვის ოცი და ოც და-ათი თუმანი აქვს წელიწადში საცხოვრებლად. კაცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო გარემოება სოფლის მასწავლებლისა, დააკვირდეს მის დაუღალავს ღვაწლს ყოველის დღისას, არ ეეუძლიან იმ აზრზედ არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული.

ამ მხრით უფრო უარესს ყოფაში არიან ქალები მასწავლებელნი, ნამეტნავად თუ ბედს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგაწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა, რაც უნდა უკეთ

მომზადებული იყოს, რაც უნდა თავ-გამომეტებული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად. ეს გარემოება და ცილება ხშირად კარგად მომზადებულს ქალს ულუკმა-პუროდ სტოვებს და საწყალი ქალი, რომელმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით, რომ ჩემს დედ-მამას მუქთა-მჭამელად აღარ ვეყოლებიო, მე თითონ მოვინაგრებ რასმეო, გულდაწყვეტილი ემორჩილება უმართლოებას და გარემოების სისასტიკეს, ზნეობრივად დაჩაგრული და ღონე-მიღებული.

ასეთმა ყოფამ ქალის-მასწავლებელისამ გამოიწვია ჩვენში ერთ-გვარი საზოგადოება საკუთრივ ქალთა-მასწავლებელთა შემწეობისა და ხელშეწყობისათვის. სასიამოვნო ეს არის, რომ ეს საზოგადოება შესდგა თვით ქალების თაოსნობით და მეცადინეობით და 4-ს იანვარს, როცა დამტკიცებულის წესდების ძალით, პირველი კრება მოხდა ამ საზოგადოებისა, საზოგადოება მოქმედებას შეუდგა,—საზოგადოების მმართველად და გამგებელად სულ ქალები არიან ამორჩეულნი და სწორედ ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ საქმე კეთილად წარიმართება. ქალები ამისთანაებში უფრო მხნენი, უფრო მოხერხებულნი, უფრო დაუღალავნი არიან, ვიდრე, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ მამაკაცნი, ვართ. ამ საქმის დამწყებთა სადიდებლად და ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენ ეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრით თავისის საკუთარის ძალ-ღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდამ. პირველი მაგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაუწყიათ უსარგებლო ჩივილით და ხვეწნით კი არა, როგორც აქამდის ვიცოდით ხოლმე, აცა გვიშველეთ, ვილუპებითო, არამედ თვისი საკუთარი მხნეობა, საკუთარი თაოსნობა და საკუთარი თვითმოქმედება ფარხმალად აუღიათ, რომ თავის საკუთარის ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს გარემოებასა და ბედი, შეძლებისამებრ, თავისკენ მოატრიალონ. ამ თვითმოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავმოსაწონის და პატიოსანის საქმისა, ამასთანავე მთელი სახელოვანებაც, და ამაზედვეა დამყარებული იმედი გამარჯვებისა. თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველისფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას, თავის-თავის შველა უნდა.

1886 წ.

ტ. VII, გვ. 233—235.

ახალი დასის მოლოდინში

ტფილისი, 24 აპრილი, 1886 წელი.

ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დროშ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა-კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახალის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვეღარ მოუხერხებია...

უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არც-კი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი რომ თვით უმეცარიც ბუნდად მაინც არა ჰგრძნობდეს ამასა. მხოლოდ არც ცოდნა აქვს მას და არც იმოდენა გონებითი ძალღონე, რომ თავის-თავს თითონვე უშველოს. აი აქ უნდა მოეშველოს ის, ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუძენია, რომ ახალის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან. აი აქ უნდა გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შესტკივა თავის უმეცარ მოძმესათვის. მადლობა ღმერთს, ამ ბოლოს დროს ჩვენს ბედს ძალიან ვერ დავემდურებით. ცოტად თუ ბევრად ხომ ჩვენში ჰმატულობს ყოველ-წლივ მცოდნე და განათლებული წყობა ერისა. სად არის, სად იმალება ეს წყობა? რატომ არ ეშველება იმ ხალხს, რომელმაც იგი გამოზარდა და რომელსაც იგი ეკუთვნის?

ნუთუ არ ესმით, ან ავიწყდებათ, რომ ყოველი გროში, რომელსაც ის თავის სწავლაზე ხარჯავს, ხალხის ოფლით, წვითა და დაგვით არის შეძენილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვდილი. ხალხი თუ იხდის ამ ძძიმე ხარჯს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის, რომ მისის ნაღვაწით და შრომით გამოზრდილი მასვე დაუბრუნდება და რაიმე შველას მისცემს თავის ცოდნით. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს ამ-გვარ მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიეროს მისი, რაც მისგან მიუღია. ხოლო თუ ხალხს არ უხდიან სამაგიეროს, სხვა მიზეზი უნდა მოქმედობდეს, იქნება ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელიცა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით-კი, გასამართლებელი არ იქნება. მწარე ფიქრები წარმოგვიდგება ხოლმე თავში, როდესაც ჩვენს განათლებულს კაცებს ვუფიქრდებით. შეჰხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათას წელში ცხოვრება

ფერს იცვლის... ყოველ ამ-გვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი—ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანით და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესაჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა ჰრეცხს... სანუგეშოდ ის მაინცა რჩება, რომ ცხოვრება იქ დახავსებულ გუბედ არ გადიქცევა. საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის. ჩვენში რაღასა ვხედავთ? ჩვენცა გვყავს თითო-ოროლა მაინც ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები, იმისთანებიც, რომელთაც მეცნიერებაში სახელიც მოუპოვებიათ, მაგრამ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გარეთ არიან. და ამ სახით, ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალღონე აქვს წინ-გაუძღვეს თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას, განზედა სდგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით რომ ბევრს სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უჭადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შეხთხვევაში დგომა-ცდომაა. ცხოვრება წინ წავიდა... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა ჰღალადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა. მაგრამ ღალადი ჯერ არავის ესმის და მოწვევაზედაც ჯერ არვინ მოდის.

1886 წ.

ტ. IX, გვ. 67—69.

ქართველი სტუდენტობა რუსეთში

I

ტფილისი, 4 თებერვალი, 1886 წ.

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო „ახალ ამბავთა“ შორის ერთი გულსაწვავი ამბავი. ოდესის უნივერსიტეტში, საცა ჩვენი მოზარდი ყმაწვილ-კაცობა ჰრჩეობს უმაღლესის სწავლის მიღებას, რადგანაც იქ ჰავა სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებზედ უფრო უკეთესია და უფრო შესაწყნარებელი ჩვენებურებისათვის, ქართველი სტუდენტობა კარგა ბლომად არის. ბევრნი მათგანი, გატაცებულნი უმაღლესის სწავლის სიყვარულითა, უქონლობას არ შეუშინებია და ყმაწვილ-კაცობის ხალისით და გაბედულობით გასდგომიან შორს და სანატრელს გზას სწავლისას. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო“, და როგორც იქნება, ვაითა, თუ ვაგლახით, ჩვენს თავს გავიტანოო. ეს კეთილშობილური სითამამე, ეს პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა—უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილ-კაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა. უკეთესს მოხუცს თუ რამ ენანება თავისის წარსულისა, სწორედ ამ თვისებათა შესუსტება ენება ხოლმე და ამიტომაც არც ერთი გონიერი და სულგრძელი კაცი ამისთანაებში არ უსაყვედურებს ყმაწვილ-კაცს, წინდაუხედავი რათა ხარო. საცა კეთილია, იქ აღებ-დაღება არ უნდა და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია—ამას ეხლა ყურ და თვალდახშულიც აღიარებს. აქ ჩვენ ყმაწვილ-კაცობის თავგაწირვას ვერაფერს წუნს ვერ დავსდებთ და ვინც წუნს დასდებს, შესცოდებს ღმერთსაც და კაცსაცა.

ამ მხრით ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილ-კაცის ძახილი მოდის, მიშველეთო. ყველა ჩვენი ღონე ზედ-შევაკალით, ყველა ჩვენი მეცადინეობა ზედ-შევალიეთო და ვერას გავხდითო, იწერებიან ოდესიდამ უნუგეშოდ შთომილნი ყმაწვილ-კაცნი, ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები და იმედნი მერმისისანი. ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასოწარკეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გაჭირვებულთ მოძმეთ არ გაუწვდის შენწეობის ხელსა! აქ ყოველი გროშიც განძია და იმედი გვაქვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამებრ, რაიმე შეაწიოს. სწორედ ამისთანა საქმისათვის არის თქმული:

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია“.

II

ტფილისი, 22 დეკემბერი, 1886 წ.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღაღადებს. ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჰკუა-გაპსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო,—ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა—სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბავშიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს—ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს—ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან. ეგ სურვილი ყოვლად-მხსნელის სწავლისა და ცოდნისა გულში უქმად, ცარიელ სურვილად არ დაგვშთომია. იგი ჰმოქმედობს და არა ერთსა და ორს დედ-მამას მიაყენებს ხოლმე სასწავლებელის კარებზედ ხვეწნით და მუდარებით, რომ სანატრელი კარი მისთა შვილთა წინ გაეღოს, და ამასთანაც ჰკანკალებს,—ვაი თუ არაო. არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწვილ-კაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარელის სამშობლოდამ, რომ აქ შორს, შორს სადმე დაეწაფოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს,—

„და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“.

მოდიან ის თავგანწირულნი, ცოდნის სიყვარულით და წყურვილით შორს გარდახვეწილნი და წინ მოიმძღვარებენ მეცნიერებას და მის ბწვანე შტოს ნოეს მტრედსავით, ნიშნად ხარებისა და ნუგეშ-ცემისა. მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯკვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“,—არა-რას ქვეყნიერებაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშმცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლი-

სას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირი-კაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა.

ყოველს ამას მოველოდებით სწავლისა და ცოდნისათვის თავგადადებულთა და გარდახვეწილთაგან. ამას ვითხოვთ, ამას ვაეჳრებთ, ამას ვეხვეწებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმას კი აღარ ვკითხულობთ, რა დღეში არიან ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოიკლავენ. დღევანდელი კიევიდამ მოწერილი ამბავი მკრთალი სურათია იმისი, რასაც ჩვენი საცოდავი ყმაწვილ-კაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისათვის. ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ ქვეყანად უნდა მოჰზიდონ ერთი ათასად მოსამკალად და, მაშასადამე, ჩვენდა საბედნიეროდ. გარდიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილნი კი არას ფიქრობენ მასზედ, რომ პური არა აქვთ საჭმელად, სახლი არა აქვთ თავშესაფარავად, და არას ჰხრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შემწეობისა და იმ საშინელს წამებას გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქკიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდადა აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ველარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გაჰოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას—ძმა, რამდენს მეგობარს—მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას!..

ნუთუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულშემატკივარნო, ასეა და ასე უნდა იყოს!.. ნუთუ მართლა ისე უღონონი ვართ, რომ თითო გროშის მიწვდენა არ შეგვეძლოს!.. თუ,—თქმაც კი ცოდვად მიგვაჩნია,—ისე გულგრილები ვართ, ისე უმადლონი, რომ გული ხელს იკავებს და დაუდევრობა—მადლის სურვილსა!

1886 წ.

ტ. VII, გვ. 239—243.

ჩვენი ხალხი და განათლება

ტფილისი, 2 მაისი, 1886 წ.

უმეცრება—აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... გადიკითხეთ ყურადღებით გაზეთებში ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა მხარედამ მოწერილი ამბები და ჰნახავთ...

ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწევი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარ ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?..

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა. ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? აღებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლო-

გას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს—სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნეობაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა—ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთაავონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ ხშოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადავს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის აღი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ აღგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა ხშოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა—აწ ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს შხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე,—ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო

და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო. ეს, რასაკვირველია შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვინ მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..

1886 წ.

ტ. VII, გვ. 247—250.

სასოფლო-სამეურნეო განათლება

ტფილისი 28 თებერვალს.

ეხლანდელი სამინისტრო სახელმწიფოთა ქონებისა, მინდობილი ბ-ნის ასტროვსკისათვის, ცნობილია თვისის განათლებულის მოქმედებით, რომელიც მიმართულია მასზედ, რომ ეხლანდელს ეკონომიურს უძლურებას ერისას მიზეზი უპოვოს და შეძლებისამებრ წამალი რამ დასდვას. გამოიძია რა, რამოდენადაც შესაძლო იყო, ადგილობრივნი ვითარებანი, სამინისტრომ, სხვათა მრავალთა მიზეზთა შორის, ერთი მიზეზი შეჰნიშნა და აღიარა. ეგ შენიშნული და აღიარებული მიზეზი ერის ყოველგვარი უცოდინარობაა საზოგადოდ და ადგილ-მამულის კეთებისა საკუთრივ. ამის წამლად სამინისტრომ ერის სწავლა-განათლება ჰსცნო საჭიროდ და სწავლა-განათლების მოსაფენად—მდაბიო სკოლების გამრავლება აღნიშნა. რადგანაც მდაბიო სკოლები ზოგადის ხასიათისა და თვისებისა საერო განათლების სამინისტროს საქმეა, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბ-ნმა მინისტრმა ასტროვსკიმ მდაბიო სამეურნეო სკოლებს და კანონს მოჰსთხოვა, რომ ამ-გვარი სკოლები ქონებათა სამინისტროს მზრუნველობას და გამგეობას ექვემდებარებოდეს. უმაღლესმა მთავრობამ ნება დაჰრთო და ამისათვის საჭირო ღონისძიება მიუბოძა. სამინისტრო მაშინვე შეუდგა ამ-გვარის სკოლების დამართვასა რუსეთში და რომ კერძო კაცთა მეცადინეობა გამოიწვიოს და მათი შემწეობაც მოახმაროს ამ საქმეს, აღუთქვა სამინისტროს მხრით ფულით და ყოველისფრით დახმარება, ოღონდ კი ითავეთო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს კეთილი განზრახულება და დაწყობილობა ჯერ ხანად ჩვენში არ შემოტანილა მაშინ, როდესაც, არა გვგონია, ბევრი სხვა ადგილი ისე ჰსაჭიროებდეს მდაბიო სამეურნეო სკოლებს, როგორც კავკასია საერთოდ და ამიერ-კავკასია საკუთრივ. მთელი ამიერ-კავკასია ძველადგანვე სცხოვრობს და თავს იკვებავს მარტო იმ მრეწველობით, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწად-მოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა საადგილ-მამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალ-ღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად და უნაკლულოდ.

ამიტომაც აქ უფრო ყველაზედ მომეტებულად საჭიროა ყოველის მხრით, ყოველის ღონისძიებით ხელის შეწყობა, რომ მაგ, აქაურმა ერთად-ერთმა

მრეწველობამ, ერთად-ერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და რამოდენადაც შესაძლოა, უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის. ეგ ხელის შეწყობა არსებითი საჭიროებაა დღევანდელის დღისა, დღის ბოროტია, როგორც იტყვიან ხოლმე. დაგვიანება ამ ხელის-შეწყობისა დაკარგვაა ჟამისა და ქონებისა და ამიტომაც ეს საქმე არ უნდა დარჩეს მთავრობის განსაკუთრებულ ზრუნველობისა და მეცადინეობის გარედ და იმედია არც დარჩება.

ერთი უდიდესი ხელშემწყობი ღონე ამ საქმისა, ნაცადი და უტყუარი—იგია, რომ გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მაჯულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმოდენად მაინც, რამოდენადაც საყოველ-დღევოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მიწათ-მომქმედთათვის. უკეთესს გამავრცელებელად და მომფენავად კიდევ მდაბიო სამეურნო სკოლებია სოფლად დამართულნი.

ჯერ ხანად ძნელი მოსალოდნელია, რომ მესვეურობა და თაოსნობა ამ ფრიად დიდ-მნიშვნელობიანს საქმეში კერძო კაცმა, ან თვითონ საზოგადოებამ მიიღოს ჩვენში, მეცადინეობა და გულის-ტკივილი ამ საქმისადმი ერთსაც და მეორისაც,—თუ კი კანტი-კუნტად სადმე თავს იჩენს,—მსწრაფლ შეიმუსრება ხოლმე იმ რკინის კედელზედ, რომელსაც გაჭირებას ეძახიან ფულის უქონლობის გამო. მაგისთანა სკოლებს იმოდენად მოზდილი საგზალი უნდა, რომ ძნელად მოსაფიქრებელია ან კერძო კაცი, ან თვით საზოგადოება გასწვდეს და გაუძღვეს. ამ მხრით მაინც რომ მთავრობა მოეშველოს ჩვენს ქვეყანას და ხელი შეუწყოს, უეჭველია კერძო მეცადინეობაც ფეხს აიდგამს და თავის მხრით დიდს სამსახურს გაუწევს სახელმწიფოსაც.

1886 წ.

„ივერია“
1836 წ. № 47

ლარიბთა ბრძოლა განათლებისათვის

ტფილისი, 8 აპრილს.

ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწდომელი რაჰ არის. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელ-განთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს იმ ერთი ნეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათას-ფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა, რომ ხელ-გაშლილი გულ-ახდილი, გულ-წრფელი და სულ-მაღალი რაინდები ვართ. თუ კი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით; რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობის მორჩილებით ვნებდებით მისს მომხიბლავ ძალას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ შინაური ზღვაა, რომელიც ვნებათ—ღელვისა გამო ხშირად სუნთქავს.. და, თუმცა ზოგჯერ კიდეც სცდილობს მოიპოვოს როგორმე სანატრელი მყუდროება, მაგრამ მაინც ძალა-უნებურად ნებდება დაუცხრომელ ტალღათა სრბოლას...

ერთის მხრივ ესეა, მეორეს მხრით... ზოგიერთის გრძნობა გარეშე მეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია მღვრიე და ხავსით მოსილს ტბას, რომლის ადიდება და აგორვება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც გინდა მრისხანე ცხოვრების გრიგალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ჭარ-ტეხილსა... ამ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი—მცხედარს ჰგავს, სულგანაბულად მდებარეს, რომელსაც თითქო არც კი ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არე-მარეზე...

ამ-ვვარი სამარეებური უგრძნობლობა, — თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთავბოლო ფულის ფლანგვას, სმას და ქეიფს, არამედ „იმ-თავმოწაბეზრებელს“ საგანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან...

ეს ყოველისფერი, რაცა ვსთქვით ზემოთ, თვალ-წინ წარმოგვიდგა უნებლიედ, რაკი წავიკითხეთ დღევანდელი კორრესპონდენცია გურჯაანიდამ

ამ წერილის ავტორი სამართლიანი გულის წყრომით გვაუწყებს იმ დამდოვებულს გულ-გრილობას, რომელიც გამოიჩინა თურმე კამისიამ, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის მიერ ამორჩეულმა, სასკოლო ფულის გასაწერათ ერთმანეთ შორის. მკითხველმა, რასაკვირველია უკვე იცის, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ საერთოდ განიზრახა თავისის შვილების აღსაზრდელად ფული შეჰკრიბოს და ამისათვის საჭიროდ სცნო ფულის გაწერა თვისთა წევრთა შორის შეძლებისა გვარად, თითქმის ყველა მაზრის თავად-აზნაურობამ დიდი ხანია გაიწერა ფული და სიები წარადგინა, ხოლო სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობამ კი ეს საქმე დააგვიანა. ბოლოს როგორც იყო იგიც არ ჩამორჩა უკან სხვა მაზრების თანამოძმეთ და აირჩია კამისია კეთილი საქმის დასაგვირგვინებლად. საუბედუროდ, კამისია ისე მოჰქცევია ზემოაღნიშნულა საგანს, როგორც ჩვენ ვიმეორებთ, საზოგადოდ ყოველ ამ-გვარ საქმეს მოვეჩვეოთ ხოლმე გულ-გრილად და გულ-ცივად... პატივცემულ წევრთ, თუმცა არ უარ-უყვათ სრულიად სწავლა-განათლების საჭიროება თავის წოდებისათვის, მაგრამ იწნაირათ კი შეუსრულებიათ თავისი მოვალეობა, რომ გარეშე კაცმა აწონ-დაწონოს მათი მოქმედება, იმ დასკვნას გამოიყვანს, ვითომ ხსენებულის მაზრის თავად-აზნაურობა მეტად გულ-აცრუებული იყოს სწავლა-განათლებაზედ. საკმაოა მივუთითოთ იმ სამართლიან, ყველრებით სავსე სიტყვებზე, რომელიც წილად ხვდა თურმე კამისიას ზოგიერთ თავად-აზნაურობის წევრთა მიერ...—„ნუ თუ, ბატონებო, უთქვამს კრებაზე, თ. ი. გ. ვაჩნაძეს კამისიის წევრთათვის,—ნუ თუ ჩვენი მაზრა ასე გაღატაკებულია, რომ 3100 ძან. მეტის შეწირვა ვეღარ მოახერხა ამ სასიქადულო და საშვილისშვილო საქმისთვის. რას ფიქრობდა დალოცვილი კამისია, როცა აყენებდა ამ სიდიდე ჯამს? ნუ თუ მას არ ესმის, რომ 3100 მან. ერთი მერვედის ჩვენის შვილებისა არ გაიზრდება რიგიანად? ჩვენს ნაყმევს გლეხებს მარტო თავიანთ სკოლების შენობათათვის შეუწირავსთ 4000 მანეთამდე და ჩვენ კი გვინდა 3100 მანეთით დავაარსოთ და შევინახოთ გიმნაზია!.. თუ რამდენად აუწ-დაუწონია კამისიას მასზე მინდობილი საქმე სჩანს მისგან წარმოდგენილ სიებიდამ. მე, მაგალითად, შეუძლებელთ სიაში მოუწყვდევივარ, თითქო მე არ შემეძლოს ხუთ თუმანზე მეტის გადახდა. ტყუილია! მე შემიძლიან გადავიხადო არა თუ ხუთი თუმანი,—ათიც, ისე როგორც ზოგიერთებს აქ მყოფთ არაფერი არ დააკლდებათ იტვირთონ სამასი და ოთხასი მანეთის შეტანა... მაგრამ, დააბოლოვა თ. ვაჩნაძემ თავისი სიტყვა, შეძლებულ პირებს, როგორც ჩანს არა სურსთ საყოველთაო სიკეთე. დავფიქრდეთ, ბატონებო, რა სამასხარო საქმეს ჩავიდენთ, რომ დავამტკიცოთ კამისიის სიები“.

მარჯვენისა და კაცის მხნეობის კვალობაზე გავაწერეთ სასკოლო ფული, ამბობდა თურმე კამისია თავისის თავმჯდომარის პირით თავის თავის გასამართლებლად. ვერაფერი უღელი გაუთლია პატივ-ცემულ კამისიას

სასწორისათვის. თუ ეს მართალია, თქმა არ უნდა, რომ ამ საბუთით ხელმძღვანებულს კამისიას სდომებია მდიდარნი წყლიდამ დაუსველებელნი გაეყვანა და ღარიბნი კი მოემუქვდია. ვინ არ იცის, რომ, თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობა—მოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის.

მარტო ღარიბია იძულებული მარჯვენაც ამოქმედოს და დიდი მხნეობაც გამოიჩინოს ამ ცხოვრების ჭიდილისათვის. ამის გამო ღარიბთა შორის უფრო ხშირია მხნე კაცი, ვიდრე მდიდრებ შორის. რაკი ეს უსამართლო საფუძველი აუღია პატივცემულს კამისიას ფულის გაწერის საქმეში, რაღა საკვირველია, რომ სასკოლო ფული ღარიბებს უფრო დასწოლია, ვიდრე მდიდრებსა. წარმოიდგინეთ, პირვანდელი ჯამი ფულისა სამართლიანად დაწუნებული თ. ი. გ. ვაჩნაძისაგან, გაუდიდებიათ, როგორც კორრესპონდენტი იწერება, ისევ ღარიბთა ჯიბიდამ? თ. ი. გ. ვაჩნაძის სამართლიანი სიტყვა და გულ მოსახვედრი, გრძნობით სავსე მშვენიერი სიტყვა სულ-გრძელის ღარიბისა ბ-ნ გომელაურისა, დარჩომილა ხმად მღაღადებლად უდაბნოში.

1886 წ.

„ივერია“
1886 წ. № 79.

თვითმოქმედება — ახალთაობის აღზრდის საქმეში

ტფილისი, 12 მაისს.

თვით-მოქმედება, თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა — ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას: მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტნაკლებობისაგან დასხნას თვით არ ეტანება, თავის სვებედსა თვითონ არ იურვებს,—იგი ტვირთია, იგი მეჯი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთის-სოფელში უშრომელად, გაურჯელად. მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირველიც, ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენაა. არამც თუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედია; ვინც თავის თავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მხნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად.

ეს თვით-მოქმედება, ეს თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაებმის ხოლმე ცხოვრების უღელში, მისი გამარჯვება, ძლევა-მოსილობით სვლა უეჭველია. მართალია, ეს თვით-მოქმედება ხან-დის-ხან ათასნაირ, მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა. საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვით-მოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია. პირ-იქით, საცა ეგ თვით-მოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერ-მკრთალია, ულონო და ცოცხალ მკვდარი. თვით მოქმედებას არამც თუ მარტო პირ-და-პირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება

ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდისა, ახალი თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრით თვით-მოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ აღემატება, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არას დროს.

ერთი ამისთანა ნაყოფი თვით-მოქმედებისა ტფილისისა და ქუთაისის ბანკებია და მათის შემწეობით დაარსებული სათავად-აზნაურო სკოლები. იგინი ჩვენის საკუთარის თაოსნობით არიან დაარსებულნი და ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით წარმართულნი. იქნება ბევრმა ნამეტანობა და გადამეტება შეგვწამოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამას ვიტყვით, რომ ბანკებსაც და მათის მეოხებით არსებულ სკოლებსა დიდი სასიკეთო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ მხრით, რომ იგინი ჩვენის თვით-მოქმედების შვილნი არიან, ჩვენის თვით-მოქმედების ძუძუთი იზრდებიან და იკვებებიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მნიშვნელობა მათი ბევრს ჩვენგანს გულსა და გონებაში ვერ მოუთავსებია, ვერ მოუნელებია და ამიტომაც არა ერთხელ რისხვითა და წყრომით გამოლაშქრებულან ბანკებსა და მათ ჭნიშვნელობაზედ. არამც თუ ჩვენი დაბალის ღობის პუბლიცისტები, არამედ მოლექსენიც კი და მათ შორის სახელ-განთქმულნიც არ ერიდებიან ბანკების ავად-ხსენებას და სახელის გატეხასა. რისთვის და რადა? სწორედ მოგახსენოთ, ბევრჯერ დავკვირვებივართ ამისთანა ამბავს და წყრომისა და რისხვის მიზეზი ვერ გვიპოვია, იმისთანა მიზეზი, რომელიც დამჯდარს და ნაფიქრს მსჯელობას შეესაბამება.

1886 წ.

„ივერია“
1886 წ. № 102

დავეხმაროდ საგეშურნეო სკოლას

ტფილისი, 1 ივლისი.

ბევრი ხანი არ არის, რაც სოფელს წინამძღვარიანთ კარში დუშეთის მაზრაში გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა გამართულია ერთის კაცის მხნეობითა, ღონითა და ღვაწლითა. კაცმა დღეს რომ ამ სკოლის ყოფა-ცხოვრება თავის თვალით ინახულოს, სწორედ გაოცდება და მართლაც გასაოცებელია. ჰკვირობთ როგორ შესძლო ამოდენა ერთმა კაცმა, რომელსაც ამისათვის არც საკმაო შეძლება აქვს საკუთარი, არც მოცლა. ეს დღევანდელი ყოფა სკოლის მარტო მის გულ-გაუტეხელს მხნეობას, მის ზნეობით ძალ-ღონეს უნდა მიეწეროს. რიკი ყველაფერი ეს იცი და ჰხედავ ამ სკოლის სიკეთეს გულში გაოცებით ამბობ: დაუძინებელს მხნეობას, საქმის უანგაროდ და გულ-წრფელად სიყვარულს, ერთობ, ზნეობითს ძალ-ღონეს, ერთს რაიმე სიკეთეზედ დაჟინებით და უკან დაუხეველად მიმართულს, სწორედ სასწაული შესძლებია. მართალიც არის: მოგახსენებთ, სწორედ სასწაულად მივიჩნიეთ როცა ამ სკოლის გითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ. მშვენიერი ქკიტკარის სახლი, წინა მთიდამ სკოლისაკენ დაქანებული ასის დღის მინდორი, რომელიც სკოლას საკუთრებათ დაუმტკიცა სკოლის სულის ჩამდგმელმა და დამაარსებელმა ბ-ნმა ილია წინამძღვარიშვილმა, სამჭედლო ყოვლისფრით მოწყობილი საცა ყმაწვილები მჭედლობასა სწავლობენ, ეგრეთ-წოდებული „ფერმა“, საცა თვითო შეგირდს სამოცდა ათი საჟენი კვალი აქვს მიჩენილი საკეთებლად, კაბინეტი, საცა აწყვია სხვადასხვა სამოსწავლო საგნები, სხვადასხვა ნიმუშები სამეურნეო იარაღებისა და მცირე ოდენი ბიბლიოთეკაც არის; ოთახი საცა სხვადასხვა მცენარეობას ზრდიან ზამთრობით და ინახვენ, საფუთკრე მრავალგვარის სკებითა და გეჯებით მოწყობილი—ყოველივე ეს ლამაზად, ფაქიზად და საქმის ცოდნით არის გამართული, მოწყობილი და მოვლილი.

თვითონ შეგირდები, რომელთა რიცხვიც ორმოც-და-სამამდეა, და რომელთ შორისაც თავადნი და აზნაურნიც არიან, აგრედვე წორიდამ მოსულნიცა, მაგალითებრ მთიულეთიდამ, გურიიდამ, კახეთიდამ და ქართლიდამ სასიამოვნო სანახავობას წარმოადგენენ. იმ დაჩაგრულს, დამფრთხალს, დაღვრემილ სახეს, რომელსაც ასე ხშირად შეჰხვდებით ზოგიერთს სკოლებში, აქ ვერა ჰნახავთ: ჯანით მრთელნი, სულითაც ჯან-მრთელნი

მკვირცხლნი სიცოცხლით სავსენი არიან აქა. მათმა ცოდნამ, გონება გახსნილობამ, წერამ, კითხვამ წაკითხულის აზრმა არა ერთი მაყურებელი და ნახველი გააოცა.

ამაებზედ ჩვენ დღეს ცალკე წერილი გვაქვს დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში*). ჩვენ თუ ამას შევეხენით ამ წერილში მარტო იმისათვის, რომ ჩვენის საზოგადოების ყურადღება მიგვექცია ერთს სამშუახარო ამბავზედ. ეს ყოველის ფრით შემკული, ეს ფრიად სასარგებლო სკოლა, ესე კარგად და ცნობილად დაწყობილი, ესე კარგად მიმდინარე სასწავლებელი, დღეს ერთის კაცის ზნეობითს ძალ-ღონეზედ ტრიალებს. თვითონ საკუთარი შეძლება არა აქვს, რომ ეს სკოლა ასაზრდოვოს; რასაც კი სადმე თავისის პატიოსანის შრომით ჰშოულობს, სულ ამ სკოლას ანაცვალებს, მაგრამ როდემდის ამ ტანჯვით და ვაებით გაუძლებს ამ სკოლასა? ჩვენ ისიც გვიკვირს ან აქამდენ როგორ გაუძლია და თავი და ბოლო როგორ მოაბა მაგ მარტო ხელმა, ქონებით ულონო კაცმა. ნუ თუ ჩვენი ქართველი საზოგადოება არ მოხედავს, მართებულის გულ-ხტკივნეულობით არ მოაწვდის ხელსა საშველად და ამ სკოლას, ბევრ საირად საგულისხმოს და სასარგებლოს, სახსარს არ მისცემს, სახსარს არ მოუგროვებს ცხოვრებისა და არსებობისათვის! ამ დიდ სამაგალითო საქმეს, თითქმის არარაობით დაწყობილს, ეგრე მშვენიერად შესაბამს გზაზედ დაყენებულს, ეგრე საჭირო ჩვენის ქვეყნისათვის—ნუ თუ ბოლო უნდა მოეღოს ჩვენის გულ-გრილობით, გატანლობითა, გულ-შეუმატკივრობითა! ცოდვაა, ცოდვა რომ ეს მშვენიერად მიმავალი საქმე ამ სამარცხვინო დღეში ჩავაგდოთ, ცოდვაა ჩვენის ერისა, ჩვენის ქვეყნის წინაშე.

რაც ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა ამ სკოლას ღვაწლი დასდო, რაც თავის საკუთარის შეძლებიდამ მოახმარა, რაც შრომა, ჯაფა და წვალება გამოიარა, ნუ თუ არა კმარა ერთის კაცისათვის! ნუ თუ სამართალი არ მიუძღვის გვითხრას ჩვენ: აჰა, რაცა მქონდა შევწირე ამ საკეთილო საქმეს, რაც შემეძლო გავისარჯე, ვიმხნევე, დღე და ღამე ვიზრუნე, საქმე საქმეზე მოვიყვანე, სკოლა თავის გზაზე დავაყენე და ახლა თქვენ იცითო. შეუძლიან ეს გვითხრას, მაგრამ არ გვეუბნება,—არ გვეუბნება იმიტომ რომ ამისთანა საქმეში ამისთანა გარემოებას ჩვენ თვითონ უნდა მივხვდეთ, ჩვენ თითონ უნდა ვიგრძნოთ ჩვენი მოვალეობა, რადგანაც ეს საქმე ჩვენის ქვეყნის სასარგებლო საქმეა და არა ვისიმე კერძო კაცისა. ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილი იმოდენათ თავ-დადებულია ამ საქმეზედ, რომ თავის უანგარო ჯაფას და საქმის სიყვარულით გაძლიერებულს მხნეობას არ მოაკლებს თავისის თავისნობით გამართულს და თავისის ძალ-ღონით გაზდილს საქმესა, მაგრამ ჩვენ მიერაც ხელის მიწვდენა უნდა, შველა უნდა, ფულით, სარჩოთი. დახმარება უნდა. ნუ ვიცით ხოლმე, რომ ჩვენის გაჭირების ყავარჯენს ერთს კაცზედ მივაყუდებთ საზოგადო საქმეში და ჩვენ კი გულ-გრილად

*) იხ. „ივერია“ 1886 წ., № 141, წერილი: „წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლა“. წერილი ხელმოუწერელია. რედ.

დავიკრებთ გულზედ ხელებს. თითქო აქ ჩვენ არაფერს შუაში ვართო. ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილის საქმე ჩვენი საკუთარი საქმეა, იმიტომ რომ ჩვენის ქკეყნისათვის სახეირო და სასარგებლოა. იგი ამ საქმეში მარტო მესვეურია, მერე მხნე და გამრჯელი მესკურიცა. ჩვენც უნდა მივყვეთ, რომ სასახელო სვე ბოლომდის სასახელოდვე გავიტანოთ.

ვაუწყებთ რა სამწუხარო გარემოებას სკოლისას, რომელსაც სახსარი არსებობისა მეტად მცირე აქვს, ვიმედოვნებთ, რომ ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებს ამ სკოლისათვის შესაწევარს თავის შეძლებისამებრ. აქ ყოველი გროში დიდის მადლობით მიიღება და ჩვენის ქვეყნის მოხარდს ყმაწვილს მოხმარდება მისდა და ჩვენდა საკეთილდღეოდ.

1886 წ.

„ივერია"

1886 წ. № 141

1887 г.

თავად-აზნაურობის გულგრილობა განათლების მიმართ

ტფილისი, 30 დეკემბერი.

ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშკელის თავის თავს, თუითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თაკის საკუთარ მხნეობის გარედ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავ-კარგიანობის გასაძღოლად,—ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ.

სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მთხოვარაა და გლახა მთხოვარაობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თვითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია და მეორე—არც შეძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს.

გლახა, მთხოვარა რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულ-შემატკივრობისავან, იმოდენად თან-და-თან უკან მიდის, იმოდენად სული და გული უღონდება, უკვდება და ბოლოს ის გამოდის, რომ მთლად გადაეჩვევა თავის თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ უღონობა, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს და ეს უღონობა, დაუძლურება კდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა.

თუ ეს ითქმის ცალკე კაცზედ, თუ ეს სიფიქრებელია და მართალია ცალკე კაცისათვის, უფრო საფიქრებელია და მართალი მაშინ, როდესაც რომელიმე წოდება, ან მთელი საზოგადოება ამისთანა სენით არის დასნეულებული. ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით. რომელს წოდებასაც, თუ საზოგადოებას ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტკრო ხესავით დღე და დღე იფხვნება და პირ-ქკე დასამხობლად გამზადებულია და გადადებული: თავმოწონებას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და ძნეობას—ამ დედაბოძებს წარმატებისას—ძირი ულპებათ და აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი?

ეს საშიშარი სენი უქმობისა, თავის-თავის არ-პატრონობისა, თავის-თავის არ-შკელისა ისე არსად არ არის ხელ-აღებით მოკიდებული, როგორც ჩვენს თავად-აზნაურობაში. არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახელოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა და მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ

იმისათვის, რომ თავის გარედ, ხელ-ფეხ გაუნძრევლად, გაურჯელად--სამადლოდ ხელი ვისმე გაჰოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არა - და, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ აოა მშველისო.

ამისთანა საკუთარი სულ მოკლეობა, შარტო სხვის სულ-გრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს. პირ-იქით, რამოდენადაც დიდს ხანს გასტანს და დიდს მანძილს გაივლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკვდენს თვით-არსებობის ძალ-ღონესა. წუთი-სოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, მაგალითად, სწავლა-განათლების საქმე. სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის და ამ საჭიროებას თავად-აზნაურობა უფრო უნდა დიდის ტკივილითა ჰგრძნობდეს, ვიდრე სხვა ვინმე, იმიტომ — რომ ამისი გემო თავად-აზნაურობას ყველაზედ უწინა აქვს გაღებული. რას ვხედავთ აქ? არც ერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს, როგორც თავად-აზნაურობა. აქაო და მთავრობას სკოლები და სასწავლებელი აქვსო სხვათა შორის ჩვენთვისაცაო და იმას კი ალარა ჰფიქრობენ, რომ მთავრობა ვერ გასწვდება, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს, მთელს იმ სიდიდე საჭიროებას, როგორიც ქვეყნის სწავლა-განათლებაა. აქ უ ჰველად თვითონ ერის, საზოგადოების თაოსნობა და შველაც უნდა. ეს იგრძნო ჩვენში თითქმის ყველა ცალკე წოდებამა. მოქალაქეებმა თავისი სკოლები აიჩინეს, გლეხობამ თავისი, სამღვდელოებამ თავისი და მარტო თავად-აზნაურობა დარჩა წრეს გარეთ და სხვის იმედზედ.

მართალია, ტფილისისა და ქუთაისის ბანკი ორ სათავად-აზნაურო სკოლას ინახავს; მართალია, ამ ბანკებს საწარმოებელი ფული, თავის სასახელოდ, თავად-აზნაურობამ გამოიღო, მაგრამ ყველანი ჰგრძნობენ, რომ მარტო ამ სკოლაზედ არ უნდა შეჩერებულიყო ჩვენი თავად-აზნაურობა, იმიტომ რომ საჭიროება დღეს სახსარს გადამეტებულია. რომ მართლა ამ ნაკლებულობასა ჰგრძნობენ, ამისი ცხადი მაგალითი ის არის, რომ ტფილისის თავად-აზნაურობამ სასკოლო ფულის გაწერვა მოიწადინა, მაგრამ ეს სამაგალითო და მშვენიერი წადილი მარტო წადილადღა დარჩა და არავინ ჰფიქრობენ წადილი საქმედ აქციოს.

ამბობენ, ღარიბნი ვართო და წელი არ მოგვდევს სწავლა-განათლებისათვის გამოვიღოთ რამეო. ჯერ ამას ვიტყვით, რომ ღარიბნი თუ ვართ,

სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ. მერე ერთი ეს ვიკითხოთ: მართლა ისეთი ღარიბნი არიან, რომ ამაზედ შესდგეს ჩვენი ღარი და ხაზი? გლეხები კი მდიდრები არიან რომ თავის სკოლებს თავისის საკუთარი ჯიბით უძღვებიან? ვთქვათ. აქაც სიტყვას შემოგვიბრუნებენ და გვეტყვიან: გლეხები ბევრნი არიან, იმათ სკოლებსაც ბევრი ხარჯი არა აქვთ და მსუბუქად უძღვებიანო. ჩვენს სამღვდელოებაზე რაღას იტყვით, რომ მარტო ტფილისის გუბერნიაში შვიდს სასწავლებელს ინახავენ თავისის საკუთარის ხარჯით თავისი საკუთარი შვილებისათვის? ნუთუ ჩვენი თავად-აზნაურობა ჩვენს სამღვდელოებაზედ უფრო ღარიბი და შეუძლებელია? თავის დღეში ამას არ დავიჯერებთ და, მაშასადამე, სიღარიბის ხელზედ დახვევა სხვა არა არის—რა, რომ მიზეზს—დოს მარილი აკლიაო.

თუ გული ჰგულობს, ქადა ორი ხელით იჭმევა. საქმე ის არის, რომ გული არა ჰგულობს და ტყვილად ღობე-ღურეს ვედებით. საქმე ის არის, რომ თ ავად-აზნაურობა აქაც როგორც ბევრში სხვაშიაც, დაჩვეულია სხვისით თავის საქმის გასწორებას და გაძღოლას: სულ მთავრობას შესცქერის—მუქთად გვიზარდოს შვილებიო.

ეს ძველი ჩვეულება, თუ ოდესმე თავად-აზნაურობას ხელს უწყობდა, დღეის იქით ვეღარას გამოადგება. თავად-აზნაურობამ—ბევრია თუ ცოტა—თავის შვილების სწავლა-განათლებას უნდა თავის ჯიბით მიეშველოს. უამისოდ ხსნა არ არის და ეს სახსარი არც მალე იქნება, მით უფრო ძლიერ და უებარ წამლად დაედება იმ წამწყმედელს ტკივილს, რომელსაც სწავლა-განათლების უქონლობას ეძახიან.

ეს ძველი წელიწადი იმით გავათაოთ, რომ მასთან ერთად გამოვეთხოვოთ ამ ძველს ჩვეულებასაც და ახალს წელიწადს მივეგებეთ იმ ტკბილის იმედით, რომ თავად-აზნაურობა ჩვენი თვალს აახელს და საკუთარის მხნეობით თავის-თავის მორჩენას მოიწადინებს და შეუდგება.

„ივერია“ 1887 წ. № 275 1887 წ.

1888 г.

„თერგ-დალეულნი“ და ახალი თაობა

I

ტფილისი, 16 მაისი, 1888 წ.

წარსულს №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ. ნ. გ—ლის წერილი, რომელსაც შეუძლებელია ყურადღება არ ვათხოვოთ, რადგანაც ეს წერილი ეხება მრავალს საგულისხმო და თან სავალალო საგანს ჩვენის ცხოვრებისას. ბ-ნი ნ. გ—ლი, რომელსაც კვალ-და-კვალ თვალი არ უდევნებია ჩვენის ვითარებისათვის, ადარებს ერთმანეთს ორს თაობას, ძველსა და ახალსა, და ორს ხანას ჩვენის მწერლობისას. ერთის სიტყვით, ავტორი ეხება ისეთს საგნებს, რომელთაც შეუძლებელია კაცმა გვერდზე აუაროს, თუ რომ ქვეყნის ავსა და კარგზე ზრუნავს და გული შესტკივა. მართლადაც, განა საინტერესო და საჭირო არ არის ვიცოდეთ, რა მოიღვაწა ძველმა ან ახალმა თაობამ, რამდენი ფეხის ნაბიჯი გადადგა წინ ან უკან ჩვენმა მწერლობამ, ჩვენმა ცნობიერებამ, რამდენად შევიმატეთ თუ შევისუსტეთ გონებითი და ზნეობითი ძალ ღონე? დიაღ, ყოველივე ეს მეტად საყურადღებოა, და ამიტომაც ჩვენ ვუძღვნით ჩვენს შენიშვნ ს ბ-ნის ნ. გ— ლის წერილს და თან ვისურვებთ, მკითხველმა ყურადღება ათხოვოს აღნიშნულს საგნებს.

რა უნახავს, რა შეუნიშნავს ბ-ნს ავტორს წინათ და ეხლა სამშობლო ქვეყანაში, რა აზრისა არის ძველსა და ახალს თაობაზე, ძველსა და ახალს მწერლობაზე? იხსენიებს-რა ავტორი ძველს თაობას, ეგრეთ-წოდებულს, თერგ-დალეულებს, ამბობს, რომ თერგ-დალეული მხნე და მამაცი, კარგად მომზადებული და დროების შესაფერად განვითარებული იყოო. თერგ-დალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაშიო.

„თერგ-დალეულმა ენა შეგვინახა, ცოტათი მაინც გაგვიმდიდრა, და ქართულს ჭკუას, ზნეობას და წერლობას ბევრი სიმდიდრე შეჰმატა“. რა იყო მიზეზი თერგ-დალეულის გამარჯვებისა? თთერგ-დალეულთა თაობაში „არ მოიპოვებოდა არც ძალიან დიდის, უზარმაზარის ჭკუის პატრონი, არც მეტის-მეტად განათლებული კაცი... მაგრამ ძლიერი და გამარჯვებული იმიტომ გამოვიდა, რომ იმ დროის ნათელი აზრები მართლაც შეითვისა და განიხორციელა“.

თერგ-დალეულმა მოგვცა, რისიც მოცემა შეეძლო, და გზა დაუთმო ახალს თაობას, რომელიც დღეს ჰპოქმედობს მწერლობასა და საზოგადოებაში. აქ იწყება ახალი ხანა ჩვენის ვითარებისა; სამწერლო თუ საზოგადო საბიელზე განვიდა სულით და გულით ფუჭი და უღონო, გონებით გაუხსნელი და დროის შესაფერად მოუმზადებელი თაობა, რომლის შუბლის ბეჭედი „გულგრილობა და გულქვაობაა“. ამ თაობამ კარგად და საფუძლიანად არა იცის-რა, არც უცხო მწერლობა და მეცნიერება და არც საკუთარი ვითარებაო.

ერთის სიტყვით, როგორც ხედავს მკითხველი, სურათი ჩვენის მწერლობისა და ცხოვრებისა სრულიად შეიცვალა და ჩვენც სრულიად დავჭეითდით. „განკვიფრებით ვუყურებ ადრინდელს თერგ-დალეულებს და იმათს ნაყოფს—ამ ჟამის ახალ-თაობას“, ბრძანებს ავტორი. და მართლაც რომ განსაცვიფრებელია ავტორის მიერ ნათლად დასურათებული გარემოება.

ეხლა ვიკითხოთ, სად და რა არის მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა? თუ ეს ახალი თაობა ნაყოფია თერგ-დალეულებისა, როგორც ბრძანებს ავტორი,—როგორ მოხდა, რომ ყოველისფრით კარგმა თაობამ, რომელმაც „მართლა შეითვისა და განეხორციელა იმ დროის ნათელი აზრები, თუმცა მეტის-მეტად განათლებული არ იყო“, რომელმაც შეუსრა სიცრუით, სიბნელით და ფარისევლობით სავსე ოჯახი წინა-თაობისა, შეარღვია ზღუდე უმეცრებისა, რომელმაც ენაც, ჭკუაც, ზნეობაც და მწერლობაც გაგვიმდიდრა და, სადაც ფეხი გადასდგა, ყოველგან და ყოველს საქმეს დაასვა „პატიოსნების ბეჭედი“,—როგორ მოხდა, რომ იმ თაობამ, რომელმაც თავისს „საყვარელსა უჩვენა საქმენი საგმირონია“, ვერ აღზარდა კარგი, მხნე და გონიერი თაობა, ან, უკეთ ვსთქვათ, აღზარდა ისეთი უშნო და გულსაკლავი თაობა, როგორიც დღევანდელია? ვიმეორებთ, სად არის იმის მიზეზი, რომ დღევანდელი თაობა, რომელსაც აღმზრდელად კარგი თაობა ჰყოლია, რომელსაც თვალ-წინ ჰქონდა და აქვს მართლა რომ მშვენიერი და მდიდარი, უფრო ადვილად ხელმისაწვდომელი რუსული და სხვა, თუ გინდ საფრანგეთისა და გერმანიის, მწერლობა, ასე უძლური და უფერულია და არაფრით არა ჰგავს წინა-თაობას? როგორ მოხდა, რომ ჩვენი ახალი თაობა დღემდის ვერ მიმხვდარა, „რას უნდა დაებღაუჭოს ხელით, ფეხით, სულითა და ხორცით“,—რომ რუსულის მწერლობისა და ცხოვრების შესწავლა იმისთვის აუცილებლად საჭიროა და ვერა შეუძენიარა ვერც აქ, სამშობლოში, და ვერც უცხო ქვეყნებში. „საფრანგეთსა და გერმანიაში ნამყოფიც ბევრი მოიპოვება ჩვენს ახალგაზრდობაშიო,—ბრძანებს ავტორი,—მაგრამ ამათ ფრანგული და გერმანული რუსულს ენაზე უარესად იციანო. ეგ არის-და! როდესაც მთელს ახალს თაობას აზრი არა აქვს, გინდ პეტერბურგში გაგზავნე, გინდ პარიზსა და გინდ ბერლინში, ვერსაიდგან ვერაფერს სარგებლობას ვერ გამოიტანსო“...

„ზიზეზი ჩვენის უთავ-ბოლო ხეტიალისა ის არის, რომ ჩვენი ახალი თაობა უაზროა, უსაგნოაო“... როგორც სჩანს ავტორის სიტყვებიდგან ჩვენს ახალს თაობას საგანი ცხოვრებისა და ნათელი დედა-აზრი ვერც აქ, სამშობლოში, უპოვნია და ვერც უცხო ქვეყნებში. ვგზავნით თვრამეტისა, ცხრამეტისა და ოცის წლის უსაგნო და უაზრო ყმაწვილებს უცხო ქვეყნებში საგნისა და დედა-აზრის საპოვნელად, მაგრამ სულ ამაოდ. სად უნდა შეიძინოს დედა-აზრი? რა მიზეზია, რომ აზრი ვერ გვიპოვნია ვერც შინ და ვერც გარეთ? ერთის სიტყვით, რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი გრძნობა-გონება, რა მიზეზია, რომ „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა„ და რა მიუვალი ქაჯეთის ციხე ყოფილა ეს ჩვენი ახალი თაობა, თუ რომ ვერც თერგ-დალეულების მაგალითმა და მოღაწეობამ განსწმიდა და გააფაქიზა იმისი გრძნობა და გონება, სული და გული, ზნე და ხასიათი, და ვერც მდიდარმა უცხო მწერლობამ მოხიბლა იმისი თვალი? აი, სხვათა შორის, ის საკითხავი, რომელიც თავში გებადებათ, როცა ბ-ნის ნ. გ—ლის წერილს კითხულობთ.

II

ტფილისი, 17 მაისი, 1883 წ.

რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი ახალი თაობა, ვიკითხეთ ჩვენ წარსულის წერილის დასასრულში. აი, ის რთული საკითხავი, რომლის გამოცნობა მეტად საჭირო და საინტერესოა. ჩვენ აქ ვერ ვიკისრებთ ამ საკითხავის გადაწყვეტას და მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ იმ საშუალებას, რომლითაც, ვგონებთ, შესაძლო იქნება ცოტათი მაინც ნათელი მოვჰფინოთ საგულისხმო საგანს და ასე თუ ისე გადავსწყვიტოთ დადგენილი საკითხავი. წარსულსავე წერილში მოხსენებული იყო, რომ დღევანდელს თაობას, რომელიც სამწერლო თუ საზოგადო სარბიელზე ვარჯიშობს და მოქმედობს, ჰყავდა კარგად გაწვრთნილი და მომზადებული თაობა, თვალწინა ჰქონდა და აქვს გადაშლილი მდიდარი რუსული მწერლობა და ევროპის მწერლობა-მეცნიერება, გზა თავისუფალი ჰქონდა პეტერბურგისაკენ, პარიზისა და ბერლინისაკენ, მაგრამ აქედგან არა გამოდნა-რა, რადგანაც, როგორც ბ-ნი ნ. გ—ლი ბრძანებს, იგი ახალი თაობა უაზროა და უსაგნოა. ბ-ნ ნ. გ—ლთან ერთად ჩვენ აღვნიშნეთ ის ორი უმთავრესი ძალა,—სახელდობრ, კარგად მომზადებული, გრძნობა-გონება განწმედილი და გაფაქიზებული წინა-თაობა და სხვადასხვა ერთა მდიდარი მწერლობა-მეცნიერება, რომელიც ჰქმნის ახალს თაობას. ეს ორი ძალა ხომ მართლა ისეთია, როგორადაც იმათ გვიხატავს ბ-ნი ნ. გ—ლი. მართლადაც, განა ვისმე ნება და საბუთი აქვს თერგ-დალეულების საზოგადო და სამწერლო მნიშვნელობა და უცხო მწერლობათა სიმდიდრე უარჰყოს, ან შეამციროს?

დიაღ, ეს ორი ძალა მეტად შესამჩნევად მოქმედებს ყოველს ახალს თაობაზე, მაგრამ, როგორც ავტორის სიტყვებიდგანა სჩანს, ჩვენის ახალის თაობის სულისა და ხასიათის ჯიუტობას-კი ვერ შეეკლავა.

ახლა ნება გვაქვს ვიკითხოთ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ამ ორმა ძალამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოისხა? განა შესაძლო არ არის ვიფიქროთ, რომ ჩვენის ახალის თაობის ვითარებაში კიდევ სხვადასხვა ძალა მოქმედებს? თუ ამ-გვარი ძალა არა ყოფილა, მაშინ საბუთი მოგვეცემა ვიფიქროთ, რომ ჩვენ დედის მუცლიდგან დაგვყოლია „გულქვაობა, გულგრილობა, უაზრობა, უსაგნობა“, ერთის სიტყვით, ყველა ის სენი, რომელიც ბ-ნს ნ. გ—ლს თავის წერილში აღუნიშნავს. მაგრამ ეს საბუთი ხომ ტყუილი საბუთი იქნებოდა, რადგანაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მთელი თაობა ბუნებითგანვე უნიჭო, გულქვა და გულგრილი იყოს; რომ მომაკვდინებელი სენი ბუნებითგანვე სისხლსა და ხორცში შეგვხიზნებოდეს. ჩვენის აზრით, მთელი თაობა შუათანა ნიჭისა, ჭკუისა და ხასიათისა მაინც უნდა იყოს, რადგანაც წარმოსადგენი არ არის, რომ სულსა და ხორცში დაბადებითგანვე დაგვბუდებოდეს ყოველ-გვარი მძიმე სენი.

მაშასადამე, როცა ჩვენს ახალს თაობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ერთი, ან ორი შემომქმედი ძალა, არამედ რამდენიმე, თუ გვინდა, რომ უტყუარი განაჩენი დავსდოთ და შევიგნოთ საკუთარი ვითარება. უნდა აღმოვაჩინოთ ყველა ის ძალა, რომელიც ავად თუ კარგად მოქმედებდა ჩვენს ახალს თაობაზე, ავწონ-დავწონოთ და გავზომოთ თვითოეულის სიღრმე და სიგანე და მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, თუ რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი ახალი თაობა და ააყვავა და ზეციური მადლი შთაჰბერა სულსა და გულში. მაშინ იმასაც შევიტყობთ, თუ რა ძალა რა ზომისაა და რა მონაწილეობა მიუღია ახალის თაობის აღზრდასა და გაწრთვნაში.

როცა, მაგალითად, ახალს თაობაზე ვლაპარაკობთ, განა მარტო ის ორი ძალა—წინანდელი თაობა და უცხო მწერლობა, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ცხოვრებაში სხვა მრავალი ძალა მოქმედობს, და დროზე არის დამოკიდებული ერთისა ან მეორის ზედმოქმედების სიღრმე და სიგანე. ეს სხვადასხვა ძალა ზოგჯერ თანაბარად მოქმედებენ და ერთი მეორეს ხელს უწყობს, ხან ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და გზაზედ ეღობება, და აი სად არის მიზეზი ცხოვრების მოვლენათა რთულობისა და მრავალ-ნაირობისა. ავიღოთ, მაგალითად რომელიმე კერძო ადამიანი, ან კრებული ადამიანთა, საქმე, ჩავუკვირდეთ თვითოეულის ვითარებას და დავრწმუნდებით, რომ იმათს შექმნაში მოქმედობს მთელი საშინაო და საზოგადო ვითარება. იგივე ითქმის ჩვენს ახალს თაობაზე, რომლის ავი და კარგი დამოკიდებულია რამდენსამე ძალათა კრებულზე და ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობაზე. აი, ჩვენის აზრით, ის გზა, რომელიც გაგვიადვილებს ჩვენის ახალის თაობის ვითა-

რების და ავისა და კარგის გამორკვევას; მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან შევიგნოთ ზოგი რამ, რაიცა ბ-ნს ნ. გ—ლს სრულიად სამართლიანად შეუნიშნავს ჩვენს ახალს თაობაში. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ ორს წერილში დადგენილის საკითხავის ვრცლად გამორკვევას; მხოლოდ ერთს გარემოებას ჩავუდგებით კვალში, სახელდობრ იმას, თუ რა მონაწილეობა აქვს ჩვენს ძველს თაობას ახალის თაობის შექმნასა და ვითარებაში და დღევანდელის მწერლობის ავ-კარგიანობაში. მეტის-მეტად საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ როგორ მოქმედობდა ძველი თაობა ახალზე და როგორ დაეტყო ეს ზედმოქმედება. ამისათვის ჩვენ ისევ ბ-ნ ნ. გ—ლს მივყვეთ და განვიხილოთ ზოგიერთი იმისი აზრი და შეხედულობა.

III

ტფილისი, 19 მაისი, 1888 წ.

ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენის ახალ თაობის შექმნაში მოქმედობდა რამდენიმე ძალა, სახელდობრ, მთელი საშინაო და საზოგადო ვითარება, საკუთარი და უცხო მწერლობა. თვითოეულის ძალის გამოკვლევას ჩვენ აქ არა ვკისრულობთ. მხოლოდ ერთი ძალა გ მოვყოთ იმ ძალათა კრებულიდგან და ამ ერთს ძალ ს ჩავუდგეთ კვალში. ხოლო ის-კი უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რამდენიმე ძალა ზოგჯერ ერთმანეთს ხელს არ უწყობდნენ და თუ ამ აზრს მივიღებთ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან გ მოვიცნოთ, რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი გრძნობა-გონება და რამ მისცა, ჩვენის ფიქრით, საბუთი ბ-ნს ნ. გ—ლს ისეთი გულსაკლავი აზრი შეედგინა ჩვენის ახალის თაობის შესახებ.

ძველი თაობა, რომელსაც ეგეთის სიყვარულით და სიამოვნებით იხსენიებს ბ-ნი ნ. გ—ლი, აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით. მაშინ ჩვენი საზოგადოება ხომ გონებით ძალიან დაქვეითებული იყო და საკუთარის ვითარებისა თითქმის არა გაეგებოდა რა. ნასწავლმა თაობამ, გარდა იმისა, რომ მოჰფინა, რამდენადაც შეეძლო, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრები, ხელი მიჰყო საკუთარს ვითარებას. ამ ორს საგანს ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდა და ამ ნათელის აზრების მიხედვით ჩაუკვირდა ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმისი ღირსებანაკლულევანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. ვინც თვალხილული იყო და ყურთა სმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელ-ჩასაჰიდებელი და საზრუნველი. ასე თუ ისე საზოგადოებამ ცოტათი მაინც იგრძნო, რამდენად საჭიროა საკუთარის ვითარების გამორკვევა და შეგნება. ამის ნაყოფი იყო ისიც, რომ ჩვენმა მწერლობამ ხელი მიჰყო ძველის ვითარებისა და მწერ-

ლობის შესწავლა. საზოგადოების ყურადღება და აზრი მიიპყრო იმანაც, რაიცა იმ დრომდე მივიწყებული და უყურადებული იყო, და აი მაშინდელმა თაობამ ხელი ჩასჭიდა ამ მივიწყებულ ა და საზოგადოებას მიჰმადა სიყვ რული გაუღვიძა. გად ათეალიერეთ საუკეთესო ნაწერები იმ ძველის თაობისა და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი აზრი უსაბუთო და ქ იშაზე აშენებული არ არის. მას აქეთ თანდათან ძლიერდება საკუთარის წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარჰყოფს, რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია.

ეს საქმე მოიმ ქმედა იმ ძველმა თაობამ და ეს არის უ თავრესი იმისი სამსახური. მას აქეთ, როგორც ვსთქვით, დღითი-დღე იზრდება, თუმცა წყნარის ნაბიჯით, ის საძირკველი მწერლობისა, და აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ თავს დავსტრიალებთ ჩვენს ღარიბს, ახლად ფეხადგ ულს ლიტერატურას.

ჩვენ აქ ვეცადეთ დაგვადგინა, რომ ეხლანდელი მწერლობა შთამომავალია იმ ძველის მწერლობისა, და თუ ამ შთამომავალს უსაყვედურებს ბ-ნი ნ. გ—ლი ძველი ა და ახალის მწერლობით გატაცებას, არც ის უნდა დაივიწყნა, რომ ეს დანაშაულობა ძველის, თერგ-დალეულთა თაობის საქმეა. ამიტომაც საბუთი არავისა აქვს სთქვას, ვითომ ახალის თაობის მწერლობას ნათესაობა არა ჰქონდეს ძველს მწერლობასთან.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ძველის თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალზე და ამ გავლენას ვერას-გზით ვერ მივიჩნევთ მავნებელ გარემოებად. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ საკუთარის ვითარების საფუძვლიანად შესწავლა ჩვენში ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ამას ბ-ნი ნ. გ ლიც ჰმოწმობს, როცა ამბობს, რომ რაკი ეხლანდელი თაობა უცხო ენაზე ლაპარაკში ყბას მოიღლის, მხოლოდ მაშინ წაავლებს ხელს ქართულს ენას, ვითარცა მდაბიო და სამასხარო ენას, თუმცა „სიტყვით ყველგან ჰყვირის, რომ ქართულისთანა ტკბილი, ყურისათვის სასიამოვნო, მდიდარი და ყოველად შემკობილი ენა მთელს ხმელეთზე არც დაბადებულა და არც დაიბადებაო“.

თუ ჩვენ ქართულს ენასაც-კი ამ-რიგად ვეპყრობით, რასაკვირველია, ყველა იმას უნდა ჩაგვჩიჩინებდეს: ისწავლეთ ქართული ენა და მწერლობა, გამოირკვიეთ საკუთარი ვითარება, თორემ უამისოდ მწერლობის წარმატება ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელიაო. მართლაც, ბ-ნს ნ. გ—ლს სა ართლიანად შეუნიშნავს ქართულის ენისა და საკუთარის ვითარების ნაკლებად ცოდნა ჩვენის ახალ თაობისათვის. მხოლოდ ის უნდა ვაღიაროთ, რომ ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, რამდენიც დღესა გვაქვს, უმთავრესად ისევ ძველის მწერლობის საქმეა. რაც გვაკლია, იმას ძველს მწერლობას დანაშაულებად ვერ ჩამოვართმევთ, რადგანაც ეს ნაკლი სხვა გარემოებათა საქმეა და არა ძველის მწერლობისა. ერთის

სიტყვით, მწერლობა ყველგან ვერ მისწვდა და ვერ შეემკლავა ზოგიერთს საშინაო და საზოგადო გარემოებასა. აქედგან, ჩვენის აზრით, ცხადია, რომ ჩვენი ახალი თაობა, რომელსაც სჭირს ზოგიერთი სენი, ბ-ნ ნ. გ—ლის მიერ აღნიშნული, დაისეტყვა და დაინაცრა იქ, სადაც მწერლობა ვერა სწვდებოდა. ჩვენთან ერთად ამ გარემოებას ბ-ნი ნ. გ—ლიც ჰმოწმობს, როცა შემდეგს ამბობს: „როდესაც მთელს თაობას აზრი არა აქვს, გინდ პეტერბურგში გაგზავნე, გინდ პარიზსა და გინდ ბერლინში, ვერსაიდგან ვერაფერს გამოიტანს... მიზეზი უთავბოლო ხეტიალისა ის არის, რომ ჩვენი ახალი თაობა უაზროა, უსაგნოა“... როგორც წინა-წერილში ვსთქვით, სხვა ქვეყნებში უმეტესად ჯერ კიდევ ყმაწვილებს ვგზავნით, რომელთა ავი და კარგი უფრო სხვა ძალაზეა დამოკიდებული, ვიდრე მწერლობაზე.

IV

ტფილისი, 20 მაისი, 1868 წ.

ჩვენ, ვგონებთ, საერთოდ ნათლად ვუჩვენეთ მკითხველს, რომ დღევანდელს ჩვენს მწერლობას უნდა ჰქონდეს და კიდევაცა აქვს ნათესაობა წარსულ მწერლობასთან; რომ საფუძველი, დედა-აზრი ძველისა და ახლისა ერთი და იგივეა. ვგონებთ ისიც ცხადია, რომ ეს საფუძველი თანდათან იზრდება, თუმცა, როგორც წინათვე ვსთქვით, ჯერჯერობით ენა და მწერლობა იმდენად ვერ შევვიმუშავებია, რამდენადაც საჭირო და სანატრელია. ამას ისიც დავუმატოთ, რომ, როგორც ბ-ნი გ—ლი ამბობს, ჩვენ ნაკლებად გაცნობილი და შეთვისებული გვაქვს, მაგალითად, რუსული მწერლობა და ცხოვრება. ხოლო ბ-ნ ნ. გ—ლის წერილიდგან არა სჩანს, რომლის არა-ცოდნას უფრო სწამებს ავტორი ახალს თაობას, ქართულის მწერლობისას და ცხოვრებისას, თუ უცხოისას. ჩვენის აზრით, მეტად საჭიროა ეს საკითხავიც გამოვიძიოთ. ერთისა და მეორის მეტ-ნაკლებად ცოდნა ძლიერ ჰმოქმედობს ჩვენს ახალს თაობასა და მწერლობაზე. ბ-ნი ნ. გ—ლი ბრძანებს, რომ ახალი თაობა „მარტო ამ ჩვენს ღარიბს, ახლად ფეხადგმულს ლიტერატურას“ ჩასჭიდებია; თანაც გვეკითხება: „სხვები განა ჩვენს ახალ თაობასავით წამ-და-უწუმ მარტო თავის საკუთარს თხზულებებს დასტრიალებენო“, და ჰკვირობს, რომ ჩვენ უყურადღებოდა ვტოვებთ მდიდარს რუსულს მწერლობას, მაგრამ ამ სიტყვებიდგან მაინც ცხადად არა სჩანს, რა უფრო ნაკლებად ვიცით—ჩვენი საკუთარი მწერლობა და ცხოვრება, თუ რუსული.

ჩვენის აზრით-კი ცხადია, რომ უცხო მწერლობა და ვითარება ბევრად უფრო კარგად ვიცით, ვიდრე საკუთარი. განა თვითოეულმა განათლებულმა ქართველმა უცხო მწერლობა საკუთარზე უკეთ არ იცის, რადგანაც სწავლის დაწყებიდგანვე თვით დასრულებამდე უცხოსა სწავლობს და არა

საკუთარს? ბევრს შეხვდებით რომლებსაც გადაკითხული და გაცნობილი აქვსთ მთელი, მაგალითად, რუსული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, მაშინ როდესაც სრულიად წაკითხული არა აქვსთ საუკეთესო ნაწერები ქართულის ლიტერატურისა. იგივე ითქმის უცხო და საკუთარს ისტორიასა და ცხოვრებაზედაც. ჩვენ აქ იმას-კი არ ვამბობთ, ვითომ ჩვენ იმდენად კარგად ვიცით უცხო მწერლობა, რომ მეტი საჭიროც არ იყოს; პირიქით, ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მართლაც, რუსეთი ყოველის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა, საიდგანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარსა განათლებისას, ჰკვირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურობას. ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით.

ჩვენის საუბარიდგან ცხადი უნდა იყოს, რომ ბ-ნი ნ. გ—ლი ტყუილად უსაყვედურებს ჩვენს ახალს თაობას გადაჭარბებულს გატაცებას საკუთარის მწერლობით და უყურადღებობას უცხო მწერლობისადმი. ჩვენის აზრით, არც პირველში გადაგვიჭარბებია იმ ზომამდე, რომ ვინმემ გვისაყვედუროს, და არც მეორეში შეუძლიან ვისმე შეგვწამოს, ვითომ საკუთარს ქერქში გამოვხვეულიყოთ და სინათლისა გვეშინოდეს. ჩვენ-კი იმ აზრისანი ვართ, რომ ერთისა და მეორის შესწავლა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა; მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ რაც შეიძლება მეტი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენს მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველისავე ცოდნისა. ჩვენის ფიქრით, თუ ამ გზას დავადგებით, მაშინ, იმედია, შემდეგი თაობა ზოგში მაინც არ იქნება ისე დასეტყვილი და დანაცრული, როგორც დღევანდელია.

ბ-ნს ნ. გ—ლს ჩვენს მწერლობაში აღმოუჩენია ერთი მეტად კარგი თვისება, რომელსაც შეუძლიან ბევრი ჩვენი ნაკლულევანება შეისყიდოს. მართლაც რომ დიდი საუნჯეა ადამიანთა ცხოვრებაში სინიდისი და ნამუსი. „მარტო ერთი ძალიან სასიამოვნო და საკვეხური ზნე სჭირს ჩვენს

ჟურნალ-გაზეთობას; ეს ის გახლავთ, რომ ყოველგვარს ნაკლულევანებასთან სინიდისი და ნამუსი თავისდღეში არ დაუკარგავს. მაგრამ რა გააწყოს ცარიელმა ზნეობითმა მხარემ, როდესაც კაცის ჭკუას, გულს, გრძნობას და თითონ სულს იგი არას ეუბნება(?)".

პირველი ნახევარი ამ წინადადებისა იმდენად მართალია, რომ თვით ბ-ნს ნ. გ—ლს, რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია ჩვენს ახალს თაობას და მწერლობასა, შეუნიშნავს იგი სასიამოვნო და საკვეხური ზნე. ხოლო მეორე ნახევარი წინადადებისა კარგად ვერ გაგვიგია, მაგრამ ამას ნუ გამოვეკიდებით. ჩვენ აქ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ერთს ადგილას ისეთს რასმე ამბობს, რაიცა პირდაპირ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზემოთ მოყვანილს ადგილს იმის წერილისას. ბ-ნი ნ. გ—ლი, გვიხატავს-რა სურათს ჩვენის ახალის თაობისას, ამბობს: „რაკი ღეჭით ლაპარაკში ყბას მოიღლის (ახალი თაობა)... ქართულს ენას წამოავლებს ხელს, რადგანაც ეს უბედური ქართული ენა უფრო მდაბიო და სამასხარო ენად მიაჩნია; რასაკვირველია, ეს მხოლოდ გ უ ლ შ ი მიაჩნია, თორემ ს ი ტ ყ ვ ი თ-კი ყველგან ჰყვირის, რომ ქართულისთანა ტკბილი, ყურისათვის სასიამოვნო, მდიდარი და ყოვლად შემკობილი ენა მთელს ხმელეთზედ არ დაბადებულა და არც დაიბადებაო". ამ სიტყვებიდგანა სჩანს, რომ ავტორს ახალ თაობისათვის სიყალბე შეუმჩნევია და, თუ ამისთანა სიყალბე მართლა სჭირს ჩვენს ახალს თაობას, მაშინ რაღა სახსენებელია სასიამოვნო და საკვეხური ზნე-სინიდისი და ნამუსი. მაგრამ დავარწმუნებთ ბ-ნს ნ. გ—ლს, რომ მის მიერ აღნიშნული გარემოება ქართულის ენის შესახებ სიყალბის ნაყოფი-კი არ არის, არამედ სულ სხვა მიზეზისა, რომელიც თვითოეულს ჩვენგანს დიდად სამწუხარო გარემოებად მიაჩნია.

1888 წ.

ტ. IX, გვ. 70—84.

პედაგოგიის საფუძვლები

I

გაზეთებმა მოგვიტანეს ამას-წინათ ამბავი და ჩვენს „ივერიაშიც“ თავის დროზედ მოვიხსენიეთ, რომ პრუსიაში დედათა სასწავლებლებში შეუნიშნავთ დაქანცვა გოხებისა მოსწავლეთა ქალთათვის მეტის-მეტი სწავლებისა გამო. ამის გამო ზოგიერთი ახალი წესები დაუდგენიათ, რომ მოსწავლეთა ქალთა გარჯა და შრომა შემსუბუქებულ ექმნათ. თუ არა მეტი, ესეთივე ქანც-გაწყვეტა სულითა და ხორცითა დიდიხანია შეჰნიშნეს ევროპაში მოსწავლე ვაჟებსაცა და ამის გამო თითქმის მთელი ლიტერატურა შესდგა, ნამეტნავად გერმანიასა და საფრანგეთში, საცა ამ ამბავმა უფრო ძლიერ თავი იჩინა,—და დაანაღვლა, როგორც იქაურნი გამგებელნი სწავლა განათლების საქმისანი, აგრეთვე დედ-მამანიცა.

ჩვენა გვგონია მეტი არ იყოს, გამოვარკვიოთ, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზნი ამისთანა სამწუხარო ამბისა იმ თხზულებათაგან, რომელთა ავტორნიც მოეკიდნენ ამ საქმეს შესაფერის გულმტკივნეულობითა.

ამ უკანასკნელ ხანებში საპედაგოგიო ლიტერატურაში გახშირდა ხმამაღლად ღაღადება, რომ ეხლანდელის სკოლის ყოფა-მდგომარეობა ევროპაში თავს არ მოდის და ახალს მოზარდს თაობას სჩაგრავს, რადგანაც ცალ-მხრივია და ცალ-კერძოო. ყველანი ამაზედ თანახმანი არიან, რომ ეხლანდელი სკოლა უფრო იმაზეა მიმართული, რომ რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა აძლიოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წვრთნა, სწორება და გამართვა-კი მთლად უყურადღებოდ არის დატოვებულიო. ამ ცალ-კერძოდ სკოლის მომართვის შედეგზე აი რას ამბობს ერთი ავტორი;

„სამწუხარო სურათი წარმოუდგება თვალ-წინ ყველას, ვისაც არ ეშინიან პირდაპირ შეხედოს მართალს და თვალი თვალში გაუყაროს. თითოოროლა მაგალითს გარდა, ეხლანდელი ყმაწვილი კაცი ჯანით მეტად უძლურია, საშინლად ძარღვ-მოშლილი და მოდუნებული, თითქო სნეულიაო. საკმაოა მცირე რამ დაბრკოლება დახვდეს და მაშინვე უღონობისაგან ხელებს ჩამოჰყრის; გულს უხეთქავს, ხალისს უკლავს ყოველი საქმე, რომელიც-კი ცოტად თუ ბევრად მხნედ, მედგრად ხელის მოკიდებას ჰთხოულობს, ხანგრძლივს, დაჟინებულს, გულგაუტეხელს ბეჯითობას და გარჯას. არ არის იგი ჩვეული თავით თვისით ისაზროს, იფიქროს და ამის გამო ადვილად ეძლევა უარყოფას ძველისას და სრულიადაც არა ჰნაღვლობს უარყოფილის სანაცვლოდ ახალი რამ ჩააყენოს. ყოველ ამის გამო ეხლან-

დელი ყმაწვილ-კაცობა დიდად უბედურია და ძალიან იშვიათად შემძლებელია, რომ გონიერად, ჭკვა-დასმით და სასარგებლოდ თავით თვისით გააკეთოს რამ და იღვაწოს. იგი უღონოა თვითმოქმედებისა და მოღვაწეობისათვის.

„ზოგნი ამათგანი,—ამბობს შემდეგ იგივე ავტორი,—და ეს ზოგნი საკმაოდ ბლომად არიან, ნამეტნავად ცოტაოდნად შემძლებელ ოჯახისანი—მთელს თავის სიცოცხლეს იმას ანდომებენ, რომ პროტექციით ლუკმა პური იშოვნონ და სცხოვრებენ პირუტყვსავით დღე-დღეურად, თითონაც არ იციან, რისთვის არიან და სად მიდიან: სჭამენ, სმენ, თამაშობენ ქაღალდს, ჰტანციობენ, არ ჰიყობენ, ჰმსახურობენ იქდენად, რომ ჯამაგირები იღონ. ეს ჯურა ხალხი მთლად ხელ-ასაღებელი ხალხია, ყოვლად უვარგისი, უხეირო, არარაის მაქნისი. ამათ მკვდარი აქვთ ყოველივე ფანტაზია, ყოველიკე აზრი, ყოველივე გრძნობა, ნაძირალ გრძნობის გარდა. ცოდნა, სკოლაში მიღებული, ზოგჯერ საკმაოდ ბეჯრიცა, ამათთვის მეტი ბარგია და მალე დაებღერტებათ, გაეფანტებათ ხოლმე ცხოვრების გზაზედ.

„სხვანი, უფრო ნიჭიერნი—ხელგამომავალნი არიან და ჯერ სკოლაშივე გამოარკვევენ ხოლმე,—რა საქონელსა აქვს გასავალი საზოგადოების ბაზარში ამა-და ამ დროს. ამათი ფანტაზია, აღფრთოვანებული ადვილად გამდიდრების ცოცხალ მაგალითებითა, წინ გადუფენს ხოლმე სარჩოიანს გზას ვექილისას, მკურნალისას, ინჟენერისას არქიტექტორისას, მზითვიან ცოლის, თუ შემძლებელ ქმრის შერთვისას—ერთის სიტყვით, უხატავს იმ გამორკეულს იდეალს ხერხიან კაცისას, რომელსაც საგნადა აქვს ადვილად გამდიდრება და მერე მაძღარი განცხრომა გაურჯელად და უშრომელად. ამ ჯურის ხალხი ყველაზედ უარესნი, ყველაზედ მავნებელნი მუქთამჭამელნი არიან და მეტის-მეტად საშიშარნი თავის ქვეყნისათვის, რადგანაც ყოველ წუთს მზად არიან მიჰყიდონ იმისი სვე-ბედი იმას, ვინც მეტს მისცემს".

რა თქმა უნდა, რომ ავტორი აქ ჰლაპარაკობს უფროს-ერთზე, უმრავლესობაზედ. ვინ იტყვის, რომ თითო-ოროლა სასიხარულო მაგალითიც არ იყოს ეხლანდელს ყმაწვილ-კაცობაში. უამისობა ხომ ქვეყნის უკუქცევა იქნებოდა. ავტორი მარტო უმრავლესობის, უფროს-ერთის უფერულობას, უღონობას გვანიშნებს და ამაში არა გვგონია იგი გაამტყუნოს ვინმემ. იგი ამბობს, რომ:

„ბევრმა ყმაწვილ-კაცმა არ იცის, რა გზას დაადგეს და საით წავიდეს; ამის გამო ყმაწვილი-კაცი სასოწარკვეთილებას ეძლევა, გული უტყდება აღარაფრისათვის ერჩის. ეს სასოწარკვეთილება და გულის გატეხა ჭკვას უშრობს, გრძნობას უხშობა, უკლავს ყოველს ხალისს მოქმედებისას, რომელსაც მისგან მოელის იმისი სამშობლო და რომლისათვისაც ამ სამშობლოს გაუწევია ღვაწლი იმ იმედით, რომ ჩემის შვილის მოქმედება ოდესმე გამომადგება და ერთი-ორად მაინც მიზღავს ჩემის ღვაწლის სამაგიეროსაო".

ეს მართლა-და სამწუხარო სურათი ყმაწვილ-კაცობისა ბევრს უდგა თვალ-წინ, ხაგრამ—ერთის მწერალისა არ იყოს—ეს ბევრნი ან არა ჰხედვენ ამას, ან ჰხედვენ და მარტო ჰკიცხვენ და ჰკილვენ თითონ ყმაწვილ-კაცობას, აბეზღებენ საზოგადოების წინაშე, სდევნიან და აბრუს უტეხენ, იმის მაგიერ, რომ გულდასმით ჩაუკვირდნენ თითონ მიზეზს, თითონ სათავეს ამ მართლა-და სამწუხარო და მერმისისათვის საშიშარ მოვლენისას. მეცნიერნი, რომელთაც მართალის გულმტკივნეულობით მიუქცევიათ ყურადღება ამ უნუგეშო სურათისათვის, მიზეზს ჰხედვენ ყოველთ უწინარეს იმ საზოგადო წრის უფერულობასა და უვარგისობაში, საცა ნორჩი სული ბავშისა პირველ იღყიძებს და მერე ზრდაში შედის. რასაკვირველია, რომ იმ წრეს, საცა ბავში პირველ ხანიდამვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ, ბავშის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ-სახით, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედმოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ. ხოლო არის მეორე საგანიც, რომელსაც, თუ არ მეტი, ნაკლები ზედმოქმედება არა აქვს ადამიანის ავ-კარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა. ევროპაში ამ მხრით გამოიძიეს ეს ეხლანდელის სკოლის ყოფა-მდგომარეობა და ერთს დიდს ბრალს იმ სამწუხარო ამბისას, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, თითონ სკოლის ეხლანდელს ყოფა-წყობილებასა სდებენ.

რა-გვარია ეს ბრალი და რამოდენად საბუთიანია—ამას შემდეგს ნომერში ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

II

ჩვენ წინა-წერილში იმაზედ შევწყვიტეთ სიტყვა, თუ,—მეცნიერნი რა-გვარს ბრალსა სდებენ ეხლანდელს სკოლას და რამდენად სიბუთიანად უკიჟინებენ, რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებსო. ვიდრე ამ ბრალის და საბუთების ჩამოთვლას შევუდგებოდეთ, ჯერ პირველად საჭიროა ვიცოდეთ,—რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას. ამის პასუხად ბევრს გამოუთქვამს აზრი და ყველა ეს აზრი, სავადასხვაფერად გამოთქმული, ერთს საფუძველზეა აგებული, ერთის სათავიდამ წარმომდინარებს. ეს საფუძველი, ეს სათავე ის არის, რომ სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში.

წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს—სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი—გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ

არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებელობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია. ეს ყველამ იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. რათ უნდა იყოს კაცი ავი, როცა მხოლოდ სწავლულია და არა ზნე-ხასიათ გაწურთვნილიცა?

სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწრთვნელი სწავლული კაცი.

ჰეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონება-განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონება-განვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწრთვნელი. ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს.

რასაკვირველია, ზნე-ხასიათის წარსამატებლად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თავისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთს მშვენიერს ამბავს გვიამბობს ერთი მწერალი მასზედ თუ,— წინდახედულად და გონიერად მოქცევა ოსტატისა რის შემძლებელია ზნე-ხასიათის წურთვნისათვის. თუმცა გრძელია ეს ამბავი, მაგრამ ისე კარგი რამ არის, რომ გვსურს სულ ამოვწეროთ და მით ვასიამოვნოთ ჩვენს მკითხველებსა. აი ის ამბავი.

„იმის დასამტკიცებლად თუ, — რა-რიგად ლბილია ბუნება ბავშისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშს შთააგონოს კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძლევა თავის დანიშნულებას,

შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენისამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი ბავშობიდამ ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყა ბავშებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი ქაღალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც-კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითამ-და საყურადღებო არა მოხდა-რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინიდისსა. აბა იფიქრეთ,—მას შემდეგ, რა უპატიურებაც მომაყენა ერთმა თქვენგანმა,—რა გაწყარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდამ, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დეე განიკითხოს ის იმისმავე სინიდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება, თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ. დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო,—ვინ იცის, მეც კაცი ვარ—იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს".

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის-პასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს: „ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა". ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შეგირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც იგი ასწავლიდა".

ერთი ასეთი ჰკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანისა.

ჩვენ ამ ამბავმა მეტად გაგვიგრძელა წერილი და რაც სათქმელი გვქონდა, იმასაც გადაგვახვევინა, ჩვენა გვგონია, რომ ამით ბევრი არა დაშავდა-რა და თუ დაშავდა, ვეცდებით, შემდეგში დანაშაული ვიპატივოთ.

III

ჩვენ წინა-წერილში ლაპარაკი გვქონდა ზნე-ხასიათის წრთვნაზედ. ხოლო რა არის ეს ზნე-ხასიათის წრთვნა, ეს კი ვერ ავხსენით. ამის ახსნას დიდი გამოძიება უნდა და ჩვენთვის კი ამ-ჟამად საკმარისი იქნება ვსთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი, საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველ-გვარის წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა.

სხვანი ამაზე უფრო შორს მიდიან და,—სწორედ მოგახსენოთ,—არც უსაბუთოდ. ეს სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა არამც-თუ უდიდესი, არამედ ერთად-ერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებააო. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი საგანი არ უნდა ჰქონდეს და ყოველი ღონე ამას უნდა მიჰმართოს და მოახმაროსო. კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გამორკვეულის საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწრთვნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა.

ამიტომაც თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წრთვნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა.

დღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული

და გაჩერებული. ეს ამბავი მით უფრო საბუთად სახმარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდა უნივერსიტეტი, მარტო სწავლა-ცოდნის შეძენაზეა მიმართული და აგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოსწავლესა.

თუმცა ასეა, მაგრამ ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდამ, თუ სხვა სკოლიდამ გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს,—ჰქონია ფიქრად, თუ არ ჰქონია,—მაინც ასე თუ ისე უცოდინებია, უსწავლებია, სად და როგორ გაიგნოს სწავლა-ცოდნის, მეცნიერების გზა. ამ სახით, თუმცა ეხლანდელს სკოლას განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუჭება და ვერა-გზით ვერა სწვდება. ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თვისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა.

მაშასადამე, სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწურთნოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ რამდენ ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა. ეგრე მოწყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუდრკება და ზნე-ხასიათობაც ეს არის.

ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წრთვნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცად-ღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-დღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ.

„ესეთი ყოფა და მიმართულება ეხლანდელის სკოლისა,—ამბობს ერთი მეცნიერი:—ერთი უსაშინელესი და უდიდესი ცდომაა ადამიანის ყოველ სხვათა ცდომათა შორის. ყმაწვილის ნორჩს გონებას ვტვირთავთ, საბარგულედა ვხდით რიცხვით აუარებელ და მრავალფერ ცოდნისათვის, იმისდა გამოურკვევლად თუ,—რა აზრით ვშვრებით ამასა. იმის მაგიერ, რომ ბუნებისამებრ ვხარდოთ, ვწურთნოთ სული, ჩვენ მარტო იმასა ვსცდილობთ, რომ ბავშს გავუგეშოთ მხოლოდ ნიჭი გონებისა და ხსოვნა ციფრებისა, სახელებისა, წელიწადებისა, სამათემატიკო ფიგურებისა, საგრამატიკო ფორმებისა. ამას ჩვენ ისეთის ახირებითა ვსცდილობთ, იმოდენად რიცხვით ბევრს და დიდის საწყაოთი ვუწყავთ, რომ ბავში მთლად იქანცება

ხორცით, აღარა აქვს დრო არც თავის ბუნებურ თვისების თავის-თავად გახსნისა და წარმატებისათვის, არც იმისათვის, რომ ამ აუარებელ სასწავლებელ საგნებ შორის გამოარკვიოს, გაიგნოს რამ. შესვენებისათვისაც-კი აღარა რჩება დრო თავისუფლად მიეცეს ფიქრსა უიმისოდ, რომ ზედ არ დასცქეროდეს დაუძინებელი, გულის ასარევამდე მოძულებული ოსტატი ანუ ზედამხედველი".

„ასწავლიან გრამატიკას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას,—ამბობს სხვა მწერალი:—და უმთავრესს აზრს, უმთავრესს საგანს სკოლისას კი ივიწყებენ, სახელდობრ, იმას, რომ სკოლამ უნდა უშველოს, ღონე მისცეს შეგირდის ზნე-ხასიათს თავის-თავობა იჩინოს და გაიწურთვნოს წარსამატებლად და განსავითარებლად".

„თუ ამ გზით არა ჰშველის სკოლა შეგირდსაო,—ამბობს იგივე:—მაშინ აღარც იდეალია, აღარც ღონეა თავდამჭერი ავში და წამახალისებელი კარგში და საკუთრივ ამაებისაგან-კი დაიწვნის ხოლმე უკეთესნი თვისებანი ადამიანის ზნე-ხასიათისანი, სახელდობრ: კაცთმოყვარეობა და სამართლიანობაო".

მართალიც არის. კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა. თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მომქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი,—სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა, და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზაოდოს ქვეყანას, ამისათვის გაუხსნას გონება, ამისათვის გაუღოს გული.

ეს ამისთანა აზრი სკოლის მოეალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის საზავეს საწუალო საუკუნოებში ეპოულობთ და მაშინდელ დიდ ბუნებოკან კაცებს არა-ერთხელ წარმოუთქვამთ. თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში გაღვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

შემდეგს ნომერში ამ ისტორიას ვუამბობთ ჩვენს მკითხველებსა.

IV

მოკლედ რომ მოვსჭრათ, რაც გრძლადა ვსთქვით ეხლანდელს სკოლაზედ, გამოვა, რომ დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახვოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარეშემო არსებობს და თავს იჩენს,

მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმე დობს ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ,—კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის. რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა.

ამას ნათლად გვიხატავს მეცნიერი ვესსიო, [31] რომელიც ამბობს:

„ბერძნებსა და რომაელებს ფილოსოფოსი ასწავლიდა,—ასე რომ ვსთქვათ—ქუჩაში, ყველგან ეჩვენებოდა მთელის თავის შეგირდების კრებულითა, ცხოვრებას ცხოვრებაშივე აკვირდებოდა, უხსნიდა და განუმარტებდა მისთა მოვლენათა, ესაუბრებოდა და ეკამათებოდა ხალხსა, ერთის სიტყვით, საზოგადო, საყოველთაო მოღვაწე იყო. ეხლა ფილოსოფოსი განსაკუთრებულად მწიგნობარი კაცია, უფრო ხშირად მეთეორეა. ჩვენ იშვიათად შეგვხვდება ხოლმე მოსმენა მისის ცოცხალის სიტყვისა, უფრო იშვიათი შემთხვევაა მისი საუბარი ჩვენთან. უფროს-ერთი მარტო იმათს თხზულებას ჰკითხულობს, ისიც მაშინ, თუ ფილოსოფოსმა გვაღირსა და საქვეყნოდ გამოამჟღავნა თავისი სისტემა. ძველთა ფილოსოფოსთა მიმდევარი შესაძლო იყო გეცნათ მისის ცხოვრებისაგან, იმიტომ რომ სტოიკად თუ სოფისტად ყოფნა ჰნიშნავდა, რომ ცხოვრებითაც სტოიკია, ანუ სოფისტი. ეხლანდელს დროში-კი არამცთუ მე, ან თქვენ გამოვიცნობთ, რომ ჩვენი ნაცნობი პოზიტივისტია, არამედ შესაძლოა თითონ ორმა პოზიტივისტმა, რაც უნდა ხშირად ინახულონ ერთმანეთი, ერთმანეთსვე ვერ გაუგონ, რომ ერთისა და იმავე ფილოსოფიურ სისტემის მიმდევარნი არიან. ეხლანდელს ფილოსოფიას აქვს საქმე მარტო ჭკვა-გონებასთან და ცხოვრების მოვლენათა გაგებასთან ადამიანის მიერ, არც ადამიანის საქციელზედა მოქმედობს, არც არკვევს და წინ უძღვის ადამიანის თვითმოღვაწეობას".

ამ-სახით, ჯერ ძველ დროშივე სცოდნიათ, რომ სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის საწურთველ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მარტო თავის-თავად სანუგბარი რამ, თავის-თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხადით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთწოდებულს სქოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება „ჰუმანობისა" წამოდგა ფეხზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის ჭკვა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და ისწავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებისაგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმონაჩენი ამ დროისა,—მიშლესი არ იყოს,—ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა.

„ჰუმანობის მოძღვრება იმაში მდგომარეობსო,—ამბობს ერთი მწერალი:—რომ ადამიანი შეჰხაროდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვა-

ლით უყურებდეს; იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური ღირსება ღრმად პატივცემულ იყოს და არა-ნაკლებ ღრმადვე ჩანერგული რწმენა გვქონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარმატებულ იქმნას ერთიანად და გამოუკლებლივ".

ეს პატივისცემა ადამიანის ღირსებისა დაიწერა თავის დროშაზედ ჰუმანობის მოძღვრებამ და ეს მოძღვრება გარკვევით გამოსთქვა მაშინ ერთმა იტალიელმა ჰუმანისტმა პიკო-დელა-მირანდოლამ,[32] 1486 წელსა. ამ პიკოს სიტყვით,—აი რას უბრძანებს ღმერთი პირველს კაცს ადამსა:

„მე შენთვის, ადამო, არავითარი სამუდამო ბინა და სადგური არ მომიცია, არავითარი სამუდამო და უცვალებელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისთვის, რომ საცა შენ გიაჭოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშნიხარ ეს იმისთვის, რომ შენ თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონა გსურს: შენ შეგიძლიან პირუტყვამდინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდინაც ზე ახვიდე".

კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიცა ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვიოს და დასანახავი დაინახოს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ ამაზედ მარტივად და ამაზედ ნათლად ძნელია კაცმა გამოსთქვას-ღა, როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისეც ადამიანის ღირსება.

ჯერ ეს პიკოს სიტყვა არ იყო თქმული, როცა იტალიაში დაიძრა აზრი, რომ სკოლა აგებულ იქმნას ჰუმანობის მოძღვრების მიხედვითა. ამისი პირველი მესვეური იყო პადუელი ჰუმანისტი ვიტტორინო დე-ფელტრე,[33] რომელიც ახალის პედაგოგიის მამად ითვლება დღესაც.

ამისი ამბავი და სხვაც დანარჩენი შემდეგისათვის გადიდვას.

V

ვიტტორინო დე-ფელტრე*), რომელიც,—როგორც წინათა ვსთქვით,—პედაგოგიის მამად ითვლება, ერთის ღარიბის ოჯახის შვილი იყო ვენეტიკის სამფლობელოში და დაიბადა 1378 წელსა. იმის ყრმობის დროს ერთი აქაიქ მოარული ოსტატი იყო რიტორიკისა და ლათინურის ენისა, მეტად სახელგანთქმული. ეს იყო ჯიოვანნი დერავენნა. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ვიტტორინომ ამისაგან მიიღო, მერე პადუის უნივერსიტეტში გადავიდა და საოცარი წყურვილი ჰქონდა მათემატიკა ესწავლა. ხოლო გროში არა ჰქონდა ფული ეძლია მათემატიკის ერთად-ერთ მასწავლებელისათვის პადუაში, ბიაჯიო პელაკანისათვის, აიღო და მოსამსახურედ დაუდგა და მოსამსახურობით გასამრჯელოს უხდიდა თავის ოსტატსა.

---

*) ეს ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოვსწერეთ, ცოტა კი შემოკლებით, თხზულებიდამ: „პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა".

მალე შეატყო ვიტტორინომ, რომ ბიაჯიო ვერაფერი ოსტატია და ამისაგან ვერას გამორჩება. დიდის ნიჭის პატრონი და ამასთან ცოტაოდენ სწავლა-განათლებით გზა-კვალ-გახსნილიც, ვიტტორინო განშორდა ოსტატს და თითონ მარტოკა შეუდგა საყვარელის მეცნიერების სწავლასა. მალე ისე გაიმართა და ისე ისწავლა, რომ თვითვე შეეძლო ესწავლებინა მათემატიკა სხვისათვის. 1414 წელს ვიტტორინომ ვენეტიკაში ოსტატობა დაიწყო: აიყვანა რამდენისამე დიდკაცის შვილი სასწავლებლად ფულით და ღარიბებს-კი მუქთად ასწავლიდა. 1418 წ. რიტორიკის პროფესორადაც შეიქმნა. ამ პროფესორობაში ისე გაითქვა სახელი, რომ მანტუის ჰერცოგმა ჯიან ფრანჩესკო ჰონზაგომ მიიწვია თავის შვილების აღმზრდელად. ჰერცოგმა მშვენიერი სადგური მისცა ტბის პირას, ქალაქზედ მოშორებით, და 1425 წ. ვიტტორინო აქ დაბინავდა ჰერცოგის შვილებითა და მათის ტოლამხანაგებითა დიდკაცთა შვილთაგან. თუმცა ეს სკოლა მარტო ჰერცოგის და მის დარბაისელთა შვილთათვის დანიშნული იყო, მაგრამ ვიტტორინომ ეს არ შეიწყნარა და იგი მანტუის სკოლა საყოველთაო სკოლად გადააქცია. ამ სახით, სკოლის კარი გააღო ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისეც ღარიბთათვის. ხოლო ღარიბთათვის სკოლის მახლობლად გაჰმართა ცალკე სადგური, საცა იგი აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა და აძლევდა ყოველისფერს, რაც სკოლაში სახმარად საჭირო იყო.

ჩვენ ეს მანტუის სკოლის მოკლე ისტორია იმიტომ მოვიხსენიეთ აქ, რომ იგი ერთი უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო ევროპაში, რომელმაც ყველაზედ უწინ საფუძვლად და სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანობისა, ვიტტორინოს მეთაურობითა, ვიტტორინოს იდეალად, ანუ მაგალითად, ჰქონდა ათინური „გიმნასიი“, საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჯკვა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გაძლიერებაზედ. ხოლო მისაღწევი საგანი კი ვიტტორინოს სკოლისა ზნე-ხასიათის გაწვრთნა, დამთავრება და დადგენა იყო. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთი-ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაც გინდ ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ ჩრბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობის და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანახლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიაც.

თუმცა სწავლების სახსრად ძველი ენები იყო, ბერძნული და ლათინური, რომელთაც თითონ ვიტტორინო ასწავლიდა უფროსს კლასებში, მაგრამ მარტო იმისთანა კლასსიკებს აკითხებდა, რომელთაც შეეძლოთ ემოქმედნათ ყმაწვილების ზნე-ხასიათის გაწრთვნასა და გამართვაზედ. ამ კლასსიკების სწავლებასთან ერთად მხარ-და-მხარ ასწავლიდა მათემატიკას, რომელიც ვიტტორინოს მიაჩნდა გონებისათვის უკეთეს სავარჯიშოდ.

ვიტტორინო სულითა და გულით მიეცა თავის სკოლას და ყმაწვილებს ისე ექცეოდა, როგორც მამა შვილებსა. სკოლას შესწირა თავისი საკუთარი ბედნიერება: არ მოეკიდა არც ოჯახს, არც ცოლ-შვილიანობას. როცა მეგობრებმა ურჩიეს, ცოლი შეირთე და შენისთანა შვილები დაუტოვე შენს ქვეყანასაო, იმან უპასუხა, რომ უმაგისოდაც საკმაო შვილები მყვანან სკოლაშიო.

მაგრად იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულზედ, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდესო უტყეპ-უცემლად, ვიტტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წრთვნას მაგალითითა და ჩაგონებითა და მარტო ძალიან იშვიათს შემთხვევაში ჰხმარობდა ხორცთა სასჯელსა. როცა ამ გზით საქმის სვლამ დაანახვა, რომ საქმე კარგად მიდის, მან სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა სასჯელი. სკოლის რიგი და წესი მარტო თავის-თავის ზნეობურს გავლენაზედ დაამყარა ამ საკვირველმა კაცმა, რომელზედაც მისი თანამედროვე ამბობს, რომ იგი იყო ზეგარდმო ღვთაებურის მადლით ცხებულიო. მხიარულად და ხალისიანად მიდიოდა სკოლის საქმე, ასე რომ თითონ სკოლას „მხიარული სახლი[34]“ დაერქვა სახელად.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვიტტორინოს სკოლა უნაკლულო იყო. ბევრი რამ აკლდა და ვრცლად რომ აგვეწერა, იქნება დაგვენახა ზოგი რამ მეტიც, ხოლო ჩვენ თუ ეს ამბავი მოგვყავს, მარტო იმისთვის, რომ ვიტტორინოს აზრი, მაშინდელის სკოლის საფუძვლად დადებული, მხოლოდ დასაწყისია, ფეხის ადგმაა ახალის საპედაგოგიო თეორიისა, მაშასადამე, ვიტტორინოს მოქმედებას სასკოლო სარბიელზედ ისე უნდა ვუყურობთ, როგორც დვრიტას, რომელიც მერე და მერე გაღვივდა, როგორც კვირტს, რომელიც მერე და მერე გაიშალა და გადაიხსნა სხვათა მეცნიერთა შემწეობითა.

VI

„ივერიის №№ 92—96 მეთაურების საგნად *) ავიღეთ ეხლანდელის სკოლის ვითარება საზოგადოდ და ვსთქვით, რომ ერთი უდიდესი ნაკლულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრაღა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნასკი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთს დიდის საწუაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივ-ძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქანცება, არაჭათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-

*) ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ დღეს ისევ ძველს ამბავს უნდა დავუბრუნდეთ. მაშინ დავიწყეთ და ვეღარ შევასრულეთ სხვადასხვა მიზეზებისა გამო და რაც დაგვაკლდა, ეხლა გვსურს შევავსოთ.

(როგორც თვით ილია აღნიშნავს ამ წერილის პირველი ხუთი თავი დაიბეჭდა მეთაურების სახით 1888 წ. ივერიის 92—96 №№ში, ხოლო უკანასკნელი 3 თავი (VI, VII, VIII) დაიბეჭდა ცოტა მოგვიანებით იმავე 1888 წ. „ივერიის“ 142—144 №№ში. რედ)

გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ. ამსახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღმატებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამცთუ ჰშველის, არამედ სჩაგრავს და ჰხუთავს.

ეს შეჰნიშნეს მეცნიერთა და კაცთმოყვარეობით გამსჭვალულებმა ამ დიღის შეცდომის გასწორება მოისურვეს. დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმირთულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედა-აზრი, რომელსაც ეხლანდელნი მეცნიერნი ჰლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის. მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ-წოდებულ „განახლების ეპოქაში“, როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებამა. პირველი კაცი, რომელმაც ჰუმანობის მოძღვრებაზე აავო სკოლა, იყო იტალიელი ვიტტორინო დე-ფელტრე. ამ კაცის მოკლე ისტორია და იმისი საპედაგოგიო საფუძველი უკვე მოვახსენეთ მკითხველს „ივერიის“ № 96 ში.

ეს მამამთავარი პედაგოგიისა ისე აღსრულდა, რომ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ახალ პედაგოგიის შესახებ. იგი მარტო საქმით მოქმედობდა და ამბობდა, რომ კარგად მოქმედება სჯობს კარგად წერასაო. ხოლო იმისი საქმით მოძღვრება უნაყოფოდ არ დარჩა. იმის დროს სცხოვრობდა ორი სხვა მეცნიერი, პადუის პროფესორი პაოლო ვერჟერიო[35] და რომის პედაგოგი მატტეო ვეჯიო[36]. ვიტტორინოსაგან საქმით მოძღვრებულნი საფუძველნი ახალის პედაგოგიისა ამათ სამეცნიერო წესსა და რიგში ჩააგდეს და თვითოეულმა მათგანმა საკმაოდ გამოჩენილი თხზულება დასწერა. ამ-სახით, ეს ორი კაცი შეიქმნა მეცნიერულად დამფუძნებელი ახალის პედაგოგიისა. ამათი ნაშრომი იმითია გამოჩენილი, რომ თვალსაჩინოდ, თვალნათლად გამოთქმულია დედა-აზრნი ახალის საპედაგოგიო სისტემისა, წარმომდგარნი ჰუმანობის მოძღვრებისაგან.

ვერჟერიო თავის თხზულებაში სკოლის საფუძვლად სდებდა ამ ოთხს დედა-აზრსა: ა) საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი. ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. გ) რადგანაც ბავშის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში. დ) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალთა მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერებათა სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანს გონებითად თავისუფალ ჰხდის. მას მოსდევს მეცნიერება მჭევრმეტყვე-

ლებისა, რომელიც ასწავლის კაცს აზრის ნათლადა და ლამაზად გამოთქმას. მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს, და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლას და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს.

როცა ვერჟერიო ამაებზედ ლაპარაკობს, ბევრს ეხლანდელ დროისათვისაც სასურველს აზრსა და ჭეშმარიტებას ამბობს. მაგალითებრ, იგი ამბობს, რომ ჭკუაგონება მოწაფისა უფრო წარმატებაში შედის მაშინ, როცა ერთს რომელსამე თხზულებას საფუძვლიანად ისწავლის, ვიდრე მაშინ, როცა ხელ-და-ხელ და გაკვრით გადააბულბულებს მრავალსაო. გადამეტებული ცოდნა წვრილმანებისა მეტის-მეტად ამძიმებს მოწაფის გონებასა, ჰქანცავს და ჰღალავს ყმაწვილსა იქამდე, რომ ბოლოს და-ბოლოს სამუდამოდ აჟძლურებს და ასუსტებს. როგორც უწესურობა, ისე მეტის-მეტი მკაცრი წესიერება (დისციპლინა) სკოლაში ერთნაირად მავნებელიაო. პირველ შემთხვევაში სული და გული, ერთობ ბუნება და გუნება მოწაფისა აღვირაშვებულია, გაქსუებულია, მოწაფეს ეკარგება ღონე თავდაჭერისა და უნარი, ხალისი გარჯისა და შრომისაო; მეორე შემთხვევაში გატანჯული და დაშინებული მოწაფე ყოველს მხნეობასა ჰკარგავს, ნიჭი თაოსნობისა და თვითმოქმედობისა უკვდება, იმიტომ რომ ვისაც ყველაფრისა ეშინიან, ის უღონოა რაიმე საქმეს შეუდგეს თავისითაო.

უფრო მეტის საბუთიანობით და სისტემით გამოჩენილია მეორე მეცნიერის ვეჯიოს თხზულებაო, ამბობს ავტორი, რომლის თხზულებიდამაც ამოვკრიბეთ ჩვენ როგორც ეს ცნობანი, ისეც წინანდელნი. ეს მისი თხზულება ახალი პედაგოგია არისო,—ამბობს იგი ავტორი,—და ბავშის აღზრდას დაბადების დღიდანვე თანა სდევსო. ვეჯიო მთელის თავის ძალღონით ეწინააღმდეგება იმ ჩვეულებას, რომ შვილებს ძიძას აზრდევინებენ და ცხარედ იღვწის, რომ დედამ თითონ აწოვოს შვილსა. წესიერად და მართალის გზით განვითარება და წარმატება სულისა და ხორცისა, ჩანერგვა ბავშის გულში კარგის მაგალითების შემწეობით კეთილ-მომქმედის ზნისა და ხასიათისა უნდა იყოს, ვეჯიოს აზრით, ერთად-ერთი საგანი აღზრდისა. ვეჯიოც, როგორც ვერჟერიო, იმ აზრზედ სდგას, რომ აღზრდაში სახეში უნდა იქონიონ არამც-თუ მარტო ასაკი მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. ხოლო ვეჯიო ამ საგანზედ უფრო ვრცლად ლაპარაკობს. იგი ამბობს, რომ სხვადასხვა ბუნება სხვადასხვა ბავშისაო. ეს სხვადასხვაობა ბავშთა ბუნებისა იმოდენად ძლიერია, რომ უფრო ადვილია მზეს შეაცვლევინონ გზა, ვიდრე დაბადებით თანდაყოლილნი მიდრეკილებანი ბავშისა შეიცვალოსო. ამ სხვადასხვაობას უნდა შეეფეროს სხვადასხვა ღონისძიებაც აღზრდისაო. მკვირცხლს და თამამს ბავშს სხვარიგად უნდა მოექცნენ, ვიდრე მკდემარეს, მორცხვსა და აზიზს ყმაწვილსაო. ესევე უნდა იქონიონ სახეში ჭკუა-გონების აღზრდაშიაცაო.

ამიტომაც ვეჯიო დედ-მამებს არ ურჩევს, შვილები იმისთანა სკოლაში აძლიონ, საცა ბევრი ყმაწვილები არიან, იმიტომ რომ თვით უკეთესი ოსტატიც-კი ამ შემთხვევაში უღონო იქნება თვითოეულს ბავშს ცალკე ადევნოს თვალი და თვითოეულის განსაკუთრებულს ბუნებას და გონებას ცალკე შეურჩიოს გზა გონების გახსნისა და ზნე-ხასიათის წურთვნისა.

აი ეს სამნი—ვიტტორინო, ვერჟერიო და ვეჯიო, არიან პირველნი მესვეურნი ახალის პედაგოგიისა და ამსახით, იგი დედა-აზრნი, რომელნიც დღეს გაღვიძებულნი არიან მეცნიერთაგან, მომდინარეობენ ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნიდამ. განსხვავება მარტო იმაშია, რომ ეხლა ეგ აზრნი უფრო მეტის სავსებით, მეტის გარკვევით, მეტის მეცნიერებით და გამოცდილებით შემუშავებულნი, განვითარებულნი არიან და დასაბუთებულნიცა.

VII

ვიტტორინომ, ვერჟერიომ და ვეჯიომ, ამ—როგორცა ვსთქვით,—სამმა მესვეურმა ახალის პედაგოგიისამ, გზა გაუხსნა პედაგოგიასა და მათმა თეორიამ ახალის მოძღვრებისამ დიდი ზედმოქმედება იქონია შემდგომებზედ. სახელოვანი დეზიდერი ერაზმი როტტერდამელი,[37] რომელიც დაიბადა 1467 წელსა და გარდაიცვალა 1536 წელს, ერთი იმათგანი იყო, რომელთაც ბოლოს-და-ბოლოს სრულად დაჰფუშეს ძველი სქოლასტიკური სისტემა სკოლისა და ახალი საფუძველი დაუდვეს, ჰუმანობის მოძღვრებაზედ აგებული. საპედაგოგიო აზრნი ერაზმისა იმითი არიან განსაკუთრებით შესანიშნავნი, რომ ერაზმი აღმატებულის სასოებით თაყვანსა სცემს ბავშსა და ამ სასოებისაგან შეპყრობილი იძლევა სარჩიელს ბავშის წურთვნისას და აღზრდისას. ბავშიო, ამბობს იგი, წმინდა ტაძარია სულის-წმინდისა და სიფრთხილითა და სიყვარულით უნდა მოეკცნენო. იგი არ ეთანხმება ვეჯიოს, რომელიც ბავშის ბუნებურს მიდრეკილებას მეტის-მეტს მნიშვნელობას აძლევდა. ერაზმი, პირიქით, ამტკიცებს, რომ აღზრდას და წურთვნას შეუძლიან სრულად გარდაჰქმნას ბავშიო. საქმე იმაშიაო, რომ ამ აღზრდამა და წურთვნამ ბავშში ჩაიგდოს ხელში პირველ ხანშივე, ნორჩობაშივე და ყოველს მის ფეხის გადადგმას უწინამძღვროსო.

ერაზმის აზრით, ბავშმა შემდეგი კიბე უნდა აიაროს აღზრდისა და წურთვნის დროსაო: ჯერ პირველად ყმაწვილის ნორჩს და მალე შემთვისებელს გულში უნდა ჩანერგილ იქმნას ფესვი სათნოებისა, სიყვარული შემოქმედისა და რწმენა მისი, რომ ღვთისათვის საცნაურია არამც-თუ საქმენი ადამიანისა, არამედ გულის ზრახვანიცა. როცა ამ გზით სული და გული მოწაფისა საკმაოდ მომზადებული იქნება, მაშინ მეცნიერების სწავლებასაც უნდა შეუდგნენ და ბოლოს ხომ უნდა განუვითარონ გრძნობა მოვალეობისა და ასწავლონ, როგორ უნდა მოეკცეს და მოეპყრას თავის მსგავს ადამიანსაო. ყმაწვილის სწავლება უნდა დაიწყონ, ერაზმის აზრით, შვიდ, ანუ რვა წლიდამ, იმისდა მიხედვით, თუ სულით და ხორცით რა ღონისაა

ყმაწვილი. რადგანაც ამ ხანში ბავშს გართობა და თამაშობა უყვარს, ამიტომ საჭიროა სწავლა და წურთვნა ისე მოეწყოსო, რომ ბავშმა სწავლება წვალებად არ მიიჩნიოსო. იმაზედ უარესი არა არის-რა, რომ ბავშმა მოიძულოს სწავლა-ცოდნა, ვიდრე შეიგნებდეს ერთისა თუ მეორის სიკეთესაო.

ერაზმი ოსტატისაგან ბევრს რასმე ჰთხოულობს. თუ ოსტატს ჰსურსო, რომ საქმე ემარჯვოს და კეთილად იმოქმედოს ბავშზედა, აუარებელი ცოდნა უნდა ჰქონდესო, ოსტატმა თითქმის ყველაფერი უნდა ზედმიწევნით იცოდესო. „თქვენ მეტყვითო, ამბობს ერაზმი, რომ მე დიდს ტვირთსა ვსდებ ოსტატსაო. მართალია ეგ, მაგრამ ერთს რომ დიდს ტვირთსა ვკიდებ, ამით სხვა მრავალს ვუსუბუქებ ტვირთსაო. მე მსურსო, რომ ოსტატს გავლილი ჰქონდეს მთელი სივრცე კაცთა მეცნიერებისა, იმიტომ რომ მოწაფეებს აღარ დასჭირდეს თითონ ჰქმნან ეგეეო“. ხოლო ესეც საკმაო არ არის, ერაზმის აზრით ოსტატისათვის: იგი უნდა იყოს მაღალის ზნეობის კაცი, უნდა იცოდეს, როგორ მოექცეს ბავშსა, უნდა შემძლებელი იყოს მოიპოვოს სიყვარული და პატივისცემა ყმაწვილისაო. „პირველი თავმდები ბავშის აღზრდის მარჯვედ მსვლელობისა—სიყვარულია მოწაფისა ოსტატის მიმართო“—ამბობს ერაზმი.

ერაზმი ძალიან ეურჩება, ძალიან ჰკიცხავს, თუ გასაკვეთი ხანგრძლივია სასწავლებელში. ხანგრძლივად სვლა გასაკვეთებისა ჰღალავსო შეგირდის გულისყურს, ქანცს ულევს ყმაწვილსა და სულიერად თუ ხორციელედ სჩაგრავსო. ამიტომ რჩევას იძლევა, რომ რაც შეიძლება მალ-მალე უნდა იცვლებოდეს ხოლმე საშრომელი ბავშისაო: სწაელა, შესვენება, სეირნობა და გართობა ერთმანეთში რიგ-რიგად ჩართული უნდა იქმნასო.

ვეჯიოსებრ, ერაზმი სამჯობინარად ჰხედავს იმისთანა სკოლას, საცა მოწაფენი ბევრნი არ არიან. ცოტა-შეგირდებიანი სკოლა სჯობია, როგორც შინ აღზრდასა, ისე ბევრ-შეგირდებიან სკოლასაო. შინ რომ იზრდება ყმაწვილი, თვალ-წინ არავინა ჰყავსო, რომ უპირატესობისა და ჯობნობისათვის შეეჯიბროს ვისმე, და შეჯიბრება-კი ამ შემთხვევაში დიდი ღონეა ბავშის წარმატებისათვისაო. ბევრ-შეგირდებიან სკოლაში ხომ ოსტატი უღონოა თვითოეულ ბავშის ბუნებას ცალკე ადევნოს თვალყურიო.

VIII

ამაოდ არ ჩაიარა საპედაგოგიო მეცნიერებისათვის ვიტტორინოს, ვერჟერიოს, ვეჯიოს და ბოლოს ერაზმის ღვაწლმა და მეცადინეობამ. ამათმა საბუთიანმა და მართალმა მოძღვრებამ თანდათან ფეხი გაიდგა და მომხრენი მოიპოვა ჯერ კიდევ „განახლების“ ეპოქაშივე სხვა ქვეყნებშიაც. მაშინდელს საფრანგეთში გზა გაიკვალა ახალმა საპედაგოგიო თეორიამ გამოჩენილის და სახელგანთქმულის ფრანსუა რაბლეს[38] მეოხებითა. ფრანსუა რაბლე იყო ფრანგი. იგი დაიბადა 1483 წელს და გარდაიცვალა 1558 წელსა. თუმცა პირველ ხანში რაბლე ბერ მონაზონი იყო, მაგრამ

შერე შეიქმნა სახელოვან რომანისტად და უფრო სახელოვან სატირიკოსად. ამან სრულიად შეითვისა ახალი საპედაგოგიო მოძღვრება ერაზმისა და მის წინა-მყოფთა, ხოლო ისე-კი, როგორც დიდ-ბუნებოვანს კაცს შეჰფერის. რაც კარგი იყო ახალის პედაგოგიის მესვეურთა ნამოქმედარსა თუ ნაწერებში, ყოველივე იგი მიიღო და ამ მიღებულზედ ფეხმოკიდებულმა უფრო წინ წასწია საპედაგოგიო მოძღვრება და გაუმატა. ამის გამო მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ მან შეჰქმნა საკუთარი თეორია აღზრდისა და ამაში დიდი გამჭრიახობა, დიდი ცოდნა და დიდი ჭკვა-გონება გამოიჩინა.

რაბლეს არ დაუწერია განსაკუთრებული საპედაგოგიო თხზულება და არც თითონ ჰქონია სკოლა. ერაზმისებრ რაბლესაც თავის-თავზედ ჰქონდა გამოცდილი მთელი სიმძიმე სქოლასტიურის სწავლებისა, რომელიც უფრო წვალება და წამება იყო ბავშისა, ვიდრე წრთვნა და ზრდა, და რომელსაც აზრადა ჰქონდა, მარტო წყალსავით დასწავლება წიგნისა და არა გაგება საგნისა და ქვეყნიერობისა. ამიტომაც, როცა დრო მოუცა, მთელის თავის მწვავის ენით სასაცილოდ აიგდო სქოლასტიური წესი სწავლებისა და დასწერა მწვავი სატირა-რომანი, რომელსაც „გარგანტუა“ ჰქვიან. ამ სატირაში ერთის მხრით სასაცილოდ აგდებულია ძველი სქოლასტიური წესი სწავლებისა და მეორეს მხრით გამოხატულია იდეალი ახალის ჰუმანიურის სწავლა-წურთვნისა. ერთიც და მეორეც ნაჩვენებია ორის ყმაწვილის გამოსახვითა. ამ ორ ყმაწვილში ერთი ძველის წესით იზრდება და მეორე ახალის წესითა,

ახალი წესი, რაბლეს მიერ მოძღვრებული, იმაში მდგომარეობს, რომ ბავში რაც შეიძლება ნაკლებ იყოს მომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული და დაბუღებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობოდ ყოფნა სჩაგრავს ყმაწვილსა. ყმაწვილი დღეში უფრო ბევრი წილი გარეთ უნდა იყოს, ჰაერზედ. არც ერთმა საათმა დღისამ უქმად არ უნდა ჩაუაროს ბავშსა: ოსტატმა საცოდნელი და საწურთვნელი ყოველთვის უნდა მოუპოვოს ბავშსა და ერთს წუთსაც უსაქმურად არ უნდა ამყოფოს. წიგნის კითხვისათვის და კლასში სასწავლებლად საკმაოა სადილის წინ სამი საათი და სადილის უკანაც სამი. სხვა დრო-კი შიგა-და-შიგ და რიგ-რიგად უნდა მოხმარდეს იმას, რომ შეგირდს გაეხსნას ნიჭი დაკვირვებისა, გამორკვევისა და ამიტომაც საჭიროა ბავშმა თავის საკუთარის დანახვითა, საკუთარის მოაზრებითა და განსჯითა იცოდინოს ბუნება და ცხოვრება. სეირნობს ბავში, თუ ჰთამაშობს, თუ ტანის და აგებულობის წარსამატებლად ვარჯიშობს, სჭამს თუ სვამს, ოსტატმა ბავშის თვალი და გონება უნდა მიახედოს ყველაფერზედ, რაც-კი საცოდნელად და საწურთვნელად გამოსადეგია.

რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზედ ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა,—ყოველივე ეს საჭიროდ დანახულია რაბლესაგან. რაბლეს აზრით, მოზარდმა

თავის თვალით უნდა გაიცნოს ცხოვრება და მისი ავკარგიანობა თავის ყურით გაიგონოს. ამიტომაც ოსტატი უნდა ატარებდეს ყმაწვილსა ფაბრიკებში, სამსჯავროში, სახელოსნოებში და ეკლესიებში ქადაგების სასმენლადაო და, რაც საჭიროა და შესამჩნევი, შეამჩნევინოს და გააგებინოსო.

ასე გაჩნდა და ასე გაივსო ახალი მიმართულება პედაგოგიისა „განახლების“ ეპოქაში, რომელიც საშუალო საუკუნოებს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ეხლანდელს სკოლას ბევრში ჩამორჩება სკოლა „განახლების„ დროებისა. ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ იგი მარტო დიდკაცთათვის აღარ არის და საყოველთაოა, როგორც დიდისა, ისე პატარისათვის, როგორც მდიდრისა, ისეც ღარიბისათვის. არც იმასა აქვს ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თითონ ხერხი სწავლებისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ. მაგრამ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში ჯკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჰკვა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჰკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და ტან აგებულებას ადამიანისას არამც-თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს.

იგი ავტორი, რომელმაც ყოველივე ზემოხსენებული გვაუწყა, ამბობს: ყველამ იცის ეხლანდელის სკოლის ნაკლულევანება და საკულაოდ არა ერთი და ორი ცვლილება და შევსება მოელის ეხლანდელს სკოლასა. ვინატრით, რომ შემცველთა და შემავსებელთა ხანდისხან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

1888 წ.

ტ. VIII, გვ. 313—344.

დედათა საქმე

ტფილისი, 12 დეკემბერი 1888 წ.

დედათა საქმე, რომელიც ჩვენში მონათლულია ქალების საქმედ, დღითი-დღე წინ მიდის განათლებულს ქვეყნებში, დღითი-დღე მომხრეებსა ჰპოულობს, ძლიერდება და კუთვნილს ადგილს იჭერს ადამიანის ცხოვრებაში. დედათა მხნეობა, სამართლიანის უფლების მოპოვებაზედ მიმართული, აღარა ჰრჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“ და დღე თითქმის ისე არ გადის, რომ სადმე—რასაკვირველია, განათლებულს ქვეყნებში-კი—ცოტად თუ ბევრად დედათა საქმე ფეხს არ იმაგრებდეს და ცხოვრების სარბიელზედ ცოტ-ცოტაობით მაინც ადგილს არ იპყრობდეს შემდეგის წარმატებისათვის. დედათა სქესმა კაცობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნი ღა ეურჩებიან ამ უფლებას. დედათა სქესმა დაიპყრა ამასთანავე ზოგიერთს სფერაში უფლება სახელმწიფო, თუ საზოგადო სამსახურისა და თუმცა აქ ბევრი რამ კიდევ დარჩენია დასაპყრობად, მაგრამ ეს პირველდაწყებითი ბიჯიც უმნიშვნელო არ არის შემდეგისათვის. იგი უსამართლობა, რომელიც დღეს-აქამომდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას, საძიძაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე რომ ლუკმა-პურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულს მოძრაობას.

რომ უფრო დიდი ავალა მისცენ ამ მოძრაობას და დედათა სქესს მისი სამართლიანი ადგილი მიეზომოს კაცთა ცხოვრებაში, დედათა საქმე ამ ბოლოს ხანებში იმაზედ მიიმართა, რომ ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და კანონმდებლობაში ხმა მიანიჭოს დედათაცა, როგორც მამაკაცთა აქვსთ მინიჭებული. ამ მხრით ამერიკამ ჯერ-ხანად ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო და იქ დღეს არამცთუ ვისმე ეხაშუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელთა საარჩევანოდ მამაკაცებთან ერთად დედათაც კენჭი იყრიონ, არამედ თითონ დედანიც-კი რომ ამორჩეულ იქმნან თუნდ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკვირებს და იოცებს.

ამ ხანებში ამერიკის ქალაქში, რომელსაც ბოსტონი ჰქვიან, ქალაქის გამგეობის არჩევნები იყო. თუმცა როგორც აქ, ისე სხვაგანაც ამერიკაში,

დედათა აქვსთ უფლება არჩევანში მონაწილეობისა, მაგრამ დღეს-აქამომდე დედანი ამ უფლებას ბევრს არაფერს დასდევდნენ და არ ერევოდნენ არჩევნებში, ეხლა-კი, ამ ბოლოს არჩევნებში, თითქმის ყველანი მოსულან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპყრათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკელებს გაუმარჯვნიათ. 22.000 დედაკაცი ჩაწერილა, საარჩევნოდ მოსული. ამათ თავისი საკუთარი კომიტეტი ჰქონიათ „ასთა დედათა“. ამ „ასთა დედათა“ კომიტეტს ისე ხერხიანად წაუყვანია არჩევანის საქმე, რომ სწავლა-განათლების საბჭოში და ქალაქის გამგეობაში სულ თავისი მომხრე რესპუბლიკანელები გამოურჩევიათ.

თუმცა ევროპაში ესე საქმეში გამოყენებული უფლება დედათა სქესისა თითქმის არსად მაგალითს არ წარმოგვიდგენს, მაგრამ დედათა სანუგეშოდ უნდა ვსთქვათ, რომ აქაც-კი არჩევანის საქმეში აზრი მათკენ არის გადახრილი და ლამის დღესა თუ ხვალ საქმითაც განხორციელდეს. კონსერვატორთა მეთაური სალუსბერი, რომელიც დღეს მთავარ-მინისტრია ინგლისში, მომხრეა იმისი, რომ დედათა მიენიჭოთ საარჩევნო უფლება. ამას წინათ ლორდი სალუსბერი ყოფილა შოტლანდიაში, ეს მომხრეობა გამოუცხადებია და ყველანი გაუოცებია, რადგანაც კონსერვატორთა მეთაურისაგან არავინ არ მოელოდა დედათა უფლებისათვის გამოსარჩლებას. ედინბურგში უთქვამს, რომ მე ჩემ-თავად არ ვეურჩები ამ მხრით დედათა ემანსიპაციასაო და „შორს არ არის ის დრო, როცა დედათაც ექნებათ ხმა ამორჩევისა, როცა ისინიც მიიღებენ მონაწილეობას როგორც ჩვენის ქვეყნის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობასა და მიმართულებაში, ისეც საპოლიტიკო კაცთა ამორჩევაშიო“. ამისათვის არავითარს დაბრკოლებას არა ჰხედავს მთავარ-მინისტრი ინგლისისა.

თუ კონსერვატორთა მეთაური ასე ძლეულა დედათა საქმის სამართლიანობითა და ასეთის აზრით გამსჭვალულა ამ საქმის სასარგებლოდ და გასამარჯვებლად, სხვას ვისღა არა აქვს საბუთი სთქვას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად. რაკი დედანი კანონმდებლობაში ხმას მოიპოვებენ მისთა მომხრე კაცთა წარმომადგენელობით და ქვეყნის საქმისა გამგებლობის ამორჩევაშიაც მონაწილენი იქნებიან, ამ გზით დიდს ზედმოქმედებას იქონიებენ თვით კანონებზედ, რომელნიც დღეს სჩაგვრენ და ჰხუთვენ დედათა სამართლიანს უფლებას. ამ ზედმოქმედების სიმძიმის ქვეშ შეიცვლებიან ის კანონები და დედათა საქმე წარიმატებს იმოდენად, რამოდენაც შესაძლოა თვით ამ საქმის ბუნებისაგან, იმიტომ რომ განგებ მოგონილი ბორკილი აღარ შეუშლის ფეხს, ამ ბორკილისაგან დახსნილი იქნება და მარტო თავის ბუნებაზედ-ღა დამოკიდებული.

ტ. VIII, გვ. 277—280. 1888 წ.

1889 г.

ქალთა სასწავლებელი

ტფილისი, 6 მარტი 1889 წ.

რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთად-ერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა ვარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი-და-თავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო ვიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავის-თავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება.

კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰქნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ რომ თითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა-კი იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის-თავის საშველად. საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთს და იმავე უცვალებელს ბედისწერასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისეც ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულ-ხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია, და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა — იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად.

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვაგდებინა ერთმა წერილმა, რომელიც 4-ს მარტს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ამ სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“ *). ჩვენდა სასიხარულოდ, ამ წერილში ის ვიპოვეთ, რასაც არაერთხელ ვნატრულობდით ეგრეთ-წოდებულ „დედაკაცთა საქმის“ ჰეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უკბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი, თქვე გულქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთო? რა-

*) „ივერია“ 1889 წ. წერილს ხელს აწერს: „ერთი ამ საქმის გამგეთაგანი ქალი“. რ ე დ.

ტომ ინისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო საში „უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს. დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის.

ჩვენ ეს, ამ-ხანად მოკლედ გამოთქმული, აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკვიოთ, ეხლა-კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დავუბრუნდეთ. პატივცემული ავტორი ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ, ღონე მოიპოვონ და სკოლა გაჰმართონ ქალების გასაზრდელად და თვით გაზრდა შეუფერონ ჩვენის დღევანდელის დღის საჭიროებასა.

„უთუოდ მეტყვით, მკითხველო, — ამბობს ავტორი, — რომ ამ-გვარ სკოლას დიდი-ძალი ფული მოუნდება. მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ. უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხითგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვდენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევებენ და შეგვისუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად“.

ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარიან, რომ ჩვენს ქალებს თავის-თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერას იპოვიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილ-უბრალო წივილ-კივილი. ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჰეშმარიტს გზას დაადგომიან თავიანთ სვე-ბედის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან, — დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესძლებიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. რაც გინდ ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ

ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიუღიჯთ, რომ —

„თუ თვით არ ვიღვწით, ვერ ვპოვებთ
კეთილსა შესაკრებელსა“.

ტ. VIII, გვ. 281—284 1889 წ.

ქალთა განათლება

ტფილისი, 15 მარტი 1889 წ.

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თვისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია.

რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ-რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და ირა ჰეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. უამისოდ ზედმოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვეობაა და არა თავისუფლება თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთად-ერთი ნიშანია ჰეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. ამ სახით ყოველივე ზედმოქმედება — ავია თუ კარგი — არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ. ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველმყოფელობისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი გაუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაცა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რა მოძღვრებაც გუშინ ჰბატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია და დევნული იმავ ლიტერატურისაგან. ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგნადა და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგრძე სიგანით გამოდის. ამას ყოველისფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკითა და გამოძიებით გამორკვევა, შენიშვნა მაინც და ანგარიშის გაწევა. თორემ აქაო და ამ ოცისა და ოცდა-ათ წლის წინათ ამა-და-ამ საგანზედ ესა-და-ეს ითქვაო და დაიჟინონ, — ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა.

სწორედ ამისთანა საქმე მოსდის დღეს ჩვენში, სხვათა შორის, ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთ-წოდებულ „დედათა უფლების საქმეს“*) შეეხება. ეს საქმე ჩვენში დღესაც იმ საბუთებზე ჰტრიალებს, რა საბუთებითაც ამ ოცისა თუ ოც-და-ათის წლის წინათ თავი იჩინა და მოედანზედ გამოვიდა. თითქო კაცობრიობას საზოგადოდ და რუსულ ლიტერატურას ცალკე მას აქეთ ეს საქმე წინ არ წაეწიოს, უფრო ფართოდ არ გადეშალოს, არ დაეყენებინოს და უფრო საბუთიანს საფუძველზედ არ ამოეყვანოს.

თუმცა ეს საქმე დიდათ შესანიშნავი რამ არის და ჩვენთვისაც ისე საჭიროა, როგორც სხვისთვის, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ჩვენის თაოსნობით არ არის დღეს ჩვენში ფეხზედ დამდგარი. ამ საქმეს და მის საჭიროებას კვლავ იმავ რუსულმა ლიტერატურამ მიგვახვედრა და დღეს-აქამომდე იმ საბუთებითა და იმ აზრებით იკვებება, რომელნიც — როგორცა ვთქვით — ხელზედ დახვეული ჰქონდათ ამ საქმის მომხრეთა ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინათ. აბა გადასინჯეთ ყოველი, რაც ამ საგანზედ ჩვენში წერებულა და იწერება დღეს, თუ უწინდელებრ მარტო სახელითა „დედობისათა, ცოლობისათა და დობისათა“ არ ითხოვ-

*) Женский вопрос.

დნენ ამ საქმის ახლე თუ ისე წარმართვას. ასე იყო დასაბუთებული ღირსი დედათა უბედობის თაობაზედ ამ ოცისა თუ ოც-და-ათის წლის წინათ რუსულ ლიტერატურაში, თითქო დაავიწყდათო, რომ დედაც კაცია, ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ჰღაღადებდეს და თხოულობდეს თვის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდამ ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის ღელი გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ.

ჩვენს მეთაურს, რომელმაც გამოიწვია „ქართველის ქალის“ წერილი,*) დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, სხვა არა უთქვამ-რა ამის მეტი. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთი ვსთქვათ, რომ რუსულმა ლიტერატურამაც ამრიგად დაუწყო ყურება ამ საქმეს. 7-ს მარტს პეტერბურგში დაბეჭდილ და 13-ს მარტს ქალაქში მოსულ გაზეთებიდან ამოვიკითხეთ, რომ სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ჩვენი მეთაური დაიბეჭდა, პეტერბურგში გამოსულა ჟურნალი „Женское образование“. ამ ჟურნალშია წერილი რუსეთში ცნობილ პედაგოგის ი. გ. გურევიჩისა,[39] რომელიც სწორედ იმასვე ამბობს, რაც ჩვენის „ქართველის ქალის“ მიერ დაწუნებულ მეთაურში ჩვენ ვსთქვით. გაზეთს მოჰყავს-რა გურევიჩის სიტყვები, თავის მხრით ამისთანა წინასიტყვაობას უძღვნის:

„Шаблонные моралисты, говоря о женском образовании, любят часто повторять по адресу школы классическое требование: „дайте нам хороших жен, матерей и хозяек... და მერე: Гуревич доказывает всю риторическую пустоту этого притязательного требования“.

აი თითონ გურევიჩის სიტყვებიცა:

„ამ კეკლუცმა ფრაზამ, — ამბობს სტაიუნინიო[40] თავის-თავზედ, — მეც ერთხელ ამიყოლია. ხოლო მერმედ-კი სხვა მეორე საგანმა მიმიზიდა და ვკითხე ჩემს თავსა: რატომ მამაკაცის შესახებ-კი არავის წამოსცდენია სურვილი, რომ მოგვინდადეთ კარგი ქმრები, კარგი მამებიო? ეს ღირსებანი ხომ ისე საჭირონი არიან მამაკაცისათვისაც ოჯახში, როგორც დედაკაცისათვის კარგი ცოლობა და კარგი დედობა. რატომ არავინ ჰფიქრობს, რომ ეს ღირსებანი დაუნერგონ და განუვითარონ მამაკაცებსა? იმიტომაო, — ამბობს ახლა თავისით გურევიჩი — რომ მამაკაცთა სწავლა-განათლების თაობაზედ ჩვენ უფრო უკეთესი და მართალი აზრი გვაქვს, ვიდრე დედაკაცის სწავლა-განათლების თაობაზედაო. როცა მამაკაცი გვყავს სახეში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზედ უწინარეს უნდა განვანათლოთ ადა-

---

*) წერილი: „შენიშვნა ქალთა განათლების შესახებ ჩვენში,“ „ივერია“, 1889 წ. № 57; რედ.

მიანი და რაკი ადამიანი განათლებულია, მალე გაიგებს თავისს მოვალეობას, რომელიც მან უნდა იკისროს იმ გარემოების მიხედვითა, რაშიაც ცხოვრება ჩააყენებს, და მალე შეიძენს იმ განსაკუთრებულ ცოდნასაც, რაც დასჭირდება ცხოვრების ამა თუ იმ გზაზედ.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, სასაცილოა ის სურვილი, რომ ბაბაკაცი ვამზადოთ მარტო საკარგ-ქმროდ და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმეს? განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი ბეკადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულის-ტკივილი კაცობრიულის და მოქალაქობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ისეთის აზრით, რწმენით და თვალთა-მხედველობით დადაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება".

აი დღეს დედათა საქმე რა გზაზედ და რა ფართოდ არის დაყენებული რუსულ ლიტერატურაში და ჩვენი პატივცემული ქალი-ავტორი ამაოდა ჰკდილობს გამოვლილ გზაზედ უკანვე დაბრუნებას. ამ ახალს მოძღვრებას დედათა საქმის შესახებ ვერავინ გაემკლავება, რადგანაც დღევანდელი ბურთი და მოედანი უფრო მეტის ცნობიერებით, უფრო მეტის სიმართლით და საბუთით ამ მოძღვრებას დაუჭერია არამც-თუ თუ მარტო რუსეთში, სხვაგანაც. დღეის ამას იქით აგრე სამართლიანად განდიდებულს და გაფართოებულს საქმეს ვეღარავინ გამოჰკვებავს წინანდელის ნამცეცებითა. ჩვენ ამასაც ვიტყვით, რომ მარტო ამ მოძღვრებას შეუძლიან თავი გაატანინოს დედათა საქმეს ყოველთა სასიხარულოდ და სასიქადულოდ, და ვისაც დედათა საქმის სიდიადე გულწრფელად და გაგებულად გულში სდებია, არა გვგონია, ამ გზაზედ საქმის დაყენება მიიჩნიოს გზის გაძრუდებად და არა გასწორებად.

1889 წ.

ტ. VIII, გვ. 285 — 291.

ისევ განათლების საკითხებზე

I

ტფილისი, 26 ოქტომბერი, 1889 წ.

დღეს ჩვენშიაც-კი ბევრი არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, — რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არც სცივა. ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არა-და, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.

ჩვენი შეცდომა სწორედ ამაშია. ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რამე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია. დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი-კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგს.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთ საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთს საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე

თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინაროზით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

ესეთი ძლიერება ცოდნისა და სწავლა-განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალ-წინ შესაძლოა კაცმა დაინახოს. რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა-პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ-კი ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა-პურის ილაჯს ვერსად გამხდარვართ, და ის-კი აღარ გვახსოვს, ის-კი აღარ გვაგონდება — სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

საკვირველია! თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულდედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდამ სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძენაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის-კი არ ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა“ სოფელი არ აშენდება.

რათ არის ესე? იმიტომ არის, რომ უცხო-ქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და ურომლისოდ ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგი, და უქმი და გამოუსადეგი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, ქონების გამღებია და არა მომღები. ეხლანდელს დროში ნურვინ იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჰიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ; ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს.

ჩვენი უცოდინაროზა, უსწავლელობაჲ ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალ-მოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობნიან, ყველგან იგინი წინ გვასწრობენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენ-კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრებლობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჯიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით

შეიარაღებულს, ცოდნითა და სწავლით ვაძლიერებულს, გაღონიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესი ეგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გაუაწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყნად არ შეუძლიან.

აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროდ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი.

რის გამო გავმართეთ საუბარი ამ ძველის-ძველ და ყოველთვის-კი ღირს, სახსენებელს საგანზედ, ამას შემდეგს წერილში გამოვარკვევთ.

II

ტფილისი, 27 ოქტომბერი, 1889 წ.

ჩვენს წინა-წერილში ვსთქვით, რომ ქართველობა, რაც შესაძლოა, ძლიერ უნდა ეტანებოდეს სკოლებს და სასწავლებლებს ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად, ხოლო ამის სანაცვლოდ იმასა ვხედავთ, რომ აწ არსებულს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან. ეს ცხადად დაგვანახვა სხვათა შორის ტფილისის რეალურ სასწავლებლის წლიურმა ანგარიშმა.

კვირას, 22 ოქტომბერს, ხსენებულ სასწავლებელში იყო აქტი. ამ აქტზედ წაკითხულ ანგარიშიდამა სჩანს, რომ გასულს წელს ამ სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი — 136, გერმანელი — 24, პოლშელი — 16, თათარი — 10, ბერძენი — 4 და ებრაელი — 3. მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის მარტო 27 ქართველია მაშინ, როდესაც სომეხი 136-ია, რუსი 138-ი და გერმანელი — 24! მერე სად? საქართველოს დედა-ქალაქის, საქართველოს შუა-გულის სასწავლებელში!..

ეს ამბავი გულში უფრო მწვავედ ჩააჩნდება ყოველს ჩვენს მოკეთეს, ვინც გვეცოდინება, ქართველებთან შედარებით ვინ რამდენნი არიან, თუნდ, მაგალითად, მარტო ტფილისში. ტფილისი აიწერა 1876 წ. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ რუსები არიან ტფილისში რიცხვით 20. 000-მდე, ჯარებს გარდა. ამათში 9.000 წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა; იმერ-ამერ ქართველნი — 22.000, ამათში მარტო 7.000 წერა-კითხვის მცოდნეა; სომეხი — 37.000, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 11.000-ზე მეტია; თათარი — 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე მარტო 381; ყიზილბაში — 1.700-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 240-ი; გერმანელი — 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნეა — 1.500-ი; პოლშელები — 1.500-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე — 1.000-ია; ერთს მესამედზედ მეტს ჩვენებურ მკვიდრთა სცოდნიათ რუსული წერა-კითხვაც. ყოველ აქედამ გამოდის, რომ რუსებს თითქმის ნახევარს წილს სცოდნია წერა-კითხვა, ქართველებს თითქმის მესამედ წილსა, სომხებს მესამედზე ცოტა ნაკლებს. ხოლო წერა-კითხვის ცოდნის კვალობაზედ ყველაზე წინ არიან გერმანელნი, რომელთ შორის მცოდინარი ოთხში სამია; ამათ მოსდევენ პოლშელნი, — რომელთ შორის მცოდინარი სამში ორია; შემდეგნი არიან რუსნი, რომელთ შორის ორში თითქმის ერთია. მეტ-ნაკლებობა ეგრეთ-წოდებულ კულტურისა სხვათა შორის ამ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვითაც განიზომება.

თუ 20.000 რუსი სასწავლებელში ჰზრდის 138 ყმაწვილსა, თუ ორი ათასი გერმანელი ზრდის 24-ს, 1.500 პოლშელი — 16-სა, ჩვენ რა წყრომა ღვთისა გვეწია, რომ 22.000 ქართველი თითქმის მარტო იმოდენასა ჰზრდის, რაც ორი ათასი გერმანელი. ეს გულსაკლავი ამბავი რის მომასწავებელია? ვამბობთ, ღარიბნი ვართო და ვერ ვუძღვებით შვილების გაზრდის ხარჯსაო. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშოულობს და სახლობასაც გაუჭირებლივ ჰკვებავს. რათა? რათ უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებლისათვის იღწვის, მაშინ წელებზედაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიამაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა, სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული, იცის, რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი. ამ სახით, რაკი გერმანელი-

სათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის საღვაწოსა და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს-კი ჰმატებს.

მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან სწავლულია და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალკეცად იადვილებს სარჩო-საბადებლის შოვნასა და ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით-კი არა, პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით — იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული.

ჩვენს ყოველს ამაზედ ძალიან შორსა ვართ. ჩვენს საეკონომიო ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების „ჩოტკში“ შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს. განა მითამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვენში გაძლიერებული!.. აბა ჰნახეთ, რამოდენა ქართველობა მიაწყდება ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის. ხონესეა, და ბოლოს და ბოლოს მარტო იმასა ვხედავთ, რომ ამ მრავალთაგან თითო-ოროლა-ღაა შესული სასწავლებელში და ამ გზით ქართველები ყველგან ცოტანი არიან.

რათ არის ესე? თუ სურვილი ძლიერია, საქმეც უნდა გამოდიოდეს რამე და რატომ არ გამოდის? იმიტომ, რომ ჩვენ შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავიდამ მოვიშოროთ, ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ, ან სხვას ვისმე კეთილმყოფელს, და რადგანაც სხვისი ჯიბე იმოდენად უხვი არ არის, რამოდენადაც დიდია სურვილი მუქთად შვილის გამოზრდისა და გამოკვებისა, ამიტომაც ბევრი დედ-მამა იძულებულია შვილი უკან წაიყვანოს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, — ყვავს ბახალა მოუკვდაო და ბუს მიუგდო, დიდი თავი შენა გაქვს და შენ იტირეო.

ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდამ ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა, და აი სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედობთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ. ჰური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოობთ, ღვინო როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, — და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულდალმა ვიწვნეთ და

ჯერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა-კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე აბაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ.

აკი ვსთქვით, სურვილი სკოლაში შვილის მიბარებისა ბევრია, მაგრამ გვინდა-კი, რომ ყოველივე ეს ან მუქთად მოგვეცეს, ან მოწყალებასავით სხვისაგან გვეძლიოს. ჩვენ თითონ-კი ამისათვის ხელის განძრევაც გვეზარება: თუ მოვა თავის-თავად, ხომ რა კარგი, თუ არა, უმაგისოდაც გავძლებთო, ვიტყვით ხოლმე. უმაგისოდ ვეო გასძლებთ, ვერა. ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადია-რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან.

1889 წ.

ტ. VII, გვ. 253 — 262.

1891 г.

მიხეილ ყიფიანი[41]

(ნეკროლოგი)

ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა-კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაო,—ამბობს ვოლტერი,—და აი, ერთი ამისთანა საქვეყნოდ გამრჯელი და მხნე კაცი დღეს ჩვენ-წინ გულხელ-დაკრეფილი ასვენია კუბოში და, ჩვენდა საუბედუროდ, ანდერძს ვუგებთ, რომ სამუდამოდ მივაბაროთ შავ მიწასა. მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთ მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორიც მიხეილ ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს, აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დააკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის.

ბევრმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული, რა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე. არც ჩვენ ჩამოვთვლით ყოველს მას, რაც სიცოცხლეში მას ასულდგმარებდა, რაც ამოქმედებდა და რაც უსაქმია და უკეთებია. მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლებელიც იყო და „ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერობაზე უბედურნი აღარ იქნებიან“.

იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნეობდა თავის პატარა ქვეყნისათვის და არა ჰყვიროდა-კი ამას დაფითა და ნაღარითა. იგი არ ეძებდა სხვის ქებასა და დიდებას. იგი ნიაღვარს-კი არა ჰგვანდა „მღელვარეს, კლდესა მცემელსა“, იგი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელი“ იყო და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი ქებისა და დიდებისა. იმიტომ რომ „მარტო ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა-კი—ჩუმს მოწმობას სინდისისას“. აი სად არის მიზეზი, რომ ბევრ კარგ საქმეთა მომქმედი მიხეილ ყიფიანი ისე ცნობილი არ არის ყველასათვის, როგორც სასურველია.

„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა,—ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი,—პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო“,—და აი, ჩვენდა საუბედუროდ, წუთისოფელმა კუბოთი მოგვაყენა კარ-წინ ის პატიოსანი კაცი, რომლის პატიოსან გულშიაც ჩვენს პატარა სამშობლოს არამც თუ

დიდი, მთელი ადგილი ეჭირა. სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ჩვენის ერისა, მისთვის ცარიელი სიტყვა-კი არ იყო, როგორც დღეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაუღალავი ღონე გარჯისა და მხნეობისა. იგი აღამებდა დღეს და ათენებდა ღამეს იმ უანგარო ზრუნვით, იმ სიყვარულიან გულის ტკივილით, რომ რითიმე გვარგოს, რაიმე შეგვძინოს. ამისი მოწამე მის მრავალ-ჯვარი ღვაწლია სხვადასხვა ასპარეზზედ, საცა-კი მისი პატიოსანი გული მიაწვდენდა ხოლმე მის პატიოსანს ხელსა.

სულ ორის დღის წინათ, მინამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუდუმებელს, ქვეყნისათვის პატიოსანს კაცს, იგი იწერებოდა ტფილისში: „სტეფანწმინდაშიაც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ-მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. „დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო!“—სიტყვა აქ იმაში-კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გაჰხარებია ბავშების სიხარული, იმიტომ რომ, ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამცნევს, ვერც აღიბეჭდავს. ნუ გგონიათ, რომ იგი წმინდა მადლი სხვის სიხარულით გახარებისა და, მაშასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისაც, ცოტა რამ იყოს. იგია პირველი ნიშანი დიდ-ბუნებოვანობისა, დიდკაცობისა, და მარტო რჩეულთა ამა ქვეყნისათა მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე.

იგი იყო იმისთანა კაცი, რომელსაც, ინდოელებისა არ იყოს, დაბადების დღესვე ბედი ასე აკურთხებს და დალოცავს ხოლმე: „პაწია ყრმავ, ეხლა, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო-კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის; იყავნ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს“.

მშვიდობით! ვინც იცის შენი საქმენი, ყველანი სტირიან დღეს და მარტო შენ-კი, როცა ეთხოვებოდი ქვეყანას, ღიმილი უნდა მოგვსვლოდა, რადგანაც მამულს მამულის-შვილობა გაუწიე და შენი ვალი შეუსრულე.

ტ. VII, გვ. 143—145. 1891 წ.

1893 Б.

სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი

ტფილისი, 31 დეკემბერი, 1893 წ.

ჩვენ მოგვივიდა მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება სოფლის სამეურნეო ქალების სასწავლებლისა.

გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელ ხანში სხვადასხვა პროექტი მზადდება სამინისტროს მიერ ქალთა განათლების შესახებ, მთავრობას საჭიროდ დაუნახავს დედათა სქესს მეურნეობაშიც წილი დაედოს.

ასეთი განკარგულება, რასაკვირველია, დიდის თანაგრძნობით იქნება მიღებული, ნამეტურ ხალხის მიერ, რადგანაც გლეხთა ქალები მრავალგან თითქმის იმდენსა მუშაობენ მიწას, რამდენსაც თვით მამაკაცნი. ამ შემთხვევაში საგანგებო სამეურნეო წესდების ცოდნა და სწავლა ფრიად დაეხმარება გლეხის ოჯახობას, რომელმაც ხშირად სულ უბრალო დამაბრკოლებელის მიზეზის მოშორებაც-კი არ იცის თავიდგან. მაგრამ ამ ახალის კანონის შემდეგ უნებურად ებადება კაცს ეს აზრი: დაბალ სამეურნეო სასწავლებელში-კი ეძლევათ ქალთა უფლება შეისწავლონ მიწის მუშაობა, განვითარდნენ და დაეღოვდნენ მამულის მოსავლელად,—მაგრამ ამნაირივე უფლება ენიჭებათ მათ უმაღლესი სამეურნეო განათლების მისაღებადაც, თუ არა?

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ დახშული აქვთ კარი ქალთა, და უმაღლესი სამეურნეო სკოლები დანიშნულია მხოლოდ მამაკაცთათვის.

რასაკვირველია, ქალთა სამეურნეო სასოფლო სკოლა ახალი საქმეა და, რომ დაბადებისთანავე ამ სკოლას არ დაჰყვა სამეურნეო აკადემიებში შესვლის უფლებაც, ეს გარემოება სრულად არ უნდა გვაეჭვებდეს და გვისპობდეს იმედს იმის შესახებ, რომ შემდეგშიც დავიწყებული იქნება ქალთა საამართლიანი სურვილი უმაღლეს სამეურნეო სკოლაში შესვლისას...

ადვილად შესაძლოა, რომ ჩვენი მოლოდინი გაცუდდეს და უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის კარები მომავალშიც დახშული იქნეს ქალთათვის; მაგრამ პირველი ნაბიჯი დედათა სქესის რომელისამე უფლების შინიჭებისა მაინც მოსალოცავია და სასიამოვნო მისაგებებელი.

მაგიერად, სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ განათლების სამინისტროს მეორე პროექტმა, რომლის ძალითაც „ქალთა გიმნაზიებში“ ექნებათ ადგილი მხოლოდ უმაღლეს წოდების ყმაწვილებს.

ჩვენ კარგად ვერ გაგვიგია, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში სიტყვა— უმაღლესი წოდება, ოადგანაც ის არევ-დარეკა წოდებათა მაიშვნელობის შესახებ ეხლანდელს დროში, რომელიც ყოველგან არსებობს, მრავალს იჭვსა და გაუგებარს გარემოებას გამოიწვევს.

ყოველს შემთხვევაში, უნდა აღვნიშნოთ, – პროექტის შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ ბოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს განათლების და ხალხის დაწინაურების დამაბრკოლებელს მიზეზებს.

უმთავრესი და, იქნება ერთად-ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგიდგან მრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი,— იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის!

თუმცა დიდი მოძღვარი ინდოელთა—ბუდდა და შემდეგ მაცხოვარი ჩვენიც ერთსა და იმასვე ასწავლის ქვეყანას—თანასწორობას და სიყვარულს წოდებათა განურჩევლად, მაგრამ ეს სანატრელი და თაყვანის-საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება.

წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულილის წამოყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძვრა ჩვენში!

ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა, რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს!

მაგრამ ზოგიერთნი ძველნი და ახალნი მბღაჯველნი ამ მარტივს აზრს ჯერაც ვერ მიმხვდარან.

1893 წ.

ტ. VII, გვ. 265—267.

1896 г.

ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე

(ლექცია მეორე)

მოწყალენი ქალბატონნიმო
და მოწყალენო ბატონნიმო!

წინა-ლექციაში მოგახსენეთ, რომ საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია. არც არავისა მტრობს და არც არავის ჰგმობს-მეთქი, არც არავის ჰყიდის და არც არავის ჰყიდულობს. იგი ერთგული მსახურია სიბრძნისა და ამიტომაც მადლიანიც არის.

სულ სხვაა ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. ეხლა სიცრუე, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის უღლიდამ გამოეშვა და გაყალაღნებული დაიარება თავისად. თუ სადმე წააწყდება სიბრძნეს, მარტო იმისთვის, რომ თითონ ბატონად გამოეჭიმოს და სიბრძნე მსახურად გაიხადოს. მაგალითებისათვის შორს არ მოგვინდება წასვლა.

ხომ გახსოვთ 23-ს დეკემბერს მომხდარი კრება სათავად-აზნაურო სკოლის საქმეზე. ისიც გეხსომებათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ოდესღაც ამოურჩევია კამისია და მიუნდვია გამოარკვიოს რა სახის სკოლაა უფრო საჭირო ჩვენთვის: ის, რაც ეხლა არის, თუ სხვა-გვარი რამ სკოლა. კამისიას უმუშავნია კარგა ხანს, ბევრი რამ საბუთი და ცნობა შეუკრებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია არ დაუზოგავს, საქმეში ჩაუხედნია, აუღია, დაუღია და ეს დაუსკვნია: აწ არსებული სკოლა დარჩეს, როგორც დღეს არის და მის სისწვრივ საჭიროა გაიმართოს სამეურნეო სკოლაცაო.

მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კამისია, თუ არა. ასეა თუ ისე,—ეს მისი აზრია, მისი დასკვნაა და როგორც თვით სიმძიმე საქმისა ითხოვს, ისე უნდა გამოჰკიდებოდნენ კამისიისაგან დასკვნილს აზრსა. რა თქმა უნდა, ამ საგანზე ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც და არავის არ აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ჭკუა-დამჯდარი, წინ-მოფიქრებული, წინ-დახედული, აზრიანი თქმა-კი უნდა და არა ბორბოშელა სიტყვების რახუნი, აქაო და ენა მექავებაო, ანუ სხვის ნაღეჭის ხელახლად ღეჭვა, როგორც ბ-ნმა გ. წერეთელმა იცის და ახალ ამბად-კი ასაღებს თავისის სახელით.

გადასწყვიტეს, რომ აწ არსებული სკოლა იმ სახისა და პროგრამისავე იყოს, როგორც არის და ყოველ-წლივ თითო კლასი მოემატოს, ვიდრე

სრულ გიმნაზიად გადაიქცეოდეს. კარგი და პატიოსანი. ამ-სახით, გაიმარჯვა ბერძნულმა და ლათინურმა ჩვენში. ნეტავი ჩვენ!.. ყველაფრით სავსენი ვიყავით, ეს ბერძნული და ლათინური-ღა გვაკლდა და ამასაც ხომ ვისწავლით!.. ერთმა იქ დამსწრემ კაი ნუგეში მოგვცა: რა ძალიან უფრთხით ამ ბერძნულს და ლათინურსაო. ერთიცა და მეორეც მკვდარი ენაა და შორს არ არის ის დრო, რომ დასამარხავი გაგვიხდებაო. დეე იყვნეს, მინამ დაიმარხებიანო. ყველამ სიხარულით პირები დავაღეთ, ეს ნუგეში რომ მოგვეცა.

იყვნენ, მაგრამ ჩვენ რომ ისე მოგვივიდეს — მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო? ან მინამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო! მაშინ რაღა ვქნათ? თუნდა ეგეც არ იყოს, ეგ მკვდრები ჩვენ რათ უნდა შეგვანახვინონ! იმიტომ ხომ არა, რომ ყვავმა თავისი მკვდარი ბახალა ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო. რა დამტირებელნი და ჰირისუფალნი ჩვენა ვართ ბერძნულისა და ლათინურისა. მკვდარი მკვდრის პატრონისათვის ჩაგვებარებინა უფრო უპრიანი არ იყო? სხვა ვეღარავინ იშოვეს ჩვენს მეტი?!. მადლობა ღმერთს!.. ცხონებულმა მიხეილ ნიკიფორიჩმა კატკოვმა ბერძნულს და ლათინურს კაი მაგარი აკლდამები აუშენა და ბევრიც: ერთ-ერთგან მიგვესვენებინა!.. ჩვენი რა შესანახნი არიან! ან რა ძალა გვადგია, რომ მკვდრების სუნით გვინდა მოვუხამოთ საღი ჰაერი სკოლისა. ყოველივე ეს მერე მოგვივიდა ფიქრად, მაგრამ გვიან-ღა იყო. ნუგეშმა თავისი გაიტანა. მკვდრებმა გაიმარჯვეს ცოცხლებზე.

იქნება ეს ასეც უნდა. დეე მართლა იყვნენ ეს მკვდრები, მინამ აიღებს ვინმე და დასამარხავად გაიტანს. ასეა, თუ ისე ბ-მა გ. წერეთელმა სიხარულით მაშინვე დეპეშა გაუგზავნა საიქიოს ნეტარხსენებულს კატკოვს და მიულოცა, რომ თუმც მოჰკვდი, შენის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობ მკვდარიაო. ჩვენ, ქართველები, ძლივს მივწვდით შენს სიბრძნე-სიცრუესაო. გიხაროდენ, მიხეილ ნიკიფოროვიჩ, შენ ბანდ, ვითარცა მიხარიან აქ ბე, გიორგი ექვთიმესძესაო“. არ ვიცით-კი, ეს სასახელო დეპეშა მარტო თავისის სახელით გაუგზავნა ჩვენმა ღვთით ბედნიერად ბრძანებულმა გ. წერეთელმა, თუ მესამე დასის სახელითაც. არა გვგონია. თუ სასახელო სადმე რამ არის, სხვას ძნელად უწილადებს ხოლმე ჩვენი ბ-ნი გ. წერეთელი, შინ რომ წვრილ-შვილი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო. ეს თუ აქამდე არ გაუგია მესამე დასს, მალე შეიტყობს, — მაინც-და-მაინც იმაზე აღრე, ვიდრე ბერძნულსა და ლათინურს დაასაფლავებენ ღვთისა და თქვენის წყალობით.

ერთის სიტყვით, მკვდრები ჩვენს სკოლაში დავაყუდეთ. ვუცადოთ, მინამ დასამარხად გახდებიან. მაინც სხვა საქმე არა გვაქვს-რა. ავიღოთ ხელში საცეცხლურები და საკმეველი ვუკმიოთ, მინამ საქმე რამ გამოგვიჩნდება. ცუდად ჯდომას ხომ ცუდად შრომა სჯობია. ამინ და კირიელეისონ. მორჩა და გათავდა. ჩვენ სხვას აღარას ვიტყვით იმაზე თუ,—რამდე-

ნად ზედმიწევნილი პასუხია ეს განაჩენი იმისი, რაც ჩვენთვის საჭიროა დღეს. დავდგით ტახტი და ზედ წამოვასკუპეთ მკვდრები, ბერძნული და ლათინური. დრო გამოაჩენს, ვაი ეკუთვნის გამარჯვებულთა, თუ ვაშა.

ბოლოს ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროა თუ არა აწ არსებული სკოლაც იყოს და ამასთან ერთად სამეურნეო სკოლაცა. აი აქ გატყდა ტაბიკი აქ გამოეშო სიცრუე სიბრძნის უღლიდამა. ეხლანდელმა სიბრძნე-სიცრუემ აქ შემოიყარა თავმოსაწონებელი დოინჯი. თ. მ. მაჩაბელი—ეს ყველასაგან ცნობილი მეთოფე თ. ი. მაჩაბლის მეცხოვნეთა, ეს წუნარი და ტკბილი მოუბარი ყოვ-ლ აბდა-უბდისა და გადასკუპდისა—წამოდგა... განა ერთხელ და ორჯერ? მე თექვსმეტი დავთვალე. ბევრი ილაპარაკა, როგორც მოგეხსენებათ იმისი ამბავი, და იქამდე წაიტყუა თავისის სკუთარის სიტყვის ლაზათმა, რომ კინაღამ დაგვაჯერა, ვითომ ჩვენში საკმაოდ გაბრძნობილნი არიან სამეურნეო ცოდნითა და სწავლითა. სხვა რამ სთქვით, თორემ სამეურნეო ცოდნა ჩვენში საკმაოაო. წარმოიდგინეთ, სიცილიც არავის მოსვლია, რომ ამ ბრძენთა-უბრძენესმა ორატორმა ასე ადვილად ამოაჩინა ჩვენში ეს უცნაური ამერიკა.

საკვირველი კაცი ბრძანდება ეს თ. მ. მაჩაბელი. შეჯდება ხოლმე მეტყველების ჯაგლაგს მერანზე, დაეშვება თავთავქვე და როცა საძუე შემოაწყდება, ყირამალა გადადის, თავი ცალკე მიგორავს იქით, ენა ცალკე ლაყლაყებს აქეთ, თავს ენა ვეღარ უპოვნია და ენას თავი. მე როცა თ. მ. მაჩაბელსა ვხედავ მოლაპარაკეს, მამლაყინწა მაგონდება. თ. მ. მაჩაბელიც ისე დახუჭავს ხოლმე თვალებს და ჰყივის უპარაგონოდ, თითქო არ უნდა დაინახოს, რა არის მოსარიდებელი და რა გვერდასაქცევი. იმისთვის სულ ერთია, მართალი და ტყუილი, შესაძლებელი და შეუძლებელი, ოღონდ ნუ დაუშლით-კი, ქვეყნის დასასრულამდე გააბამს და აღარ გაათავებს. ენა რომ გასატეხი იყოს, აქამდე ათას ალაგას გადუტყდებოდა. არც გასაცვეთია ეს ოჯახდაქცეული, თორემ ეს მაინც გვექნებოდა ნუგეშად.

ამ თვალთა ხუჭვაშია მიზეზი იმისი, რომ ხშირად თ. მ. მაჩაბელი თავის ნათქვამს გადასთქვამს ხოლმე, მე ეგ არ მითქვამსო. მართალიც არის: თითონ ყურს რომ არ უგდებს თავისს ლაპარაკს, საიდამ დაახსომდება, რა სთქვა და რა არა.

თ. მ. მაჩაბელმა ის არ გვაკმარა, რომ ჩვენ სამეურნეო სწავლა-ცოდნით საკმაოდ სავსენი ვართ. თავმოწონებით, როგორც მოგეხსენებათ „მერმე და მერმე“ მისი კეთილი ამბავი, წამოარახუნა: საჭიროა თუ არა ჩვენთვის სამეურნეო სკოლა, მე ამაზე ვერას ვიტყვიო, რადგანაც ეს საგანი ჯერ ნათლად არ გამიგდია თვალწინა, ჯერ ნათლად ვერ გამომირკვევიაო და ამიტომ გთხოვთ ამაზე საუბარი შემდეგისათვის გადასდოთო. როგორ? უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში ნამყოფი კაცი გვეუბნება, საჭიროა თუ არა სამეურნეო სკოლა, ჯერ ვერ გამიგიაო. მაშ რაღად მირბოდა სამეურნეო სკოლაში, მერე უმაღლესში, თუ გაგებული არა ჰქონდა სამეურნეო სწავლა-ცოდნის საჭიროება? მაშ როდის-ღა გაიგებს და გამოარკვევს ამ

საჭიროებას, ან ვინ-ღა გამოურკვევს, თუ უმაღლესმა სასწავლებელმაც ვერ გააგებინა, ვერ გამოურკვია? შენი მტერის იყოს, რომ რაკი უმაღლეს სამეურნეო სკოლაში ასე მომცდარა და აქამდე ასე დარჩენილა, ეხლა ვეღარა გამოარკვიოს-რა, ვეღარა გაიგოს-რა.

ან რა სიტყვის პასუხია, რომ ითხოვა, რადგანაც მე ჯერ არ გამომირკვევია საჭიროება სამეურნეო სკოლისა, სხვა დროსთვის გადასდეთ ამაზე საუბარიო. აშკარაა, ამით ამის თქმა სდომებია: დამაცადეთ, ჯერ ვე გამოვარკვიო და მერე დავიწყოთ ლაპარაკიო, თორემ თქვენ რა იცითო. დიდი კადნიერებაა კაცისაგან სთქვას, ამოდენა კრებული წადით, დაიშალენით და მიცადეთ იმ დრომდე, ვიდრე მე სამეურნეო სკოლის საჭიროებას გავიგებდეო. ხომ შეიძლება თავისს-დღეშიაც ვერ გაიგოს, როდემდის ვუცადოთ? ერთი ჰკითხეთ, რა წითელი კოჭი ბრძანდება, რომ რაკი იმას არა გაეგება-რა, სხვამაც ხმა გაიკმინდოს. მითამ რა? უიმისოდ სხვანი. თუნდაც გაგებულნი იყვნენ, საქმეს ვერ მოუვლიან, თავისს გზას ვერ მისცემენ? შენი მტერი, თუ თ. მ. მაჩაბელს ავყევით და რაც იმას არ ესმის, იმ საქმეს ხელი აღარ მოვკიდეთ და იმას ვუცადეთ! აბა ბევრს საქმეს მაშინ გავარიგებთ აი, თუ თქვენც იტყვით!.. მაშ დაიღუპა საქართველო რაღა, რომ თუ თ. მ. მაჩაბელს არ გაეგება, სხვამ უმისოდ ისაქმა რამე! აი გასიება, გაბერვა თავისის-თავის მნიშვნელობისა ამასა ჰქვიან.

საწყალო საქართველოვ, ვაი შენს მტერს დაეყაროს, რაც შენ დაგეყრება, თუ საქმე ისე გაგიხდა, რომ თ. მ. მაჩაბლის გაგებას უცადო და ლოდინო. ბევრი წყალი ჩაივლის მინამდე წყალს ჯანი გავარდეს, იაფია. შენ იმისთანა საქმე მაჩვენე, რომ ცდა და ლოდინი არ მოგვინდეს თ. მ. მაჩაბლის წყალობითა!..

წარმოიდგინეთ, ამ სასაცილო და ამასთანა კრების ღირსებისათვის საწყენო თხოვნამ თ. მ. მაჩაბელისამ იქამდე მიაღწია, რომ კენჭი ჩამოატარეს: ვუცადოთ, თუ არ ვუცადოთ ამ ვაჟბატონის გაგებასაო. სასაცილო და ამასთან საწყენი არ არის ამისთანაებისათვის კრების მოცდენა!.. კიდევ კარგია, მობეზრებულმა კრებამ აინუნშიაც არ გაიტარა — თ. მ. მაჩაბელს გაეგება რამე თუ არა. ეგ მისი საქმეა და არა ჩვენიო, უმისოდაც ჩვენ იოლად წავალთო. ნურას უკაცრაოდაო, უთხრა კრებამ კენჭითა. აკი ვამბობთ, რომ კიდევ ღვთის წყალობაა, რომ კრებამ ამისთანა პასუხი უთხრა, თორემ ლოდინი მეორედ-მოსვლამდე მოგვინდებოდა, რადგანაც, როგორც ვიცი, თ. მ. მაჩაბელი გაგებაზე პატარა მწყრალად და უმზრახად ბრძანდება, თუმცა არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, რომ არ გვითხრას მისებურის თავმოწონებით და გულში ხელის ცემითა: რაცა ვარ, მე ვარო!

ვთქვათ, დაუჯერებელი არა არის-რა, რომ თ. მ. მაჩაბელს სამეურნეო სკოლის საჭიროებისა არა გაეგება-რა. კაცია და გუნება. ზოგი იმისთანაც არის, რომ თავისდღეში არა გაეგება-რა არასფერში. ეს ერთი როგორ არ შეენდობა ჩვენს საყვარელს თ. მ. მაჩაბელს. მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ, რომ ეს ერთი იყოს და სხვა ბევრი არა. ღვთით ასეც არის, თუ ვინმე

კარგად იცნობს თ. მ. მაჩაბელს. სხვა ყველაფერი კევსავით დაუღეჭია, ყველაფერი იცის, სხვა ყველაფერში დიდი ოსტატია. თუნდა თითონა ჰკითხეთ, თუ ჩვენი არა გჯერათ. ის გულახდილი კაცია, არაფერს დაგიმალავთ. ცოტა ამისთანაებში მორცხვია, როგორც მოგეხსენებათ იმისი ამბავი. მაგრამ არა უშავს-რა, მაინც გამოგიტყდებათ. იქნება ცოტაც წაუმატოს რამ, ნურც ამისი შეგეშინდებათ. ყველაფერი ზნე-ჩვეულების საქმეა.

ერთის სიტყვით, ნუ ვაწყენინებთ თ. მ. მაჩაბელს და დავუჯეროთ, რომ მართლა არა გაეგება-რა სამეურნეო სკოლის საჭიროებისა. ეს-კი—უკაცრაოდ ვიყვნეთ—დასაჯერებელი არ არის,—კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოევლოს და იქამდე გულისყურ-დაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნეო სწავლა-ცოდნა საჭიროა თუ არა იმისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ავლა-დიდება სოფლის მეურნეობაა. ეხლა ვიკითხოთ: როდის იყო მართალი თ. მ. მაჩაბელი? მაშინ, როცა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში ეწაფებოდა სიბრძნეს, თუ ეხლა, როცა ამ სიბრძნეზე ასე აშკარად ჰაშა ჰკრა. ორში ერთი: ან სასწავლებელში ვერა გახდა-რა და ამ სამეურნეო სწავლა-ცოდნის ალთაი-ბალთაის გონება ვერ მიაწვდინა, ან ამ სწავლა-ცოდნით აივსო, გაიტენა და ჰნახა, რომ ყველა ესე ამაოა ამაოებათა და სხვა არაფერი.

მე უფრო პირველი მგონია. იგი უფრო დასაჯერებელია და აი რა მიზეზით. უმაღლეს სასწავლებელში ყოფილა და იმოდენადაც თვალი არ აუხილებია, რომ დაენახა რამოდენად წინ წასულია დღეს სამეუნეო სწავლა-ცოდნა, თორემ როგორ გაკადნიერდა და სთქვა: ჩვენში ეს სწავლა-ცოდნა საკმაოაო. საკმაო კია? მაშ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენში ბევრი აღარა დარჩენია-რა სათქმელი სამეურნეო მეცნიერებას, რომ თუ ჩვენ წინ არა ვართ ამ საქმეში, ფეხ-და-ფეხ მივდევთ, ან მეცნიერება თუ იმაზე არ შემდგარა, რაც ჩვენ ვიცით, ბევრით წინ აღარ წასულა. განა მართლა ესეა? ესეა მარტო იმის თვალში, ვისაც ამ მეცნიერებისა სუნიც არ მისდენია. შორს გაიტანა და ძალიანაც შორს ამ მეცნიერებამ, ამ სამეურნეო სწავლა-ცოდნამ თავისი საზღვარი და კაცს რომ უმაღლეს სასწავლებელშიც-კი ეს არ დაენახოს, რას უნდა მიეწეროს,—გულისყურის დაბნეულობას, გონების დახშულობას, ჭკუის უილაჯობას, თუ თითონ სწავლა-ცოდნის ამაოებას?

მეტყვიან, მტრობით მოგდის ეს, თორემ როგორ შეეწამება თ. მ. მაჩაბელს უგულისყურობა, ჭკუის უილაჯობა, გონებადახშულობაო. რატომ არ გჯერაო, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნა იწვნია სავსებით, მხოლოდ დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს ფუჭია და უქმიო? იქნება ასეც იყოს, არ გაგიჭირვეულდებით. რომ არაფერში გამოსადეგია ეგ სწავლა-ცოდნა, თითონ თ. მ. მაჩაბელზედაც აშკარად ეხედავთ. რით არის ამისთანა საქმეში სხვაზე წინ? რომელი ხოდაბუნები მოხნა-მოთესა? რომელი მინდორი აქცია ვენახად? სად უჭირავს გუთანი? მარტო რაღაც პორთფელი ამოუჩრია

იღლიაში და დადის, ვითომ მეც ნახირ-ნახირო. განა ცხადი არ არის, რომ მისთვის სამეურნეო სწავლა-ცოდნა ფუჭია და ამაო!..

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაპატიოს თ. მ. მაჩაბელმა, ისევ სწავლა-ცოდნის პატივი ვირჩიე და ამ ლილოელი ფილოსოფოსის გულისყური გავწირე. ხუმრობაა, გავკადნიერებულვიყავ და ერთობ სწავლა-ცოდნისათვის, თუნდ სამეურნეოც იყოს, უპატიურად წიხლი მეკრა, ფუჭი ხარ და ამაო-მეთქი. მაშინ რას მეტყოდა ჩვენი ავყია „გზა-კვალი“, თუ ბუზან-კალი!.. არა, ისევ სჯობია ყველა ეს თ. მ. მაჩაბლის გულისყურს დაჰბრალდეს, ვიდრე სწავლა-ცოდნის ამაოებას. ამას, მე მგონია, თვით თ. მ. მაჩაბელიც მომიწონებს. იგი ყოველთვის მზად არის ჰეშმარიტებისათვის თავი დასდოს, მაგრამ ისე-კი, რომ ენა შერჩეს სალაპარაკოდ. ამას-კი, სწორედ მოგახსენოთ, არავის დაუთმობს. ძნელიც არის. შეჩვეული ჭირია და შეუჩვევარს ლხინს ურჩევნია.

ეხლა ვიკითხოთ: თ. მ. მაჩაბლის მიერ თქმული, რომ აქამდე ვერ გამიგია, საჭიროა თუ არა ჩვენთვის სამეურნეო სკოლა და მომიცადეთ, ვიდრე გავიგებდეო, უმაღლესის სასწავლებლის სიბრძნეს მივაწეროთ, თუ უმცირესის ადამიანის სიცრუეს? პასუხი ცხადია. ამიტომ ვამბობთ, რომ ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე სულ სხვაა. მშვიდობით, მესამე ლექციამდე.

ლექცია მესამე.

მოწყალენი ქალბატონებო
და მოწყალენი ბატონებო!

ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ეხლანდელის სიბრძნე-სიცრუისა მე უკვე დაგისახელეთ წინა-ლექციაზე. ამ ახალს მიმართულებას სიბრძნე-სიცრუისას სხვებიცა ჰყავს, არა-ნაკლებ ბრწყინვალე წარმომადგენელნი. ჩემის ფიქრით, ისტორიას არ უნდა დაუკარგოს კაცმა იმისთანა სახელოვანის კაცების სახელები, რომელნიც ახალის მიმართულების პიონერები არიან. ნუ გგონიათ, ახალი მიმართულება ლილახანა იყოს, რომ მაშინვე გახშირდეს და ვინც გინდათ და არ გინდათ ხელი შიგ წაურიოს. ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ არის, რომ ახალი მიმართულება პირველ ხანშივე ადვილად იკაფავდეს გზას. მარტო „რჩეულნი ამა ქვეყნისანი“, მარტო ცით ერთგვარ მადლცხებულნი მიუხვდებიან ხოლმე ახალ მიმართულებას,—რის მომასწავებელია და რაშია გამოსადეგი ამ არსებობისათვის ბრძოლაში. ამიტომაც ცოდვაა ამისთანა კაცებს საუკუნო სახსენებელი არ აეგოს. მეც ამისათვის ვცდილობ, თორემ არც ისეთი მოცლილი კაცი ვარ, რომ ამისთანაებზე გამეწირა ძვირფასი დრო და ეს ქართველთათვის თავმოსაწონებელი კაცები იმავ ბნელეთში დამეტოვებინა, საიდამაც ეხლა მე გამომყავს სინათლეზე.

მეორე „რჩეული ამა ქვეყნისა“ და ბრწყინვალე წარმომადგენელი წამოგვისკუპდა ჩვენ იმავ 23-ს დეკემბერს სკოლის კრებაზე. ხომ მოგეხსენებათ, ვინა ბრძანდება თ. ი. მაჩაბელი. იგი თავია იმისი, რის ფეხებიც თ. მ. მაჩაბელია თავისის პორთფელითურთ. ისე გადაბმულები-კი არიან ერთმანეთზე, რომ ძნელი გამოსაცნობია, — სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

მინამ ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, — რა სახის და პროგრამისა უნდა იყოს ჩვენი სკოლაო, ბ-ნმა როსტომაშვილმა წარმოსთქვა, რომ თქვენ დღეს სკოლა არა გაქვთო. ეგ თქვენი სკოლა თავისად-კი არ არისო, მსახურია სხვისა სკოლისაო. თუ გნებავთ თქვენი საკუთარი სკოლა იქონიოთ, სხვის მოსაწონებლად კი არ უნდა იყოს, ჩვენი საკუთარი მოსაწონებელი უნდა იქმნესო, ჩვენ და მარტო ჩვენ უნდა გვახეიროს, მარტო ჩვენი გამოსადეგი, ჩვენი სვე-ბედის ამტანი და გამტანი უნდა იყოსო. თუ ასეთის თვალით დავუწყებთ ყურებას ჩვენს სკოლას, ადვილად დავინახავთ,—რა სახისა და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის საჭიროო.

მართალია თუ არა ბ-ნი როსტომაშვილი, ამის გამოძიება ჩემის ლექციის საქმე არ არის. ხოლო იმისი თქმული იმისთანაა, რომ ვისაც თვალნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად, თვალიც უნდა აეხილნა და ყურებიდამაც ბამბა გამოეღო. ჩემის ფიქრით, ცოდვაა ასე თუ ისე თვალი და ყური არ ათხოვოს კაცმა ამ ბ-ნ როსტომაშვილის მიერ გამოთქმულს დედა-აზრსა და თავისს სასწორზე არ ასწონ-დასწონოს ან საჰოოდ, ან საარაოდ. ამისთანა ძარღვიანმა აზრმა განუკითხველად არ უნდა ჩაიაროს, თუ ჭკუა ჭკუობს და გული გულობს სადმე.

ამისთანავე ძარღვიანი აზრი, ხოლო სხვა თვალთა-ხედვიდამ-კი მოვლინებული, წარმოადგინა ბ-ნმა ცხვედაძემ,[42] რომელმაცა სთქვა, რომ ჩვენც ვიცით რა სახის და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის სასურველიო, ხოლო დრო-ჟამი და ეხლანდელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი ითხოვენ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერხანად მაინც დადუმდესო, თუ გვინდა, რომ ჩვენს სკოლაში კურს-შესრულებულთ შემდეგისათვის გზა ჰქონდეთ სწავლის განგრძობისაო. ამიტომაც სახე და პროგრამა ჩვენის სკოლისა ამ დრო-ჟამს და უცხო გარემოებას უნდა შევუფეროთო.

ამ-სახით, ორ-ტოტად დენა დაიწყო აზრმა კრებაში და ორსავე ისეთი მართლა-და მძიმე საბუთი ჰქონდა, რომ ერთიც და მეორეც ღირს იყო განეკითხა კრებას გულდასმით და ჭკუადაჯდომით.

არა-ნაკლებ საბუთიანი და ღირს-განსაკითხავი აზრი წარმოსთქვა ბ-ნმა გოგებაშვილმაც,[43] გ. იოსელიანმა,[44] თ. ვ. მიქელაძემ[45] და დეკანოზიშვილმა.[46] თუმცა იმათი აზრები ერთმანეთში განირჩეოდნენ, ზოგი აქედამ უვლიდა საქმეს, ზოგი იქიდამ, მაგრამ ყველამ გარკვეული აზრი სთქვა და მისცა კრებას საბუთი ან ჰო ეთქვა, ან არა. წამოდგა თ. ი. მაჩაბელიცა. ერთმა კუნჭულმა კრებისამ წინათვე მოამზადა ხელები ტაშისათვის.

ეს რომ დავინახე, ვთქვი: ცანგალას ხმაზე ხომ არ აპირობს თ. ი. მაჩაბელი ლაპარაკსა-მეთქი. სწორედ ასე იციან ხელების გამოშვერა ტაშისათვის გლეხებმა, როცა ცანგალას აპირობენ. გამიკვირდა. მართალია, თ. ი. მაჩაბლის „დინასტიაში“ (ჩვენი სიტყვა არ არის) მგალობელიც არის, როგორც უკვე შენიშნული იყო ერთს დროს ერთს აქაურს გაზეთში, მაგრამ რომ თითონ თ. ი. მაჩაბელს გალობის უნარი ჰქონოდა, არავის გაეგონა. მეც არ გამიგონია, თუმცა ბევრი სხვა რამ კი გაგონილი მაქვს. მოგახსენებთ, გამიკვირდა: ვინ თ. ი. მაჩაბელი და ვინ ცანგალა-მეთქი. შევხედე ხელახლად იმ კუნჭულს და ხელები ისევ ტაშისათვის გამოშვერილი ჰქონდათ. ყურები ვაცქვიტე. ერთი ვნახოთ, ეს ახალი უნარი როგორ დააშვენებს თ. ი. მაჩაბელსა და ან თ. ი. მაჩაბელი ამ ახალს უნარსა-მეთქი. ერთშიაც და მეორეშიაც მოვტყუვდი, იმიტომ რომ თ. ი. მაჩაბელმა თავისს-თავს არ უმტყუვნა.

დიახ, თ. ი. მაჩაბელმა არც აქ უმტყუვნა თავისს-თავსა. ერთის იოტის ოდენადაც არ დაუწევია ძირს იმ სიმაღლიდამ, საცა იგი ღვთის განგებას დაუყენებია ყელმოღერებული. ისევ ძველებურად, თავისებურად მოჰყვა სხაპასხუპს, თითქო თავზე წვიმა დასდის და სჩქარობს მალე დაროშოს დასაროშელი და სადმე ფანჩატურს შეეფაროსო. როგორც მოგეხსენებათ ამისი კეთილი ამბავი და ჩვეულება, გაუგორდა და გამოუგორდა ხელის-გულზე კრებას, უკმია შესაფერი საკმეველი სკოლის მასწავლებელთაცა. ბევრი იყო „ჰაი, საქართველოვ!.. ჰოი, ქართველობავ!.. ჰაი, ვინ გაბედავს და შესწამებს, რომ ქართული გული არ უცემთ ჩვენის სკოლის მასწავლებელთა!.. ვინ, აბა ვინ!.. სად არის ის საწყაო, რომ ასწყონ ამათი ღვაწლი!.. სად!.. ეს კრება!.. ოო, ეს კრება!.. ამ კრებამ კარგად იცის, ზედმიწევნით იცის, ვინ არის სკოლის მტერი და ვინ არის მოყვარე! (აქ თ. ი. ჩაჩაბელმა და ბ-მა გ. წერეთელმა ერთმანეთს თვალი უყვეს, თუმცა, მგონია, უმზრახად-კი არიან)... მე!.. მე!.. მე, რომელიც (აქ ერთი ორჯერ გულში ხელი ჩაიკრა თ. ი. მაჩაბელმა ჩვეულებისამებრ და გ. წერეთელმა ტუჩები ზევით აიწია) მე!.. რა მე?!.. აქ, აი ამ კრებაში... ოღონდა კარგი რამ დაეწყოს, თორემ ეს კრება... მე... მე... დარწმუნებული ვარ, ან ვინ გაბედავს დარწმუნებული არ იყოს, რომ ეს კრება... არასფერს დაზოგავს სკოლისათვის, უხვად გასცემს, დიახ, უხვად, უხვად გასცემს, არაფერს დაჰზოგავს სკოლისათვის!.. და სხვანი და სხვანი.

იგრიალა იმ ერთს კუნჭულში წინათვე მომზადებულმა ტაშმა, თუმცა-კი ძალიან თხლად, თითქო ქალების უძლური ტაშიაო. თ. ი. მაჩაბელსაც მარტო ეს უნდოდა, როგორც ეტყობოდა. იგი გამარჯვებული წავიდა და იმ კუნჭულში ყელმოღერებული გამოიჭიმა, მითომდა ბურთი მოედნიდამ გაიტანა და გაიტანა. ბუხრის ქუდი რომ ჰხურებოდა, თავმოწონებით ჩაიკეცავდა, ყელს უფრო მოიღერებდა და იქნება დოინჯიც შემოეყარა.

რა თქმა უნდა, თ. ი. მაჩაბლის თქმულს სიტყვა-სიტყვით ვერ აღვადგენ. ხოლო ვინც იქ იყო, გულზე ხელი დაიდოს და მითხრას: იმის სიტ-

ყვაში იმ ჰაი-ჰოის მეტი ეყარა რამე?.. იმ პირფერობის, ლაქუცისა და კუდის ქნევის მეტი ვის რა დარჩა ხსოვნაში, ვინ რა გამოიტანა?

არა მგონია, იმის გაგორ-გამოგორებასაც კრებისა და სკოლის მასწავლებელთა წინაშე ბევრი რამ კეთილი შეეძინოს თ. ი. მაჩაბლისათვის. ლილახანა დიდი ხანია წაუხდა ჩვენში ამისთანა კუდის ქნევას, ამისთანა მალაყებსა, მით უფრო, რომ ეს ასეთი ამბავი თ. ი. მაჩაბლისაგან არ ახალია, ძველია. წავიდა ის დრო, როცა ამისთანა ბუჩოიან ხორბლის მარცვლითა წაიტყუებდნენ ხოლმე ბეღურა-ჩიტებსა. სხვისა არ ვიცით და სკოლის მასწავლებელნი მაინც ისეთნი არ არიან, რომ თავისი საკუთარი თვალთა-ხედვა არა ჰქონდეთ და თავისი საკუთარი ყურთა-სმენა. ამათ წინაშე ზიზილ-პიპილები და კუნტრუში ვერაფერი ლარი და ხაზია სვის გატანისათვის. ამათ კარგად იციან, — რა ფასისაა, რა ღირებულობისაა იგი მიწანარევი საკმეველი, რომელსაც თ. ი. მაჩაბელი „ვისაც ჯერ არს და სადაც ჯერ არს“ ასე უხვად უკმევს ხოლმე. კიდევ კარგია, რომ ამისთანა კმევას ჯერ ბაჟი არ ადევს, თორემ დიდი გადასახდელი დააწვებოდა თავზე თ. ი. მაჩაბელს.

პირში ქებას ჭკუადამჯდარ კაცის თვალში დამპალ კიტრის ფასიც არა აქვს. პირში მაქებარს თავისის-თავის პატივმცემელი კაცი აი რას ეტყვის ხოლმე: ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვაგან გამოგადგება. მე-კი, ვაი რა ბალღი გგონივარ, რომ ჰფიქრობ მაამო და მით მომატყუო...

არა მგონია, თითონ კრებაც მოტყუებულიყოს, რომ უქო და უდიდა გულუხვობა და არ-დაზოგვა სკოლისათვის. კრებამ ძალიან კარგად იცის,— რა უკადრისი გუნდრუკთ-კმევაა ამისთანა ბალღური ლათაიები. კრებამ ძალიან კარგად იცის, რომ თვით არაფერს შუაშია ამ გულუხვობაში და არ-დაზოგვაში. რა დასამალავია, რაც ყველასათვის ცხადია, რომ კრებას თავისი საკუთარი ერთი გროშიც არა აქვს. მაშ რა მოსატანი იყო აქ გულუხვობა და არ-დაზოგვა კრებისა? რაც კაცს თითონ არა აქვს, იმისი უხვად გაცემა და არ-დაზოგვა რა ისეთი ვაჟკაცობაა, რა ისეთი სასახელოა, რომ კაცმა კაცი ამისათვის აქოს და ადიდოს? მითამ რა ეწვის, რომ ეს წვა-დაგვა სამსახურად და ქველობად ჩაეთვალოს? აქ ან ის კაცია სასაცილოდ აგდებული, ვისაც ამ გზით და მიზეზით აქებენ, ან ის, ვინც ამ გზით და მიზეზით აქებს და უნდა ამით ლარი გაიტანოს. ჩვენში-კი რომ ითქვას, არც ერთია მოსაწონებელი და არც მეორე. მაშ ტაში რაღა იყოო? — იკითხავთ. აი ნასკვი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუისა სწორედ აქ არის და თქვენ გამოხსენით.

როგორც იყო გათავდა ეს ქება-დიდების ზარის რეკაც და თხლად ტყლაშუნი ტაშისა ჩაჰბარდა თავის პატრონს. დაიწყეს ლაპარაკი იმაზე თუ, — საჭიროა თუ არა აწ არსებულ სკოლასთან გამართულ იქნას სამეურნეო სკოლაცა. გამარჯვებული და გამხნევებული თ. ი. მაჩაბელი, რა თქმა უნდა, აქაც წამოხტა თავისებურად. მეგონა, აბა ეხლა იქნება სეირი-შეთქი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბაგეთა მისთაგან

წარმოდინდა შემდეგი: ჯერ რადგანაც მე არ გამომირკვევია ნათლად საჭიროება სამეურნეო სკოლისა, ამიტომაც აი აღვსდეგ და მივდივარ და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. გავოცდი, და რათ გავოცდი — ბოლოს შეიტყობთ. ადგა ეს ვაჟბატონი და ისევ ვაჟკაცურად და ყელ-მოღერებით გავიდა კრებიდამ. აიშალა ის ერთი კუნჭულიც დედაბუდიანად და, როგორც კრუხს წიწილები, უკან გაედევნენ. კრებამ თუმცა არა სთქვა, ვაი უმისოდ რა გეშველებაო, მაგრამ თითონ თ. ი. მაჩაბელი-კი უსათუოდ იტყოდა: აბა, ეხლა დაიღუპნენო, აი!..

ღვთის მადლით, კრება მშვიდობით გადარჩა ამ ღვთისრისხვა უბედურობას, რომ თ. ი. მაჩაბელმა ასე უნუგეშოდ დასტოვა და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობა არ მიიღო. მეც მადლობა შევწირე ღმერთს, რომ თავზე ცა არ წამოგვექცა, თორემ შენი მტერი. წარმოიდგინეთ თ. ი. მაჩაბლის გულქვაობა, მოკითხვის კაციც არ გამოგზავნა შეეტყო — უჩემოდ დაიხოცნენ, თუ კიდევ სული უდგათო. რაც იყო, იყო, მორჩა და წავიდა.

ახლა საქმე რა'შიაო? აქ სიბრძნე-სიცრუე რა შუაშიაო? — მკითხავთ. იმაშია, ბატონებო, რომ ამ სამი-ოთხის წლის წინათ სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს დაუდგენია, — აწ არსებულ სკოლასთან საჭიროა გამართულ იქმნას სამეურნეო სკოლაცაო. ჩამოთვლილია რა გარემოებანი ჰქონია ხსენებულს კომიტეტს საბუთად იმ დადგენილებისა, რომელიც ასე თავდება: „ამ გარემოების მიხედვით უნდა დაარსებულ იქმნას ქალაქის გარეშე სამეურნეო სასწავლებელი სამის წლის კურსით, სადაც შეეძლოთ შესვლა ყველა იმ მოსწავლე ყმაწვილებს, რომელნიც ათავებენ კურსს სათავად-აზნაურო პროგიმნაზიაში და სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას“*).

სიტყვა-სიტყვით არის ეს დადგენილება ამოწერილი. როგორ გგონიათ, ვის უწერია ხელი ამ დადგენილებაზე სხვათა შორის? არამც და არამც თ. ი. მაჩაბელს, რადგანაც თითონვე ამ 23-ს წარსულს დეკემბერს დაგვიფიცა, რომ სამეურნეო სკოლის საჭიროების თაობაზე ჯერ აზრი ნათლად არა აქვს გამორკვეული და სამის და ოთხის წლის წინათ სად ექნებოდა. ხომ!.. კარგი და პატიოსანი. წარმოიდგინეთ, რომ სწორედ თ. ი. მაჩაბელს ხსენებულ დადგენილებაზე ხელი უწერია, ვითარცა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის წევრსა!.. გესმით, ბატონებო, იმ თ. ი. მაჩაბელს, რომელიც 23-ს წარსულს დეკემბერს გვეფიცებოდა, ამ სკოლის საჭიროებისა ჯერ ნათლად ვერა გამომირკვევია-რა, აზრი არ შემიდგენიაო! გესმით, ბატონებო, ეხლა ჩემი გაოცება, როცა თ. ი. მაჩაბელის ბედნიერის ბაგისაგან გავიგე, მე ეს „არ გამომირკვევიაო“.

ვიფიქრე: იქნება ეს თ. ი. მაჩაბელი ერთია და ის თ. ი. მაჩაბელი, რომელსაც დადგენილებაზე ხელი უწერია, მეორე-მეთქი. ვკითხე ერთს ჩემ გვერდით მდგომარეს: ერთი მიბრძანეთ, სხვა თ. ი. მაჩაბელი ხომ არსად

*) იხილე მეთექვსმეტე გვერდი სკოლის საქმეზე ამორჩეულ კომისიის მოხსენებისა.

არის საქართველოში-მეთქი? იმან ისე შემომხედა, თითქო გამიწყრა: „როგორ არა გცხვენიან და მაგას ჰკითხულობო? განა თ. ი. მაჩაბელი პანტაა, რომ ეგრე წყვილ-წყვილად ცვიოდეს ციდამაო“. პასუხიც არ მაღირსა, მიბრუნდა და ზურგი შემომაქცია. ვიფიქრე: უსათუოდ ბ-ნი ალექ. მირზაშვილი იქნება ეს ვაჟბატონი-მეთქი. ნამდვილად-კი არ ვიცი დღესაც, ვინ იყო.

ამას გრძლად განმარტება არა სჭირია. ეს ორთავიანობა, ეს ორპირიანობა, ეს ორგულიანობა ერთსა და იმავე საქმეში, ეს ასეთი აშკარად ჰაშას კვრა იმაზე, რაც გუშინ უთქვამს და რაზედაც ხელი უწერია, თავისთავად გვეუბნება რას ჰნიშნავს და რას მოასწავებს. „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, სწორედ ამასა ჰქვიან. აღარ იკითხავთ: თუ დღემდე არ გამოურკვევია საჭიროება სამეურნეო სკოლისა, ამ სამის-ოთხის წლის წინათ სადღა ექნებოდა გამორკვეული? ან თუ მაშინ გამორკვეული ჰქონდა, ეხლა რა ალალმა დაჰქროლა ამისთანამ, რომ რაც სიმღერები იცოდა, სულ დაავიწყა? განა დასაჯერებელია გულმართლობა ამისთანა ადამიანისა ან როცა „ჰოს“ ამბობს და ან როცა „არას“? ადამიანი ბუმბული ხომ არ არის, რომ ქარი ხან აქეთ ატრიალებდეს და ხან იქით!

აღარ იკითხავთ: როდის იყო გულმართალი თ. ი. მაჩაბელი? მაშინ, როცა სამი-ოთხის წლის წინათ ამტკიცებდა, რომ საჭიროა ჩვენთვის სამეურნეო სკოლაო, თუ 23-ს წარსულს დეკემბერს, როცა გვეფიცებოდა, ამ საჭიროებისა ჯერ არა გამომირკვევია-რაო და აზრი არ შემიდგენიაო? ამბობენ, 1884 წ. ბანკის გამგეობას ამ საგანზევე სჯა ჰქონია და ერთხმად, თ. ი. მაჩაბელთან ერთად, გამოურკვევია და ცხადად და ნათლად მოუხსენებია ზედამხედველ კომიტეტისათვის საბანკო კრებაში წარსადგენად, რომ მეტის-მეტად და აუცილებლად საჭიროა სამეურნეო სკოლა ჩვენთვის, პირდაპირი სარგებლობა მისი ჩვენთა მიწათ-მომქმედთა და მიწათ-მფლობელთათვის ცხადია და ყოველ ეჭვ გარეშეაო, და ამ არსებითს საჭიროებას იმისთანა მიწათ-მომქმედ გუბერნიისათვის, როგორც ჩვენი გუბერნიაა, უნდა უსათუოდ ეშველოს რამეო, და ეხლა-კი გვეუბნება იგივ თ. ი. მაჩაბელი, ჯერ ამ სამეურნეო სკოლის საჭიროებისა ნათლად არა გამომირკვევია-რაო! რომელი ერთი დავუჯეროთ? თუ მაშინ გონება მისი ამ საჭიროებას ნათლად ჰხედავდა, ეხლა რა ჯანაბამ დაუბნელა? აქ ქარის ძლიერება უფროა საკვირველი, თუ ბუმბულის სისუბუქე და სიმჩატე? ეს თქვენ გამოიცანით, ბატონებო, და მე-კი ამის დავიდარაბისა არა ვიცი-რა.

მე ასე ვფიქრობ: იქნება მას მერმეთ ამანაც, ესე იგი თ. ი. მაჩაბელმაც, იგი ბოლაზი სამეურნეო ცოდნისა იპოვა ჩვენში, რომელიც ტელესკოპით დაუნახავს ლილოელს ვარსკვლავთმრიცხველს თ. მ. მაჩაბელსა და რომელიც 23-ს დეკემბერს ჩვენ გვაუწყა.

ეხლა მაინც გვიბრძანეთ: რასა ჰგავს ამისთანა საქციელი იმისთანა მძიმე საქმეში, როგორც სკოლის და, მაშასადამე, ჩვენის მოზარდის თაობის განათლების საქმეა! ეს არის [illegible] სიყვარული საქმისა? ეს არის განა

გულისა და თავის დადება საქმისათვის? ეს არის განა იგი გულმართლობა, რომლის ნიშნადაც ასე ხშირად გულში ხელს იცემს ხოლმე ეს მართლა-და „თამარაშნელი ბულანჟე“! ვინ რას იტყვის, თუ რომ ერთს კაცს ერთის სახის სკოლა მოსწონდეს, მეორეს — მეორის სახისა. ეს სხვადასხვაობა აზრისა კაცთა შორის მარტო ბ-ნ გ. წერეთელს მიაჩნია ცოდვად და სხვას არავის ქვეყნიერობაზედ. ხოლო ეს „ჰო“ და „არა“ ერთსა და იმავე საგანზე ერთსა და იმავე კაცისაგან ხომ ან ერთია სიცრუე, ან მეორე. აქ სიცრუე ხომ აშკარაა ერთ-ერთში და აშკარა. სიბრძნე სადღაა? ეგ თითონ თ. ი. მაჩაბელსა ჰკითხეთ. აი ამიტომ მოგახსენეთ, რომ ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე სულ სხვაა-მეთქი.

მშვიდობით, ბატონებო, მეოთხე ლექციამდე.

ტ. IX, გვ. 276—295. 1896 წ.

1898 г.

უკანონოდ-შობილთა უფლება

I

შიდა-რუსეთის გაზეთები ერთს იმისთანა ამბავს იწერებიან, რომელსაც არც ერთი კაცთმოყვარე და მართლა განათლებული ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს და შეუმჩნეველად არ დააგდებს. იგინი გვაუწყებენ, რომ ახალი კანონპროექტი მზადდება, რომელსაც საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად ადამიანური უფლება მიანიჭოს იმათ, ადამიანად იცნას იგინიც, ვისაც კანონი დღევანდლამდე უფრო სდევნიდა, ვიდრე სწყალობდა. ამისთანანი არიან ეგრეთ-წოდებულნი უკანონოდ შობილნი, ესე იგი იგინი, ვინც თვისდ საუბედუროდ იბადებიან ქორწინებით შეუღლების გარეთ. ყველას მოეხსენება, რომ ამ-გვარად შობილისათვის არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამეულნი, არც დედეული ქონება, არც მამა-შვილური და დედა-შვილური განწყობილება. ერთის სიტყვით, რაც ქვეყანაზე ერთ სისხლ-ხორცობა, მამა-დედა-შვილობა, ნათესავობა წილს უდებს ადამიანს, ამას ყოველფერს მოკლებულია, ვინც იბადება დაუქორწინებელ დედ-მამისაგან.

ასე უწყალოდ ყოფნა უბედურად დარჩენილისა სწორედ ულმობელობაა, გულქვაობაა, ცოცხალ-მკვდრად დამარხვაა უდანაშაულო და უცოდველის ადამიანისა. იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ეს ერთი იმისთანა უსამართლობაა, რომლის გამო კაცი ჰთრთის, თუ კარგად ჩააკვირდება. თუ დედ-მამის მოქმედება ამ შემთხვევაში, კანონის და საზოგადოების თვალით, საზღაური დანაშაულობა და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დაისაჯოს მათის ცოდვის და დანაშაულობის გამო? მისი რა ბრალია, რომ დედ-მამამ უკანონოდ გააჩინა და ეს ამბავი დედ-მამისა საზღაურად რათ უნდა გაუხდეს შვილსა? მერე რა სასჯელი, რა საზღაური! ყოველივე პატივი და ღირსება, ყოველივე კაცებური ურთიერთობა, რითაც კი ამ წუთის-სოფელში ჰთამამობს და თავს იწონებს სხვა ყოველი ადამიანი, უკანონოდ შობილს თვალის ახილებისსავე წართმეული და ჩამორთმეული აქვს. იგი უდედ-მამოა, თუ დედ-მამა გასწირავს, იგი უნათესაოა, უსახელოა, უგვაროა, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხელი, არც დედეულისაზე და ყოველფერში უმწეო და უნუგეშოა. რა დააშავა? ვის რა წაართვა? ვის რა შესცოდა? განა აქ ადამიანს გულის-ტკივილი დაუამდება, რომ პასუხად უთხრან: მისი დანაშაული ის არის, რომ მისი დედ-მამა შესცდა და უკანონოდ გააჩინეს შვილიო?

დევნა და შეჩვენება უკანონოდ შობილისა დიდის ხნის ამბავია ქვეყანაზე. ამ დევნამ და შეჩვენებამ იქამდე მიაღწია, რომ დედ-მამას მამა-შვილური და დედა-შვილური უწმინდაესი გრძნობაც-კი აგმობინა და მაშინ, როდესაც კანონიერად შვილის ყოლა მთელის ოჯახისათვის დიდს სიხარულს და დღესასწაულს შეადგენს, უკანონოდ შვილის გაჩენა საწყევლად და საკრულველად მიაჩნია დედ-მამას, და საცოდავს, უმწეოსა და უცოდველს ახლად-შობილს პაწაწას ხშირად ან ადრე და მალე გამოასალმებენ ხოლმე ამ შეუბრალებელს წუთის-სოფელს დედ-მამანივე, ან სხვას გადაუგდებენ თავიანთს სისხლ-ხორცს, თავიანთს ტირილითა და კვნესით ნაშობს.

რა თქმა უნდა, ამ ორისავ სახის საქციელს დედ-მამისას კანონი დიდ დანაშაულობად სთვლის და დიდს სასჯელსაცა სდებს, თუ შეუტყო, და, მაშასადამე, კანონი აქ არაფერს შუაშია. კანონს აქ ვერავინ დასწამებს, ვითომც ამ-გვარ დანაშაულობას დღეს-აქამომდე ხელს უწყობდეს, ან უჭუმდებოდეს. კანონი ყოველთვის სამართლის ხმლით ხელში წინ ედგა ამისთანა დანაშაულობას. ხოლო შიში კანონისა ამ შემთხვევაში ხშირად ადგილს უთმობს ხოლმე შიშს სირცხვილისას, განკიცხვისას, ძრახვისას და ყბად-აღებისას საზოგადოების მხრით, და აი ყოველივე ეს არის მიზეზი იმ ყოვილ-გვარ ბოროტისა, რაც დედ-მამის უკანონოდ დაახლოებას მოსდევს სისხლის სამართლის თვალით. მართალია, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზედგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაცა, ერსაცა.

დღეს-აქამომდე უკანონო შვილს და დედ-მამის უკანონო დაახლოებას, რაც გინდ წმინდა გრძნობა და დიდი სიყვარული წინ უძღოდეს, თითონ კანონიც იმავე წყრომით და განკიცხვით უყურებდა, როგორც საზოგადოება. კანონის მიერ ასეთის თვალით ყურება, რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად კვერსა სცემდა საზოგადოებაში ამ საგანზე ძველათგანვე ფეხმოკიდებულ აზრსა და ძირს უმაგრებდა. ეხლა-კი სულ სხვას უკეთესს და სამართლიანს გზას დასდგომია კანონმდებლობა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, და ამისი აუცილებელი სიკეთე ის იქნება, რომ თვით საზოგადოებასაც მოულბება გული და ისეთის შეჩვენებით აღარ მოექცევა ასე თუ ისე შეცდომილ მშობლებს უკანონო შვილისას, რომელნიც შესაბრალებელნი უფრო არიან, რაკი ესეა, ვიდრე შესაჩვენებელნი და ჩასაქოლავნი. ზოგიერთისათვის შერცხვენა, სირცხვილი ჯვარცმაზე უარესია და ეს არის მიზეზი, რომ ზოგი დედა თავს იწამლავს, ზოგი თავს იფუჭებს, ზოგი თვისს ნაშობს ასე თუ ისე იმეტებს, რომ სირცხვილს დაემალოს, მიეფაროს და ჩვენს განკიცხვას და ძრახვას გადაურჩეს.

განა ადამიანთა საზოგადოებისათვის, კრებულისათვის ამისთანა ყოფაცხოვრება, ამისთანა ურთიერთობა შესაწყნარებელია და საკადრისი? ცოდ-

ვა დედ-მამისა ამ შემთხვევაში მოსაწონებელი, რასაკვირველია, არ არის, ცოდვას ცოდვის სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მაღლია ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მაინც-და-მაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებულ ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თვისი ნაშობი წყალს მისცეს. ადამიანურმა გულმტკივნეულობამ რომ ერთი ამისთანა ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მაღლი იქნება. მაღლია მამისთვის, მაღლია დედისთვის, მაღლია სრულად უცოდველ ბავშისათვის, რომელსაც ხშირად შობის უმალვე სიკვდილი, ან ქუჩაში გადაგდება მოელის მარტო იმისთვის, რომ დედ-მამანი შესცდნენ, უკანონოდ ჰშობეს და ჩვენს სირცხვილს შეუშინდნენ.

თუნდ ესეც არ იყოს, აბა იფიქრეთ: რა ტანჯვა-წამებაში უნდა იყვნენ, რა ცეცხლში უნდა იწვოდნენ ან დედა, ან მამა, თუ ადამიანობა არ დახშვიათ, როცა სირცხვილისა და შერცხვენის შიშის გამო ან თავისს თავს იმეტებენ სასიკვდილოდ, ან თავისს სისხლ-ხორცს შვილსა მაშინ, როდესაც ბუნება ეუბნება: აი შვილი და გაიხარეთო! აქ სასჯელი განა ერთი ათასად არ აღემატება ცოდვას!.. განა სამართალია, ადამიანმა ადამიანი ამ გახურებულ თონეში ჩააყენოს! განა ცოტა მაგალითია, რომ ეს ასე მომხდარა! სისხლის სამართლის მატიანე სავსეა ამისთანა მაგალითებით და რამდენს სხვას კიდევ ამისთანა ამბავს ჩაუვლია ისე, რომ სამართლის კარამდე არც-კი მიუღწევია.

ესეთი კაცთა-შორისი უსამართლო, უმადლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოიჭამს და მარტო ისტორიაში-ღა თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად, ვითარცა საწყაო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენის ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვისა. ზემოხსენებული კანონპროექტი, როგორც შემდეგს წერილში დავინახავთ, ამ მხრით საქმის გასწორებას ჰლამის და საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად მოარბილოს ეხლანდელი გულქვაობა საზოგადოებისა და უფრო სამართლიანის თვალით მიახედოს უკანონო მამა-შვილობასა და დედა-შვილობაზე, ვიდრე ეს აქამომდე იყო. ასეთი წინ ფეხის გადადგმა კანონისა თუკი ასრულდა და განხორციელდა, მოასწავებს განზე გადგმას ადამიანობის მიჯნებისას ამ წუთის-სოფელში და ერთი უმთავრესი საგანიც ეს არის ეგრეთ-წოდებულ პროგრესისა, სხვათა შორის.

II

ჩვენს გუშინდელს მეთაურში მოვიხსენიეთ, რომ მზადდება კანონპროექტი უკანონოდ შობილთა შესახებ შიდარუსეთის გაზეთების სიტყვით. ესევე გაზეთები გვაუწყებენ, რა გზით განუზრახავთ გასწორება ამ შემთხვევაში საქმისა და რა წეს-რიგობა დაუპირებიათ დაადგინონ ამ საქმის

უფრო სამართლიანად წარმართვისათვის. იგი წესრიგი ჩამოთვლილია იმ გაზეთში, საიდამაც ეს ამბავი შევიტყეთ, და რომ ჩავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ უკანონო შვილი ისე უნუგეშოდ და უმწეოდ აღარ აახელს თვალს ამ წუთის-სოფელში შემოსასვლელად, როგორც აქამომდე იყო. კანონპროექტი გარკვევით და ცხადად ამბობს, რა უფლება და მოვალეობა უნდა მიეკუთვნოს ცალკე დედას, ცალკე მამას და ცალკე უკანონო შვილს.

აქ ყველაზე უწინარეს სახსენებელი ის არის, რომ მშობლობის უფლება (родительская власть) ეძლევა დედას მთლად და განუყოფელად და არა მამას. ამასთან დედა მოვალეა უპატრონოს შვილს, გაზარდოს და მისის ინტერესების წარმომადგენელი იყოს ყველგან, საცა-კი საჭიროება მოითხოვს. ხარჯს უკანონო შვილის გაზრდისას და სწავლებისას კანონპროექტი ვალადა სდებს, შეძლებისამებრ, დედას, ვიდრე შვილი სრულწლოვანი შეიქმნება. უკანონო შვილს გვარი დედისა უნდა მიეთვისოს, და თუ დედა არ იციან ვინ არის, სახელი ნათლიასი, მამეულად გადაკეთებული უნდა მიეცეს გვარად. ოც-და-თერთმეტის წლის განმავლობაში დაბადებითგან უკანონო შვილს ნება აქვს სამართლით დაიმტკიცოს თავისი შთამომავლობა ამა თუ იმ დედაკაცისაგან. დედეულის მამულსა და ქონებაში უკანონო შვილს ისეთივე მონაწილეობა ეძლევა, როგორც კანონიერ შვილს.

მამის შესახებ კანონპროექტს სულ ახალი წესი შემოაქვს, აქამდე არსებულ კანონებში არ-ხსენებული: მაგალითებრ, მამა უკანონო შვილისა მოვალეა, თავისის შეძლებისამებრ, იტვირთოს ხარჯი, რაც-კი მოუნდება გაზრდას, მოვლას და სწავლებას უკანონო შვილისას, ვიდრე სრულწლოვანი შეიქმნება, თუ დედის შეძლება არ გასწვდა და ყოველ ამას არ ჰყოფნის. უკანონო მამა აგრეთვე მოვალეა აძლიოს ხარჯი თვით უკანონო შვილის დედასაც თავის შესანახად, თუ დედას ამისათვის შეძლება არა აქვს, ან უღონოა თავისის საკუთარის შრომით და გარჯით იშოვნოს საცხოვრებელი სარჩო. ორსავ შემთხვევაში სამართალმა იმოდენა ხარჯი უნდა დაავალოს უკანონო მამასა დედისა და შვილის სარჩენად, რაც დედის შეძლებას აკლია. ეს მოვალეობა უკანონო მამისა, რომ სახსარი ცხოვრებისა მისცეს დედასა და შვილს, თვით მამის სიკვდილ შემდეგაც უნდა შესრულებულ იქმნას და მისმა ქონებამ უნდა იხადოს იმ მემკვიდრეობის წილის კვალობაზე, რომელიც შეხვდებოდა უკანონოდ შობილს, მამისაგან შვილად მიჩნეულს.

ეს შვილად მიჩნევა უკანონო შვილისა ახალი ამბავია აწ არსებულ კანონებისათვის. უკანონო მამას ნება ეძლევა თავისი უკანონოდ შობილი შვილი შვილად აღიაროს და თავისის კეთილის ნებით მიანიჭოს უფრო მეტი უფლებანი, ვიდრე კანონითა აქვთ უკანონოდ შობილთა. უკანონო მამას შეუძლიან ნოტარიალურ წესით, ანდერძით, ან ადგილობრივ მოსამართლესთან განცხადებით თავისი უკანონო შვილი იშვილოს და ამით უკანონო შვილს მიენიჭება მამეულობის სახელწოდება და მამეული გვარი. გარდა ამისა, მიენიჭება უფლებაც მემკვიდრეობისა მამის ქონებასა და დე-

დულ-მამულში, ხოლო კანონიერ შვილებთან თანასწორად კი არა, თუ კანონზე მივარდება საქმე გაყოფისა და განაწილებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაშვილევს წილი უნდა მიეცეს მარტო იმის ნახევრიდამ, რაც კანონიერ შვილების საწილოველია. სხვა არა-რა საზოგადო უფლებანი კანონიერ შვილებისა ნაშვილევს არ მიეთვისება, მამის ტიტული, წოდებრივი უფლებანი არ გადადიან უკანონო შვილზე, ამიტომაც ეს უკანასკნელნი უნდა ჩარიცხულ იქმნან ხარჯთ-მძღველთა მკვიდრთა შორის.

მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, ნება აქვს ზედამხედაობა იქონიოს შვილის მოვლასა, გაზრდასა და სწავლებაზე, თუნდ შვილი დედის ხელთ იყოს. მამას ნება აქვს, იყოს მის აპეკუნადაც და თუ, ვინიცობაა, უკანონო შვილს დედა მოუკვდა, ან არ იციან დედა ვინ არის, მაშინ მშობლობის უფლება მამას უნდა ეკუთვნოდეს. მამას, როცა შვილად აღიარებს თავისს უკანონო შვილსა, ნება არა აქვს დაასახელოს დედა მისი, თუ მეტრიკის წიგნში დასახელებული არ არის. თუ უკანონო შვილის მამას კანონიერი ცოლი ჰყავს და მასთან კანონიერი შვილებიც, იგი ვერ იშვილებს უკანონოდ შობილ შვილს, ცოლის ნებადაურთველად და თვით ყმაწვილის დაუკითხავად, თუ 14 წლის ასაკშია ყმაწვილი.

თუ მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, კანონიერი შვილებიცა ჰყავს, მაშინ მამისაგან სამკვიდროდ დარჩენილ ქონებიდამ ნაშვილევს უნდა ერგოს წილად ნახევარი იმისი, რაც ერგებოდა, კანონიერი შვილი რომ ყოფილიყო. თუ კანონიერი შვილები არა ჰყავს და მემკვიდრეობა რჩებათ ძმებსა და დებს ნაშვილევის მამისას, მაშინ სამკვიდროს უნდა გამოაკლდეს საქვრივო კანონიერ ცოლისათვის და დანარჩენიდამ მთელი ნახევარი უნდა ერგოს ნაშვილევსა, და თუ გარდაცვალებულ მამას ნაშვილევისას ცოლის მეტი არავინ დარჩა, არც ძმები, არც დები, მაშინ, საქვრივოს გარდა, რაც სამკვიდრო ქონებაა სულ ნაშვილევს უნდა მიეკუთვნოს. უკანონო შვილნიც, ისე როგორც კანონიერნი, მოვალენი არიან უპატრონონ და შეინახონ დედ-მამა, თუ გაჭირვებაში ჩასცვივიან.

ეს არის იგი, რაც კანონპროექტით შეეხება უკანონო შვილების სვეტებედსა. ხოლო კანონპროექტი იხსენიებს იმისთანა შვილებსაც, რომელნიც დაქორწილებულ დედ-მამისაგან შობილან და მას მერმეთ ქორწინება კანონიერად არ უცვნიათ და გაუუქმებიათ. ამისთანა შვილებს კანონპროექტი აკუთვნებს უკლებლად ყოველს იმ უფლებას, რაც კანონიერ შვილებსა აქვთ. ხოლო განქორწინებას ცოლ-ქმრობის გაყრა მოსდევს და აქ საქმე ის არის, — ვინ უნდა გაიყოლიოს შვილები, ვინ უნდა თავისთან იყოლიოს? მართალია, შვილის თავისთან ყოლა მოვალეობაა, მაგრამ დიდი ბედნიერება და სიხარულიც არის, როგორც დედისათვის, ისეც მამისათვის და რაკი კანონი ცოლქმარს ერთმანეთს აშორებს, ამ ორკეც ტკივილსაც წამალი უნდა დასდოს: ზოგს არ ენდომება შვილისათვის მზრუნველობის ტვირთი ჰზიდოს, ზოგი ყოველ-გვარ წვალებას და წამებას იკისრებს, ოღონდ შვილთან იყოს და შვილი მასთან. ამ შემთხვევაში კანონპროექტი

საქმეს ჯერ დედ-მამის ნებაყოფლობაზე აგდებს და თუ ვერ მორიგდნენ, ვაჟიშვილები მამას შერჩნენ და ქალიშვილები დედასაო, და ამასთან მამას მოვალედა ხდის, დედასთან დარჩენილ შვილების საზრდოდაც ხარჯი გასწიოსო და საპატრონებელი და შესანახი ღონისძიება აძლიოსო.

აი ჯერ-ხანად ის ცნობები, რაც ერთმა სატახტო ქალაქის გაზეთმა მოგვიტანა, ვითარც მის მიერ გაგონილი ამბავი. ჯერ არვინ იცის, როგორ გაივლის ეს კანონპროექტი თავისს ჯეროვანს გზას, რა დაემატება, რა გამოაკლდება, რა სახეს მიიღებს, ვიდრე ცხოვრებაში სამოქმედო კანონად შემოვა. იგი გაზეთი, საიდამაც ეს ამბავი ჩვენ ამოვწერეთ, ქებით და კმაყოფილებით იხსენიებს-რა ამ კანონპროექტს, ერთს წუნს სამართლიანადა სდებს, როგორც ჩვენა გვგონია, და ძალიან ჰკუას ახლოც არის. კანონპროექტი, როგორც ზემოთა ვთქვით, სავალდებულოდ ჰხდის, რომ ცოლიანი კაცი, თუ ნებართვა არ აიღო ცოლისაგან, ვერ იშვილებს სხვასთან უკანონოდ ნაყოლს თავისს შვილსაო. თუო, ამბობს იგი გაზეთი, ქმარმა გარეთ აიჩინა საყვარელი, აშკარაა ცოლმა ეს ამბავი საწყენად უნდა მიიჩნიოს, ან არა და უკმაყოფილო ცოლ-ქმრობა უნდა ჰქონდეთო, რომ ამისთანა წყენას არ მოერიდოს ქმარიო. და რა საფიქრებელია, რომ ან ერთს შემთხვევაში, ან მეორეში, წყენით გაწიწმატებულმა და გაბოროტებულმა ბევრმა წილმა ცოლმა ამისთანა ქმარს თავზე ხელი გადაუსვას, ბარაქალა უთხრას და გარეთ შობილი აშვილებინოს, რაკი მის ნებაზე იქნება ეს დამოკიდებული.

აშკარაა, აქ ცოლის ნებაყოფლობის აღება მეტისმეტი ბარგია და მერე იმისთანა ბარგი, რომლის სიმძიმის ქვეშ გაისრისება ყოველივე პატიოსანი გულთა-თქმა ადამიანისა, თუნდ პატიოსანი და გულწრფელი სურვილი დღე-და-ღამ ძალას ატანდეს შემცოდველს მამას საიმისოდ, რომ თავისი შვილი იშვილოს და მით ბუნებური და ზნეობური კანონი, მის მიერვე პირქვე დაცემული და გმობილი, აღადგინოს, თითონაც მოისვენოს სულითა და გულით სინიდისის ქენჯნისაგან და უცოდველს ბავშს თავისი ცოდვა საზღაურად არ გაუხადოს, ან დაბადებისვე უმალ, ან როცა ცხოვრების მოედანზე ფეხს გასდგამს.

ტ. VIII, გვ. 295—304. 1898 წ.

1 9 0 2 წ.

გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია

ჩემო მაინც კარგო თეკლევ!

შენი წიგნი მივიღე. მწერ და მემდურები, რომ ამოდენა ხანია მე ჩემი ამბავი არ მომიწვდია შენთვის, და მემუნათები, რომ თუ მე, შენი ჯვარდაწერილი ცოლი არ გაგონდები, ეს შენი ოჯახი მაინც რატომ არ მოიკითხეო.

მე რომ უწინდელებრ ძველის აზრების კაცი ვიყო, შენს საყვედურებს ჩემს თვალში დღესაკ ისეთივე დიდი ფასი ექნებოდა, რაც ჰქონდა, და ეხლა-კი, როცა მე ველირსე და დავეწაფე ახალ აზრების უკვდავების წყაროსა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ ლოცვითა და კურთხევითა, შენი საყვედურები უმიზეზო წუწუნი-ღა მგონია გუნებანაქცევ დედაკაცისა.

ოჯახი მაინც რატომ არ იკითხო!.. ვაი შენ, ჩემო თეკლევ, რამოდენა მანძილზე უკან ჩამორჩენილხარ ქვეყნიერობას, ანუ, უკეთ ვთქვათ, ახალთა-ახალს ხანას ადამიანის ცხოვრებისას. შენ, ჩემო კარგო, ცოცხლებში გასარევი აღარა ყოფილხარ... რა ოჯახი! რის ოჯახი! ეგ როდინდელ ანა-ბანას მიკითხავ! ეგ ძველის-ძველი ტიბიკონი, ეგ ძველთა-ძველი ძილისპირები შენთვის შეინახე, მე-კი ახალ მიმართულების კაცი ვარ და თავზე ლაფს ვერ დავისხამ მაგაების ხსენებით და მოკითხვითა.

ოჯახიო! ეს რომ ძველებსავით ბრიყვმა და გაუნათლებელმა სთქვას, კიდევ ჰო, შენ ხომ განათლებული ხარ, შენ ხომ მუდამ „კვალსა“ კითხულობ, რომ სხვა არა იყოს-რა, და როგორ არა გრცხვენიან,—მაგისთანა ძველ-ძულებს მისდევ და თავს არ ანებებ. რა ოჯახი!.. რის ოჯახი!.. შენ იქნება ეხლანდელი დრო ისევ ის ძველი დრო გგონია, როცა ოჯახების შენება, მოვლა და პატრონობა დიდი სახელი იყო ადამიანისათვის! ვაი სირცხვილო!..

მას აქეთ, რაც ჩვენმა სასიქადულო გომართელმა—ამ დიდის ჭკუის პატარა კოლოფმა,—თავისი წერილი დაბეჭდა „კვალში*)“, ოჯახის მოკითხვა და გახსენება რა პატიოსანის კაცის საკადრისია. რა სახსენებელია ეგ შენი ობმოკიდებული „მცნება“ ეგ შენი ოჯახი ეხლანდელ დროში, როცა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ წყალობით ახალი მცნი-

*) იხ. „კვალი“ № 2, გვ. 348, სვეტი 2, ბ-ნ გომართელის წერილი.

ერება, ახალი მიმართულება, ახალ-ახალი აზრები დუღან და გადმოდიან.

რას ამბობ, ადამიანო! ოჯახი მოსაკითხი კი არა ყოფილა, როგორც ხავსმოკიდებულ ძველებს ჰგონიათ, დასანგრევი და დასაქცევი თურმეა, როგორც ამას ჰღალადებს ჩვენის მწერლობის ახალ-ახალი ყარამან ყათილ სააპყირანი ბ-ნი გომართელი. გესმის,—გომართელი-მეთქი!.. მერე იცი რა კაცია ეს გომართელი? ეს ის კაცია, რომელმაც ერთის ლახტის მოქნევით მთლად შეჰმუსრა ფეოდალობა და ერთის კალმის მოსმით გააქრო ქვეყნიერობაზე ხსენება თავად-აზნაურობისა ასე, რომ ამის შერმეთ თვით არჩილ ჯორჯაძესაც-კი შიშით ენა, მუცელში ჩაუვარდა და ხელის-გულზე გაუგორდა გამარჯვებულს გომართელსა,—ოღონდ ძველებში ნუ ჩამწერთ და თქვენებრ დავიწყებ გალობასაო. აკი დაიწყო კიდეც, ჯერ, რასაკვირველია, წვრილის ხმით და იმედია, რომ ღვთით თანდათან მოუსხვილებს.

გეუბნები,—ოჯახი იმისთანა რამ ყოფილა, რომ დღეის ამას იქით ყოველი კაცი, ვისაც-კი გომართელის სიბრძნის სუნი მისდენია, ვინც-კი მისი ფილოსოფიით „აღფრთოვანებულა“, ყოველი იგი უნდა ჰცდილობდეს ოჯახი ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს და სამუდამოდ აღგავოს დედამიწის ზურგიდამ. მეც დღევანდელ დღეს იმის ცდაში ვარ, რომ მაგ წყეულს ოჯახს, მაგ დღევანდელ ბოროტს ბოლო როგორმე მოვუღო, იმიტომ რომ ახალ მიმართულების კაცი ვარ-მეთქი და არ მინდა სხვას უკან ჩამოვრჩე, რაკი გომართელს წერაქვი აუღია ხელში და ოჯახს მისდგომია დასანგრევად. მეც დღეს იმის ცდაში ვარ-მეთქი, რომ დღეის ამას იქით ოჯახის ხსენებაც-კი აღარ იყოს ქვეყნიერობაზედ და შენ-კი საყვედურსა მწერ,—რატომ ოჯახს მაინც არა კითხულობო. მოდი და სიცილით ნუ დაოსდები!

აბა მოთმინებით და დინჯად დამიგდე ყური და იმედი მაქვს, რომ შენც, როგორც „კვალის“ ფილოსოფიით ჩემებრ თვალ-ახილებული და ჭკუა-გაჩაღებული, არამც-თუ ჩემს სიტყვაზე მოხვალ, ინანებ კიდეც,—რატომ მე არ დავასწარ ჩემს ქმარსა, და მინამ ის მომწერდა, რატომ ჩემი თავი არ გავწირე და გომართელის ფილოსოფიას მტლად არ დავუდეო.

აქ თავის გაწირვა და მტლად დადება რა შუაშიაო, იკითხავ. ჲი ძაღლის კუდი სწორედ აქა მარხია, ჩემო კარგო! შენ ხომ ჩემი ჯვარწერილი ცოლი ხარ და ბე შენი ჯვარწერილივე ქმარი, მაგრამ დღეის იქით მშვიდობით: უნდა ერთმანეთს გავეყარნეთ, ერთმანეთს დავეთხოვოთ. ნუ გეშინიან: ეს შენის უსიყვარულობით არ მომდის, და თუნდაც უსიყვარულობით მომდიოდეს, დიდი ცოდვა არც ესა ყოფილა, რადგანაც, სხვისა არ ვიცი და, ბ-ნს გომართელს-კი „მწარედ ეცინება ხოლმე, როდესაც კითხულობს აღფრთოვანებულს პოეზიას ძმობაზე, ერთობაზე, სიყვარულ-

ზე (გესმის: სიყვარულზეც-კი!) და სხვა ამ-გვარს უშინაარსო მცნებებზე *)".

ხომ ჰხედავ,—სიყვარული თურმე უშინაარსო მცნება ყოფილა და ხსენება მისი პოეზიაში მწარედ აცინებს ხოლმე ბ-ნს გომართელსა. არ გებრალება, რომ სიცილიც-კი ბწარე ჰქონია! სიბრალული იქით იყოს, მე ეს მიკვირს და მაოცებს, ამ სიმწარესთან ასეთი ტკბილი ქართული საუბარი როგორ მოუხერხებია, როგორ სცოდნია. აბა ვის არ მოჰგვრის სიამოვნების და სიტკბოების ჟრუანტელს ეს „სიყვარულზე აღფრთოვანებული პოეზია", თუნდაც ძმობაზე ერთობაზე! ძველი ქართველი იტყოდა: აღფრთოვანებული პოეზია ძმობისა, ერთობისა, სიყვარულისა, მაგრამ სად ეს გაცვეთილი ლულლული ძველისა და სად ის მშვენიერი ახალი ჰიკჰიკი გომართელისა! წაწყმდეს ძველი და გაუმარჯოს ახალსა!..

თუმცა სიყვარულს ისე წახდენია ლილახანა, რომ მწარედ აცინებს ჩვენს უცინარს და უწუნარს გომართელსა, მაგრამ მაინც გარწმუნებ, რომ მე შენის უსიყვარულობით არ მომდის, როცა გწერ—უნდა ერთმანეთს გავეყარნეთ-მეთქი. არა, აქ სხვა უდიდესი და უმძიმესი მიზეზი ჰლაღადებს. ყური დამიგდე.

დავიწყოთ იქიდამ, რომ ჯერ ყოველთ უწინარეს გამოვარკვიოთ,—რა არის ოჯახი და რის მომავლინებელია? იგია თურმე მიზეზი ქვეყნის უბედურებისა, იგი რაღაც ეშმაკისა და ქაჯის თესლი თურმეა. მე რომ ყოველივე ჩისი ბოროტი გითხრა, არ დამიჯერებ. ისევ სჯობია ჩვენს ბრძენთა-ბრძენს გომართელს ვათქმევინოთ. სხვა არ იყოს რა, ჭკვასაც გვასწავლის და ყურსაც დაგვიტკბობს მშვენიერის ქართულითა. ეს ახლათ-ახალი ფილოსოფოსი ბრძანებს, რომ თანამედროვე ოჯახი ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილიაო. „ეს აზრი სრულ (გესმის: სრულ!) ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოო"... ყოველივე დაწესებულება, რომელიც წინ ეღობება ადამიანის ძალ-ღონეს და არ უშვებს საზოგადოებრივი (ვიშ, ვიშ ამ ქართულს) იდეალებისაკენ, დღეს დრო-გადასულ (გესმის: დრო გადასულსო!..) და მავნე დაწესებულებად უნდა ჩაითვალოსო. ასეთს დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიცაო **)".

ხომ ჰხედავ: ოჯახი თურმე ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილი ყოფილა, ესე იგი პროგრესის შემხუთავი, პროგრესის დამაბრკოლებელი, გესმის: პროგრესისა!.. იცი-კი,—რა არის პროგრესი? არც მე ვიცი, მაგრამ რადგანაც ჩვენს სასიქადულო „კვალს" და მის არა-ნაკლებ სასიქადულო გომართელს სულ ეს პროგრესი აკერიათ ენაზე თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ებღაუჭებიან, ეს პროგრესი სწორად კარგი რამ უნდა იყოს, უსათუოდ ქვეყნის საბედნიეროდ გაჩენილი.

---

*) იხ. „კვალი" № 2, გვ. 348, სვეტი 2, ბ-ნ გომართელის წერილი.

**) იხ. „კვალი" № 2, გვ. 348.

მაშ გახსოვდეს, რომ ოჯახი ადამიანის პროგრესის ბორკილია. ეს ბორკილი ხომ ბორკილია, გარდა ამისა, ოჯახს სხვა ჭირიც სჭირებია: ადამიანის ძალღონეს თურმე წინ გადაღობებია და არ უშვებს საზოგადოებრივ იდეალებისაკენ, ერთის სიტყვით, კაცობრიობის საზოგადოებრივი წინსვლა შეუყენებია, და, მაშასადამე, ისევ ის კაცობრიობის პროგრესი შეუკრავს და შეუბოჭავს. ჰხედავ: ამ წყეულ ოჯახის ცოდვები სადა სცემს! ხოლო მაგაებს ვიღა სჩივის? ოჯახს რომ მარტო ეგ ავები და ბოროტებანი სჭირებოდა და სხვა არა-რა, წავიდოდით, დავუჩოქებდით და ყოვლად-მოწყალე გომართელი როგორმე აპატიებდა. საქმე ის არის, რომ ყოველ ამასთან ერთი იმისთანა ჭირიც სხვა სჭირებია, რომ მარტო ესეც საკმარისია, კაცმა სამუდამოდ გააქროს ოჯახის სახსენებელი ქვეყანაზე. თურმე ნუ იტყვი,—დრო-გადასული და, მაშასადამე, ძველი რაღაც რამ ყოფილა. გესმის: დრო-გადასული და ძველი-მეთქი!.. და ეხლანდელს დროში დრო-გადასულის და ძველის ქომაგობა და კეთილად ხსენება ხომ საციმბირო საქმეა, „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტ-ფილოსოფოსებს რომ ჰკითხო.

აი რა გველი და მორიელი ყოფილა ეგ შენი ოჯახი, აი რა ბალღამი და შხამი სდგმია ტანში მაგ შენ მოწონებულ ოჯახსა! ეხლა შენც, მგონი, ჩემს ჭკუაზე მოხვალ და ჩემთან ერთად იტყვი, რომ ოჯახი მოსაკითხი კი არა, მართლა დასაქცევ-დასანგრევი ყოფილა დედა-ბუდიანად, რათა ამას იქით „ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა“ ბორკილი გამოეყაროს ფეხებიდამ და „ადამიანის ძალღონე საზოგადოებრივი იდეალებისაკენ“ სასრბოლად გაშვებულ იქნას. რა თქმა უნდა, ბ-ნ გომართელის ბრძანების შემდეგ მთელი კაცობრიობა წერაქვებს ხელში აიღებს და მოჰყვება ოჯახების ქცევა-ნგრევას და ჩვენც ჩვენსას უნდა ვეცადნეთ, რომ ამ საქებ-სადიდებელ საქმეში სხვას უკან არ ჩამოვრჩეთ, თორემ ძველებში გაგვრევენ და სირცხვილით კარში ველარ გამოვალთ. ჩვენში-კი დარჩეს და რა ვქნა, ეს ოჯახის ნგრევა-ქცევა ახალი ამბავი, მგონი, არ უნდა იყოს აქ, ჩვენს საქართველოში მაინც. ჩვენ, ქართველები, ათადამ-ბაბადამ სულ ამ ოჯახების ქცევა-ნგრევაში არა ვართ განა! მაშ რომ ოჯახი მავნე და პროგრესის ბორკილი ყოფილა, ჩვენ ძველის-ძველადვე გვ ეკოდნია, თუ არა და საიდამ გაჩნდა ჩვენში ოჯახების ხელაღებით ქცევა-ნგრევა? გომართელი რომ ამ ათასის წლის წინათ გაჩენილიყო თავისის ფილოსოფიით, ვიტყოდი,—ეს ამბავი იმის ბრალია, იმისი ღვაწლის შედეგია-მეთქი. ჩვენდა საბედნიეროდ და ჩვენის საუკუნის სასახელოდ გომართელი ჩვენს დროშია გაჩენილი და მაშ საიდამ მიხვედრილა ძველის-ძველი ქართველი, რომ ოჯახი შესარჩენი არ არის, რომ ოჯახს ქცევა-ნგრევა უნდა და არა შენება და მაგრება. ნუთუ ძველებსაც სცოდნიათ, რომ ოჯახი ჩაჰბღუჯებია კალთაში ადამიანის ძალ-ღონეს და არ უშვებს „საზოგადოებრივი იდეალებისაკენ!“

აი საკითხი, რომელიც მე ჩემის ჭკუით ვერ გამოვარკვიე და ღმერთმა უშველოს არჩილ ჯორჯაძეს, იმან მიხსნა ბოროტისაგან. ხომ იცი, ვინ

გრძანდება ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს ის ახალი კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს. ამიტომაც ამისთანაებში ასე ბრძნულად იტყვის ხოლმე: ძველები, მართალია, მიხვდნენ, მაგრამ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს; გულღვიძლი კარგად ვერ გაუჩხრიკესო; მიხვედრა ძველებისაა, გამოჩხრეკა-კი ახლებისაო. აი გომართელის ღვაწლი თურმე სად არის! ოჯახის ქცევა-ნგრევა, მართალია, ძველი ამბავი ყოფილა ჩვენში, ხოლო ფილოსოფიური საბუთი-კი გომართელს დღეს აღმოუჩენია. მე-კი,—ღმერთო შეგცოდე — პირველ ხანში გომართელს შევწამე,—ეს ოჯახის ავად ხსენება და გაპენტვა ძველებს ხომ არ მოჰპარა-მეთქი, და დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, ამ ცოდვისაგან მიხსნა ,,ცნობის ფურცლის'' პუბლიცისტმა.

ახლა იქნება იკითხო: თუ ათადამ-ბაბადამ ჩვენ ქართველები, ჩვენის ოჯახების ქცევა-ნგრევაში ვართ, ნუთუ აქამომდე ვერ დავაქცივ-დავანგრიეთ? საკვირველიც ეს არის, რომ ვერ დავაქცივ-დავანგრიეთ: აი კიდევ სადა მარხია ძაღლის კუდი! აქ უნდა კვლავ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფია მივაშველოთ გომართელის ფილოსოფიას, თორემ გზა-კვალს ვეღარ გავიგნებთ. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიით—ძველებმა ხომ მარტო ალღოს აღება იცოდნენ და საქმის კეთება-კი ახლების უნარია. საქმე ის არის, რომ ძველებს არა სცოდნიათ საიდამ მისდგომოდნენ ოჯახს, რომ სამუდამოდ დაექციათ, თუმც ალღო-კი აღებული ჰქონიათ. შენც ხომ იცი და თუ არ იცი, ეხლა მაინც შეიტყე, რომ თუ რისამე დანგრევა-დაქცევა გინდა და ერთბაშად დაფუშვა, სიძირკველი უნდა მოუნახო და მთლად გამოუთხარო. ოჯახი რომ გამოშიგნო, გულ-ღვიძლი რომ გაუჩხრიკო, ჰნახავ, რომ საძირეველი მისი ცოლ-ქმრობაა, ასე რომ საცა ცოლქმრობა არა ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლ-ქმრობაზე არის აშენებული ოჯახი. აქედამ განაჯამკარა არ არის, რომ ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოგდება არ შეიძლება, თუ აწ არსებული ცოლ-ქმრობა არ შეიმუსრა, არ დაირღვა, არ გაუქმდა.

ვინ უნდა მისცეს ამ სახელოვანის საქმის მაგალითი ადამიანსა? რასაკვირველია, იმან, ვისაც არ უნდა ძველის აზრების სამარცხვინო ჩაჩი დაიხუროს თავზე და ახალ მიმართულების კაცთაგან გამოირიცხოს თავი. აი, კიდევ ძაღლის კუდი სადა მარხია, ჩვენდა საუბედუროდ. ჩვენდა საუბედუროდ-მეთქი! მაგრამ ჩვენი საკუთარი უბედურება იქ რა სახსენებელია, საცა ახალი ჰღალადებს და გვიწვევს თავი გავიწიროთ და გომართელის ფილოსოფიას გზა გავუხსნათ ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილის" დასამსხვრევად.

ხომ ჰხედავთ,—რა ჭირსა და ვაგლახში ჩავვარდი მე, შენი ჯვარდაწერილი ქმარი. რომელი უნდა ვირჩიო: გომართელის ფილოსოფია, რომელიც „ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა" ბორკილს ამსხვრევს, თუ ცოლ-ქმრობა, რომელიც ამ ბორკილს სჭედავს თურმე? ამ სახით, ან ახალ მიმართულების კაცის სახელი უნდა ვგმო და დავკარგო და ოჯახი ვაშენო

და ვინახო, ან სახელის ღირსი უნდა გავხდე და მაგ წყეულ ოჯახის დასაქცევად ცოლიც გავწირო, შვილიც და ის ჩემი საკუთარი ბედნიერებაც, რომელიც მე ჩემსა და შენს ცოლ-ქმრობაში მოვიპოვე.

აქ დიდი ლარი და ხაზი არ უნდა იმის გამოსაცნობლად, თუ რომელი ამოვირჩიე. ვინც იცის, რომ ჩემი განმანათლებელი მარტო „კვალი“ ყოფილა, არის და იქნება, მინამ პირში სული მიდგა, ის ვერ იფიქრებს, რომ მე მრუდე გზას დავადგებოდი, ახალს მიმართულებას ვგმობდი და ვუღალატებდი. იმიტომ, რომ დღეს ისეთი დღეა, ოღონდ ახალი კი იყოს, და რაც გინდ იყოს. კაცი ხარ და ქუდი გხურავს და ამაზე მეტი ახალი ღა იქნება, რომ ოჯახის დასაქცევად ცოლს გაეყარო მარტო იმისთვის, რომ ამას ითხოვს ფილოსოფია ახლად-მოვლენილ გომართელისა.

მაშ მშვიდობით, ჩემო კარგო! დღეის ამას იქით შენ შენთვის, მე ჩემთვის. ხომ ჰხედავ: ჩვენის უვიცობით რა ცოდვაში ვმდგარვართ, რა მძიმე დანაშაული ჩაგვიდენია ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე. ვაი ჩვენ!.. ჩვენით თურმე არსებულა იგი რკინის ბორკილი ადამიანის პროგრესისა, რომელსაც ოჯახი ჰქვიან და რომელიც ასეთს დიდს პატივში თურმე ჰყავთ დღესაც ზოგიერთს ძველებს თავისდა სამარცხვინოდ და ქვეყნის საუბედუროდ. ჩვენ დღეის ამას იქით ერთად ვეღარ გვეცხოვრება. მშვიდობით, ჩემო კარგო, მშვიდობით, სამუდამოდ. მე-კი გული მტკივა, გული მეთანაღრება, „ვსტირ და ვღრიალებ“, რომ გემშვიდობები გომართელის ფილოსოფიის მიზეზით? ჩვენში-კი დარჩეს და, სწორედ გითხრა, ერთის გულით თითქო ვწყევლი კიდეც, ღმერთო შემინდე, გომართელსა, რომ თვალი ამიხილა და მით შენი თავი დამაკარგვინა. მაგრამ ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რამდენი სხვა უჩემო ცოლი და ქმარი ლოცვა-კურთხევას შეუთვლის გომართელსა.

ბევრი ცოლი და ქმარია, რომ ერთმანეთი ჰირივით ეჯავრებათ, უნდათ და ვერ გაჰყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელი გასაბედია; სირცხვილის შიშისა გამო, კაცი როგორღაც უფრთხის და ცოლ-ქმრობას შეჩვეულ ჰირსავით ითმენს. ეხლა-კი ბ-ნ გომართელის წყალობით ცოლ-ქმრობის დარღვევა არამც-თუ სათაკილო საქმეა, არამედ ქვეყნისათვის დადებული ღვაწლია, სასახელო და საქებ-სადიდებელი, და ჰნახე ამას იქით, რამდენი ცოლ-ქმრობა შეიმუსრება, რამდენი ოჯახი დაიქცევა სამუდამოდ. მაშ წაწყმდეს ძველი და იხაროს ახალმა! გაუმარჯოს გომართელსა! გაუმარჯოს „კვალსა“,—ამ ჩვენის დროის „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნსა!

რა წამსაც წავიკითხე და შევითვისე, როგორც რიგია, ოჯახის ფილოსოფია გომართელისა, მაშინვე შუბლზე თითი მივიკარ და ვთქვი დიდის გულისხმითა ჩემითა: ჰა!.. აი ქვეყანას როდის გაეხსნება-მეთქი გზა „საზოგადოებრივი იდეალებისაკენ“, აი, როდის წააცლო კუდში ხელი ქვეყნის ბოროტს ჩვენმა გომართელმა-მეთქი. მაშინვე დავჯეგ და მინდოდა

შემეწერა შენთვის, რომ უნდა ერთმანეთს გავეყარნეთ ქვეყნის სიკეთის გულისათვის, მაგრამ ერთმა გარემოებამ დამაბრკოლა: მომაგონდა რომ შენი მზითვის ფული ჩემს სახელობაზეა ბანკში მიბარებული და ვაი თუ მომთხოვოს, და მივცე, თუ არა-მეთქი. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ამ გარემოებას ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. აღარც ვაცივე, აღარც ვაცხელე და ავდექ და გომართელთან გავიქეც დარიგებისათვის. გომართელი ტფილისიდან სადღაც წასულა და დავრჩი სახტად. ბოლოს ვიფიქრე: არჩილ ჯორჯაძეც ქადულობს ახალს მიმართულებას, მოდი და იმას დავეკითხები-მეთქი. ვთქვი და წაველ კიდეც. რაკი ვუამბე ჩემი ჭირი და ვარამი, იმან აიღო და 10-ს იანვრის „ცნობის ფურცელი“ მომაჩეჩა ხელში და მითხრა: შენის დარდის პასუხი აქა სწერია და წაიკითხეო. მე პასუხად მოვახსენე, რომ ჩვენ გაფიცულნი ვართ, „კვალის“ მეტს სხვას არას ვკითხულობთ-მეთქი. შენი ნებააო, მითხრა, ეს-კი იცოდეო,—შენის ჭირისა და ვარამის პასუხი აქ არის და სხვაგან ვერსად იპოვნი, სანთლითაც რომ ეძებოო. ვთქვი, უსათუოდ გასაღება უნდა „ცნობის ფურცლისა“ და ამიტომ მაჩეჩებს ხელში-მეთქი. მეტი გზა არ იყო, ვიყიდე ის ნომერი და შინ წამოვიღე.

წავიკითხე და სიხარულით ფეხზე ვეღარ დავდეგ. აი, ღმერთმა აცოცხლოს არჩილ ჯორჯაძე, მისი ახალი მიმართულება, მისი ახალი მეცნიერება, და მისი ახალი ფსიხოლოგია. ვერ წარმოიდგენ, ქვეყანას რა დოვრანი დასცემია, რა იღბალი ჰქონია და დღეს-აქამომდე-კი არა სცოდნია. აქამდე მუშაობით წელს ვიწყვეტავდი, დღესა და ღამეს ვასწორებდი, მეგონა, რომ ერთად-ერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა, მეგონა, რომ კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს,—პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს, და თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ეს სულ ძველების ფლასტი-ფლუსტია, ძველების ლათაიებია თურმე. საქმე-კი იმაშია, რომ ვინც თავისას არა სჯერდება, ვისაც თავისი საკმარისი არა აქვს, ის სხვას შეჰყურებს თურმე, ის თურმე სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ შეივსოს თავისი დანაკლისი. აი თურმე ახალი ფსიხოლოგია ადამიანისა რას ჰლაღადებს!.. ეს მე რომ მეთქვა, არ დამიჯერებდი. ამას არჩილ ჯორჯაძე ამბობს, ის არჩილ ჯორჯაძე, რომელიც თავისს ქადილისამებრ ადამიანის გულში კარგად ჩახედულია. ეს ახლად-გამომცხვარი ფსიხოლოგი გვიქადაგებს, რომ, კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით (?) სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვას შეჰყურებსო და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ (ფრჩხილები ავტორისაა) შეივსოს თავისი დანაკლისი“ (იხილე „ცნობის ფურცელი“ 10-ს იანვრისა, წერილი არჩილ ჯორჯაძისა).

იქნება იკითხო,—„თავისით სჯერდება“ სადაური ქართულიაო? გარუსებული ქართული გახლავს. მართალია, ძველი ქართველი იმ შემთხვევაში იტყოდა,—„სჯერდება რას?—თავისას“ და არა თავისით, მაგრამ „კვალსა“

და თვით ბ-ნ გომართელს არა-ერთხელ კვერი დაუკრავს და ბეჭედი დაუსვამს, რომ ჩვენ, ქართველები „ვგაევროპიელდით“ და რათ გიკვირს, რომ არჩილ ჯორჯაძემ ქართული გააარუსულა და ამით გააევროპიელა, სურვილისა და ნატვრისამებრ „კვალისა“ და გომართელისა. თუნდ ეგეც არ იყოს, სიტყვას რას დასდევ!.. შენ აზრი გაუსინჯე, აზრი, და სიტყვას თუნდ ჯანაბამდე გზა ჰქონია.

ხომ ჰხედავ: ვინც იმას არა სჯერდება, იმას არა ჰკმარობს, რაცა აქვს, ის სულ იმის ფიქრსა და ცდაშია თურმე, რომ „სხვისით“ შეივსოს დანაკლისი. არა მგონია ქვეყანაზე ბევრი იყოს იმისთანა კაცი, რომ იმას სჯერდებოდეს, იმას ჰკმარობდეს, რაცა აქვს. შორს წასვლა რად გვინდა, თითონ როტშილდი, თვით ამერიკის მილიონერები, ყელთამდე ოქრო-ვერცხლით ავსილები, არა სჯერდებიან იმას, რაცა აქვთ და დღე-და-ღამ იბრძვიან და იღვწიან მეტი შეიძინონ. აქედგან განა აშკარა არ არის, რომ თუ ათასში ერთი არა, დიდად დიდი ნაწილი კაცობრიობისა მაინც არა ჰკმარობს იმას, რაცა აქვს, სჩანს,—დიდი ნაწილი კაცობრიობისა სულ იმის ფიქრსა და ცდაში ყოფილა, რომ „სხვისით“ შეივსოს დანაკლისი. რაკი ასეა, მე, შენი უმორჩილესი მონა, რაღა წითელი კოჭი ვბრძანებულვარ და მე-ღა რატომ არ უნდა ვიყო სულ იმის ფიქრსა და ცდაში, რომ „სხვისით“ იოლად წავიდე. განა ცოტა რამ მაკლია!..

მართალია, პირველ ხანში დიდ საგონებელში ჩავვარდი: ყველა კარგი და ეს „სხვისით“ შევსება დანაკლისისა როგორ უნდა მოხდეს უიმისოდ, რომ ციმბირს იქით არ უკრან კაცს თავი მეთქი, რადგანაც „სხვისით“ შევსება დანაკლისისა შესაძლებელია მარტო მაშინ, როცა კაცი ან მოიპარავს ან გასძარცვავს ან მოიტაცებს. სხვაფრივ „სხვისით“ შევსება დანაკლისისა წარმოუდგენელია, იმიტომ რომ „სხვისი“ სხვისაა და პატრონი თავისის ნებით არ დაგანებებს. ამას სხვისთვის ვამბობ, თორემ მე, რაკი შენი მზითევი ჩემს ხელთ არის, არც მოპარვა მომინდება, არც გაძარცვა, არც მოტაცება და აი არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია რით არის უფრო საამური ჩემთვის.

აბა ეს ახლად-ახლადი ფსიხოლოგია არჩილ ჯორჯაძისა წინ წაიმძღვარე და სწორედ მითხარ: განა ადამიანის სულის მოძრაობას, ადამიანის სულიერ ბუნებას ვღალატობ, რომ, როცა ჩემსას არა ვჯერდები და ჩემსას არა ვკმარობ, სულ იმის ფიქრსა და ცდაში ვარ,—შენის მზითევით შევივსო ჩემი დანაკლისი? ყოველი ადამიანი თურმე ასე იქცევა, რაკი თავისას არა სჯერდება და თავისას არა ჰკმარობს. სჩანს, ბუნება ადამიანისა ასეთია, თორემ არჩილ ჯორჯაძე იმას არ იტყოდა, რაცა სთქვა... და მეც ხომ ადამიანი ვარ და არა-რა ადამიანური არ უნდა მეუცხოებოდეს: ღმერთი, რჯული, მეც, ბევრს სხვასავით, არა ვჯერდები და არა ვკმარობ იმას, რაცა მაქვს. მაშ ღვთით და არჩილ ჯორჯაძის წყალობით ნურას უკაცრაოდ, რომ არც ვაცხელო, არც ვაცივო და ჩემის დანაკლისის შესავსებლად ვსთქვა, აფუ მე-მეთქი და შენი მზითევი შევიტყაპუნო. თუ მე

ამაში გამამტყუნოს ვინმემ არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიის შემდეგ, ჩემი კისერი და შენი ხმალი.

ეხლა სწორედ გითხრა, არ ვიცი,—რომელი უფრო დიდი მეცნიერია და რომელი უფრო წინ მირბის „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ"—ბ-ნი გომართელი, თუ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს-კი ვიცი, რომ ეს მეოცე საუკუნე ჩვენ, ქართველებს, კარგს ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებადა: ხუმრობაა, ორი ამისთანა კაცი მოგვევლინა, როგორც ფილოსოფოსი გომართელი და ფსიხოლოგოსი—ჯორჯაძე.

ახალ-მოსული*)

1902 წ.

ტ. IX, გვ. 247—260

---

*) დადასტურებულია, რომ ფსევდონიმი „ახალ-მოსული"—ილიასია; რედ.

დამატება

ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა და განათლებული აღამიანის ამოცანები

...ოთხი წელიწადი იყო რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს,—ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჰაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავ იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

III

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვა-რივად დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში ქვებზე ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამა-პაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე—ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლიუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა. სიტყვამ რევოლიუცია არ შეგაშინოს მკითხველო! რევოლიუცია დაწუნარების სათავეა. ესეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე.

ამ ყოფაში ვიყავ. და უეცრად ერთმა ფიქრმა თავიდან ფეხებამდინ ელვასავით გამირბინა. პირველს ფიქრს მოჰყვა მეორე, მეორეს—მესამე, და ბოლოს

ყველანი ერთ რთულ და ზედმიწევნილ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავისი დარდი, წუხილი, მხიარულება იმედი თუ უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით დავრდომილს აღდგომის იმედი მოვფინო, უნუგეშოს ნუგეშინი ვცე, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთად შევიგროვო? შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა,—გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზე ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქ?—ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

— მართლა და რა უნდა ვქნა?—ვკითხე ჩემს თავს ხმამაღლივ...

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა“.

ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი, აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად, ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთად-ერთი ვარსკვლავი,

ნეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს,—ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელ-აღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირს საცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია-როგორც უკვდავება და ჩუმია როგორც გონცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მაწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰხუჭხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ. თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...

V

ჩამოღამდა. თერგის და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე—მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალ-წინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედღა ეღირებოდა?.. მიყვ რს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაჟინებით ყურ-აცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ ხელაღებულის დენის ხმილ-სა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამია-ნის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თით-ქოს შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგი-ძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დ ღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჩმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარეშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით ნათე-ლი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ და-არსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადა-მიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია,—და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩვევია, აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მე-ჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტე-ბული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარ-დის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძა-ხიან და რომელიც ადამიანის დამჯრთხალს გონებასა უბედურობას ბეჯ-ნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღერძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ მენ!..

VI

... გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დი-ლას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც, ჰბღავის და იბრძვის. სჩანს ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა, დღემ დაიწყო თა-ვისი დაუდეგარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ

უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულაღტკინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვინახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები.

გავედი სტანციის გარეთ და ერთს მოხუცს შევხვდი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თითონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ ვინანე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხუცი ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭაღარა მორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ-მადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარეშეჰო ბედს შემოეხაზა და რომელიც იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფანწმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს: იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავისს სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიყებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხუცი სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხუცს ჩამოეფხატა პანჯვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმღვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონ ბოდათ—ამისთანა ქეიფში ვინმე კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

— რა გქვიან, ძმობილო?—ვკითხე მე.

— . . . . ლელთ ღუნიას მიხმობენ, მომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადავე ? გაიბოტნიდამ, აქაიც მთაჩია, თერგკიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

— ოვსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

— ჰმ! —ჩაიცინა მოხუცმა.

— რას იცინი?

— საცინალს ვიცინი. ცარიალ სტვამაჭი მაგნით ვერ გაძლებისს.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

— რაიდ არ ეცოდინებისს ადგილ არაა გონჯაი, პატარ გვაქვნ: თვითეაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა აქ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

— ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

— რაი ბედენაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევარ გასატან-გასასყიდ აქვნ.

— მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

— რაიდ არ დავდივართ? დავდივართ.

— მაშ ქირით ფულს იშოვნით.

— ვშაულაბთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახვევე სვამეხის კერძია. ჭამადი სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის.

— მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

— ვინ უწყის? იქაითაც საჭირ-ბოროტოია დარჩენა. ადგილ ჰჩაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯან-მრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით მაძღრობა, აქაით სიმრთელე.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

— ორივენ ერთადა. ჟერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

— ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯან-მრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

— საჭირ-ბოროტოია შეკაზმულ ცხენ,—წამოიძახა ღიმით მოხევემ,—დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდიდი და გადაჯდიდი.

მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

VII

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს,—ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია,—აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია?

— თერგ-გაღმა?

— დიაღ.

— გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმინდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

— ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.

— საბჭო რაღა არის?

— საბჭოი? აქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

— ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

— რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი, პეტრობით სახელ-დებულნი, დასხმინ

ჭათ იმ სენაკში საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ღთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ ვადავლიან.

— შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

— რაიდ შევესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახავნ.

— ეხლა რატომ აღარ ჯრის ეგა?

— აწინა?..

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ ჯითონ მკითხა მე:

— შენ რაი მილეთის ხარნ?

— ქართველი ვარ, განა ვერ შეჰატყე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალავარ არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

— განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

— თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

— ტანისამოსს ქართვლისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავრის იერი სრულად სხვაია, რუსულში ქართველ კაც მეუცხოების.

— ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

— თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

— იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

— წელანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი,—დავიწყე კვლავ მე:—მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

— აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მაჰსცის საშვილი-შვილად. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავდებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ღთის მათხავნილ მადლითი ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.

— მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავულაგმნდით, ღთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთ-ურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნას, ხარბობაი, ანგარი გვერივნის ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარეაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ-განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ. კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, ბოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამადსმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭიაჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლშვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

— აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროსს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვმაობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ-იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყებოდის. აგერნა თერგ-კიდურზედ ხელთ-უქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

— როგორ ხელთ-უქმნი?

— ღთით არც ციხედა, არ შეუვალ, არ შეულეწ.

— მერე რა უნდა გეთქვა?

— იქაიდ ადრიდა კახთ-ლაშქარ მისევოდის. ელაშქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატონთან შველაი ეზრახნა. მან შველა ვერ მასცის. შაწუხდის უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მახოცნეს, მავიდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფილა პეიტარ-ბერ-

კაცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხოვარ, მზედ უნახველ. მან, მახევემ, გაისაუნა კახთ-ლაშქრის დათრობად. მაზიდნა ღვინოი, შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედ-უნახველს, მაღვინობა შეუთქვნა, უანდერძნა. კახთა ღვინოის მწყურვალთა, ლამაზ ქალაის მზირალთა, თავი იღორნეს, სრულ იღვრნენ ღვინოით. ქალაიმ განახვნის ციხის კარნი, მახევეთ ამცნის მოღორნა კახთ-ლაშქრის, მოვეს მახევენი, შავეს უგებრად ციხეჩი, დასცის კოჭინა, კახნი სულ მთვრალნი მახოცნის. ხელთ იგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს. მან მასცა წყალობად იქ ქალაის ნამას იგ ციხე, გუჯარიც მასცა...

— ეგ რა ვაჟკაცობა ყოფილა?

— რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟკაცობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ჰღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის.

— მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვა?

— აწინა ყაველნი ქართველნ ძმანები გარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა,რომ ადრიდა სამსახურს თავვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ-იყვის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალად არ წარხდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთ-ურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის“.

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება. შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიშახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“—სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

1861 წ.

(„მგზავრის წერილებიდან“)

I. ძველი საოჯახო და სასკოლო აღზრდა*)

ამ ყოვლისფრით ბედნიერ ცოლ-ქმარსა თავდაპირველ ჯვარისწერის შემდეგ სდევდა უკან ერთი უბედურება, შვილი არა რჩებოდათ ხოლმე. ხან რას მიაწერეს და ხან რასა უშვილობის მიზები, ბოლოს გადაწყვიტეს, რო მკითხავისთვის ეკითხათ. ჰკითხეს მკითხავსა და მკითხავმა უთხრა, რო „თელეთში უნდა წახვიდეთ სალოცავადო, ხატია თქვენზე გამწყრალიო“. დაუჯერეს მკითხავსა, შაბმევინეს ურემი, გადააფარეს შიგა-და-შიგ ამოგლეჯილი ფარდაგები და გასწიეს სალოცავად; მაგრამ ქალაქში კი არც გავლით და არც ჩამოვლით არ შეუვლიათ, იმისთვის, რო ქეთევანს **) გაეგო, რო ვინც პირველად ქალაქში შედიოდა, სამი კენჭი უნდა ჩაეყლაპა, თორე ქალაქი ცუდად დასცდიდა; ქეთევანს კენჭების ჩაყლაპა არ ეჭაშნიკებოდა. ვერც თელეთმა უშველა; ჰკითხეს მეორე მკითხავს მიზეზი უშვილობისა, ამან სწორედ უთხრა, რო თავლის უკან რო ორმო არი, იქ ჯადო დევსო, ჯადო რო ამოიღოთ, შვილები შეგრჩებათო. დაბრუნდნენ შინ, ბევრი ათხრევინეს თავლის უკან, მაგრამ ორმო ვერსად ვერ იპოვეს: ბოლოს ნახეს ერთი რაღაც ნათხარი, ამოყარეს ნაგავი და რასაკვირველია იმ ნაგავში ბევრი რაღაც მჩვრები იპოვეს. როცა ბიჭებმა მოუტანეს ბატონებს მჩვრები, ორივემ ერთად შეჰყვირეს: „ეგ არის, სწორეთ ეგ არის!.. დაწვით და ფერფლი წყალში ჩაყარეთ!“ უნდა გენახათ რა განცვიფრებით იგონებდნენ მკითხავსა!..

— საიდამ იცოდა იმ კუდიანმა, რომ ჩვენ ორმო გვაქვს? — ეტყოდა ცოლს გაკვირვებული ქმარი. — აი დასწყევლოს სამმა და სამმა წმინდა სალოცავმა!.. — და გადიწერდა პირჯვარს.

— წყალი რომ ედგა წინ, იმაში დაინახა!.. — მიუგებდა ქეთევანი, თითქო იცის რამეო.

— თუ ღმერთი გწამს!.. აი დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა!.. — გადიწერდა კიდევ პირჯვარს, — მართლა წყალში დაინახა!.. — დაუმატებდა გაოცებული ლუარსაბი.

---

*) ცნობილია, რომ ილიას თავის მოთხრობები: „კაცია — ადამიანი!?“, „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“ ერთ ნაწარმოებად ქონდა განზრახული. ამ განზრახული, ერთიანი ნაწარმოებიდან დარჩენილია ორი ნაწყვეტი, ერთია ძალიან პატარა ეტიუდი „კოლა“, ორი ვარიანტით, ხოლო მეორე — უფრო ვრცელი ნარკვევი, — „კაკო“. წინამდებარე ადგილი მოგვყავს „კაკოდან“. რედ.

**) „კაცია-ადამიანში?“ დარეჯანად ცნობილი. რედ.

— მეც დავინახე, თორე იმან რო დაინახა რა საკვირველია, — იტყუვა ქეთევანმა.

— შენც დაინახე?.. აი რაღაც რგოლებსავით რო გაკეთდებოდა ხოლმე, როცა ხორბლის მარცვალს ჩააგდებდა ჯამში, ის ხო არ იყო? — ჰკითხავდა გახარებული ქმარი მისგან, რო ეგონა ამასაც ერგებოდა რამე გამოცანისათვის.

— ჰო, სწორედ ის იყო, ვერ დაინახე? — კიდევ იტყუებდა ქეთევანი.

— როგორ არა, როგორ არა! დავინახე, მეც დავინახე! — მიუგო უფრო და უფრო თავის ჰკვისაგან აღტაცებაში მოსულმა ქმარმა. მერე მოჰყვნენ ვის რა გაეგო მკითხავებზედ, ყველაფერი თქვეს, რასაკვირველია პტყელ-პტყელ ტყუილებითა.

რა გავაგრძელოთ, ვერც ამ ჯადოს დაწვამ უშველათ; ბოლოს გატყეპა ერთი ბრმა ბედი და მოეცათ ვაჟიშვილი. დიდი სიხარული, დიდი ამბები შეიმჭნა ლუარსაბის სახლში!.. აქ ძეობაო, იქ ნათლობაო, წირვები და პარაკლისები და სხვანი და სხვანი!.. ახალ ნაშობ დედის-ერთა შვილს დაარქვეს ნიკოლოზ, რადგანაც პაპის სახელით ერთიც ვერ შერჩათ შვილი. წავიდა რამოდენიმე წელი და კოლა (ეგრე მოდისამებრ ეძახდნენ ნიკოს მაგიერ შვილსა) შეიქმნა ათის წლისა. მაშინ მამამ შემოიყვანა სახლში ერთი ობოლი ბიჭი თავის კაცისა შვილის კომპანიონად; ამ პატარა ობოლს ბიჭს ერქვა კაკო, რომელიც იყო თერთმეტის თუ თორმეტი წლისა მაშინ. კოლა თერთმეტისაც შესრულდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ არსად არა სწავლობდა, რადგანაც დედ-მამამ შემდეგ ღრმა განსჯისა სრულად გადასწყვიტეს, რომ კოლასთვის ჯერ ადრეა სწავლა.

— სწავლას ყოველთვის მოესწრობაო, იტყოდა ხოლმე ღრმა ჰკვის პატრონი ლუარსაბ თათქარიძე, — ჯერ პატარაა, გული დაეჩაგრება!... — ხან დაუმატებდა: — მამის-ერთა შვილია! ძლივს შემრჩა ღვთის მადლით! სწავლა დააჭლექებს, მერე რაღა ვქნა! — იტყოდა ხოლმე შეშინებული მამა. ხან როცა ლამაზად გაძღებოდა და გადაგორდებოდა სუფრიდამ ტახტზედ, დაიკრამდა მუცელზედ ხელს და იტყოდა: „მე თუ არ მისწავლია, მე ვიცი...“ და ველარ გაათავებდა დაწყებულ სიტყვას; იქნება თავის-თავისავე შერცხვებოდა ხოლმე, რო ეგრე უსირცხვილოდ სტყუოდა?!. არა მგონია!.. ის იმისთანა კაცი არ იყო!..

ამისთანა მზრუნველ დედ-მამის პატრონი კოლა და მისი ერთგული ამყოლი კაკო ეყარნენ დილიდან საღამომდინ საგამდლოში, ან სამზვარეულოში, ან ბიჭებში, რომელთ შორის პირველ დასაწყის სწავლას მიიღებს ხოლმე ქართვლის შვილი და რა სწავლასა?.. მურტალ სიტყვებს, რომელზედაც უხვნი არიან მოსამსახურენი, საძაგელს ლანძღვას, რომელიც ბოლოს თითონვე მსახურებს მოხვდებათ ხოლმე, შაირებს, გასარყვნელ ლექსებს და სხვ. ხან ორნივ ყმა და ბატონი გამოვარდებოდნენ ეზოში, დარბოდნენ ხან იქით, ხან აქეთ, წინდაუხედავად ლაფში და წყალში, ასე რომ სადილად რო ამოიყვანდნენ კოლასა, კოლა იყო როგორც გოჭი გასვრილი და მოტლაპული

ლაფშია. „უი შენ დედასა,—შეჰყვირებდა ხოლმე გულმტკივნეული დედა კნეინა ქეთევან,—სად მოსვრილხარ ეგრე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. გოგო-გოგო მელანავ! გამოუცვალე ყმაწვილს ახალუხი!“ — შემოვიდოდა წირპლიანში, ძილის-გუდა, დაგლეჯილი გოგო, რომელსაც თავზედ მოხვეულ დახეულ ხელცახოციდამ მუჭა-მუჭა წილიანი შავი თმები ამოშვერილი ჰქონდა, როგორც გახეულ მუთაქასა მატყლი. გაიყვანდნენ ფეხების და ხელების ქნევით კოლასა ახალუხის გამოსაცვლელად. იქნება ჩემმა მკითხველმა გაიკვიროს, რო კოლას, როცა მოიტურტლებოდა ლაფში, ახალუხს უცვლიდნენ. მართალია, თუმც მე ჩემის თვალით მინახამს, რომ ყმაწვილს დიდმარხვის პირველ დღის ლოგინიო აღდგომის კვირებშიაც ზედვე სცხობია, მაგრამ უნდა კაცმა მართალი სთქვას, კნეინა ქეთევანი არ იყო ამ მხრით იმ კეთილ დედებთაგანი, რომელთაც როგორც თვალში ეკალი, ეჯავრებათ შვილის სიფაქიზეზედ ზრუნვა. ზემოთაცა ვთქვი და ეხლაც მოგახსენებთ საქებარად კნეინა ქეთევანისა, რომ ერთი ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგი თვისება სჭირდა: ისე გაგიჟებით უყვარდა თავის-თავის და შვილის სიფაქიზე, როგორც სხვა კნეინებს გაგიჟებით ეჯავრებოდათ.

ერთის სიტყვით გაიყვანდნენ მტირალსა პატარა კოლასა, გამოუცვლიდნენ ახალუხს, მოიყვანდნენ და მოაკეცინებდნენ სუფრაზედ. (კაკო, რაღა თქმა უნდა, ამ დროს სამზვარეულოში ღრღნიდა მზვარეულისაგან მოგდებულ ძვალსა). ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ნებიერ კოლას წვენი ეცოტავებოდა.

— ცოტაა, ცოტა!.. არ მინდა, არ მინდა,—დაიწუნებდა ხოლმე ბუტიობით და ცხვირ-ჩამოშვებით ბუტია კოლა. თუ ვინმე შენიშნავდა, რომ ეგ ცუდ ქცევაა, ან დაუშლიდა, ან ეტყოდა რასმეს შესახებ წვენისა, მაშინ უნდა გენახათ რა ყოფა იყო!.. გადავარდებოდა გულდაღმა, ჩაჰყობდა ფეხებს მათლაბაში და აჭყაპუნებდა ყვირილ-კივილით: — „ცოტაა, ცოტაა, არ მინდა, არა!“ აიყვანდა კეთილი დედა ალერსით, ხელცახოცით გაუწმენდდა წვენში გაბანილ ფეხებს და უბძანებდა სავსე მათლაბის მოტანას.

თავადი ლუარსაბ ღიმილით უყურებდა ხოლმე თავის პატარა კოლას, ხანდისხან ბევრსაც იცინებდა: — „აი დასწყეველოს ღმერთმა, რა ეშმაკია!.. ჩვენ საგვარეულოს სულ დაღუპავს“!.. უხაროდა ხოლმე კმაყოფილ მამასა, რომ საგვარეულოს დაუღუპავდა შვილი.

ხანდისხან შვილის გულშემატკივარი მამა ჩაისვამდა კალთაში თავის შვილს და ამ რიგად უკითხამდა რა მორალსა, გაუხსნიდა გონებას პატარა კოლასა:

— ცემი კოლა, — ყმაწვილს გამოაჯავრებდა ლუარსაბ, — ცემი კოლა რო გაიზდება, ღიმნაზიაში წავა; იქიდან დიდი, დიდი კაცი გამოვა, დიამბეგობას მისცემენ; ალა, ცემო პატარა დიამბეგო?.. — თითონ კი ნერწყვი მოუკიდოდა დიამბეგის ხსენებაზედ.

— კაკო, მამილო, სინ დალჩება? — ჰკითხამდა შვილი.

— ალა, სვილო, ისიც წამოგყვება.

— სადა?

— ღიმნაზიაში:

— ლა ალის ღიმნაზიაში? — ჰკითხამდა ცნობისმოყვარე ბავში.

— ღიმნაზია სასწავლებელია, შვილო! იქ სულ რუსები არიან, სულ ჯოხით ხელში დადიან, ვინც კარგათ არ ისწავლის როზგითა სცემენ, პურს არ აჭმევენ, ბნელ ოთახში ჩასმენ ეშმაკებთანა, — ღრმა გონიერებით მიუგებდა ხოლმე მამა ცნობისმოყვარე შვილსა...

— იქ ალ წავალ, ალ წავალ!.. — შეჰყვირებდა ხოლმე შეშინებული კოლა. ისეთ გულამომჯდარათ ტიროდა, რო ასე გონია ეხლავე იმ ჯოჯოხეთში გზავნიანო. გამოვარდებოდა დედა ოთახიდამ შვილის ყვირილზედ. საწყალი შეშინებული კოლა სიბრალულის და საცოდავ სახით მიუბრუნდებოდა დედასა და ეხვეწებოდა: „დედაჯან! სენი წილიმე, სენი კუშისა, იქ ნუ გამისვებ!..“ კანკალით და თრთოლით წამოიძახებდა საწყალი ბავში და მივარდებოდა დედასა და შეჰყურებდა თვალებში, თითქო იქ უნდა წაეკითხაო თავის ბედისწერის გადაწყვეტილობაო.

როგორც იქნებოდა დააშმონებდნენ შეშინებულ კოლას; რამდენ ხანისამე შემდეგ პატარა კოლა ისევ უდარდელად გაიქცეოდა სათამაშოთ; მაგრამ ყმაწვილის გულში დარჩებოდა ხაზი იმგვარ შემთხვევისა. მაშინ, როცა გაიცილებდა ქეთევანი კოლასა, კნეინა მიუბრუნდებოდა თავის სულიერს ქმარსა:

— მაგოდენა ჭკვა როგორ არა გაქვს, რო იფიქრო, რო ყმაწვილის შეშინება არ ვარგა! ჰა! როგორ არა გაქვს! — ეტყოდა გულზედ მოსული ცოლი.

— შე დალოცვილო, რა უთხარი იმისთანა, რო გული გახეთქოდა, — მიუგებდა ქმარი მცირედის კრთომით, — მაშ აქაო და ყმაწვილიაო, ნურაფერს ნუ იტყვიო!..

— მაშ არ იცი, რო არა უნდა უთხრა-რა მაგისთანა, არ იცი! — დააყრიდა და დააყრიდა ენატარტალა კნეინა, რა ნახამდა, რო ქმარს ამის ყველრეზისა ეშინიან. საწყალი ლუარსაბი! დაბრიყვებულია!.. „მერე, რო გაიზდება, როგორღა წავა სასწავლებლად, ახლავ რო აშინებ, ჰა, როგორღა წავა?“ დაუმატებდა ქეთევანი, რათა სრულად დაემარცხებინა ქმარი ამ კითხვით.

— არ წავა და ნუ წავა!.. — ბუტბუტებდა ცხვირში ლუარსაბი, — მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... და ჩვეულებისამებრ აღარ გაათავებდა, რა იცის. შეჰყვებოდნენ სიტყვაზედ სიტყვით და ერთი კარგი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდოდათ, ასე რომ რამოდენიმე საათის განმავლობაში ერთმანეთს ხმას არ გასცემდნენ; ლუარსაბის მეტი ამ ხმის გაუცემლობაში არავინ არ იტანჯებოდა, გულჩვილი იყო ეგ საწყალი ჭკვის გლახა.

ხომ ქვეყანაზედ ესრეა: ღმერთი რო კაცს დააკლებს ერთს რასმეს, შეორესა მოუმატებს. ამბობენ ბრმას ხელის თითები ძალიან შემტყობი აქვსო, ყრუს შორმხედავი თვალი აქვსო და ჭკვის გლახასაც მგრძნობელი გულიო.

ლუარსაბი, რაც შეეძლო, იჭერდა თავს, ცდილობდა, რომ ხმა პირველად ამას არ გაეცა ცოლისათვის, მაგრამ ეს წყეული გული არ ითმენდა, ძალას ატანდა; ბოლოს მივიდოდა ცოტაოდენ კრთომით ცოლთან და გაუხუმრებდა: ხან ცხვირში შეაბოლებდა ჩიბუხის ბოლს, ხან თავს მოხდიდა, ხან ნაწნავს ჩამოსწევდა, ხან უჩქმეტდა კიდეც. ოხ! ნეტარო დროებავ! რა მამასახლისების დროის სიმარტივითა ხარ სავსე!.. მაგრამ ქეთევანი, უფრო მტკიცე თავის გადაწყვეტილობითა და გულის სიმაგრითა, მაინც ხმას არა ჰსცემდა; ჩქმეტაზედ კი ეტყოდა:

— „თვალიც გამოგძვრება!.. დაბერებულხარ და ტვინი გაგლაყებია!“.. — თითონაც კი ჩუმად ჩაიცინებდა, თავის ქმრის სინაზეს რო განიცდიდა; ამ-გვარი ტრფობის გამოცხადება, როგორც ლუარსაბმა იცოდა ხოლმე, ვის არ დაასხამდა თავბრუს, ვის არ დაავიწყებდა აწინდელს ცოდვებს; გული ხომ ქვა არ არის, რომ ამ გზითაც არ დალბეს. ოხ, ქართველო, რა კარგი რამ იქნებოდი, რო ამისთანა ცუდი არ იყო!.. თუმცა გული ქეთევანისა ქმრის ალერსითა ცოტაოდენ დალბებოდა, მაგრამ ქეთევანი მაინც არ ურიგდებოდა, იქნება იმისთვისაც, რომ ქმარი პირველად გამოაცხადებდა შერიგების სურვილს; აქ, რასაკვირველია, ბუნებით წვრილმანი თავის-მოყვარეობა მაღლდებოდა კნეინასი და კნეინასაც ეს მოსწონდა გაგიჟებით; იქნება ამისდა გამო ცდილობდა რათა განეგრძელებინა ხმის გაუცემლობა, რადგან ეგე სტანჯავდა ლუარსაბს და გამოაცხადებინებდა ადამის დროის მარტივ ალერსსა და სინაზეს ცოლისადმი. თითონ შემსჭვალულთა ტრფიალთა უყვარდათ ამ-გვარი ტანჯვა ერთმანეთისა; არამც თუ მარტო ამათ, ყოველ კაცს მოსწონს რაღაც თავის-მოყვარულ, ეგოისტურ ფიქრით თავის თავითა დასტანჯოს მოყვარე, რომელსაც მტანჯველი თვისი უყვარს გაგიჟებით, ეს საზოგადო სნეულებაა ადამის ტომისა: თუმც სასაცილოა ამისთანა თავის-მოყვარეობა, მაგრამ ჩვენ მარტივ ცოლ-ქმარსა რათ უნდა ჩაუთვალოთ ცოდვად ის, რაც განათლებულებში თითქმის საზოგადო ჩვეულებათ არის. გავიდოდა რაოდენიმე ხანი და ბოლოს, რასაკვირველია, შარიგდებოდნენ, ჯერ კი ტკბილად დააყვედრებდნენ ერთმანეთს ურთიერთის ცოდვებს, როგორც იცით თქვენ თითონ, ჩემო მკითხველო!

ხშირად იტყოდა ხოლმე დიდ სურვილით ჩვენი ლუარსაბი: — „ნეტავი ჩემი კოლა კი დიამბეგათ მაჩვენა, რომ ათიოდე იასაული უკან მოსდევდეს და ფულებით კოჭაობდეს, და მერე თუნდა მოვკვდე!“.. უნდა მოგახსენოთ, რო დიამბეგი ლუარსაბისათვის იყო თუ არ პირველი, არც უკანასკნელი ხარისხი კაცის სიმაღლისა; ამისდა გამო თავის მოკლე ჭკვით თავის შვილისთვის უკეთეს ვერას ინატრებდა. რამდენჯერაც რო გეკითხათ, რას ინატრებ შენის შვილისთვის? — ერთი და იგივე პასუხი იყო ლუარსაბის მხრით: — დიამბეგობას!

ლუარსაბი ამაში ჰგვანდა სწორედ იმ ანგლიელსა, რომელსაც ჰკითხეს ერთხელ თურმე, რას ინატრებ ქვეყანაშიო. ანგლიელმა მიუგო: ერთ

ბოთლს პორტერსა და ერთ თეფშს პუდდინგს, — სრულად დადინჯებით და ცივად.

— მაინც უკეთეს სხვას რას ინატრებდი? — ჰკითხეს კიდევ თურმე.

ანგლიელი ჩაფიქრდა და რაოდენიმე ხანს კიდევ უთხრა ისევ ისე ცივად: ერთ ბოთლს პორტერს და ერთ თეფშ პუდდინგს.

კიდევ გაუმეორეს კითხვა: მაგაზედ მაღალი ნატვრა და უდიდესი სურვილი მაინც რა გაქვს ქვეყანაშიო? რას უფრო ინატრებ უდიდეს და უმაღლეს მაგაზედ?

კიდევ ჩაფიქრდა ანგლიელი დიდხანს და მერე თქვა ისევ იმ დადინჯებით: ერთს ბოთლს პორტერს და ერთს თეფშს პუდდინგს!.. ასე გონია ამაზედ უკეთესი აღარა იყო-რა ქვეყანაში. ლუარსაბი ესე გახლდათ სწორეთ: შვილისთვის დიამბეგობის მეტს არასა ნატრობდა სხვას; ან რა უნდა ენატრა სხვა?.. გარშამო მიიხედავდა, დახვდებოდნენ თავის მგზავსი კაცები, რომელნიც სჭამდნენ, სვამდნენ და იძინებდნენ მთელ თავის სიცოცხლეში: იმ კაცებ შორის იგი ხედავდა ყველაზედ მაღლა აწეულს დიამბეგს, ხედავდა რა-რიგათაც იგი კაცები ეხვევოდნენ გარშამო დიამბეგს, როგორც თაფლსა ბუზი, რა-რიგად პატივსა სცემდნენ, რა-რიგ კისრის მტვრევით მიეგებებოდნენ, ეპატიჟებოდნენ. ამისთანა მოწყობილობა, რასაკვირველია, განაცვიფრებდა ჭკუაზედ უკაცრაოდ ნამყოფსა ლუარსაბს. თითონაც კი, სწორეთ გითხრათ, გულცივად არ უყურებდა დიამბეგობას; ერთს დროს თითონაც კი ცდილობდა ეშოვნა დიამბეგობა, ბევრი ფული დახარჯა, გააფუჭა იმ თანამდებობის შოვნაში, მაგრამ ვერ მისწვდა იმ მიუწვდომს ნაყოფსა. სცადა მეორეთ, როცა ღვინოები გაყიდა, სცადა მესამეთ, მაგრამ ჰეჩ!.. საუკუნოდ გაექცა დიამბეგობა!.. მაშინ კი სრულად დარწმუნდა, რო დიამბეგობა დიდი რამ არი; „რაც ძნელი საშოვარია, ის ძვირიც არისო“. „ოდეს ტურფა გაიაფდეს აღარ ღირდეს არცა ჩირად“, — ამბობდა ხოლმე დიამბეგობიდამ ხელცარიელი ლუარსაბი თავის-თავის სანუგეშებლად. მეტი რა ილაჯი იყო. ამის გარდა სხვა ნუგეშიც შეეპარა გულში თავადს თათქარიძესა: „მე თუ არ გავხდი დიამბეგად, ჩემი შვილი ხო გახდება!“ — ამბობდა გულში ლუარსაბი. — „დაიცა ერთი ღიმნაზიაში გავგზავნო!..“ მაგრამ სად იყო ღიმნაზია საწყალ კოლასთვის! ჯერ შინაური, დასაწყისი შკოლა სრულად არ გაევლო!..

როცა საღამო ჟამზედ შეიყრებოდნენ ხოლმე ლუარსაბის სახლში ან სადარბაზოდ, ან სტუმრობა ჰქონდა ლუარსაბს, უნდა გენახათ მაშინ ჩვენი კოლა რა ბედნიერებაში იყო!.. ამოიყვანდნენ პრუწუნით ოთახში, დედა ჩაისვამდა კალთაში და ეტყოდა: — „აგე ძია რას გეუბნება! აბა შენც უთხარი რამე, ჩემო, კარგო!..“ ამასთან რაღაცას წაუჩურჩულებდა ხოლმე კეთილი დედა პატარა ბავშსა. ჭკვიანი კოლა ჯერ მორცხვობდა; ახლა მამა გამოუვლიდა ჩიბუხის წევით პატარა კოლასა და შეაბოლებდა თავისებურ ღიმილით საწყალს ყმაწვილს თვალებში ბოლს, ასე რომ ცრემლები წამოსცვივოდა კოლასა ლამაზ ჟუჟუნა თვალებიდამ. — „აბა, — ეტყოდა მამა, — ერთი შე-

ნებურად შეუკურთხე შენ ბიძიას!..“ გათამამებული მამისაგან კოლა მართლაც შეუკურთხამდა, მერე ასე-რიგად, რომ აქ არ ითქმის, ჩემო მკითხველო! ასტყდებოდა სიცილი, ქება პატარა კოლასი, კოცნა და ხვევნა კმაყოფილ და ბედნიერ დედისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ აქავე, დედის კალთაში საუკუნოთ ხდება და ირყვნება შვილი.

— „საკვირველი გონების ყმაწვილი გახლავთ, თქვენმა მზემ, კნეინავ!“ — უთხრა ერთხელ ღიმილით კარის ღვდელმა კნეინა ქეთევანს, როცა კოლამ ყმაწვილურ ენა-ჩლუნგობით უთხრა ღვდელს „წვერ-ძაღლო“.

ასე იზრდებოდა კოლა, ასევე იზრდება ყოველი ქართვლის შვილი, რომელიც მინავე დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლსა მომავალ წარადენისას და თავის უბედურობისას. საწყალს დედას კი ფიქრად არ მოსვლია ესა... უნდა კი ვსთქვა, რომ ცქვიტი და ცელქი კოლა იყო ძალიან ნიჭიერი და გონიერი ბუნებითა; ვინ იცის, ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში; ვინ იცის, რა სახელს დაიგდებდა იგი თავის სიკვდილის შემდეგ; ეხლა კი... მაგრამ ეს მერმე იყოს... ბევრი კიდევ სხვა რამ არის სატირელი ჩვენ უფერულ ცხოვრებაში!..

რასაკვირველია, ჩემო მკითხველო, ბევრი იმედი იყო, რომ კოლა მართლა და დამბეგი გამოვიდოდა!.. კოლა შესრულდა ცამეტის წლისა. მაგრამ დედ-მამა მეტის-მეტი სიყვარულის გამო არ იმეტებდნენ შვილსა, რო სასწავლებლად გაეგზავნათ; საწყალ მარტივ გაუნათლებელ ქართველებს ამ გამოუცდელობაში ეგონათ მართალი სიყვარული!..

ბოლოს, როცა კოლა გადადგა თოთხმეტის წლიდამ მეხუთმეტეში, მაშინ კი ძლივს-ძლიერს გაბედეს მისი ქალაქში გაგზავნა. ბევრი ტირილი, ხვევნა და კოცნა დედის მხრით, გულამოსკდარა სლოკინი თხუთმეტი წლის ბავშის მხრით, რასაკვირველია, იქნებოდა გაყრის დროსა, მაგრამ ჩვენ ამას დავანებებთ თავსა. ამას კი ვიტყვით, რო როცა კოლა გამოეცალა შინაურობას და აპირობდა უკულოდ ცხენზე შეჯდომას, მაშინ ჩაგება ქვეყით გულმტკივნეული დედა და ტირილით უთხრა:

— „სად მიდიხარ, შვილო, სათუთობით და ნებივრად გაზრდილო! ვუი შენ დედას, რო ის გომეტებს შენ! ვინ იცის, რამდენი გცემონ, რარიგად დაგტანჯონ!..“ — ტიკტიკებდა ქეთევანი, ის კი არ იცოდა საწყალმა, რომ ამ სიტყვებით აქავ აძულებს სასწავლებელსა და სწავლასაცა,— „თუ ვინიცობაა ვერ გაძლო, მომწერე, შვილო. თუ წერა არ გეცოდინება, შემომითვალე ფეურმეების პირით, რომელნიც ხშირად ჩამოდიან ქალაქში ჭირაზედ, და მეორე დღესვე ცხენებს გამოგიგზავნი. სულე. შენ გენაცვალოს შენი დედა“, — აშოშმანებდა ხუთმეტი წლის ბავშსა კნეინა — სულე, შენი ჟუჟუნა თვალების ჭირიმე! ღმერთი ხომ ხედამს, მე არ მინდოდა შენი გაგზავნა. სულ მამა შენის ბრალია!“ — გადააბრალა სრულად ქმიზეზ დ ლუარსაბსა მეჭირე ქეთევანმა. აქ პირველად გაურბინა ძარღვებში კოლასა მამის უსიყვარულობის ეჭვმა. საწყალო კოლავ!.. რა რიგად გიხ-

ლართამენ გზებს! მერე ვინა? შენივე დედ-მამა, რომელთა თვით არ იციან რა ცოდვაში დგებიან!..

ერთი სიტყვით ამ გაზეპირებულ შესაბრალებელ სიტყვებ შემდეგ, შემდეგ წარა-მარა ტირილის, ნუგეშის ცემისა, კოლა შეჯდა ცხენზედ და გასწია ქალაქისაკენ. უკან მისდევდა ორი ბიჭი და კაკო, ერთ ძუნძულა ჯორზედ მჯდარი, მიჩაჩაკებდა თავის პატარა ბატონის უკან. მესამე დღეს, შუადღისას, ჩვენი მგზავრები ჩავიდნენ ქალაქში. პირველ ქალაქის ნახვამვე შეაძულა ქალაქი. მტვერი ქალაქისა, გროვა უსაქმო ხალხისა, შემაგუბებელი სულისა ჰაერი, დროშკის რახა-რუხი, ყრუ კიჟინა და ხმაურობა, მერე თავის-თავის მარტოობა ამ უცხო ქვეყანაში, სადაც ეს არავის იცნობდა და ამასაც არავინ, ესე ყოველიფერი მოუწყლავდა გულს დალილს კოლასა. ნამეტნავად ამ შემთხვევის შემდეგ სრულად შეიძულა ქალაქი ნებიერმა კოლამ.

შუა ბაზარში რო მიდიოდნენ ეს ოთხი ჩვენი ნაცნობი მგზავრები, წყეულ ბაყლებმა მაშინვე სულით იცნეს, რო ახლები არიან და მოჰყვნენ დაცინებას.

— კნიაზო, კნიაზო! ვა, ცხენს ნალი დავვარდა! — დაუყვირა კოლასა ერთ მათგანმა; ხარხარი ხალხისა ამ სიტყვებზედ დააყრუებდა კაცს. კოლა გაწყრა და გაწითლდა. რერე ცოტა კიდევ რო აიარა, მეორე ბაყალმა წაჰყავლო ერთ მოდიდო გოგრას ხელი. დაანახვა კოლასა და ურჩხა დაცინებითა: „კნიაზო, ვირის კვერცხი არა გნებავს? ხათრისათვის იაფად მოგვართმევთ!“ კოლას მოესმა კიდევ ხარხარი ხალხისა, გაწყრა, ალიმფული აუვიდა სახეზედ, მიუბრუნდა ბაყალს და ერთი ასეთი გადაუჭირა ცხვირპირში თავის ჩერქეზული მათრახი, რომ ტყლაშანი გამოიღო. „გიჟია, გიჟია!“ მისძახა ერთობ ხალხმა, როცა კოლამ ყოჩაღად შემოატრიალა ცხენი და გაახტუნა ოქრომჭედლების ქუჩისაკენ. „გიჟია, გიჟია!“ — მისძახდა ხალხი, ვიდრე კოლა არ მიეფარა ქუჩასა.

როგორც იყო მივიდნენ ჩვენი მგზავრები იმ სახლში, სადაც იდგნენ ნათესავები ლუარსაბ თათქარიძისა და სადაც უნდა დამდგარიყო ჩვენი კოლა თავის კაკოთი. კოლას აქედამ უნდა ევლო ღიმნაზიაში. ეს სახლობა იყო სწორედ მეორე ეგზემპლიარი ლუარსაბის სახლობისა, ხოლოთ ესე ცოტათ უფრო გარყვნილი იყო ქალაქის ჩვეულებითა. თავი სახლისა იყო ერთი მოხუცებული, ქვრივი თავადის ცოლი; თუმცა გული კეთილი ჰქონდა და კეთილის მსურველი იყო, მაგრამ ეგ იყო იმ ადამიანთაგანი, რომელიც თავის სიკეთით უფრო აფუჭებს კაცს, ნამეტნავად ყმაწვილს, ვიდრე სხვა თავის ბოროტებითა. ორ დღეს უკან კოლა წაიყვანა ამ კეთილმა დედაკაცმა ღიმნაზიაში და ჩააბარა ერთს ქართველ ზედამხედავს სკოლისასა, რომელსაც დაჰპირდა საალდგომოთ ბატკანი და ყველი, თუ კარგად უპატრონებს კოლასა. კოლა შეიყვანეს და დასვეს პირველ კლასში; ოსტატი ჯერ არ მოსულიყო. კოლა ძალიან მორცხობდა უცნობ ყმაწვილებ შორის, რომელნიც გიჟობდნენ, დახტოდნენ და ერთი ყოფა გაჰქონდათ; რა კოლა

ნახეს ყმაწვილებმა, ერთს წუთს ალიაქოთი დადგა, ყველანი გარს შემოეხვივნენ და ცნობისმოყვარეობით შაჰკქეროდნენ პირში. ზოგი უფრო ცელქნი უკანიდამ საწყალს ახალმოსულს ხან თმას გაუწევდნენ, ხან თავში ჩაჰკრამდნენ, ხან მუჯლუგუნებს უთავაზებდნენ. კოლა გაწყრებოდა; რა რო მის წყრომას ნახავდნენ ყმაწვილები, უფრო გააწვალებდნენ; იყო ერთი ხათჭათი, სიცილი და ყვირილი; ამ დროს შემოვიდა ოსტატი ერთი კაი სჭელ და პტყელ ჯოხით, რომელსაც სახაზეს ეძახდნენ სკოლებში. მყის ჩაუმდნენ ყმაწვილები ისე, რომ ბუზი გაფრენილიყო, შეიტყობდი. ოსტატის სახე იყო მრისხანე და ზედ ეწერა სურვილი ცემისა.

— ვინა ყვიროდა აქა! — წაავლო ერთს ყმაწვილს, რომელიც მოხვდა ხელში, ყურებში, — ვინა ყვიროდა, მითხარი, — დაუყვირა ოსტატმა საზარელ ხმით.

საწყალი ყმაწვილი გაფითრდა და აირია და ისე უნებლიეთ გაიშვირა ხელი კოლასაკენ. — ყმაწვილებმა ერთბაშად მისძახეს — ეგა ყვიროდა, ეგაო! — და უხაროდათ, რო იპოვეს, ვისაც დააბრალონ.

ნივარდა კოლას გახარებული ოსტატი, რო მიეცა შემთხვევა ვისიმეს ცემისა. — გამოშალე ხელი, — დაუყვირა წარბებ-შეკრულმა ოსტატმა. კოლამ ხელი არ გაუშალა. — შე ძაღლო, არ გესმის, გამოშალე მეთქი, — შეჰყვირა უფრო მრისხანეთ. აინთო ცეცხლით კოლა, შაშინდა, ცაგრამ მაინც ხელი არ გაუშალა. — არ გამოშლი, შენ საძაგელო! — და გადასწვდა, რო გამოაშლევინოს ძალად ხელი.

მაშინ დაჯდომილმა კოლამ ჰკითხა ნახევარ-ტირილით თითქმის:

— რა დავაშავე, რო ცემას მიპირობთ!

— შენ აქ ჰბედავ სიტყვა შემომიბრუნო! ჰა! შენ აქ შეიძელი კიდეც ოსტატსა ჰკითხო, რათა მცემო, ჰა! — და გადააწნა ერთი ათიოდე სახაზე ბეჭებზედ საწყალ კოლას, რომელსაც დანაშაული არა ჰქონდა რა. მერე გამოათრია სკამიდან, თმებით წამოათრია და დაახალა ფიცრის იატაკზედ მუხლებზედ. — მე შენ გასწავლი, როგორ უნდა იქცეოდე, ჯერ პატარა დამაცა!.. — უთხრა დორბლიანმა ოსტატმა და ერთიც წაუთავა ლაწანი ყბაში. ამ შემთხვევამ და ბევრმა კიდევ ამის მგზავსმა შემთხვევებმა პირველად დაარწმუნეს კოლა, რო ქვეყანაზედ სამართალი არ არი. ბევრი ხანი გავიდა, რაც კოლა ღინაზიაში დადიოდა, და აქაურმა სწავლამ, თუ ქცევამ, თუ ოსტატებმა, სრულიად დააჯერეს ჰაბუკი გული კოლასი, რომ კაცი სხვა კაცის საუბედუროთ უნდა სცხოვრობდეს.

რასაკვირველია ამ საზოგადოებაში ყოფნამა შეაძულა სწავლა კოლასა და აუცრუვა გული! აბა რაღას ისწავლიდა, რაც პირველ დღესვე ნახა იმის შემდეგ?.. მერე საწყალ გონიერს ყმაწვილს, რომელმაც რუსული ინჩეც არ იცოდა, რუსულად უხსნიდნენ და რუსულად ასწავლიდნენ; დიდი ჰკვიანი პედაგოგები კოლას უსწავლელობას უნიჭობას და ზარმაცობას აწერდნენ და სცემდნენ, სცემდნენ და სცემდნენ საწყლებსა ამის გამო. ის კი ვერ მოეფიქრათ, რომ რუსული არ ესმით ახალთ მოსწავლეთა.

ერთხელ იყო ღრამმატიკის კლასი. კოლა საწყალი წამომდგარიყო დილის ოთხ საათზედ და დუდუნებდა გაკვეთილსა რვა საათამდინ. კითხულობდა და კითხულობდა, და რასაკვირველია არა ესმოდა-რა და, რადგანაც არა ესმოდა-რა, არც არაფერი შესდიოდა თავში. წავიდა როგორც იყო ღიმნაზიაში, დაღლილი, გაყვითლებული და ერთი ღამის უძილო, იმისთვის [რომ] იმ წინაღამეს კიდევ ღვთისმეტყველება ესწავლა დიდხანს.

პირველადვე კოლა გაიყვანა ღრამმატიკის ოსტატმა და, როცა ოსტატმა მრისხანეთა ჰკითხა: — შტო ტაკოე ღრამმატიკა? — მაშინ ღრამმატიკა და ღვთისმეტყველება აერივნენ ერთად შაშინებულ კოლასა.

— ნუ, შტო ტაკოე ღრამმატიკა, გოვორი ბალვან! — უფრო მრისხანეთ ეტყოდა ოსტატი, რომელიც სთვლემდა სკამზედ.

— გრამმატიკა იესტ კ პრავილნომუ ურაზუმენიუ სვიასჩენავო პისანია,— ამბობდა საწყალი კოლა და თითონაც არ ესმოდა რას ამბობდა; მიხვდა კი ღვთისმეტყველებიდამ რაღაც შემოურივა, მაგრამ არა სჯეროდა.

— ვოტ ტებე კ პრავილნომუ ურაზუმენიუ, — შეჰყივლა შესაფერ სილითა კაცმოყვარე პედაგოგმა, — ვოტ ტებე ი სვიასჩენოე პისანიე, დურალეი! — და გაიგდო წიხლ-ქვეშ, მერე ჰკრა პანჩური და გამოაგდო კარში. ეგრე იზდებოდა კოლა ღიმნაზიაში. კოლა რამდვენჯერმე გამოაგდეს კლასიდამ გარეთ, მერე იფიქრა, ეგრე ხშირად რო მაგდებენ კარში, მოდი ქუდს დავმალავ გარეთ სადმე და, როცა გამომაგდებენ, დივიხურამ და შინ წავალ. თქვა და აღასრულა კიდეც მეორე დღესვე. კიდევ იმ ღრამმატიკის ოსტატმა გამოუძახა გარეთ კოლა; კოლა გამოვიდა, წავიდა, იპოვნა დამალული ქუდი, გადმოხტა ღობეზედ და დააპირა გაქცევა.

— თათქარიძე, თათქარიძე! — მოესმა ძახილი ყმაწვილებისა; მიიხედა, ნახა რო ათიოდე ყმაწვილი დგანან სწორეთ თავისებურად გამოგდებულნი გარეთა და თავისებურად გამოპარულნი სკოლიდამ.

— გაბაან-ტოტზედ არ წამოხვალ საბანაოთ? — ჰკითხა ერთმა მათგანმა.

— გაბაან-ტოტი კი არა, ყურები მიწივის ცემისაგან, რა დროს ბანაობაა? — უთხრა შეწუხებულმა კოლამ.

— ჩვენ კი არ გვიწივის!.. შენ თუ მაგას აჰყევი, კლდეზედ გადავარდი. აი ჩვენ გვიყურე; დღეში ხუთჯერა გვცემენ, მაგრამ ყურსაც არ ვიბერტყამთ, გამოგვაგდებენ ხოლმე და ჩვენც ეგ გვიხარიან. წამო, რას ამბობ! წავიდეთ, ცურვას გასწავლით, — აუტყდნენ ყმაწვილები. ბოლოს აჰყვა ესეც იმათა და მაშინ შეეჩვია სკოლიდამ ხშირად სირბილს გაბაანთ ტოტისაკენ, სადაც ბევრი ამხანაკები დახვდებოდნენ ხოლმე, იქ გააბამდნენ სადილობამდინ ხან ართურმას, ხან ბურთსა და სადილად წიგნებით იღლიებ ქვეშ მოვიდოდნენ შინ და ატყუებდნენ დედ-მამას, რო ღიმნაზიაში ვიყავითო. აქ გაირყვნა სრულიად კოლა; რაც საძაგლობა იქნებოდა ქალაქში, სულ აქ მოხდებოდა ხოლმე; კოლას ჯერ სრულიად სძაგდა ესე ყოველი, მერე ცოტ-ცოტად შეეჩვივა და ბოლოს თითონაც დაემგზავსა

იმას, რომელის ყოფაც უწინ დასანახავათაც ეძაგებოდა. ეგრე წახდა საუკუნოდ ჩვენი კოლა!.. ნიჭიერი, მახვილი, ცქვიტი და გონიერი ყმაწვილი!..

კაკო კი შინ ეგდო ხოლმე, როცა კოლა ამ ყოფაებს სჩადიოდა; კაკო პატაროობითვე ფიქრიანი ბიჭი იყო, ყოველთვის უყვარდა გაეკეთებინა რამე. ნამეტნავად საშინლად უნდოდა წიგნი ესწავლა; სადღაც მოეპარა ერთი დაბეჭდილი წიგნი და იმას ინახამდა როგორც ხატსა და ნაწილებსა. ის წიგნი იყო ჩვენი უკვდავი ვეფხვის-ტყაოსანი. ხშირად ამბობდა ხოლმე გულში: „მოვკვდები და ამას წავიკითხამო!“

ერთხელ, როცა მოხუცებულმა დედაბერმა დაიძინა სადილ შემდეგ და კოლა სადღაც წავიდა, როცა კაკომ ყველაფერი მიალაგა, გამოვიდა და დაჯდა ქუჩის გარეთ; მიიხედა იქით მარჯვნივ და დაინახა ბიჭები შეგროვებულან და რაღაცას ყურს უგდებენ ყურადღებით; ამასა ეგონა ზღაპრებს ამბობენო და მოყვარული ზღაპრისა კაკო მაშინვე მივარდა იქ. მაშინ ნახა, რო ერთი იმერელი ბიჭი იჯდა და კითხულობდა რაღაც ხელნაწერსა. გაუხარდა, გაუხარდა ცნობისმოყვარე კაკოსა, რომ ის ბიჭი წიგნს კითხულობდა, მიუჯდა გვერდით და დიდხანს იჯდა იმასთან მოწიწებით მზირალი. როცა ბიჭები დაიშალნენ და დარჩნენ ის მეცნიერი ბიჭი და კაკო მარტოკანი, მაშინ კაკო მიუბრუნდა ღრეჯით ბიჭსა და უთხრა: — თუ ღმერთი გწამს, წიგნი მასწავლეო!

ის იმერელი ბიჭი იყო კეთილი, მას გარდა ამას ძალიან მოეწონა ოსტატის როლიცა და აღუთქვა სწავლება. რაღა გავაგრძელოთ, ტანჯვით და ვაი-ვაგლახით კაკომ ისწავლა ექვს თვეში კითხვა ხელნაწერისაც და ბეჭდურისაც ისე, რომ თავის ვეფხვის-ტყაოსანი შეეძლო წაეკითხა. მაშინ მიუჯდა ვეფხვის-ტყაოსანს და ყოველ ცისმარე დღეს კითხულობდა და კითხულობდა; ბევრი ლექსიც ისწავლა ზეპირად. როცა ავთანდილის და შერმადინის ამბავი წაიკითხა, მთელი არსება ბეჯით კაკოსი აინთო სიხარულითა; მაშინ, სწორეთ მაშინ კაკომ შეადგინა თავის გლეხურ ჭკუით თავისი იდეალი ბატონ-ყმობისა. „აი თუ ბატონი იყოსო, ავთანდილისავითა, თუ ყმა იყოს, შერმადინისავითო!“ იტყოდა ნატვრით კაკო ხოლმე. მაშინ დააპირა კაკომ, რო თითონ იქნება შერმადინი და ავთანდილად კოლა ეყოლება; ბევრს მაგისთანა პლანებს დააწყობს ხოლმე ხალისიანი გონება ჭაბუკისა, მაგრამ დროს შეუბრალებელი კვერთხი მათ დაუკითხავათა სცემს და ანგრევს ჭაბუკის სიზმრებს. ეგრე ვეფხვის-ტყაოსნის კითხვაში გაზარდა კაკომ თავისი თავი; თუმცა, მართალია, ბევრი სიტყვა და აზრი არ ესმოდა, მაგრამ წმინდა, გაუფუჭებელი გული კაკოსი აიბეჭდდა ხოლმე პოეზიის ყვავილების ჩრდილს; ის სიტყვა, პირდაპირ გულიდამ ამოსული, ყოველთვის გაეგება ყოველ კერძს უფლისასა; პოეზიაში „გულსა გულის პასუხი ესმის“ *) და იმ სიტყვას, რომელიც გულიდამა ამოიძახება პირდაპირ, მეორე გულამდინ შუამავალი არ უნდა! ამაშია ის გაუგებარი

*) სიტყვები ბარათაშვილისა.

დ• საოცარი ძალა და ნაპერწკალი სამღვთო პოეზიისა. ბევრჯელ წაიკითხა კაკომ და გადაიკითხა ვეფხვის-ტყაოსანი, თანდათან უფრო და უფრო ესმოდა, რასაც კითხულობდა; და როცა უფრო ბევრი ესმოდა, ვიდრე არა, მაშინ დაიწყო თავისთვის განხილვა, თუ ასწორებდა რასმეს თავის-თავში, რუსთაველის გმირების ყალიბით ასწორებდა. იმიტომაც კაკო გამოვიდა ბოლოს იმისთანა რომანტიკული კაცი, როგორც იხილავთ თავის დროზედ, ჩემო კეთილო მკითხველო, თუ წაიკითხამთ ბოლომდინ და არ მოიწყენთ ჩემს უბრალო ყბედობისაგან.

ესე სულ სხვადასხვა-ნაირად იზდებოდნენ ბატონი და ყმა, რომელთაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი; არ ვიცი რის გამო, მაგრამ კი უყვარდათ. იქნება ყმაწვილ-ყრმობა ერთათ გადატარებული, ყმაწვილ-ყრმობის წუხილი და სიხარული ურთიერთს შორის გაყოფილი, დასასრულ სულ ერთად ყოფნა, ერთი მოგონება ყმაწვილობისა, სურვილი ყმაწვილის გულისა, რო გათბეს რითამე გრძნობითა, სიყვარულითა, როცა გარშამო არ არის [---] გული. იქნება ესენი ყოველნი ერთად მოქმედობდნენ სასარგებლოთ ბატონ-ყმის მეგობრობისა, ვინ იცის!.. კაცის გული უძიროა, მიზეზი და დასაწყისი ყოველ იმისი, რაც გულში იძვრის, უთქმელი და აუხსნელია, როგორც საიდუმლო ცისა, როგორც ის ძალა, რომელიც თესლში გამოჰკვანძავს მომავალ მცენარესა! ხშირად ღამე, ოდეს გულაცრუებული სწავლაზედ კოლა დაუძახებდა თავის კაკოს და უბძანებდა ზღაპარი სთქვიო, კაკო აიღებდა ვეფხვის-ტყაოსანს და უკითხამდა ბატონსა. პირველში კოლა ცოტა ხანს დაუგდებდა ყურს და რა ნახავდა, ვეფხვის-ტყაოსანში თავის ცხოვრების საყვედურის მეტი არა არი რა, დაფიქრდებოდა ხოლმე და იქნება ცოტაოდენ სინანულშიაც შევიდოდა, მაგრამ ეგ სინანული იყო წუთისა; გავიდოდა ის წუთი თუ არა, კოლა, თავის თავით შერცხვენილი, უნებლიეთ დაჰკრავდა გაჯავრებული ხელს წიგნს და ვააგდებინებდა კაკოსა ხელიდამ.

— კარგი, გეყოფა! — იტყოდა ხოლმე გულზედ მოსული, — მეორე საზარებაც ერთი ეგა ყოფილა!..

როგორც ლაფი არ გარდაიცემს მზის თბილ სხივებს, ისე საწყალ კოლას გული არ იკარებდა არა-რა კეთილს. კაკო კი სულ მუდამ დასტრფოდა თავის იდეალის აღსრულებას, არ იცოდა კი ბედი ბოლოს რა-რიგად შეუბრალებლად მოატყუებს.

(ნარკვევიდან „კაკო“)

1857, 1859 წ.

გლეხის სწავლა-განათლების პირობები

...თოთხმეტის წლისა შევიქენით ბატონი და ყმა, როცა ქალაქში სასწავლებლად დათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა. მეც რასაკვირველია, თან უნდა გავყოლოდი. მამა-ჩემმა რომ შეიტყო ესა, იახლა ბატონს და ჩემი თავი სთხოვა. ხომ მოგეხსენებათ: გლეხკაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებას. თუნდ ეგ არ იყოს, მამა-ჩემს პირველ ცოლიდამ მარტო მე დავრჩი, და, მგონია, ვეძნელებოდი, არ ვემეტებოდი შორს გასაგზავნად.

დიდი ბატონი—ღმერთმა აცხონოს—მეტი გულთბილი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამა-ჩემიც ეცოდებოდა. ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბძანა: გაბრუშკი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა-შენთან, მე ძალას არ დაგატან. ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ: შვილი მამისა არის. ამისთანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო...

მე ალმური ამივიდა სახეზედა, ბატონი თითქმის მამა-ჩემს მოურბილდა და, ვაი თუ აქ დამაგდონ-მეთქი. ის კი არ იცოდნენ: მე დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა ჩემ დედინაცვალთან ასის წლის ცხოვრებასა. გული მეტკინა, მახსოვს თვალებში ცრემლიც მომერია. ვსთქვი ჩემ გულში: გამიწყრა ღმერთი, ისევ ჩამაგდეს იმ ქაჯის ხელშია! მაგრამ ღმერთმა უშველოს, დათიკომ დამიხსნა ცეცხლისაგან. ის თავდაპირველადვე ერთი ამაყი, თვით-რჯული ბავშვი იყო, რასაც იტყოდა, მოკვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივლიდა. მე რომ დავჩუმდი, დიდ ბატონს ის მიუბრუნდა და თამამად უთხრა: თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ. გაჯიუტდა ეს ყმაწვილი, ზედ გადააკვდნენ და ვერ გადაათქმევინეს ნათქვამი. რა ექნა დიდ ბატონსა? მამი-ჩემისაც ეხათრებოდა და თავის შვილის ამბავიც იცოდა. ბოლოს, რომ ვერა გააწყო-რა, ბატონმა ისევ მამი-ჩემის წყენა ირჩია და უთხრა თავისებურად, გულმტკივნეულად: ხომ ხედავ, ჩემო დათო, დათიკო ისე შეჰჩვევია შენს შვილს, რომ მოშორებაძნელება. დაე წავიდნენ! კარგია რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ: ყმისათვის ბატონთან შეზრდილობა დიდი ზურგია. ნუ დაუშლი, თუ ღმერთი გწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი.

მამა-ჩემსა ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა: უგემურად გაიქნია თავი და ისე გაჯავრებული და გულაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს მივდიოდი, არც-კი მინახულა. ეგ, გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ შევიმჩნიე მაშინ. ბოლოს კი ბევრი ვინანე. ის-ის იყო, მამა-ჩემი თვალით ვეღარა ვნახე: იმავ წელიწადს ამოიჭამა წუთის-სოფელმა, და მე ისე, მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტო დავრჩი ამ ტრიალ ქვეყანაზედა. ამ თვალმიუწდომელ დედამიწის ზურგზედ ერთი დათიკოლა დამრჩა. მე იმაზედ დავლიე ობოლის გულის სიყვარული!..

ჩავედით ქალაქში. ჩვენ დაგვაყენეს დიდ ბატონის ნათლიდედასთან. ის იყო ერთი ღარიბი, ქვრივ-ოხერი, ხნიერი დედაკაცი. ერთი ვაჟიშვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეჰშურებოდა იმისთვის ბედსა და წაერთმივა საწყლისათვის. ორ-ოთახიანი სახლი ჰქონდა მტკვრის პირას. მე რომ მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა, ვთქვი ჩემს გულში: აქ, მგონი, ჩვენ კუჭს ვერ გავიძღობთ-მეთქი. მერე დათიკოსაც ვუთხარი ეგა, იმან გამიცინა და მითხრა: თორმეტი თუმანი უნდა ვაძლიოთ წელიწადში და წლის სამყოფი პური და ღვინო, როგორ შეუძლიან მშივრები დაგვყაროსო? მართალი უნდა სთქვას კაცმა, ის დალოცვილი ისე გვინახავდა, როგორც საკუთარ შვილებსა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმის სულს!..

დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა, სადილად შინ მოვიდოდა, სადილს უკან წავიდოდა, ზარების დარეკვის დროს ისევ შინ დაბრუნდებოდა. საწყალს რაღაცა რუსული ტანისამოსი ჩააცვეს. ძალიან ითაკილა პირველში, ასე რომ ერთხელ შემომტირა კიდენაც, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ კაცის ამბავი,—ყველაფერს მალე შეეჩვევა; ისიც შეეჩვია. მე ბევრი საქმე არა მქონდა. რაკი დათიკოს სკოლაში გავისტუმრებდი და სახლს დავკვიდი, მთელი დღე ისე გულ-ხელ-დაკრებილი ვიჯექი. ხანდისხან იქნება ბაზარში გავეგზავნე დედაბერსა მწვანილის სასყიდლად, სხვას ყველაფერს თითონა ჰყიდულობდა. მეც, რაკი ჩემს საქმეს ბოლოს მოვუღებდი, ავიღებდი თავს და ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯდებოდი, თვალებს ავაყოლებდი ამვლელს და ჩამომვლელს, როგორც მოგეხსენებათ უსაქმო კაცის ამბავი. ჩვენის ქუჩიდამ ერთი ვიწრო ქუჩა აუბრუნდებოდა, და იქავ ერთი პატარა საყდარი იდგა; იმის დასწვრივ, ჩვენკენ ამ ორ ქუჩის კუთხეში ერთი უშველებელი, დიდი ალაყაფის კარებიანი სომხის სახლი იყო. იქ ხშირად მინახავს ერთი მოზრდილი იმერლის ბიჭი; უფრო საღამოს ხნობით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების დირეზედ და სულ რაღაც ხელნაწერსა კითხულობდა. მე ძალიან გამიკვირდა, ვინ ბიჭი-მეთქი, და ვინ წიგნის კითხვა!.. მე მაშინ, ბრიყვსა, წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა. თურმე, ნუ იტყვით, ჩვენისთანა საწყალ კაცის შეფერებაც სცოდნია. ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა!

ერთხელ კვირა-დღე იყო. დათიკო სადღაც წავიდა და საღამომდინ შინ არ შემოუხედნია. იმან როგორღაც ორიოდ თვეს შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდისხან მამლის ყივილამდინაც არ შემოვიდოდა შინ. მგონი, მაშინ იმას სწავლაზედ გული აცრუებულიცა ჰქონდა. კვირა-დღე იყო, როგორც მოგახსენეთ. მე შინ საქმე არა მქონდა-რა, გამოვედი ქუჩაში. ჯერ ჩვენ საყდარში წირვა არ გამოსულიყო. გავედი თუ არა, ის იმერლის ბიჭი წიგნით ხელში იქავ დამხვდა, საცა უწინ ვხედავდი ხოლმე; მეც აქეთ ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯექ და დავუწყე ცქერა, ის ბიჭი თვალაუღებლივ კითხულობდა; ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დასცქეროდა მუხლებზედ გადაშლილ ნაწერსა. მე გულმა ველარ მომითმინა. მივედი იმასთან და გამარჯვება ვუთხარი. იმანაც, რასაკვირველია, სალამი მამცა.

— შენი სახელი, ძმობილო?—მკითხა იმან.

— გაბრიელ. შენი?—ეხლა მე ვკითხე.

— გლახუკა.

— სადაური ხარ?

— რაჭველი. შენა?

მეც ვუთხარი, სადაურიცა ვარ.

— რაჭველი? მაშ მოჯამაგირედ იდგები?—დავუმატე მე.

— დიაღ, სომეხთან ვდგევარ. შენა?

— მე? ბატონის შვილს ვახლავარ.

— აი, ყმაწვილი რომ დაიარება, იმას?

— იმას.

— დიდი ხანია ქალაქში ხარ?

— კარგა ხანია. შენა?

— მე, თუნდა ორი წელიწადია აქა ვარ.

— მეც, ერთი წელიწადი იქნება, აქა ვარ და რატომ ადრევ არ მინახივხარ?

— აქ არ ვიყავი, ჩემი აღა კარგა ხანი იყო კახეთში და თან ვახლდი. ეხლახან ჩამოვედით, ორი თვე არ იქნება ჯერ კიდენ.

— კიდეც იმიტომ. ეგ რა არის?—ვკითხე და დავანახვე წიგნი.

— ზღაპრების წიგნია, ჩემო ძმაო! საქმე არა მაქვს და გულს ამაში ვართობ.

— აბა, თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე, მეც გავიგონო,—ვუთხარი მე ხვეწნითა.

დამიჯერა იმ კაი კაცმა და დაიწყო ისეთნაირად კითხვა, რომ, ღმერთო შეგცოდე, შური მომერივა. ეგ კიდევ არაფერი: ყური ვუგდე და ის, რასაც კითხულობდა, თითქო მეცნო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოს. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადამიტრიალდა. „დალახვრა ღმერთმა,—წამოვიძახე უცებ,—ჩვენი გლეხური

ზღაპარი აქ სად მოსულა?... დიაღ, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ. იმერლის ბიჭმა ჩაიცინა ჩემ სიტყვაზედა.

— ეგრეა, ჩემო გაბრიელ!—მითხრა გლახუკამ,—წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენი სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას—სოფელში წაიღებს; საიდგან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს.

— მართალი ყოფილა, როგორცა ვხედავ,—ვუთხარი მე,—მაგრამ... ჩვენი ზღაპარი!.. აი, „დალახვრა ღმერთმა, წიგნში ჩაწერილა! აბა ერთი კიდევ წაიკითხე.

კიდევაც წამიკითხა ამ დალოცვილის შვილმა. რა გავაგრძელო, იმ წიგნმა თავი შემაყვარა. ისე ჩემ სიცოცხლეში არა მინატრია-რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე: მშურდა, გეტყვით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ ისე თამამად კითხულობდა, მე კი ისე უხეიროდ დავეხეტებოდი. ბოლოს, გულის წადილს რომ ვეღარ გავუძელ, მივვარდი ზედ გლახუკას და დავეღრიჯე:

— თუ ღმერთი გწამს, მოდი ერთი მადლიანი საქმე ჰქენ და წიგნი მასწავლე. მე ერთი ობოლი ბიჭი ვარ, თუ მე ვერ გადაგიხდი სამაგიეროს, ღმერთი ხომ დიდია!..

რას ბძანებთ?.. მაინც ისე უსაქმოდ ვალამებდი ჩემს დღეს. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა.

— მართლა გულითა ხარ მოწადინებული?—მკითხა გლახუკამ.

— რას ამბობ? მოწადინებულიო!.. ზედ დავაკვდები, შენ ოღონდ ეგ სამადლო საქმე მიყავ!—ვუპასუხე გიჟსავით.

— მაშ თუ აგრეა—ადვილია.

— ვაცხონე მამა-შენი!..—შევყვირე გახარებულმა—მადლიანი ბიჭი ყოფილხარ.

— ნუ გგონია რომ მე გასწავლი. მე არ დაგზარდებოდი, მაგრამ ხომ იცი, ძმაო, მოცლა არა მაქვს, მე კაი ოსტატს გიშოვნი.

ფერი მეცვალა, ეს რომ მითხრა. როგორც თავმოწონებული ფარშევანგი ჰხაროობს მინამ თავის შავ ფეხებს დაინახავს, როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფუთებს დაღონებული ჩამოჰყრის,—ისე ამ სიტყვებზედ ჩემმა ჯერ წახალისებულმა გულმა ჩამოჰყარა ფრთები.

— ეჰ, ძმობილო!—ვუთხარი გულნატკენად—შენშიაც მოვსტყუვდი. ოსტატს კაი გაძღოლაც უნდა, მე ცალი ფულიც არა მაქვს, თვალზედ მივიკრა. ვხედავ, რომ ტყუილ-უბრალოდ წახალისდა ჩემი წადილი.

იმან გამიცინა და მითხრა:

— აჩქარებული კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავით ჰფეთქავ. განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რომ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექნება? მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწაელოს.

— გულს მირბილებ განა?—ვკითხე უჯერობით.

— დამიჯერე, მართალს გეუბნები.

— მართალს?!

— ჰო, ისეთი კაცი გიშოვნო, ძმასავით მოგეხმაროს.

— ბიჭოს!.. მაშ ღვთის კაცი ყოფილა!..

— შენ არა სტყუი. სწორედ ღვთის მსახური კაცია. მეც იმან მასწავლა, ღმერთმა გადაუხადოს სამაგიერო.

— არა,—დამაცა: როგორ თუ ღვთის მსახურია, სამღვდელოა?

— სწორედ. შენ ხომ ამბობ ფულიო, ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს: ვისაც არ უნდა, იმდენს ეჩიჩინება, იმდენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომინებს. მეც ისე მნახა ერთხელ აქ ქუჩაში. დაილოცა ის დღე, ჩემთვის კაი დღე იყო... დამიწყო დალოცვილმა ლაპარაკი: სადაური ხარო, აქ რას აკეთებო? მეც ყოველისფერი მოვახსენე. რა გავაგრძელო, ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილის სიტყვით, ისე შემიჩვია, რომ, ბოლოს, წიგნის სწავლებაც დამიწყო. რა მე?.. ათიოდ პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები, იმასთან დადიან და სწავლობენ...

თქმა აღარ უნდა, რომ მეორე დილით, რაკი ჩემი საქმე გავათავე გულმა მღვდლისაკენ გამიწია. მე გლახუკას გამოვკითხე მღვდლის სახლი და მარტოკა წავედი. შევაღე დაბალი ქუჩის კარი. დერეფანში ერთი უბრალო ტახტი დამხვდა, ზედ ისხდნენ შვიდიოდე პატარა ბიჭები. შუაში თავმოხდილი იჯდა ჩვენი მღვდელი. ზოგს აწერინებდა, ზოგს აკითხებდა. იქით, პატარა მოშორებით, ვიღაც დედაბერი კედლის პატარა ბუხრის წინ ქვაბებს დასტრიალებდა. თვალი შემასწრო თუ არა, მღვდელმა გამიღიმა: ოჰ, გაბრიელს გაუმარჯოს,—დამიძახა მაშინვე.

მე თავი დავუკარი და კურთხევა ჩამოვართვი.

— მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება,— მიბძანა ხელაახლად.

— შენის წყალობით და ჩაგონებით, შენი ჭირიმე!—მეც ვუპასუხე.

— ვითამ?

— რა ვიცი? მე ის კი აღარა ვარ, რაც შენამდინ ვიყავი და.

— მეფერები თუ?

— მე არ მოგიკვდე, გაბრიელმა მაგითი შენ გული არ აგაყრევინოს!

— თუ ღმერთი გწამს, მითხარ: რამდენი წლისა ხარ?..—მკითხა და არ ვიცი რისთვის გადამიგდო ბანზე სიტყვა!

— მგონია, თოთხმეტ-თხუთმეტისა ვიქნები...

— თოთხმეტ-თხუთმეტისა...—გააგრძელა სიტყვა, თითქო არა სჯერაო, და დაფიქრებით თვალი თვალში გამიყარა.

— რაზედ მკითხე, შენი ჭირიმე?

— ისე გკითხე. მერე. სწორედ გითხრა... მეტისა მეგონე...—ეს ისეთ ჭოჭმანობით და შესვენებით მითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო და შუაზედ გაწყვიტაო.—აი, დედავ,—მიუბრუნდა უცბად მღვდელი დედაბერ-

ა,—წუხელ რომ გითხარ გაბრიელი—ეს არის. თოთხმეტისა, თუ თხუთმეტის წლისა ყოფილა...

ბებერმა შემომხედა და სთქვა:

— ღმერთმა გაუზარდოს თავის დედ-მამას სასახელოდ.

მე არ გავაგრძელებ ჩემ წიგნის სწავლასა, ისეცა გრძელდება ჩემი ამბავი და ვფიქრობ—თავი არ მოგაწყინო. მარტო ამას კი ვიტყვი, მამა შვილს ისე როგორ მოექცევა, როგორც ის ჩვენ გვექცეოდა. დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი! ცალი არ ჰყვანდა ქვეყანაზედა. მე მალე მიმახვედრა წიგნსა. სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვებიც გავიზეპირე, დღევანდლამდინ მახსოვან. მარტოობაში ღმერთს დღესაც იმ ლოცვების სიტყვებით ველაპარაკები, ისინი მიკვალავენ ცისაკენ გზასა და დღე-და-დღე იმათთან ვაყოლებ სულსა. ღმერთო! შენ გაუნათლე იმასაც გზა სააქაოსაც და საიქიოსაც! თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ, ის იმათში პირველია.

არ გასულა სამი-ოთხი თვე, რომ სხვა შაგირდებს დამაშორა. მიბძანა: „შენ, ჩემო გაბრიელ შავარდენი ჰყოფილხარ. მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ: სხვა შაგირდები ტაატით მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით იცლიან, და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მოვუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ“.

მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა. მიქებდა ხოლმე გულისყურს და მიხვედრასა: „ვიცი,—ზედ დაატანდა ხოლმე,—შენ მაგითი თავს არ გაიზვიადებ, ჭკვიანი ბიჭი ხარ, იმიტომ პირში გეუბნები“.

გავიდა რამდენიმე დრო, წიგნი კარგად დავიხელთავე, წერაც გავიკვეთე. ერთხელ, როცა წიგნის კითხვა გავათავე და ნაწერიც მომიწონა, მომისვა გვერდით და დამიწყო თავისებურად ლაპარაკი. ეგ იმან ხშირად იცოდა ხოლმე, როცა კი დავაჯერებდი, რომ მაგითი შინ საქმეს არ მოვცდებოდი. მეც, როგორც მოგეხსენებათ გათამამებულ კაცის ამბავი, ვკითხავდი, ვებაასებოდი, და,—არ ვიცი, ჩემი სიტყვა-პასუხი მოეწონა, თუ არა,—მიბძანა: „შენ ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი მინდა გაჩუქო“.

ადგა, გამოაღო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი დაბეჭდილი წიგნი.

— აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ ვეაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა, თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

— როგორ არა, ღვთისნიერი რამა ყოფილა.

— ღვთისნიერიო!.. რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა—ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია—იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე—ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვიწონებია. ტყუილად

კი არ არის ამ წიგნში ნათქვამი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა...

— ეგ წიგნიც იმან დაწერა?

— არა, იმ ღვთისაგან დალოცვილსა ერთი კარისკაცი ჰყოლია, შოთა რუსთაველი. იმას დაუწერია.

— ეს სულა?

— სულ. თავიდან ბოლომდინ გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთი-ერთმანეთს ვუშველით და გავიგებთ. ბევრგან იმის სიტყვები გაჭირებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ...

— აბა წავიკითხოთ.

მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო, ეწერა: „ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა“. მე ვუთხარი:

— რატომ თავიდამ არ მაწყებინებ?

— ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედან იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრებით მაგის გადაკითხვასა.

მეც დავუჯერე. იმ დღიდგან დავიწყეთ მე და იმან „ვეფხვის-ტყაოსნის“ კითხვა. მაშინ ვიქნებოდი ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. ის დღეები ჩემთვის ულრუბლონი იყვნენ!.. წავიდნენ და არ მობრუნდებიან უკან... რა ვუყოთ? გულს ხომ ისევ ეტყობა იმათი სითბო, ესეც ნუგეშია.

ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხავდა: „გესმისო“? თუ ვეტყოდი „მესმის“, ხომ რა კარგი, თუ არა და მომიყვებოდა და თითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდა...

გზა გამიკაფა, მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და არ დამაცალა ზედ გამევლო!.. მომიტანა კლდემ ქვეშა და, ხომ ჰხედავ, ისე ვქრები, როგორც ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შველის!..

ტყვილად კი არ მითხრა, როცა ავთანდილის და შერმადინის ამბავი წავიკითხე და ატაცებულმა უნებლიედ წამოვიძახე:

— ვენაცვალე შენს დამწერსა! აი! ბატონ-ყმობა თუ იყოს—ამისთანა.

— მოგწონს?—მკითხა მღვდელმა.

— აბა რა?

— მართალი ხარ!—მიბძანა იმან ნაღვლიანად,—უარესს ეგა სჯობია.

ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება და გული; მე თვალი მომარიდა და ჭერს გაუშტერა. კარგა ხანი დაჩუმებული იყო, მერე კი თითქო უნებლიედ, თავის-თავად უფრო დაღონებულადა სთქვა:

— იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ქალამნადა.

მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს. უეცრად ჩემკენ მოატრიალა თვალი. როცა კარგა ხანი კიდევ მოიფიქრა, მითხრა:

— ერთი ეს მითხარ: ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია.

— რასაკვირველია ის, რომელსაც ხელი არ მოჰხვედრია.

— რადა? ის ხომ უფრო გაპატივებულია?

— ვაი იმ პატივს!.. ხან ფრთას აუკვრენ—არ გაფრინდესო, ხან ბოლოს—არ გაიქნივოსო, თვალებს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე—არა დაინახოს-რაო.

— ყველას ეგრე უზმენ ხოლმე?

— მაშა? ამბობენ, თუ არ ეგრე, მიმინო არ გაიგეშება თურმე. კლანჭებზედაც ეჟვნებიან თოკს გამოაბმენ, თუ ვინიცობაა ნავარდზედ გაიწიოს,— არ გაუშვან.

— თოკი თოკია, ეჟვნები რაღადა აქვს?

— ხალისისათვის თუ უკეთებენ: ატოკდება, თუ გაფრინდება,—ეჟვნები ხმას აძლევენ.

— იქნება. მაგრამ, მგონია ფრთების ფრიალი, როცა კი გაშლის ხოლმე და გაინავარდებს, იმ ეჟვნების ხმას ერჩიენოს და წასახალისებლადაც ის ეყოს.

— აბა მაგას რაღა თქმა უნდა? რასაკვირველია, ურჩევნია.

— მეც ეგრე მგონია, ჩემო გაბრიელ... ეხლა, რას აქნევენ მიმინოსა?

— შე დალოცვილო! ისე მკითხავ, თითქო არ იცოდეო. მწყერს აჭრინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ.

— მერე?

— მერე რა! მწყერებს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ.

— მიმინოს?

— მიმინოს იმას გამოაწიწკნიებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა.

— საწყალი!.. თხის პატრონს არც თხის კუდიო... მერე მიმინო მადლობელია?

— არა მგონია. კიდევ რა! ბევრი მონადირეა, თავის დღეში მუცელსაც არ გაუძღობს,—კარგად ვერ მოეტევებაო; ზოგმა კიდევ ეგ ხანდაზმობით იცის.

— მინამ სული არ ამოუვა, სულ ამ ყოფაშია მიმინო?

— არა. თუ მიმინომ შემოდგომამდინ გაუძლო მონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზედ გაუშვებენ ხოლმე.

— დახე, ყველას დრო სდომებია!..

— მაშ უდროოდ რა იქნება? მინამ მწყერია, ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე.

— მაშ მინამ მწყერები ბუდობენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო?

— დიაღ,—გამეცინა მე,—მინამ მწყრები ბუდობენ.

— მგონი, მწყრები მაშინ მოილევიან, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში; სიმინდი რომ მოიჭრება, ყანები, ფეტვები რომ დაიმკებიან! ერთის სიტყვით, როცა ყოველ კაი კაცის ნამუშევარი შემოვა.

— დიაღ, შემოდგომაზედ მწყერი ილევა, მაშინ მიმინოსაც თავის ნებაზედ გააფრენს ხოლმე მონადირე.

— დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!.. ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია,—სულ ყველაფერი მაშინ მოჰწიფდება და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან, ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!.. კაი დრო არის! პური, ღვინო, ლხინი, ყველაფერია ბლომად. ყველა, დიდი თუ პატარა, მაძღარია მაშინ და მხიარული!.. კაი დრო არის!.. ორი-სამი თვეც,—და გაზაფხულიც ზედ მოებმის ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბილი გაზაფხული!.. ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა!..

მე იმ მღვდელზედ სიტყვა ძალიან გაგიგრძელე, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ. ორიოდე ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, გონებისა და ადამიანობის თვალი,—ავად თუ კარგად,—იმასთან ამიხილებია. ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა,—და ამ უპირო ქვეყანამ სხვა ნურა დამაყვედროს-რა. ამიტომ მიყვარს ჩე იმ მღვდელზედ ლაპარაკი, როცა კი ვლაპარაკობ ხოლმე. სული ისევ სულობს, როცა იმას ვახსენებ. დამიჯერეთ, რომ მე იმის ხსენებაზედ ამ ქვეყნად კიდევ მადლი ღვთისა მწამს, კიდევ მგონია, რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან ძაფი არ გამწყდომია. დალოცა ღმერთმა ის კაცად-კაცი!..

ბევრი რამ მოგახსენე იმ ღვთის კაცზედ, მაგრამ ნაასალიც ვერ გითხარი: იმის გული და ამბავი ზღვა არის და მე უბედურმა კოვზით ზღვის ამოწურვა მოვინდომე. ყბედობაში ნუ ჩამომართმევ, შენი ჭირიმე. თუ მოგაწყინე თავი, ნუ გამკიცხავ და მაპატივე.

ხუთი წელიწადი გაგვითავდა ჩვენ, რაც ქალაქში ვიყავით. მეექვსე წელიწადი რომ დაიწყო, დიდი ბატონის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა. მაშინ დათიკო იქნებოდა ცხრამეტისა, თუ ოცის წლისა. მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინაღვლა და, მგონი, იტირა კიდეც. ჩემსავით დაობლდა და ჩემსავით ნაღველი მალე გადაიყარა. დიდხანს აღარ უფიქრნია: ფიცხლავ შინიდამ ცხენები დაიბარა და სამუდამოდ შინ წამოსვლა დააპირა. მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა ახალს ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა.

არ გასულა ხუთი-ექვსი დღე დაბარების შემდეგ, რომ ცხენები ჩამოგვიყიდნენ. მეორე დღეს უნდა ქალაქიდამ გავსულიყავით. მე მღვდლის სანახავად წავედი.

— გაბრიელს გაუმარჯოს! — შემომძახა მღვდელმა, როცა შევაღე კარები და შევედი იმის პატარა ოთახში, — ამბავი-ხაბარი, ჩემო გაბრიელ!

— დიდმა ბატონმა თქვენი ჰირი წაიღო, — ძოვახსენე მე, — დათიკომ შინიდამ ცხენები დაიბარა და ხვალ შინ წასვლას ვაპირებთ.

— მერე დათიკო სწავლას თავს ანებებს?

— თავს ანებებს.

მღვდელს ეს ამბავი ძლიერ ეწყინა. წამოდგა ტახტიდამ და თავის ოთახში წინა და უკან სიარული დაიწყო. პატარა ხანს უკან მითხრა:

— სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმავო. ცნობილი, ჩემო გაბრიელ! საკვირველია, რომ მე ის ყმაწვილი ვერ მოვიკარე!.. ეხლა შინ იქნება?

— შინ გახლავს.

გადიცვა მაშინვე ანაფორა და წამოვიდა დათიკოსკენ. მეც უკან გამოვყე. დათიკოსთან მღვდელმა არ შემიყოლია.

დათიკოსთან მღვდელმა კარგა ხანი დაჰყო, როცა გამოვიდა, მე წინ დავხვდი.

— ვერა გავაწყე-რა, — მიბძანა მე მღვდელმა ნაღვლიანად, — თავის სიტყვის კაცი ყოფილა. ღმერთმა სიკეთის შეძლება მისცეს.

დილაზედ ჩავალაგეთ ბარგი, დავამზადეთ ცხენები და, მინამ წავიდოდით, მღვდელთან გავიქეცი კურთხევის ჩამოსართმევად.

— მიდიხარ, მიდიხარ, გაბრიელ?! — მითხრა მღვდელმა დაღონებითა.

— გიახლებით. მაშ რა ვქნა? — ვკითხე მე იმ-რიგად, რომ, თუ ეთქო, ნუ წახვალო, — იქნება, არც კი წავსულიყავ.

— უნდა წახვიდე. სხვას ვერასა იქ: შენი ნება შენს ხელთ არ არის.

(მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“)

1859, 1873 წ.წ.

— მოიცა, მოიცა, თუ ღმერთი გწამს! ერთი ასეთი ყმაწვილი კაცი ვნახე ჩვენსა ამაღამ, რომ თავის განათლებით დაგიშოშმანებს მაგ უჯერო გულსა. მაშინ აღარ იტყვი, რომ განათლებულები იშვიათნი არიან ჩვენში, — ეუბნებოდა ერთი გასათხოვარი ლამაზი ქალი ერთ მოხდენილ ყმაწვილ კაცს, როცა ეს წამოიწია სკამიდან და დააპირა გამოთხოება.

— განა მე როდისმე მითქვამს შენთვის, — მიუგო კაცმა, — რომ ტფილისში განათლებულები არ არიან მეთქი? უნივერსიტეტში, მადლობა ღმერთს, ბევრს მიგვიღია განათლება და ხარისხი,—და ეხლა აქ ვაწარმოვებთ ჩვენ სწავლას და ცოდნასა, მაგალითები ათასია.—აქ თვით ყმაწვილ კაცსაც გაეცინა და მის ლამაზმა მოსაუბრემაც ჩაიღიმა.

— დაგწყევლოს ღმერთმა! აქებ კაცს, თუ აძაგებ, ყველგან ეკლებს ხმარობ, ეგ შენს სიბოროტეს ამტკიცებს.

— რასაკვირველია, ბოროტი ვარ, რადგანაც ბოროტების სიძულილით ხმას ვიღებ. გახსოვს ეს სიტყვები: ვინც სიძულილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინება. შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, ჩემო კარგო, და იქნება არ დაიჯერო სიმართლე ამ სიტყვებისა...

— მჯერა, მჯერა! აბა როგორ არ დავიჯერო, როცა ვხედავ ამისთანა მაგალითს თვალწინ: აი ამ ბრძენსა, ქვეყნის სიყვარულისა გამო, დაუხუჭავს თავისი თვალები, რადგანაც არა სურს, რომ დაინახოს შესაძულებელი ვარემოება.—აქ იმ წყეულმა შეხედა ერთ კურთხეულ ფაშვიან მებატონესა, რომელსაც სთვლემავდა სკამზედ, თუმცა დროს გასატარებლად მობრძანებულიყო, მიიქნივა იმისკენ თავისი ლამაზი თავი და ეშმაკობით სავსე ღიმილით სთქვა:

— მე რომ ამისი ქალი ვყოფილიყავ, ერთს აბრეშუმის-სახიან სარტყელს მოუქსოვდი და ზედ ამ სიტყვებს გამოვსახავდი: „ოხ! ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა მექნება მე გაღვიძება?“ უსიტყვოთაც ამ კითხვას მისცემდა პასუხს აგებულება ამ ბედნიერ სტუმრისა,—გაიშვირა მებატონისაკენ ხელი და წასქდა სიცილი.

— ეგრე მადიანად ნუ იცინი, ჩემო ცელქო; ეგ არ არის პირველი და უკანასკნელი. მეც, შენც და სხვანიც, სწორედ მაგისთანანი ვართ, ხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ ყოველი ჩვენგანი სხვადასხვა-ნაირად გამოსთქვამს თავის-თავის და გულის ცარიელობას. ეგ კიდევ ჩვენზედ უკეთესია; შაგას არა მიუღია და არას გვაძლევს. ჩვენ კი... ეჰ, რა ჩვენ? ჩვენი დედ-

ჰამა გატყავებულა ჩვენთვის, გავუზდივართ, გავუგზავნივართ შორს, ჩვენც გავიზარდენით და რა ნაყოფი მოვიტანეთ? ისა, რომ ქვეყანას ვარწმუნებთ, ქართველები არ ვარგანანო. ქართველები ისეთნი არიან, როგორიც უნდა იყვნენ, როგორც დროს და ისტორიას მოუტანია, ჩვენ არ ვარგივართ, ჩვენ, განათლებულები. განათლება იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მიწასთან გავასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ, როგორც ძმას, რომელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ. აი—კაცი განათლებული, მარგებელი ქვეყნისა, აი ამ-გვარ კაცის წინ მოვიდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ. თორემ დაგვიჟინია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამგრძნობელი არა ჰყავსო, და ამისა გამო დაგვიკრეფია გულ-ხელი და არაფერში ვერევით. ერთი ჰკითხე იმ საზოგადოობის გულცივობაზედ განათლებულს მოჩივარს, თავის სიცოცხლეში უთქმო რამე იმისთანა და იმ-რიგად, რომ გაგება შეეძლებოდეს?

(„მარგალიტი ლექსში". — ნაწყვეტი.)

[1859—1862 წ.]

I

მე იმას შევხვდი ერთის დიდის კაცის წვეულებაში. ტურფად დარახტულ და დაკაზმულთ ქალ-კაცთა შორის, რომელნიც მის გარეშემო ჯიან-ჰველასავით ირევოდნენ, განდეგილად და განშორებულად მათგან იჯდა იგი მარტო ერთს კუთხეში და უყურადღებოდ გამოიჭყიტა თავის კუთხიდან, როგორც ია სურნელი და მშვიდობიანი თავის ჩრდილიდანა. იმ უგემურს და თითქო ნაბძანებს მხიარულებაში იგი არ ერეოდა, თუმცა კი გონიერნი თვალნი მისნი თან სდევდნენ იმ ჭრელს ხალხსა.

იმის სახის მეტყველება, რაღაც მშვიდობიანის მშვენიერებით და კეთილშობილის სიამაყით სავსე, არას აჩენდა იმისთანასა, რომლითაც მის მაყურებელს შეეძლო ეცნო, რომ იგიც თანაზიარია იმ უგულო მხიარულებისა, რომელიც დიდკაცის შეყრილობაში მეუფებს ხოლმე. მშვენიერო ქალო! წარსულთა დროთა მოგონებამ განმიღვიძა ბევრი რამ იმისთანა, რომლის წარმოდგენითა უკეთესნი ძარღვნი მწყდებიან; სხვათა შორის განმიღვიძა შენი სახეცა, შენი სახელიცა, რომელსაც არავის ვაუწყებ და რომლის მოგონებითაც განმიცხოველდება ხოლმე უკეთესნი ჩემნი იმედნი კაცის სიწმინდეზედ და სიკეთეზედ.

კავშირი, რომელიც ჩვენ შორის იყო, იყო წმინდა, ვით მცნება ღვთისა: მე შენ პატივს გცემდი ვით უკეთესსა დედაკაცსა და თაყვანება ჩემი ამის გარეთ არ გადიოდა და არც გასულა.

ხსენებულს ყრილობაში მე შევხვდი მას მეორედ, იგი იყო მაშინ თექვსმეტის წლისა. მე მის სახეს არ აგიწერ, მკითხველო, იმისათვის, რომ საცა ლაპარაკია სულის სიღონეზედ და ადამიანობის ზნეობითს ძალაზედა, იქ სახე შენთვის საჭირო არ არის.

მე როგორც ნაცნობი მივედი მასთან და ნება ვჰსთხოვე მასთან დაჯდომისა. თავის დაქნევით მანიშნა ნების დართვა. მე დავჯეგ.

— მე მიკვირს, რომ ამ საუცხოო მხიარულებაში თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ,—დავიწყე მე:—რათა ზიხართ მარტო?

— მე მიკვირს, რომ თქვენ ეგ გიკვირთ, — მიპასუხა მან და, თითქო ლაპარაკი აღარ უნდაო, თვალი აადევნა ხალხსა.

— საკვირველი რა არის, რომ მე გავიკვირე თქვენი მარტოობა ამ დიდს წვეულებაში. თქვენს ხანში ეგ სწორედ საკვირველია.

იმან ამაზედ მე პასუხი არ მაღირსა, ხოლო ტუჩები აიწურა და მით მაჩვენა, რომ ჩემი ეგ სიტყვები არ მოეწონა.

— მე როგორც გატყობთ, დღეს ვერა ხართ ლაპარაკის ქეიფზედ,— კვლავ დავიწყე მე.

— მაგისას ვერას მოგახსენებთ,—მიპასუხა იმან,—არის ერთგვარი ლაპარაკი, რომელიც კაცს ქეიფზედ ვერ მოიყვანს.

— ესე იგი სულელური—დავასწარ მე.

— თუნდა სულელურიცა.

— მადლობელი ვარ დაურიდებლობისათვის და პირში თქმისათვის.

— არა ღირს მადლობად.

— რატომ? დაურიდებლობა და პირში თქმა ჩვენს საუკუნეში ღირსებაა.

— ნუთუ მართალს ბძანებთ,—მომიგო მან გაკვირვებით და ჩემკენ მობრუნდა,—ღირსებააო, პირველად მესმის.

— საკვირველიც არ არის: თქვენ იმისთანა წრეში ცხოვრობთ, რომ მართლათაც უნდა დავიჯერო, რომ პირველად გესმისთ.

— თქვენ ჩემ წრეს თავი დაანებთ. იგი განსაკიცხველი კი არ არის, შესაბრალისია.

— მე იმ წრის განკიცხვას დავეჩვიე და ამ ჩვეულებას თქვენის პატივისცემით ვერ გადავეჩვევი.

— როგორ თუ დაეჩვიენით? მე არ მესმის.

— იქნება ვერც გაიგოთ.

— იმიტომ ხომ არა, რომ მაჟა-პაპის თქმულისამებრ დედაკაცს თმა გძელი აქვს და ჭკვა მოკლე.

— მე ეგ არ მინდა მეთქო. მე მარტო იმას ვამბობ, რომ კაცმა უნდა ან თვალით იხილოს, ან გამოსცადოს ტანჯვა მრავალთა, რომ სრულის სიძულილით შეიძულოს ის, რაც იმ ტანჯვის მიზეზია. ჩემის ფიქრით ერთ მიზეზთაგანი ის არის, რომ კაცთა ცხოვრების ანბანში ამომთავრულები არიან, რომელნიც იხმარებიან წერტილს შემდეგ, ესე იგი მის შემდეგ, როცა აზრი წყდება.

— კარგი მკაფიო ოხუნჯობა გცოდნიათ,—მიპასუხა მან დაცინვით:— მაგრამ ამ ქებასთან ესეც უნდა გითხრათ, რომ მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლიან. ამას ულონობაში კი ნუ ჩამომართმევთ, მე იმიტომ არ შემიძლიან, რომ თქვენ ერთს საგანზედ არა სჯგეხართ და ფეხს ვერ იმაგრებთ, რაზედაც დადგებით ხოლმე. მაგრამ რა? ეგ საზოგადო თქვენის ყალიბის ხალხის ჭირია. მე ვგონებ, რომ მრავალთა ტანჯვის მიზეზი თან-მიუყოლებლობა და დაუდგრომელობა არის. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— იქნება ეგეც მართალი იყოს.

— მე მიხარიან, რომ თქვენ მართლმსაჯულობის ნიჭი გქონიათ, რადგანაც თქვენი თავი თქვენვე განკიცხეთ.

ძალიან მომეწონა იმ ჭალის ესეთი გაბედვით ლაპარაკი და პირში თქმა. ეგ პირში მიხლა სიმართლისა, დაურიდებლობა, რომელსაც ქვეყანაში უზდელობას ეძახიან, მე ყოველთვის ტალანტის და ნიჭიერების ნიშანი

მგონია. მე ჩემს გულში გავიფიქრე, რომ ამ ქალს გაფრთხილება უნდა და ისე დავიჭირე საქმე.

— რაში შემწამეთ დაუდგრომელობა?—ვკითხე მე.

— ნუთუ არ გესმით, რაში? თქვენ დაიწყეთ ლაპარაკი მასზედ, რომ უნდა თუ არა უგუნურებას განკიცხვაო, მერე არ ვიცი, რომელ ხიდით ამ განკიცხვიდამ გადახვედით სიძულილზედ. რომელზედ მოგცეთ პასუხი?

— თუნდ იმაზედ, რომ მე ვამბობ, უგუნურებას განკიცხვა უნდა-მეთქი.

— ჯერ მიბძანეთ, რაზედ ააშენეთ ეგ განკიცხვის უფლება?

— კაცის წაუმხდარ ბუნებაზედ. ყოველს ცუდს გამოაშკარავება უნდა, საქვეყნოდ გამოფენა.

— რისთვის?

— სხვათა საზიზღრად.

— ნუთუ ეგ არის თავი და ბოლო კაცის მოქმედებისა?

— მე მგონია.

— სრულებით შემცდარი ხართ. საზიზღარი არის იმისთვის, ვისაც უთქვენოთაც განწმენდილი აზრი აქვს, ამ-გვარ ხალხს თქვენი გამოფენა არ უნდა. ცუდი თითონ საზიზღარი არ არი: ჩემის ფიქრით ცუდი და კარგი ქვეყანაზედ თავის-თავად არ არსებობს. მგონი, თუ მეხსიერებამ არ მიღალატა, შექსპირი ერთ ადგილას ამასვე ამბობს და უმატებს, რომ კაცის აზრი არისო—ერთი საგანი ცუდი და მეორე კარგი.

— ეგ მართალია.

— მაშ თუ ეგ მართალია, თქვენ მტყუანი ხართ, იმიტომ რომ აქ განკიცხვა, ესე იგი გამოფენა ცუდისა, კი არ უნდა, კაცის აზრის განწმენდა უნდა. ესე იგი ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის გონიერებას თავისი საკუთარი საზომი ჰქონდეს. აი მოდგანი. იღვაწეთ, გულმტკივნეულნო გამკიცხველნო!

— განკიცხვა ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლითაც ადამიანს შეუძლიან მაგ განვითარებამდინ მისვლა.

— კაცის გამცარცველს, ანუ კაცის მკვლელს დაუხატეთ მისი ავკაცობის სურათი, განეწმინდება გონება!.. იმისთანა სურათს ხომ ვერ დაუხატავთ, რომელსაც იგი თავისთვისა შეჰქმნის ხოლმე და ყოველთვის თვალწინა აქვს. რატომ არ ეზიზღება თავისი ხელობა?

— იმათთვის განკიცხვას ძალა არა აქვს, ისინი სნეულნი არიან ჩვენ-შორის. იმათ წამლობა უნდა. ხოლო იმათი სიცუდის გამოფენა სხვას შეაყენებს.

— თუმცა მე ეგ არა მწამს, მაგრამ მაგაზედ დაგეთანხმებით. ახლა გადავიდეთ იმ წრეზედ, რომლის განკიცხვაც თქვენ ჩვეულებათ გაგიხდიათ. თქვენის აზრით, თქვენი განკიცხვა იმ წრეს ვერ გაასწორებს, როგორც ცუდს კაცს მისი ცუდის საქმის გამოფენა. ახლა ერთი ეს მითხარით, მაშ რიღასთვისა ჰკიცხავთ. რომ სხვანი შევაყენოო, მეტყვით მე. რაზედ უნდა შეაყენოთ?

— რომ ის ცუდი არ მიითვისონ, რაც თან სდევს იმ წრესა.

— არ შვიძლება დამისახელოთ ის ცუდი?

— უქმობა, ფართიფურთობა, ქარაფშუტობა და ყველაზედ მავნებელი—სხვისით ცხოვრება.

— ქარაფშუტობა და ფართიფურთობა ყველა კაცის ჭირია საერთოდ და განსაკუთრებით თქვენისთანა კაცებისაც, უკაცრავად კი არ ვიყო.

— ნურას უკაცრავად. თქვენის ლაპარაკის ჰანგს მე ყური შევაჩვიე. თუმცა ყურსა ჰსჭრის, მაგრამ გონებას აღვიძებს.

— რაც შეეხება უქმობას და სხვისით ცხოვრებას, ამაზედ აი რას გეტყვით. უქმნი თავიდამ ბოლომდინ ყველანი ვართ. სხვისით ცხოვრება ყველას გვიყვარს. არც ერთზედ და არც მეორეზედ მგონი თქვენც უარი არა თქვათ. ჩემის ფიქრით, შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა, ერთ მხრივ იბრძვის შრომის სიძულილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი.

— არა, შრომა—ცხოვრებაა, ცხოვრება—სიამოვნებაა.

— ეგ მარტო ლამაზი ფრაზაა, ჩემის ფიქრით. მე კიდევ ჩემს აზრს მივუბრუნდები, რომელიც არ გამათავებინეთ. უნდა ამაზედ დამეთანხმოთ, რომ შრომა კაცის ბუნებასა ჰსძულს. ეს სიძულილი ასეთი ძლიერია, რომ მე მგონია, კაცი იმოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ეღეჭნა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საჭიროების შესამსებელად. მაგრამ აი საქმე რაში მდგომარეობს. სიამოვნება, რომლისათვისაც კაცი იბრძვის, რომლისათვის თვისთა შეძულებულს შრომას კისრულობს, ის სიამოვნება უნდა კაცობრიული იყოს, აზრით და ზნეობით სავსე. მართალია, ის წრე, რომლის განკიცხვაც თქვენ ჩვეულებათ, გამხდარა, იმ სიამოვნებით კმაყოფილია, რაც მას გარს ახვევია. დანაშაულობა იმათი მხოლოდ იმაშია, რომ კაცობრიულს, ესე იგი უმაღლეს სიამოვნებას, როგორც ზრუნვას მოყვასისათვის, მოქმედებას სხვის კეთილდღეობისათვის, შველას ქვეყნიერობის ფეხის წინ წადგმაში, არა ჰსცნობენ. არა ჰსცნობენ იმიტომ, რომ მეცნიერების სინათლე არ მოხვედრია მათ და თვისი სიამოვნება — ჭამა-სმასა, ტანსაცმელსა და მეჯლიშობას იქით ვეღარ გადუცილებიათ. ეანგვანათლეთ, აღგვიმაღლეთ, განგვიწმინდეთ და ჩაგვისახეთ დიდნი სიამოვნებანი და მაშინ დამერწმუნეთ, გულხელ-დაკრეფით არვინ გაიფუჭებს ცხოვრებასა. რამოდენაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა კაცსა ჰსძულს, მაგრამ აუცილებელია. რამოდენათაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთის-კერძ კაცისა, იმოდენად შრომა, როგორც გზა—მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია. მხოლოდ მაშინ კაცი შეიყვარებს ხოლმე შრომას და ბუნებით სიძულილს მოჰსპობს, როცა იგი მიაღწევინებს ხოლმე დიდ საგნამდინა. საქმე საგინია, რომლის მიღწევაც ადამიანისათვის არის უმაღლესი სიამოვნება. ხალხს მიეცით სურვილი დიდის კაცობრივის საგნის მოპოვებისა, და შრომას იგი

სურვილი არამც თუ წაართმევს ყოველს მას, რაც კაცს შრომაში ჰსძულს, არამედ თვით შრომას, თავისთავად საძულველსა, დიდი საგანი სიამოვნებადა ხდის. მარტო ამით აიხსნება ის საკვირველნი ღვაწლნი და შრომაში და ჯაფაში ჯანის დალევა, რომელნიც უკეთესს კაცთა ცხოვრებაშია წაგვიკითხავს. წინ გამოხატული საგანი სცვლის სიამოვნებად შრომასა, თავისთავად უსიამოვნოსა. ეს არის ჩემი აზრი. ამას მერმეთ მგონი უბრალოდღა მკითხავთ, რატომ ჩემი წრის ხალხი არა შრომობსო. იმიტომ არა შრომობს, რომ საგანი არა აქვს. იმ მცირედს საგანს, რომლითაც იგინი იოლად მიდიან, მცირედის შრომითაც ადვილად პოულობენ. რიღასთვის იშრომონ? შრომა ღონისძიებაა მისაღწევად რისადმე. ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნება, და თქვენის აზრით იგივე ნაცარქექიობა ვითარცა შრომა, ცხოვრება იქნება და ის ცხოვრება—სიამოვნება.

— კარგად გამრიყეთ,—ვუპასუხე მე.

— დიახ, ჩემო ბატონო, იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლეს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარი, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა. ან რად გინდათ, რომ მაგ წვრილმანის საგანთა მისაღწევად იშრომონ, ეგ ნაცარქექიობა იქნება. სხვისით ცხოვრებენო, მართალია. ეგ არის ცხადი საბუთი იმათის ულონობისა, შეუძლებლობისა. ჩემი კანონია: ულონო შეიბრალე და ნუ განკიცხავ.

— მაშ თქვენის აზრით შებრალებაზედღა უნდა დავდგეთ და ქვეყანა თავისთავად გასწორდება.

— ეხლანდელნი მცონარე და უქმობით სავსენი ყმაწვილ-კაცნი დიახ გაიხარებენ, რომ ეგ აგრე იყოს. მაგრამ არა, ბატონო! თქვენს სიხარულს ფრთები მოეკვეთება, როცა ვიტყვი, რომ ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავლა უნდა, ქვეყანას გაზრდა უნდა. თუ რამ შეგიძლიანთ, იმოქმედეთ.

— თქვენ რაღას აპირობთ?

— მე? ამ ჟამად მარტო ტანცობას. გნებავთ?

— დიდის სიამოვნებით.

მოვხვიე ხელი და ტრიალით შევერიენით ხალხში.

II

გავიდა ორი თუ სამი თვე. იმ ქალს კიდევ შევხვდი ტეატრში. თუმცა მინდოდა იმის ლოჟაში შესვლა, მაგრამ მოვერიდე, რადგანაც ვიზიტი არ გამეკეთებინა. იმანაც თვალი შემასწრო და მანიშნა, რომ შემიძლიან იმის ლოჟაში შევიდე. მეც ავედი. შევედი ლოჟაში თუ არა და დაკვეც მის გვერდით სკამზედ, იმან მითხრა:

— მინამ თქვენ აქ ამოხვიდოდით, მე ვფიქრობდი: ეს ადამიანები, როგორც ჩანს, მე და თქვენ ვეკუთვნით, რად იჭირებენ საქმეს, რომ სხვადასხვა მოგონილის სულელურის წესით, რომელსაც ზრდილობას ეძახიან, ერთი-ერთმანეთს თავისუფლებას ართმევენ.

მე მეგონა, ამას ჩემზედ ამბობს-მეთქი, რომ მე თითონ ლოჟაში არ ავედი.

— მეც, სწორედ მოგახსენო, — ვუპასუხე ჩემის თავის გასამართლებლად, — ეგრე ვფიქრობ, მაგრამ ვერ გავბედე აქ ამოსვლა, მით უფრო, რომ...

— მე არ გეგონეთ თანამოზიარე მაგ ფიქრისა, განა? — გამაწყვეტინა სიტყვა: — მაგრამ ესეც კი უნდა ვთქვა, რომ მე სრულიად თქვენზედ არ მოგახსენეთ ის, რაცა ვჰსთქვი. მე ამ პიესაზედ ვფიქრობდი. ის სულელი ქალი სცენაზედ იტანჯება მისთვის, რომ მისი სულელი მამა ნებას არ აძლევს, რომ თავის საყვარელ კაცთან შეერთდეს, რადგანაც ქალის არჩეული კაცი დიდი ჩინების და შეძლების პატრონი არ არის. მე ვიცი, რომ ამ ტეატრში ორი კაციც არ იპოვება, რომ მამა არ გაამართლონ. საკვირველი კია. თითონ გონების დაუკითხავათ დაიხატვენ ხოლმე კაცის ღირსების სახეს და, ვინც იმ დახატულობით აღტაცებაში არ მოდის, არ მოსწონთ. რად იკლავს ის სულელი ქალი თავს, წავიდეს და თითონ დაიწეროს ჯვარი. მაგრამ სულელს ეშინიან, გარყვნილობაა მამის უნებურად გათხოვებაო,—ეს არის რიგიანის ზრდილობის დასკვნა. კაცის ბედნიერება ისეთი ძვირფასია, რომ მაგისთანა წვრილმანის წესიერებით არ უნდა შებრკოლდეს. მაგრამ ნახეთ, რა გავლენა აქვს დამდგარს და ცხოვრებაში მიღებულს სულელობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ის ქალი იმას შეირთავს, ვისაც მამა ურჩევს და, თუ ავტორი უხეირო მწერალია, ამ მამის ქცევას ქებას შეასხავს.

— იმისათვის, რომ კაცმა მონების ჯაჭვი გაწყვიტოს, სულის ღონე უნდა. იმ ქალს ეგ არა აქვს.

— მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონეთ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენში ან სულ არ არიან ამისთანა კაცნი და თუ არიან, ძალიან ცოტა.

— ეგ ცხადია.

— უნივერსიტეტში ნამყოფი კი ბევრი ხართ.

— ეგ რაზედ მიბრძანეთ?

— იმაზედ, რომ თუ ჩვენში მცოდნენი და განათლებულნი ცოტანი არიან, ან სულ არ არიან, მაშ უნივერსიტეტში რას აკეთებდით მაგდენი ხალხი?

— იმას ვაკეთებდით, რომ შინაურობაში წამხდარი გული და ზნეობა ჩვენი ცოტად თუ ბევრად გავისწორეთ, გადავიკეთეთ. ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს, ეს არის ჩვენი სახელი.

— შორს არ წასულხართ.

— ცოტათი მაინც ხომ წავედით წინ, თქვენ კი უკან და უკან მიდიხართ.

— ვინ ჩვენ?

— ქალები, ესე იგი მთელი ნახევარი საქართველოსი.

— უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია.

— გაიღეთ კარები და შედით.

— მოუმზადებელნი?

— მოემზადენით.

— რომ არ გვამზადებთ?

— კიდეც ეგა, რომ თქვენ სულ მზა-მზაობა გინდათ. თქვენ ვერას კარგს ვერა იქთ, თუ ძიძაობის შველაზედ ხელს არ აიღებთ. იბრძოლეთ და წაიღეთ. თორემ დაგიკრეფიათ ხელები და შესცქერით: აცა, კარს გაგვიღებენო და ჩვენც დავინახავთო მზიან ქვეყანასაო.

— ძალიან კარგი. ვსთქვათ, გამოვამტვრიეთ ჩვენთვის დახურული უნივერსიტეტის კარები, დავასრულეთ კურსი, მერე სად მოვიხმაროთ ჩვენი სწავლა და ცოდნა? რისთვის გვინდა?..

(„მოთხრობა“ — „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“)

(1859 — 1862 წ.)

გადაგვარებული ფეოდალი—განათლების შესახებ

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი, — უკაცრაოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი, დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები—ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი; ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა. ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება —ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის—ხორცი დნება. ამიტომაც ჭლექები ჭკვიანები არიანო, ამბობენ ხოლმე. ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში,—რატომ სწავლა არა მაქვსო, —სწორედ ამის გამო.

— ეგ ეხლანდელი ჭირიაო,—იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო.

მართალიც ბძანდებოდა მისი ბრწყინვალება: მისის აზრით კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა—რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

— დრო გამოიცვალა,—იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი,— დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო,

ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა,—ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი. რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლევი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი აშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასსა მეონდეს“.—ესა ვთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ...

თუმცა ლუარსაბი ეგრე სწუხდა ეხლანდელ დროების ჭირისა გამო, მაგრამ სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე. „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბძანებს სალმრთო წერილი. მერე რა-რიგად: იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყივლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაჭყეტილები ჰქონდათ, დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგებიდანვე ის გულგადაღეღილი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რაღაცეებით... მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებივრობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებული, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყობას რადა ჰკდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიე-

რებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდენი დღეგრძელება ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფაცხოვრებას შეჰნატროდა. მარტო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აენთო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისთვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს.

როცა ლუარსაბი იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბძანდებოდა, სიკვდილი იყო, რომ ვისმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ესე იგი ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორება. სტუმარი ეჯავრებაო, ამაზედ ამბობდა უგუნური ხალხი, მაგრამ განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი? აბა თქვენგან არ მიკვირს! სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დალევენ? თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არაფერი, ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა: ტანთ ჩაცმა იყო ამის სიკვდილი. მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგის და მის ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო. ზამთარში კიდევ პერანგზედ ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, ვსთქვათ თუნდა დიანბეგი. მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიანბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლაა, რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიანბეგს დიდკაცად არ აგდებენ, თორემ უწინ—უჰ უჰ! რა დიდი ვინმე ბძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინაღამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიანბეგზედ არ გადაკეთდა: კინაღამ „დიანბეგის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობად“ არ შეიცვალა. რომ დიანბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის—ეს ყოველ გლეხ-კაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევ კი თავადიშვილმაც იცოდა.

დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი,—ამაში კი ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ; გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი არა. რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჭყეტდა შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა—ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა—შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და—ჰერი ბიჭო—დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ესე იგი ვაინაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნეინის ტყუილ-უბრალოდ ფაცა-ფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ

შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა, აქ იმას გაუწყრებოდა—რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა—რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა —რისთვის?—არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა—ერთის სიტყვით—მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ,—და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მაითმენდა რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, «მეხი კი დაგეცა»-საც ზედ დაატანდა, თუ ქალიშვილი იყო,—და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჰერში ბუზებსა სთვლიდა. ერთხელ ფრიად ღირსსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს. ეს იყო შუა ზაფხულის პაპანაქებაში, სადილწინ, როცა დარეჯანმა გაათავა ერთი ზემოხსენებულ-გვარი მოგზაურობა და თავში ტყაპუნი და ოფლში გაწუწული შემოვიდა ოთახში. ლუარსაბმა შეხედა, და დაინახა თუ არა რომ ოფლი წურწურით ჩამოსდის წითელ ლოყებზედ, თავის გულში სთქვა სრულიად კმაყოფილმა:—კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.

ესა სთქვა და კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე.

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოვო ოჯახის მოვალეობისაგან—რომლის ნიმუშიც ზევით მოვიხსენიე, მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი. პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა—როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა, ერთი მაშინ მიძღებოდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა“,—და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: გმადლობ შენ უფალო, რათა განმაძღე მე“. ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და, სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელს და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ, მიდნება! ზედაც ემცნევა ჩემს სტომაქსა. გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი, თუ არა, და რა ჰნახავდა რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან. „დიაღ,—კიდევ იტყოდა,—ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც

მშიერია". სადილს შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი,—და ესრეთ ტკბილად და აუმღვრეველად მიდიოდა ამ ორთა უშანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთის-სოფლისა.

IV

იმ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კუნაი დარეჯანი ერთ ბალან-გაცვივნულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა—და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატენილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია.

საღამო ხანი—როგორც მოგეხსენებათ—ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია,—მეტად თუ ნაკლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა, ასე რომ ზოგიერთნი განათლებით გაჩარხულნი ეხლა ვიზიტობენ, თორემ უწინ კი საღამო ხანი დიდს პატივში იყო. ამიტომაც საღამოობით დარეჯანი ეგრე გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ—უკაცრავოდ კი არ ვიყო—საკურტუმესაც კი გაიკეთებდა. მაშინ, როდინდელ ამბავსაც მე ვწერ, ჯერ კრინოლინი არ იყო,—და თუნდ ყოფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდინ ვინ მიაღწევინებდა მაგ იუბკების მეუფესა. ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს, და აბა იმ სოფელში ეგრე ჩქარა როგორ მიიტანდა სახელოვანს „ხაბარდასა". სწორედ გითხრათ, ზოგიერთ სოფლის ორღობეებშიაც ვერ გაეტეოდა ეგ განათლებული კრინოლინი, თუნდ რომ მისულიყო კიდენაც...

ხშირად შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ",—იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ",—იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებმიცემა.

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

— ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო?—გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი.—წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს,—რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ შოგიპარავს, ერთის სიტყვით—რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია,—ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

— დიაღ,—მეტყვი შენ,—მისვამს და ნიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულლიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ—რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ—რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო—რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული.

XIV

აღარ გაათავებ?—მკითხავს მოწყენილი, და იქნება გაჯავრებულიც, მკითხველი.—როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმათი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ?—დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი.

მართო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“—ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის, რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, ჩემო ძველის გზის მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!

გაიარა რაოდენმამე ჟამმა და წუთის-სოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედა-კაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმმა დედა-კაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნება-ღა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი მადა; მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა. ეს-ღა იყო ამისათვის ნუგეშად, თორემ ის პატიოსანი ფაშვი ჩამოეტეხა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა. ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალები უგემურად მიელივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლეღვსავით გაუხდა, ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა,—ერთის სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხა-

რებამ ესე იცის. ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლი-მამამ ნახევარ ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.

მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავისი სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს? რომ ოთხი ფიჩვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი აღლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან“? სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართვლის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბრძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება, შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ვეღარ დაინახავ და იმის გულის-სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! ვინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორიეს საბუთი ისევ ამავე ბოთხრობაში გაქვს, თუ ოდესმე თვალი აგიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია,— ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული, ღარიბი, შიშველ-ტიტველი ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რა-გვარ უბედურობისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასავით. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი, თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ჰხედავდნენ მარტო და თვალისათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონებითაცა. გონებას კი—ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა,—ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა

გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჰეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალ-არეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უჯრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამიგონე ჭორი—შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს—რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში—როგორც მოყვარე—გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ—ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს—შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე—თუ გინდა—მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი,—სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი; რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელ-დაკრებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყვარდა და გათენდება თუ არა,—ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

(„კაცია-ადამიანი“—დან)
1863 წ.

ძველი საზოგადოების დაბეჭდილი გაკვეთილი გავშვის აღზრდაზე

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა,—ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა—სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუჭურმიშაზედ, ვაიღამ ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ველარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა—რომ თვალნათლივ გვძარცავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდება.

... გახსოვს, ამ ოთხის წლის წინად ლოჭინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უშმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე რომ კატასავით დაბირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა!

„შენ მაშინ გულის-ტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი, თუმცა ძალიან დაღალული ვიყავ. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული გამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალყზედ შემიდგა: მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. გაწყდეს, საცა წვრილიამეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი.

„გაგჭურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად ღადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ არ გაგვეძარცვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგეხვდა, ვაზღვევინეო. ამით ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა...

„ამ ორის წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაეხტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომბირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ ჰრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე

ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი,—არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მჭონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფსეღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.

„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო.—აჰა, გადაგიშალე და ლოდი ამეცალა.

„შენს სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხან ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

(მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“).

1879 წ.

წიგნური სწავლა და პრაქტიკული სინამდვილე

გიორგი მოჯამაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჭრა კიდეც გაეკეთებინა ასე და ვაზის რქა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა ეს თავისი ახალშენი, თავმოწონებით უთხრა:

— როგორ მოგწონს? ერთი შეჰხედე გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

— ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიავი თანაბრად დაუვლის ყველგან. ამას წინად, სამი-ოთხი წელიწადი იქნება,—გავიგე, რომ კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა, მინამ არ წავედი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა. კარგია ეგრე.

— ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

— ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჰფიცხდა და აიტკიცა.

— რატომ, ბიჭო!

— იმიტომ, რომ აქ ფერდობია...

— ვაი შენ, ჩემო თავო!—გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა,—შენც ბევრი არა გცოდნია-რა, ჩემო გიორგი. ბიჭო-და, საქმე ის არის, რომ ფერდობია და მზის გული-ფერდობიცა.

— განა მაგას ვიწუნებ? მზის-გულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის...

— მაშ რას ამბობ?

— აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაკი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს, პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.

— მერე რა გინდა სთქვა?

— მერე ისა, რომ ეგრე სისწრაფე ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა. წყალი აღმა ხომ ვერ იქლის?

— მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავ-თავ-ქვესაკენ, რომ ზემოდან ქვევით ედინა წყალს!

— წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად იქლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა, თუ ნიაღვრისა, მაღლიდამ დაქანებული, ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა მიწას, ჩაჰრეცხდა ვენახსა, ზემო-პირის ვაზის სულ ძირს გამოუხრამავდა.

— მაშ როგორ უნდა ყოფილიყო?

— ეგრევე, მაგრამ ლარი სწორეზე კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავ-თავქვე ჰქონოდა და მიწაც ზევიდამ ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდი-გარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა! აქედამ გეზ-გეზად თუ არ წავიდა თავ-თავ-ქვესაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მოიხდენს. ეხლა კი წყალს ავალა პირაღმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედ-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქიდამ, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდამ და იმისთანა ვერა იპოვნა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

— ბატონო-და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა,—უთხრა გიორგიმ, რაკი შეამცნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია.—აი, თუნდა ეხლავ მოვუგდებ წყალს და მაშინაც არ გამოჩნდება!

— საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია,—ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.

— ეგ რა მოგსვლია?!—ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატკბო და-ძმურის სიყვარულის კილომა:—ეგ რა მოგსვლია?

— ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია,—ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჰკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

— შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

— მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის

ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჰკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

— ტყუილმა ბრძნობამ იცის,—დაატანა კესომ და ჩამოართვა ხიტყვა ღიმილით.

— და უვიცობის ცუდმედიდობამ!..—დაუმატა არჩილმა.

(მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი")

1887 წ.

ბავშვი სათავეა დიდი ადამიანისა

(ეტიუდი)

I

— ბიჭო-და, აქ რომ ზიხარ და ჩაჰყუდებიხარ მაგ წიგნებს,—რა გამოდის? ტანთ შენ არ გაცვია და ფეხთ, მშიერ-მწყურვალი გდიხარ ამ ნესტიან მიწურში, მითამ რაო?—ეუბნებოდა ერთი ყმაწვილი კაცი მეორეს, რომელიც ერთ კარგა მოზრდილ მიწურის დარბაზში გვერდთ ეჯდა და შუბლშეკრული იყურებოდა.

— ჩემო კარგო დავით,—უპასუხა მეორემ იმ საამურ დაწყნარებით და დინჯობით, რომელიც თითქმის უტყუარად მოასწავებს ხოლმე ჰკუადამჯდარს და რწმენის კაცს:—სად წავიდე? შენ არ იცი, ეს მიწური ჩემთვის რა განძია. ეს ერთად-ერთი ქონებაა, მამი-ჩემისგან დარჩენილი, და გინდ დამცინე, სხვაგან სამოთხეს მირჩევნია, სად არ ვიყავ, მაგრამ გულმა მაინც აქეთ წამომიღო. საწყალი მამა-ჩემი, შენც იცი, ერთი ღარიბი, მაგრამ მეტის-მეტი პატიოსანი მღვდელი იყო ამ სოფელში. დედი-ჩემის შემდეგ დიდხან ვეღარ იცოცხლა და თან გადაჰყვა. ეს მიწური, სადაც ჩვენა ვცხოვრობდით, სადაც მე დავიბადე, გავიზარდე, სადაც ჩემი პატარაობა გავატარე, სადაც თვითველური მტკაველი ან დედას მაგონებს, ან მამას,—ეხლა მამა-ჩემიც არის, დედა-ჩემიც, ჩემი ძმაც და ჩემი დაც. ხომ ობოლი ვარ, არც და მყავს, არც ძმა, არც დედა, არც მამა, არც არავინ სხვა ვინმე მახლობელი, მაგრამ მე მარტოს ამ მიწურში თავი ისე მგონია, ვითომც ყველანი ესენი გარს მახვევიან-მეთქი. აი ეხლაც ისე მგონია, რომ მე პატარა ვარ, დედა-ჩემი იქ თაროსთან რაღასაც ჰფუსფუსებს და მამა-ჩემი ტახტზე მოკეცილია, ცხვირზე ძველებური დიდი სათვალეები წამოუცვამს, აგრე ცხვირ-წაჭირებული წიგნსა კითხულობს და მე კალთაში უზივარ. ესენი რომ მაგონდება, ვტკბები ადამიანურ გულის-ძგერითა. დამიჯერე, ამ სიამოვნებასაც თავისი ფასი აქვს ქვეყანაზედ და უსასყიდლოდ არავის ეძლევა. აქ ეს ჩემი სიღარიბე არაფრად მიმაჩნია და ვინ იცის, სიმდიდრე ხომცემს თუ არა ამ სიამოვნებას.

— შე კაი კაცო, სემინარიაში პირველი შეგირდი შენ იყავ, ჩვენს დროს შენზე უკეთესად სემინარია არავის გაუთავებია, მერე ხომ უნივერსი-

ტეტშიაც წახვედი, ორი წელიწადი აქა სწავლობდი, ნუთუ მარტო იმის-თვის, რომ აქ, ამ ყრუ ადგილას, მოსულიყავ და სოფელს მწერლად და-დგომოდი.

— უნივერსიტეტში წავედი, მაგრამ ვერას გავხდი,

— თუ შენც ვერას გახდი, სხვა ვინღა რასმე გახდებოდა. შენი ჭირიმე. შექცევას და ქეიფს მოუნდებოდი!.. შენი ამბავი განა არ ვიცი: იქაც დღე-და-ღამ წიგნებიდამ ხომ თავს არ აიღებდი, როგორც აქ.

— ვერაფერს გავხდი-მეთქი, დამიჯერე. სიღარიბემ არ დამაყენა. სხვა ქვეყანაში სიღარიბე ძნელი ასატანია და ცარიელი დავბრუნდი უკან. თუ-რამ ორიოდ გროშსა ვშოობდი, ამ წიგნებს ძღივს გავაწვდინე.

დავითმა ძალა-უნებურად გადახედა ორ-პირს გძელს თაროს, წიგნე-ბით ძალზე ჭედით არიგებულ-ჩამორიგებულს.

— სავსე თარო წიგნებითა და ცარიელი მუცელი არა მგონია ბევრს. რასმე შველოდნენ ერთმანეთსა.

— რად ამბობ მაგას? მე აქ სოფლისაგან თუმანი მაქვს თვეში და, წარმოიდგინე, მყოფნის. ან რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხედავ, ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია,—ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა. მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია.

— მაგ ფილოსოფიას, ჩემო სოლომან, დღეს გასავალი არა აქვს, ბევრს მუშტარს ვერ უშოვი.

— მე კანონს ცხოვრებისას სხვას არ ვუწერ. მე ეგ ფილოსოფია ჩემ-თვისა მაქვს და, ხომ ჰხედავ, არც არავის ვემდური, არც არავის ვემუ-ნათები, არც არავის შევჩივი, ვარ ჩემთვის კმაყოფილი.

— არა მგონია კმაყოფილი იყო. მაგდენი გისწავლია, მაგდენს კიდევ სწავლობ, და ნუთუ შენისთანა კაცისათვის მწერლად ყოფნა კმასაყოფელი საქმეა? მაგას ხომ უბრალო, უსწავლელი დიაკვანიც თავს აუვა.

— ეგ სხვა ამბავია. აქამდის შენ ხორცზე მელაპარაკებოდი, ახლა სუ-ლისა და გულის საქმეზე მიმახედე. აქ, იქნება, შენ მართალიც იყო. სოფ-ლის მწერლობა მეტად პატარა საქმეა, მაგაზე მოცდენა დროს დაკარგვაა მომზადებულ კაცისათვის, მხოლოდ მომზადებულ კაცისათვის კი. მე კი-სწორედ გითხრა, ჯერ კიდევ ვემზადები.

— ამოდენა ხანს იმდენად როგორ ვერ მოემზადე, რომ ერთი ბავში მაინც ჩაიბარო და კაცად გამოიყვანო. საქმე საქმეს მაინც ეგვანებოდა, სხვა არა იყოს-რა.

— აი, ნეტავი, შენის დღეგრძელობით, ეგ შემეძლოს და უკეთესს საქ-მეს მე ვერ ავიჩენდი. უნდა გითხრა, ჩემო დავით, ჩემი სიზმარი ცხოვრე-ბისა, დიაღ, სწორედ სიზმარი, მარტო ეგ საქმეა. ბევრსა ვცდილობ წიგ-ნით, ხილვით, თუ სმენით, რომ წრთვნა ყრმისა ვისწავლო, შევიგნო და მაგ, ჩემის ფიქრით, უუდიდეს საქმეს ისე მოვკიდო, ხელი, ისე ვემსახურო.

მაგ საქმის სიყვარული სემინარიიდამვე დამყვა და დღეს-აქამომდე ჩემს ჯაჭვა-გონებას მაგ საქმეს ვანდომებ. ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მრზდელი ყრმისა მეორე შემოქმედია. რასაც ერთი მიჰმადლებს ბავშს, მეორემ უნდა წრთვნას და ჰზარდოს. მე თუ ამ მიწურს დავანებებდი ოდესმე თავს, მარტო მაგ საქმისათვის. დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იდოს.

— შენ გაჰბედავ, რომ შემთხვევა მოგეცეს?

— როგორ გითხრა? გავბედავ კიდეც და ვერც გავბედავ.

— ეგ რა პასუხია?

— ის პასუხია, რომ როცა ჩემს თავს ვეკითხები, თითქო იმედი მეძლევა, შევიძლებ მეთქი მაგ საქმეს, და როცა მაგონდება, რა დიდი პასუხსაგებელი საქმეა,— გინდა დამიჯერე, გინდა არა,—კანკალი ამიტანს ხოლმე შიშისაგან. სოფლის სკოლაში მიწვევდნენ და ვერ გავბედე.

— ეგ ადვილად გამოსაცნობია: იქ ბევრნი არიან და მაგას შეუშინდებოდი.

— მართალი ხარ. მაგას შევუშინდი. თუ წრთვნა გინდა ბავშისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა—სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არას დროს. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშის წრთვნა-სწავლებაში. მე თუ გავბედავ, მარტო ერთს ბავშს მივიბარებ.

— აი, სწორედ მაგისათვის ვარ შენთან მოგზავნილი. ამირინდო დებედაძეს ხომ იცნობ?

— ამ ჩვენს სოფელზე ახლო სცხოვრობს და ერთი-ორიოდჯერ შევხვედრილვარ მინდორში. გამომლაპარაკებია კიდეც, მაგრამ ისე, ცოტად. კაი კაცი უნდა იყოს: ვისაც კი ჰკითხავ, ყველა სიყვარულით იხსენიებს.

II

დავითს უხაროდა, რომ საქმე ასე კარგად მოეწყო. ის კი არ იცოდა, რომ სოლომანი გულში თითქო ჰნანობდა,—ამ დიდს საქმეში ჩემი საბელი ყელისა ეგრე ადვილად ხელთ რად ჩავუგდეო.

— კარგი კაცია, ცოლი უფრო უკეთესი,—განაგრძო დავითმა,—შვიდის შვილისაგან ერთი შვილი-ღა დარჩენიათ და, რასაკვირველია, ისე შესტრფიან და შეჰხარიან საწყლები, როგორც ერთად-ერთს საგანს თავის ცხოვრებისას. მთელი თავისი ჰირი და ლხინი, მთელი თავისი ადამიანობა, მთელი ქვეყანა ამ შვილში მოუქცევიათ და იმის იქით არარა სწამთ-რა, არარა ენატრებათ, არარა უხარიანთ. რომ ღმერთი გაუწყრეთ და პატარა პატიკო ხელიდამ გამოეცალოთ, მე მგონია, ეს უბედურობა საკმაო იყოს—იმავე დღეს დედაც და მამაც თან გადაჰყვნენ საყვარელს შვილს. ეს არის მიზეზი, რომ შინა ჰზრდიან და სასწავლებელში სადმე მისაბარებლად არ

ემეტებათ. ცოლიცა და ქმარიც შემომეხვეწნენ, რომ შენ როგორმე დაგიყოლიო, იმათს ოჯახში შეხვიდე და შვილი მიიბარო სასწავლებლად. ჯამაგირს თვეში ორ თუმანს გპირდებიან, ჭამა-სმა და სადგური ხომ იმათთან გექნება.

— ჯამაგირს აქ ბევრი ადგილი არა აქვს ჩემს დასაყოლიებლად. ხომ ჰხედავ, მე ნაკლებითაც გაუჭირვებლად ვცხოვრობ. საქმე კი არის, მაგ საიდამ მომაგნეს.

— ნუ იფიქრებ, რომ შენი აზრები, ან სხვა რამ ამისთანა მოსწონდეთ. ცოლიცა და ქმარიც ერთი უსწავლელი სოფლელები არიან და ფიქრადაც არ მოსდით ამისთანა რაღაცეები მოჰკითხონ შვილის ოსტატსა. იმათა ჰგონიათ—ოსტატობა ყველა წიგნის მცოდნეს შეუძლიან, და რა აზრისანი არიან ეს ოსტატები, რა გზას და წესს სწავლა-წრთვნისას დაადგებიან ამისი არამც თუ არა გაეგებათ-რა, არც კი იციან, რომ საჭიროა ამისთანა რამ გამოიკითხონ. მე ვუქე შენი თავი იმ მხრით კი არა, რითაც უნდა იქოს ყოველი მასწავლებელი. ჯერ ერთი, ამას ვერ გაიგებდნენ და მეორე, არც მე ვიცი, ამ მხრით შენ რა ხარ. ჩემთვის საკმაოა, რომ პატიოსანი კაცი ხარ, რასაც ხელს მოჰკიდებ—გულდადებით შეეჭიდები და იცი თუ არა წესი და რიგი პედაგოგიისა, ესე იგი, სწავლა-წრთვნისა, მე ამის გასინჯვაში არ შევდივარ. მე მგონია, ეს ამისთანა უცოდინარი დედ-მამა ერთ-რიგად კარგიც არის: არ დაგიშლიან მაინც ბავში სწურთნო ისე, როგორც შენი პატიოსნება, ნამუსი და ცოდნა გამხელს. თორემ ხომ იცი ჩვენი ეხლანდელი ანაბანიანი დედ-მამა: აქაო-და ყური რაღაცისათვის ალალბედად მოუკრავთ, თავის უთავბოლო სიბრძნით ყველგან წამოეჩხირებიან, ვითომდა ჩვენც გვესმის ავი და კარგიო, არახუნებენ რაც ენაზე მოადგებათ, და ჭირვეულობენ, თუ არ გაუგონე. ეს უსიამოვნება მაინც არ გექნება. გინახავს სადმე პატარა პატიკო?

— არა, არსად შემხვედრია.

— საკვირველის გუნების ბავშია. ჩემს სიცოცხლეში ბალღი ბევრი მინახავს და მაგისთანა კი ჯერ არა. ისე ხომ ცოცხალი, მალხაზი ბიჭია, და თუმცა ხუთი-ექვსის წლისაა, მაგრამ უეცრად რაღაც მოუვლის ხოლმე, ჩაფიქრდება, თითქო რთული აზრი რამ გამოეკვანძა და იმისი გამოხსნა უნდაო. მაშინ სახეზე აშკარად დაეტყობა ხოლმე, რომ მისი პატარა ტვინი და გული იძვრის და მუშაობს. ცოდოა ერთს ბრიყვს მწიგნობარს ვისმე ჩაუვარდეს ხელში და უფრო ცოდოა, რომ მის დედ მამას, რომელთაც გაგიჟებით უყვართ შვილი, არ ესმით ეს სულის ძვრა პატარა ადამიანისა.

— ჩვენში მიღებულია, რომ დედ-მამა, თუ იფიქრებს შვილის სწავლას, რვა-ცხრა წლისაზე ადრე არ შეუდგებიან ხოლმე ამისათვის ზრუნვას, და პატიკო კი სულ ხუთის-ექვსისა ყოფილა. უსწავლელები არიანო, და ასე ადრიანად ამაზე ფიქრი—უსწავლელობას არ მოასწავებს.

— ეგ ჩემი ბრალია და აი რის გამო. გუშინ მე სადილად იმათთან ვიყავი. მოიტანეს ხაშლამა. დედამ აიღო და ერთი ნაჭერი დაუდო შვილს

თეფშზე. ბავში ჯერ წასწვდა ნაჭერს, მაგრამ, თითქო რაღაცამ დაუშალაო, ხელი ჰაერში გაუჩერდა.

— დედი,—ჰკითხა პატარამ,—ხორცი საიდამ არის?

— როგორ თუ საიდამ? ძროხას დაჰკვლენ და იქიდამ.

— მერე ცოდო არ არის?

— რა ვუყოთ, რომ ცოდოა,—უთხრა დედამ.

სოლომანს როგორღაც ეჩხვლიტა ამისთანა პასუხი დედისა, შეკრთა და ისე უცქრად გაინძრა, თითქო ეტკინა რამეო.

დავითმა ეს ვერ შენიშნა და განაგრძო:

— არ მინდა...—სთქვა ბავშმა და თეფში თავის კერძით იქით გადასდგა.

— ჭამე, შვილო,—,—შეეხვეწა დედა,—თითქო ხორცს პირველად ჰხედავდე.

— არ მინდა!..—გაიმეორა ბავშმა.

ის-ის იყო, მთელი სადილი აღარც ხმა ამოუღია, აღარც პირი მიუკარებია რისთვისმე, თუმცა დედ-მამა ხედ გადააკვდა.

— საკვირველი არ არის ხუთი-ექვსის წლის ბავშისაგან?—იკითხა ბოლოს დავითმა.

— რად არის საკვირველი? მართალია, ძნელი გამოსაცნობია,—ეს უცქარი კითხვა და მოულოდნელი განაჩენი პატარა პატიკოსი რის დასასრული იყო. ვინ გაიგოს, ბავშის პატარა ჭკუამ და პატარა გულმა ამ შეშთხვევაში თვალი რადა და როგორ აახილა და ერთმანეთს რა მიაწოდა. ამაზე, რასაკვირველია, ბევრი რამ ითქმის, მაგრამ, ჰამლეტისა არ იყოს ბევრი იმისთანა საიდუმლოა ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს ფილოსოფოსებს, სიზმრადაც არ მოეჩვენებათ ხოლმე. ბავშის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავში იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა.

— შენი არ ვიცი და მე კი, ჩემის თვალით რომ არ მენახა, ამისთანა ამბავს სხვისაგან არ დავიჯერებდი. ესეა თუ ისე, მე ამ ამბის გამო ვიფიქრე, რომ პატიკოს, თუმცა პატარაა, ეხლავ პატრონობა უნდა, გამოველაპარაკე დედ-მამას და ძლივს დავაჯერე, რომ დროა ბალღს კაი კაცი მიუჩინონ მზრდელად და მასწავლებლად. დედა ძალიან ურჩობდა და ამბობდა,—ჯერ პატარაა და სწავლის წვალებას ვერ გაუძლებსო. ბევრი ვეჩიჩინე და ვეუბენ, რომ სწავლა და წრთვნა ბავშისა კაი კაცის ხელში წვალება კი არ არის, სიამოვნებაა ბავშისათვისვე-მეთქი, და ბოლოს, როგორც იყო, დამყვნენ და მთხოვეს მაგისთანა კაცი ვუშოვო ვინმე. მაშინვე შენ დაგასახელე და დღეს შენთან იმათგანა ვარ მოგზავნილი.

სოლომანი დიდის სურვილით ყურს უგდებდა პატიკოს ამბავს. ჩაუფიქრდა, თითქო დიდ საგონებელს რასმე გადაეკიდაო. ბოლოს წამოდგა, მხარზე ხელი დაადო დავითს და უთხრა:

იცი, რას გეტყვი: მე ძალიან ჩამაფიქრა იმ ბავშის ბუნებამ, თუ გუნებამ, როგორც შენა სთქვი. მე მიმიზიდა კიდეც. თანახმა ვარ, დებედაძეს შვილს მე ჩავიბარებ. თუნდა ხვალვე გადავალ დებედაძესთან. არა უშავს-რა, ღმერთი მოწყალეა. პატარა ამბავია ეგ შენი ნაამბობი, მაგრამ დიდი საზიდი, დიდი გასატანი, დიდი გასაბედი...

III

დავითი რომ გამოეთხოვა და წავიდა, სოლომანი დიდხანს დადიოდა წინა და უკან თავის სადგურში დაფიქრებული. ეტყობოდა, რომ მისი ჭკუა და გონება რაღაცას ღრმად ჩაუკვირდა. ძალზე ირჯება, მუშაობს და აზრი აზრზე გააქვს და გამოაქვს. ბოლოს შედგა თახჩის წინ, ჩამოიღო ერთი ხელნაწერი რვეული. ეს იყო უბის წიგნი სოლომანისა, საცა თავის ნაფიქრს, ნაგრძნობს, ნახულს, თუ გაგონილს ჩასწერდა ხოლმე, თუ მის მიერ ყურადღების ღირსი იყო. გადაფურცლა რვეული და ერთს ადგილს დააკვირვა თვალი. იქ ეწერა: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი—მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას,—დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება შეუნდობ".

სოლომანმა გადიკითხა ეს თავისი ნაწერი და მთელ თავის ჭკუა-გონებით მიეცა ფიქრსა, თითქო თავის აზრს ხელ-ახლად ჩაუკვირდა და უნდა შეატყოს, ხომ არ ვცდებიო.

— არა,—წამოიძახა ბოლოს ხმა-მაღლა,—მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა. ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ.

მერე აიღო კალამი და იქავ ჩაუმატა რვეულს: „პატარა პატიკოს ამბავი—დიდი ამბავია. ხნული მზად არის, თესლიც გაღივებულა, უუწმინდესო მადლო სიბრალულისავ, გიცან შენ!.."

IV

თავადი ამირინდო დებედაძე და მისი მეუღლე სალომე სულ მუდამ სოფლად სცხოვრობდნენ. ძალიან გაჭირებული საქმე უნდა ასჩენოდათ, რომ ამირინდოს გაებედნა ქალაქში ჩასვლა. ქალაქი ჰირივით ეჯავრებო-

და და ხშირად იტყოდა: ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც-კი ვეღარსად დაგინახავს, თითქო ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო.

ცოლიცა და ქმარიც ძველ დროის ადამიანები იყვნენ, ცოტას კმარებაც იცოდნენ და ბევრითაც თავს არ გადიოდნენ. ეხლანდელს წვა-დაგვას არსებობისათვის ჰიდილისას ჯერ კარის ზარი ამირინდოსი არ დაერეკა. ამ ცოლ ქმარზედ ამბობდნენ: ტკბილს ლუკმას სჭამენ და ალალ პურსაო.

ამირინდოს ოჯახი გათქმული იყო იმ არე-მარეში პურ-მარილობითა და მასპინძლობით. სტუმარი თითქმის გამოულეველი ჰყვანდათ. ცოლ-ქმრისათვის ის დღე დღე არ იყო, როცა სადილ-ვახშამზე მარტო ორთ მოუხდებოდათ ყოფნა. ამირინდო სოფლის კვალობაზედ საკმაოდ შეძლებული კაცი იყო და ოჯახი უტკივარად იტანდა ამ გულუხვობას და დაუსრულებელს მასპინძლობას. ცოტა ჰქონდათ, ცოტათი დახვდებოდნენ და ბევრი ჰქონდათ, არც ბევრს დაიშურებდნენ. ორსავ შემთხვევაში მასპინძლობდნენ „გულითა მბიარულითა.“

არც საკვირველია, რომ ოჯახი ამოდენა სტუმრობას იტანდა. ამირინდოს სუფრაზე ძნელად ნახავდით რასმე ბაზრიდამ მოტანილს და, არ ვიცი ამირინდო მართალი იყო თუ არა, და ამას კი ამბობდა ხოლმე: საქართველოს თავად-აზნაურობა სარდინკამ დაღუპაო.

დილა იყო, რომ დავითმა მოიყვანა ამირინდოსთან სოლომანი. ამირინდო ახალუხა დახვდათ სავაზეთი ხელში. ის-ის იყო ამოსულიყო კარის ვენახიდამ.

— სოლომანს გაუმარჯოს!—მიეგება ამირინდო და ხელი გაუწოდა:—კეთილი იყოს შენი აქ მობრძანება. დავითი გეტყოდა ჩემს დარდს.

— დიაღ, ბატონო, და გიახელი კიდეც თქვენის სურვილის ასასრულებლად.

— მადლობელი ვარ. ერთად-ერთი შვილი-ღა შემრჩა შვიდისაგან და მინდა, რომ ჩემ თვალ-წინ გაიზარდოს. პატიკო, ა პატიკო, — დაუძახა შვილს მამამ.

— მამი, მამი!—მოისმა პატარა კარის ბაღჩიდამ ყმაწვილის ხმა,—შენი ჰირიმე... შენ გეთაყვანე!..

— კიდევ აიკვიატებდა რასმე ის ცულლუტი,—სთქვა ამირინდომ,—ერთი წავიდეთ, ვნახოთ, რას გადაჰკიდებია.

ყველანი წავიდნენ ბაღჩისაკენ. შეაღეს კარები და ერთ ხის ახლო ვარდის ბარდთანა დაინახეს პატიკო. იგი მისდგომოდა ბარდსა და რაღაცას ეძიძგილაებოდა. შალვარი და ახალუხი აქა-იქ შემოჰგლეჯოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე. ეტყობოდა ბევრს წვალებულა.

— აკი მოგახსენეთ,—სთქვა ამირინდომ იმ ხმით, თითქო თაკილობსო, რომ ამ ყოფით ჰხედავს ბავშს მისი ოსტატი:—აბა რასა ჰგევხარ დაგლეჯილ-შემოფხრეწილი, თითქო გლეხის ბიჭი იყო,—უთხრა მამამ შვილსა.

— აგე ბღარტი!..—უპასუხა შვილმა და გაიწოდა საჩვენებლად პაწია თითი:—შენი ჭირიმე, მამილო, შენ გეთაყვა, ან შენ ძიავ, ან შენ სხვა ძიავ,—ეხვეწებოდა პატარა ხან მამას, ხან სოლომანს და ხვეწნის ნიშნად თითით ყელს უწევდა თვითეულს ცალკე.

მიიხედეს და დაინახეს, ბღარტი გადაფოფხილიყო პატარა ფრთებით ეკლიან ბარდზე, პირი დაელო, თითქო საჭმელს აწვდიანო, და შეშინებული იყურებოდა. სოლომანმა შეხედა და დაინახა ზედ ჩიტის ბუდე. აშკარა იყო, იქიდამ ჩამოვარდნილა ბღარტი და ულონობით შორს ვეღარ წასულა და ბარდს დასცემია იმისთანა ადგილას, რომ პატიკო წვალებულა და ვერ მიმწვდარა.

— გეთაყვა, ბღარტი, გეთაყვა!..— იმუდარებოდა ბავში.

სოლომანი გადასწვდა, დაიჭირა ბღარტი და მისცა პიტიკოს. ბავშმა დაუყვავა ბღარტს და სიხარულით არ იცოდა, რა ექმნა.

ბღარტის დედა, ბუმბულ-აბურძგნული სიმწარისაგან, იქავ შორი-ახლო მეორე ხეზე იჯდა და მოუსვენრად ჰტოკავდა უილაჯო მწუხარებითა. რომ ვერა ექნა-რა ხან ერთს შტოზე შესკუპდებოდა, ხან მეორეზე, წამ-და-უწუმ ხან პირს ამათკენ იქმოდა, ხან ზურგს, ხან კიდევ გაბედულად და უშიშრად წინ გამოუფრინდებოდა შურდულივით პატიკოს, თითქო უნდა ბავშს ხელიდამ გამოსტაცოს საყვარელი შვილიო, ხან შეფრინდებოდა ბუდის პირად და ფრთების ცემით და გამწარებულ ჭიკჭიკით ერთი ყოფა და ამბავი გაჰქონდა.

— ახლა, რად გინდა საწყალი ბღარტი?—ჰკითხა ბავშს სოლომანმა.

ბავშმა პასუხი ვერ უთხრა და შეაჭყიტა ჭკვიანი თვალები, თითქო უნდაო პასუხი სოლომანისგანვე შეიტყოს.

— აგე ბღარტის დედა,—დაანახვა სოლომანმა ჩიტი:—რა-რიგად ჰნაღვლობს და იქნება სტირის კიდეც, შვილს რად მართმევთო, იმას უნდა ბღარტი ბუდეში ჰყვანდეს თავისთან.

— აბა ბუდე?—იკითხა ბავშმა.

— აგე,—დაანახვა სოლომანმა ხეზე ბუდე.

— ამსვი.

სოლომანმა აიყვანა ხელში პატიკო და ბუდის სისწვრივ გააჩერა. ბავშმა ჩასვა ბღარტი. სოლომანმა პატიკო ძირს დაუშვა თუ არა, უთხრა:

— აბა უყურე, დედა ეხლავ მოჰფრინდება და რა-რიგად გაიხარებს!..

მართლა, ერთი წუთიც არ გასულა, დედა შემოსკუპდა ბუდეზე და, რა დაინახა თავისი შვილი მთელი და ცოცხალი, იმის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა. ტანზე ბუმბული დაულაგდა, დამშვიდდა, ხმაც დაუტკბა და ისეთს ჭიკჭიკს სიხარულისას მოჰყვა, თითქო ჰლოცავს თავის შვილის მხსნელსაო.

— მართლა, მართლა, უყურე სხვა ძიავ, წამოიძახა ღიმილით პატიკომ და გაიშვირა თითი ბუდისაკენ, საცა გახარებული დედა ბღარტისა სიხარულის ნიშნად ფრთას ფრთას სცემდა და თავის მადლობის ლოცვას ჰგალობდა.

პატარა ბავშმა თავი აღარ დაანება სოლომანს, ხელი-ხელს ჩაჰკიდა და თითქო დიდის ხნის ნაცნობები და დაშინაურებულნი არიან, ისე ერთად წამოვიდნენ.

ბავშის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი.

მთელი დღე ბავში სოლომანს აღარ მოშორებია.

V

სოლომანს ცალკე ოთახი დაუცალეს. ყველაფერი, რაც საჭირო იყო, გაუმართეს. როცა ქვეშაგებს უგებდნენ, პატიკომ ძალიან მოინდომა, რომ ამისი პატარა საწოლიც სოლომანის ოთახში დაედგათ, მაგრამ დედამ არა ქმნა, შეაწუხებო. უფრო მგონი იმიტომ, რომ შვილი არ ემეტებოდა, შვილის მოშორება ემძიმებოდა.

ღამით, როცა ყველანი დალაგდნენ დასაძინებლად და სოლომანი მარტო დარჩა თავის ახალ ოთახში, ამოიღო უბის წიგნი და ჩასწერა: „დღეს 15 მაისს 18... წლისას, ჩემი პირველი გაკვეთილი იყო. ღმერთო შენით!.. ბავში ძალიან მომეწონა. ძნელი დასაწყისი სწავლა-წრთვნისა ერთს დღეს მომიხერხდა: მე და ბავში დავმეგობრდით. ბეწვის ხიდი გავიარე“...

შემდეგი იქნება*)

(„შვცნაური ამბავი“)
1893 წ.

---

*) ეს იტიუდი ი. ჭავჭავაძეს შემდეგ აღარ გაუგრძელებია, იხ. ჟურნ. „მოამბე“ 1894 წ. №1. რ ე დ.

რედაქტორის შენიშვნები
ავტორის საჩივრები

რედაქტორის შენიშვნები

1. ხრისტიან ჰოტგილფ ზალცმან (1744 — 1811), გერმანელი პედაგოგი, ფილანტროპინული აღზრდის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ილაშქრებს თავის დროის ტრადიციული პედაგოგიკისა და „უგნური აღზრდის წინააღმდეგ („Krebsbuchlein", 1780). გონივრული (რაციონალური) აღზრდა ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის სწორი აზროვნების გამომუშავებას, მეხსიერების განვითარებას, წარმოსახვის გაძლიერებას, ზნეობრივ სიმტკიცეს და სხეულის ჯანმრთელობას („კონრად კოფერი" 1796. ქართული თარგმანი ლ. ჯანდიერისა, ი. ჭავჭავაძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1863 წ. „საქართველოს მოამბე" № 3, ცალკე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, 1912).

ბავშვთა ცუდი ანუ უგნური აღზრდის მთავარ მიზეზად ხ. ზალცმანს მიაჩნია აღმზრდელთა და, უფრო მეტად, მშობელთა ჩამორჩენილობა და გაუნათლებლობა, ამიტომ ის მოითხოვს აღმზრდელთა აღზრდას და იძლევა „დარიგებას აღმზრდელთა გონიერი აღზრდისათვის" („Ameisenbüchlein", 1806).

2. ჟან-ჟაკ რუსო (1712—1778) საფრანგეთის გამოჩენილი პედაგოგი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ბელეტრისტი; წვრილბურჟუაზიული „თავისუფალი აღზრდის" თეორიისა და ინდივიდუალური აღზრდის უმთავრესი წარმომადგენელი. აღზრდას იგი ანიჭებს დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას. აღზრდის გზით მას მისაძლებლად მიაჩნია ხალხის ყოველმხრივი გარდაქმნა და სოციალური თანასწორობის ქვეყნის შექმნა. რუსო გაურბის მისი პერიოდის საზოგადოებრივ და სასკოლო ზეგავლენას ბავშვის აღზრდაზე და თავის ე მ ი ლ ს საზოგადოებისა და სკოლის გარეშე, ბუნების წიაღში, ზრდის. ბავშვის საუკეთესო აღმზრდელად რუსოს მიაჩნია ბუნება, ადამიანის პრაქტიკული ცხოვრება და საკუთარი გამოცდილება. ის იბრძვის სქოლასტიკური განათლებისა და ზეპირ-სიტყვიერი, უსაგნო სწავლების წინააღმდეგ. მოითხოვს ბავშვის აქტიობას, შრომას, ინიციატივას, მაღალ ზნეობას, ფართო და რეალურ განათლებას, თვითმოქმედებას და საკუთარი სჯისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას.

ჟ ან-ჟ ა კ რ უ ს ო თავის მთელ რიგ პროგრესულ და რევოლუციურ პედაგოგიურ იდეებთან ერთად, როგორც წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენელი, იცავს ისეთ, მეტად კონსერვატულ და რეგრესულ შეხედულებას როგორიცაა: ქალის სოციალური და კულტურული როლის უარყოფა, ცივილიზაციის გამრყვნელი მნიშვნელობა ადამიანის ზნეობისათვის, კაცობრიობის მიერ დაგროვილი კულტურის აუცილებლად წესწავლის უარყოფა; საზოგადოებისა და სკოლის აღმზრდელობითი როლის უარყოფა და სხვ.

რუსოს დიდი პედაგოგიური რომანი „ემილი ანუ აღზრდის შესახებ" თარგმნილია ქართულად და 1938 — 39 წლის განმავლობაში დაიბეჭდება.

3. გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია უფრო ზუსტად: „ა/კ სამასწავლებლო სემინარია ქ. გორში" — დაარსდა 1876 წელს. არსებობს ამჟამადაც (1921 წლიდან) პედაგოგიური სასწავლებლის სახელწოდებით.

4. ილ. ნათიევი — გორის საოსტატო სემინარიასთან არსებული ქართული მოსამზადებელი განყოფილების ქართული ენის უვიცი მასწავლებელი (1877 წელს), რომელიც ქართულ ენას (სიტყვებს) რუსული ასოებით ასწავლიდა. ილია ჭავჭავაძე ნათიევს იხსენიებს „ახოვანი უვიცობით“ განთქმულ „მასწავლებლად“.

5. ნათიევმა ილიას წერილის („ვიცინოთ თუ ვიტიროთ (იხ. ამავე წიგნში, გვ. 141) საპასუხოდ მოათავსა თავისი კორესპონდენცია გაზ. „დროების“ 1877 წლის 59 №-ში, სადაც ის თავგამოდებით იცავს თავის „მეთოდს“. ილიას წერილი „ფიცი გვწამს ბოლო გვაკვირვებს“ — წარმოადგენს ნათიევის პასუხის პასუხს.

6. ჰენრიხ პესტალოცი (1746 — 1827) გამოჩენილი შვეიცარიელი პედაგოგი, „მასწავლებელთა მასწავლებელი“, დიდი ხალხოსანი, დემოკრატი. აღზრდის მიზნად მიაჩნდა: „ადამიანის შინაგანი ძალების ამაღლება მისი სიბრძნის მწვერვალებამდე“, და ბუდმივი ლტოლვა განვითარებისაკენ. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიური ძალები ჰარმონიულად უნდა განვითარდნენ, რომ მათ თავის დანიშნულება და ფუნქცია შეასრულონ: „თვალს უნდა ცქერა, ყურს — სმენა, ფეხს სიარული, ხელს — ტაცება ასევე, გულს უნდა რწმენა და სიყვარული; ჭკუას სურს აზროვნება“. ამისათვის პესტალოცი უმთავრესად მოითხოვდა ბავშვის ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, ესთეტიკის, ეთიკის და მეტყველების სწორ განვითარებას და ფიზიკური ორგანოების სისაღეს. პესტალოცი საჭიროდ სთვლიდა აგრეთვე ახალგაზრდობის ტექნიკურ განათლებას და უკანასკნელის დაკავშირებას გონებრივ სწავლა-განათლებასთან. მან კიდეც სცადა ტექნიკური და გონებრივი განათლების კავშირის იდეა განეხორციელებია ნეიგოფის „სკოლა — თავშესაფარში“, რომელიც მან დააარსა 1771 წელს.

სწავლების პროცესი, პესტალოცის აზრით, შესდგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: რიცხვი, ფორმა და სიტყვა. მათ ნიადაგზე შენდება ე. წ. ელემენტობრივი განათლება, როგორც საფუძველი სახალხო სკოლის დაწყებითი განათლებისა.

სწავლების მთავარ მეთოდად პესტალოცის მიაჩნდა თვალსაჩინოება, რომელსაც მან მისცა ფსიქოლოგიური დასაბუთება. ამასთან ფართოდ იყენებდა დაკვირვებას სწავლების პროცესში, იწვევდა მოწაფეთა აქტივობას და თვითმოქმედებას.

პესტალოცის პედაგოგიური მოძღვრების უარყოფით მხარეს წარმოადგენს: მის დროს არსებული შრომის დანაწილების დაცვა, ღარიბთათვის მხოლოდ ელემენტარული შრომითი აღზრდის აღიარებით, ხელოსანთათვის პროფესიული და მდიდართათვის — მეცნიერული განათლების მოთხოვნით. ამით მან ღარიბთათვის არ მიიჩნია საჭიროდ მაღალი მეცნიერული განათლება. ამას გარდა პესტალოცის ელემენტობრივი განათლება მეტად ფორმალისტურად ესმის და მექანისტური ვარჯიშის ნიადაგზე ამყარებს ანგარიშისა და ენის სწავლებას.

პესტალოცის მთავარი პედაგოგიური თხზულება, რომანი „ლინგარდი და ჰერტრუდა“ — (1787) ქართულ ენაზე დიდი შემოკლებით გამოქვეყნებულ იქნა 1896 წელს ივ. როსტომაშვილის წინასიტყვაობით (ტფილისი).

7. ჯოზეფ ლანკასტერ (1778 — 1838) ინგლისელი პედაგოგი, კვაკერი, შემოიღო ენდრიო ბელთან (1753 — 1832) ერთად სწავლების ე. წ. მონიტორიალური სისტემა (ბელლანკასტერის სისტემა), რომელიც გულისხმობს სასკოლო პედაგოგიურ პროცესში მოწინავე მოწაფეების გამოყენებას მასწავლებლის თანაშემწეებად. მასწავლებლის ასეთ თანაშემწე მოწაფეებს ევალებოდათ ესწავლებიათ უფრო მცირე მცოდნე მოწაფეთა პატარა (5 — 6 მოწაფიანი) ჯგუფებისათვის. მასწავლებელს შეეძლო კლასში ყოლოდა ასობით მოწაფე, მისთვის საკმარისი იყო გაკვეთილის გადაცემა ყველასათვის ერთად, რის შემდეგ მისი თანაშემწე მოწაფეები ამ გაკვეთილს ამუშავებდნენ თითოეულ მათგანზე მიმაგრებულ ჯგუფებში, მასწავლებლის საერთო მეთვალყურეობით. ეს სისტემა მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედში და მე-19 ს. პირველ

ნახევარში გავრცელდა ინგლისსა, ამერიკაში და რუსეთში, მაგრამ ჩქარა აღიკვეთა, რადგანაც ამ სისტემით პედაგოგი არ იყო სწავლების უშუალო ხელმძღვანელი, ხოლო მის თანაშემწე მოწაფეებს კი სხვისი სწავლება არ შეეძლოთ ცოდნის ნაკლები მარაგისა და მეთოდიური გამოუცდელობის გამო.

8. ფრიდრიხ ადოლფ დისტერვეგ (1790 — 1866), ცნობილი გერმანელი პედაგოგი, პესტალოცის მიმდევარი. აღზრდის ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდობის მომზადება ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერისად, სრულიად დამოუკიდებელი და აქტიური მოქმედებისათვის. ამისათვის კი მოითხოვს ადამიანის ყველა სულიერ და ფიზიკურ თვისებათა ჰარმონიულ განვითარებას. სწავლების პროცესი, დისტერვეგის აზრით, უნდა ეყრდნობოდეს მეხსიერებას, გააზრებას, მიხვედრას და გონებას. ამის მიღწევა შეიძლება უმთავრესად თვალსაჩინოების მეთოდის გამოყენებით და მოსწავლეთა თვითგამორკვევის გზით. საჭიროა მეთოდის ინდივიდუალიზაცია მოწაფეთა სპეციფიურ თვისებათა და ცოდნის მიხედვით; „ერთი და იგივე ყველასათვის არ ვარგა". სწავლების დროს გადასაცემი ცოდნა უნდა იყოს ზომიერი, ე. ი. ვერიდოთ ბავშვის, როგორც ზედმეტ დატვირთვას, ისე სრულიად დაუტვირთველობას. მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს მოწაფეს, მაგრამ ისე, რომ უმოქმედობას არ მიაჩვიოს. მასწავლებელი უნდა იყოს თავის საგნის კარგად მცოდნე, კარგი მეთოდისტი, სპეციალური ზნეობის (Wegveiser für Deutsche Lerer, 1838, „სახელმძღვანელო გერმანელ მასწავლებელთათვის).

9. აქვსენტი ცაგარელი (1857 — 1902) დრამატურგი. 1878 წელს შეუდგა ი. ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსებულ მუდმივ დრამატულ დასში. დასწერა კომედიები: „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ", „ხანუმა", „ცომბირელი", „როგორც მოხვალ სვირაო, ისე წახვალ შინაო", „ჭკუისა მჭირს" და სხვ., 1936 წელს ა. ცაგარელის კომედიები გამოვიდა ცალკე წიგნად ი. გრიშაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით.

10. კირილე პეტრესძე იანოვსკი (1822 — 1902) — კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი 1878 წლიდან 1899 წლამდე. შავრაზმელი, მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში. საქართველოს ნაციონალურ-რეეოლუციური მოძრაობის მტერი.

11. იანური მიხეილის ძე ნეველოვი (1810 — 1893) — ასრულებდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობას 1864 წლიდან 1878 წლამდე. რუსიფიკატორი.

12. იხ. გაზეთი „Кавказ", 1880 წ. 248.

13. ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად 1881 წელს ითვლებოდა **დარსკი.**

14. ილია წინამძღვრიშვილი (1834 — 1920) საზოგადო მოღვაწე, აგრონომი, პედაგოგი. 1883 წელს დუშეთის მაზრის სოფ. წინამძღვრიანთკარში დააარსა სამეურნეო სასწავლებელი 6 წლიანი კურსით, უფასო სწავლებით. 1889 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ვაზის მოშენება". მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ, ბოლოს ნოტარიუსად ტფილისში.

15. ივანე როსტომაშვილი (1852 — 1924) საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი პუბლიცისტი. ჟურნ. „მოგზაურის" რედაქტორი 1901 — 1905 წ. წ. და გაზ. „სინათლის" რედაქტორი 1911 წელს. ავტორი ქართული ანბანისა და მთელი რიგი სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნებისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველებიდან მათ შორის აღსანიშნავია მისი „რუსულ-ქართული ენციკლოპედია" 1898 წ. და „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია", 1920 წ.

ივ. როსტომაშვილის რჩეული პედაგოგიური ნაწერები დამზადებული დასაბეჭდად.

16. კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკი (1824 — 1870) რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი. აღზრდის შიზნად სთვლიდა „ადამიანის ყოველმხრივ წესწავლას". ასეთსავე მიზანს უსახავდა იგი პედაგოგიკას: „უკეთუ პედაგოგიკას სურს აღზარდოს ადამიანი ყოველმხრივ, მან უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგოს იგი აგრეთვე ყოველმხრივ. აღზრდა უნდა ატარებდეს სახალხო (ხალხოსნური) ხასიათს. ყველა ერს თავისი საკუთარი ნაციონალური განათლების სისტემა უნდა ჰქონდეს. სწავლა-აღზრდა უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე. საზოგადოებრივი აღზრდა უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებასა და ისტორიას.

კ. დ. უ შ ი ნ ს კ ი ს დიდი ღვაწლი მიუძღვის დიდაქტიკურ-მეთოდიური მუშაობის დარგშიც. 1864 წელს მან გამოსცა რუსული ანბანის სახელმძღვანელო „Родное слово", ხოლო 1862 წელს საკლასო საკითხავი წიგნი „ბავშვთა სამყარო" („Детский мир"), 1857 წ. გამოაქვეყნა თავისი კაპიტალური შრომა „Человек как предмет воспитания" ორ ტომად.

კ. უშინსკის „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი" თარგმნილია ქართულად და 1938 — 39 წელს დაიბეჭდება.

17. ნიკოლოზ ქრისტიანეს ძე ვესელი (1934 — 1906) რუსი პედაგოგი. ურნალ „Учитель"-ის რედაქტორი 60-იან წლებში. განსაკუთრებით მუშაობდა პედაგოგიკის ისტორიაში, ამასთანავე ამუშავებდა ფსიქოლოგიის გამოყენების საკითხებს სწავლების პროცესში. ამ მიზნით მან გადმოაკეთა ბ ე ნ ე კ ე ს ფსიქოლოგიის ვრცელი მიმოხილვა („Опытная психология в применении к воспитанию и обучению", 1862), მუშაობდა აგრეთვე ხალხური შემოქმედების საკითხებზეც.

18. იან ამოს კომენსკი (კომენიუსი) 1592 — 1670; უდიდესი ჩეხელი პედაგოგი. აღზრდის მიზნად მიაჩნია ადამიანის მომზადება ცხოვრებისათვის, მისი გადაქცევა გონიერ ქმნილებად — გონებრივი განათლების, მორალური სიმტკიცის, კეთილმოქმედებისა რელიგიური (ღმერთის) რწმენის განვითარების გზით. „ადამიანი ვერ გახდება ადამიანად თუ იგი სწავლებას არ ექვემდებარება". საჭიროა ყველასათვის ყველაფრის სწავლება; აქედან კომენსკი დაასკვნის საყოველთაო სწავლების შემოღების აუცილებლობას. ის ხაზითხავს სწავლებისა და ცხოვრების კავშირს, რეალურ განათლებას და ასაბუთებს თეზისს, რომ ცხოვრებაში გამოუსადეგარი ცოდნა ბავშვს არ უნდა მიეცეს. ნამდვილი და გამოსადეგი ცოდნა მარტო წიგნიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ და უმთავრესად ბუნებიდან, ამიტომ აღზრდა და სწავლება უნდა იყოს ბუნებისდაგვარი.

ადამიანის განვითარებაში ჩვენ გვაქვს ოთხი პერიოდი ისევე როგორც ბუნებაში (წელი, დღე-ღამე), ესენია: 1) ბ ა ვ შ ვ ო ბ ა ანუ გაზაფხული ან დილა, 2) ყ რ მ ო ბ ა ანუ ზაფხული ან შუადღე, 3) მ ო წ ი ფ უ ლ ო ბ ა ანუ შემოდგომა ან საღამო და 4) ს ი ბ ე რ ე ანუ ზამთარი ან ღამე. ამ პერიოდების მიხედვით სკოლაც ოთხ საფეხურად განიყოფება: 1) დედობრივი სკოლა (1 — 6 წლამდე), 2) შშობლიური ენის სკოლა (6 — 12 წ. წ.), 3) ლათინური ენის სკოლა ანუ გიმნაზია (12 — 18 წ. წ.), 4) აკადემია და მოგზაურობანი (18 — 24 წ. წ.).

იან ამოს კომენსკიმ შექმნა დიდაქტიკის მთელი სისტემა, სწავლების თეორია და პრაქტიკა. მთავარი დიდაქტიკური ღონისძიებანია: თვალსაჩინოების და დაკვირვების პრინციპი, თანამიმდევრობა, ზოგადიდან კერძოსაკენ — კერძოდან ზოგადისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, სწავლება იძულების გარეშე, შესასწავლი მასალის ასაკობრივად (პერიოდებად) განაწილება მოწაფეთა ცოდნის მიხედვით, ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი საგნის სწავლება, სწავლების წარმოება გარე გრძნობათა საშუალებით და მათი განვითარებით, სასწავლო მასალის გეგმიანად განაწილება წლებზე, თვეებზე და დღეებზე, სწავლების ინტერესის აღძრა, მისი მიმზიდველობის გაძლიერება და სხვ.

კომენსკი მოითხოვს აგრეთვე ზნეობრივ აღზრდას, რომლის მიზნადაც მიაჩნია: კეთილმოქმედება, ბრძნულად მოქცევა, ზომიერება, გამბედაობა (გულადობა), ღვთაებრივი სათნოება.

დისციპლინა მიაჩნია სასწავლო პროცესის მთავარ საშუალებად („უდისციპლინო სკოლა ნიშნავს უწყლო წისქვილს") დისციპლინას აქვს მიზანი (დანაშაულის აღკვეთა), მასალა (ინტერესი, მიმზიდველობა), ფორმა (წახალისება, შეკიბრი, მითითება). კომენსკი წინააღმდეგია ფიზიკური დასჯისა, მაგრამ მიაჩნია დისციპლინარული სასჯელი (როგორც ღონისძიება ბავშვის გამოსასწორებლად) განსაკუთრებით ღმერთის დამამცირებელი საქციელისათვის, ჯიუტობისათვის, ამპარტავნობისა, შურისა და სიზარმაცისათვის.

19. კარლ რიხტერი (1837 —) გერმანელი პედაგოგი.

1874 წელს გამოვიდა სამასწავლებლო სემინარიების რეფორმის პროექტით, რომელშიც მოითხოვა, რომ სემინარიის უმთავრეს ამოცანად გადაქცეულიყო პედაგოგიური განათლების ხარისხის ამაღლება და მის მოსწავლეთა აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათთვის მოძრაობის თავისუფლების მინიჭებით, მიუხედავად კანონებისა და სასწავლო უწყებათა დადგენილებებისა.

21. დიმიტრი ივანეს-ძე პისარევი (1840—1868) რუსეთის გამოჩენილი პუბლიცისტი და პედაგოგი. წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალ დემოკრატი. იცავდა რეალისტური ზოგადი განათლების პრინციპებს და მოითხოვდა საშუალო სკოლების აგებას სწორედ ამ პრინციპებზე. აქედან გამოსვლით იბრძოდა კლასიკური გიმნაზიების ტიპის სასწავლებელთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით მოითხოვდა ბერძნული და ლათინური ენების განდევნას საშუალო სასწავლებლებიდან და მათ მაგივრად ბუნებისმეტყველების სწავლების გაძლიერებას. პისარევი მოითხოვდა პროფესიულ განათლებას, შრომის გარკვეული დარგის შესწავლას, მაგრამ პროფესიული განათლება უნდა დაყრდნობოდა ზოგად განათლებას, რომ ამ გზით მოსპობილიყო „მომაკვდინებელი განხეთქილება ტვინისა და კუნთების შრომას შორის". პისარევი მოითხოვდა ხალხის ფართო განათლებას, მის მეცნიერულ განვითარებას, „მასების გონებრივ ემანსიპაციას".

22. ბარონ ნიკოლაი, რუსეთის განათლების მინისტრი 1881 წლიდან 1882 წლამდე.

23. რუდოლფ ვირხოვ (1821 — 1902) — გერმანელი მეცნიერი პათოლოგი, ანტროპოლოგი, არქეოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე. აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოშიც. აშტკიცებდა, რომ საქართველოში მოსახლე ხალხს ქვის ხანა არ გაუვლია. ეს აზრი შემდეგში შმიდტის, კრუკოვსკის და გ. ნიორაძის გათხრების შედეგად უარყოფილ იქნა.

24. მიხეილ ნიკიფორეს ძე კატკოვი (1818 — 1887) თვითმპყრობელური რუსეთის შავრაზმელი პუბლიცისტი. პირველად 1851 წელს, ხოლო მეორედ 1863 წლიდან რედაქტორობდა რეაქციონურ და შოვინისტურ გაზეთს „Московские ведомости", რომელიც დიდ ბრძოლას აწარმოებდა ყოველგვარი პროგრესული მოძრაობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული გააფთრებით იბრძოდა კატკოვი და მისი გაზეთი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე პატარა ერებისა და მათი ენების წინააღმდეგ. მოითხოვდა არსებითად სქოლასტიკურ სკოლას, ძველი ენების აღდგენას და პატარა ერთა ენების აკრძალვას ყოველგვარ სკოლაში.

25. დონდუკოვ-კორსაკოვი — მეფის მოადგილე კავკასიაში 1881 წლიდან 1890 წლამდე.

26. ალექსანდრე დიმიტრის ძე გრადოვსკი (1844—1889) იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორი, პუბლიცისტი, რუსეთის სახელმწიფო სამართლის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი.

28. სერგეი მესხი (1844 — 1883) ცნობილი პუბლიცისტი, საქართველოს მე-19 ს. მეორე ნახევრის ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მეფის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი, განსაკუთრებით სახალხო განათლების დარგში. გაზ. „დროების“ რედაქტორი 1869 წლიდან — 1883 წლამდე. მისი ნაწერები 1903 წელს ერთ ტომად გამოსცა ს. ფირცხალავამ.

29. იხ. 14.

30. დიმიტრი სტაროსელსკი (1832 — 1884) კავკასიაში მეფის მოადგილის თანაშემწე 1837 წლიდან 1883 წლამდე.

33 — 38. იტალიელი, გერმანელი და ფრანგი ჰუმანისტი-პედაგოგების შესახებ, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე იხსენიებს „პედაგოგიის საფუძვლებში“ — ჩვენ მოგვყავს მხოლოდ მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, ვინაიდან მათი პედაგოგიური იდეები ილიას უფრო ვრცლად მოჰყავს, ვიდრე აქ შეიძლებოდა მოგვეყვანა რამდენიმე შტრიხით.

33. ვიტორინო და-ფელტრე (რამბალდონი), 1378 — 1446.

35. ვერჯერიო პაოლო, 1350 — 1444.

36. ვეჯიო მათეო, 1406 — 1458.

37. ერაზმ როტერდამელი, 1467 — 1536.

38. ფრანსუა რაბლე, 1483 — 1553.

39. იაკობ გრიგორის ძე გურევიჩი (1843 — 1906) რუსეთის პედაგოგი და ისტორიკოსი. ჟურნალ „Русская школа“-ს (1890 — 1917) დამაარსებელი და რედაქტორი 1906 წლამდე.

40. ვ. ი. სტოიუნინი (1826 — 1888) რუსეთის პედაგოგი. მუშაობდა განსაკუთრებით დიდაქტიკის დარგში; ამ მხრივ კი ყურადღებას იპყრობს მისი შრომები ენის და ლიტერატურის მეთოდიკის შესახებ.

41. მიხეილ ყიფიანი (1833 — 1891) საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. ავტორი „არითმეტიკულ ამოცანათა კრებულისა“ და გეომეტრიის სახელმძღვანელოსი.

42. ნიკო ცხვედაძე (1845 — 1911) პედაგოგი, სახალხო განათლების დიდი მოამაგე. ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელთაგანი (ი. ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილთან ერთად). რუსიფიკატორული პოლიტიკის შეურიგებელი მოწინააღმდეგე. ქართული ეროვნული სკოლის თავდადებული მოღვაწე. საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის მებრძოლი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეხლანდელი შენობის აგების მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

43. იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840 — 1912) გამოჩენილი პედაგოგი, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი. პედაგოგიური განათლების ასპარეზზე მისი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის მთავარ დარგს წარმოადგენდა დიდაქტიკა. ის შეიარაღებული იყო მოწინავე დიდაქტიკური თეორიით და სწორედ ამის გამო მისი საგანმანათლებლო იდეები და სასწავლო პროცესის მეთოდური საფუძვლები მოწინავე პედაგოგიურ პრაქტიკას ქმნიდნენ საქართველოს სახალხო სკოლებში. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მეტად ღრმა მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე არიან აგებული, განსაკუთრებით „დედა-ენა“, რომლის შედგენის პრინციპები, მასალის შერჩევისა და განლაგების იდეა, ფონეტიკური და გრაფიკული მოსაზრებანი, მეხსიერებისა და აზროვნების განვითარების სტიმულირება და ბავშვისათვის ცოდნის მიწოდების თანამიმდევრობა და საერთოდ ბავშვის განვითარების ის პერსპექტივა, რომელიც „დედა-ენაში“-ა მოცემული და უზრუნველყოფილი — ეკვს

არ სტოვებს, რომ ი. გოგებაშვილი ზოწინავე პედაგოგიური მეცნიერების სიმაღლეზე იდგა.

ი. გოგებაშვილი საქართველოს მე-19 ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს. ის დაუღალავად იბრძოდა სამშობლო ენის უფლებისათვის ქართულ სკოლებში, მან პირველად შექმნა ჩვენში ქართული ენის მეცნიერულად შედგენილი სახელმძღვანელოები და ფართო საკითხავი საყმაწვილო ლიტერატურა. თავის საბავშვო მოთხრობებს მან მისცა პედაგოგიური საფუძველი და წინასწარ განზრახულ პედაგოგიურ იდეებზე აგო მათი შინაარსი და მხატვრული ფორმა.

ი. გოგებაშვილის „ანბანი" გამოვიდა 1865 წელს. „ბუნების კარი" 1868 წელს, „დედა-ენა" 1876 წელს. „დედა-ენა" გამოდიოდა 1924 წლამდე.

გ. გოგებაშვილის „რჩეული პუბლიცისტური და პედაგოგიური ნაწერები"-ს 1-ლი ტომი გამოვიდა მისსავე სიცოცხლეში, 1910 წელს. მაგრამ ყველა მისი ნაწერების შეკრება მხოლოდ ეხლახან იქნა დასრულებული. ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვცეთ მისი პედაგოგიური, პუბლიცისტურ-ლიტერატურული და მხატვრული თხზულებანი 4 ტომად. 1 და 2 ტომში შევა პედაგოგიური ნაწერები, მე-3-ში პუბლიცისტურ-ლიტერატურული და მე-4-ში მხატვრული. პირველი ტომი უკვე იბეჭდება, მზადდება მე-2. ოთხივე ტომის გამოცემა დასრულდება 1940 წელს — ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულებისათვის.

44. გიორგი იოსელიანი (1847 — 1919), სწერდა „წყალტუბოელის" ფსევდონიმით, უმთავრესად „ჯეჯილში". პედაგოგი. გადააკეთა ბავშვებისათვის „ვეფხის-ტყაოსანი" პროზად. ავტორი ლოგიკის სახელმძღვანელოსი.

45. ვლადიმერ მიქელაძე — ტფილისის პირველი გიმნაზიის, შემდეგ — რეალური სასწავლებლის მასწავლებელი. თანამშრომლობდა „ივერიაში" 90-იან წლებში.

46. გიორგი დეკანოზიშვილი, ხალხოსანი. პუბლიცისტი. 1904 წ. მისი ინიციატივით ქ. პარიზში დაარსდა გაზ. „საქართველო".

ავტორთა საძიებელი

ა

აბაშელი ა.—5, 8

ბ

ბაირონ—61
ბაქრაძე დიმ. 64
ბაგრატიონ მუხრანსკი—12, 109
ბარათაშვილი ნიკ. 266—7, 418
ბერიძე ივ.—210
ბებურიშვილი—210
ბარო ნიკოლაი—244
ბრეალი—221
ბოცვაძე—81,94

გ

გომეულაური—32, 295
გურიელი გრ.—164
გიოტე—61
გომართელი ივ.—89,387—395
გოგებაშვილი იაკ.—7, 8, 9, 10, 12, 81, 94, 100, 107, 108, 109, 157, 185, 371
გრადოვსკი—269
გურგენიჩი—346

დ

დისტერვეგი—57, 79, 94, 100, 121, 211, 219, 220, 223
დობროლუბოვი—20, 60
დარსკი—100, 108.
დონდუკოვი—109, 265
დეკანოზიშვილი—371

ე

ერისთავი გ. რ.—150, 156, 157
ერისთავი დ. გ.—157
ერისთავი რაფ.—185
ერაზმ როტერდამელი—332, 333
ევესევი (ეკზარქ.)—207

ვ

ვირხოვი—251
ვესელი—219, 226
ვიტორინო და-ფელტრე—78, 327, 328, 329, 230, 232—3
ვაჩნაძე ი.—294—5
ვესსიო—326
ვერჟერიო პაოლო.—330—333
ვოლტერი—357
ვეჯიო მატეო—330—333

ზ

ზახაროვი—252
ზალცმანი—6, 7, 18, 75, 136, 137

თ

თულაშვილი ვახტ.—157
თუმანიშვილი გ.—109, 117

ი

ილოვაისკი—250, 251
იანოვსკი კ—8, 98, 99, 100, 101, 104 108, 209, 217, 218, 219, 222—233
იოანიკე—8, 98, 207
იოსელიანი გ.—81, 371
ინგოროყვა პ.—5, 8, 9

კ

კატკოვი—253, 269
კამაროვი (გენ.) 250
კეზელი დ.—109
კომენსკი იან. (კომენიუსი)—94, 100, 121, 220

ლ

ლომოური ნ.—109, 110
ლოსაბერიძე—210
ლეიბნიცი—72

ლენინი ვლ.— 88, 105, 122
ლანკასტერ —145

მ

მიშლე — 267
მაჩაბელი მ. — 54, 367—371
მაჩაბელი ივ.—181, 185, 367, 371 - 376
მიქელაძე ვ.—81, 371
მარქსი კარლ.—22, 26, 69, 117
მირანდოლა პიკო დელა — 327
მმაცაშვილი კონსტ ქ.— 157, 182
მაღალაშვილი ლუარს.—157
მოლიერი—173
მესხი ს.—81, 99, 100, 107, 109, 270
მელიქიშვილი ლ.—250
მეუნარგია ი.—109
მარკოვი — 100

ნ

ნევეროვი—207
ნათიევი—6, 7, 107, 142—148

ო

ოჩიბელიანი გრ.—266, 267, 270, 271
ოსტროვსკი—(სახელმწ. ქონ. მმართველი)—291

პ

პესტალოცი—57, 79, 94, 100, 121, 14[illegible] 211, 219, 220, 221
პლატონი—329
პუშკინი ალ.— 61
პისარევი—237, 239
პიპინი—269

ჟ

ჟვანია ლუკა—210
ჟან ჟაკ რუსო - 136

რ

რაბლე ფრანსუა—333, 334
რიხტერი—57, 59, 79, 221, 223
როსტომაშვილი—55, 81, 107, 215, 271
როტერდამელი ერაზმ (იხ. ერაზმ როტერდამელი)
რატიშვილი ი.—109
რუსთაველი—61
რადე— 251
რუსო (იხ. ჟან-ჟაკ რუსო)

ს

საფაროვი—181
სარაჯიშვილი ალ.—109, 185
სემიონოვი—209, 100
სპასოვიჩი—230
სტალინი იოს.—110, 111, 122
სტაიუნონი—40
სტაროსელსკი დ. ს.—275
სტრელეცკი—8
სუნდუკიანც—64

ტ

ტილო—221
ტურგენევი—238

უ

უშინსკი—57, 58, 76, 77, 79, 94, 100, 219, 218, 220
ფვაროვი (გრ.—250
უმიკაშვილი პ.—109

ქ

ქართველიშვილი გ.—109
ქანანოვი ნ. დ.—157

ყ

ყიფიანი მიხ.—94, 357
ყიფიანი დ. ი.—12, 101, 102, 172, 173, 185

შექსპირი—173, 190

ჩ

ჩერნიშევსკი—20, 60
ჩიმიშკიანც—64

ც

ცხვედაძე – 12, 81, 85, 94, 107, 109, 185, 157, 371
ცაგარელი ავქს.—181

წ

წინამძღვარიშვილი ილია—54, 55, 107, 214, 275, 276, 277, 278, 299, 300
წერეთელი გ.—363, 365, 366, 372, 376

ჭ

ჭრელაშვილი სტ.—97
ჭიჭინაძე ზაქ.—136, 138

ხ

ხითაროვი—8
ხუნდაძე ს.—102

ჯ

ჯორჯაძე ბარბალე—121
ჯორჯაძე არჩ. 8, 89, 387, 390, 391, 393, 394, 395
ჯიოვანნი დე-რავენნა—327
ჯაჯანაშვილი რ.—109
ჯანდიერიშვილი ლევ. (ჯანდიერი)—136

ს ა რ ჩ ე ვ ი

I

1. ტექსტისათვის 3
2. პროფ. გ. თავზიშვილი—ი. ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები . . . . . 15—122

II

1863

3. საქართველოს მოამბეზედ 125
4. კონრად კიფერი. წინასიტყვაობა 136
5. შენიშვნა კონრად კიფერის შესახებ 137

1877

6. ვიცინოდ თუ ვიტიროდ 141
7. ფიცი გვწამა ბოლო გვაკვირვებს 144
8. საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის 149

1878

9. საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის (წერილი მეორე). . 155
10. ქართული საუნივერსიტეტო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე 158

1879

11. შინაური მიმოხილვა, თებერვალი 163
12. „ „ აპრილი 174
13. „ „ მაისი-ივნისი 183
15. „ „ „იულისი-აგვისტო 189
16. ვის ნათესსა ვმკით? 200

1881

17. შინაური მიმოხილვის მაგიერ, იანვარი 207
18. შინაური მიმოხილვა, თებერვალი 209
19. იანვისკის წერილისა გამო 217
20. შინაური მიმოხილვა, მარტი 228
21. „ „ მაისი 234
22. „ „ ივლისი 243
23. „ „ სექტემბერი 249
24. „ „ ნოემბერი 255

1883

25. შინაური მიმოხილვა, თებერვალი 263
26. „ „ აგვისტო 266

1886

27. ქალი მასწავლებელი** 281
28. ახალი დასის მოლოდინში 283
29. ქართველი სტუდენტობა რუსეთში** 285
30 ჩვენი ხალხი და განათლება** 288
31. სასოფლო-სამეურნეო განათლება* 291
32. ღარიბები მხნედ იბრძვიან განათლებისათვის* 293
33. თვითმოქმედება ახალ თაობის აღზრდის სკოლაა* 296
34. დავეხმაროთ სამეურნეო სკოლას* 298

1887

35. თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში* 308

1888

36. „თვრგ-დალეულნი“ და ახალი თაობა 309
37. პედაგოგიის საფუძვლები** 318
38. დედათა საქმე** 336

1889

39. ქალთა სასწავლებელი* 341
40. ქალთა განათლება* 344
41. ისევ განათლების საკითხებზე** 348
42. მახვილ ყიფიანი (ნეკროლოგი) 357

1893

43. სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი* 361

1896

44. ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე 365

1893

45. უკანონოდ შობილთა უფლება 379
46. გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია 387

დ ა მ ა ტ ე ბ ა

47. ნაციონალურ-რევოლუციური მიძრაობა და განათლებული ადამიანის ამოცანები* 399
48. ძველი საოჯახო და სასკოლო აღზრდა* 408
49. გლეხის სწავლა-განათლების პირობები* 420
50. შრომა და ქალთა განათლება* 430
51. გადაგვარებული ფეოდალი განათლების შესახებ* 439
52. ძველი საზოგადოების დამღუპველი გავლენა ბავშვის აღზრდაზე* 447
53. წიგნური სწავლა და პრაქტიკული სინამდვილე* 450
54. ბავშვი სათავეა დიდი ადამიანისა* 453

IV

55. რედაქტორის შენიშვნები 465
56. ავტორთა საძიებელი 473

შეცთომების გასწორება*)

გვ.	სტრ.	დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა	უ ნ დ ა ი ყ ო ს
6	— 4	პროპსიმინარიის	(პტოსეინ რიის)
8	+16	რედაქტორებს	რედაქტორებმა
19	+ 6	ღა	და
22	+19	ჭაჭავაძე	ჭავჭავაძის
36	+ 1	ჯობიერად	გახიერად
47	— 6	მცნებაა	ცნებაა
74	+19	პედაგოგის	პედაგოგიკის
78	— 8	განათლების	განათლებას
90	+ 4	საჭ-რო	საჭიროა
98	—15	განმათავისუფლი	განმათავისუფლებელი
103	+10	შავრაზმელი	შავრაზმული
107	+ 1	პროფსემინარიის	პროსეინარიის
114	—12	ქალებს	ქალების
119	+12	სახით:	სახით:“
119	—19	თესლიც გაღვიძებულია	თესლიც გაღვივებულია
117	—10	პასტორი	პასტორის
147	— 3	გვიჩვენოთ	გვიჩვენოთ?
158	+ 5	შემოწმებისათვის	შემწეობისათვის
176	+ 3	აპაშაშებს	აპარპაშებს
181	+11	თარგმნელი	თარგმნილი
189	+ 1	მხოლელობისათვის	მიმომხილველობისთანა
198	+ 1	დამრიგებელმა	დამრიგებლებმა
200	—11	არ	არც
265	— 7	დონდუკოვს 24	დანდუკოვს 25
304	+20	გაღებული	გაგებული
304	— 3	არავინ ფიქრობენ	არავინ ფიქრობს
311	+ 1	ზიზეზი	მიზეზი
331	— 7	სხვადასხვა	სხვადასხვაა

*) სტრიქონების პოვნის გასაადვილებლად ხმარებულია ნიშნები „+“ და „—“ „+“ ნიშნავს ზემოდან ქვემოთ, „—“ ნიშნავს ქვემოდან ზემოთ.